(47.93)06
1-42

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

# მაცნე

3

1965

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

(47.93)05
2-443

# მაცნე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ორგანო

*

# МАЦНЕ

(ВЕСТНИК)

ОРГАН

ОТДЕЛЕНИЯ ОБЩЕСТВЕННЫХ НАУК АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

3

24

გამომცემლობა „მეცნიერება"
*Издательство „Мецниереба"*
თბილისი — 1965 — *Тбилиси*

БИБЛИОТЕКА

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საredაქციო კოლეგია

ნ. ბერძენიშვილი, ა. პოჭორიშვილი (მთავარი რედაქტორი), პ. გუგუშვილი, ი. დოლიძე, გ. ლეონიძე, ვ. ფანჩვიძე, ე. ქვათაძე (პასუხისმგებელი მდივანი), გ. ჩუბინაშვილი, გ. წერეთელი, ს. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

*Бердзенишвили Н. А.*, *Бочоришвили А. Т.* (главный редактор), *Гугушвили П. Б.*, *Долидзе И. С.*, *Кватадзе Э. Г.* (ответственный секретарь), *Леонидзе Г. Н.*, *Панчвидзе В. Н.*, *Чубинашвили Г. Н.*, *Церетели Г. В.*, *Церетели С. Б.*,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს პოლშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ოქტომბრის რევოლუციის მოგზადებისა და გაბარების პერიოდში[1]

ი. მირცხულავა

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელიც მოახდინა რუსეთის მუშათა კლასმა უღარიბეს გლეხობასთან კავშირში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დაამხო ექსპლოატატორთა მრავალსაუკუნოვანი ბატონობა და ძალაუფლება გადასცა მშრომელ ხალხს მუშათა კლასის მეთაურობით. ოქტომბრის რევოლუცია გახდა მობრუნების პუნქტი ყოფილი რუსეთის იმპერიის ხალხთა ისტორიაში. რუსეთის ყველა ეროვნების მშრომელები მუშათა კლასის მეთაურობით გმირულად იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მაგრამ, საქართველოს რთულმა სოციალურ-ეკონომიურმა პირობებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ქართველ ხალხს კიდევ სამ წელიწადს მოუხდა შეუპოვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისა და მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების დამხობის შემდეგ საქართველოში მთელი ხელისუფლება დარჩა შეძლებული კლასების ხელში. ბურჟუაზიულმა დროებითმა მთავრობამ კავკასიის მხარის მართვისათვის კავკასიის მეფისნაცვლის მაგივრად შექმნა დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანო—ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი („ოზაკომი"), რომელიც ბურჟუაზიული დროებითი მთავრობის ანტიხალხური პოლიტიკას ახორციელებდა.

„ოზაკომის" გვერდით არსებობდა მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო, მაგრამ მასში უმრავლესობა ეკუთვნოდათ მენშევიკებს, ესერებს—სოშნაო და საგარეო კონტრრევოლუციის აგენტებს. მენშევიკები და ესერები ქმნიდნენ საბჭოებს მხოლოდ ბურჟუაზიასთან კავშირში და მისი ადგილობრივი ორგანოების მხარდაჭერით. ისინი თვლიდნენ, რომ ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეს ბურჟუაზიას, როგორც რევოლუციის მთავარ მამოძრავებელ ძალას.

„ოზაკომი" და საბჭოებში თავმოყრილი მენშევიკები და ესერები ყველა საშუალებას ხმარობდნენ, შეეფერხებინათ რევოლუციის განვითარება. იბრძოდნენ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურში გადაზრდის წინააღმდეგ. მოითხოვდნენ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის

---

[1] მოხსენება, წაკითხული სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის" კომპლექსური საპრობლემო საბჭოს და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1964 წლის 13 მაისს მოსკოვში.

„კლასობრივი ზავის“ დამყარებას, იცავდნენ ბურჟუაზიულ ლოზუნგს: „ომი გამარჯვებამდე“, არ წყვეტდნენ აგრარულ საკითხს, ახორციელებდნენ დიდმპყრობელური შოვინიზმის პოლიტიკას.

ამრიგად, ქართველი მენშევიკებისა და ესერების სახით ბურჟუაზიამ და თავადაზნაურობამ იპოვეს თავიანთი კლასობრივი ინტერესების ნამდვილი დამცველები.

ხელმძღვანელობდნენ რა ეროვნულ საკითხში ლენინური დებულებით საქართველოს ბოლშევიკები, აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების სეპარატისტული და შოვინისტური ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ.

ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პირველმა ყრილობამ, რომელიც შედგა ჯერ კიდევ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე—1917 წლის ოქტომბრის დასაწყისში, დიდი ადგილი დაუთმო ეროვნულ საკითხს. ყრილობაზე ეროვნული საკითხის ირგვლივ ძირითადმა მომხსენებელმა მ. ტოროშელიძემ თავის მოხსენებაში დაუშვა სერიოზული შეცდომები. მართალია, მ. ტოროშელიძე იცავდა ერთა თვითგამორკვევის უფლებას გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე, მაგრამ იგი ამტკიცებდა, რომ ამჟამად ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ფორმას წარმოადგენს ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა. ტოროშელიძე არ ითვალისწინებდა, რომ პარტია უკვე მიადგა სოციალისტურ რევოლუციას და საჭირო იყო პარტიული ორგანიზაციების წინაშე ისეთი პრაქტიკული ამოცანების დაყენება, რომელთაც ახალი ვითარება მოითხოვდა. საკითხის ასეთი დაყენების წინააღმდეგ და ტოროშელიძის მცდარ შეხედულებათა კრიტიკით გამოვიდნენ ს. შაუმიანი, ა. მიქიაისი და ფ. მახარაძე.

ს. შაუმიანის კრიტიკული გამოსვლა ტოროშელიძის მცდარი დებულებების წინააღმდეგ იყო მკაცრი და სამართლიანი. მან მართებულად მიუთითა, რომ იმ მომენტში ფართო ადგილობრივი თვითმმართველობის მოთხოვნა მცდარი იყო. ჯერ კიდევ 1913 წელს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიულ მუშაკებთან პორონინოს თათბირზე ვ. ი. ლენინის წინადადებით პარტიის პროგრამა ეროვნულ საკითხში გაფართოვდა და ნაცვლად საკითხის წინანდელი დაყენებისა—ფართო საოლქო თვითმმართველობისა, მოვიდა ახალი—ფართო საოლქო ავტონომია (ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია) და იქვე განმარტა, თუ რა განსხვავება იყო ამ ორ ფორმას შორის. „საოლქო თვითმმართველობას,—ამბობდა შაუმიანი,—არა აქვს საკანონმდებლო უფლება. იგი თავის ხელში აერთიანებს კულტურულ და სამეურნეო-ადმინისტრატიულ ფუნქციებს, სარგებლობს დაბეგვრის უფლებით. ავტონომია განსხვავდება თვითმმართველობისაგან იმით, რომ აქვს სრული ფართო საკანონმდებლო უფლებით. ავტონომიის დროს ადგილობრივ ავტონომიურ ოლქებს ცენტრალური მთავრობა აძლევს საკითხების განსაზღვრულ წრეს.

ფედერაცია არის თანასწორ ერთეულთა კავშირი, აქვს თავისი დამფუძნებელი კრება.

ეხლანდელი ჩვენი პროგრამის თანახმად, ჩვენ უნდა ვცნოთ ოლქების ავტონომია“[2].

განსაზღვრავდა რა ამიერკავკასიაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტის პრაქტიკულ ამოცანებს, შაუმიანმა მიუთითა ამიერკავკასიაში სამი ეროვნულ-

[2] С. Г. Шаумян. Избранные произведения, т. 2. Москва, 1958, გვ. 104.

ტერიტორიული ოლქის შექმნის აუცილებლობაზე. „ამიერკავკასია უნდა გაიყოს სამ ოლქად,—ამბობდა შაუმიანი,—1. დასავლეთ ამიერკავკასია: ქუთაისის, ბათუმის ოლქი და თბილისის გუბერნიის ნაწილი; 2. აღმოსავლეთ ამიერკავკასია: ერევნის, ნაწილი თბილისის, ყარსის და ელიზავეტპოლის გუბერნიები; 3. ბაქოს, ნაწილი ელიზავეტპოლის გუბერნიის და დაღესტნის ოლქი"[3]. როგორც ვხედავთ, ძირითადად სწორად იყო განსაზღვრული მომავალი ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის საზღვრები—საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

ამიერკავკასიის ბოლშევიკების პირველმა ყრილობამ კავკასიისათვის მოითხოვა ფართო საოლქო ავტონომია. ერთ ერთ საკითხში მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია. რომ ჩვენი პარტიის პროგრამისა და აპრილის კონფერენციის დადგენილების საფუძველზე „ვცნობთ ყველა ერის თვითგამორკვევის უფლებას მათს სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე. ყრილობა რეკომენდაციას არ აძლევს კავკასიის რუსეთისაგან გამოყოფას, მოუწოდებს ეროვნების განურჩევლად კავკასიის მთელი დემოკრატიის ყველაზე მჭიდროდ შეერთებას და დაახლოებას"[4].

ბოლშევიკების პარტია აყენებდა თავის საპროგრამო მოთხოვნას ეროვნულ საკითხში, მიუთითებდა ერის გამოყოფის, უფლების გაგების გამოყოფის მიზანშეწონილობასთან არევის დაშვებლობაზე, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა აუცილებელი იყო კლასობრივი ბრძოლის კონკრეტული პირობების შესაბამისად. საქართველოს ბოლშევიკები მალიანად უჭერდნენ მხარს და იცავდნენ პარტიის ამ მოთხოვნას. თუმცა რსდმპ (ბ) VII (აპრილის) კონფერენციაზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენელმა ფ. მახარაძემ დაიჟინა მცდარი პოზიცია ეროვნულ საკითხში, გამოვიდა ერთა თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ. იგი ამბობდა: „ჩვენ, ადგილობრივი მუშაკები, პოლშევიკი სოციალ-დემოკრატები, ვფიქრობდით და ვფიქრობთ, რომ ამჟამად ამ მისწრაფებამ (ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიისაკენ მისწრაფება) არ შეიძლება კეთილ საქმემდე მიგვიყვანოს..."[5]

კონფერენციიდან დაბრუნების შემდეგ ფ. მახარაძე სტატიაში „ნაციონალური საკითხი რუსეთის სოც. დემ. საერთო კონფერენციაზე" წერდა: „მე გადაჭრით წინააღმდეგი ვიყავი იმისა, რომ ერს უფლება ქონდეს თავისუფალი გამოყოფისა. მაგრამ კონფერენციის შემდეგ მე დავრწმუნდი იმაში, რომ შეუძლებელია ერს ეს უფლება ჩამოვართვათ, მეტადრე მაშინ როცა მძარცველი კაპიტალისტების წარმომადგენლები ერის თვითგამორკვევაზე ყვირიან. თუ კაპიტალისტები ჩაჩოული ერებისათვის თვითგამორკვევის უფლებას სცნობენ, მაშინ ისინი უნდა დათანხმდნენ იმასაც, რომ ამ ერებს ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფის უფლება აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მატყუარები და ფარისეველები არიან"[6].

ბოლშევიკები გარკვეულ პირობებში არ იყვნენ წინააღმდეგნი ამიერკავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობისა. ამაზე ლაპარაკობს კავკასიის ბოლ-

---

[3] С. Г. Шаумян, Избранные произведения, т. 2, М., 1958, გვ. 104.

[4] Борьба за победу Советской власты в Грузии. Документы и материалы (1917—1921 гг.), Тб., 1958, გვ. 104.

[5] Протоколы седмой апрельской конференции РСДРп(б), Москва, 1934, გვ. 207.

[6] გაზ. „ბრძოლა", 2, 1917 წ. 12 ივნისი.

შეგიკური ორგანიზაციების პირველი ყრილობის დადგენილება ეროვნულ საკითხში და ამიერკავკასიის კომისარიატის შესაქმნელად მოწყობილ თათბირზე კავკასიის სამხარეო კომიტეტის დეკლარაცია, რომელიც გამოაქვეყნა მ. ცხაკაიამ. გარდა ამისა, თვითონ ფ. მახარაძე უფრო გვიან ამის შესახებ ამბობდა: „იქნებობდა პირდაპირ საოცარი, რომ ჩვენ, ბოლშევიკები გამოვსულიყავით და ვეფარმოებია ბრძოლა ვინმეს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ და კერძოდ ქართველი ხალხის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ: სწორედ ჩვენ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით ვაცხადებთ და ვანხორციელებთ ხალხთა თვითგამორკვევის უფლებას, მათ მიერ დამოუკიდებელი სახელმწიფოს გამოყოფამდე“[7].

მუშათა კლასის მტრები ამოფარნენ ავტონომიას, თითქოს ისეთ ფორმას, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნებოდა ეროვნული ბურჟუაზიისათვის ხელისუფლების შენარჩუნება. ასე მოიქცა საქართველოს მენშევიკური ნაციონალისტური პარტია, როცა სჩვა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების და ჯგუფების დახმარებით ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გაშალა სასტიკი ბრძოლა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, ერთა თვითგამორკვევასა და ავტონომიას ებრძვიდა, როგორც „დამოუკიდებელი“ ბურჟუაზიული სახელმწიფოს შექმნის უფლებას. ამაში მათ მხარს უჭერდა საერთაშორისო იმპერიალიზმი, რომელსაც მიზნად ჰქონდა თავისი ბატონობის დამყარება.

საქართველოს მენშევიკების პროგრამა ეროვნულ საკითხზე მათ საერთო პროგრამაში შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „თვითგამორკვევის უფლება ყველა იმ ერებისათვის, რომლებიც სახელმწიფოში შედიან“. „ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა, საოლქო თვითმმართველობა იმ ადგილებში, რომლებიც განსხვავდებიან თავისებური ყოფაცხოვრებით და ეგარტომობით“[8].

ამიერკავკასიის მენშევიკების მეექვსე ყრილობის (1917 წ. ივნისი) დადგენილებაში ეროვნულ საკითხზე ნათქვამია იყო: „ასეთ საერთო პოლიტიკური წყობილების ფარგლებში ეროვნული კულტურის განვითარება შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას რუსეთში მოსახლე თვითეული ეროვნებისათვის ფართო შინაური თვითმმართველობის მინიჭებით“[9]. ამ ყრილობაზე თავის მოხსენების თეზისებში საქართველოს მენშევიკების ლიდერი ნ. ჟორდანია განმარტავდა თვითმმართველობის ამ უფლებას და აღნიშნავდა, რომ „ამიერკავკასიის ერებმა უნდა გამოიმუშაონ ერთი საერთო ნაციონალური პროგრამა. მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი თანამედროვე ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში მინიმუმამდე შევამციროთ ეროვნებათა შორის არსებული უკმაყოფილება და შუღლი“[10]. როგორც ვხედავთ, იგი ლაპარაკობს ეროვნებათა შორის უკმაყოფილების და შუღლის შემცირებაზე და არა მოსპობაზე. შემდეგ იგი მიუთითებდა, რომ ამიერკავკასია, ეროვნების მიხედვით, წარმოადგენს სამ ეროვნულ ოლქს: ქართულს, სომხურს და თათრულს. თვითეულ ნაციონალურ ერთეულს მიეცემა თვითმმართველობის უფლება, ე. ი. ადგილობრივი ორგანოების შექმნის უფლება, რომლებსაც სახელმწიფო დააკისრებს სახელმწიფო მმარ-

[7] გაზ. „Народная власть“ 1918 г. 22 октября.

[8] პროგრამა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა (მენშ.), თბილისი, 1917, გვ. 8—9.

[9] გაზ. „ერთობა“, № 77, 1917 წ. 21 ივნისი.

[10] იქვე.

თველობის განსაზღვრული საქმეების განხორციელებას და მათ ექნებათ მართვა-გამგეობის უფლება სახელმწიფოს დავალებით. სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი იქნებიან განახორციელონ სახელმწიფოსაგან დაკისრებული საჯარო-უფლებრივი ფუნქციები, მაგრამ თვითმმართველ ერთეულს აქვს თავისი განსაკუთრებული კულტურული, სამეურნეო და უფლებრივი ინტერესები და ამ სფეროში იგი ადგილობრივი ორგანიზაციების საშუალებით ახორციელებს მართვა-გამგეობის ფუნქციებს, მაგრამ არა საკუთარი დამოუკიდებელი მმართველობის უფლებით, როგორც ეს ხდება სახელმწიფოში, არამედ სახელმწიფოს დავალებით[11].

უარყოფდა რა საქართველოს ავტონომიას, ნ. ჟორდანია წერდა: „ჩვენ პრინციპიალურად უარს არ ვყოფთ ავტონომიას, არც სეპარატიზმს. ჩვენ ვებრძვით, ვეწინააღმდეგებით საქართველოს ავტონომიას პრაქტიკული მოსაზრებით"[12].

ასეთ მოთხოვნებს აყენებდნენ ქართველი მენშევიკები თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, როცა ფიქრობდნენ რევოლუციის დამთავრებას ამ ეტაპზე და სახელმწიფოებრივი განვითარების წარმართვას ბურჟუაზიული გზით. ხოლო, როგორც ცნობილია, საოლქო ეროვნული თვითმმართველობის მოთხოვნა ბოლშევიკებმა უკვე შეცვალეს 1913 წელს პარტიული მუშაკების პორონინის თათბირზე ახალი ფართო საოლქო ავტონომიის მოთხოვნით.

ამრიგად, ეროვნულ-ტერიტორიული ანუ საოლქო ავტონომია იყო ბოლშევიკების საერთო დემოკრატიული პროგრამის შემადგენელი ნაწილი. მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ ავტონომიამ თავისებურად ახალი შინაარსი მიიღო. იგი იქმნებოდა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ხელისუფლების ორგანოს—საბჭოების საფუძველზე. ბოლშევიკური პარტია ვ. ი. ლენინის მეთაურობით თვლიდა ეროვნული ავტონომიის შექმნას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების საფუძველზე, რადგან ეროვნულ ავტონომიას მხოლოდ ასეთ პირობებში შეეძლო უზრუნველეყო ნამდვილი და ფართო დემოკრატია მშრომელი მასებისათვის, შეექმნა სრული შესაძლებლობა მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის. იგი წარმოადგენს დემოკრატიის საუკეთესო ფორმას, რომელსაც შეუძლია აქტიურად ჩააბას სოციალისტურ მშენებლობაში წინათ ჩაგრული ერები.

საქართველოს ბურჟუაზიამ ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტიების დახმარებით, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და საქართველო გადააქცია დასხვლეთის იმპერიალიზმისა და კონტრრევოლუციის დასაყრდენ ბაზად, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის კერად. იგი ცდილობდა ეროვნულ საკითხში საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოცხადებული ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევისა, თვით გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე, გამოეყენებინა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური მთავრობის შესაქმნელად და განსამტკიცებლად, აგრეთვე საქართველო გამოეყო საბჭოთა რუსეთისაგან.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე, მუშათა და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების

---

11 გაზ. „ერთობა", № 77, 1917 წ. 21 ივნისი.

12 გაზ. „ჩვენი ცხოვრება", № 11, 1912 წ. 13 იგლისი.

მიზნით თბილისში შეიქმნა „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი“. 1917 წლის 11 ნოემბერს ამ კომიტეტმა მოიწვია თათბირი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ სხვადასხვა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანოების და პარტიების წარმომადგენლები, ამერიკის შეერთებული შტატების კონსული, კავკასიის არმიის შტაბთან მყოფი ინგლისის და საფრანგეთის ატაშე და სხვ.

ამ თათბირზე გაფორმდა ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური პარტიების ბლოკი, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, არ ეცნოთ სახალხო კომისართა საბჭო და შექმნილიყო ამიერკავკასიაში „დამოუკიდებელი ხელისუფლება“. თათბირზე დამსწრე ბოლშევიკების წარმომადგენელმა მ. ცხაკაიამ გამოაქვეყნა რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტის დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამია, რომ რსდმპ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი და ყველა მასში შემავალი მხარის ადგილობრივი ორგანიზაციები მთლიანად დგანან სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობის და მის მიერ არჩეული სახალხო კომისართა საბჭოს პოზიციაზე. რსდმპ კავკასიის სამხარეო კომიტეტი „დგას კავკასიაშიც ერთა სრული თვითგამორკვევის ნიადაგზე. — ნათქვამი იყო დეკლარაციაში,—სამხარეო კომიტეტი ვერ ხედავს კავკასიის არც ერთი ეროვნების ინტერესს მიიყვანოს ეს თვითგამორკვევა რუსეთიდან გამოყოფამდე ან ერთმანეთისაგან განშორებამდე. ეს ერთის მხრივ—ეწინააღმდეგებოდეს იქნება მხარის ფართო მშრომელი მასების საარსებო ინტერესებს, ხოლო მეორეს მხრივ,—გააძნელებს ბრძოლას ომის შეწყვეტისათვის, მშვიდობისათვის და მთელი მშრომელი ინტერნაციონალთან ერთად სოციალიზმის განხორციელებისათვის... სამხარეო კომიტეტი შეუძლებლად თვლის განაგრძოს თავის მონაწილეობა თათბირზე, სადაც ეს წრებიან კონტრრევოლუციური ელემენტები“[13]. ამის შემდეგ ბოლშევიკებმა დატოვეს თათბირი.

საქართველოს წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიები (ფედერალისტები, ესერები, ეროვნულ-დემოკრატები) ხელისუფლების სათავეში მენშევიკების მოსვლამდე ეწეოდნენ ბრძოლას მენშევიკების ეროვნული პროგრამის წინააღმდეგ. მაგალითად, როცა მენშევიკები, მათი ლიდერის ნ. ჯორდანიას სახით, აყენებდნენ ეროვნულ-კულტურული ავტონომიის მოთხოვნას, ქართველი ფედერალისტები, როგორც პროგრამა-მინიმუმი მოითხოვდნენ „ფართო ადგანონმდებლო და საადმინისტრაციო დეცენტრალიზაციას, სახელმწიფოს ფედერატიულად მოწყობას“, ხოლო „სრულიად რუსეთის ფედერაციის დამყარებამდე ს. ფედერალისტთა პარტია მოითხოვს დღესვე საქართველოსათვის ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას“[14], ე. ი. იგი მოითხოვდა ავტონომიას და პოლიტიკურ ფედერაციას საქართველოსათვის მეფის თვითმპყრობელური ხელისუფლების პირობებში, რაც განუხორციელებელი იყო.

ფედერალისტები ავტონომიური საქართველოს ურთიერთობას რუსეთთან განსაზღვრავდნენ ასეთი პრინციპით: საერთო-სახელმწიფოებრივი საქმეების გაძვებლობა დარჩენილიყო მთლიანად რუსეთის ხელში, ხოლო საქართველოს დამოუკიდებლად ემოქმედა ავტონომიის საზღვრებში შინაური საქმეების მოაწყობად და გასაძღოლად. საერთო-სახელმწიფოებრივ საქმეებში შედიოდა:

[13] „Борьба за победу Советской власти в Грузии“. Документы и материалы. (1917—1921 гг.), Тбилиси, 1958, გვ. 144.

[14] სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის პროგრამა, გვ. 8.

საგარეო პოლიტიკა, საზღვაო და საჰაერო საქმე, საბაჟო პოლიტიკა, საქართველოს რუსეთთან შემაერთებელი რკინიგზები და ფოსტა ამ საქმეების გასაძღოლად საჭირო ფინანსების ნაწილი მცხოვრებთა რაოდენობის პროპორციით უნდა გადაეხადა ავტონომიურ საქართველოს. ყველა დანარჩენი საქმე აღიარებული იყო საქართველოს შინაურ საქმედ, იმ პირობით, რომ ავტონომიურ საქართველოს მმართველობას არ შეეძლო რუსეთის მიერ აღიარებული სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა[15].

როგორც ვხედავთ, ფედერალისტების მიერ საქართველოსათვის ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნა, საქმით ნიშნავდა რუსეთის ბურჟუაზიული სახელმწიფოს ფარგლებში ქართული დაწესებულებების და ქართული სკოლის არსებობას, რაც არავითარ სერიოზულ სახელმწიფოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენდა ბურჟუაზიულ-მემამულური მთავრობისათვის.

ეროვნულ-დემოკრატების ბურჟუაზიული-ნაციონალისტური პარტია თავიდანვე გამოდიოდა დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მოთხოვნით. დამფუძნებელი კრების საარჩევნო პლატფორმაში იგი აცხადებდა: „საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიზანია თავისუფალი საქართველოს აღდგენა. მთელი ამერეთი და იმერეთი უნდა გაერთიანდეს და დაამყაროს ის ეროვნული თვითმმართველობა. რომლის უფლება საქართველოს ეკუთვნის 1783 წლის რუსეთთან დადებული ხელშეკრულებებით“[16]. მათ პროგრამაში პირდაპირ იყო მითითებული, რომ 1783 წელს ხელშეკრულებით საქართველომ მიიღო რუსეთის პროტექტორატი. ქართველ ერს უნდა დარჩენოდა საკუთარი კანონმდებლობა და მთავრობა, საკუთარი ხაზინა, სამმართველო, ეკლესია. ისინი მოითხოვდნენ ამ მდგომარეობის აღდგენას. ამიტომ იყო, რომ ეროვნულ-დემოკრატები პირველნი მიესალმნენ საქართველოს „დამოუკიდებლობის“ გამოცხადებას და იგი თავიანთი პროგრამის გამარჯვებად მიიჩნიეს.

ეროვნულ-დემოკრატებს ფედერალისტების მსგავსი პოზიცია ეკავათ ეროვნულ საკითხში. ისინიც მოითხოვდნენ დეცენტრალიზაციას და საქართველოსათვის, რუსეთის იმპერიის ფარგლებში ეროვნული ავტონომიის მინიჭებას. „საქართველოს ავტონომიურ კანონმდებლობას და მმართველობას ემორჩილება.—ნათქვამი იყო მათ პროგრამაში.—საქართველოს საზღვრებში მცხოვრების ყოველი სავანი, გარდა: ა) ომის და ზაეის საკითხისა, ბ) საგარეო პოლიტიკისა და გ) რუსეთის სახელმწიფოსთან საერთო ბიუჯეტისა, რაც რუსეთის კანონმდებლობის კომპეტენციაში შედის“[17].

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა წვრილბურჟუაზიული პარტია მეწმევიკების მხარდამხარ საქართველოსთვის მოითხოვდა „პოლიტიკურ ეროვნულ ტერიტორიალურ ავტონომიას“[18].

როცა საქართველოს მენშევიკებმა გამოაცხადეს ლოზუნგი „საქართველო—ქართველებისათვის“, მას შეუერთდა საქართველოს ყველა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ნაციონალისტური პარტია., ისინი შეთანხმდნენ პოლიტი-

---

15 სოც-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის პროგრამის პირველი პროექტი. თბილისი, 1907 წ., გვ. 41.

16 გაზ. „საქართველო“, № 249, 1917 წ. 10 ნოემბერი.

17 პროგრამა წინასისუყვაობით, დადასტურებული საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობის მიერ, თბილისი, 1917, გვ. 9.

18 პროგრამა (მინიმუმი) სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისა, თბ., 1917, გვ. 4.

კურ საკითხზე, კერძოდ, საბჭოთა რუსეთიდან საქართველოს გამოყოფაზე. ეს შეთანხმება მოხდა უკვე საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე.

ყრილობაზე სოციალ-ფედერალისტების პარტიის სახელით გრიგოლ რცხილაძემ განაცხადა: „დღევანდელი დღე დიდი დღეა. დღევანდელი დღე თავდებია საქართველოს გაერთიანებისა და მისი პოლიტიკური იდეალების განხორციელებისა. ფედერალისტებმა გადავწყვიტეთ სეპარატულად არ გამოვიდეთ“[19] 1903 წელს კი, როცა მათი პარტია ყალიბდებოდა, ფედერალისტები თავს სოციალისტებად ასაღებდნენ და თავიანთ ორგანო „საქართველოში“ ასეთი სათაროდ განცხადება გააკეთეს: „ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენა არ არის, სათლად და აშკარად ვამბობთ: ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ. ჩვენი წადილი და მისწრაფება—განსაკუთრებული, საქართველოს პირობებთან შესაფერი კონსტიტუციის მოპოვებაა. ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი. ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ“[20]. მაგრამ ეს ლიტონ სიტყვებად დარჩა და 1917 წელს ისინი დაეთანხმნენ პოლიტიკურ სეპარატიზმს. სახელს სოციალისტურს ატარებდნენ, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისაგან გამოყოფას ხელი მოაწერეს.

ეროვნულ-დემოკრატების პარტიის წარმომადგენელმა გ. გეგზავამ თქვა: „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავიდანვე იდგა ქართველი ერის მთლიანობის ნიადაგზე. დღეს ეს ლტოლვილება განხორციელდა. ამიტომ ჩვენი პარტია არ გამოდის სეპარატისულად“[21].

ესერი გ. ნათაძე ამბობდა: „ასჩვიდმეტი წლის განმავლობაში დღემდე საქართველო არ არსებობდა. საქართველო დღეს იწყებს არსებობასო“[22].

მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის წარმომადგენელი ფ. მახარაძე გამოვიდა ამ სეპარატული პოლიტიკის წინააღმდეგი და აღნიშნა, რომ მენშევიკები და სხვა აქ გამოსული წვრილბურჟუაზიული და ბურჟუაზიული პარტიები თავიანთი სეპარატიული პოლიტიკით სჩრიან იმ ტოტს, რომელზედაც სხედან. მას მოითხოვა მხარის დაჭერა საბჭოთა მთავრობისადმი, იმ მთავრობისადმი, რომელიც საქმით იცავდა დაჩაგრული ერების ინტერესებს“[23].

ამრიგად, საქართველოს წვრილბურჟუაზიულმა და ბურჟუაზიულმა პარტიებმა ურთიერთ ამნისტია გამოუცხადეს და შეკრეს ბლოკი „საქართველოს დამოუკიდებლობის“ ნიღბით საბჭოთა ხელისუფლების, სოციალიზმის წინააღმდეგ. ისინი, მიუხედავად ეროვნულ საკითხში პროგრამების სხვადასხვაობისა, ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ საქართველოს მენშევიკურ მთავრობას რევოლუციური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ძალაუფლების შენარჩუნებაში. მათ ახალგებდა და აკავშირებდა სოციალური ბუნება და საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესები.

1917 წლის 15 ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის მთავრობა, ე. წ. ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელშიც შევიდნენ მენშევიკების, ესერების, დაშნა-

19 გაზ. „საქართველო“ № 258, 1917 წ. 23 ნოემბერი.
20 გაზ. „საქართველო“, № 1, 1903 წ. 1 მაისი.
21 გაზ. „საქართველო“, № 258, 1917 წ. 23 ნოემბერი.
22 იქვე.
23 იქვე.

ქების, მუსავატელების და სხვა ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციური პარტიების წარმომადგენლები.

ეროვნული ჯგუფების შიგნით კლასების კოალიციისათვის ორგანიზებულ იქნა „ეროვნული საბჭოები“: ქართული, აზერბაიჯანული, სომხური, ხოლო მათი კონტრრევოლუციური მოქმედების კოორდინაციისთვის — მენშევიკური საბჭო მენშევიკ რამიშვილის მეთაურობით. ქართული ბურჟუაზიულ-მემამულური ეროვნული საბჭოს შექმნისთანავე დაიწყო ქართული „ეროვნული“ ნაწილებისა და რაზმების, ე. წ. „სახალხო გვარდიის“ ფორმირება.

ამიერკავკასიის კომისარიატი წარმოადგენდა ამიერკავკასიის ექსპლოატატორთა კლასების ზედაფენების ორგანოს, რომელიც მიზნად ისახავდა ბურჟუაზიის დიქტატურის განმტკიცებას. კომისარიატის მთელი შემადგენლობა სოციალისტური რევოლუციის მოსისხლე მტერი იყო, რომლებიც „მჭიდროვდებიან,—წერდა ბოლშევიკური გაზეთი „ბრძოლა“.—რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად, ისინი წყვეტენ კავკასიას რევოლუციური რუსეთისაგან და ზურგში სცემენ ლახვარს მებრძოლ პროლეტარიატს“[24].

საბჭოთა რუსეთს წინააღმდეგ გაერთიანებული ბრძოლის გეგმის გამოსამუშავებლად და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის, რაც შეიძლება, სწრაფად ჩასახშობად, აგრეთვე, საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის მოწყვეტის იურიდიული გაფორმებისათვის 1918 წლის 10 (23) თებერვალს თბილისში მოწვეულ იქნა სახელმწიფო ხელისუფლების კონტრრევოლუციურ-ნაციონალისტური ბურჟუაზიულ-მემამულური ორგანო ე. წ. ამიერკავკასიის სეიმი.

ბოლშევიკებმა გადაჭრით უარყვეს სეიმში მონაწილეობის მიღება. რსდმ (ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტმა თავის განცხადებაში მიუთითა: „რუსეთში შექმნილი მდგომარეობის პირობებში ამიერკავკასიის სეიმის მოწვევა ნიშნავს ფაქტიურად ამიერკავკასიის მოწყვეტას რუსეთისაგან და აქ ხალხის ნება-სურვილის გარეშე დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას. იგი ამავე დროს ნიშნავს, კონტრრევოლუციურ ბურჟუაზიასა და მემამულეებთან კავშირში მუშურ-გლეხური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლას. და ამიერკავკასიის სეიმი იქმნება რუსეთში გამოცხადებული საბჭოთა რესპუბლიკის წინააღმდეგ სამოქმედოდ. ღებულობს რა ყველა ამას მხედველობაში, რსდმ (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტი უარს აცხადებს ამჟამად მოწვეულ ამიერკავკასიის სეიმში ყოველგვარ მონაწილეობაზე და ამასთან ერთად აცხადებს, რომ ბოლშევიკების პარტია მიიღებს ყველა ზომას, რათა ამხილოს ამიერკავკასიის სეიმის ინიციატორები, როგორც ხალხის მომტყუებლები“[25].

აშკარა ნაციონალისტებისა და თურქ აგრესორთა ნების შესასრულებლად 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა რუსეთისაგან ამიერკავკასიის მოწყვეტის შესახებ.

საქართველოს ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა უდიდესი მუშაობა გააჩაღეს ამიერკავკასიის კომისარიატის და სეიმის ნაციონალისტური, ბურჟუაზი-

---

[24] გაზ. „ბრძოლა“, № 37, 1917 წ. 17 ნოემბერი.

[25] „Борьба за победу Советской власти в Грузии“. Документы и материалы (1917—1921 гг.), Тбилиси, 1958, გვ. 186—187.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ-მემამულური ხასიათის სამხილებლად, როგორც მთავრობისა, რომელიც შექმნილ იყო, ერთი მხრივ, თურქი ბეგების, ხანებისა და ამიერკავკასიის ბურჟუაზიის მიერ და, მეორე მხრივ, რევოლუციის მოღალატეების—ესერებისა და მენშევიკების მიერ.

ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა და ამიერკავკასიის სეიმის მოწვევა არსებითად იყო გაბატონებული კლასების შეთქმულება მუშურ-გლეხური რევოლუციისა და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

1918 წლის თებერვალში, რსდმპ (ბ) დასავლეთ ამიერკავკასიის პარტიულმა კონფერენციამ ქუთაისში თავის რეზოლუციაში მიმდინარე მომენტის შესახებ ჩაწერა: „გამოხატავს რა კონტრრევოლუციური კლასების მისწრაფებას, სეიმი ცდილობს გაანადგუროს საბჭოები. ამზადებს ნიადაგს ამიერკავკასიაში კონტრრევოლუციის გამარჯვებისათვის, სეიმი სანქციას აძლევს ამიერკავკასიის გამოყოფას რევოლუციური რუსეთისაგან, ე. ი. რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა სახალხო მთავრობისაგან, ამით მას მიაყავს ქვეყანა დაღუპვამდე და საყოველთაო რევოლუციური ფრონტის შესუსტებამდე. გამომდინარე აქედან, კონფერენცია ჩვენი პარტიის ძირითად ამოცანად ამიერკავკასიაში თვლის:

1. ყველგან მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების შექმნას და სრული ხელისუფლების განხორციელებას.

2. განახლებული და ახლად შექმნილი საბჭოების ყრილობის მოწვევას მთელი ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა რევოლუციური ორგანოს შესაქმნელად.

3. სოციალისტური არმიის შექმნას, რომელიც საბჭოების ხელმძღვანელობით აწარმოებს ბრძოლას, როგორც შინაგანი, ისე გარეშე იმპერიალისტური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ.

4. მხილება იმისა, თუ რა დამღუპველ და კონტრრევოლუციურ ნაბიჯს წარმოადგენს ამიერკავკასიაში კოალიციური მთავრობის შექმნა, ერთის მხრივ და ამიერკავკასიის გამოყოფა რევოლუციური რუსეთისაგან, მეორეს მხრივ“[26].

ამიერკავკასიის კომისარიატი ატარებდა მხარს შინაგან ეროვნული გათიშვის პოლიტიკას, აწარმოებდა დავას ეროვნული ტერიტორიის გამო, ქმნიდა ეროვნულ პოლკებს და ამით იწვევდა განხეთქილებას კავკასიის არმიაში. ყოველივე ამით ქმნიდა ეროვნული განკერძოების, მტრობის ატმოსფეროს და ამზადებდა ნიადაგს ერთა შორის შეურახებისათვის ამიერკავკასიაში.

ამიერკავკასიის რესპუბლიკა ნაციონალისტურ პარტიებს შორის ბრძოლისა და დასავლეთის იმპერიალისტების დაწოლით, 35-დღიანი არსებობის შემდეგ დაიშალა ერთმანეთისაგან იზოლირებულ ბურჟუაზიულ რესპუბლიკებად. 1918 წ. 26 მაისს „საქართველოს ეროვნულმა საბჭომ“ მენშევიკების ხელმძღვანელობით საქართველო გამოაცხადა „დამოუკიდებელ“ რესპუბლიკად.

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე საქართველოს მენშევიკები სეპარატისტულ პოლიტიკას დაადგნენ, უარყვეს წინანდელი შეხედულებები რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში ტერიტორიული თვითმმართველო-

[26] „Борьба за победу Советской власти в Грузии..“, გვ. 231.

ბის შესახებ, ამიტომაც დამოუკიდებლობისა და ავტონომიის ლოზუნგს, ცდილობდნენ, მშრომელი მასების რევოლუციური მოძრაობა ჩაეხშოთ და იბრძოდნენ რუსეთში გამარჯვებული პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

ერთა თვითგამორკვევის ბოლშევიკური ლოზუნგის ამოფარებით მენშევიკები ამართლებდნენ საქართველოს გამოყოფას რუსეთისაგან და დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას. მენშევიკური მთავრობის მოამბე გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ წერდა, რომ სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობამ ერების თვითგამორკვევის უფლება დაადასტურა, ხოლო საბჭოთა მთავრობამ „ხალხთა უფლების დეკლარაციაში“ აღიარა ყველა ეროვნების უფლება თვითგამორკვევისა სრულ გამოყოფამდე. „თუ საქართველო ამ პრინციპს აყენებს,—განაგრძობს გაზეთი,—ის ამ შემთხვევაში რუსთა სოვეტების რესპუბლიკის გადაწყვეტილების ფარგლებში მოქმედებს. ამიტომ ყოველად უეჭველია იმის თქმა, რომ ამით ქართველი ხალხი უარყოფს რუსთა მისწრაფებას ან კიდევ შეურაცხყოფას აყენებს მათ ეროვნულ გრძნობას“[27].

ხსნიდა რა ეროვნულ საბჭოს სხდომას 1917 წლის 19 ნოემბერს, მენშევიკი ა. ჩხენკელი მოითხოვდა ყოველი ერის თვითგამორკვევას, განმარტავდა მას როგორც „ეროვნულ-პოლიტიკური თვითმმართველობას საკუთარი კანონმდებლობით და მმართველობით“[28].

რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ნ. ჟორდანია მთავარ უურადღებას აქცევდა ეროვნულ თვითმმართველობებში კულტურული პირობების შექმნას და უარყოფდა ძლიერი მთავრობის შექმნის საჭიროებას.

მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების ამერკავკასიის ყრილობაზე 1917 წლის ივნისში ნ. ჟორდანია ამბობდა: „სოციალ-დემოკრატიული პარტია უმთავრეს უურადღებას აქცევს კულტურული პირობების შექმნას და არა ძლიერი მთავრობის საჭიროებას... ჩემის აზრით ერის კულტურულად განვითარების, მისი ეროვნული კულტურის შესაქმნელად საუკეთესო პირობად ჩაითვლება სრული თვითმმართველობა, რომელიც უნდა მიენიჭოს ყოველ ერს...“[29].

ასე ფიქრობდა იგი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე. მაგრამ რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოითხოვდა ამერკავკასიის და მათ შორის საქართველოს რუსეთისაგან გამოყოფას, დამოუკიდებელი. მძლავრი, უნიტარული სახელმწიფოს შექმნას. იგი ამბობდა: „ჩვენს წინ დგას ძნელი და რთული საკითხი: უნიტარული დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსება... ამ ძნელი ამოცანის გადასაჭრელად აუცილებლად საჭიროა ორი უმთავრესი პირობა— საქართველოს ჭეშმარიტი დამოუკიდებლობა და ძლიერი, დემოკრატიული ძალაუფლება... ჩვენს პარლამენტს კონვენტის უფლება უნდა ჰქონდეს, რომ მან შესძლოს გზის გაწმენდა, ყოველგვარი დაბრკოლებანი სძლიოს...“[30].

საქართველოს მენშევიკური მთავრობის მეთაური ნ. რამიშვილი მთავრობის დეკლარაციაში აცხადებდა: „საჭიროა დამყარდეს ერთი ძლიერი მთავრობა,

---

27 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 70, 1918 წ. 20 ოქტომბერი.

28 გაზ. „სახალხო საქმე“. № 108. 1917 წ., 24 ნოემბერი.

29 გაზ. „ერთობა“, № 70, 19:7 წ. 13 ივნისი.

30 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 32, 1918 წ. 3 სექტემბერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული საბჭოს წინაშე პასუხისმგებელი, რომლის გვერდით... არც ერთი მთავრობის უფლებებით აღჭურვილი ორგანო არ იქნება.

მთავრობა აღიარებს, რომ საქართველოს რესპუბლიკის გასამტკიცებლად აუცილებლად საჭიროა საკუთარი, ევროპული წესით გაწვრთნილი ჯარი"[31].

ეს „დამოუკიდებლობა" დამყარებული იყო გერმანული იმპერიალისტების ხიშტებზე. ამას თვით მთავრობის დეკლარაცია აღიარებდა. „28 მაისს,—ნათქვამია, დეკლარაციაში,—გერმანიის მთავრობის საიმპერიო წარმომადგენელთან დადებულ იქნა წინასწარი ხელშეკრულება, რომლის თანახმად გერმანიის მთავრობამ აღვითქვა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება და მისი ტერიტორიის ხელუხლებლობის დაცვა, ჩვენთან შეთანხმებით გერმანიამ გამოგზავნა თავისი ჯარი, რომელიც იმოქმედებს ჩვენი განკარგულების თანახმად და მთავრობას ხელს შეუწყობს გარეშე საზღვრების დაცვის საქმეში"[32].

ბურჟუაზიულ-მენშევიკურმა ნაციონალისტებმა, „დამოუკიდებელი საქართველოსთვის" ბრძოლის მარკით, საქართველო გადააქციეს დასავლეთის იმპერიალისტების კოლონიად. „საქართველოს ეს დამოუკიდებლობა,—წერდა ვ. ი. ლენინი,—ყოვლად საშაყრა მოტყუებად იქცა, სინამდვილეში ეს არის საქართველოს ოკუპაცია და სრული დაპყრობა გერმანელი იმპერიალისტების მიერ, გერმანული ხიშტების კვეშირი მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკური ძუშებისა და გლეხების წინააღმდეგ..."[33].

როგორც ვხედავთ, მენშევიკებმა, რომლებიც თავს სოციალისტებს უწოდებდნენ, გეზი აიღეს ბურჟუაზიული რესპუბლიკისაკენ. ისინი იცავდნენ ერთა თვითგამორკვევის ბურჟუაზიულ გაგებას ლოზუნგით,—„მთელი ძალაუფლება ეროვნულ ბურჟუაზიას", ნაცვლად თვითგამორკვევის სოციალისტური გაგებისა ლოზუნგით „მთელი ძალაუფლება მშრომელ მასებს".

საქართველოს მენშევიკები ერთა თვითგამორკვევის უფლებას განმარტავდნენ, როგორც საქართველოს ეროვნული ბურჟუაზიის უფლებას—თავის ხელში აეღო ძალაუფლება და გამოყენებინა იგი თავისი ეროვნული სახელმწიფოს შესაქმნელად.

ერთა შორის ურთიერთობის, თვითმმართველ სახელმწიფო-ტერიტორიულ ეროვნულ ერთეულებს შორის ურთიერთობის ფორმად ბოლშევიკები თვლიდნენ ფედერაციულ ურთიერთობას. თუმცა ამის ცნობამდე, რომ პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში ერებს შორის ფედერაციული ურთიერთობა წარმოადგენს ერთა სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე მიზანშეწონილ ფორმას, ბოლშევიკების პარტია მივიდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ.

ფედერალისტები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია და ფედერაცია თითქოს ბოლშევიკებს ესესხებინოს ფედერალისტების პროგრამიდან. ამას, რა თქმა უნდა, არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან. რამდენადაც სოციალისტ-ფედერალისტები მოითხოვდნენ ფედერაციას ბურჟუაზიული რესპუბლიკის ფარგლებში, რაც ყოვლად განუხორციელებელი იყო. კომუნისტური პარტია გამოდიოდა იქიდან, რომ ბურჟუაზიული

---

31 გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", № 16, 1918 წ., 13 აგვისტო.

32 იქვე.

33 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 28, გვ. 7—8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის პირობებში ფედერაცია არ შეიძლება იყოს ეროვნული საკითხის გადაჭრისა და ეროვნულ ჩაგვრის მოსპობის საშუალება. ეს არ ესმოდათ ფედერალისტებს.

საქართველოს მენშევიკები ამიერკავკასიის ხალხთათვის მოითხოვდნენ ეროვნულ დამოუკიდებლობას, უარყოფდნენ მათ შორის ფედერაციულ ურთიერთობას. ნ. ჟორდანია 1917 წლის ივნისში ამბობდა: „ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ფედერაციის წამოსაყენებლად, ე. ი. არ შეგვიძლია რუსეთის სახელმწიფო ისეთ ვიწრო ჩარჩოებში მოვაქციოთ, როგორშიაც ავსტრალია და შვეიცარია იმყოფებიან. ფედერაციული წყობილება. ჩვენში ნიშნავს მთელი რიგი სახელმწიფოების შექმნას. უნდა შეიქმნას ქართული, სომხური, თათრული, რუსული და სხვ. სახელმწიფოები და შემდეგ მოხდეს მათი ფედერაციულ ნიადაგზე შეკავშირება. ერთი სიტყვით, ჩვენში უნდა მოხდეს პირუკუღმა ის, რაც არსებული ფედერაციების შედგენის დროს სხვა ქვეყნებში პირწაღმა მოხდა“[34].

ასეთსავე აზრს ავითარებდა ფედერაციის საკითხში მენშევიკი ა. ჩხენკელი. ამიერკავკასიის გლეხთა დეპუტატების საბჭოების ყრილობაზე 1917 წლის ივნისში იგი ამბობდა: „ფედერაცია არ არის ერთა კავშირი: იგი სახელმწიფოთა კავშირია. სახელმწიფოებრიობა გამოიწვევს ერთი ერისაგან მეორის დაჩაგვრას. ფედერაცია წარსულის პრინციპია, დრომოჭმულია“[35]

ფედერაციის საკითხში მსგავს თვალსაზრისზე იდგნენ ეროვნულ-დემოკრატები. ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ ფედერალისტ ა. ჯორჯაძეს, რომელიც მოითხოვდა „ავტონომიურ ერთა ფედერაციას“[36]. ეროვნულ-დემოკრატების ჟურნალი „კლდე“ უარყოფდა ფედერაციის იდეას და წერდა: „არჩილ ჯორჯაძე უფრო მოაზროვნე იყო, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწე... მის მსოფლმხედველობას ნაციონალიზმი და სოციალიზმი შეადგენდა, რომელიც ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ და რომ ერთმანეთში როგორმე მოეთავსებინა, შეექმნა რაღაც მესამე „ფედერალიზმი. შესაძლებელია განა პარტიას, რომელიც ეროვნული უფლებისათვის ბრძოლას აპირებდა, სარჩულად პოლიტიკური ფედერაცია დასდებოდა? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა“[37].

მათი აზრით, ფედერაცია მოკლებულია შინაარსს, იგი არც მართვა-გამგეობის, არც სახელმწიფოს, არც კონსტიტუციის ფორმა არ არის, იგი ნაციონალიზმისა და სოციალიზმის კომბინაციაა. ასეთივე შეხედულების დარჩნენ ისინი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც. ეროვნულ-დემოკრატი ვ. წერეთელი უარყოფდა რა ფედერაციას, წერდა: შესაძლებელია თუ არა, რომ რუსეთის ფედერალური რესპუბლიკის ზედა პალატაში იმდენივე ადგილი დაუთმონ მაგალითად ქართველებს, სომხებს, ლიტველებს, თათრებს და სხვ., რამდენიც ექნებათ ველიკოროსებს? ცხადია, რომ ეს—არასოდეს არ იქნება და მაშასადამე რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა—ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით—განუხორციელებელია, უტოპიაა, რომელსაც მთელი ჩვენი ენერგია არ უნდა შევალიოთ“[38].

---

34 გაზ. „ერთობა“, № 70, 1917 წ. 13 ივნისი.

35 გაზ. „სახალხო ფურცელი“, № 906, 1917 წლის ივნისი.

36 ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე, თხზულებანი, წიგნი I, თბილისი, 1911, გვ. 84.

37 ჟურნალი „კლდე“, № 7, 1914 წ.

38 გაზ. „სამშობლო“, № 582, 1917 წ.

ვ. წერეთელი მართალი იყო იმაში, რომ ბურჟუაზიული რესპუბლიკის პირობებში ფედერაცია განუხორციელებელი და უტოპია იყო, მაგრამ ფედერაცია რომ შესაძლებელი და ერთა შორის ურთიერთობის საუკეთესო ფორმაა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ეს არ ესმოდათ ეროვნულ დემოკრატებს.

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ დამოუკიდებლობის ნიღბით ჩამოაშორა საქართველო საბჭოთა რუსეთს და ბრძოლა გამოუცხადა მას, ეს იყო ბურჟუაზიული კონტრრევოლუციის ბრძოლა სოციალიზმის წინააღმდეგ. ეროვნული დროშა აქ შენიღბული იყო ნაციონალური ბურჟუაზიის კონტრრევოლუციური ზრახვების დასაფარავად.

ბურჟუაზიის დიქტატურის განსამტკიცებლად საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ აიღო კურსი „ერთიანი“ ხელისუფლების შესაქმნელად, თავის ამოცანად დაისახა მუშათა დეპუტატების თბილისის საბჭოს ლიკვიდაცია. ამ საბჭოს წინააღმდეგ ღვარძლით გამოდიოდნენ უკიდურესი ბურჟუაზიული ნაციონალისტები. მათ კიდეც მიაღწიეს 1918 წლის ივნისში იმას, რომ საბჭოს მიაღებინეს დადგენილება „რევოლუციური ორგანიზაციები“ გაერთიანებულიყვნენ მთავრობასთან და მთელი შეიარაღებული ძალები გადაცემულიყო მთავრობის განკარგულებაში[39].

საქართველოში მენშევიკების ბატონობის პერიოდი იყო ეროვნულ წინააღმდეგობათა და ერთა შორის ეროვნული შუღლის გამწვავების პერიოდი.

მენშევიკების ოფიციოზი აშკარად აცხადებდა, რომ „იქ, სადაც მრავალი სხვადასხვა ერი ცხოვრობს, როგორც მაგალითად კავკასიაში, ვერც თვითმმართველობა და ვერც ავტონომია ვერ მოსპობს ამ სხვადასხვა ერთა შორის შუღლსა და მტრობას“[40].

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებისთანავე მენშევიკების ლიდერებმა დიდმპყრობელური შოვინიზმის ჰანგებზე იწყეს სიმღერა. ისინი საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობას დიდმპყრობელურ-შოვინისტურად ექცეოდნენ და უარყოფდნენ მათთვის თვითგამორკვევის უფლებას. მენშევიკური მთავრობის ოფიციოზმა ყველას გასაგონად გამოაცხადა: „არაქართველი ერების თვითგამორკვევა უნდა შეეწიროს მსხვერპლად ქართველი ერის თვითგამორკვევას“[41]. მთავრობის მომხრე გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ს პირით მთავრობა აცხადებდა, რომ ჩვენს სამშობლოში დიდი ხნით შემოხიზნული სხვადასხვა ეროვნული უმცირესობანი: სომხები, ოსები, თათრები, გერმანელები, რუსები, თუ არ იქნებიან ჩვენი რესპუბლიკის ქვეშევრდომები, უნდა გავაძეოთ აქედანო. „თავისთავად ცხადია, ვკითხულობთ გაზეთში,— რაკი საქართველო დამოუკიდებელი რესპუბლიკაა და აღარ შეადგენს დიდი რუსეთის იმპერიის ნაწილს, ყველა იმ უმცირესობას, ვინც რაიმე მიზეზისა და მოსაზრებისა გამო ასეთს ახალს პირობებს ვერ შეურიგდება, ვერ დაემორჩილება, სრული უფლება აქვს გავიდეს აქედან და გადასახლდეს სხვაგან, ან თავის ძველ ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნდეს“[42].

---

[39] Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифлис, 1912, გვ. 368.

[40] გაზ. „ერთობა“, № 177, 1917 წ. 22 ოქტომბერი.

[41] გაზ. „ერთობა“, № 145, 1920 წ. 30 ივნისი.

[42] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, № 29, 1918 წ. 30 აგვისტო.

ხოლო ვინც მიიღებდა ამ პირობებს და დარჩებოდა საქართველოში, მთავრობა ამ ეროვნულ უმცირესობას სრტყვით აღუთქვამდა „თავისუფლებას და დამოუკიდებელ მოქმედებას ეროვნულ კულტურის საქმეში“, საქმით კი ეროვნული უმცირესობის საკითხს მენშევიკური მთავრობა იარაღით წყვეტდა. ასე მოექცა იგი ოსი და აფხაზი ხალხების რევოლუციურ გამოსვლებს. მენშევიკები უარყოფდნენ ქ. ცხინვალის გადაცემას სამხრეთ ოსეთისათვის იმ მოტივით, რომ ცხინვალში ოსები მცხოვრებთა უმცირესობას შეადგენენო.

საქართველოს მენშევიკური მთავრობის ეროვნული პოლიტიკა დიდად არ განსხვავდებოდა მეფის მთავრობის ეროვნული პოლიტიკისაგან. იგი ანტიხალხურ, ბურჟუაზიულ პოზიციაზე იდგა და შოვინიზმის შხამით წამლავდა მოსახლეობას.

როგორც იმპერიალისტური მთავრობები, ასევე ამიერკავკასიის დაშნაკური, მენშევიკური და მუსავატისტური მთავრობებიც ცდილობდნენ ტერიტორიის ძალით გაფართოებას მეზობელი ერის ტერიტორიის ხარჯზე. ამ საფუძველზე ამიერკავკასიაში ხშირი იყო კონფლიქტები, რომლებიც ძმათამკვლევ ომებად იქცეოდა. ასე მოხდა 1918 წელს, როცა ინგლისელი იმპერიალისტების წაქეზებით დაშნაკებმა საქართველოს წაუყენეს ტერიტორიული პრეტენზია და საქართველოსა და სომხეთს შორის ომი ატყდა. მენშევიკურმა მთავრობამ მოითხოვა საქართველოში მცხოვრები სომხებისაგან, რომლებიც ამ ომში საქართველოს არ უჭერდნენ მხარს, დაეტოვებინათ საქართველო. გაზეთი „ერთობა“ წერდა: „ციხე შიგნიდან ტყდება. უნდა გადამაროთ ეს ციხე და აგლაგმოთ ის, ვინც ჩვენთან არ არის... ვინც ჩვენ მხარს არ გვიჭერს, იგი მტერია ჩვენი რესპუბლიკისა. მტერს კი შიგნით სახელმწიფო ვერ მოითმენს. ამიტომ ჩვენი პირობა მარტივია: ან მოქალაქეობრივი უფლების შესრულება, ან საზღვრებიდან გაბრძანება. მესამე გზა არ არსებობს!“[43].

დაშნაკების წინააღმდეგ ბრძოლაში მენშევიკური მთავრობა იცავდა ქარხველი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის ინტერესებს. მან საქართველოს რკინიგზებზე შექმნა საბაჟოები და ამით გზა დაუკეტა სომხურ ბურჟუაზიას. სომხურ-დაშნაკურმა მთავრობამ ახორციელებს დაუკეტა საზამთრო საძოვრები. ასე აღიგვებდნენ მენშევიკები, დაშნაკები და მუსავატელები ამიერკავკასიის ხალხთა შორის ეროვნულ შუღლს.

1917—1920 წლებში საქართველოს მენშევიკებმა უცხოური იმპერიალიზმისა და შინაგანი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების დახმარებით შესძლეს მნიშვნელოვნად გაეღვივებინათ ბურჟუაზიული ნაციონალიზმი ერების შორის და დაეთესათ ამიერკავკასიის ერებს შორის უნდობლობა.

საქართველოს მენშევიკურ მთავრობას თავისი სოციალური ბუნების გამო არ შეეძლო გადაეწყვიტა ეროვნული საკითხი. მენშევიკების ბატონობის პერიოდში ეს საკითხი საქართველოში არა მარტო დარჩა წინანდებურად გადაუწყვეტელი, არამედ კიდევ უფრო განვითარდა ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და გაღვივდა ეროვნული შუღლი ხალხთა შორის.

უკიდურეს მდგომარეობამდე მისულმა საქართველოს მშრომელებმა შეიარაღებული ბრძოლით გაილაშქრეს მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა რუსი ხალხის ძმური დახმარებით დაამხეს მენშევიკური მთავრობა და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება.

[43] გაზ. „ერთობა“, № 280, 1918 წ. 26 დეკემბერი.

რის შედეგადაც საქართველო ნამდვილად თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფო გახდა. იგი შევიდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ძმურ ოჯახში. ქართველი ხალხი განთავისუფლდა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან, გახდა თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში, როგორც მრავალეროვან სახელმწიფოში, შეიქმნა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. საქართველოში შეიქმნა ეროვნული ნდობის, ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის საუკეთესო ატმოსფერო, რაც სოციალისტური საზოგადოების წარმატებით აშენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალა გახდა. „ის ნაციონალური მშვიდობა,—ამბობდა ს. ორჯონიკიძე 1922 წელს საქართველოს კომუნისტური პარტიის I ყრილობაზე,—რომლითაც მენშევიკური ხელისუფლების დაცემის მომენტიდან სარგებლობენ საქართველოს მშრომელი მასები, საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმ ყველაზე რთული და დახლართული პრობლემის სწორი გადაწყვეტისა, რომელსაც ნაციონალური საკითხი ეწოდება“[44].

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის ძმური დახმარებით, ღვინიერი ეროვნული პოლიტიკის საფუძველზე მოკლე ისტორიული დროში საქართველო გადააქცია მოწინავე ინდუსტრიულ, მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის და უაღრესად განვითარებული კულტურის რესპუბლიკად.

---

[44] გ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. I, თბილისი, 1957, გვ. 280.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აფხაზეთის სოფლის მეურნეობა ომისშემდგომ პერიოდში 1945—1953 წწ.

ვ. ქარჩავა

წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტმა)

კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის განვითარებას. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში სოფლის მეურნეობის როლი გრანდიოზულია. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი აღმავლობა სავსებით უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას კვების პროდუქტებსა და მრეწველობის ნედლეულზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1963 წლის დეკემბრის პლენუმმა თავის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით მიუთითა: „მიჩნეულ იქნეს ყველაზე გადაუდებელ ამოცანად, რომ უახლოეს წლებში მარცვლეულის წარმოება გადიდდეს 5—7 მილიარდი ფუთით, ესე იგი, მაჯი საერთო მოსავალი 1970 წელს აყვანილ იქნეს 14-16 მილიარდ ფუთამდე. მარცვლეულის წარმოების ასეთი ზრდა შესაძლებლობას მოგვცემს მთლიანად უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილება პურზე, შევაფასოთ სახელმწიფო რეზერვები და საჭირო რაოდენობით მიეღოთ ხორცი, რძე და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები“[1].

აღნიშნული პლენუმის დადგენილებაში ნაჩვენებია ქიმიის უდიდესი როლი სოფლის მეურნეობაში, ფართო მოხმარების საგნების წარმოებაში და დასახულია გზები ქიმიის ძლავრი აღმავლობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა საკითხი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, აღნიშნა, რომ უკანასკნელ წლებში სერიოზულმა ნაკლოვანებებმა იჩინა თავი სოფლის მეურნეობის დარგში. არ ხორციელდებოდა საჭირო ღონისძიებანი მიწათმოქმედების კულტურის აღმავლობისათვის, ნიადაგების ნაყოფიერების გადიდებისათვის. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლად მრავალ შაბლონურ მითითებას აძლევდნენ ზემოდან აგროტექნიკის, პირუტყვის მოვლა-შენახვის და კვების, ნათესების ფართობების სტრუქტურისა და სხვა საკითხების შესახებ[1].

პლენუმმა სერიოზული ამოცანები დასახა სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის[2].

---

1 გაზ. „კომუნისტი“, № 72, 1965 წ.

2 იქვე.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

წინამდებარე სტატია „აფხაზეთის სოფლის მეურნეობა ომის შემდგომ პერიოდში“ მიზნად ისახავს კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით აჩვენოს აფხაზეთის სოფლის მეურნეობის მდგომარეობა ომის შემდგომ პერიოდში.

* * *

დიდმა სამამულო ომმა დროებით შეაფერხა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარება. კოლმეურნეობებიდან, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან არმიის რიგებში გაიგზავნა კადრების დიდი ნაწილი; ტრაქტორები, ავტომანქანები, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა გამწევი ცოცხალი ძალა ფრონტს ემსახურებოდა.

ომის ინტერესებმა მოითხოვა მრეწველობის სამხედრო ყაიდაზე გადაყვანა, რის გამოც მნიშვნელოვნად შემცირდა სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების მიწოდება, შემცირდა სასუქებითა და საწვავით სოფლის მეურნეობის მომარაგება. ამან კი, ცხადია, საგრძნობლად შეამცირა მოსავლიანობა და შეაფერხა სოფლის მეურნეობის განვითარება. განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადა სოფლის მეურნეობამ ოკუპირებული ტერიტორიის ზონაში.

გერმანელმა დამპყრობლებმა დიდი ზარალი მიაყენეს სოფლის მეურნეობას, გაანადგურეს და დაწვეს 70 ათასი სოფელი, გააპარტახეს 98 ათასი კოლმეურნეობა, 1876 საბჭოთა მეურნეობა, 2890 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, მოიტაცეს 17 მილიონი სული მსხვილფეხა საქონელი, 20 მილიონი ღორი, 27 მილიონი ცხვარი და თხა, 7 მილიონი ცხენი. ოკუპირებულ რაიონებში განთავისუფლების შემდეგ დარჩა, ომის წინა პერიოდთან შედარებით, 50% ტრაქტორისა და 58% კომბაინისა (რომლებიც ძირითადად უფარგისი იყო). 28% ცხენი, 40% მსხვილფეხა საქონელი, 30% ცხვარი და თხა, 10% ღორი.

საერთო ზარალი, რომელიც სოფლის მეურნეობას მიაყენეს ოკუპანტებმა, ათეულ მილიარდ მანეთს შეადგენს[3].

მიუხედავად ასეთი დიდი მატერიალური ზარალისა, სსრ კავშირმა დიდ სამამულო ომში მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება მოიპოვა, რისთვისაც სათანადო პირობები მომზადებული ჰქონდა ჩვენს ქვეყანას იმ ეკონომიური წარმატებებისა და მატერიალური ბაზის შექმნის მეოხებით, რომლის ამენებისთვის საჭირო გახდა ომის წინა წლების სამი ხუთწლედი. ამ ხუთწლედების წარმატებით განხორციელების შედეგად სსრ კავშირი გადაიქცა მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნად. მეორე მსოფლიო ომიდან სსრ კავშირი გამოვიდა ეკონომიურად და პოლიტიკურად გაძლიერებული. სოციალიზმის მტრების ვარაუდმა, რომ სსრ კავშირი თავს ვერ დააღწევდა ამ დიდ სიძნელეებს და დაიღუპებოდა, მარცხი განიცადა.

ომის დამთავრებამ ახალი ამოცანების წინაშე დააყენა ჩვენი ქვეყანა, საჭირო იყო სამხედრო ყაიდიდან ჩვენი სახალხო მეურნეობის გადაყვანა მშვიდობიანი მშენებლობის რელსებზე, რაც თავისთავად წარმოადგენდა ეკონომიური, ორგანიზაციული და ტექნიკური ხასიათის საკმაოდ დიდ სიძნელეს.

[3] Экономика СССР в послевоенный период, М., 1962, გვ. 244.

ომის დამთავრების შემდეგ პარტიამ და მთავრობამ დასახა მთელი რიგი გრანდიოზული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის აღსადგენად: 1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამრღვევთა ლიკვიდაციის ზომების შესახებ“. 2. საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის დადგენილება „ომის შემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“. 3. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილება „კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მისი ნაყოფიერების ამაღლების და შრომის ანაზღაურების მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“. 4. კოლმეურნეობების თავმჯდომარეებით და სხვა ხელმძღვანელი მუშაკებით შემდგომი განმტკიცების საქმეში პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანათა შესახებ. 5. ღონისძიებები წვრილი კოლმეურნეობების გამსხვილებასთან დაკავშირებით. 6. 1953 წლის 3 სექტემბრის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება: „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ და სხვ.

სსრ კავშირის მშვიდობიან მშენებლობაზე გადასვლის ფაქტორს წარმოადგენდა 1945 წლის 27 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს XII სესიის მიერ მიღებული კანონი პირველი რიგის დემობილიზაციის შესახებ უფროსი ასაკისა და რიგითი და სერჟანტთა შემადგენლობის არმიიდან დათხოვნის თაობაზე.

1945 წლის სექტემბრის დემობილიზაციის შედეგად ჩვენმა სახალხო მეურნეობამ მიიღო 4491 ათასი კაცი[4]. მარტო რსფსრ-ში. უკრაინასა და ბელორუსიაში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ მოეწყო ჯარიდან დაბრუნებული 1645 ათასი კაცი. საბჭოთა კავშირის მთელი ძალები გადაყვანილ იქნა მშვიდობიან მშენებლობაზე. თუ 1944 წელს სამხედრო ბიუჯეტი მთელი სახალხო მეურნეობის 52 პროცენტს შეადგენდა, 1946 წელს იგი შემცირდა 23,9 პროცენტამდე. დემობილიზებული ქალები მამაკაცებთან ერთად დაუბრუნდნენ მრეწველობას, ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობას და დიდი როლი შეასრულეს მთელი სახალხო მეურნეობის აღდგენის საქმეში.

სახალხო მეურნეობის აღდგენა ჯერ კიდევ სამამულო ომის პერიოდში დაიწყო. 1945 წელს აგვისტოში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაავალეს სახელმწიფო-საგეგმო კომისიას, დაეწყო შეთხე ხუთწლიანი გეგმის შედგენა. ამ გეგმის პროექტი განიხილა და მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1946 წლის მარტში. ამის შემდეგ მეთხე ხუთწლიანი გეგმა განხილულ და დამტკიცებულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მიერ. ხუთწლიანი გეგმის ძირითადი ამოცანა იყო—აღგვედგინა ჩვენი ქვეყნის დაზარალებულ რაიონებში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე და შემდეგ ეს დონე მნიშვნელოვანი ოდენობით გაზრდილიყო.

ხუთწლიანი გეგმა სოფლის მეურნეობის დარგში ითვალისწინებდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ომამდელი დონის მთლიანად გადაჭარბებას სსრ

[4] История СССР, 1962, გვ. 794.

კავშირის მასშტაბით, რაც მიღწეული უნდა ყოფილიყო კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების მეოხებით. ამ კანონით სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა მოსავლიანობის ყოველმხრივ ამაღლება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო მოსავლიანობის გადიდება, მიწათმოქმედების კულტურის მნიშვნელოვანი ამაღლება მოწინავე აგრონომიული მეცნიერების ფართოდ გამოყენებით.

„მეოთხე ხუთწლედის გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში დიდი სიძნელეები იყო. ყველა ამ სიძნელეების დაძლევა როდი მოხერხდა. მთლიანად კი მეოთხე ხუთწლედი აღინიშნა დიდი მიღწევებით კომუნისტურ მშენებლობაში. ეს ხუთწლედი კომუნიზმის—მატერიალურ-საწარმოო ბაზის შექმნაში წინ გადადგმული დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო“[5]. ომისშემდგომ პირობებში პარტიამ უდიდესი მნიშვნელობის მქონე გეგანტური სამუშაოები ჩაატარა. საჭირო იყო, უახლოეს დროში აღდგენილიყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა და მიგველწია ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის.

პარტია გამოდიოდა ვ. ი. ლენინის ცნობილი მითითებიდან, რომ შემოქმედებითი ეკონომიური საქმიანობა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში ომის თანაბარია. მართალია, ეს ომი უსისხლოა, მაგრამ მაინც მოითხოვს დიდ მსხვერპლს და უდიდეს გმირობას[6].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს უშუალოდ არ განუცდია ოკუპაცია, სამამულო ომმა უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარებაზე—ომის შედეგები აქაც მწვავედ იგრძნობოდა. შემცირდა სოფლის მეურნეობის მომარაგება ტექნიკით და მინერალური სასუქებით, რამაც მოსავლიანობის შემცირება გამოიწვია, შემცირდა ელექტროენერგიის გამომუშავება, ცემენტის წარმოება, არ ხდებოდა წყობილებიდან გამოსული ძრავებისა და მოწყობილობების ახლით შეცვლა. სოფლის მეურნეობაში შემცირდა ჩაის კრეფა, შეფერხდა მესაქონლეობის განვითარება და დაეცა მისი პროდუქტულობა, სოფელი მუშახელის დიდ ნაკლებობას განიცდიდა.

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანები უდიდესი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებდა საქართველოს მშრომელებს. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ 1946 წლის აგვისტოში განიხილა და მიიღო „კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ“. ამ გეგმის უმნიშვნელოვანესი ამოცანა იყო სოფლის მეურნეობის ახალი აღმავლობის უზრუნველყოფა; ეს გეგმა ითვალისწინებდა არა მარტო ომამდელი დონის ამაღლებას, არამედ მის გადაჭარბებას[7].

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს VIII სესიამ, რომელიც 1946 წლის 8 აგვისტოს იქნა მოწვეული, დამტკიცა აფხაზეთის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა (1946—1950 წწ.), რომლის ძირითადი ამოცანები იმაში მდგომარეობდა, რომ აფხაზეთის სახალხო მეურნეობის ყვე-

---

[5] სკკპ ისტორია, 1960, გვ. 791—792.

[6] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 30, გვ. 213, 641—642.

[7] საქართველოს ისტორია, ტ. III, 1960, გვ. 274.

ლა დარგი, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ომამდელი დონე ჯერ აღდგენილი, შემდგომ კი გადაჭარბებული ყოფილიყო. სოფლის მეურნეობის დარგში კი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებდა პირველ რიგში ჩაის მეურნეობის. ციტრუსების, მევენახეობის, მეხილეობის, თამბაქოს მეურნეობისა და მეცხოველეობის ახალი ღონისძიების უზრუნველყოფას მოწინავე აგრონომიული მეცნიერების ფართო გამოყენებით. ხუთწლედით დასახული იყო კოლმეურნეობების შემდგომი განმტკიცება, საერთოდ, და სასაქონლო პროდუქციის გადიდება, კერძოდ. ხუთწლიანი გეგმით, მთელ ნათეს ფართობის 1950 წელს უნდა მიეღწია 60.1 ათას ჰექტარისათვის, ტექნიკური კულტურების ნათესებს —8,4 ათასისათვის. მეცხოველეობის დარგში ხუთწლედის ბოლოსათვის აფხაზეთში უნდა ყოფილიყო 13 ათასი სული ცხენი, 174,0 ათასი სული მსხვილფეხა პირუტყვი, 75,0 ათასი ცხვარი და თხა.

სერიოზული ყურადღება ეთმობოდა კოლმეურნეობათა სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას. საქართველოსა და აფხაზეთის მშრომელებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით ფართო მუშაობა გააჩაღეს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განსახორციელებლად.

ხუთწლიანი გეგმის დავალებათა განსახილველად ტარდებოდა პარტიის რაიონული აქტივის კრებები. ასეთივე ღონისძიებები ტარდებოდა კოლმეურნეობებში. საბჭოთა მეურნეობებში და სხვ. 1946—1950 წლების ხუთწლიანი გეგმის ჯანონით დასახული იყო ამოცანა: უზრუნველეყოფილიყო მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ყოველმხრივი ჩაბმა ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად. სოციალისტური შეჯიბრების განვითარების შედეგად გამოინახა ახალი საშუალებანი, აღმოჩნდა ახალი რეზერვები. ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობისა და კულტურის წინ წასაწევად.

ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ ხუთწლიანი გეგმა მიიღეს, როგორც საბრძოლო პროგრამა, რომელიც მათ საარსებო ინტერესებს შეესაბამებოდა.

ჩვენს ქვეყანაში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. სწორედ ამ მიზნით პროფკავშირის საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა მშრომელთა თაოსნობას და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე და გადაჭარბებით შესასრულებლად 1946 წლის 8 ივნისს დაადგინა, მოწყობილიყო საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება.

მშრომელთა თავდადებამ მეოთხე ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში რეალური შესაძლებლობანი შექმნა. ლენინგრადელმა მუშებმა აიღეს ინიციატივა 1947 წლის ნოემბერში და მოწოდებით მიმართეს საბჭოთა კავშირის მუშებს—გაეშალათ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება მეოთხე ხუთწლედის ოთხ წელში შესასრულებლად. ლენინგრადელთა პატრიოტულ მოწოდებას ერთსულოვნად გამოეხმაურა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი. სოციალისტურ შეჯიბრებაში აქტიურად ჩაებნენ აფხაზეთის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მაგალითად, სოფელ ოქუმის (გალის რაიონი) ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 1948 წელს წარმატებით შეასრულა სახელმწიფოს წინაშე სოციალისტური შეჯიბრების ყველა ვალდებულება და შრომადღეზე გაანაწილა

38 მანეთი და 60 კაპიკი (ძვ. კურსით), აგრეთვე, 3,5 კგ მარცვალი. სოფელ ქვემო ბარღების კოლმეურნეობამ შრომადღეზე ფულად გაანაწილა 22 მანეთი (ძვ. კურსით) და 8 კგ მარცვალი.

## ომისშემდგომი პერიოდის სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ძირითადი ღონისძიებები აფხაზეთში (1945—1953 წწ.)

ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობის გზაზე გადასვლის შემდეგ პარტიისა და მთავრობის წინაშე კვლავ დაისვა გადაუდებელი ამოცანა—უზრუნველგვეყო სოფლის მეურნეობის ისეთი აღმავლობა, რომელიც შესაძლებლობას მოგვცემდა უმოკლეს ვადაში შეგვექმნა სურსათის სიუხვე ჩვენი მოსახლეობისათვის, ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის, დაგვეგროვებინა სურსათისა და ნედლეულის სახელმწიფო რეზერვები. მნიშვნელოვანი სამუშაოები უნდა ჩატარებულიყო მეცხოველეობის აღმავლობის საქმეში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, სოფლის მეურნეობის ტექნიკურად აღჭურვისათვის, კოლმეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი საკუთრების გაძლიერებისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერებისათვის.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი გაძლიერების საქმეში პარტია მოუწოდებდა პირველად ორგანიზაციებს, ფართოდ გაეჩაღებინათ სოფლად პოლიტიკური მუშაობა, განემარტათ მშრომელებისათვის ის ამოცანები, რომლებიც იდგა სოფლის მეურნეობის წინაშე და ხელი შეეწყოთ ყველა რეზერვის ამოქმედებისათვის, მიეღწიათ მასებთან კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის.

ომისშემდგომი პერიოდის სოფლის მეურნეობის აღმავლობის თვალსაჩინო პროგრამას წარმოადგენდა 1946 წლის 19 სექტემბრის ისტორიული დადგენილება „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა ლიკვიდაციის ღონისძიებების შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების სერიოზულ დარღვევებს, რაც გამოიხატებოდა: შრომადღეების არასწორ ხარჯვაში. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მიწების დატაცებაში, საკოლმეურნეო საკუთრების განიავებაში, რაიონული და სხვა პარტიული საბჭოთა მუშაკების მხრივ სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებაში, კოლმეურნეობების მმართველობის დემოკრატიული საწყისების დარღვევაში და სხვ. საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინეს: დაგმობილ იქნეს საკოლმეურნეო მშენებლობაში პარტიისა და მთავრობის პოლიტიკის დამახინჯებანი და სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევანი. მასში მითითებული იყო დამნაშავეთა სისხლის სამართლში მიცემის შესახებ. დადგენილება ავალებდა მოკავშირე. ავტონომიურ და რაიონულ პარტიულ საბჭოთა-სამეურნეო ორგანოებს, დაეცვათ კოლმეურნეობები საკოლმეურნეო ქონებისადმი ხელყოფისაგან. ამავე დროს მითითებული იყო—ბოლო მოღებოდა შრომადღეების დატაცებასა და საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილების არასწორ პრაქტიკას. ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო ავალებდა ადგილობრივ ორგანოებს, ორი თვის განმავლობაში შეემოწმებინათ ადგილზე დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და დაესახათ ღონისძიებანი დარღვევების სალიკვიდაციოდ. აგრეთვე, საკოლმეურნეო

მშენებლობის საკითხის გადასწყვეტად შექმნილიყო სსრ კავშირის მთავრობასთან კოლმეურნეობათა საქმეების საბჭო[8].

1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების გამოქვეყნებას აღტაცებით შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები. მან დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. რესპუბლიკის ყველა მხარეში მოეწყო კრებები ამ ისტორიული დადგენილების განხილვის მიზნით. კოლმეურნე გლეხობამ აშკარად დაინახა თავისი ინტერესების დაცვის შესანიშნავი მაგალითი.

აფხაზეთის კოლმეურნეობებში აღგილი ჰქონდა საკოლმეურნეო წესდების დარღვევის შემთხვევებს. ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებში ირღვეოდა კოლმეურნეობის გამგეობისა და თავმჯდომარის არჩევის საწესდებო ვადები. ზოგიერთ კოლმეურნეობის თავმჯდომარეები ინიშნებოდნენ და იხსნებოდნენ კოლმეურნეთა საერთო კრებების გარეშე. ზოგჯერ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები არ იყვნენ იმ კოლმეურნეობების წევრები, სადაც ისინი ინიშნებოდნენ. აღგილი ჰქონდა საკოლმეურნეო სახსრების უკანონო ხარჯვის შემთხვევებს. სოხუმის რაიონის წითელი ბესლეთის კოლმეურნეობაში შრომადღეებს ურიცხავდნენ იმ პირებს, რომელნიც ხსენებულ კოლმეურნეობაში არ მუშაობდნენ. მაგალითად, ს. დელბერი სასოფლო საბჭოს აღმასრულებლად მუშაობდა. კოლმეურნეობა კი მას ყოველთვიურად ათ შრომადღეს უწერდა[9].

სოფელ მერკულას (ოჩამჩირის რაიონი) კაცვიძის სახელობის კოლმეურნეობაში აღგილი ჰქონდა შტატების ხელოვნურად გაბერვის შემთხვევებს. ხსენებულ კოლმეურნეობაში გაერთიანებული იყო 35 კომლი, სადაც თავმჯდომარემ თანაშემწეც დაინიშნა. ასევე იყო სოფელ ილორის კოლმეურნეობაში. სოფელ მოქვისა და ჭლოუს კოლმეურნეობებში ადმინისტრაციული მომსახურე პერსონალის შესანახავად იხარჯებოდა მთელი შრომადღეების 21 პროცენტი. სოფელ ტამიშის კოლმეურნეობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინახავდა ორ პარიკმახერს და თითოეულს უწერდა 20 შრომადღეს[10].

აფხაზეთის პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა დიდი მუშაობა გასწიეს 1946 წლის 19 სექტემბრის დასახელებული დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის. შემოწმებულ იქნა რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობა და გამოვლენებული ნაკლოვანების აღმოფხვრისათვის ქმედითი ღონისძიებები დაისახა. შემოწმების შედეგად 1237 ჰა მიწა აღმოჩნდა მიტაცებული, განაავებული იყო 63 ტონა და 463 კგ მარცვალი, 11 ტონა და 157 კგ სხვა პროდუქტები, 350 სული მსხვილფეხა საქონელი, 770— წვრილფეხი, 60 ცხენი, 811 484 მანეთი ფულად. ამ საქმეში დამნაშავენი სასტიკად იქნენ დასჯილნი. ხოლო 1948 წლის დეკემბრისათვის კოლმეურნეობებს დაუბრუნდათ 61245 კგ მარცვალი, 11 ტონა და 147 კგ სხვა პროდუქტები, 350 სული მსხვილფეხი საქონელი, 714 წვრილფეხი და 811 480 მანეთი ფულად[11].

საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა 1946 წლის 19 სექტემბრის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესრულების მიმდინარეობა. პლენუმ-

---

8 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, 1956, გვ. 696—698.

9 გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", № 90, 1946.

10 გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი". № 95, 1946.

11 საქ. კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის არქივი, ფ. I, აღ. 2, საქ. 5.

მა აღნიშნა, რომ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია ახორციელებს სერიოზულ ღონისძიებებს ისტორიული დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის. ამის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს ის, რომ უკანონოდ მიტაცებული კოლმეურნეობის ქონება კოლმეურნეებს დაუბრუნდათ. აგრეთვე, შემცირებულ იქნა სამეურნეო-ადმინისტრაციული მოსამსახურე პერსონალის შტატი 351 ერთეულით, რის შედეგადაც კოლმეურნეობებმა მიიღეს ეკონომია 36988 შრომადღისა წელიწადში. სოლოქო კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს გაგრისა და გულრიფშის რაიონებში საკოლმეურნეო წესდების დარღვევის ფაქტების აღმოფხვრა, რომ აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტრო არასაკმარ კონტროლს ახორციელებდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების განუხრელად გატარებისათვის.

რიგ კოლმეურნეობაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა არ იდგა თავის დონეზე. ზოგიერთი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია, არ ახორციელებდა კოლმეურნეობათა საქმიანობისადმი კონტროლს[12]. პლენუმმა თავის დადგენილებაში მიუთითა, რომ თვენახევრის განმავლობაში ყველა კოლმეურნეობაში შემოწმებულიყო 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების შესრულების მიმდინარეობა და დაწესებულიყო სისტემა კონტროლი მისი განუხრელად განხორციელებისათვის. პლენუმმა სოლოქო კომიტეტის ბიუროს დაავალა, სისტემატურად მოესმინა რაიკომების მდივნების მოხსენება 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების განხორციელებას მიმდინარეობის შესახებ[13].

საკოლმეურნეო წესდების განუხრელად განხორციელებისათვის კონტროლის გაწევის მიზნით, უწინარეს ყოვლისა, კოლმეურნეობების საზოგადოებრივი მეურნეობის განსამტკიცებლად, წესდების დარღვევის ცდისაგან კოლმეურნეობათა დასაცავად და, აგრეთვე, საკოლმეურნეო მშენებლობის გადასაჭრელად, 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილებით შექმნილ იქნა სსრ კავშირის მთავრობასთან კოლმეურნეობების საქმეთა საბჭო. საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. ა. ანდრეევი. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ მოწინავე კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, პარტიული, სამეურნეო ხელმძღვანელი მუშაკები. საბჭოს წევრი საქართველოდან იყო გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ჯგუბურია.

კოლმეურნეობების საქმეთა საბჭოს ძირითად ამოცანას შეადგენდა: „ა) სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების გაუმჯობესება საკოლმეურნეო მშენებლობის მოწინავეთა წინადადების საფუძველზე, ბ) ღონისძიებების შემუშავება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი (განსაზოგადოებული) მეურნეობის სისტემატური გაფართოებისათვის; გ) იმ კოლმეურნეობათა წასახალისებლად ღონისძიებების შემუშავება, რომლებიც პატრონსნად და წესიერად ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს სახელმწიფოს წინაშე, დ) კოლმეურნეობათა წარმომადგენლების ყრილობათა მოწვევა საჭიროების მიხედვით“[14].

კოლმეურნეობების საქმეთა საბჭოს ჰყავდა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი თავისი წარმომადგენელი ცენტრიდან კონტროლის სახით. ასეთი წარმომადგენლობა შეიქმნა საქართველოში და უფრო გვიან, 1952

12 იქვე, ფ. I, აღ. 7, გვ. 143—145.

13 საქ. კპ აფხაზეთის სოლოქო კომიტეტის არქივი, ფ.I, აღ. 7, გვ. 145—147.

14 გაზ. „პრავდის“ მოწინავე სტატია, 26/X, 1946.

წელს, აფხაზეთშიც. მათ ამოცანას შეადგენდა—ყურადღება მიექციათ, თუ როგორ სრულდებოდა პარტიისა და მთავრობის მითითებანი და გადაწყვეტილებანი საკოლმეურნეო საქმეში, თუ როგორ იცავდნენ არტელის წესდებას ადგილებზე. კოლმეურნეობების საქმეთა საბჭომ აფხაზეთში არტელის წესდების დარღვევის მთელი რიგი ფაქტები გამოამჟღავნა. მაგალითად, ახალი სოფლის კოლმეურნეობაში (გუდაუთის რაიონი), სოხუმის რაიონის შრომის კოლმეურნეობაში, გალის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“. ამავე რაიონის სოფელ ნაბაკეევის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში; ოჩამჩირის რაიონის სოფელ ცაგერას კოლმეურნეობაში და სხვ. მათ ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს არტელის წესდების დამრღვევთა და სხვა სახის დამახინჯებათა სალიკვიდაციოდ. მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინეს ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს კოლმეურნეობებში არსებული დარღვევების ლიკვიდაციის საქმეში.

საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომმა განვითარებამ და კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობის ფუნქციათა სწორად განაწილების ამოცანამ დააყენა კოლმეურნეობათა საბჭოს არსებობის მიზანშეუწონლობის საკითხი და ის 1953 წელს გაუქმებულ იქნა.

სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის დადგენილება „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“. ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მითითებული იყო, რომ „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ამ დარღვევათა არსებობა, რაც ხელს უშლის სოფლის მეურნეობის აღმავლობას და კოლმეურნეობების შემდგომ განმტკიცებას, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხრივ კოლმეურნეობების არადამაკმაყოფილებელი, ზოგჯერ კი პირდაპირ არასწორი ხელმძღვანელობის შედეგია. ნაკლოვანებანი შემდეგში გამოიხატა: გათანაბრება შრომადღეების დარიცხვაში და შემოსავლის განაწილებით არა ბრიგადებისა და რგოლების მუშაობის შედეგების მიხედვით, რის გამოც პატიოსანი, კარგად მომუშავე კოლმეურნეები არახელსაყრელ მდგომარეობაში ვარდებიან წამგლეჯ და არაკეთილსინდისიერ კოლმეურნეებთან შედარებით“[15].

პლენუმმა პარტიული ორგანიზაციების მთავარ ამოცანად დასახა საკოლმეურნეო მშენებლობაში სასოფლო-სამეურნეო არტელის შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება. კოლმეურნეობების საზოგადოებრივი საკუთრების გადიდება. ამავე დროს პლენუმმა აღნიშნა, რომ დამატებითი ანაზღაურების შესახებ კანონი ყველა კოლმეურნეობაში ვერ ხორციელდება, რომ ბევრ შემთხვევაში მოსავლიანობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის დროზე არ ეძლევათ დამატებითი ანაზღაურება. ამიტომ დადგენილება ითვალისწინებდა, დაწესებულიყო მკაცრი, კონტროლი. პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების საპასუხოდ გაცხოველებული მუშაობა დაიწყეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ილორის კოლმეურნეობაში. ამავე რაიონში იყვნენ ისეთი კოლმეურნეობებიც, რომლებმაც მოაწ-

15 სკკპ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, 1956, გვ. 703.

ყველ სიმინდის სამჰექტარიანი სტახანოვური ნაკვეთი და იბრძოდნენ თითოეულ ჰექტარზე სულ მცირე 600 ფუთი სიმინდის მისაღებად

გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებს „საბჭოთა ჩაის“ კოლმეურნეებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, მათ აიღეს ვალდებულება სანიმუშოდ მოუარონ ჩაის პლანტაციებს, ოთხჯერ გათოხნონ და ჩატარონ კულტივაცია. მოაწყონ ერთი ჰექტარი სტახანოვური ნაკვეთი და აითვისონ 15 ჰექტარი უამრი. მეორე რჩოლის სტახანოველმა ნ. ჯოლოგუამ იკისრა ნახევარი ჰექტარი პლანტაციიდან 4 ათასი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფა. აფხაზეთის ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება პლენუმის დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის. გალის რაიონის სოფელ მუხურის კოლმეურნეობა „საბჭოთა აფხაზეთის“ კოლმეურნეებმა მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს — გაეჩაღებინათ სოციალისტური შეჯიბრება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. 1947 წელს უნდა მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის მათ იკისრეს ვალდებულება, 1947 წელს გეგმის ზევით მოკრიფონ 30 ტონა ჩაის ფოთოლი, დაამზადონ ათასობით ცალი ცირტრუსოვანთა ნაყოფი და ჰექტარიდან მიიღონ 16 ცენტნერი სიმინდი.

აფხაზეთის ბევრი კოლმეურნეობა დაწინაურდა, გაძლიერდა ეკონომიურად. მაგალითად, გალის რაიონის სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 1946 წლის ბოლოსათვის წარმატებით შეასრულა ყველა ვალდებულება ხახელმწიფოს წინაშე და შრომადღეზე გაანაწილა ფულად 38 მანეთი და 60 კაპიკი (ძვ. კურსით) და 3,5 კგ მარცვალი. სოფელ ქვემო ბარღებში შრომადღეზე განაწილდა 22 მანეთი ფულად (ძვ. კურსით) და 8 კგ ნატურით. სოხუმის რაიონის ახალი სოფლის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფო დავალების შესრულების შემდეგ შრომადღეზე გაანაწილა 46 მანეთი და 20 კაპიკი (ძვ. კურსით) და 1,7 კგ მარცვალი. გაგრის რაიონის სოფელ სახარულის კოლმეურნეობამ შრომადღეზე გაანაწილა ფულად 45 მანეთი და 20 კაპიკი (ძვ. კურსით) და 2,3 კგ მარცვალი[16].

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ თითქოს აფხაზეთის ყველა კოლმეურნეობაში ასეთი მაჩვენებლები გვქონდა. ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა რიგს ეკუთვნოდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ ჭლოუს კოლმეურნეობა. აქ მარცვლეულის საერთო მოსავალი 1946 წელს შეადგენდა სულ 137 ცენტნერს. საშუალოდ ჰექტარზე აღებულ იქნა 1,5 ცენტნერი. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12 ცენტნერისა. კოლმეურნეობის ფულადი შემოსავალი შეადგენდა 35 282 მანეთს. შრომადღეზე დარიგდა 1 მანეთი (ძველი კურსით) და 295 გრამი მარცვალი. შრომისუნარიანი 105 კოლმეურნიდან 45-ს შრომის სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია.

გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობაში ფულადმა შემოსავალმა 1946 წელს მიაღწია 293 684 მანეთს. მარცვალი მოიყვანეს 41,8 ცენტნერი. ანუ ერთ ჰექტარზე 0.76 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერისა. აქ სრულიად არ გაუნაწილებიათ მარცვლეული. 108 შრომის-

---

[16] გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, № 118, 1947.

უნარიან კოლმეურნიდან 20-ს შრომადღის სავალდებულო მინიმუმი არ შეუსრულებია. ასეთ მდგომარეობას სხვა კოლმეურნეობებშიაც ჰქონდა ადგილი.

კოლმეურნეობათა ასეთი შეუწყნარებელი ჩამორჩენის მიზეზები იმაში მდგომარეობდა, რომ ხსენებული რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობდნენ კოლმეურნეობებს; ხელმძღვანელი სამეურნეო კადრები სუსტი იყო, რასაც მოსდევდა არტელის მთელი სამეურნეო საქმიანობისა და, უმთავრესად, შრომის ცუდი ორგანიზაცია.

კოლმეურნეობებში შრომადღეების დაზოგვისა და მისი სწორად დარიცხვის საქმეში ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 3 სექტემბრის დადგენილებას: „კოლმეურნეობებში ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის შტატების შემცირებისა და მათი შრომის ანაზღაურებლად შრომადღეების ხარჯვის მოწესრიგების შესახებ". შრომადღეების მომჭირნეობით ხარჯვა დიდად უწყობდა ხელს კოლმეურნეთა შემოსავლიანობის ზრდას.

ამგვარად, პარტიისა და მთავრობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა დიდი როლი შეასრულეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში. პარტიული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად 1948 წლისათვის ჭეშე ქვეყნის ბევრმა კოლმეურნეობამ მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მუშაობა და მოწინავეთა რიგებში ჩადგა. 1948 წლისათვის საგრძნობლად გადიდდა პირუტყვის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

კოლმეურნეების თავდადებული შრომა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის მთავრობის მაღალი ჯილდოებით იქნა აღნიშნული. სოფლის მეურნეობის უხვი მოსავლის მიღების ოსტატებს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის წოდება. მაგალითად, მესიმინდეებს ტ. აბუხბაიას, ვ. ბულისკერიას და სხვ. სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან ერთად შრომის გმირის წოდება მიენიჭათ პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელებს, რომლებმაც თანაბრად ხელმძღვანელობას უზრუნველყვეს დიდი წარმატების მოპოვება.

1947 წელს აფხაზეთის კოლმეურნეობებმა მარტო თამბაქოს პროდუქციიდან მიიღეს 118.5 მილიონი მანეთის შემოსავალი, აქედან 45 მილიონი პრემია დანამატის სახით. ჩაის კრეფისათვის კოლმეურნეობებმა მიიღეს 48 მილიონი მანეთი, ციტრუსებისათვის 18 მილიონი მანეთი. იმ კოლმეურნეობებმა, რომლებიც ტექნიკური კულტურების განვითარებას მისდევნენ, შრომადღეებზე გაანაწილეს 15-დან 30 მანეთამდე ფული და 3-დან 15 კგ მარცვალი. აღსანიშნავია, რომ გადიდდა მილიონერ კოლმეურნეობათა რიცხვი, მაგალითად 1947 წელს მილიონერი კოლმეურნეობა 46 იყო, ხოლო 1948 წელს—87.

მთავრობის ჯილდოების მიღებამ საკოლმეურნეო სოფელში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ისინი მუშაობდნენ ლოზუნგით—ახალი შრომითი აღმავლობით დავმთავრებინათ 1948 სამეურნეო წელი. აფხაზეთის კოლმეურნეობებმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულების საპასუხოდ ახალი ვალდებულებები იკისრეს. გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობის მერგოლურმა ამხანაგ ბარძანიამ ვალდებულება იკისრა თითოეულ ჰექტარზე მოეყვანა 112 ცენტნერი მარცვალი. ხოლო იმ ნაკვეთზე, რომელსაც იგი ამუშავებდა, მიეღო 1300 ფუთი მარცვალი.

სკკ (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა მაღალი მოსავლის ოსტატების გამოცდილების გაზიარების მიზნით რაიონებში ჩაატარა თათბირები, რამაც ხელი შეუწყო მოწინავეთა გამოცდილების გაზიარების საქმეს.

ამ პერიოდში აფხაზეთში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა მებაღეობა-მებაღჩეობის განვითარებას. მეხილეობის განვითარებაში დიდმნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა სანერგე მეურნეობის დაარსება 117 ჰექტარის რაოდენობით, რომელიც ყოველწლიურად ამარაგებდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ნაყოფიერი ნარგავებით. ამან კი თავისი შედეგები გამოიღო. რესპუბლიკის რიგმა კოლმეურნეობებმა 1952 წლისათვის ბაღებიდან საგრძნობი მოსავალი მიიღეს. მაგალითად, გულრიფშის რაიონის ბაღმარშენის კოლმეურნეობამ მებაღეობიდან მიიღო 300 ათასი მანეთი (ძველი კურსით) შემოსავალი, სოხუმის რაიონის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობამ—388 ათასი მანეთი (ძვ. კურსით), ახალი სოფლის კოლმეურნეობამ — 400 ათასი მანეთი (ძვ. კურსით)[17].

უნდა აღინიშნოს, რომ მებაღეობის განვითარების საქმეს ყველა რაიონში როდი ექცეოდა საჭირო ყურადღება. მაგალითად, გალისა და ოჩამჩირის რაიონებში მებაღეობის საქმე მივიწყებული იყო. ამ რაიონებს ხეხილის გაშენების გეგმა არ შეუსრულებიათ. მაგალითად, გალის რაიონში დავალება შესრულებულ იქნა მხოლოდ 26,6 პროცენტით, ხოლო ოჩამჩირის რაიონში—25,7 პროცენტით.

ყურადღების ცენტრში იყო მევენახეობის განვითარების საქმე. ბევრმა კოლმეურნეობამ ყურძნის მაღალი მოსავალი მიიღო, მაგალითად, გუდაუთის რაიონის ორჯონიკიძის სახ. კოლმეურნეობამ (ახალსოფელი) მიიღო 10 ჰექტარი სრულმოსავლიანი ვენახიდან 1710.3 ცენტნერი ყურძენი. ამ კოლმეურნეობის ბრიგადირმა მ. გელაშვილმა მასზე მიმაგრებული 2.8 ჰექტარიდან მიიღო 386 ცენტნერი ყურძენი, საშუალოდ ერთი ჰექტარიდან 134 ცენტნერი ყურძენი. სოხუმის რაიონის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ი. ჯობავა, მერგოლური სოციალისტური შრომის გმირი ი. მირცხულავა) 3,63 ჰექტარიდან მიიღო 357 ცენტნერი ყურძენი. 98,3 ცენტნერი ჰექტარიდან. ასეთსავე მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს გაგრის რაიონის სოფელ ხეიფანის კოლმეურნეობაში და სხვ[18].

ამრიგად, მევენახეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა წარმატებით—109,4 პროცენტით იქნა შესრულებული.

სეროიზული წარმატებები იქნა მოპოვებული ტუნგოს კულტურის განვითარების საქმეში. თუმცა ზოგიერთმა კოლმეურნეობამ ამ კულტურისადმი დიდი უყურადღებობა გამოიჩინა, რის გამოც ტუნგოს ხე დაიღუპა. მაგალითად, გაგრის რაიონში 218.5 ჰექტარიდან მთლიანად დაიღუპა 135.64 ჰექტარი. ასევე მოხდა სოხუმის რაიონშიც.

ძალზე დაბალი იყო 1948 წელს მეცხოველეობის პროდუქტიულობა. ერთი საფურაჟე ძროხიდან მიღებულ იქნა 242 ლიტრი რძე, ნაცვლად 550 ლიტრისა.

არტელის წესდების თანახმად კოლმეურნეს შრომადღეზე უნდა გაუნაწილდეს მთელი შემოსავლის 60%-ზე მეტი. ამ მხრივ აფხაზეთის კოლმეურნეობებში შემდეგ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი: გაგრის რაიონში შრომადღეზე განაწილდა მთელი ფულადი შემოსავლის 62,5 პროცენტი. გუდაუთის რაიონში—54.8%, ოჩამჩირის რაიონში—53.2%, გალის რაიონში—57.4%.

---

17 გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი", 1953 წლის სექტემბერი.

18 აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს არქივი, მევენახეობის განყოფილება, № 20, გვ. 15.

სოფლის მეურნეობის აღმავლობის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს.

სათესი ფართობები აფხაზეთში 1945 წელს 49 474 ჰექტარს შეადგენდა. 1950 წელს კი 53 208, ხოლო 1953 წელს მან მიაღწია 53 967 ჰექტარს. სათესი ფართობების ზრდის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. აფხაზეთში ყოველწლიურად იზრდებოდა ტრაქტორთა პარკებისა და მათ მიერ ჩატარებულ სამუშაოთა რაოდენობა. ეს შემდეგი ცხრილიდან ჩანს.

| წ ლ ე ბ ი | 1940 | 1945 | 1950 | 1953 |
|---|---|---|---|---|
| ტრაქტორების რიცხვი | 124 | 69 | 181 | 202 |
| მათი სიმძლავრე ცხენის ძალაზე | 2572 | 1382 | 4188 | 5096 |
| ჩატარებული სამუშაო რბილ ხვნაზე გადაყვანით ათას ჰექტრობით | 22,3 | 9,6 | 53,5 | 84,5 |
| წარმოების ძირითადი საშუალებები მილიონ მანეთებში | 2,3 | 1,6 | 7,9 | 13,7[19]. |

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების საქმიანობამ, როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, გადააჭარბა ომამდელ დონეს. 1951 წელს მათ მიერ ჩატარებული სამუშაოები აფხაზეთის კოლმეურნეობებში რბილ ხვნაზე გადაყვანით შეადგენდა 71332 ჰექტარს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 689300 ჰექტარისა, 1951 წლისათვის ერთ ტრაქტორზე საშუალოდ 261 ჰექტარი მოდიოდა, ფაქტიურად შესრულებულ იქნა 269, რაც შეადგენს 103%.

1952 წელს შეიქმნა ახალი მანქანა-ტრაქტორთა სადგური ტამიშში (ოჩამჩირის რაიონი). ამ დროისათვის აფხაზეთში იყო 6 მანქანა-ტრაქტორთა სადგური. იმის გამო, რომ სახნავი ფართობების გადიდება გამოიწვია კოლმეურნეობათა გამსხვილებამ, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების როლიც გაიზარდა. 1952 წლისათვის აფხაზეთში სასოფლო-სამეურნეო სამუშაო რბილ ხვნაზე გადაყვანით შეადგენდა 86000 ჰექტარს, 17070 ჰექტარით მეტს, ვიდრე 1951 წელს.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობაში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს. იყო შემთხვევები, როცა კოლმეურნეობებთან დადებული ხელშეკრულება ირღვეოდა. სამუშაო უხარისხოდ სრულდებოდა. მანქანა-ტრაქტორთა სადგური არ იყო დაინტერესებული, კოლმეურნეობაში დაენერგა მეცნიერებისა და ტექნიკის ახალი მიღწევები. სუსტად ინერგებოდა მოწინავე მექანიზატორების გამოცდილება. არადამაკმაყოფილებლად შენდებოდა მექანიკური სახელოსნოები გაგრაში, გუდაუთასა და ოჩამჩირეში[20]. ამ ნაკლოვანებების გამოსწორება სოფლის მეურნეობის მუშაკთა გადაუდებელი ამოცანა იყო.

აფხაზეთში ფართო განვითარება მიიღო მეაბრეშუმეობამ. 1950 წელს დამზადებულ იქნა 4300 ცენტნერი პარკი, 842 ცენტნერით მეტი ვიდრე 1948 წელს.

მეცხოველეობის დარგი კვლავ ჩამორჩებოდა, საკოლმეურნეო ჯოგებში ძცირე იყო დედა პირუტყვის ხვედრითი წონა. იგი შეადგენდა მხოლოდ 22,80

---

19 საქართველოს სსრ მეცნ. აკად. ეკონომიკის ინსტიტუტი. საქართველოს სოფლის მეურნეობა 1941—1955 წწ., ხელნაწერის უფლებით.

20 აფხაზეთის საოლქო კომიტეტის არქივი, ფ. I, აღ. 8, საქმე 195, გვ. 183.

პროცენტს, ხოლო მუშა პირუტყვისა 42,8 პროცენტს. სეროზული ნაკლოვანებები არსებობდა პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების საქმეში. 1950 წელს საშუალოდ თითოეული საფურაქე ძროხიდან მოწველილ იქნა 261 ლიტრი რძე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 875 ლიტრისა, ხოლო ცალკეულ კოლმეურნეობებში კიდევ უფრო ნაკლები იქნა მიღებული. პირუტყვის სულადობის ზრდა აფხაზეთში ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ზოგიერთ სახეებში მისი რაოდენობა შემცირდა. მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ ადგილი ჰქონდა დიდი რაოდენობით დედა-პირუტყვის ბერწიანობას, პირუტყვის დაცემას და სხვ. მეცხოველეობის ფერმებში მიღებული და შენარჩუნებული ნამატი ვერ უზრუნველყოფდა სულადობის ნორმალურ ზრდას. ჭშირად ადგილი ჰქონდა სულადობის სახელმწიფო გეგმის შესრულებას პირუტყვის შესყიდვით, რითაც სახოვადოებრივი მეცხოველეობის სულადობა იზრდებოდა, მაგრამ ის სრულიად არ ნიშნავდა სულადობის საერთო ზრდას კოლმეურნეობაში. ეს პირდაპირ დანაშაული იყო, რომელიც ძალზე ასუსტებდა კოლმეურნეთა ეკონომიკას. რა თქმა უნდა, სულ სხვა იყო, როდესაც პირუტყვის შესყიდვა წარმოებდა ჯიშის გაუმჯობესებისათვის, როდესაც იძენდნენ მაღალპროდუქტიულ პირუტყვს. ნამატის გამოზრდის საქმეში განსაკუთრებით ჩამორჩებოდნენ გუდაუთის, გალის და ოჩამჩირის რაიონების კოლმეურნეობები[21].

აფხაზეთში მეცხოველეობის განვითარების საქმეში ჩამორჩენის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ კოლმეურნეობათა უმრავლესობა პირუტყვს საკვებით ვერ უზრუნველყოფდა. მაგალითად, უხეში საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფა 50 პროცენტს შეადგენდა, წვნიანი საკვებით—15 პროცენტს, კონცენტრატებით—25 პროცენტს. პირუტყვის ბერწიანობას, დაცემასა და დაბალ პროდუქტიულობას ძირითადად მისი არადამაკმაყოფილებელი კვება იწვევდა. ადგილობრივი ძროხების წველადობა კარგი კვების შედეგად შეიძლებოდა გაზრდილიყო სამ-ოთხჯერ და უფრო მეტადაც.

საქართველოში მეცხოველეობის ჩამორჩენის დაძლევისათვის სათანადო ორგანოებმა შეიმუშავეს ღონისძიებანი. ღონისძიება ითვალისწინებდა დამატებითი შრომადღეების დარიცხვას მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადამეტებით შესრულებისათვის. მიუხედავად ამისა, ჩამორჩენა მაინც გრძელდებოდა[21].

პირუტყვის საერთო რაოდენობის შემცირების მიზეზს კვები ბაზის უქონლობასთან ერთად ისიც შეადგენდა, რომ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არსებული სისტემა მეცხოველეობის განვითარების საქმეს სეროზულად აფერხებდა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სისტემა არ აძლევდა სტიმულირებას კოლმეურნეობებს, გაეზარდათ მეცხოველეობის ნამატი. მაგალითად, ძროხა, ღორი, ცხენი, ცხვარი იბეგრებოდა ისეთი მაღალი გადასახადით, რომ ჭშირად კოლმეურნე გლეხები ან ერთპიროვნული მეურნეობები ხელსაყრელად თვლიდნენ უარი ეთქვათ არტელის წესდებით გათვალისწინებული პირუტყვის ყოლაზე, ვიდრე ეხადათ მაღალი გადასახადი. აგრეთვე, მთელი რიგი რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანოები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ მე-

[21] აფხაზეთის საოლქო კომიტეტის არქივი, ფ. I, აღ. 8, საქმე 195, გვ. 190.

ცხოველეობის განვითარების საქმეს.

ომისშემდგომ ხუთწლედში საგრძნობლად გაიზარდა აფხაზეთში სოფლის ელექტროსადგურების მშენებლობა, გაფართოვდა ელექტროენერგიის გადამცემი ქსელი მერხეულისა და ოქუმჰესის ელექტროენერგიის გასანაწილებლად. 20 კილომეტრის მანძილზე გაყვანილ იქნა დაბალი ძაბვის ხაზები. დამატებით ელექტროფიცირებულ იქნა ორსამოდე კოლმეურნის ოჯახი. მერხეულსა და ოქუმში ელექტროენერგიის ბაზაზე მუშაობდა წისქვილე და ხეტყის სახერხი ჩარხანა. ლესელიძეში აგებულ იქნა 90 კვტ სიმძლავრის სამი ქვესადგური.

აფხაზეთში 1950 წლის ბოლოსათვის აგებულ იქნა 13 სასოფლო-სამეურნეო ჰიდროელექტროსადგური, რომელთა ბაზაზე ელექტროფიცირებულ იქნა 36 კოლმეურნეობა და ათასობით კოლმეურნის ოჯახი[22]. ამ ღონისძიებამ შესაძლებელი გახადა სოფლებისა და კოლმეურნეობების ფართო რადიოფიცირება.

## კოლმეურნეობათა სამეურნეო ორგანიზაციული განმტკიცების საკითხისათვის აფხაზეთში

სოციალისტური სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა პარტიის ხელმძღვანელობით და კოლმეურნე გლეხობის მხარდაჭერით ჩატარებულ წვრილი კოლმეურნეობების გამსხვილების ღონისძიებას. კოლმეურნეობათა გამსხვილება მიზნად ისახავდა შემდეგ მთავარ ამოცანებს: 1) საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებას, როგორც მთავარი ძალის გაუმჯობესებას, 2) პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების სწორ შეხამებას, 3) კოლმეურნეობათა ინიციატივით საზოგადოებრივი მეურნეობის გაძლიერებას და არტელის საქმის მართვის გაუმჯობესებას, 4) კოლმეურნეთა და კოლმეურნეობათა მატერიალური დაინტერესების ამაღლებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ზრდას, შრომის ორგანიზაციის მოწესრიგებას.

1950 წლის შედეგებმა ნათლად დაადასტურეს, რომ წვრილი კოლმეურნეობების გამსხვილებამ შესანიშნავი შედეგები მოგვცა, სოფლის მეურნეობამ თავისი განვითარება მტკიცედ დაიწყო. ამ ღონისძიების განსახორციელებლად დიდი მუშაობა ჩაატარა აფხაზეთის პარტიულმა ორგანიზაციამ. კოლმეურნეთა რაოდენობა აფხაზეთში 301-დან შემცირდა 220-მდე. კოლმეურნეობათა გამსხვილების შედეგად ადმინისტრაციული პერსონალის 818 ერთეულის შემცირებამ 135,5 ათასი შრომადღის ეკონომია მისცა კოლმეურნეობებს. 700 ათასი მანეთით შემცირდა ადმინისტრაციული ხარჯები წელიწადში[23].

კოლმეურნეობათა გამსხვილება და მისი შედეგები აფხაზეთში მაახლოებით შემდეგნაირად წარმოგვიდგება: გაგრის რაიონში იყო 32 კოლმეურნეობა, აქედან 14 კოლმეურნეობა ეკონომიურად სუსტს წარმოადგენდა, მათი გამსხვილების შედეგად დარჩა 25 კოლმეურნეობა. საშუალოდ თითოეულ კოლმეურნეობას ჰქონდა 895 ჰექტარი მიწა და მასში 249 შრომისუნარიანი კოლმეურნე იყო გაერთიანებული. ამ ღონისძიებამ თავისი პირველი შედეგები ძალიან ჩქა-

22 აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პარტარქივი, ფ. I, აღწ. 7, საქ. 4. გვ. 20.

23 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რა გამოიღო. ამის შედეგად მომსახურე პერსონალიდან განთავისუფლდა 80 კაცი, რომელმაც კოლმეურნეებს მისცა 9586 შრომადღის ეკონომია წელიწადში. ამავე დროს შესაძლებლობა მიეცა კოლმეურნეობებს გაძლიერებულიყვნენ გამოცდილი კადრებით. 1950 წელს გაგრის რაიონში კოლმეურნეობათა საერთო ფულადი შემოსავალი იყო 52 მილიონი მანეთი, ნაცვლად 10 831 951 მანეთისა 1940 წელს. გაგრის რაიონის ხეივნის კოლმეურნეობაში შემოსავალი 1950 წელს შეადგენდა 2 331 147 მანეთს, 1940 წელს კი 441 883 მანეთს. გაიზარდა შრომადღის ღირებულება. თუ ის 1940 წელს შეადგენდა 2 მანეთსა და 66 კაპიკს, 1950 წელს კი 14 მანეთსა და 50 კაპიკს მიაღწია (ძვ. კურსით). 1940 წელს რაიონში იყო ერთი მილიონერი კოლმეურნეობა, 1950 წელს კი—27. 12 კოლმეურნეობა ელექტროფიცირებული იყო, აგებულ იქნა კოლმეურნეობათა ახსრებით კლუბი, სკოლა, სამკითხველო და სხვ. იმავე რაიონის კოლმეურნეობა „კომინტერნში“ ხელმძღვანელობის განახლების შემდეგ კოლმეურნეობა კვლავ მილიონერი გახდა, მისი ფულადი შემოსავალი 1 320 000 მანეთამდე ავიდა, ე. ი. სამჯერ გაიზარდა, ვიდრე 1948 წელს, ხოლო შრომადღეზე ფულად გაცემული იქნა 13 მანეთი და 15 კაპიკი. შრომადღის ღირებულება გამსხვილების შემდეგ გაიზარდა 6-ჯერ. ასეთი იყო კოლმეურნეობების გამსხვილების პირველი დადებითი შედეგები გაგრის რაიონში.

გუდაუთის რაიონში მთელი რიგი კოლმეურნეობები წვრილი და ეკონომიურად სუსტნი იყვნენ, რაც ხელს უშლიდა ამ კოლმეურნეობების სამეურნეო ეკონომიკურ განმტკიცებას. სოფელ ოთპარის კოლმეურნეობის საწარმოო საშუალებების ღირებულება 121,9 ათას მანეთს შეადგენდა, ხოლო განუყოფელი ფონდი 135,7 ათას მანეთს. სოფელ კალდახვარის პირველი მაისის სახელობის კოლმეურნეობის საწარმოო საშუალებათა ღირებულება შეადგენდა 226,4 ათას მანეთს. განუყოფელ ფონდში მხოლოდ 217,9 ათასი მანეთი ჰქონდათ. რაიონის 42 კოლმეურნეობიდან გამსხვილების შემდეგ დარჩა 20 მსხვილი კოლმეურნეობა.

გამსხვილების შემდეგ საშუალოდ თითოეულ კოლმეურნეობაზე მოდიოდა 179 კოლმეურნე, ნაცვლად 85-ისა გამსხვილებამდე. ძირითად საშუალებათა ღირებულება შეადგენდა ერთ მილიონ მანეთს, ნაცვლად 0,5 მილიონი მანეთისა, განუყოფელი ფონდი კი—1 395 000 მანეთს, ნაცვლად 654 ათასი მანეთისა გამსხვილებამდე[24].

ოჩამჩირის რაიონში გამსხვილების შემდეგ ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობამ ჰექტარიდან მიიღო 29,75 ცენტნერი სიმინდი და 10,17 ცენტნერი თამბაქო, ხოლო ჩაის კრეფის გეგმა 123,7 პროცენტით შეასრულა. გამსხვილებულ კოლმეურნეობათა შემოსავალმა შეადგინა 889547 ათასი მანეთი. (ძველი კურსით). შრომადღეებზე განაწილდა 13 მანეთი და 36 კაპიკი, 8,49 კგ ნატურით.

ოჩამჩირის რაიონის კოჩარის კოლმეურნეობებმა გამსხვილების შემდეგ 1952 წელს სოფლის მეურნეობის უხვი მოსავალი მიიღეს. შრომადღეებზე განაწილდა 36,6 მანეთი. გამსხვილების შემდეგ კოლმეურნეობათა საერთო შემოსავლის თანხამ მიაღწია 8 235 600 მანეთს, ნაცვლად 6 681 200 მანეთისა (ძველი კურსით) გამსხვილებამდე. ასევე, საგრძნობლად გაიზარდა კოლმეურნეობათა

---

[24] აფხაზეთის საოლქო კომიტეტის არქივი, ფ. I, აღ. 7, საქ. 4, გვ. 20—23.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულადი შემოსავალი გაგრის რაიონის სოფელ ლესელიძის კოლმეურნეობაში. მისი მონაცემები შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

| წლები | საერთო ფულადი შემოსავალი (ძველი კურსით) | შრომადღეების ღირებულება მანეთებში (ძველი კურსით) | ნატურით კგ-ში |
|---|---|---|---|
| 1940 | 1482182 მან. | 10,26 | 0,930 |
| 1948 | 3525073 „ | 17,22 | 1,0 |
| 1950 | 366607 „ | 17,44 | 1,0 |
| 1953 | 4345250 „ | 19,06 | 0,8.[25] |

ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლები აშკარად ადასტურებენ კოლმეურნეობათა გამსხვილების უპირატესობას.

გამსხვილებულ კოლმეურნეობაში მკვეთრად ამაღლდა მიწათმოქმედების კულტურა. პარტიული, ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის დაყენებასა და სამეურნეო მუშაობასთან მისი სწორად შეხამების ფართო შესაძლებლობას იძლეოდა კოლმეურნეობათა გამსხვილება.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კოლმეურნეობათა კადრების განმტკიცების საქმეში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას კოლმეურნეობების თავმჯდომარეებითა და სხვა ხელმძღვანელი მუშაკებით შემდგომი განმტკიცების დარგში პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ამოცანების შესახებ. კოლმეურნეობების კადრებით განმტკიცების საქმეში აფხაზეთის პარტიის საოლქო კომიტეტმა ქმედითი მუშაობა გასწია. კოლმეურნეობათა თავმჯდომარის პოსტაზე გაგზავნა 70 კაცი, მათგან 65 სპეციალისტი უმაღლესი და საშუალო განათლებით, 5 კაცი დაუმთავრებელი საშუალო განათლებით, რომლებსაც ჰქონდათ მუშაობის დიდი გამოცდილება. 220 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან 135 უმაღლესი და საშუალო განათლებით იყო, რაც შეადგენს მთელი შემადგენლობის 61,4 პროცენტს. რესპუბლიკაში იყო 67 გამსხვილებული კოლმეურნეობა. აქ უმაღლესი განათლებით იყო 8 თავმჯდომარე მათ შორის აგრონომიული განათლებით 5, ვეტექიმი—1, მასწავლებელი—1, საშუალო განათლებით—30. სულ კოლმეურნეობაში ირიცხებოდა 38—42 ათასი კომლი. გამსხვილებულ კოლმეურნეობებში 12796 კომლი. მიწის ფართობი სულ შეადგენდა 266210 ჰექტარს, აქედან გამსხვილებულ კოლმეურნეობებზე მოდიოდა 86590 ჰექტარი[26].

სსრ კავშირში ხუთწლედის განმავლობაში საგრძნობი იყო სოფლის მეურნეობისადმი მრეწველობის დახმარება. ეს შემდეგი მონაცემებიდანაც ჩანს. აღებულ პერიოდში მრეწველობამ სოფლის მეურნეობას მისცა 536 ათასი ტრაქტორი თხუთმეტ ძალიანზე გადაყვანით, 93 ათასი კომბაინი, 39 ათასი თვითმავალი, 341 ათასი ტრაქტორის გუთანი და 249 ათასი ტრაქტორის კულტივატორი.

სასოფლო-სამეურნეო არტელის გამსხვილებამ მეტად ხელსაყრელი პირობები შექმნა კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტ-

---

[25] იქვე, გვ. 25.

[26] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი, ფ. 14, საქმე 439, აღწ. 21, გვ. 8.

კიცებისათვის, კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამაღლებისათვის. ამას ადასტურებს კოლმეურნეობათა ძირითადი ფონდებისა და შრომადღეების ზრდა.

1951 წელს აფხაზეთის 185 კოლმეურნეობა 114 მილიონზე მეტ შემოსავალს იღებდა. ცოტა როდი იყო ისეთი კოლმეურნეობანი, რომელთა წლიური შემოსავალი შეადგენდა 3-10 მილიონამდე მანეთს (ძველი კურსით). ასევე გაიზარდა თამბაქოს მოსავლიანობა. 1951 წელს თამბაქოს ნედლეული სახელმწიფოსათვის ჩაბარებულ იქნა 1,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1940 წელს, ბევრმა კოლმეურნეობამ ჩაის მაღალი მოსავალი მიიღო.

მაგრამ მიუხედავად ამ წარმატებებისა აფხაზეთში იყვნენ ისეთი კოლმეურნეობებიც, რომლებიც ჩაის, თამბაქოს, ც. კიტრუსების, დაბალ მოსავალს იღებდნენ. 1951 წელს აფხაზეთის 73 კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა თამბაქოს ჩაბარების გეგმა და 23-მა ვერ გაანადგა ვალდებულება ჩაის კრეფის საქმეში. იმავე დროს აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დონე ძალზე დაბალი იყო. პარტიული და სახელმწიფო ორგანიზაციებს მთელი რიგი ნაკლოვანებები ჰქონდათ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის დაორგანიზებაში. უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია ის სერიოზული შეცდომები, რომელიც არსებობდა სოფლის მეურნეობის დაგეგმვის საქმეში.

აფხაზეთის სოფლის მეურნეობას სერიოზული ზიანი მიაყენა მარცვლეულის სათესი ფართობების გადიდების ღონისძიებებმა საძოვრების, ხეხილის ბაღების და სხვა კულტურების შემცირების ხარჯზე, რამაც მნიშვნელოვნად შეასუსტა სხვა ტექნიკური კულტურების განვითარებისათვის ზრუნვა.

აგრონომიული მონაცემებით ხორბლის მოსავალი აფხაზეთში დაბალი იყო. მაგრამ იგი მაინც იგეგმებოდა. აფხაზეთის კოლმეურნეობებში რაიონების მიხედვით პურის თესვის გეგმა შემდეგნაირად იყო განაწილებული:

| რაიონები | | | (ჰექტრებში). |
|---|---|---|---|
| | 1951 | 1952 | 1953 |
| გაგრის რაიონი | 80 | 120 | 180 |
| გუდაუთის | 40 | 60 | 200 |
| სოხუმის 25 | 25 | 40 | 180 |
| გულრიფშის | 70 | 100 | 200 |
| ოჩამჩირის | 15 | 30 | 160 |
| გალის | 70 | 100 | 180 |
| ს უ ლ | 300 | 450 | 1100 |

1950 წელს საშემოდგომო ხორბლის ნათესიდან დაბალი მოსავალი მიიღო გალის რაიონის სოფელ პირველი გალის კოლმეურნეობამ; ამავე რაიონის სოფელ ღუმურიშის ფარფალიას სახელობის კოლმეურნეობაში ჰექტარზე მიღებულ იქნა 62 კგ მარცვალი, თაგლონის კოლმეურნეობაში—68 კგ, ჭუბურხინჯის, წარჩის კოლმეურნეობებს თითქმის არაფერი მიუღიათ. ასეთივე მდგომარეობა იყო გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნის კოლმეურნეობაში, სადაც ჰექტარიდან მიიღეს 71 კგ ხორბალი[27].

აფხაზეთის კოლმეურნეობებს დიდი ზიანი მიაყენა სოხუმის მთის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით ჩატარებულმა სამუშაოებმა. მაგალითად, საკმარი-

[27] აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს არქივი, № 23, გვ. 129.

სია აღვნიშნოთ, რომ სოხუმის მთის კეთილმოწყობაზე ოჩამჩირის რაიონის კოლმეურნეობებმა დახარჯეს 1951 წელს 11502 შრომადღე, რაც კოლმეურნეებს დაუჯდა 429 982 მანეთი. მოქვის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის დაიხარჯა1 500 000 მანეთი (ძველი კურსით). ამავე რაიონის ვარდისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ 1951 წელს მიიღო მთლიანად 239 884 მანეთის შემოსავალი. შრომადღეზე უნდა გაენაწილებინათ 11 მანეთი და 500 გრამი ნატურით, ამ თანხის ნაწილი დაიხარჯა სოხუმის მთის მშენებლობაზე, ნაწილი კი მოქვის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე და შრომადღეზე არაფერი არ გაუნაწილებიათ.

კოლმეურნეობა „ჭლოუმ“ 1951 წელს მიიღო ფულადი შემოსავალი 377 660 მანეთი, ხოლო მოქვის ჰესის მშენებლობაზე დახარჯა 40 000 მანეთი და სოხუმის მთის—4800 მანეთი (ძველი კურსით). აგრეთვე, კოლმეურნეობებს ავალებდნენ სხვადასხვა ღონისძიებებისათვის ფულადი თანხების გადახდას. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენდა კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის ზრდაზე.

1951—1952 წლებში მეცხოველეობის სახელმწიფო გეგმის შესრულების თაობაზე კოლმეურნეობებს აიძულებდნენ შეესყიდათ პირუტყვი. ამ მიზნით 1951 წელს დახარჯულ იქნა 9 814 443 მანეთი, ხოლო 1952 წელს 10 789 000 მანეთი (ძველი კურსით).

1952 წელს აფხაზეთის კოლმეურნეობების საერთო ფუალდმა შემოსავალმა შეადგინა 276 950 355 მანეთი, ე. ი. 1 347 410 მანეთით ნაკლები, ვიდრე 1951 წელს. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ 1952 წელს უყურადღებოდ მიტოვებული ჩაის პლანტაცია აფხაზეთში შეადგენდა 1100 ჰექტარს, ხოლო ეკალ-ბარდით დაფარული იყო 1468 ჰექტარი. კოლმეურნეობებმა დიდი ზარალი ნახეს მეცხოველეობის დარგში. ქლუხორში დაღუპა 1700-მდე თხა, კოლმეურნეთა ზარალი ერთ მღლიონ მანეთს უდრიდა[28].

ომისშემდგომ პერიოდში აფხაზეთის რიგ კოლმეურნეობებში ადგილი ჰქონდა არტელის მართვის დემოკრატიული პრინციპების დარღვევის ფაქტებს. მაგალითად: გულრიფშის რაიონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში 1952 წელს არც ერთხელ არ ჩატარებულა კოლმეურნეთა საერთო კრება. ასეთივე დგომარეობა იყო გალის რაიონის „წითელი არმიის“ სახელობის კოლმეურნეობაში და სხვ.

ხშირი იყო კოლმეურნეთა თავმჯდომარეების შეცვლის შემთხვევები. 1952 წლისა და 1953 წლის პირველ კვარტალში 183 კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან აფხაზეთში შეიცვალა 105. მათ შორის 50 თავმჯდომარე მოხსნილი და მიცემული იქნა პასუხისგებაში თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის. მხოლოდ გალის რაიონში 36 კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან 14 იქნა მოხსნილი.

1951 და 1952 წლებში შრომისუნარიან კოლმეურნეთა მნიშვნელოვან ნაწილს გამომუშავებული არ ჰქონდა შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. 1952 წლისათვის აფხაზეთის კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი შეადგენდა 276 950 355 მანეთს, ე. ი. 13 447 410 მანეთით ნაკლებს ვიდრე 1951 წელს[29]. ცალკეული კულტურების შემოსავლიანობა მკვეთრად შემცირდა. სი-

---

28 აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს არქივი, № 23, გვ. 4.

29 აფხაზეთის საოლქო კომიტეტის არქივი, ფ. I, აღწ. 15, საქმე 218, გვ. 40.

მინდის საერთო შემოსავალი 1952 წელს ჰექტარზე შეადგენდა 7,0 ცენტნერს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 25,5 ცენტნერისა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის (1953 წ) პლენუმმა ყოველმხრივ განიხილა სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხი ჩვენს ქვეყანაში. პლენუმმა სოფლის მეურნეობის სერიოზული ჩამორჩენის ძირითად მიზეზებად მიიჩნია, ის რომ ხშირად ირღვეოდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპები, სრულყოფილად არ იყო გამოყენებული მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, სერიოზული ნაკლოვანებები არსებობდა კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში. ჯეროვანი ყურადღება არ ექცეოდა სოფლის მეურნეობაში შეცნიერების მიღწევათა და მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას და სხვ. პლენუმმა დასახა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის ამოცანა.

1953 წლის სექტემბრის ისტორიული პლენუმის შემდეგ ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში ღრმა ცვლილებები მოხდა. პარტიამ და მთავრობამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

სექტემბრის პლენუმის შედეგები განხილულ იქნა ყველა პარტიულ ორგანიზაციაში. 1953 წლის 27—28 ოქტომბერს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შედეგები და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ". პლენუმმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის არსებული რეზერვები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად გამოყენებული. ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, რომლებიც უუურადღებოდ არიან მიტოვებული. წლითი წლობით არ სრულდება პირუტყვის სულადობის ზრდის გეგმები. ადრეთვე არ ისახება მისი პროდუქტიულობის გადიდების გზები. 1952 წელს საქართველოში ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულ იქნა 457 კგ რძე, ნაცვლად 800 კგ-სა. მთელ რიგ კოლმეურნეობებში დაბალია შრომის ნაყოფიერება. პლენუმმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

უკანასკნელ წლებში განხორციელებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ღონისძიებათა შედეგად მიღწეულ იქნა დიდი წარმატებანი სოციალისტური სოფლის გახვითარებაში, ამაში ერთხელ კიდევ ჩანს სოციალისტური მრეწველობის როლი სოფლის მეურნეობის აღჭურვაში თანამედროვე მანქანა-იარაღებით. გადიდდა მინერალური სასუქების წარმოება, გამრავლდა სოფლის მეურნეობაში მაღალკვალიფიციური კადრები.

სკკპ XX—XXI—XXII ყრილობების ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ახალი ეპოქა შექმნეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

უდიდესი პერსპექტივები გაიშალა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. შეიღწევა გეგმის განხორციელება წინგადადგმული ნაბიჯი იქნება სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის ბრძოლაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მელიორაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ

ნ. იაშვილი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა)

ადამიანი ყოველთვის მიისწრაფოდა თავისი არსებობის პირობათა და პირველ რიგში ბუნებრივი მწარმოებლური ძალების იმგვარად შესწავლა-გარდაქმნისაკენ, რათა სულ უფრო სრულად დაეკმაყოფილებინა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი. ამ მაღალი იდეალის განხორციელების პირობები შეიქმნა მხოლოდ დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. სოციალისტურ მშენებლობაში საბჭოთა ხალხის ისტორიულმა გამოცდილებამ ფრიად შეუწყო ხელი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის დამკვიდრებასა და მრავალ ქვეყანაში გრანდიოზულ გარდამქმნელ-განმაახლებელი შემოქმედებითი შრომის უჩვეულო შედეგებს.

ადამიანის კეთილდღეობის სწრაფი აღმავლობისაკენ მიზანმიმართული საქმიანობა არსად და არასოდეს ყოფილა ისეთი მზარდი და სისტემატური, როგორიც ეს სოციალისტური მშენებლობის პერიოდს ახასიათებს. მწარმოებლური ძალები და წარმოებრივი ურთიერთობანი ურთიერთშესაბამისად და სწრაფად ვითარდება. ამის შესატყვისად ხილული თუ ფარული ბუნებრივი მწარმოებლური ძალების ყოველმხრივი გეგმიანი გამოყენებისათვის მოღვაწეობს მთელი საბჭოთა ხალხი. ამ რთულ და მძიმე გზას ყოველისმომცველად აკვლევს საბჭოთა მეცნიერება, რომელიც სულ უფრო მეტად ხდება საზოგადოებრივი მწარმოებლური ძალების შემდგომი ზრდის ფაქტორად და გადამწყვეტ მატერიალურ ძალად.

სკკპ XXII ყრილობის მიერ მიღებულ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში დასახულ დიდ ამოცანათა შორის, ბუნებრივ-მწარმოებლური ძალების ზრდას, კერძოდ, მისი ერთ-ერთი მთავარი ელემენტის—წყლის რესურსების კომპლექსურ გამოყენებას, დიდი ყურადღება ეთმობა. მაგალითად, პროგრამაში მითითებულია, რომ: „საბჭოთა ადამიანს შეუძლია განახორციელოს ჩრდილოეთის ზოგიერთი მდინარის დინების შეცვლისა და მათი წყლების რეგულირების გამებედული გეგმები, იმ მიზნით, რომ გამოიყენოს ძლევამოსილი ჰიდრორესურსები გვალვიანი რაიონების მორწყვისა და გაწყლიერებისათვის“[1]. აქ იგულისხმება, მრავალთა შორის, სსრ კავშირის ევროპული და აზიური ნაწილის მდინარეების (პალტიისა და თეთრი ზღვების არსის შეერთე-

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, სახელგამი. თბილისი, 1961, გვ. 81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა მოსკოვ-ვოლგის არხთან და ამით აქაური მდინარეების ვეებერთელა აუზის მეურნეობის სატრანსპორტო დაკავშირება მსოფლიო ოკეანესთან; ასევე ციმბირის წყალუხვი მდინარეების (ობი-ირტიშით, ლენა, ენისეი, ანგარა და სხვა) წყლის ნაწილის გამოყოფა ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანისაკენ მიმართულებიდან და სამხრეთში გადმოსროლა, რათა დასავლეთ ციმბირის ყაზახისტანის, შუა აზიის—უდაბნო, ნახევრად უდაბნო და გვალვიანი მიწები მოირწყას და გაწყლიერდეს, გაიზარდოს სოფლის მეურნეობა, გამწვანდეს და გაჯანსაღდეს არსებული სოფელ-ქალაქები, აღორძინდეს მრეწველობა, ხალხმრავალი და უხვდოვლათიანი გახდეს ეს უზარმაზარი მხარე, საბოლოოდ გადაწყდეს არალისა და კასპიის ზღვების დონის შენარჩუნებისა და აქაური ჰავის გაზომიერების პრობლემა.

ამ მაგალითზე მკაფიოდ ჩანს, თუ რაოდენ გრანდიოზულია საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი პოტენცია და სოციალისტური მეურნეობის შესაძლებლობანი.

წყლის მნიშვნელობა ყველგან და, კერძოდ შუა აზიაში, ხალხურმა სიბრძნემ ასე გამოხატა: „თუ არ გამოგიცდია ტანჯვა წყურვილისაგან, ვერ ჩაწვდები იმის სიღრმეს, თუ რას ნიშნავს ადამიანისთვის კარგი წყალი“; „თუ მიწა მამაა, მაშინ წყალი—მზრუნველი დედაა“; „სადაც გამოილევა წყალი, იქ თავდება მიწაც“; „ის ხალხია მდიდარი, ვისაც მიწაც აქვს და წყალიც“ და სხვ. აქედან მომდინარეობს ისიც, რომ საქართველოში მიწასა და წყალს ცალცალკე არ იხსენიებდნენ და თავისი მიწა-წყლისათვის თავსა სდებდნენ.

*

*   *

წყალს ბუნებრივ-მწარმოებლურ ძალებს შორის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. წყალი ჩვენი პლანეტის ერთ-ერთი პირველი საწყისი და სტიქიონია—ყველაზე საჭირო, ყველაფერში გამჭოლი და ყოვლის მომცველი მინერალია—ბუნებრივი ნაერთია წყალბადის ორი და ჟანგბადის ერთი წილისა (მოლეკულა). წყალი ამა თუ იმ ზომით—უთანაბროდ ყველგან არის:—ატმოსფეროში, ღრმად დედამიწის წიაღში, ნიადაგში და ჩვენი პლანეტის ზედაპირის ორ მესამედზე; ოკეანეებსა და ზღვებში, უბეებსა და სრუტეებში მისი უდიდესი მარაგია. დიდი ზომით (60—90%) შედის იგი ადამიანის და ყველა ცხოველის, მცენარეულისა და საერთოდ ორგანული თუ არაორგანული სამყაროს ყველა შემადგენელ ელემენტში.

წყლის რაოდენობა, ისე როგორც ენერგიისა, უცვლელია; იგი მუდმივ მოძრაობს და განუწყვეტლივ ასრულებს დიდსა და მცირე წრებრუნვას. საბოლოოდ იგი ოკეანიდან მოდის და მასვე უბრუნდება. წყალი, მზესთან ერთად, გადამწყვეტი ძალა იყო ჩვენი პლანეტის შექმნაში. ეს მისი ფუნქცია არასოდეს მთავრდება, იგი მუდამ განაგებს დედამიწასა და ჰავას, აყალიბებს ხმელეთს, რელიეფს და ყოველგვარ არსებას. წყლის გარეშე არ არის სიცოცხლე და სიცოცხლის გარეშე არ არის წყალი. წყალი და სიცოცხლე განუყოფელია. წყალი დედამიწის სისხლია, ხოლო უსისხლო სხეული ლეშია.

წყალი ადამიანის ყველაზე დიდი მეგობარია, მაგრამ ხშირად იგი მისი ყველაზე საშიში მტერია. მზისგან გამთბარი ჰაერის ნაწილები მუდამ მოძრაობენ. ამ მოვლენის განსხვავებული ინტენსივობა იწვევს სხვადასხვა სიჩქარის მოძრაობას. ჰაერის გადანაცვლება ამოძრავებს წყლის ამა თუ იმ სისქის ზედა-

პირს; თავის მხრივ წყლის მოძრაობა აჩქარებს ჰაერის მოძრაობას და იწვევს ნიავს. ქარს, ქარიშხალს, გრიგალს. ამით ამოძრავებული ზღვის ზედაპირული ტალღები ზოგჯერ ვიგანტური ზომისაა, ანგრევს ნავსადგურებისა და ნაპირების ნაგებობებს, ეხეთქება ტინ კლდეებს და შლის მათ. არღვევს ხმელეთს. უფრო მცირე ზომით ამასვე იწვევს ადიდებული მდინარეც და ორივე ერთად. უამინდობისა და წყალდიდობისას წყლაკავს ხოლმე ნათს-ნარკავებს, ნაგებობებს, შენობებს, პირუტყვს; ამსხვრევს ამასთანავე, ანგრევს სოფელ-ქალაქებსა და სხვ.

ამ უსასრულო მოძრაობაში ჩვენს დედამიწას არც წარღვნა მოელის და არც სიკვდილი უწყლობის გამო; მაგრამ საქმე ის არის, რომ წყალი ძალზე უთანაბროდ არის განაწილებული ხმელეთზე. მის ცალკეულ ნაწილებზე იგი ან მეტია ან ნაკლები; ჭარბი წყალი მიწაზე ჭაობია, მისი უმეტესობა კი გვალვაა. უფრო ხშირად გვხვდება წყლის მეტნაკლებობა, ვიდრე ზომიერება.

ბუნებამ ადამიანს დიდი შრომა არგუნა წყლის საჭიროებისამებრ თუ ნებისმიერი განაწილებისა და გამოყენებისათვის. სანამ იგი უვიცი და, მაშასადამე, უძლური იყო, მანამ მუდამ შესთხოვდა, ზვარაკსა და მსხვერპლს სწირავდა ძოჩვენებით ღვთაებრივ და ნამდვილად ბუნების სტიქიურ ძალებს, რათა ზეცას მოევლინა ტანი—წვიმა. კარგა ხნის შემდეგ, როცა დარწმუნდა ამის ამაოებაში, თვითონ ამოქმედდა წყლის უთანაბროდ განაწილების გამოსასწორებლად. დიდხანს და ბეჯითად ცდილობდა გამოეშუშავებინა სულ უფრო უმჯობესი გზები და ღონისძიებანი წყლის მიზანშეწონილი გამოყენებისათვის: სასმელი, ჰიგიენური, სამკურნალო, მეურნეობრივი—წყვის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის და სხვა მიზნისათვის. უხსოვარი დროიდან დღემდე მარად გაუთანაბრებელი წყლით სარგებლობის წესები და ხერხები ქმნიდნენ სხვადასხვა ეპოქაში საერთო განვითარების დონის შესაბამის ჰიდროტექნიკას. ეს იყო კაცობრიობის ცივილიზაციის პროგრესული ევოლუციის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი. მეცნიერებამ არ იცის ისტორიული ადამიანი, რომელიც არ იყენებდა შესაბამის ჰიდროტექნიკას, მიწების მორწყვასა და მის ზოგ სხვა სახეს. დიდხანს იგი პრიმიტიული იყო, მაგრამ ყველა კონტინენტის ცივილიზაციის ისტორიის ყველა საფეხურზე. ჰიდროტექნიკის განვითარება ადამიანის საქმიანობის სხვა დარგებს მეტწილად წინ უსწრებდა.

ცივილიზაციის ისტორიის პირველი ცნობები ახლო აღმოსავლეთში (აზია-აფრიკის მომიჯნავე ქვეყნები) იქნა დადგენილი. რასაკვირველია, თვითმყოფი ცივილიზაციის ჩასახვა-განვითარების სხვა მრავალი კერა იქმნებოდა სხვადასხვა კონტინენტზე, მაგრამ ახლო აღმოსავლეთის კერა ყველაზე ადრინდელი და მრავალ ქვეყანაზე დიდი გავლენის მომხდენი ჩანს. მაგალითად, ძველ ასურეთსა და ბაბილონში (ზემდეგ არაბეთი, ირანი და სხვ. ქვეყნები), საიდანაც მომდინარეობს ადამიანის მეურნეობრივი საქმიანობის პირველი ცნობები. დაახლოებით 10 ათასი წლის წინათ განვითარებული იყო სარწყავი სისტემები და ზოგი სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობები. ლეგენდარული სემირამიდა, რომელიც განასახიერებდა სუმერიელთა ტომებს, ჯერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინათ ამბობდა: „მე ვაიძულე მდინარეები, ედინათ ჩემი სამფლობელოების გარშემო და მივმართე მათი წყალი მიწების გასანოყიერებლად, რომელიც წინათ იყო უნაყოფო და უდაბური“ (ტ. გულატი, გვ. 8). ამ დარგში ღვაწლის ყველაფერზე მაღალი შეფასების სხვა მაგალითებიც მრავლადაა ცივილიზაციის ამ კერის სხვა ქვეყნების ისტორიულ დოკუმენტებში. მაგალითად, ძველ ინდურ

საღრმთო და ზნეობრივ-დამრიგებლობით მწერლობაში — ავესტაში — ნათქვამია: „უმჯობესია ნაყოფიერად გადაქცეოთ გვალვიანი მიწების ექვსი ჩეტვერიკი, ვიდრე მოიგოთ ოცდაოთხი ომი“ (ნ. გორსკი).

მელიორაციული ტექნიკა ფრიად მაღალი ჰქონდათ სუმერებს: ისინი უძველესი დროიდან მესოპოტამიაში, მდ. ევფრატსა და ტიგროსის დაბლობში, 5 ათასი წლის წინათ აწარმოებდნენ მიწების მორწყვას და ამოშრობას ღია დამშრობი არხებით, ხოლო 4 ათასი წლის წინათ თიხის მილებით აკეთებდნენ დახურულ დრენაჟს.

ეგვიპტეში მელიორაციას ატარებდნენ 6 ათასი წლის წინათ, როცა ნილოსის დაბლობი ჭაობს წარმოადგენდა. მისი ამოშრობის შემდეგ აუცილებელი გამხდარა მორწყვა, რისთვისაც აუგიათ 420 კმ სიგრძის არხი და 1200 კვ კმ ფართის წყალსაცავი 3—4 მილიარდი კუბ. მეტრის წყლის ტევადობით. მეოთხე და მესამე საუკუნეებში ძვ. წ. ეს ნაგებობანი მოიშალა.

ინდოეთში 5 ათასი წლის წინათ მიწებს რწყავდნენ ხელოვნური შეტბორების საშუალებით. დიდი ისტორია აქვს მელიორაციას შორეულ აღმოსავლეთში. ჩინეთის დიდი არხი, რომელიც ჩვენს დროშიც მოქმედებდა 1280 კმ სიგრძისაა, მისი მშენებლობა დაიწყო 605 წელს ძვ. წ. და დამთავრდა 1283 წელს ჩვენს ერაში, ე. ი. გაგრძელდა 1888 წელიწადს. უფრო ახალია მელიორაცია იაპონიაში; აქ ჰიდროტექნიკურ მელიორაციასთან ერთად დიდ ფართობზე აგებდნენ ტერასებს მთაგორების მკვეთრად დაქანებულ კალთებზე. მომღვენო ხანებში ირიგაციას და დრენაჟს ატარებდნენ კორეაში, ალჟირსა და მექსიკაში. ამავე ხანებში ხელი მიჰყვეს ველიორაციის საშუალებას ევროპაში: იტალიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, ინგლისში, დანიასა და ჰოლანდიაში; სანაოსნო არხები და წყალსადენები ძველ რომში კი ბევრად ადრე მოქმედებდა.

მაგრამ ჰიდროტექნიკის ამ საკეთეს ყოველთვის და ყველა ქვეყანაში გაბატონებული კლასები მშრომელი ხალხის დაკაბალების და პირადი გამდიდრების იარაღად იყენებდნენ. კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა პირველად ღრმად გამოაკვლიეს რწყვის ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური ასპექტები ეგვიპტეში, ინდოეთსა და სხვა მრავალ ქვეყანაში[2]. შესწავლილ იქნა მდინარე ნილოსიდან მორწყვის გავლენა აფრიკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ კუთხეში დასახლებული ხალხების, კერძოდ, ეგვიპტის, პოლიტიკურ და მეურნეობრივ ცხოვრებაზე. კლასიკოსები მორწყვისა და წყალმომარაგების რეგულირების წესებს გადამწყვეტ მნიშვნელობას აკუთვნებდნენ ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებრივ წყობილების დამკვიდრებულ ფორმებში. მორწყვა ყოველთვის და ყოველგან თამაშობდა პოლიტიკურ როლს და განსაზღვრავდა კაცობრიობის ძალების კოოპერირების აუცილებლობას დიდი ნაგებობების მშენებლობასა და მათი საქმიანობის მეთვალყურეობაში. ცნობილია, რომ წყალმეურნეობის გასაღების საკუთრება მორწყვაზე მთლიანად დამოკიდებულ ქვეყნებში (ეგვიპტე, ინდოეთი, პაკისტანი და სხვ.) დიდ პოლიტიკურ უპირატესობას აძლევდა მას მფლობელს, კერძოდ ინგლისს, რომელიც ნილოსზე აგებული კაშხალის მეშვეობით ეგვიპტეში 1959 წლის ნახევრამდე ბატონობდა.

ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი შუა აზიაშიც, სადაც, მაგალითად თურქესტანში, რწყვას აწარმოებდნენ მრავალი ათასი წლის წინათ არსებული მეურნეობრივი საქმიანობის ყველაზე ადრეულ პერიოდში. აზიის სხვა

---

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, თბ., 1949, გვ. 75—76.

ქვეყნებში (ინდოეთი, ჩინეთი და სხვა) ჰიდროტექნიკური მშენებლობის საკმაოდ მაღალი დონე დამოწმებულია არქეოლოგიურ და სხვა ისტორიულ მასალებში უძველესი დროიდან. წარმოების მონათმფლობელური წესის დამკვიდრებამდე დიდი ხნით ადრე აწარმოებდნენ მორწყვას. მატერიალური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ძველი ძეგლებია სარწყავი არხები ზემოხსენებულ ქვეყნებში. ძველი არხების ზოგი ნაშთები დაახლოებით ათი ათასი წლისაა. განსაკუთრებით გაფართოდა ეს სამუშაოები ადრეული და გვიანი ფეოდალიზმის ეპოქაში. იმ ხანებში სარწყავი არხების გარდა შენდებოდა სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებობებიც. მაგალითად, ეგვიპტეში გრუნტის სიღრმისეული წყლების გამოყენებისათვის 4 ათასი წლის წინათ თხრიდნენ არტეზიულ ჭებს; იმავე ხანებში აგებდნენ სანაოსნო არხებს, წყალსადენებს და სხვა. ყველაზე ძველი უნდა იყოს ნილოსის შემაერთებელი სანაოსნო არხი წითელ ზღვასთან, რომელიც ააგეს 1380 წ. ჩვ. წ. და სხვ.

სიმართლეს შეიცავს სიტყვები: „მორწყვის ისტორია შეიძლება გახდეს კაცობრიობის ძველი კულტურის ისტორიის ქარგად"[3]. ამ ისტორიის საფუძველი შექმნილია კ. მარქსის და ფ. ენგელსის მიერ, რომელნიც მელიორაციას უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდნენ, როცა ამბობდნენ: „ჰავისა და ნიადაგის პირობათა გამო წყლის ნაგებობათა და არხების საშუალებით მორწყვა გახდა აღმოსავლეთის მიწათმოქმედების საფუძვლად... ზაზიში უხსოვარი დროიდან, როგორც წესი, არსებობდა მმართველობის მხოლოდ სამი დარგი: საფინანსო უწყება, ანუ უწყება თავისი საკუთარი ხალხის გასაძარცვავად, სამხედრო უწყება ანუ უწყება სხვა ხალხების გასაძარცვავად და, ბოლოს, უწყება საზოგადოებრივ სამუშაოთა"[4].

ადამიანთა საზოგადოების კლასებად დაყოფისა და მისი გაღრმავების კვალობაზე ატყდა ხალხთა სხვადასხვა სოციალურ ფენებსა და ერებს შორის შფოთი, შური და მტრობა; დაუსრულებელი ხასიათი მიიღო ომებმა ადრეული და გვიანი ფეოდალიზმის ეპოქებში. გაბატონებული დამპყრობი ხოცდა და ტყვეობაში ერეკებოდა ხალხს, ანგრევდა სოფელ-ქალაქებს, კაფავდა მრავალწლიან ნარგავებს, შლიდა სარწყავ და სხვა ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს. მათი აღდგენა კი პრიმიტიული ტექნიკის პირობებში შეუძლებელი იყო... ამის და არა მარტო ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად გაუკაცრიელებული ქვეყნები საუკუნეებით რჩებოდა ადამიანის ზრუნვისა და შრომის გარეშე—ბუნების სტიქიური ძალების დამწვრეც გავლენაში და გაუდაბურდებოდა. ამისეც შედეგია უდაბნოები და ნახევრად უდაბნოები აფრიკასა და ზაზიში—საჰარა და გობი, არაბეთსა და თურქესტანში და სხვ.

ამნაირად ადამიანი დასაბამიდან გამუდმებით ზრუნავდა მისი არსებობის გარემოს—ნიადაგისა და ჰავის პირობების გაუმჯობესებაზე. ნიადაგებისა და ჰავის, თბილებისა და წყლის ბუნებრივი თვისებების ძირეულ და ხანგრძლივ გაუმჯობესებას ბერძნებმა ადრიდანვე უწოდეს „მელიორაცია" (melior), ლათინურად (melioratio) და იგი ყოველგვარი უკეთესისა და გაუმჯობესების აღმნიშვნელის ზოგადი ცნებაა. ტერმინი „ირიგაცია" ( irrigatio ) ლათინურად და

---

[3] Проф. Г. К. Риземкампф Проблемы орошения Туркестана, Госиздат, М., 1921, გვ. 11.

[4] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 9, 1937, გვ. 132.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიშნავს მორწყვას; დაშრობის აღსანიშნავად კი საერთაშორისო სიტყვა არის— დრენაჟი (ინგლისურად— drain. ფრანგულად— drainage). ეს ცნებები ჰიდროტექნიკური მელიორაციის სახეების სახელწოდებებია; ხოლო მელიორაცია კი, უფრო ფართოა და სადღეისოდ ითვლება როგორც წყლისმიერ, ისე სხვა ყოველგვარ გაუმჯობესებას:

1. წყლისმიერი მელიორაციის მთავარი სახეებია: მორწყვა. ამოშრობა, კოლმატაცია, გაწყლიერება, წყალმომარაგება; წყალდიდობასთან, ღვარცოფებთან, მეწყერებთან ბრძოლა და სხვა;

2. ნიადაგის (მიწის მელიორაციაში შედის: ქვების და საერთოდ ჭარბი ჩონჩხის გამოცლა, მლაშობების—ბიცი და ბიცობი—დამარილიანების ან ზედმეტი მჟავიანობის შემცირება. განეიტრალება, ნორმაში მოყვანა, ეროზიის (წყლისმიერი და ქარული) აღკვეთა, ხეჭქმნადობის და დახრამულობის მოსპობა; ნიადაგის ზედაპირის—ქანობების მოწესრიგება—მოშანდაკება, დატერასება, ტრანშეებისა და ინდივიდუალური ჯამების გაკეთება და სხვ.

3. ჰავის მელიორაცია გულისხმობს: ტყეების (ერთიანი მასივების, ტყეპარკების. ქარსაწინააღმდეგო და ნიადაგის დამცველი ზოლების, გამწუანების და სხვ.) გაშენებას; წყლის ზედაპირის ან ფართობის გადიდებას— წყალსაცავების. წყალსატევების და სხვათა აგებას და ან პირიქით, მაღალი შეფარდებითი ტენიანობის დაკლებას.

ხსენებული და სხვა სახის მელიორაციულ სამუშაოთა შესასრულებლად ადამიანი გამომუშავებდა სათანადო წესებს, ხერხებსა და მეთოდებს; ქმნიდა იარაღს, მანქანებს, აშენებდა მარტივ და რთულ ნაგებობებს, აყალიბებდა და სრულქმნიდა რთულ, ზოგჯერ გრანდიოზულ მელიორაციულ ტექნიკას, რომლის უდიდესი ნაწილია ჰიდრომელიორაცია და ჰიდროტექნიკა და რომლის გაუმჯობესებაზე დაუცხრომელი ზრუნვა მუდამ ძლიერდება.

„წყლისმიერმა მელიორაციამ ფართო გამოყენება მოიპოვა მთელ რიგ საზღვარგარეთულ ქვეყნებში. წყლისმიერი მელიორაციის განსაკუთრებით სწრაფ ვანვითარებას ხელი შეუწყო. ეკონომიკური ფაქტორების გარდა, მშენებლობის ინჟინრული ხერხების გავრცელებამ, ჰიდრავლიკურ გაანგარიშებათა მეთოდებმა, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა თანამდროვე ტიპებმა: საყრდენი კედლები და წყალსაცავების კაშხალები. სათავე, მარეგულირებელი და მაუღლებელი ბიეფების ნაგებობანი და ასე შემდეგ"[5]. აქვე იგულისხმება ყოველგვარი ნაგებობა, რაც საჭიროა წყლის ენერგეტიკული. სატრანსპორტო (მდინარეებზე, ზღვებზე). მრეწველური. სოფლისმეურნეობრივი. სანიტარულ-ჰიგიენური. მკურნალობისა, სასმელად და სხვა ყოველგვარი გამოყენებისათვის— ელექტრო და მტუმბავი სადგურები. წყლის საწმენდი და გამომყვანი დანადგარები; წყალსადენები, მოსარწყავი დაშრობი და სხვა არხების ქსელი—ნაირ-ნაირი საჭირო ინჟინრული გაწყობილობით—არმატურით და სხვ.

ამ რთულ ნაგებობებს მზრუნველი და კვალიფიციური გამოყენება უნდა; ამისათვის ზრუნვამ წარმოქმნა მცოდნეობისა და საქმიანობის ცალკე დარგი— ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ექსპლოატაცია. ამ საქმის სწორად დაყენებისათვის საჭიროა ხალხში ცოდნა, შეგნება, მატერიალური და მორალური დაინტერესებულობა, რასაც ხელს უწყობს ჰიდროტექნიკური განათლება. ყოველ-

[5] С. Л. Миркин, Водные мелиорации в СССР и пути их развития, М., 1960. გვ. 76.

გვარი წყლის მიზანშეწონილი გამოყენება უდიდეს, მრავალმილიონიან დანახარჯებას, მეურნეობის სწორ ორგანიზაციასა და გაძღოლას საჭიროებს. ამ საქმეს ასრულებენ წყალმეურნეობის ორგანოები.

ტერმინი „წყალმეურნეობა“ ფართოა და მასში შედის უკლებლივ ყველა წყალმეურნეობრივი ღონისძიებანი იმის მიუხედავად, თუ სახალხო მეურნეობის რომელ დარგს ემსახურება იგი; ღონისძიებათა ეს კრებადობა მოიცავს როგორც ზედაპირული, ისე გრუნტის, წიაღის. ატმოსჟეროს და ყველა სხვ. წყლების გამოყენებას; აგრეთვე, წყალდიდობის თუ სხვა შესაძამისი მოვლენებისაგან გამოწვეული სახალხო მეურნეობის ყოველგვარი დაზარალების წინააღმდეგ ბრძოლას. ხსენებული ყველა ამოცანის გონივრული გადაჭრის წესებს და გზებს ამუშავებს მელიორაცია და ჰიდროტექნიკა; იგი თეორიისა და პრაქტიკის უაღრესად ფართო სფეროა. ჰიდროტექნიკა მშენებლობის—ინჟინრული ხელოვნების ის ნაწილია, რომლის ამოცანაა გარკვეული მიზნებისათვის წყლის გამოყენება, ან წყლისაგან უკვე მიყენებული თუ მოსალოდნელი ზარალის აღკვეთა.

საკუთრივ სოფლის მეურნეობისათვის ძირითადი წყალმეურნეობრივი ანუ ჰიდრომელიორაციული ღონისძიებებია მორწყვა და დაშრობა, გაწყლიერება და წყალმომარაგება. ხშირად ყველა, ან თითოეული ამ ღონისძიების გატარება მიზანშეწონილია კომპლექსურად როგორც ურთიერთთან, ისე სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით — ენერგეტიკა, ტრანსპორტი, თევზის მეურნეობა, სპორტი. ეს აიფეს მშენებლობას და უფრო მაღალი სახალხომეურნეობრივი ეფექტი მოაქვს.

აღსანიშნავია, რომ, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს წყლის გამოყენება მრეწველობაში, თუ ყველა სხვა დარგში, მისი უმაღლესი და უპირველესი ფორმა, როგორც ეს იყო ათასობით წლების წინათაც, კვლავ რჩება ბურისა და ხორცის, ხილისა და ბოსტნეულის, ნედლეულისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება. ამიტომაა გამოყოფილი ცალკე მორწყვისა და დაშრობის დარგი, რომლის ხელმძღვანელი ორგანოა წყალთა მეურნეობის სამინისტრო (თუმცა ამ სახელწოდებას მისი მუშაობის ხასიათი არ ასაბუთებს) და შექმნილია აგრეთვე სსრ კავშირის სარწყავი მიწათმოქმედების და წყალთამეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი.

რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებობს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების კომიტეტები, მათ სისტემაში თუ მის გარეთ ორგანიზებულია სხვა მრავალი დარგის ცალკე ოპერატიულ-კვლევითი ორგანოები. წყალმეურნეობა გამიჯნულია, მაგრამ გამოთიშული არ არის საკუთრივ მრეწველური, სოფლისმეურნეობრივი და სხვა საქმიანობიდან; ისინი ყოველდღიურ ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან. ადამიანთა დიდი მასების ამ ურთიერთობის მოსაწესრიგებლად შექმნილია მრავალი ტექნიკურ-ტექნოლოგიური, ეკონომიკური და სამართლებრივი ნორმები, წყალმეურნეობრივი მშენებლობის და წყლით სარგებლობის წესები—ინსტრუქციები, დებულებები, კანონები, რომელთა საფუძველზე გამართული საქმიანობის საერთო სახელია მელიორაციული პოლიტიკა. მათი ცოდნა, დაცვა და ზუსტად ხელმძღვანელობა წარმატების აუცილებელი პირობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებელია ამ მრავალფეროვანი მოღვაწეობის სწორად მოწყობა და ზუსტი წარმართვა; საჭიროა მეცნიერების და პრაქტიკის ყველა მოღვაწის გამოყენება, სამამულო და უცხოური შესაბამისი მასალების ცოდნა და შემოქმედებითი ათვისება.

*

* *

ქვევით მოტანილია წყლის რესურსებისა და მორწყვის ზოგიერთი ცნობები მსოფლიოს, კონტინენტებისა და მათი ცალკე ქვეყნების მიხედვით. მოსახლეობის და მისი სიმჭიდროვის, საერთო და ვარგისი მიწის ფართობის, დამუშავებული და სარწყავი ფართობის შესახებ 1930—1955 წლებში ცალკე ქვეყნების და კონტინენტების მიმართ; აგრეთვე, ამ ფართობთა ხვედრიწონა მსოფლიო ფართობში და წილი დამუშავებულ ვარგის და საერთო ტერიტორიაში.

თანამედროვე მსოფლიოში დიდი და სულ მზარდი ყურადღება ექცევა მორწყვას. ირიგაცია ფართოდ გამოიყენება ჩვენი პლანეტის ზომიერი და ცხელი სარტყლების მრავალ ქვეყანაში. ირიგაცია აუცილებელია იქ, სადაც სოფლის მეურნეობის წარმოება მორწყვის გარეშე თითქმის შეუძლებელია (უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოებში). რწყვა იქაც საჭიროა, სადაც ჩვეულებრივ წლებში მიწათმოქმედება შეიძლება წარმოებდეს ბუნებრივი დატენიანების პირობებში. მაგრამ პერიოდული გვალვების გამო მოსავალი ზოგჯერ სულ არ მიიღება, ანდა ძალზე მცირდება და ზარალიანი ხდება. რწყვას მიმართავენ ისეთ რაიონებშიც, სადაც ატმოსფერული ნალექების წლური რაოდენობა თითქმის საკმარისია აქ გავრცელებული მცენარეულობის მოსავლისათვის. მაგრამ ის რაოდენობა ისეა განაწილებული სეზონების მიხედვით, რომ ნალექების მინიმუმი იმ თვეებზე მოდის, როცა ის მცენარის ნორმალური ვეგეტაციისათვის ყველაზე მეტადაა საჭირო.

სარწყავი მიწათმოქმედება უხსოვარი დროიდან არის ჩამოყალიბებული, იგი სადღეისოდ მრავალ ქვეყანაშია და ახალ-ახალ კუთხეში იჭრება. რასაკვირველია, ის ამ ქვეყნების მთელ მიწათმოქმედებას არ მოიცავს (იშვიათი გამონაკლისის გარდა—ეგვიპტე); მაგრამ მეტ შემთხვევაში ბარის უფრო ცხელ რაიონებშია თავმოყრილი და ზოგჯერ იჭრება მთიან რაიონებშიც—2000—4000-მდე მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, სადამდეც აღწევს მიწათმოქმედება (ტიბეტი, პამირი, პერუ, შვეიცარია, კავკასია და სხვ.). ირიგაცის მიმართავენ ზოგ უკიდურეს ჩრდილოეთ (ისლანდია) და სამხრეთ (ავსტრალია, ახალი ზელანდია) ქვეყნებშიც. ამაზე მეტად არის გავრცელებული მორწყვა ტროპიკული სარტყელის ზოგ ადგილებში (ბრინჯის, შაქრის ლერწმის და სხვა ნათესებისათვის).

მსოფლიოს სამოცზე მეტ ქვეყანაში წარმოებს მიწების ამა თუ იმ ფართობის რწყვა. ასე, მაგალითად, სარწყავი მიწები აღრიცხული იყო მსოფლიოში (მლნ. ჰა) 1930 წ.—80, 1940 წ..—83 და 1955 წ.—121.3[6]. მან მიმდინარე საუკუნის სამოციან წლებში მსოფლიოში გადააჭარბა 160 მლნ ჰექტარს და სარწყავი ფართობი კვლავაც იზრდება. საინტერესოა, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის ჩანასახშივე დაწყებული მიწების რწყვა მრავალ ათასწლეულს მანძილზე ნელა ფართოვდებოდა და გასული საუკუნის შუა ხანებში 30 მლნ ჰექტარი შეადგინა. განსაკუთრებით სწრაფად ვითარდებოდა მელიორაცია და კერძოდ ირიგაცია. ამ უკანასკნელ საუკუნეში 1850—1950 წწ. სარწყავი მიწების

[6] О. Израэльсен, Теория и практика ирригации, пер. с англ., И. Л., М. 1956, გვ. 71. — ათობი გადარიცხულია ჰექტრებად, ნ. ი.

მსოფლიო ფართობი გაიზარდა 30-დან 140 მლნ ჰექტრამდე, რის საფუძველზეც ამ პერიოდს ეწოდა „მორწყვის საუკუნე“[7].

ამას ხელი შეუწყო, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად, მელიორაციულ მშენებლობაში ინჟინრული ტექნიკის, ჰიდრავლიკური გაანგარიშებათა მეთოდების, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა თანამედროვე ტიპების—წყალსაცავების, კაშხლების, სათავე-მარეგულირებელ, წყალ-გამანაწილებელ, წყალგამტარ და სხვა ნაგებობათა გაუმჯობესებული კონსტრუქციების პროექტირებისა და მშენებლობის სულ უფრო სრულყოფილი მეთოდების შემუშავებამ, ფართოდ გამოყენებამ და სხვ. ამ დარგში ყოველი ქვეყანა ძველთაგანვე თავისი გზით მიდიოდა. ამა თუ იმ ქვეყნის ცალკეულმა ცდებმა კარგა ხანია საერთაშორისო მნიშვნელობა მიიღო. ამ გამოცდილების შეფასებას, შემოქმედებითად განვითარებას და გავრცელებას ისახავს მიზნად გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კომისია, რომელიც იკვლევს, სწავლობს და აზოგადებს მასალებს ამ დარგში. ამ კომისიის გენერალური მდივანი ინდოეთის ერთ-ერთი გამოჩენილი ჰიდროტექნიკოსი ინჟინერი ნ. დ. გულატი, ათიოდე წლის წინათ წერდა: „დაგეგმილია უახლოეს 20 წელში სარწყავი მიწების ფართობის მნიშვნელოვანი გადიდება მთელ მსოფლიოში, რის შედეგადაც იგი მიაღწევს 200 მლნ ჰექტარს“[8]. ცხოვრებამ უკვე გვიჩვენა (სსრკ, ჩინეთი, ინდოეთი და სხვა), რომ ეს გეგმა გადაჭარბებით შესრულდება.

საჭიროა მსოფლიო გამოცდილების თვალყურის დევნება, ყველა სიახლის კრიტიკული შეფასება და შემოქმედებითად გამოყენება. ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიწების მორწყვის ოდენობა და თანამედროვე მდგომარეობა, რის შესახებაც ძირითადი ცნობები მოტანილია კონტინენტებისა და ზოგიერთი ქვეყნების მიმართ. მართალია ნ. გულატი, როცა წერს: „აუცილებელია შევნიშნოთ, რომ თითოეული ქვეყანა მეტწილად ავითარებდა თავის სარწყავ სისტემებს იზოლირებულად, სხვა ქვეყნებს მხოლოდ უმნიშვნელო დახმარებას უწევდა და გადასცემდა მათ მხოლოდ რომელიღაც გამოცდილებას. საერთოდ ყველა ქვეყანა სწავლობდა თავის შეცდომებზე. ეს ასე არ უნდა იყოს დღეს.

ახლა, დაკავშირების გაუმჯობესებისა და საერთაშორისო გაერთიანებებისა და დახმარების მისწრაფებათა წარმოშობის დროს, თითოეულ ქვეყანას გზა ხსნილი აქვს მორწყვის მიღწეული წარმატებებისა და ხერხების გაცნობისათვის“... და „რატომ ირიგაციის ხელოვნება, განვითარებული მსოფლიოს ერთ ნაწილში, არ შეიძლება გამოვიყენოთ დანარჩენებში“[9].

მელიორაცია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ყოველთვის ტარდებოდა ადამიანის ცხოვრების პირობების სასიკეთოდ—ჰავის გაუმჯობესება, მორწყვა და ამოშრობა; მეურნეობრივი, სასმელი, ჰიგიენური და სამკურნალო წყალმომარაგება და სხვა. იგი სულ უფრო და უფრო მეტად ტარდება ახლაც იმიტომ, რომ: „ჩვენი პლანეტის ხმელეთის დაახლოებით ორი მესამედი წარმოადგენს ტენის მუდმივი თუ დროებით გარკვეულად გამოხატულ ნაკლებობიან ტერიტორიას, ამავე დროს მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ეკუთვნის უდაბნოსა და ნახევრადუდაბნოთა ზონას, სადაც მიწათმოქმედება შეიძლება მხოლოდ ხელოვნური მორწყვით.

[7] С. Л. Миркин. დასახ. ნაშრ., გვ. 76.
[8] Н. Д. Гулати. Орошение в разных странах мира. Сельхозгиз, М., 1957, გვ. 7.
[9] იქვე. გვ. 11—12.

ხმელეთის ერთი მესამედი იმყოფება საკმარისი ტენიანობის პირობებში, რომელშიაც კულტურების მეტი ნაწილი უზრუნველყოფილია მათთვის აუცილებელი ტენით, ხოლო ზოგჯერ კიდეც ზარალდება მისი სიჭარბისაგან. აქ მდებარეობს ჭაობის და დაჭაობებული მიწების უზარმაზარი ფართობები, რომელთა სოფლის მეურნეობაში გამოყენებისათვის აუცილებელია ამოშრობა[10]. სხვაგვარად შეუძლებელია მუდმივად მზარდი მოსახლეობის კიდევ უფრო ზრდადი მოთხოვნილების დაკმაყოფილება სხვადასხვა დოგლათით, რომელთა წარმოება პირდაპირ ან არაპირდაპირ დაკავშირებულია მიწასთან.

ჩვენი პლანეტის ზედაპირის სიერცე შეადგენს 40 630,3 მლნ კვ. კმ ანუ 4.063,050 მლნ ჰექტარს. აქედან ორი მესამედი წყლის ზედაპირია (ოკეანეები, ზღვები და სხვ.). ხმელეთის ტერიტორია უდრის 13.534,4 მლნ ჰექტარს ანუ 135.345 ათას კვ. კმ (იხ. ცხრ. 1).

აქედან თითქმის ერთი მესამედი (32,5%) მსოფლიოში აზიის კონტინენტზე მოდის; მეორე ადგილზეა ამერიკა—31%. მესამეზე აფრიკა — 22,4%, მეოთხეზე ევროპა — 7,7% და მეხუთეზეა — ავსტრალია — 6,4%. მოსახლეობა კი არის განაწილებული ტერიტორიის შესაბამისად: მისი — 56,9% მოდის აზიაზე, სადაც 1 კვ კმ 35 სული ცხოვრობს, მსოფლიოს საშუალო სიმჭიდროვის 159%; ევროპას უჭირავს მეორე ადგილი—20,8% და ყველაზე მჭიდროდ —54 სული, ე. ი. თითქმის ორნახევარჯერ უფრო მჭიდროდაა (245,4%) დასახლებული. ამერიკა მოსახლეობით თუმცა მესამე ადგილზეა—13,7%, მაგრამ ის სიმჭიდროვით ბევრად ჩამორჩება ევროპას (ექსჯერ) და აზიას (თხჯერ) და უდრის 9 სულს. მცირედ ათვისებულია ადამიანის მიერ აფრიკის კონტინენტი: აქ ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 8,1%, რაც შეადგენს 1 კვ. კმ 7 სულს და მსოფლიოს შესაბამის მაჩვენებელს 3-ჯერ ჩამორჩება; ხოლო ავსტრალია კი, კიდევ უფრო ნაკლებად დასახლებულია—შესაბამისად 0,5% და 2 სული. ანუ მსოფლიოს მოსახლეობის სიმჭიდროვეზე 11-ჯერ ნაკლებია.

ასეთი უთანაბრობის მიზეზია ბუნებრივი-გეოგრაფიული გარემო და სოციალურ-ეკონომიკური პირობების ისტორიული მკვეთრი სხვაობა. კოსმოსური და გეოლოგიური მოვლენები, ხალხის სოციალურ-ეკონომიკური ისტორია განუწყვეტლივ ცვლიდა დედამიწის და მოსახლეობის არსებობის პირობებს. ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს, ფ. ლევინსონ-ლესინგმა დერბატის (ტარტუს) უნივერსიტეტში 1892 წელს წლიურ კრებაზე—აქტზე წარმოთქმული სიტყვის ბოლოში თქვა:

„დედამიწის ქერქი არასოდეს არის უძრავი და მოსვენებული; ბუნების ყოველი არსების მსგავსად მან არ იცის წყნარი და სტაციონარული მდგომარეობა. იგი მუდმივ სახეცვლილებას განიცდის. დედამიწა ცივდება, დედამიწა მცირდება, დედამიწა ამცირებს თავის დღიური თუ წლიური მოძრაობის სისწრაფეს, მისი ზედაპირის ქერქი ნაოჭდება და სკდება. აქ აღიმართება მთები და შრებიან ზღვები, იქ ჩნდება ღრმულები და დეპრესიული მიდამოები. ზღვად გადაქცევის გამო იღუპება მთელი კონტინენტები. დედამიწა განუწყვეტლივ შეტორტმანდება ვულკანების მოქმედებით გამოწვეული მიწისძვრებისაგან; იგი მისი ნაპრალებიდან განუწყვეტლივ აღმოანთხევს ზედაპირზე მის სიღრმეში შემცველ ცეცხლისებრ—თაკარა ნივთიერებას (ლავა).

[10] Д. Т. Зузик, Экономика водного хозяйства. Сельхозгиз. М., 1959, გვ. 41.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

მსოფლიოს მოსახლეობა (1956 წ.) და მიწით უზრუნველყოფა (1955 წ.) კონტინენტების მიხედვით

| №№ რიგზე | კონტინენტები | მოსახლეობა[11] (მლნ. სულობით) აბს. | მოსახლეობა % % ჯამთან | მთელი ფართობი[12] (მლნ. ჰექტ.) აბს. | მთელი ფართობი % % ჯამთან | მოსახლეობის სიმჭიდროვე 100 ჰექტარზე | ვარგისი ფართობი (მლნ. ჰექტრ.) აბს. | ვარგისი ფართობი % % ჯამთან | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 1 | აზია—აბს. | 1.558,0 | 56,9 | 4.401.3 | 32,5 | 35,0 | 3.740.4 | 39.7 | |
| | % % | — | — | 100,0 | — | 150.0 | 84,9 | — | |
| 2 | ამერიკა—აბს. | 374,9 | 13,7 | 4.198,5 | 31,0 | 9,0 | 3.518,3 | 37.3 | |
| | % % | — | — | 100,0 | — | 40,9 | 83,8 | — | |
| 3 | ევროპა—აბს. | 569,0 | 20,8 | 1.050,1 | 7,7 | 54.0 | 739.9 | 7,8 | |
| | % % | — | — | 100,0 | — | 245,4 | 70,4 | — | |
| 4 | აფრიკა—აბს. | 220,0 | 8,1 | 3.028.9 | 22,4 | 7,0 | 632,8 | 6,8 | |
| | % % | — | — | 100,0 | — | 36,4 | 20,8 | — | |
| 5 | ავსტრალია—აბს. | 15,1 | 0,5 | 855.7 | 6,4 | 2,0 | 788,1 | 8,4 | |
| | % % | — | — | 100,0 | — | 9.0 | 92,1 | — | |
| | სულ—აბს. | 2 737.0 | 100,0 | 13 534.5 | 100,0 | 22,0 | 9.419.5 | 100,0 | |
| | % % | — | — | 100,0 | — | 100,0 | 69,6 | — | |

[11] Экономика Капиталистических стран, стат. сборник. Внешторгиздат, М., 1959, გვ. 9.

[12] И. Д. Гулати. Орошение в разных странах мира. Сельхозгиз, М., 1957, გვ. 10—11.

ზღვა და ხმელეთი განუწყვეტლივ იცვლიან თავიანთ მდებარეობას და ცდილობენ წყალიჯონ ერთმანეთს ესა თუ ის ნაწილი. წყალი და ატმოსფერო, სიმძიმის ძალისა და მზის სითბოს ზეგავლენით, შეადგენენ ნეპტუნურ ძალებს, რომელნიც დედამიწის ბირთვის შინაგან სითბოშია ჩამალული და მიმართავენ მთელ თავის სიმძლავრეს იქითკენ, რომ მოშალონ დედამიწის შესაძლო სისწორე—ტატნობრიობა და ამით ხელი შეუწყონ მის დანაოჭებას, დახეთქვას და დანაკეთულობას.

ვიდრე დედამიწა არ დაკარგავს თვითარსებობის უნარს სამყაროს სხვა სხეულთა შორის, ან ვიდრე ის მთვარის მსგავსად არ დაკარგავს თავის ატმოსფეროს და ჰიდროსფეროს, მანამ არ შეწყდება ვულკანიზმისა და ნეპტუნიზმის მეტოქეობა, არ შეწყდება ხმელეთის და ზღვის საუკუნოებრივი გადანაცვლება, არ დამთავრდება დედამიწის ზედაპირის ცვალებადობა.

დედამიწის თანამედროვე შესახედაობა მხოლოდ დროებითია, ხანმოკლე და მხოლოდ ერთ-ერთია მის მრავალგვარ მორთულობათაგან, რომელსაც იგი დიდი თუ მცირე სისწრაფით იცვლის და მუდამ ცდილობს თავისი სახის განახლებას. ხმელეთისა და ზღვის საუკუნოებრივი ცვლილება ყველაზე უფრო ცელი, სამაგიეროდ ყველაზე ზუსტი და უტყუარი საშუალებაა ამ განახლებაში. ზღვათა და კონტინენტების თანამედროვე განაწილება მხოლოდ მცირეოდ ცვალებადია. ჩვენი დროის წინამდებარე გეოლოგიური ეპოქისაგან ის მკვეთრად განსხვავდება და ჩვენს ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე მხოლოდ დაკვირვებაა საჭირო, რათა გამოვიცნოთ მომავალი ეპოქისათვის მზადებაში მყოფი ცვლილებანი". ეს სიტყვები ჩვენს ატმოსფერო ენერგიისა და კოსმოსური უსახურული სივრცეების ათვისების ეპოქაში, იმ დროზე უფრო მეტი დამაჯერებელობით ჟღერს.

ამ მოვლენებთან იყო და არის დაკავშირებული ჩვენი დედამიწის თბიერებისა და ჰავის, წყლისა და ხმელეთის წარსული, თანამედროვე და მომავალი რაოდენობრივი და თვისობრივი მდგომარეობა. ეს მოვლენები განაპირობებენ იმას, რომ ადამიანის მრავალსაუკუნოვანი არსებობისა და მზარდი მეცადინეობის მიუხედავად, მან ხმელეთისა და წყლის სივრცეთა მხოლოდ ერთი ნაწილი ათვისა და გამოიყენა. მაგალითად, დღემდე ადამიანისათვის ვარგისად ნიჩხეული—დამუშავებული მიწა, ტყე-ბუჩქნარი, სათიბ-საძოვარ-საბალახოები და სხვა ვარგისი ფართობი შეადგენს—ხმელეთის—69,6%; ცალკე კონტინენტების მიხედვით კი, ვარგისი მიწის ნაწილი მთელ ფართობში დიდად განსხვავებულია (იხ. ცხრ. 2).

აქედან ჩანს, რომ დამუშავებული მიწების მსოფლიო ფართობიდან: აზიაში—39.7%, ამერიკაში—37,3%, ევროპაში—7,8%, აფრიკაში—6,8% და ავსტრალიაში—8,4%. ეს გაპირობებულია იგივე ბუნებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებით: ხმელეთის გაადგილება, სხვადასხვა გეოგრაფიულ სარტყელში და ოკეანეთა სივრცეში შეჭრილ-შემოჭრილობა, კლიმატური ზონები, მთა და ბარი, კონტინენტური და ოკეანეთა წყლების, მზისა და ჰაერის მოქმედება და სხვ.; ამასთანავე ადამიანთა ინტერესების ჭიდილი; ტომებისა და კლასების ანტაგონიზმი, რასებისა და ეროვნებათა შეჯახებანი, ბარბაროს დამპყრობელთაგან მოსახლეობის ჟლეტა, დოვლათის მოსპობა, მთელი ქვეყნების ოხრება და სხვა... აი, რა აუდაბურებდა ქვეყნებსა და წარმოშობდა უდაბნოებს, რომელიც შემდეგ ბუნების სტიქიური მოვლენების შედეგად სულ ფართოვდებოდა და ახალ ტერიტორიებს მოიცავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2

დამუშავებული და სარწყავი ფართობის დინამიკა მსოფლიოში კონტინენტების მიხედვით (მლნ-ჰა)

| №№ რიგებ. | კონტინენტები | წლები და მაჩვენებლები | | | | | | | | | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1930[13] | | 1955[14] | | | | | | | |
| | | სარწყავი ფართობი | | დამუშავებ. ფართობი | %%-ობით | | სარწყავი ფართობ. აბს. | %%-ობით | | | |
| | | აბს. | %% | | ჯამთან | ვარგისი ფართობ. | | ჯამთან | ვარგის ფართობ-თან | დამუშ. ფართობ-თან | |
| 1 | აზია—აბს. . . . . | 56,2 | 70,4 | 565,1 | 50,8 | 15,1 | 90,38 | 74,4 | 2,4 | 15,9 | |
| | %% | 100,0 | — | 100,0 | — | — | 160,8 | — | — | — | |
| 2 | ამერიკა—აბს. . . . . | 13,3 | 16,6 | 361,6 | 32,5 | 10,3 | 17,15 | 14,1 | 0,5 | 4,7 | |
| | %% | 100,0 | — | 100,0 | — | — | 128,1 | — | — | — | |
| 3 | ევროპა—აბს. . . . . | 6,1 | 7,4 | 131,5 | 11,8 | 17,7 | 8,24 | 6,8 | 1,1 | 6,3 | |
| | %% | 100,0 | — | 100,0 | — | — | 135,0 | — | — | — | |
| 4 | აფრიკა—აბს. . . . . | 4,0 | 5,0 | 37,8 | 3,4 | 5,9 | 4,87 | 4,0 | 0,8 | 12,8 | |
| | %% | 100,0 | — | 100,0 | — | — | 121,7 | — | — | — | |
| 5 | ავსტრალია—აბს. . . | 0,5 | 0,6 | 16,4 | 1,5 | 2,1 | 0,80 | 0,7 | 0,1 | 0,5 | |
| | %% | 100,0 | — | 100,0 | — | — | 160,0 | — | — | — | |
| | სულ—აბს. | 80,0 | 100,0 | 1.112,4 | 100,0 | 11,8 | 121,3 | 100,0 | 1,2 | 10,9 | |
| | %% | 100,0 | — | 100,0 | — | — | 151,6 | — | — | — | |

[13] О. Израэльсен, Научные основы и практика орошения, перев. с английского., Сельхозгиз, М., 1936, გვ. 8.

[14] Н. Д. Гулати. გვ. 10—11; იხ. აგრეთვე, проф. Е. Е. Скорняков, Оросительные и осушительные мелиорации, М.—1930, გვ. 8.

„უდაბნოებს და ნახევარუდაბნოებს უჭირავს ხმელეთის ზედაპირის ერთი მესამედი. ადამიანის მიერ ასე თუ ისე დამუშავებული მიწის ყოველ ჰექტარზე მოდის 2,5 უდაბნო. მხოლოდ წყლის უკმარისობის გამო, რომ არაფერი ვთქვათ სოციალურ მიზეზებზე, დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 60% უბადრუკად არსებობს და ნახევრად მშიერ ულუფაზეა. ყველა ქვეყნისა და ცალკეული ტერიტორიების მოსახლეობის დაახლოებით ორი მესამედი ცხოვრობს მარად დაუკმაყოფილებელი წყურვილის ზღუდეში.

დედამიწას გარს არტყია უდაბნოთა ორი სალტე. ჩრდილოეთი ტროპიკის გასწვრივ გადაჭიმულია მექსიკის და საჰარის, მცირე, შუა და ცენტრალური აზიის, ინდოეთისა და სხვა უდაბნოები, სამხრეთი ტროპიკის გაყოლებით კი, მდებარეობენ გრან-ჩაკოსა—სამხრეთ ამერიკაში, კალახარი და კარრუ—აფრიკაში, დიდი ცენტრალური—ავსტრალიაში და სხვა უდაბნოები, მათი გეოგრაფიული მდებარეობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს დედამიწის ჰავას“[15]. უდაბნოთა მთავარი ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისებურება არის წყლის უკმარობა და უხვი სითბოს სადღეღამისო თუ სეზონური რყევადობის მაღალი ამპლიტუდა.

ასე არ ყოფილა დასაბამიდანვე. შუა აზიის ქვიან-თიხიანი და ქვიშიანი უდაბნოები ძველი კულტურის აკვანი იყო ოდესღაც უზარმაზარი სახელმწიფოებისა (ხორეზმის, სამარყანდის და სხვ.), რომელნიც ვრცელდებოდნენ ერაყიდან ტიანშანამდე და ინდოეთიდან ვოლგისპირეთამდე... დიდი ხნის წინათ აოხრებულ-მოკვდინებული ციხე-ქალაქების, მელიორაციული და სხვა ჰიდროტექნიკური ნაგებების ქვა-ქვიშაში ღრმად ჩაფლული ნაშთები არიან იქაური ოდესღაც მაღალი ცივილიზაციის და კულტურის იდუმალი მოწმენი. ასეთები სხვა ადგილებზეც მრავალია. ისინი აღმოჩენილია ჩინეთში, ინდოეთში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, საჰარის მოსაზღვრე მიდამოებში. მის ცენტრალურ ნაწილში და სხვა; აგრეთვე სხვა ადგილებშიც—ამერიკის კონტინენტზე—მექსიკა, პერუ და სხვა; უფრო მეტადაა გამოვლინებული ასეთი ნაშთები საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე—ამიერკავკასიაში (ურარტუს სახელმწიფო XIII—IX სს. ჩვენს ერამდე), შუა აზიაში და სხვ.

ცივილიზაციის იმ დროს ამ აყვავებულ კერებში ამჟამად სუფევს ქვა და ქვიშა, ქარსიცხე და მძაფრი, დაუოკებელი, მომაკვდინებელი წყურვილი. ამ პირობებშიაც კი, ჩვეულებრივ დიდი თუ ხანგრძლივი ქარსიცხე, ხორშაკი, შავი მტვერი და ბუღი მაინც ვერ უშლის ხელს შესაბამის მცენარეულობას. ზოგ მათგანს ყოველგვარი ტენის სულ მცირე მარაგის ან ასკეტურად (აგავა, კაკტუსი, ველეიჩა, მირაბილისა და სხვ.) და ან დიდი მომჭირნეობით (ქსეროფიტები) გამოყენების უნარი აქვთ უდაბნოს სხვადასხვა ადგილებში; იქ კი, სადაც ბუნებრივი წყარო ან ხელოვნური ჭებია (არტეზიული ჭები ან კიაჭრიზები) შესანიშნავი სპეციფიკური მუქი-მწვანე მცენარეები (პალმები და სხვ.) გვაროსბს, წარმოიშობა ოაზისები და ხარობს სიცოცხლე, ამას არა მარტო ადგილობრივი, არამედ მსოფლიო მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს; მაგალითად, ნ. გორსკი აღნიშნავს, რომ: აფრიკისა და არაბეთის უდაბნოების ოაზისებში მიღება ფინიკის მოსავლის 100% და, გარდა ამისა, ბამბის მსოფლიო მოსავლის 30%“ (გვ. 135). მაგრამ ასე ყველგან როდია—სამხრეთ ამერიკის და უფრო მეტად ავსტრალიის დიდი ცენტრალური უდაბნო გადახრუკულია და წარმოად-

[15] Н. Н. Горский, Вода чудо природы. Изд. АН СССР, М., 1962, გვ. 137.

გენს ქვისა და რკინის სამყაროს. ადამიანების მაშინდელმა უგუნურებამ აქცია ასეთად, ხოლო ბუნების სტიქიურმა ძალებმა კიდევ უფრო დააქნინეს უდაბნოები და ადამიანისაც ვალია ახლო ხანში არა მარტო დაუბრუნოს მათ ძველი ძალის სიცოცხლე და დოვლათიანობა, არამედ ბევრად უფრო გააფართოვოს წარმოებრივი ძალები და ახლანდელ ოაზისებზე უფრო უკეთესი სახე მისცეს მათ მთელ ტერიტორიას დღევანდელი მეცნიერებისა და ტექნიკის მთელი ძალების მეშვეობით. თანამედროვე და უფრო მეტად ხვალინდელი ადამიანის შეძლებლობანი უდაბნოთა გაცოცხლებისათვისაც უხვად ამოქაჩავს წყალს დიდ სიღრმეებში არსებული წყლის ვეებერთელა მარაგიდან; ამასთანავე უკვე რეალურია ზღვების წყლის გამტკნარება ატომური ენერგიის საშუალებით. უდაბნოები ადამიანების სამსახურში მასობრივად ჩადგება მომავალში. დღეს-ხვალ კი, საჭიროა გაძლიერდეს, და ასეც ხდება, მსოფლიოს შესაბამის ქვეყნებში მელიორაციის თანამედროვე ყველა მოწინავე სახეების გონიერული ფარათი შესწავლა, რათა მთლიანად და მაღალეფექტიანად იქნეს გამოყენებული მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში არსებული მიწების განსხვავებულად დატეხიანებული სამი ძირითადი ნაწილი: ჭარბი ტენიანობის—დაჭაობებული და ჭაობი ადგილები, ნაკლებ ტენიანობის—გვალვიანი მიწები და მათ შორის გარდამავალი—მერყევი დატენიანების არეები. ამისათვის შემუშავებული მელიორაციის სახეთაგან, ვიმეორებ, ყველაზე გავრცელებული და მნიშვნელოვანია ირიგაცია და ამიტომ პირველ რიგში მისი განხილვა მოვიხსენიეთ საჭიროდ.

ნ. გულატის მიერ სისტემატიზებული მონაცემების მიხედვით, 1955 წელს მსოფლიოში სარწყავი მიწების ფართობი უდრიდა 121,3 მლნ ჰექტარს. დღეისთვის, რასაკვირველია, ეს ფართობი ბევრად მეტია. სწორედ ამ ბოლო ათწლეულში შეიმჩნევა ირიგაციის ინტენსიური გაფართოება ყველგან და განსაკუთრებით სოციალისტურ ქვეყნებში—სსრკ, რუმინეთი, ბულგარეთი, კორეა, ჩინეთი და სხვა; აგრეთვე, „მიუმხრობელი" ქვეყნებიდან—ინდოეთი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა და ბევრი სხვა ქვეყანა. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის გამოქვეყნებული მსოფლიო მასშტაბით სისტემატიზებული ახალი მასალა; ამიტომ მონაცემები სარწყავი მიწების ოდენობათა შესახებ მსოფლიოში დ. კონტინენტებზე აქ მოტანილია 1930 და 1955 წწ. მიმართ (იხ. ცხრ. № 2 ზემოთ).

მეოთხედი საუკუნის მანძილზე სარწყავი მიწების მსოფლიო ფართობი გაზრდილია 41,3 მლნ ჰა-მდე, ანუ 51,6%-ით. ზრდის ეს ტემპი კონტინენტების მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია, რაც უნდა აიხსნას პირველ რიგში სოციალურ-ეკონომიკური პირობებით და ამასთანავე ცალკეული კონტინენტების დამახასიათებელი ბუნებრივი გარემოთიც—ირწყვის საჭიროების და აუცილებლობის ხარისხით, სარწყავი მიწათმოქმედების მოცულობით. ასე მაგალითად, „დადგენილია, რომ დედამიწის ზედაპირის ერთ მესამედზე ყოველწლიურად მოდის 250 მმ ნაკლები ნალექი და რომ მეორე მესამედზე—250—500 მმ. აშშ ვაჭრობის ბიურომ გამოაქვეყნა ნაკლებნალექიანი ზონების შემდეგი გეოგრაფიული განაწილება: აფრიკის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, სამხრეთი ამერიკა, ავსტრალია, აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილი, ჩრდილოეთ ამერიკისა და აზიის ჩრდილოეთი და დასავლეთი ნაწილები და სამხრეთ ევროპის რაიონები. ასეთ ზონებს ეკუთვნის კანადის რაიონებიც 101 მერიდიანის დასავლეთით, ჩრდილოეთ-დასავლეთი ინდოეთი მდ. განგამდე, ავსტრალიის მეტი ნაწილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალსტრინა, ერაყი, სამხრეთ აფრიკის მნიშვნელოვანი ნაწილი მიმდებარე ოლქებითა და სუდანი. ვრცელი ნახევრადგვალვიანი რაიონებია აგრეთვე ჩინეთში, იაპონიაში, შუა აზიაში, ეგვიპტეში, აშშ დასავლეთ ნაწილში, მექსიკაში და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში"[16].

აზია—პირველი და მთავარი კონტინენტია ირიგაციის დარგშიც. მაგალითად, დამუშავებული ფართობი ვარგისი ფართობის მხოლოდ 15,1%-ია, ხოლო სარწყავი ფართობი კი უდრის ვარგისი ფართობის 2,4% და დამუშავებული მიწების 15,9%. აღსანიშნავია, რომ 1930—1955 წწ. აზიის სარწყავი ფართობი გაიზარდა 60,8%-ით; ეს ზრდა მსოფლიო სარწყავი ფართობის ზრდაზე მეტი იყო 9.2% და შეადგენდა 34,2 მლნ ჰექტარს. ამან გაზარდა მისი ხვედრიწონა მსოფლიო სარწყავ ფართობში—4% და აზიის დამუშავებულ მიწებში—5%. დამახასიათებელია, რომ აზიაშია მსოფლიო სარწყავი მიწების ოთხი მეხუთედი და მათი გაფართოების ტენდენცია გასწრებადია ყველა სხვა კონტინენტთან შედარებით.

ეს ნორმალურად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მსოფლიოს ამ უდიდეს კონტინენტზე ნაადგამ მორწყვის გარეშე თითქმის გამორიცხულია ინტენსიური შეწთმოქმედება. აზიაშია უძველესი ცივილიზაციის და კულტურის რამდენიმე კერა, სადაც მიწები ადრიდანვე ირწყვებოდა: აღმოსავლეთის (ჩინეთი, იაპონია, კორეა და სხვ.), სამხრეთ აღმოსავლეთის (ინდოეთი, პაკისტანი, ინდონეზია და სხვა), სამხრეთის (ინდოჩინეთი—ვიეტნამი, ინდონეზია, მალის ფედერაცია და სხვ.), ახლო-აღმოსავლეთის (ამიერკავკასია, ირანი, ერაყი, ასურეთი, თურქეთი და სხვ.) და შუა აღმოსავლეთის (ყაზახეთი, შუა აზია, ავღანეთი და სხვ.). ამასთანავე ვრცელ ტერიტორიაზე ბუნებრივი ტენი საკმაოა სოფლის მეურნეობისათვის—ზღვისპირეთში, საერთოდ შორეულ აღმოსავლეთის ჩრდილო ნაწილში, სადაც კუროსიოს თბილი დინება ჰავას აზომიერებს და ხელსაყრელს ხდის ამისათვის.

აზიის ცენტრალურ ნაწილში კი, მდებარეობს ვრცელი უდაბნოები—გობი, ჩინეთის მიმდებარე მასივები, ინდოეთის დასავლეთი ნაწილი (ბენგალი), პაკისტანის ნაწილი; დიდი თუ პატარა უდაბნოებია, აგრეთვე, შუა აზიაში (ყარაყუმი და ყიზილ-ყუმი). სხვა უდაბნოები არალისა და კასპიის ზღვებს შორის, ავღანეთში, ირანში და სხვ; უდაბნოს უჭირავს არაბეთის ნახევარკუნძულის მეტი ნაწილი და სხვა. ჰავასა და კლიმატ ნალექების განაწილებაში ამ უდიდეს კონტინენტზე მკვეთრი სხვაობაა და აგრეთვე დასახლება, მეურნეობის ხასიათი და დონეც მკვეთრად განსხვავებულია.

ამერიკა—ხმელეთის მთელი ტერიტორიის (31,2%) და სარწყავი ფართობის (14.1%) ოდენობით მეორე ადგილზეა მსოფლიოში; თუმცა მოსახლეობის (13,7%) სიმჭიდროვით 2,5-ჯერ ჩამორჩება მსოფლიო სიმჭიდროვეს და იგი დამუშავებული ფართობითაც მეორე (32,5%) ადგილზე იმყოფება. სარწყავი მიწები გაადგილებულია კლდოვანი მთაგრეხილებისა და კორდილიერების მიმდებარე რაიონებში; ის ამერიკის კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილში დაახლოებით 4-ჯერ მეტია, ვიდრე სამხრეთში. ჩრდილოეთ ამერიკაში სარწყავი მიწების ძირითადი ნაწილი მოიპოვება აშშ დასავლეთ ნაწილში; ასეთი მიწებია, აგრეთვე, აღმოსავლეთ ნაწილშიც, მაგრამ ძალზე მცირე. აქ ნალექები

[16] О. Израэльсен, Теория и практика орошения, Изд. И. Л., М., 1956, გვ. 6.

თითქმის საკმარისი რაოდენობით მოდის. დასავლეთი შტატების ისეთ ნაწილში კი, როგორც, მაგალითად, ცენტრალური და სამხრეთი კალიფორნია, სოფლის მეურნეობა მთლიანად დამოკიდებული მორწყვაზე. ნაკლებ არის დამოკიდებული ეს დარგი ირიგაციაზე კანადაში და რაც უფრო ვუახლოვდებით ჩრდილოეთ თუ სამხრეთ ეკვატორიალურ ზონებს (მექსიკა, ჩილი, არგენტინა, პერუ და სხვ.), მით უფრო მწვავდება მორწყვის საჭიროება.

სარწყავი ფართობის ზრდის ტემპი ამერიკაში არ იყო მაღალი და მსოფლიო ტემპს ჩამორჩებოდა 23,5%; ამის გამო მისი ხვედრიწონა სარწყავი მიწების მსოფლიო ფართობში შემცირდა კიდეც 2,5%; ამერიკაში (ავსტრალიას გარდა) ყველაზე დაბალია სარწყავი მიწების ხვედრიწონა ვარგის მიწებში—0,5% და დამუშავებულ ფართობში—4,7%. ამის მიუხედავად, აღსანიშნავია, რომ პიდროტექნიკის, ე. ი. ირიგაციული და სხვა ნაგებობების, ქსელის ექსპლოატაციისა და მთლიანად მელიორაციის თეორიისა და პრაქტიკის აქაური მიღწევები საყურადღებოა და მნიშვნელოვანწილად განაზიარებელი. განსაკუთრებით ბეჯითად უნდა იქნეს გათვალისწინებული წყლის რესურსების კომპლექსურად (წყვა, ენერგეტიკა, ტრანსპორტი და სხვ.) გამოყენების პრაქტიკა.

ევროპა—დიდი ისტორიის, მაღალი ცივილიზაციისა და კულტურის კონტინენტია. სიერცით ის მეოთხე ადგილზეა და უჭირავს ხმელეთის მსოფლიო ტერიტორიის მხოლოდ 7,7%; მოსახლეობით კი იგი მეორე ადგილზეა; აქ ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 21% და ერთ კვ. კმ ყველაზე მეტი—54 კაცი მოდის. სხვა გარემოებებთან ერთად ამასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ აქ ადრე მოხდა დამუშავებისათვის გამოსადეგი მიწების ათვისება. რაც შეეხება ვარგის მიწების სიმცირეს—70,4%-ს, ეს აიხსნება მისი დიდი მთაგორიანობის, დაბლარეებისა და არხების, გზებისა და კავშირგაბმულობის, მრეწველური, სოფლისმეურნეობრივი, კომუნალური, კულტგანათლების და სხვ. ყოველგვარი წარმოება-დაწესებულებათაგან სოფლად და ქალაქად დაკავებული მიწების დიდი ხვედრიწონით.

სარწყავი მიწების ზრდის ტემპიც რომ უფრო დაბალია ევროპაში, ვიდრე მსოფლიოში, ეს აიხსნება ატმოსფერული ნალექების შედარებით სიუხვით. აქ ნაკლებია სხვაობა ნალექებსა და აორთქლებას შორის; კონტინენტის ჩრდილოეთი ნაწილის ჰავას ახასიათებს ჰოლფსტრიმის თბილი დინება. ევროპის მხოლოდ მცირეოდენ რაიონებში—საფრანგეთის, ესპანეთისა და იტალიის სამხრეთი ნაწილები, ნიდერლანდი და ბალკანეთის ნახევარკუნძული (სალერნოსთი, იუგოსლავია, რუმინეთი, ბულგარეთი); ავრეთვე სსრკ ევროპული ნაწილის სამხრეთი რაიონები (მოლდავეთი, უკრაინა, როსტოვისა და სარატოვის ოლქები, ჩრდილოეთ კავკასიის, ვოლგისა და კასპიის ზღვისპირეთის მიწები) საჭიროებენ ინტენსიურ მორწყვას.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპის კონტინენტი ყველაზე უფრო დასახლებული, ათვისებული და ინტენსიური მეურნეობის მქონეა, აქ მელიორაციის განვითარებას კვლავ დიდი ყურადღება ექცევა.

აფრიკა ტერიტორიის ოდენობით (22,4%) მესამე და მოსახლეობით (8,1%) და მისი სიმჭიდროვით (7 სული) მეოთხე ადგილზეა; აქ არის მსოფლიოს უდიდესი უდაბნო საჰარა და სხვა მრავალი უდაბნო, ალყირში, ტუნისში, მაროკოსა და ჩრდილოეთ და სამხრეთ აფრიკის შიგა და დასავლეთ მთელ რიგ ნაწილებში—ქვის, ხრეშის. ქვიშის გავრცელებული უსაზღვრო სივრცეებია. ეკვატორიალურ-ტროპიკული ჰავა, მდინარეთა ძალზე მცირე ქსელი და ნაკლებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უეჭრილ-შემოჭრილი სანაპირო ხაზი, უზარმაზარ ფართობზე თითქმის აუტანელ პირობებს ქმნიან დასახლებისათვის; ამიტომ ერთ კვ. კმ-ზე მხოლოდ 7 სული მოდის და ამ დიდი კონტინენტის მოსახლეობა შეადგენს მსოფლიო მოსახლეობის მარტო 8,1%; ვარგისი მიწების ხვედრიწონა აქ ყველა კონტინენტზე უფრო ნაკლებია—6,8%; აქედან დამუშავებულია 5,9% რაც შეადგენს მსოფლიოში დამუშავებული მიწების 3,4%.

ჰავის ყველაზე (ავსტრალიას გარდა) ცუდი პირობების გამო აფრიკის უდიდეს ფართობზე წარმოუდგენელია ურწყავი მიწათმოქმედება; მაგალითად, ეგვიპტეში მთელი დამუშავებული მიწები სარწყავია და ამ კონტინენტის სარწყავი ფართობის 59,2% უდრის; ხოლო აფრიკის სარწყავი მიწა მსოფლიოს სარწყავ მიწაში მხოლოდ 4% შეადგენს. ამის მიუხედავად აქაური სარწყავი ფართობი სხვა კონტინენტებთან შედარებით ბევრად უფრო ნაკლები ტემპით იზრდება: 1930—1934 წწ. ზრდა უდრიდა 870 ათას ჰექტარს—21,7%; ამას მოყვა მისი ხვედრიწონის შემცირება ერთი პროცენტით.

ეს გარემოება ადვილი ასახსნელია თუ გავიხსენებთ, რომ სწორედ 1955 წლამდე აფრიკაში შეუზღუდველად ბატონობდნენ კოლონიზატორები და გაშბაგებით იტაცებდნენ აქტიურ ბუნებრივ სიმდიდრეებს; მელიორაციულ სამუშაოებზე კი ფულს ნაკლებად ხმარობდნენ. უკანასკნელ ათწლეულში აფრიკის რამდენიმე ათეულ ქვეყანაში კოლონიალიზმის ხუნდების ზედიზედ დამსხვრევამ აქაური ხალხის შემოქმედებით პოტენციას გაუაქანა მისცა. ამის მკაფიო მაგალითებიდან საკმაოა მოვიგონოთ სუეცის არხის მუშაობის გაუმჯობესება მისი ნაციონალიზაციის შემდეგ და მდ. ნილოსზე ასუანის კაშხალის მშენებლობა საბჭოთა კავშირის დახმარებით. აფრიკის ამჟამინდელმა მეურნეობრივმა და პოლიტიკურმა განვითარებამ უკვე შეცვალა და კიდევ მეტად გარდაქმნის ძველ პროპორციებს მის ცხოვრებაში.

ავსტრალია, ახალი ზელანდია და ოკეანია თანამედროვე ცივილიზაციას ყველა კონტინენტზე გვიან ეზიარნენ. მათ შორის უფრო დასახლებულია და განვითარებული ოკეანეთა და ზღვათა სანაპირო ზოლი და განსაკუთრებით სამხრეთ-აღმოსავლეთი. უდაბნოა და უკაცრიელი ავსტრალიის ცენტრალური უდიდესი ნაწილი: მისი ტერიტორია—855,7 მლნ. ჰექტარია (საიდანაც ავსტრალიაში—761,5 მლნ. და შეადგენს მთელი ხმელეთის 6,4%. მასზე მხოლოდ 15,1 მილიონი კაცი, მსოფლიო მოსახლეობის 0,5%, ცხოვრობს; 1 კვ. კმ მოდის ყველაზე ნაკლები მოსახლეობა—2 სული. დამუშავებულია მხოლოდ 1,5% მსოფლიოში დამუშავებული მიწებიდან; მორწყულია ამ ფართობის 0,5%, რაც შეადგენს მსოფლიოს სარწყავი მიწების 0,6%-ს.

ავსტრალია უპირატესად არის დამშრალი მდინარეების. მზისაგან ამომწვარი ქვაქვიშიანი ვაკეების და საცოდავად მწირი მცენარეულობის ქვეყანა. ოდესღაც აქ დიდი შინაგანი ზღვა ყოფილა. მის გარშემო სანაპიროზე ლაღი მწვანე მცენარეულობა ყვაოდა. გეოლოგიურმა მოვლენებმა ზღვის ფსკერი მაღლა ამოსწია და ხმელეთი გაჩნდა, რომელიც შემდეგ საშინელ უდაბნოდ გადაიქცა. წყლის სიუხვე საყოველთაო წყურვილმა შეცვალა. ამ ვრცელ ნაწილზე წელიწადში 50—100 მმ ნალექი მოდის; ყოველივე ცოცხალი ქრება ან გარბის აქედან. მის ცენტრში ერთადერთი—შირის ტბაა, რომლის წყალი ძალზე მლაშეობია და გამოუსადეგარი.

ავსტრალიის მეურნეობა მრავალმხრივად (უპირატესად მეცხვარეობა) ვითარდება და სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის მელიორაციას ყურადღება ექცევა. აქ სანალიზო პერიოდში სარწყავი ფართობი 60%-ით გაიზარდა და ეს ტემპი მატულობს.

„მორწყვა—ძველი ხელოვნებაა. სარწყავ მიწებზე წარმოიქმნებოდნენ ცივილიზაციები, მაგრამ ირიგაციასთან დაკავშირებული ცივილიზაციები ქვეითდებოდნენ და ინგრეოდნენ. აშშ და კანადაში ირიგაცია ჯერ კიდევ თავისი განვითარების დასაწყის სტადიაშია. მორწყვის საკითხების კარგად მცოდნე პირთა უმრავლესობა დარწმუნებულია ხანგრძლივი სარწყავი სისტემების შექმნის შესაძლებლობაში, თუ მათი ექსპლოატაცია რაციონალური იქნება. სხვებს კი მიაჩნიათ, რომ სარწყავი მიწათმოქმედების საფუძველზე შექმნილი ცივილიზაცია, ადრე თუ გვიან დაეცემა ისე, როგორც ზოგიერთი ძველი ცივილიზაცია. ცივილიზებული ერების ხანგრძლივი არსებობა, ცხადია, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მწარმოებლურობის მხრივ მყარი სოფლის მეურნეობა (O. Израэлсен, 1956 г., გვ. 5).

ძნელია დავეთანხმოთ მეოცე საუკუნეში ცივილიზაციის ბედის ასეთ დაკავშირებას მარტო მორწყვის საქმისა და სოფლის მეურნეობის მომავალთან; რასაკვირველია, მორწყვაც უნდა გაფართოვდეს და განმტკიცდეს, მაგრამ ცივილიზაციის შემდგომ განვითარებაზე მოქმედ ფაქტორთა შორის იგი მაინც ერთ-ერთია და არა უპირველესი. როგორიც არ უნდა იყოს მისი მნიშვნელობა. მომავლის ინტერესები მოითხოვს ბეჯითად შევისწავლოთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ირიგაციის, მელიორაციის და მთელი წყალთა მეურნეობის (ჰიდროტექნიკის) დარგში არსებული გამოცდილება და მისი გონივრული გამოყენებით გავიადვილოთ საერთო წინსვლის დიდი ამოცანების წარმატებით გადაჭრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბატონყმობის გაუქმება აღმოსავლეთ საქართველოში*

ი. ანთელავა

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტ.)

კაპიტალიზმის განვითარებამ, ძველი სოციალ-პოლიტიკური წყობილების სიღრმეში, რომელიც ესოდენ მკაფიოდ გამომჟღავნდა ყირიმის ომის დროს, კლასობრივი ბრძოლის ჩვეულებრივზე მეტად გამწვავებამ და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ჩამოყალიბებამ განაპირობეს 1861 წლის საგლეხო რეფორმის გატარება რუსეთში.

საქართველოშიც იმავე მიზეზებმა გახადეს აუცილებელი ბატონყმობის გაუქმება. 50-იანი წლების მიწურულსა და 60-იანი წლების დასაწყისში ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი რევოლუციური სიტუაცია მეიქმნა. ამაში ზოგ სხვა გარემოებასთან ერთად (კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება, თერგდალეულების სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა და სხვა) გადამწყვეტი როლი ითამაშა სოფლის მშრომელი მოსახლეობის ენერგიულმა ბრძოლამ მიწისა და თავისუფლებისათვის. დამოკიდებულება ბატონსა და გლეხს შორის ისე გამწვავდა (განსაკუთრებით 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტის შემდეგ), რომ შეუძლებელი გახდა ძველი წყობილების ხელუხლებლად დატოვება, აგრარული პრობლემის განხილვის დაყოვნება. აი, რას წერდა ამის შესახებ მეფისნაცვალი მიხეილ ნიკოლოზის-ძე თავის ძმას იმპერატორ ალექსანდრე მეორეს 1863 წლის ივლისში: „მე, როგორც უკვე წინადაც გწერდი, მთავაცევ ამ საგანს (ე. ი. გლეხთა საკითხს—ი. ა.) მთელს ჩემს ყურადღებას და შეეცდები შეძლებისდაგვარად დავაჩქარო ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვა. მისი მოგვარება აუცილებელია გადაუდებლად, რადგანაც ურთიერთობა გლეხებსა და მემამულეებს შორის მეტად გამწვავებულია მთელს ამიერკავკასიის მხარეში, განსაკუთრებით კი ეს აქ (შეიძლება იგულისხმებოდეს ახალციხის მაზრა, სადაც მეფის ნაცვალს საზაფხულო რეზიდენცია ჰქონდა—ი. ა.) და გორის მაზრაში იგრძნობა და ჩვენც იძულებულნი გავხდით ბევრ ადგილას ეგზეკუცია გაგვეგზავნა. ძალიან ხშირად გლეხები უარს აცხადებენ გადასახადების გაღებაზე, რასაც ჩვეულების თანახმად ძველი დროიდან მათი მამები და წინაპრები იხდიდნენ. თავისუფლების მიღების მოლოდინში გლეხები ნებას აძლევენ თავს ასეთი ურჩობა ჩაიდინონ... ამასთანავე არის შემთხვევა და არც თუ ისე იშვიათი, როდესაც მემამულეები, ხელვენ რა გლეხთა საკითხის გადაჭრის მოახლოებას, ცდილობენ გამოიყენონ დარჩენილი დრო იმისთვის, რათა მითვისონ გლეხებისგან რაც შეიძლება მეტი, ამოსწოვონ მათ უკანასკნელი წვეთი»[1].

რეფორმისთვის წინასწარი სამზადისი ჯერ კიდევ 1857 წელს დაიწყო, ხოლო 1862 წელს მოწვეულ იქნა თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ყრი-

* საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარების 100 წლისთავის გამო.

[1] ЦГИАМ, ф. 678, оп. 1, д. 607, лл. 26—27.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობა, რომელმაც შეიმუშავა სახელმძღვანელო აზრები და მათ საფუძველზე სათანადო პროექტის შედგენა ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ბატონყმური ურთიერთობის შესანიშნავ მცოდნესა და ენერგიულ დამცველს დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანს დაავალა. ეს პროექტი დიმიტრი ყიფიანმა, მართლაც, შეიმუშავა ფეოდალური კლასის ინტერესების მაქსიმალური დაცვით და მას თან ვრცელი მოხსენება დაურთო, რომელშიც მოცემული იყო პროექტის ძირითადი პრინციპების დასაბუთების ცდა.

ამ მოხსენებაში[2], 1863 წ. აპრილის თვეში თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის ყრილობაზე რომ იქნა წაკითხული, პირველ ყოვლისა, გადმოცემულია საქმის ისტორია, ის, თუ როგორ შეხვდა ქართველი პრივილეგიური წოდება უმაღლესი ხელისუფლების განზრახვას და როგორ შეუდგა იგი მის ცხოვრებაში გატარებას. დასახელებულ დოკუმენტში პირდაპირ აღნიშნულია, რომ ფეოდალური არისტოკრატია მეტად შეაშფოთა ამ განზრახვამ და ყველაფერი გააკეთა მან იმისათვის, რათა სამუდამოდ ან, უკიდურეს შემთხვევაში, დროებით მაინც თავიდან აეცილებინა კარზე მომდგარი კატასტროფა. მაგრამ როდესაც ამ დონკიხოტური გეგმიდან არაფერი გამოვიდა და ძველის დარღვევის გარდუვალობა უეჭველი გახდა, თავადაზნაურობა შეეცადა მომავალი რეფორმისთვის, რომელსაც ის „დიდად სამწუხარო საქმეს“ უწოდებდა, მისთვის სასარგებლო მიმართულება მიეცა[3].

ამ მხრივ მას დიდად დაეხმარა დიმიტრი ყიფიანი. ამ უკანასკნელს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არც ცალა დაუზოგავს და არც ენერგია, რათა მომავალი რეფორმის დროს რაც შეიძლება ნაკლებად დაზარალებულიყო მიწათმფლობელთა პრივილეგიური წოდება. იგი თავის მოხსენებაში, რომელსაც მებატონეთა უდიდესმა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი[4], შესაძლებლად სცნობდა გლეხთა მხოლოდ პირად განთავისუფლებას. რაც შეეხება მიწას, ის, ყიფიანის აზრით, მემამულეთა ხელშეუხებელ საკუთრებას წარმოადგენდა და მათსავე განკარგულებაში უნდა დარჩენილიყო.

---

[2] შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში (გამოკვლევა და დოკუმენტები), თბილისი, 1950, გვ. 182—269.

[3] „რა რომ ლაპარკი გაზშირდა, — ვკითხულობთ დ. ყიფიანის მოხსენებაში, — და შემაშფოთებელი მიზეზები გაგვიმართლდა, რა რომ წინასწარი მაგალითებითაც, მმართველობის მოხელეების ლაპარაკითაც და რუსეთიდამ მომავალის ბეჯითის ამბებითაც გული დავაჯერეთ, რომ უსათუოდ ჩვენ მოგვატანა... ამ საქმემ, მაშინ ჩვენის ღირსების შესაბამად თვალი გაუსწორეთ საზარელსა ამ საქმეს და ვიწყეთ მოლაპარაკება ერთი—ერთმანეთთან, როგორც შინაობაში და კერძოობითად, ისე უეზდებში საზოგადოების თავის მოყრით. ამ კრებათა და რჩევათაგან კვალი არა დარჩენილა რა, რადგან ჩვენი ჰაზრების ქაღალდით გამოთქმას დიდათ ვერიდებოდით, და ამ საზოგადოს განსაცდელში ერთმანეთსაც ველარ ვენდობოდით, მაგრამ სამს და ოთხს წელიწადს რომ ამ მდგომარეობაში ვიმყოფებოდით, ახალს მოულოდნელს და დიდათ სამწუხარო საქმეს პირი შევაჩვიეთ და ამ საქმის შესაძლებლად კეთილ წარმართვისათვის ვიწყეთ თვითეულად ზრუნვა“ (იხ. დ. ყიფიანის მოხსენება, მოთავსებული პროფ. შ. ჩხეტიას წიგნში „საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში“, გვ. 183—184.

შემდეგში სიმოკლისათვის ეს წყარო მითითებულ იქნება ასე: დ. ყიფიანი, მოხსენება. გვერდები კი ნაჩვენები იქნება პროფ. შ. ჩხეტიას დასახელებული წიგნის მიხედვით.

[4] საკმარისია აღვნიშნოთ, რომ იმ 552 მემამულიდან, რომელიც მონაწილეობდა სიღნაღის, თელავის, თბილისისა და გორის მაზრების თავადაზნაურთა ყრილობაში, დიმიტრი ყიფიანის მოხსენებასა და პროექტს ხელი მოაწერა 536.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმის პირადი განთავისუფლებით, ვკითხულობთ, დასახელებულ მოხსენებაში, მისი მფლობელის ყოველწლიური შემოსავალი სულ მცირე 148 მან. და 38 კაპიკით შემცირდება, რადგანაც ის ამიერიდან ვერ მიიღებს ბატონყმური დამოკიდებულებიდან გამომდინარე გადასახადებს[5]. ეს მეტად საგრძნობი დანაკლისი იქნება ისედაც ღარიბ და უიმედოდ ვალში ჩავარდნილ ქართველ თავადაზნაურთათვის. საჭიროა ამ დანაკლისის ანაზღაურება, კომპესაცია. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ეს ტვირთი დააწვეს არა გლეხობას, არამედ სახელმწიფოს, რომელმაც თავის დროზე სასარგებლოდ სცნო ბატონყმობის დამყარება და ამჟამად კი მისი გაუქმება. „დრომ ითხოვა და ყმებს თავისუფლება მოსპობილ ექმნათ,—ნათქვამია მოხსენებაში[6],—დროვე ითხოვს ახლა და თავისუფლება უნდა აღდგენილ ექნეთ ხელმწიფობის (ე. ი. სახელმწიფოს—ი. ა.) სარგებლობისათვის; მაშასადამე ხელმწიფობამ უნდა გასწიოს საჭიროცა ამისათვის ხარჯი. ჩვენი საქმე არ არის, რომ ღონისძიება (ე. ი. ხარჯის დაფარვის წყარო—ი. ა.) ვუჩვენოთ; ჩვენ მხოლოდ ეს უნდა ვსთქვათ, რომ ამ ხარჯის ნაყმევებზედ შეწერა ეგოდენვე უსამართლობა იქმნება, რაოდენ უსამაგიეროდ ჩამორთმევა იმათი ჩვენგან, მით უმეტესად, რომელ ჩვენი ყმებიც დიდად გაჭირვებულს მდგომარეობაში არიან... ამის გამო უქვეშევრდომილესად ვევედრნეთ ერთმთავარსა (ე. ი. იმპერატორს—ი. ა.) ჩვენსა და ერთხმად ვიშუამდგომლოთ, რათა ყმათა ჩვენთა თავისუფლება მინიჭებულ ექმნეთ უსასყიდლოთ".

დ. ყიფიანის მოხსენებაში დაწვრილებითაა განხილული მიწის საკითხი და ის თავადაზნაურების აბსოლუტური უმრავლესობის სურვილის შესაბამისადაა გადაჭრილი. იმ 240 მემამულიდან, რომელმაც თავისი მოსაზრება გამოთქვა რეფორმის ძირითად პრინციპებზე, 226 შეუძლებლად თვლიდა გლეხისთვის მიწის საკუთრების უფლებით დამტკიცებას. „ყმებს თავისუფლებას მივსცემთ,—წერდნენ ისინი,—იმ ადგილ-მამულს, რაც უჭირავთ, ხელშეუხლებლად დაუტოვებთ, მაგრამ საკუთრებით მიცემა კი ჩვენგან მიწისა ყოვლად შეუძლებელი არისო"[7]. ამ აზრის მომხრენი აცხადებდნენ: პირველი, ქართველი მებატონეები მცირემამულიანები არიან და ამიტომ ისინი, ბუნებრივია, ვერგამოუყოფენ თავიანთ გლეხებს მიწის თუნდაც უმნიშვნელო ნაკვეთსაც კი საკუთრების უფლებით; მეორე, ყმის მესაკუთრედ გადაქცევა მებატონეს მოუსპობს ცხოვრების საშუალებას და გამოიწვევს მისი მეურნეობის სრულ აოხრება-განადგურებას. მესამე, მიწების გაუმიჯვნელობა და დაუსრულებელი დავა მამულების თაობაზე კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას. „მფლობელმა რომ დავა წააგოს და სხვა ადგილებიც ყმებს მისცეს, თვითონ რაღა დარჩეს"[8],—კითხულობდნენ პრივილეგიური წოდების წარმომადგენლები; მეოთხე, თვით გლეხებიც დარწმუნებული არიან. რომ ისინი მიწებს საზღაურის გარეშე ვერ მიიღებენ საკუთრებად, რადგანაც კარგად იციან, რომ მებატონეებს მამულების უმეტესი ნაწილი „ნასყიდობით აქვსთ შეძინებული"[9]; და მეხუთე „გლეხთაგან (ხშირად) გვესმის: თუ თავისუფლება გვეძლევა და მამული კი უნდა შევისყიდოთო, მაშ უფლებაც უნდა გვქონდეს, რომ ჩვენის

---

[5] დ. ყიფიანის მოხსენება, გვ. 210—211.

[6] იქვე, გვ. 268.

[7] იქვე, გვ. 218.

[8] იქვე, გვ. 219.

[9] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებით შეგვეძლოს მოპოება მამულისა. თუ ჩვენის შრომით შევისყიდით მამულს, ნება უნდა გვქონდეს თავისუფლად მოვიპოვებდეთ იმ მამულსა, რომელსაც და სადაც ვისურვებთო“[10].

დ. ყიფიანი არა მარტო დაეთანხმა თავადაზნაურთა უმრავლესობის ამ მოსაზრებას, არამედ მან ზოგი დამატებითი არგუმენტიც დაასახელა. მისი აზრით, გლეხისთვის მიწის საკუთრებად მიცემის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობდა მრავალი ბუნებრივი და ზნეობრივი ხასიათის მიზეზი. ბუნებრივი მიზეზების რიცხვს აკუთვნებდა ის, მაგალითად, გაუგებრობას, რომელსაც, მისი ღრმა რწმენით, უეჭველად წარმოშობდა სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის მამულების საკუთრების უფლებით დამტკიცების შეუნელებელი ტენდენცია. „ვისაც ჩვენი მდგომარეობა გაეგება,—ამბობდა დ. ყიფიანი თავის მოხსენებაში[11],—ბეჯითად იცის (ტექსტში წერია „ვიცით“—ი. ა.), რომ რასაც (დედანშია „რაც“—ი. ა.) დღეს ჩვენი ყმები ჩვენს ადგილ-მამულებსა ჰხმარობენ, იმისი ერთიანად იმათთვის მისაკუთრება ყოვლად შეუძლებელია; და თუ მოუკელით, ნაწილი მივეცით..., თუნდ უდიდესი..., უსათუოდ გვიწყენენ და იქნება სამარადისოდცა დაგვემდურნენ. მაშასადამე, კაცობრივის ბუნებით შეუფერებელი იქნება ამგვარი მიცემა ჩვენგან, რადგან დაჰბადებს მადლობის მაგივრად... უმადურებასა და ერთმანეთის მტრობასა“.

იმავე ხასიათის მიზეზებს მიათვლიდა დ. ყიფიანი მამულების გაუმიჯვნელობას, რასაც, როგორც ზევით ვნახეთ, სხვებიც ასახელებენ. გლეხისთვის მიწის საკუთრებად მიცემა,—ნათქვამია მის მოხსენებაში,—კიდეც რომ სასარგებლო იყოს ორივე მხარისთვის, მაინც „ბუნებითად შეუძლებელია“ მისი ცხოვრებაში განხორციელება, რადგანაც ამისთვის აუცილებელია დანამდვილებით ვიცოდეთ, თუ რომელ გლეხს რამდენი მამული სჭირია იმისათვის, რომ მან იცხოვროს „ჩვენგან ხელის გამართვის“ გარეშე. ამასთანავე, ცხადია, უნდა ვიცოდეთ ისიც გვაქვს თუ არა საერთოდ იმდენი, რომ „იმათაც საკუთრებად მივსცეთ“ და საკუთარი თავიც ვარჩინოთ. „მანამდის ჩვენი ადგილ მამულები არ გაიმიჯნება,—ასკვნის დ. ყიფიანი[12],—ეკლესიასთან, ხაზინასთან, სახლიკაცობაში და მეზობლობაში ადგილ-მამულზედ დავა... არ გარდაწყდება და... თვითოეულს ჩვენგანს ბეჯითად არ გვეცოდინება, ვის რა შეგვრჩა, რომელი ბუნებითი კანონი შეგვაძლებინებს თქმასა, ამდენი მიწა ეყოფა გლეხს და ამდენის მიცემა შეგვიძლიაო“.

ამას მოსდევს ზნეობრივი ხასიათის მიზეზების განხილვა, რომლებიც, დ. ყიფიანის აზრით, ასევე არ იძლეოდნენ გლეხისთვის მიწის საკუთრებად მიცემის საფუძველს. ამათ რიცხვს აკუთვნებდა იგი ყმასა და ბატონს შორის საუკუნეების განმავლობაში არსებული ურთიერთობისა და მამაშვილური დამოკიდებულების მოსპობა-დარღვევის უხერხულობას. „რაც ჩვენი და ჩვენს ყმებში,—ვკითხულობთ მის მოხსენებაში[13],—ძველთა დროთაგან განუწყვეტელი კავშირი არსებობდა, იმას ზნეობრივად ვერც კალამი მოჰშლის და ვერც სიტყვა, თუ დრო არ შეეწია. ჩვენზედ უმეტესად ჩვენის ყმებისათვის გული არავის შესტკივა; ჩვენზედ უმეტესად იმათი ზარალი არავის ეზარალება, და

[10] იქვე
[11] იქვე გ. 222.
[12] იქვე, გვ. 222—223.
[13] იქვე გვ. 224.

თუმცა ამ უკანასკნელს ორმოცდაოც წელიწადში ჩამოგვეთქვა აქა-იქ უსიამოვნება და უთანხმოება **ურთიერთას** შორის..., მაგრამ ორმოცი წლის საქმე, რაგინდ საწყინარი იყოს ორისავე მხარესათვის, ვერ განაქარვებს რვაასი-ცხრაასი წლის შამაშვილურს დამოკიდებულებასა ჩვენ შორის. ჩვენზე დამდურება ახლა ჩვენის ყმებისა შეემსგავსება შვილების დამდურებასა მამაზედ და მაშასადამე წინააღმდეგ ექმნება კანონსა ზნეობისასა და ღვთიურსასა".

საუკუნეობრივი კავშირის გაწყვეტა კი საზიანოა ორივე მხარისთვის, როგორც გლეხისთვის, ისე მემამულისთვის, მაგრამ განსაკუთრებით მომაკვდინებელი და დამღუპველი ის, დ. ყიფიანის აზრით, გლეხისთვის იქნებოდა, რომელსაც არასოდეს უცხოვრია მზრუნველი თვალის გარეშე და არც მომავალში შეუძლია ცხოვრება. შვილი, მოკლებული მამის მზრუნველობას, განწირულია დასაღუპავად[14].

ყოველივე ზემოთ თქმულის საფუძველზე, დ. ყიფიანი, უმრავლესობის აზრის შესაბამისად, წინადადებას იძლეოდა, რომ ყმებს მისცემოდათ პირადი თავისუფლება (აქედან გამომდინარე ზარალის სხველმწიფოს მიერ კონპენსირების პირობით), მაგრამ უმიწოდ. ეს უკანასკნელი მემამულეთა საკუთრებად უნდა დარჩენილიყო, ხოლო გლეხებს მით ესარგებლათ გარკვეული გადასახადის გაღებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, საბატონო ყმები ხიზნების მდგომარეობაში უნდა გადასულიყვნენ. „ხიზნობა,— წერდა დ. ყიფიანი,— ძველი დროთაგან არსებობს საქართველოში და არა თუ თავისუფალნი, საბატონო კაცნიც... ეტანებიან ამ მდგომარეობასა, რადგან საქმით სასარგებლო არის ორისავე მხარისათვის. სწორედ ამ გვარსავე, მაგრამ უკეთესს მდგომარეობაში იქნებიან ყმანიცა ჩვენი შემდგომ განთავისუფლებისა; უკეთესში იმით, რომ საუკეთესო ადგილ-მამულები ექმნებათ და ყოველად უეშველია, რომ ამითი მოისპობა ჩვენს შორის ყოველი მიზეზი ერთი ერთმანეთზედ დამღურებისაცა და ჩვენს საშინაო საქმეებში მმართველობისაგან ყოველდღე გამორევისაცა"[15].

ასეთია მოკლედ დ. ყიფიანის მოხსენების ძირითადი მოტივები. სწორედ მის საფუძველზე შეიმუშავა მან გლეხთა განთავისუფლების **უმრავლესობის პროექტი** (1863 წ. აპრილი). პროექტის[16] პირველი პარაგრაფი საზეიმოდ იუწყებოდა „ხელმწიფე იმპერატორის ნებითა და ქართველ თავადაზნაურთა სურვილით სოფლის მშრომელი მოსახლეობის განთავისუფლებას „ყოველის ბატონყმობის დამოკიდებულებისაგან". მაგრამ რადგანაც, ნათქვამია ხსენებული მუხლის შენიშვნაში, ამ ნაბიჯის გადადგმა დაკავშირებულია მემამულეთა მხრივ დიდი მსხვერპლის გაღებასთან, იმედია მზრუნველი იმპერატორი არ დაიშურებს წყალობასა და „განუწუწესებს მათ ერთ დროებითსა შესაწევარსა". ბატონყმობიდან განთავისუფლებული გლეხი შედიოდა მიწის მფლობელთან ისეთსავე „ნებაყოფლობით" დამოკიდებულებაში, როგორიც „ძველის საქართველოს ჩვეულებით ხიზნისა და მამულის პატრონსა აქვსთ" (პარაგრაფი 3). მეექვსე პარაგრაფი ნებას აძლევდა ყოფილ ყმას ყო-

---

[14] დ. ყიფიანის მოხსენება, გვ. 224—225.

[15] იქვე, გვ. 229—230.

[16] პროექტის ტექსტი იხ. პროფ. შ. ჩხენკელის დასახელებულ წიგნში (რომელსაც შემდეგში მოვიხსენიებთ ასე. „საკლასო რეფორმის ისტორიისთვის"), გვ. 270—281; პ. გუგუშვილი. Сельское хозяйство и аграрные отношения (ქვემოთ — СХАО), ტ. 11, გვ. 119—129.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველგვარი შეზღუდვის გარეშე შეეძინა ყველა სახის უძრავი ქონება. ბატონყმობიდან გამოსულ გლეხს რჩებოდა არა მარტო საკუთარი მიწები, არამედ ის საბატონო ადგილმამულებიც, „რაზედაც ახლა ბინადრობა და სარგებლობა აქვსთ“ (პარაგრაფი 7). მაგრამ ამისთვის მათ მიწის პატრონისათვის უნდა მიეცათ გარკვეული გამოსაღები. „რომელიც თავისუფალი მოსახლე,—ნათქვამია მერვე პარაგრაფში,—საბატონო ადგილმამულზედა სახლობს და ჰსარგებლობს, სახლკარობისა და კალო-საბძლის ადგილისათვის არა მოეთხოვება რა, (მაგრამ) სახნავ-სათესისა, სავენახესი, საბალახე მიწებისა, ტყისა და წყლის ხმარებისათვის (კი) პატრონს უნდა აძლიოს ღალა, კუნჟი და (გასწროს) ბეგარა (ე. ი. შრომითი გადასახადი—ი. ა.) იმ ზომით, როგორათაც ერთმანეთში ნებაყოფლობით მორიგდებიან. მანამდის მორიგდებოდნენ, პატრონს უნდა ეძლიოდეს ისევე და იმავე ზომით, რასაც და რა ზომითაც ხიზნები ჩვეულებით აძლევენ და ეწევიან, და სადაც ხიზანი არ არის, იქ ისევე და იმავე ზომით, რაც და რა ზომითაც განთავისუფლებულს კაცებს ყმობაში უძღვიათ და უწევიათ“.

ამრიგად, თავადაზნაურების უმრავლესობის პროექტი მოითხოვდა ყმების უმიწოდ განთავისუფლებას. სხვანაირად რომ ვთქვათ, მთავარი საწარმოო საშუალება, ე. ი. მიწა, რომელიც ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს, მემამულეების საკუთრებად რჩებოდა. გლეხს, ხიზნის მდგომარეობაში რომ გადადიოდა, სხვისი მიწით უნდა ესარგებლა და ამისთვის ძველებურად ფულადი, შრომითი თუ პროდუქტებით გადასახადები ეხადა.

უმრავლესობის პროექტი მიზნად ისახავდა არა ბატონყმობის მოსპობას, არამედ მის შენარჩუნებას. ის წინ კი არ იყურებოდა, არამედ უკან, პროგრესს კი არ ემსახურებოდა, არამედ რეგრესს, ქვეყნის განვითარებას კი არ აჩქარებდა, არამედ აფერხებდა. აქედან ცხადია დასახელებული პროექტის აშკარა რეაქციული ხასიათი.

რეფორმასთან დაკავშირებით შემუშავებული იქნა აგრეთვე მეორე, ეგრეთ წოდებული უმცირესობის პროექტი[17], რომელიც 14 მემამულის (მათ შორის გრ. ორბელიანის, ჯამბაკურ-ორბელიანის, ივანე ორბელიანის, გრ. ერისთავის, დიმ. ვეზიროვისა და სხვ.) ხელმოწერით იმავე 1863 წელს წარედგინა ამიერკავკასიის ცენტრალურ საგლეხო კომიტეტს. ის, როგორც აღვნიშნეთ აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში[18], არსებითად არაფრით განსხვავდება უმრავლესობის პროექტისაგან. ამას თვით მისი ავტორებიც არ მალავდნენ. ისინი პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ჩვენ, ვიზიარებთ რა მთლიანად უმრავლესობის მიერ გამოთქმულ ყველა პრინციპულ მოსაზრებას, კერძოდ აზრს ყმების უმიწოდ განთავისუფლების შესახებ, გვსურს დავსახოთ მეტი ქმედითი ღონისძიებანი დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსული გლეხების მომავალი ცხოვრების უზრუნველსაყოფად. ასეთ ღონისძიებად უმცირესობას მიაჩნდა გლეხის უფლების აღიარება ყველაფერ იმაზე,

[17] ტექსტი პროექტისა დაბეჭდილია პროფ. შ. ჩხეტიას დასახელებულ წიგნში, გვ. 406—412 და პროფ. პ. გუგუშვილის СХАО, ტ. 14, გვ. 137—144.

[18] შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრ., გვ. 28; Г. Пурцеладзе, Крестьянская реформа в Восточной Грузии. Автореферат докторской диссертации, Тбилиси, 1960, გვ. 47.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაც მისი ალალი შრომით იყო შექმნილი და გაკეთებული. „Права помещика на недвижимое имущество.—წერდნენ ისინი[19], — состоящее ныне во владении крестьянина, конечно, неоспоримы, но не оспоримо также право крестьянина на его труд, на все, где только видно участие его забот, капитала, знания и опытности, где видны следы его деятельности и заботливости...Все, что он завел, сделал, построил, выработал, насадил, приобрел на свои собственные средства и на свои деньги, все это должно составлять полную неприкосновенную его собственность, до которой не должен и не иметь может притязания помещик“.

აკონკრეტებდნენ რა ამ მოსაზრებას, უმცირესობის წარმომადგენლები აღიარებდნენ[20] ყმების სრულ უფლებას: 1. შინაურ საქონელზე, სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე და საერთოდ მოძრავ ქონებაზე; 2. სახლზე და სამეურნეო ხასიათის ნაგებობებზე იმ მიწების გამორიცხვით, რომლებზედაც ისინი აშენებული იყვნენ; 3. ვენახებზე და ბაღებზე, ცხადია, მათ მიერ დაკაფებული ტერიტორიის გამოკლებით; და 4. იმ უძრავ ქონებაზე, რომელიც შეძენილი იყო გლების მიერ სათანადო კანონიერი აქტით რუსული მმართველობის შემოღების შემდეგ.

მაგრამ სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის ხსენებულ უფლებათა მინიჭებას ჰქონდა მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა, რადგანაც მათი ცხოვრებაში გატარება ხშირ შემთხვევაში აწყდებოდა თითქმის გარდაუვალ წინააღმდეგობას. მაგალითად, გლეხს, რომელმაც თავისი საცხოვრებელი ადგილის შეცვლა და სხვაგან გადასვლა გადაწყვიტა, მართალია, ნება ეძლეოდა თან წაეღო მთელი მოძრავი ქონება, სამუშაო იარაღები და სახლის მასალები, მაგრამ იმ სავალდებულო პირობის დაცვით, რომ ეს ზიანს არ მიაყენებდა მებატონის მამულს და არ დასცემდა მის ფასსა და ღირებულებას[21]. ყმას, იმავე პროექტის თანახმად, უფლება ჰქონდა გაეყიდა, გაესაჩუქრებინა და ანდერძით დაეტოვა სხვის მიწაზე გაშენებული ბაღი, მაგრამ იმ პირობით, რომ მის მაგივრად მოსული პირი მიიღებდა თავის თავზე წინამორბედი პირის ვალდებულებას, რაც მიწის პატრონისათვის შემოსავლის მეოთხედი ნაწილის მიცემაში გამოიხატებოდა[22]. თუ კი სხვაგან გადასული გლეხი ვერ მოსძებნიდა ისეთ ვინმეს, რომელიც ხსენებულ ვალდებულებათა მიღებით თანახმა იქნებოდა მისი სახლის, ბაღისა და სხვათა მფლობელობაში შესულიყო, მაშინ მთელი ეს ქონება მემამულის საკუთრებად რჩებოდა[23].

ეს და სხვა ამისთანა შეზღუდვები, როგორც უკვე ვთქვით, მნიშვნელობას უკარგავდა უმცირესობის განცხადებას გლეხის შრომითა და ფულით მოპოვებული ქონების გლეხისავე განკარგულებაში დატოვების შესახებ.

სოფლის მშრომელი მოსახლეობის აშკარა სახიფათო იყო გადაწყვეტილი უმცირესობის პროექტში რეფორმის ძირითადი საკითხი—მიწის საკითხი. ხსენებული დოკუმენტის თანახმად, გლეხი ვალდებული იყო საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობისათვის მებატონისათვის ეძლია 4 პროცენტი იმ თან-

---

[19] საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, გვ. 406; СХАО, ტ. 11, გვ. 137.

[20] იქვე, გვ. 406; СХАО, ტ. 11 გვ. 137—138.

[21] იქვე, გვ. 410; СХАО, ტ. 11, გვ. 141.

[22] იქვე.

[23] იქვე, გვ. 411; СХАО, ტ. 11, გვ. 141—142.

ხიდან, რა თანხაზედაც შეფასებული იქნებოდა საკარმიდამო ფართობი, ხოლო ბაღისთვის—ამ ბაღის შემოსავლის 1/4 ნაწილი[24]. ასე შორს, როგორც ცნობილია, უმრავლესობის წარმომადგენლებიც კი არ წასულან[25].

უკუღმართად იყო გადაჭრილი სახნავი მიწების საკითხიც. ესენი გლეხებს, პროექტის მიხედვით, საერთოდ არ ეკუთვნოდათ. „ჩვენ, რა თქმა უნდა,—ნათქვამია იქ.-[26] არ უარგყოფთ, რომ გლეხისთვის სახლისა და ბაღის გარდა, სხვა საშუალებაც აუცილებელია, მას სჭირია სახნავ-სათიბი ადგილები და სხვა სავარგულები, მაგრამ ყველაფერ ამას ის ადვილად შეიძენს თავისუფალი დაქირვების საფუძველზე. ყოველშემთხვევაში, ჩვენ თვითონ არა გვაქვს იმდენი მიწა, რომ გლეხებსაც მივსცეთ და ჩვენც გვეყოს. მცირე მამულიანობა მთელი მხარისა ცნობილია მთავრობისათვისაც; მემამულეთა უმეტესი ნაწილის განკარგულებაში ოცი დღიური მიწაც კი არაა. ყველა მიწა ამჟამად გლეხების ხელშია და ისინი. ამუშავებენ რა ამ მიწებს, მემამულეს აძლევენ ჩვეულებით განსაზღვრულ გარკვეულ ღალას. უკეთუ ეს მიწა გლეხებს გადაეცა სამუდამო და სამემკვიდრო მფლობელობაში ან განკარგულებაში, მაშინ მემამულეს არაფერი დარჩება, გარდა უმნიშვნელო ნაკვეთებისა, რომელთაც არ... შეუძლიათ უზრუნველყონ მისი ცხოვრება—არსებობა". ყოველივე ამის გამო,—ვკითხულობთ უმცირესობის პროექტში[27],—და ამიტომ, რომ „ჩვენ საკმაო უზრუნველყოფას ვაძლევთ გლეხებს, ვფიქრობთ, ყველა სახის მიწა და სავარგულები მემამულეებს დაუტოვოთ". მემამულეებს რჩებოდათ ტყეც, რომლითაც სარგებლობა მეტად შეზღუდული იყო გლეხისთვის. მას იქიდან მხოლოდ იმდენი მასალის ვატანა შეეძლო (რა თქმა უნდა, გარკვეული საზღაურის გაღებით), რამდენიც საჭირო იყო ბაღების მოსაწყობად და აუცილებელი ოჯახური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. სხვა საჭიროებისათვის,—აცხადებენ უმცირესობის წარმომადგენლები, გლეხს „უფლება არა აქვს ისარგებლოს მემამულის ტყით", ამ უკანასკნელის „ნებაყოფლობით თანხმობის გარეშე"[28].

უმცირესობის პროექტის გარჩევა გვიჩვენებს, რომ ის, მიუხედავად მაღალფარდოვანი სიტყვებისა ბატონყმობი-

---

[24] Уступая крестьянину (ტექსტში წერია „крестьянам"—ი. ა.), все, что он устроил на владельческой земле собственно на свой счет—ნათქვამია უმცირესობის პროექტში,—и сохраняя за помещиком только землю, на которой устроены крестьятские дома их другие хозяйственные заведения, а также сад..., мы желали бы, чтобы, они, сохранили на наших землях все свои хозяйственные устроиства, уплачивая за нашу землию определенную подать. Подать эту мы полагаем, во—первых, с земли на которые крестьяне имеют дом и другие хозяйьственные заведения... и, во—вторых, с земли, на которой устроены у них сады и другие разведения... С суммы, во сколько оценена будет земля (первой) категории, крестьянин обязивается уплачивать земле—владельцу 4 процента в год деньгами или, если будет на это обоюдное согласие, другими какими нибудь средствами. Подати же с земель второй категории должны быть определены... по местным особенностям и... не должны превышат- четвертой части доходов со всего произведения сада и других разведений" (საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, გვ. 407—408. СХАО, ტ. 11, გვ. 138—139).

[25] ისინი, დ. ყიფიანის მიერ შედგენილი პროექტის თანახმად, საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობისათვის ფორმალურად არაფერს ითხოვდნენ გლეხებისაგან (§ 8).

[26] იქვე, გვ. 407; СХАО, ტ. 11, გვ. 140.

[27] იქვე.

[28] იქვე, გვ. 412; СХАО, ტ. 11, გვ. 143.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გამოსული გლეხის მომავალი ეკონომიური ცხოვრების უზრუნველყოფის შესახებ, ისეთივე რეაქციული იყო, როგორც უმრავლესობის პროექტი და მისგან მხოლოდ დეტალებში განსხვავდებოდა.

ამიერკავკასიის ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა მიიღო არა მარტო უმრავლესობისა და უმცირესობის პროექტები, არამედ თავად ივანე მუხრან-ბატონის მიერ შედგენილი ერთპიროვნული აზრიც, რომელიც, ავტორის ღრმა რწმენით, მკვეთრად განსხვავდებოდა ყველა დანარჩენის შეხედულებისაგან[29]. რა მოტივებზე იყო აგებული მუხრან-ბატონის ეს „განსაკუთრებული" პროექტი? ავტორი პირველყოვლისა ხაზს უსვამს ბატონყმობის ისტორიულ როლსა და მნიშვნელობას საქართველოს არსებობის შენარჩუნების საქმეში. მისი აზრით, ჩვენმა ქვეყანამ მხოლოდ ხსენებული საზოგადოებრივი ურთიერთობის წყალობით მოაღწია დღემდე და ამიტომ, ბუნებრივია, ყოველგვარი აჩქარება ამ ურთიერთობის მოსპობა-გაუქმების მიმართულებით მას სახიფათოდ და დამღუპველად მიაჩნდა. „Дать ныне свободу крестьянам,—წერდა იგი[30],—без предварительного соображения всех обстоятельств дела и без установления одновременно правильных поземельных отношений к помещикам, я считаю для обоих сторон невыгодным". და კიდევ: „Освобождение крестьян есть действительно современный вопрос, но справедливость должна являться во все времена, как священный долг правительства. *Мы еще не дожили до того века, когда уровнительное деление имущества считалось бы первым условием для обществ, и потому имущественное право, связанное с личною зависимостью крестьянина и освещенное многими веками, едва ли сделует разрушить, не создав прежде всего зрело обдуманные правила нового состояния дворянства закавказского... Кто может ручаться*, что благоденствие будет разлито от прервания всяких отношений двух сословий, тот ошибется, тот, значит не знает ни истории крестьянского населения Кавказа, ни самого Кавказа"[31] (ხაზი ჩვენია, ი. ა.).

როგორც მოტანილი ადგილებიდან ჩანს, ივანე მუხრან-ბატონი საერთოდ წინააღმდეგი იყო ბატონყმობის გაუქმებისა, ყოველ შემთხვევაში მას იმ ნაბიჯის გადადგმა იმ დროს, გასული საუკუნის 60-იან წლებში, ნაადრევად მიაჩნდა. მაგრამ რაკი რეფორმის გატარების საკითხი პრინციპულად უკვე გადაწყვეტილი იყო უმაღლესი ხელისუფლების მიერ და მისი შეჩერება არ შეიძლებოდა, ქართველი ფეოდალი იძულებული გახდა ბედს შერიგებოდა და მომავალი ცვლილებების მომზადება-გატარებაში უშუალო მონაწილეობა

[29] „ვინაიდან მე არ ვიზიარებ არც უმრავლესობისა და არც უმცირესობის აზრს,—სწერდა ი. მუხრან-ბატონი ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტის თავმჯდომარეს ბარონ ნიკოლაის,—და მაქვს ჩემი განსაკუთრებული შეხედულება საგლეხო საქმეზე, რაც მე არა ერთხელ განმიცხადებია თვით ადგილობრივ მემამულეთა შეკრებებზედაც, საჭიროდ მიმაჩნია ვაცნობო თქვენს აღმატებულებას (ე'') ჩემი აზრი ამ საქმეზე" (საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, გვ. 305).

[30] საგლეხო რეფორმის ისტორიისთვის, გვ. 306; СХАО, ტ. 11, გვ. 130.

[31] იქვე, გვ. 307. СХАО, ტ. 11, გვ. 130—131.

მიეღო. იგი იმ მიზნით ჩაება სურვილის საწინააღმდეგო საქმეში, რათა მისთვის, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნებოდა, მემამულისთვის სასარგებლო მიმართულება მიეცა.

ყველაზე რთული და ცენტრალური საკითხი—მიწის საკითხი, რომელიც რეფორმას უნდა მოეგვარებინა, მუხრან-ბატონმა პრივილეგიური წოდების სასარგებლოდ გადაჭრა. მან ეს მთავარი საწარმოო საშუალება თავადაზნაურების ხელეხლებელ საკუთრებად აღიარა და კატეგორიულად უარყო ყმებისთვის მისი გადაცემის შესაძლებლობა სასყიდლის გაღებითაც კი. მშრომელი კაცის უფლების აღიარება თავის შრომის შედეგებზე, წერდა იგი, ოდნავადაც არ ნიშნავს მემამულეს მიწა წავართვათ იმ მოტივით, რომ ის გლეხის ოფლითაა გაპოხიერებული. ასეთი ნაბიჯის გადადგმა არა მარტო სრული უსაპრთხოება იქნება, არამედ ის უკიდურეს გადატაკებამდე მიიყვანს მებატონეებს, რომელთა მიწების უდიდესი ნაწილი სწორედ გლეხების სარგებლობაშია გადაცემული. უპატიებელი შეცდომა იქნება ვაიძულოთ მემამულეები, რომ მათ თავიანთი შემოსავლისა და არსებობის ერთადერთი წყარო—მიწა—გლეხებს მიჰყიდონ და საკუთრებად დაუმტკიცონ[32]. ამის შესაბამისად მუხრან-ბატონმა თავის პროექტში შეიტანა სპეციალური მესამე მუხლი, რომელიც ყმური მდგომარეობიდან გამოსული გლეხის მიწის მემკვიდრეობით მოუჯარადრად გადაქცევას ვარაუდობდა. მემამულის მიწაზე მცხოვრები გლეხები,—ნათქვამია იქ,—მემკვიდრეობით მოიჯარადრეებად იწოდებიან, მაგრამ ისე კი, რომ მათ, არ იქნებიან რა შეზღუდული მოიჯარადრის ვალდებულებით, ნება მიეცემათ სხვაგან გადასვლის, მთელი მოძრავი ქონების წაღებისა და თავის შრომის ნაყოფის (სახლი, ბაღი, ვენახი და სხვ.—ი. ა.) ნებისმიერი პირისთვის მიყიდვისა, ამ უკანასკნელის მიერ მემამულის სასარგებლოდ მიწის გადასახადის გადახდის პირობით[33].

საკარმიდამოი და სახნავ-სავენახე მიწებიც, რომლებიც გლეხების სარგებლობაში რჩებოდნენ, პროექტის ავტორის აზრით, მებატონეთა სრულ საკუთრებას წარმოადგენდა და ამიტომ სამართლიანობა მოითხოვდა, რომ სოფლის მშრომელ მოსახლეობას ამ მიწებისთვის შესაფერისი გადასახადი გადაეხადა[34].

განსახილველი დოკუმენტის რამდენიმე მუხლში ლაპარაკია იმ შემთხვევებზე, რომლებიც საფუძველს აძლევდნენ მებატონეებს, გლეხები მიწიდან

---

[32] აი მისი სიტყვები: "... Признание (права крестьянина на произведение своего труда—И. А.) не дает права отнять у помещика собственность—земли, где только виден труд крестьянина, потому что все лучшие земли отводились помещиками добровольно крестьянам из сознания выгодных отношений, а не из иного долга. Да и было бы чрезвычайно несправедливо заставить помещика продат освобожденному крестьянину земли—единственный оставшийся у него источник дохода, необходимый для его, существования и упрочения его будущего поколения; а потому в виду всех сих соображений и с целью сохранить прочное устройство в крае двух сословий, я вынашу убеждения, что произведение труда принадлежит крестьянину, а земля—Помещику" (საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, გვ. 308; СХАО, ტ. 11, გვ. 131—132, ხაზი ჩვენია—ი. ა.).

[33] საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, გვ. 308; СХАО, ტ. 11, გვ. 132.

[34] იქვე, გვ. 309; СХАО, ტ. 11, გვ. 132.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აეყარათ. აი ეს ადგილები[35]: „6. Земля, состоящая в пользовании крестьян (за исключением приобретенной ими по купчим крепостям от постороннего лица, не принадлежащего к составу имения помещика), а также сахл—кари могут быть помещиком отбираемы от крестьян, если помещик докажет мировому посреднику необходимость той земли для округления фигуры своей дачи и для экономического устройства полеводства и садоводства...

7. Взамен отбираемых таким образом участков, помещик указывает им другие участки... В случае же неимения возможности заменить крестьянину взятый у него участок, или же несогласия крестьянина принять предлагаемый, мировой посредник назначает таковому крестьянину срок для переселения. 8. В случае неисправности крестьян в исполнении повинностей, помещик может требовать лишения участков земли и сахқари, отведенных крестьянину в пользование. Если только мировой посредник признает, что крестьянин не в состоянии недоимки, на нем числящиеся, уплатить помещику со своего имущества—движимого и недвижимого..., тогда подвергает все это продаже“.

მიუხედავად სოულის მშრომელი მოსახლეობის მიწით მომარაგების საკითხისადმი ასეთი მკაცრი და უპასუხისგებლო დამოკიდებულებისა, მუხრან-ბატონი ცინიკურად აცხადებდა, რომ მისი პროექტის ცხოვრებაში განხორციელება დაიცავდა თავადაზნაურობას დაღუპვა-განადგურებისაგან და ამავე დროს უზრუნველჰყოფდა ყმური ამდენობრიობიდან გამოსული გლეხის მომავალი ცხოვრების მყარ ნიადაგზე დაყენებას[36].

ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ივანე მუხრან-ბატონის აზრი სავსებით ემთხვევა უმრავლესობისა და უმცირესობის მოსაზრებებს და ამდენად მათ შორის არაა არავითარი პრინციპული განსხვავება. მაგრამ ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მუხრან-ბატონის პროექტი, როგორც ვნახეთ, დეტალებში უფრო რეაქციულია, ვიდრე ზემოთ დასახელებული ორი სხვა პროექტი.

თავადაზნაურების წრეში ყველა როდი იყო ყმების უმიწოდ განთავისუფლების მომხრე. არსებობდა ლიბერალურად მოაზროვნე ფეოდალების მცირერიცხოვანი ჯგუფიც, რომელიც შედარებით უფრო ადრე წყვეტდა რეფორმის საკვანძო საკითხებს. ამათ რიცხვს ეკუთვნოდა გორელი თავადი გენერალ-მაიორი კონსტანტინე მამაცაშვილი. მან თავისი შეხედულება ბატონყმობის გაუქმების თაობაზე ჩამოაყალიბა დიმიტრი ყიფიანის 14 პუნქტიან შეკითხვაზე გაცემულ პასუხში. ეს პასუხი არასრული სახით[37] ჩართულია დოკუმენტა-

[35] იქვე, გვ. 309—310; СХАО, გვ. 132—133.

[36] „Крестьяне же,—წერდა ის,—пользуясь правами свободных сельских состояний, могут переходить... из одного места в другое; кроме того, чрез наследственное арендаторство получат прочную оседлость, надежные средства к жизни и к выполнению своих обязанностей“ (საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, გვ. 310; СХАО, ტ. 11, გვ. 134).

[37] ესა სრული სახითო, ვამბობთ იმიტომ რომ, კ. მამაცაშვილს ყიფიანის 14 კითხვიდან პასუხი მხოლოდ ცხრაზე აქვს გაცემული. ის ადგილი, საიაც პირველი ხუთი კითხვის პასუხი უნდა იყოს, ცარიელადაა დატოვებული და მის გვერდზე დ. ყიფიანის ხელით მიწერილია შემდეგი: „ეს ახრი გაუქმებული არის და დახეულ თვით მისის აღმატებულების სურვილით“.

ში „შეკრება ოცდაერთის, ჰაზრისა, ორასორმოცთა საქართველოს მებატონეთა მიერ წარმოთქმულისა, ბატონყმობაზედ“, რომლის ქართული ტექსტი 1941 წელს გამოაქვეყნა პროფ. პ. გუგუშვილმა[38].

განსხვავებით უმრავლესობის, უმცირესობისა და მუხრან-ბატონის რეაქციული პროექტებისაგან, კონსტანტინე მამაცაშვილი ყმის მიწით განთავისუფლებას მოითხოვდა. ამის გარეშე მას თავისუფლება, ვითარცა მხოლოდ ქაღალდზე გაფორმებული კატეგორია, რეალურ მნიშვნელობას მოკლებულად მიაჩნდა. გლეხის მამულებით უზრუნველყოფა, მისი აზრით, მრავალმხრივ იყო საჭირო და პირველ რიგში კი იმიტომ, რომ არ გაჩენილიყო პროლეტარიატი.

„სადაც კი ბატონყმობია საქმე მმართველობას დაუბოლოვებია.—წერდა იგი.—ყოველს სახელმწიფოში ამასა ცდილან, რომ გლეხები მემამულედ გაეხადნათ, რომ შემდგომში ამითი დაბრკოლებულიყო უზომო განმრავლება უდგილ-მამულო, უბინაო კაცებისა, პროლეტარებისა, რომელნიც მარადის მაგნებელნი არიან ქვეყნის მშვიდობიანობისათვის და მაზარალებელ ხელმწიფების ეკონომიისათვის. რაოდენი გაფრთხილება ჰმართებს ქვეყანას, რომ პროლეტარიობა არ დამკვიდრდეს, მრავალნი საქმენი ამტკიცებენ, ევროპაში მომხდარნი. რამდენი სისხლი დანთხეულა ძმენის პატრონებისა პროლეტარებისაგან, ანგარიში არ არის და ბევრს ევროპის ქვეყნებში კიდეცაც არ დამცხრალან ამ გვარის აღრეულობისაგან“[39].

პროლეტარიატის გაჩენა, მამაცაშვილის დასტურით, საზიანო იყო არა მარტო პოლიტიკური, არამედ წმინდა ეკონომიური თვალსაზრისითაც. საქმე იმაშია, რომ გლეხი, რომელიც საკუთარი მიწის უქონლობის გამო იძულებული იქნება სხვისი დაამუშაოს, არ გამოიჩენს სათანადო მონდომებას, რადგანაც იცის, რომ „დიდი ნაწილი თავისი ნაღვაწისა და ნაჭირნახულევისა მამულის პატრონს უნდა აძლიოს“[40].

ბატონყმობიდან განთავისუფლებული გლეხის მიწით უზრუნველყოფა, მამაცაშვილის აზრით, წმინდა პატრიოტული თვალსაზრისითაც იყო აუცილებელი. ის დარწმუნებული იყო, რომ ადამიანი, რომელსაც თავის ქვეყანაში ადგილ-მამული არ ჰქონდა, ვერ დაინტერესდებოდა ამ ქვეყნის ბედითა და უმეტესით, ვერ განიმსჭვალებოდა მისი ინტერესებით[41].

ყოველივე აქედან გამომდინარე, მამაცაშვილი მოუწოდებდა თავადაზნაურობას გამოეჩინათ გონიერება, სულგრძელობა და არ წასულიყვნენ ყმების უმიწოდ განთავისუფლების გზით. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ის გლეხების იმ ნაწილის უზრუნველყოფას მოითხოვდა, რომელიც რეფორმის გატარების პერიოდში ფაქტიურად ფლობდა მამულებს. საქმის წარმატებისთვის პროექტის ავტორს საჭიროდ მიაჩნდა სანადელო ნორმის დაწესება[41ა] და

---

[38] პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, თბილისი, 1841, გვ. 396—410.

[39] იქვე, გვ. 428.

[40] იქვე გვ. 428.

[41] „უკანასკნელ ვიტყი,—წერდა კ. მამაცაშვილი,—რომელსაც კაცს ადგილ-მამული არ გააჩნია, იმას არც ბედნიერება ესიამოვნება ქვეყნისა, აღა უბედურება შეაწუხებს, მშობელს ქვეყანაში ფეხის მოსაკიდებელი თუ არა გააჩნია, უცხო ქვეყნისათვის უბინადრო, უდედუმამულო და კოსმოპოლიტი“ (ქართული ჟურნალისტიკა, გვ. 430).

[41ა] ასეთ ნორმად მაგ., მაგალითად, გორის მაზრის ბიჭისთვის უბანში 5 დღიური მიაჩნდა; ხოლო სურამში—7 (ქართული ჟურნალისტიკა, გვ. 429).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბატონო ყმების სამ ჯგუფად დაყოფა[42]. პირველში ის იმ გლეხებს აქცევდა, რომელთაც მიწები ნორმის ფარგლებში ან მის ზევით ჰქონდათ. მათ შესასყიდათ მიეცემოდათ მხოლოდ ნორმით დაწესებული ნაკვეთი, ხოლო დანარჩენი მემამულის სასარგებლოდ ჩამოეჭრებოდათ. მეორეში—ნორმაზე ნაკლები ფართობის მქონენი თავსდებოდნენ. ესენი განთავისუფლებისას დამატებით არაფერს იღებდნენ, ვინაიდან, მამაცაშვილის აზრით, თუ კი მათ ამ ნაკვეთით ბატონყმობის დროს შეეძლოთ არსებობა, ეს მით უფრო შეეძლებათ ურთიერთობის მოსპობის შემდეგ, როდესაც უშუალო მწარმოებელს საგრძნობლად „გაუადვილდება ხელის გაქნევა“ და საკუთარი შრომით სარგებლობა. დასასრულ, მესამე ჯგუფში სრულიად უმიწაწყლო გლეხები იგულისხმებოდნენ. „ამათ,—წერდა მამაცაშვილი,—თავისუფლება მივცეთ უადგილ მამულოდ, რადგან ჩვენებურს მებატონეებს მიწის მიცემა არ შეუძლიათ, და თუ შეუძლია ვისმე ფასით შეასყიდინოს ამ გვარს გლეხს ადგილი, ეს მის ნებაზედ... იყოს“.

ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში განხორციელება, მამაცაშვილის განცხადებით, გლეხსაც დააკმაყოფილებდა და მემამულესაც. პირველი მთავრობის დახმარებით მიწის იმ ფართობს შეისყიდდა, რომელიც რეფორმის გატარების დროს მის ფაქტიურ მფლობელობაში ირიცხებოდა, ხოლო მეორე—ჩამონაჭრების სახით საგრძნობლად გაზრდიდა თავის მიწის ფონდს და ყმებიდან მიღებული ფულით შესძლებდა გაცილებით უფრო სარფიანი დაქირავებული შრომის სისტემაზე გადასვლას[43].

მიუხედავად იმისა, რომ კონსტანტინე მამაცაშვილის პროექტი მთელ რიგ მახინჯ მხარეებს შეიცავს (ფეოდალური საკუთრების შენარჩუნება, გლეხების მხოლოდ იმ ნაწილისთვის მიწის მიცემა, რომელიც რეფორმის გატარების პერიოდში მას ფაქტიურად ფლობდა, ჩამონაჭრების დაშვება და სხვ.), ის უმრავლესობის, უმცირესობის და მუხრან-ბატონის პროექტებთან შედარებით მაინც პროგრესულია და მისი ავტორის ლიბერალურ განწყობილებაზე მეტყველებს.

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული პროექტები, რომელთა ავტორები რეაქციული და ლიბერალური თავადაზნაურების წარმომადგენლები იყვნენ, ამჟღავნებენ აზრთა სხვადასხვაობას ბატონყმობის გაუქმების ძირითად საკითხებზე. ისინი მოწმობენ იმ ბრძოლაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა პრივილე-

---

[42] ქართული ჟურნალისტიკა, გვ. 429.

[43] „თუ ჩვენი ბატონყმობის საქმე ამგვარად დაბოლოვდება,—წერს კონსტანტინე მამაცაშვილი,—მაშინ მებატონეებს თავისს საბატანო თუ სახასო ადგილებს გარდა დარჩებათ კიდევ, რაც მეტი გამოვა გლეხებისათვის დაწესებულების ზომაზედ. გლეხთაგან უმეტეს ნაწილს (კი) დაწესებულის ზომაზედ მეტი უჭირავს (და), მაშასადამე საბატონო ადგილებს ამითი ბევრი შეემატება. (თანაც) მებატონეებს ფული ექნებათ, მიწების სამაგიეროთ გლეხთაგან მიღებული; ამ ფულით შეიძლებენ ახლანდელი სასოფლო მომჭირნეობა (ე. ი. მეურნეობა—ი. ა.), ვალდებულს და უნაყოფოს ყმების შრომაზედ დაფუძნებული, ახალს მომჭირნეობაზედ შესცვალონ, რომელიც ნაქირავებს შრომაზედ და უფრო სასარგებლოზედ იქნება დაფუძნებული. გლეხები, ცეტადრე რომელთაც თავისი ადგილები ჰქონიათ, თუმცა რამდენსამე მოაკლდებიან, მაგრამ მიწა მაინც ექნებათ, ფასით დახსნილი“ (ქართული ჟურნალისტიკა, გვ. 430).

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გიური წოდების სხვა და სხვა ჯგუფებს შორის რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში. მაგრამ ამ ბრძოლას, როგორც ცნობილია, არ ჰქონია პრინციპული მნიშვნელობა, რადგანაც ის მიმდინარეობდა გაბატონებული ფეოდალური კლასის შიგნით დათმობის მასშტაბისა და მოცულობის შესახებ.“ Пресловутая борьба крепостников и либералов—წერდა ვ. ი. ლენინი, —столь раздутая и разукрашенная нашими либералами и либерально-народническими историками, была борьбой внутри господствующих классов, большей частью внутри помещиков, борьбой исключительно из-за меры и формы уступок. Либералы так же, как и крепостники, стояли на почве собственности и власти помещиков, осуждая с негодованием всякие революционные мысли об уничтожении этой собственности, о полном свержении этой власти„[44].

შეუდარებლად მეტი მნიშვნელობა ჰქონდა გლეხებისა და მათი ინტერესების დამცველი რევოლუციონერ-დემოკრატების, თერგდალეულების ბრძოლას მემამულეების წინააღმდეგ აგრარული საკითხის სამართლიანი გადაჭრისათვის. მათი იდეური ბელადი ილია ჭავჭავაძე ენერგიულად მოეკიდა რეფორმის საქმეს და ყველაფერი გააკეთა, რათა მისთვის მშრომელი ხალხის სასარგებლო მიმართულება მიეცა. სასიქადულო პოეტმა სხვისი, კერძოდ ნიკო ჭავჭავაძის, სახელით[45] 1864 წლის მაისის თვეში წარადგინა კრიტიკული შენიშვნები[46] რეფორმის იმ პროექტზე, რომელიც ამიერკავკასიის ცენტრალურმა საგლეხო კომიტეტმა შეიმუშავა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტი, წინააღმდეგ თავადაზნაურობის აბსოლუტური უმრავლესობისა, გლეხის მიწით განთავისუფლებას უჭერდა მხარს, მაინც არ სპობდა ბატონყმობას და არსებითად მის აპოლოგიას წარმოადგენდა. სწორედ ხსენებული დოკუმენტის ამ ბატონყმური ხასიათის წინააღმდეგ გაილაშქრა ილიამ, რომელიც ძველი დახავსებული წყობილების ძირფესვიანად მოსპობის თვალსაზრისზე იდგა.

---

[44] В. И. Ленин, т. 17, გვ. 96.

[45] იმის საფუძველზე, რომ კრიტიკული შენიშვნები თარიღდება სინაწერით—„Верно: кн Н. Чавчавадзе“, ბევრმა მკვლევარმა (შ. ჩხეტია, გ. მეგრელიშვილი და სხვ.) ის რეფორმის ერთ-ერთ თვალსაჩინო მოღვაწეს, ცნობილ მოხელეს, თავად ნიკო ჭავჭავაძეს მიაკუთვნა. სხვებმა (ა. იოვიძე, პ. გუგუშვილი, ი. ანთელავა, პ. რატიანი და სხვ.) ეჭვი შეიტანეს ამ მოსაზრების სისწორეში და ხსენებული დოკუმენტის ავტორად ილია ჭავჭავაძე მიიჩნიეს (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. პ. გუგუშვილის წერილი “ Подготовление крестьянской реформы в Закавказье, СХАО, ტ. 11, გვ. XLVII—LIV და, აგრეთვე, გვ. 694—698. ი. ანთელავა ქართული საზოგადოებრივი აზრის ღრმა მეცნიერული შესწავლისათვის, „მნათობი“, 1962 წ., № 3; პ. რატიანი—ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების საკითხი; თბილისი, 1963 წ.).

[46] ეს დოკუმენტი, რომლის სრული სათაურია „Критические замечания по параграфам предварительного проекта местного положения о поземельном устройстве крестьян водворенных на помещичных землях в Тифлисской губернии“—გამოაქვეყნეს სხვადასხვა დროს ა. იოვიძემ (იხ. „საისტორიო მოამბე“, № 3, 1947 წ., გვ. 284—313) პ. გუგუშვილმა (СХАО ტ. 11, გვ. 173—203), შ. ჩხეტიამ (Документы по истории Грузии, ტ. 11, ნაწ. 1, თბილისი, 1960 წ., გვ. 717—743), და პ. რატიანმა (ილია ჭავჭავაძე და გლეხთა განთავისუფლების პრობლემა, 1963 წ. ქართული თარგმანი). ხელნაწერი (პირი) კი ინახება საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური საისტორიო არქივის განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეთა ფონდში (საქმე 123, ფურც. 171—216).

კრიტიკული შენიშვნების ყოველი წინადადება გამსჭვალულია სოფლის მშრომელი მოსახლეობის ინტერესების თანმიმდევრული და პრინციპული დაცვის იდეით. მის თითოეულ სიტყვაში ისმის ხალხის ჭეშმარიტი მეგობრის ხმა, გაბედული ხალისი—მისცენ ყმებს სრული და მატერიალურად უზრუნველყოფილი თავისუფლება.

გასარჩევი დოკუმენტის ავტორმა კატეგორიულად მოითხოვა დროებით (სინამდვილეში კი მუდმივ) ვალდებულ გლეხთა ინსტიტუტის არ დამთებება, შესაფერისი მუხლების დებულების პროექტიდან ამოკვეთა და უშუალო მშრომელებისათვის მიწის ნაკვეთის სრულ საკუთრებად დამტკიცება. ამის გარეშე, ილიას აზრით, შეუძლებელი იყო გლეხის ეკონომიური ცხოვრების რამდენადმე მაინც საიმედო ნიადაგზე დაყენება და მისი მეურნეობის წარმატება-განვითარების უზრუნველყოფა[47].

ილია პირდაპირ აყენებდა, აგრეთვე, საკითხს იმის შესახებ, რომ გლეხს, რომელსაც „ისედაც ყველაფერი ჩამოაკლეს"[48], ნორმაზე ზევით ფართობი არ წართმეოდა და რომ მას საიმშენებლო და საწვავი ხე-ტყის მასალა უსასყიდლოდ მიეღო მემამულისაგან[49]. ამას მოითხოვდა, მისი აზრით, სამართლიანობა და მოვალეობის შეგნება იმ ადამიანების წინაშე, რომლებმაც დაუზოგეს მემამულეებს თავიანთი ქონება, ავლადიდება.

დაუნდობლად მოეკიდა კრიტიკული შენიშვნების ავტორი დებულების პროექტის იმ პარაგრაფსაც, სადაც ფიქსირებული იყო მიწის პატრონის უფლება—აეყარა გლეხი დასახლების ადგილიდან. „ეს ყველაზე საშინელი და ყოვლად გაუმართლებელი უფლებაა,—წერდა ის[50],—რომელიც მემამულეს ეძლევა. რაკი ასეთი სამაბი ექნება, მემამულე არ მოუსვენებს გლეხს, აქაოდა ჩემი მეურნეობისა და კარმიდამოს მოწყობა და გაფართოება მსურსო. იგი დღენიადაგ იმას ეცდება, რომ აჰყაროს გლეხი საცხოვრებელი ადგილიდან ან გაუდიდოს ბეგარა, რასაც გლეხი ადგილ-მამულის ყოველი პაწაწინა ნაკერით სარგებლობისათვის იხდის. მიწისა და ადგილ-მამულების სავალდებულო გადაცვლის არც ერთი მიზეზი, რომლებიც 81-ე მუხლშია მითითებული, არ შეიძლება შეწყნარებულ იქნეს, ვინაიდან არც ერთ მათგანს არ გააჩნია სწორი საფუძველი. განსაკუთრებით არ შეიძლება ეს წესი დაუშვათ ვენახების მიმართ, რომლებშიც გლეხს უდიდესი ჯაფა და საღრჯობია დახარჯული; გლეხებს მეტი უფლებები აქვთ ვენახებზე, ვიდრე მემამულეებს, რომლებსაც ეკუთვნით მარტო მიწა, რასაც არ გააჩნია ის ფასი და ღირებულება, რაც გააჩნია საერთოდ შრომასა და კაპიტალს. დაბოლოს თუკი რაიმე მიგიციათ გლეხისათვის, ნუღარ აწუხებთ მას, დაე თავის ნებაზე მოიხმაროს, რაც მიგიციათ, ნუ აიძულებთ აიყაროს და სხვაგან დასახლდეს, ანდა იძულებით გაცვალოს თავისი ნადელი. მიეცით გლეხს იმედი, რომ იცხოვროს უშფოთველად, უდრტვინველად, ძალმომრეობის გარეშე. ასეთი იმედი თუ არა აქვს, გლეხი არ იქნება ბედნიერი, მას არ ექნება თავისი ყოფაცხოვრების, თავისი მეურნეობის გაუმჯობესების

[47] საისტორიო მოამბე. 1947 წ., № 3, გვ. 308, პარაგრაფი 139.

[48] იქვე, 1947 წ., № 3, გვ. 285, პარაგრაფი 6.

[49] იქვე, გვ. 289 - 291, პარაგრაფები 30—33.

[50] იქვე, გვ. 299—300, პარაგრაფები 80—82 (ქართული თარგმანი აქაც და ქვემოთაც მომყავს პრ. რატიანის დასახელებული წიგნის მიხედვით).

ხალისი, ცხოვრების ილაჯი გაუწყდება; მთელი მისი ცხოვრება იმით თავნებობაზე და ახირებაზე იქნება დამოკიდებული, ვისთანაც იგი სამუდამოდ გადააბით თქვენ სავალდებულო პირობათა ძალით; ეს პირობები საბოლოოდ არაფერს კარგს არ გვიქადის, გარდა იმისა, რომ შეარყევს და სრულიად არაბუნებრივ განთავისუფლების შემდეგაც იმათ ხელში ჩაჰგდებია, ვისაც საუკუნეთა მანძილზე ჰყავდა იგი მიჯაჭვული გლეხური ცხოვრების ვაი-ვაგლახთან. მე არა და არ მესმის, როგორ შეიძლება ასეთი წესების შემოღება მაშინ, როცა ყველა და ყველაფერი იმისკენ მიისწრაფვის, რომ მისცეს ყმა გლეხს ცხოვრების საღსარი და შეუქმნას უშფოთველი ცხოვრება იმ ბედმაჟი სავალდებულო პირობების მთელ მანძილზე, რომელიც მხოლოდ მემამულეებისათვისაა კარგი (და ისიც ღმერთმა უწყის) და რომელიც, ყოველ შემთხვევაში, გლეხთათვის საშინელებაა. თუ პატივსა სცემთ ადამიანის თავისუფლებას, თუ არ გსურთ საშინელი არეულობა გამოიწვიოთ ყმა გლეხების ბედის ასეთი გადაწყვეტის წყალობით და ამასთან იმის გულისათვის, რათა დააიმედოთ ეს ადამიანები. რომ მათი ბედი უბრუნველყოფილია და არ არის დამოკიდებული სხვათა თვითნებობაზე, მოსპეთ ყველა ეს სავალდებულო და იძულებითი გადასახლება. აგრეთვე ადგილმამულების იძულებითი გაცვლა. ამით თქვენ, ყოველ შემთხვევაში, ერთი ნაბიჯით მიუახლოვდებით ჰეშმარიტებას, თუმცა გლეხთა საკითხის აგრერიგად გადაწყვეტით სრულ სამართლიანობას მაინც ვერ მიაღწევთ".

ყველაზე მკაფიოდ კი ილიას აზრი მაინც იქცა გამოთქმული, სადაც დებულების პროექტის 178—193 პარაგრაფებია გარჩეული. იქ ნათქვამია[51]: „სასენებო უარსყოფ რა სავალდებულო ურთიერთობას, რომლისგანაც ყველა ეს უსიამოვნება იბადება, მე უნდა დავსძინო, რომ გლეხთა საკითხის გადაწყვეტა სულ სხვა საწყისს უნდა დაეფუძნოს—სახელდობრ... გლეხისა და მემამულის ინტერესთა საბოლოო გათიშვის საწყისს; მათ შორის უნდა გაწყდეს ყველა ძაფი, რომელიც ნაბატონარსა და ნაყმევს იძულებით ერთმანეთთან აკავშირებს. სხვა გამოსავალი არ არის და გლეხთა საკითხის ყოველგვარი გადაწყვეტა, სხვა საწყისებზე დაფუძნებული, არ იქნება საბოლოო გადაწყვეტა; ეს იქნება მხოლოდ გაგრძელება, ოღონდ სახეშეცვლილი ფორმით, ისევე ბატონყმური მდგომარეობისა, რომლის მოსპობა დროთა ვითარებაში ისევე აუცილებელი გახდება, როგორც აუცილებელი იყო ძველი ბატონყმობის მოსპობა. თავიდან რომ ავიცილოთ გლეხთა საკითხის ხელახალი გადაწყვეტა და ხელახალი დაყენება, მე აუცილებლად მიმაჩნია ეხლავე გადაწყდეს იგი საბოლოდ და მოისპობა ყოველგვარი შესლა-შემოხლა განთავისუფლებულ და განთავისუფლებულ წოდებათა შორის, დადგინდეს მემამულის სავალდებულო ურთიერთობისაგან გლეხისა და მის-

[51] იქვე. 1947 წ. № 3, გვ. 313, პარაგრაფები 178—193.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ბოძებული ნადელის საბოლოოდ ჩამოშორების პირობები“ (ხაზი ჩვენია—ი. ა.).

აქ მოტანილი ადგილები ნათლად ამჟღავნებენ კრიტიკული შენიშვნების რევოლუციურ-დემოკრატიულ და არა თავადაზნაურულ-ლიბერალურ ხასიათს, როგორც ეს ზოგ მკვლევარს მიაჩნია[52].

* * *

ამიერკავკასიის ცენტრალური საგლეხო კომიტეტის პროექტი, შედგენილი, როგორც ვნახეთ[53], პრივილეგიური წოდების ინტერესების მაქსიმალური დაცვით, განხილულ და მცირე შესწორებით დამტკიცებულ იქნა მთავარი საგლეხო კომიტეტისა და კავკასიის კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე[54]. ამის შემდეგ კი ის უმაღლესმა ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომელმაც, ამასთან დაკავშირებით, 1864 წლის 13 ოქტომბერს შემდეგი სამი დებულება გამოსცა: პირველი, დამატებითი წესები ბატონყმობიდან გამოსულ გლეხთა შესახებ თბილისის გუბერნიაში[55], მეორე, დებულება მემამულეთა მიწაზე მოსახლე გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ[56] და მესამე, წესები გლეხთა საზოგადოების მოწყობისა და მათ მიერ სახაზინო, საერობო და სასოფლო ბეგარა—გადასახადების გაღების შესახებ[57]. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია მეორე და ჩვენც მის გარჩევას შევუდგებით.

დებულება თბილისის გუბერნიის საბატონო გლეხთა მიწათმოწყობის შესახებ ორ უმთავრეს საკითხს ეხება—სოფლის მშრომელი მოსახლეობის მიწითა და სხვა სავარგულებით მომარაგებისა და ბეგარა-გადასახადების საკითხს. მართალია, უმაღლესი ხელისუფლება და მისი ადგილობრივი ორგანოები ოდნავადაც არ იჩენდნენ გულგრილობას პრივილეგიური წოდების მოთხოვნილებისადმი, მათ მაინც პირველ რიგში ეგრეთწოდებული სახელმწიფოებრივი ინტერესი დააყენეს და, თავადაზნაურული არისტოკრატიის აბსოლუტური უმრავლესობის წინააღმდეგ, გლეხთა მიწით განთავისუფლებას დაუჭირეს მხარი. მთავრობის ეს „რაინდული“ ნაბიჯი ნაკარნახევი იყო, რა თქმა უნდა, არა ნაზი გრძნობებით მწარმოებელი კლასისადმი, არამედ წმინდა ფისკალური და პოლიტიკური მოტივებით. საქმე იმაშია, რომ უმამულო გლეხი ვერ იქნებოდა სახაზინო გადასახადის წესიერი გადამხდელი და თანაც, რაც მთავარია, გააძლიერებდა რა პროლეტარულ ელემენტს, მეტად საშიშ ძალად დაუპირისპირდებოდა სახელმწიფოს.

მაგრამ კანონმდებელი იქვე პრინციპულად შენიშნავდა, რომ გლეხებს მიწა (ნადელი) ეძლეოდათ არა საკუთრებად, არამედ „მუდმივ“ სარგებლობა-

[52] იხ. მაგალითად, პროფ. გ. მეგრელიშვილის საყურადღებო მონოგრაფია „Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века“. ტ. 1, 1960, გვ. 248, 254, 255 და სხვ.

[53] ეს ჩვენ ვნახეთ „კრიტიკული შენიშვნის“ გარჩევის დროს.

[54] მთავარი საგლეხო კომიტეტისა და კავკასიის კომიტეტის ადგილსამყოფელს პეტერბურგი წარმოადგენდა.

[55] ВПСЗРИ, ტ. XXXIX, документ № 41349; საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, გვ. 413—420.

[56] ВПСЗРИ, т. XXXIX, документ № 41350; საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, გვ. 420—455.

[57] ВПСЗРИ. т. XXXIX документ № 41351; საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის, გვ. 455—458.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში“, რაშიც ისინი „დაწესებულ გადასახადებს“ უხდიდნენ მემამულეებს (პარაგრაფი 1). ნადელი, რომელშიაც საკარმიდამო, სავენახე, საბაღე და სახნავ-სათიბი ადგილები შედიოდა, ყმურ მდგომარეობიდან გამოსულს იმ რაოდენობით ეძლეოდა, რა რაოდენობითაც ფლობდა მათ გასარჩევი დებულების დამტკიცებამდე (პარაგრ. 5). მაგრამ თუ კი რომელიმე სოფელში გლეხების მიწით მომარაგების შემდეგ მემამულის განკარგულებაში დარჩენილი ფართობი სანადელოდ გაცემულზე ნაკლები აღმოჩნდებოდა, მას ნება ჰქონდა საქმე ისე წაეყვანა, რომ ნახევარი თავისთვის დაეტოვებინა (პარაგ. 6), რაც, თავისთავად ცხადია, უშუალო მწარმოებლის ხარჯზე უნდა გაკეთებულიყო. მეშვიდე პარაგრაფის ძალით კი მებატონე „არავითარ შემთხვევაში არ იყო ვალდებული“ გლეხისთვის სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები დაწესებულ უმაღლეს ნორმაზე ზევით მიეცა. ასეთ უმაღლეს ნორმად კი მიღებულ იქნა: სარწყავი მიწებისთვის — 10 დღიური (5 დესეტინა), ხოლო ურწყავისათვის — 20 დღიური (10 დესეტინა). ეს, თავისთავად ცხადია, „უფლებას“ აძლევდა მემამულეს ზედმეტი ფართობი ჩამოეჭრა და მწარმოებელი კლასის მიწათმფლობელობა „კანონიერ“ ფარგლებში ჩაეყენებინა[58]. უფრო მეტიც. მას იმის ნებაც მიეცა, რომ გლეხების სარგებლობიდან ამოეკვეთა მიწის მთელი ის ფართობი, რაც ეგრეთწოდებულ „ძირითად საველე ნაკვეთს“ აღემატებოდა. ასეთ ნაკვეთად კი ითვლებოდა სარწყავი და ურწყავი მიწების უმაღლესი ნორმის ნახევარი (პარაგრაფი 35)[59].

ამრიგად, დებულება სრულიად გამორიცხავდა დადგენილ ნორმაზე მეტი ფართობის მშრომელი კაცის განკარგულებაში დატოვების შესაძლებლობას, მაგრამ ოდნავაც არ ითვალისწინებდა იმათი მფლობელობის გაფართოებას, რომელთაც ნორმაზე ნაკლები მამულები ჰქონდათ. კანონი მიწას არც იმ გლეხს აძლევდა, რომლის სარგებლობაში ის რეფორმამდე არ ყოფილა. ასეთების რაოდენობა კი, როგორც ცნობილია, 1800 კომლი ან საბატონო ყმების 14% აღმოჩნდა. მიწები არც შინაყმებისა და ხიზნებისთვის მიუციათ[60]. მათი რიცხვი კი საკმაოდ საგრძნობი იყო და 8102 კომლს უდრიდა

---

[58] „Когда в одном селении, — ნათქვამია დებულებაში, — общее количество пахотных и сенокосных земель, состоящих в пользовании всех крестьянских дымов в совокупности, будет превышать, по расчету на каждый дым, высший, определенный предыдущею (7) статьею, размер подымного полевого участка, то помещику предоставляется отрезать сей излишек в свое непосредственное распоряжение. Если помещик крестьянам оставить такой излишек в их постоянном пользовании, то условия сего пользования определяются по добровольному соглашению помещика с крестьянами“ (ВПСЗРИ, т. XXXIX, № 41350, параграф 8).

[59] მაგალითად, სარწყავი მიწების რაიონში, სადაც, როგორც უკვე ვთქვით, უმაღლეს ნორმად 10 დღიური იყო დაწესებული, ძირითადი საველე ნაკვეთი ამის ნახევარი ან ხუთი დღიური იქნებოდა, ხოლო ურწყავი მასივის ტერიტორიაზე კი — 10 დღიური.

[60] დებულებაში ბატონყმობიდან განთავისუფლებულ შინაყმათა და ხიზანთა მოწყობის შესახებ, რომელიც 1864 წლის 4 ნოემბერს მეფის ნაცვალმა დაამტკიცა, ნათქვამია: შინაყმები, რომელთაც კარმიდამო აქვთ, არ კარგავენ მომავალში მით სარგებლობის უფლებას, მაგრამ თუ ასეთი რამ არა აქვთ, „მემამულეები არავითარ შემთხვევაში არ არიან ვალდებული გამოუყონ მათ“ ასეთი ნაკვეთი (საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის... იხ. დებულება, დაბეჭდილი 463—470 გვერდებზე, მუხლი 5). ამ მუხლის პირველი შენიშვნის თანახმად კი პრივილეგიურ წოდებას ნება ჰქონდა თავის სურვილით გამოეყო შინაყმებისთვის არა მარტო საკარმიდამო, არამედ თვით სახნავ-სათესი მიწებიც კი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთ საქართველოში[61]. ყოველივე ამას ისიც უნდა დაემატოს, რომ წვრილი მემამულეები, ე. ი. ისეთები, რომელთა სახნავ-სათესი და სათიბ-საძოვარი ადგილების ფართობი 60 დღიურზე (30 დესეტინაზე) ნაკლები იყო, თავისუფლდებოდნენ დებულებით გლეხისთვის მიწის გამოყოფის მოვალეობიდან[62].

მწარმოებელ კლასს თავისი მეურნეობის გასამართავად და ცხოვრება-არსებობის შესანარჩუნებლად ესაჭიროებოდა არა მარტო ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის მიწები, არამედ ხე-ტყეც, თევზსაჭერი და სანადირო ადგილებიც. ყველა ამით სარგებლობის საკითხი პრივილეგიური წოდების სასარგებლოდ იყო გადაწყვეტილი. დებულების, თანახმად მემამულე არ იყო ვალდებული გლეხისთვის საამშენებლო ხე-ტყის მასალა მიეცა[63]. ის თავისუფალი იყო აგრეთვე შეშის უსასყიდლოდ გაცემის მოვალეობისაგან[64]. იქ კი, სადაც გლეხები გასარჩევი კანონის გამოქვეყნებამდე უფასო საწვავით სარგებლობდნენ, მისი გამოქვეყნების შემდეგაც, ცხრა წლის განმავლობაში, მიიღებენ შეშას, „ვალეჟნიკს“, როკსა და სხვ., მაგრამ განსაკუთრებული საფასურის ან გადასახადის გადახდით[65]. იგივე ითქმის თევზსაჭერი ადგილების შესახებაც. ისინი პრინციპში მემამულის საკუთრებად გამოაცხადეს, მაგრამ იქ, სადაც მეთევზეობა მწარმოებელი კლასის შემოსავლის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენდა, გლეხს ნება ჰქონდა ხსენებული ადგილებით ესარგებლა, მაგრამ, რა თქმა უნდა, სათანადო გადასახადის გაღებით[66]. რაც შეეხება ნადირობის უფლებას, ესეც მემამულის პრივილეგიად იქნა აღიარებული, მაგრამ გლეხს არ ეკრძალებოდა მოეკლა თავის მიწაზე „მტაცებელი ან მეურნეობისთვის მავნებელი“ ნადირი ან ფრინველი[67].

დებულებაში შეტანილი იყო მთელი რიგი მუხლებისა, რომლებიც კიდევ უფრო ზღუდავდნენ გლეხების ისედაც შეზღუდულ მიწით სარგებლობას. 55-ე პარაგრაფი, მაგალითად, ნებას აძლევდა მემამულეს მოეთხოვა, გლეხის თანხმობის გარეშე, მისი კარმიდამოს სხვაგან გადატანა, თუ კი ამის გარეშე „შეუძლებელი“ იყო საბატონო და საგლეხო მიწების გამიჯვნა და მიწის პატრონის ნაგებობათა სახანძრო უშიშროების დაცვა. 73–75 პარაგრაფების ძალით კი მას ასეთივე უფლებები ენიჭებოდა გლეხის მუდმივ სარგებლობაში გადაცემული სახნავ-სათესი მიწებისა და სხვა სავარგულების მიმართ. მემამულეებს შეეძლოთ ხსენებული მიწების გაცვლა მოეთხოვათ, თუ კი მათ ტერიტორიაზე მადნეული ან მინერალური წყლები აღმოჩნდებოდა და მებატონე წის-

61 შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის..., გვ. 21.

62 ВЛСЗР, ტ. XXXIX, № 41350, პარაგრაფი 130.

63 იქვე, პარაგრაფი 30.

64 იქვე, პარაგრაფი 31.

65 ВПСЗРИ, ტ. XXXIX, № 41350. პარაგრაფი 32.

66 „Хотя вообще право на рыбные ловли,—ვკითხულობთ დებულებაში,—принадлежит, в пределах своего имения, помещику, но там где пользование оными составляло одно из главных средств существования крестьян и исполнения возложенных на них повинностей, пользование сие оставляется за крестьянами, на тех условиях, какие определены будут Губернским по крестьянским делам присуствием. Повинности за сие пользование должны быть соразмерны со средствами крестьян и выгодами, коими они пользуются“ (ВПСЗРИ, т. XXXIX, № 41350, პარაგრაფი 90).

67 ВПСЗРИ, т. XXXIX, № 41350, პარაგრაფი 91.

ქვილების, ფაბრიკა-ქარხნების, სარწყავი არხებისა და დრენაჟის გაკეთებას მოისურვებდა.

დებულების მეორე განყოფილება (პარაგრაფები 136—174) გადასახადის საკითხისადმია მიძღვნილი. კანონი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, მიწას მწარმოებელ კლასს აძლევდა არა საკუთრებად და უფასოდ, არამედ მუდმივ სარგებლობაში და გარკვეული გადასახადის გადახდით. 136 პარაგრაფის ძალით, მაგალითად, ბატონყმობიდან განთავისუფლებული გლეხი, დროებით ვალდებულ გლეხად რომ გამოაცხადეს, მისთვის მიცემულ მიწებში იხდიდა გამოსაღებს[68], რომლის სიდიდე-რაოდენობა მასსა (გლეხსა) და მემამულეს შორის ურთიერთ შეთანხმებით უნდა დადგენილიყო. თუ კი ასეთი შეთანხმება ვერ იქნებოდა მიღწეული, მაშინ გადასახადის განსაზღვრისას დებულებაში მოცემული მითითებით უნდა ეხელმძღვანელათ. ამ მითითების თანახმად კი გლეხი ვალდებული იყო ყოველ ერთ დღიურ (0,5 დესეტინა) საკარმიდამო მიწაში მებატონისთვის სამ-სამი მანითი ეძლია (პარაგრაფი 143). მაგრამ თუკი ეს კარმიდამო სავაჭრო-სამრეწველო და მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ან მათ მახლობლად იმყოფებოდა (რაც შრომის პროდუქციის ხელსაყრელ პირობებში გაყიდვას უწყობდა ხელს), მაშინ მისი ფართობის ყოველი დღიური უნდა შეფასებულიყო ჩვეულებრივზე გაცილებით უფრო ძვირად, მაგრამ არა უმეტეს 120 მანეთისა და საგადასახადო თანხაც აქედან გაანგარიშებულიყო 5% რაოდენობით (პარაგრაფი 144). სავენახე და სახნავ-სათესი ადგილებისთვის გლეხი სპეციალურ გადასახადებს კულუხსა და ღალას იხდიდა, რომელთა რაოდენობა შესაფერისად შემოსავლის ერთი მეოთხედი ნაწილით იყო განსაზღვრული (პარაგრაფები 146,148).

ასეთია ძირითად მომენტებში დებულება დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსული სოფლის მშრომელი მოსახლეობის მიწათმოწყობის შესახებ.

აქ, როგორც ვნახეთ, არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, შეეძლო თუ არა დროებით ვალდებულ გლეხს მის სარგებლობაში მყოფი მიწა საკუთრებად შეეძინა და თუ შეეძლო, სახელდობრ, როგორ და რა პირობებში. ამ კითხვებზე პასუხობს მეორე, იმავე 1864 წლის 13 ოქტომბერს გამოცემული დებულება—„დამატებითი წესები საბატონო გლეხების განთავისუფლების შესახებ“[69], რომელიც ჩვენ ზემოთ გაკვრით უკვე მოვიხსენიეთ. მისი მეცხრე პარაგრაფის თანახმად, გლეხს ნება ეძლეოდა თავისი ნადელი (კარმიდამო, სავენახე, სახნავ-სათესი მიწები და სხვა სავარგულები) მთლიანად ან ნაწილობრივ, სრულ საკუთრებად შეესყიდა, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ მემამულე ამის თანახმად იქნებოდა[70]. გამოსასყიდი თანხის სიდიდე—რაოდენობისა და გადახდის ვადების დადგენა დამო-

---

[68] ამ გამოსაღებს სხვადასხვა სახე ჰქონდა. კარმიდამოში, მაგალითად, გლეხი მხოლოდ ფულად გადასახადს იხდიდა, სავენახე და სახნავ-სათეს მიწებში კი ნატურალურს. მხარეების ურთიერთ თანხმობის შემთხვევაში ნებადართული იყო ამ უკანასკნელის ფულადი გადასახადით შეცვლა (ВПСЗДИ, ტ. XXXIX № 41350, პარაგრაფი 141).

[69] ВПСЗРИ, ტ. XXXIX, № 41349.

[70] გამონაკლისს წარმოადგენდა შემთხვევა, როდესაც მემამულის კუთვნილი სოფლის პოსადად ან დაბად გადაქცევის გამო გლეხს უფლება ენიჭებოდა მებატონის თანხმობის გარეშეც შეესყიდა ნადელის ნაწილი—საკარმიდამო მიწები (ВПСЗРИ, XXXIX, № 41349 პარაგრაფი 10).

კიდებული იყო მხარეების ნებაყოფლობით შეთანხმებაზე, რომელსაც ექვსი გარეშე პირი ესწრებოდა და მოშრიგებელი მოსამართლე ადასტურებდა (პარაგრაფი 13). ასეთი შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში გამოსასყიდი თანხა სხვადასხვა გვარად ისაზღვრებოდა. თუ კი, მაგალითად, გლეხი ნადელში, საწესდებო სიგელის თანახმად, ფულად ღალას იხდიდა, მაშინ მისი წლიური ოდენობა იანგარიშებოდა როგორც კაპიტალიდან მიღებული 6 პროცენტიანი სარგებელი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხდებოდა წლიური ფულადი გადასახადის 6 პროცენტიანი კაპიტალიზაცია ან მისი 16 2/3 გამრავლება. ამ გზით მიღებული თანხა იქნებოდა სწორედ ის, რაც უნდა გაეცა გლეხს მიწის საკუთრებად მესაძენად[71]. მაგრამ ეს თანხა, კანონმდებლის შენიშვნის თანახმად, არ უნდა ყოფილიყო კომლზე 350 მანეთზე ზევით საერთოდ[72], ხოლო გორის მაზრის მთაგორიან რაიონებსა და მთიანეთში—250 მანეთზე მეტი[73]. იმ შემთხვევაში კი, როდესაც გლეხი კარმიდამოში ფულად გადასახადს იხდიდა და საველე მიწებში—ნატურალურს, მაშინ გამოსასყიდი თანხის ის ნაწილი, რომელიც მიწების პირველ ჯგუფზე მოდიოდა, ზემოთაღნიშნული წესით გაიანგარიშებოდა, ხოლო დანარჩენი—ურწყავი და სარწყავი მიწების თითეული დიდუხის შესაფერისად 10 და 20 მანეთად შეფასების გზით[74]. ამნაირად მიღებული თანხის საერთო რაოდენობა კი არ უნდა გასცილებოდა კომლზე 250 მანეთს.

ყოფილი ყმა, რომელიც ნადელს შეისყიდდა, თავს აღწევდა დროებით ვალდებულ მდგომარეობას და შესაკუთრე გლეხების კატეგორიაში გადადიოდა.

რეფორმასთან დაკავშირებით კიდევ ორი საყურადღებო დოკუმენტი გამოიცა. ესენია წესები: „ბატონყმობიდან გამოსული გლეხების უფლებებისა და საწესდებო სიგელების შემოღებამდე მათი მემამულეებთან დამოკიდებულების შესახებ“[75] და „ყმების

---

[71] „Когда повинности.—Бэмцкэмиа дэбэулебэшю,—отбываются крестьянами за земельный надел, на основании уставной грамоты, денежным оброком, то во основание для определения размера выкупной ссуды, принимается годовой оброк, назначенный по той грамоте; годовой сей оброк капитализируется из шести процентов, т.—е. помнажается на шестнадцать и две трети. Исчисленная, на сем основании, капитальная сумма (и) составляет размер выкупной ссуды“ (ВПСЗРИ, ტ. XXXIX. № 41349, პარაგრაფი 19).

[72] ВПСЗРИ, ტ XXXIX. № 41349. პარაგრაფი 20. შენიშვნა მეორე

[73] იქვე, პარაგრაფი 21.

[74] „Когда повинности,—бэмцкэмиэбэшю дэбэулебэшю,—отбываются крестьянами за земельный надел, на основании уставной грамоты, частью денежным оброком—за усадебную оседлость, частью земеныои произведениями—за полевые земли, то часть ссуды, которая причитается за усадебную оседлость, исчисляется, согласно ст 19, капитализированием годового оброка; остальная же часть ссуды, причитающаяся за полевую землю (пахотную и сенокосную), определяется по расчету на каждодневное паханье, в неполивных полях по 10 рублей капитальной суммы; ежели же полевая земля находится в местах, имеющих постоянное орошение, или она отличается особым плодородием..., то капитальная сумма за каждое однодневное паханье подобной земли определяется в 20 рублей (ВПСЗРИ, XXXIX. № 41349, პარაგრაფი 22).

[75] ეს საბუთი 1950 წელს გამოაქვეყნა პროფ. შ. ჩხეტიამ თავის წიგნში „აგრარო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში“, გვ. 458—462. ჩვენ ამ პუბლიკაციით ვსარგებლობთ.

პირადი განთავისუფლების გამო მემამულეებისათვის ფულადი გასამრჯელოს გაცემის შესახებ"[76]. ორივე დოკუმენტი დამტკიცებულია მეფის ნაცვლის მიხეილის მიერ 1864 წლის 4 ნოემბერსა და 1865 წლის 26 მარტს.

პირველი მათგანის თანახმად, ყოფილ სამატონო ყმას ნება ეძლეოდა (პარაგრაფი 2): "მესულიყო ქორწინებაში და ესარგებლა ოჯახის ყველა უფლებით[77], დაეფლა ხელშეკრულება ხაზინასთან ან კერძო პირთან, ეწარმოებინა ვაჭრობა, გაემართა ფაბრიკა-ქარხნები, აღეძრა საჩივარი, გამოსულიყო სასამართლო პროცესზე, დაეცვა თავი და სხვ. ამ თავისთავად სასარგებლო შეღავათებთან ერთად გასარჩევი დებულება ადგენდა ისეთ წესებს, რაც მწარმოებელ კლასს არსებითად რეფორმამდელ მდგომარეობაში აყენებდა. მესამე პარაგრაფში, მაგალითად, პირადპირ იყო მითითებული, რომ ბატონყმური დამოკიდებულებიდან გამოსული გლეხი ვალდებული იყო საწესდებო სიგელების შემოღებამდე (ე. ი. 1866 წლის 1-ლ იანვრამდე) მიწის პატრონისთვის ეხადა ყველა ის გადასახადი, რასაც იგი რეფორმამდე იხდიდა[78]. მეშვიდე და მერვე პარაგრაფების ძალით კი იმავე საწესდებო სიგელების შემოღებამდე ნება დართული იყო ვალდებული გლეხების ღამის გუშაგებად გამოყვანა, ხოლო მათი ურემების—მემამულის საჭიროებისათვის გამოყენება, ამათზე დახარჯული დღეების შრომითი ბეგარის ანგარიშში ჩათვლის პირობით.

წესებში "ყმების პირადი განთავისუფლების გამო მემამულეებისათვის ფულადი გასამრჯელოს გაცემის შესახებ" ნათქვამი იყო, რომ მებატონეს რეფორმით მიყენებული "ზარალის" ასანაზღაურებლად ყოველ განთავისუფლებულ მამრობითი სქესის გლეხში ეძლეოდა გასამრჯელო 25 მანეთის ოდენობით (პარაგრაფი 3). ეს დაბმარება ორკეცდებოდა იმათ მიმართ, ვისაც უკანასკნელი კამერალური აღწერის მიხედვით ოცდაერთ სულზე ნაკლები მამრობითი სქესის გლეხი აღმოაჩნდებოდა (პარაგრაფი 4). მეხუთე პარაგრაფის ძალით კი მეფის ნაცვალს უფლება ჰქონდა დამატებითი ფულადი დახმარება მიეცა იმ თავად-აზნაურისთვისაც, რომელსაც ოცდაერთზე მეტი სული გლეხი ჰყავდა, მაგრამ რომელიც, ოჯახის წევრების სიმრავლის ან სხვა ყურადსაღები მიზეზის გამო, მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი.

* * *

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნები გაკეთდეს[79]:

---

[76] საბუთი გამოქვეყნებულია პროფ. შ. ჩხეტიას ივანე წერეთლის წიგნში, გვ. 470—477. ჩვენ ყველგან ამ გამოქვეყნებულ ტექსტზე ვუთითებთ.

[77] რეფორმამდე გლეხს ბატონის ნებართვის გარეშე უფლება არა ჰქონდა ცოლი შეერთო.

[78] ეს გადასახადები იყო: ქულები, ღალა და შრომითი ბეგარა კვირაში ერთი დღის ოდენობით (იხ. პარაგრაფები 4,5,6).

[79] ჩვენ არ გვრდებით დასკვნები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩატარებულ რეფორმაზე, არ ვიხილავთ იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, აფხაზეთის და სვანეთის სამატონო გლეხების განთავისუფლების ძირითად პრინციპს, რადგანაც ეს პრინციპები არსებითად იგივე იყო, რაც ქართლ-კახეთში. განსხვავება მხოლოდ დეტალებში, იგრთნობოდა. ლაპარაკობდა რა იმერეთისა და გურიის თავადაზნაურების მიერ შედგენილ და სხვადასხვა ინტერესებში მოწონებულ პროექტზე, მეფის ნაცვალი მიხეილი წერდა: Проект этот составлен в форме проекта дополнительных правил к положениям 18 октября 1864 года

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. 1864 წელს, ბატონყმობის გაუქმების შედეგად, ყმებს პირადი თავისუფლება მიენიჭათ, რაშიაც თავადაზნაურობამ, გარდა ერთდროული კონპესაციისა, დამატებითი დახმარება მიიღო—ოცდახუთიდან ორმოცდაათ მანეთამდე ყოველ განთავისუფლებულ მამრობითი სქესის გლეხზე.

2. დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსულ გლეხს დებულებით მიწა მიეცა, მაგრამ არა საკუთრებად, არამედ მუდმივ სარგებლობაში, რისთვისაც ის მის პატრონს უხდიდა იმავე გადასახადებს (ღალა, კულუხი, შრომითი ბეგარა), რასაც რეფორმამდე.

3. გლეხს მისთვის გამოყოფილი მიწის საკუთრებად შესყიდვა მხოლოდ მებატონის თანხმობით შეეძლო. ნაკვეთის გამოსყიდვამდე იგი დროებით ვალდებულ გლეხად იწოდებოდა, გამოსყიდვის შემდეგ კი ის მესაკუთრეთა კატეგორიაში გადადიოდა. მაგრამ რაკი გამოსყიდვა სავალდებულოდ არ იყო გამოცხადებული, დროებით ვალდებულებამ მუდმივი ხასიათი მიიღო და ის კანონით მხოლოდ 1912 წელს გაუქმდა, არსებითად კი მან 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამდე მოაღწია.

4. დებულებით გლეხს მიწა გარკვეული ნორმით ეძლეოდა, ნორმაზე მეტი ფართობი კი მას მემამულის სასარგებლოდ უნდა ჩამოსჭროდა. ამის წყალობით მწარმოებელი კლასის რეფორმამდელი ხანის მიწის მფლობელობა 28.986 დესეტინით შემცირდა[80].

5. ამიტომ ამბობდა ლენინი, რომ ყბადაღებული რეფორმა იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა, რომ იგი წარმოადგენდა მათ მიმართ მთელ რიგ ძალმომრეობას და პირდაპირ დაცინვას[81]. „საქმარისია—წერდა ნ. ნიკ-

---

в Тифлисской губернии. Они в сущности и составляют дополнение к сим подожениям, и бо, повторяя те же главные начала, кои приняты для устройства быта крестьян в Тифлисской губернии, вмещают в себе лишь из, ятия коих потребовало применение тех начал к условиям и особенностям Кутаисской губернии“ (СХАО, ტ. 11, გვ. 374. ხაზი ჩვენია—ი. ა.).

იგივე ითქმის სამეგრელოს, აფხაზეთისა და სვანეთის შესახებაც. მაგალითად, სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმების თაობაზე გამოცემული დებულების მეორე პარაგრაფში პირდაპირ იყო მითითებული, რომ 1864 წლის 13 ოქტომბერს „სჯულდებანი, ყოველთა იმა ნაწილთა შინა, რომელთაცა ზედა არა დაწესდებიან განსხვავებანი ამა დამატებითა კანონთა შინა“, გავრცელდებიან „ქუთაისის გუბერნიაზედ“.

რეფორმის თავისებურებათა შესწავლა კი ცალკეულ რაიონებში მსურველებს შეუძლიათ შემდეგი დებულებებით: 1. 1865 წლის 13 ოქტომბრის, რომელიც ქუთაისის გუბერნიას შეეხება (ტექსტი ამ დებულებისა იხ. გაზ. Кавказ, 1865 г., №№ 88 89) 2. 1866 წლის 1-ლი დეკემბრის, რომლითაც განთავისუფლდნენ სამეგრელოს საბატონო ყმები (მისი ქართული თარგმანი დაბეჭდილია გაზ. „დროების“ 1867 წლის 9, 10, 11 და 12 ნოემბერში და დოც. ი. ახალაიას წიგნში—„საგლეხო რეფორმა საქართველოში“, სოხუმი, 1958 წ., გვ. 141—156) და 3. 1870 წლის 8 ნოემბრის, რომლის საფუძველზედაც მოისპო დამოკიდებული ურთიერთობა აფხაზეთში (იხ. მისი ტექსტი ი. ანთელავას, გ. ძიძარიას და ა. ოლონეცკის სტატიაში: „Из истории крестьянской реформы в Абхазии“ в журнале „Исторически архив“, т. V, 1950 г., стр. 414—423).

[80] რეფორმამდე აღმოსავლეთ საქართველოს საბატონო გლეხების განკარგულებაში 84.665 დესეტინა მიწის ფართობი იყო, რეფორმის შემდეგ კი დარჩა 55.679 დესეტინა, ე. ი. შემცირდა ის 28.986 დესეტინით (С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, ტ. 1, გვ. 431).

[21] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17.

ოლაძე[82],—ოდნავ ჩაუფიქრდეს კაცი თქვენს კანონდებულებებს, რომ ცამდე აიყვანოს ძველი ბატონყმობა... ერთი გვითხარით, თუ ღმერთი გწყმთ, მოგბოვება თუ არა რაიმე აზრი... თქვენს, ეგრეთწოდებულ, რეფორმას, როდესაც მემამულე გლეხების მთელი მიწების მფლობელობაში შეგყავთ, როდესაც გლეხებს წინანდელზე უარესად აბამთ მიწაზე, როდესაც, ბოლოს, მემამულეს დაუსჯელად შეუძლია ჩამოაჭრას გლეხს მისი მიწის ნახევარი, როდესაც გლეხს ხელიდან ეცლება მიწა, წყალი, საწვავი მასალა და თითქმის პაერიც კი?"[83].

ნ. და მიუხედავად იმისა, რომ რეფორმა მემამულეთა ინტერესების მაქსიმალური დაცვით გატარდა, მას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიერიდან ძირითად მწარმოებელ კლასს—გლეხობას შეეძლო შედარებით უკეთეს პირობებში წარემართა თავისი სამეურნეო საქმიანობა. არ იყო რა ძველებურად ხელფეხშეკრული, მას ნება ჰქონდა ქონება შეეძინა და ის სურვილისამებრ გამოეყენებინა, გაემართა ვაჭრობა-მრეწველობა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგი. გაძლიერდა გლეხის პირადი დაინტერესება, გაიზარდა მისი შრომის ნაყოფიერება. ბატონყმობის გაუქმებამ დააჩქარა საწარმოო ძალების განვითარება, ქვეყნის ეკონომიური დაწინაურება და ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის საბოლოო გამარჯვება.

---

[82] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, თხზულებანი (ტროფ. დ. გ ა მ ე ზ ა რ დ ა შ ვ ი ლ ი ს რედაქციით), ტ. 1, თბილისი, 1962, გვ. 274.

[83] რეფორმის ასეთი შეფასება, თუმცა რამდენამდე ცალმხრივია, მაგრამ ძირითადში ის მაინც სწორია და სინამდვილეს ძეფუერება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში

ი. ფაბაღუა

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა)

ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე სულხან-საბა ორბელიანი, ფრანგ მისიონერ ჟან რიშარდთან ერთად, 1713 წლის აგვისტოში დიპლომატიური მისიით გაემგზავრა დასავლეთ ევროპაში[1]. 1714 წლის 22 იანვარს ისინი მარსელში ჩავიდნენ, ხოლო იმავე წლის 21 მარტს სულხან-საბა თავისი მხლებლებით პარიზშია[2].

დასავლეთ ევროპაში ს.-ს. ორბელიანის ელჩობის საკითხი განხილული აქვთ თავიანთ ნაშრომებში მ. ბროსეს[3], მ. თამარაშვილს[4], ნ. ბერძენიშვილს[5], დ. ლენგს[6], ვ. გაბაშვილს[7], ჯ. ლომაშვილს[8] და სხვ.

წინამდებარე ნაშრომში, საფრანგეთის არქივებში ჩვენს მიერ მოპოვებული ზოგიერთი ახალი მასალის საფუძველზე, შევეხებით მხოლოდ ერთ საკითხს — ს.-ს. ორბელიანის მოლაპარაკებას პარიზ-ვერსალში.

---

1 ს.-ს. ორბელიანს ევროპაში მოგზაურობის დროს თან ახლდა დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის გრიგოლის წარმომადგენელი დავით ბერი, რომელიც ფრანგულ წყაროებში იხსენიება, როგორც დავით მეგრელი („David Mingrelien").

2 ეი მარშრუტი, რომლითაც გაიარა ს.-ს. ორბელიანმა მარსელიდან პარიზამდე: მარსელი-ექს-ან-პროვანსი — ლამბეზი — ავინიონი — ორანჟი — მონტელიმარი — ლორაიოლი — ვალენსი — სენ-ვალიე — ვიენი — ლიონი — ლ'აბრეისლი — როანი — მოლინი — ნევერი — ლა მარიტე — კოსნი — ბრიარი — მონტარჟი — ნემური — მელუნი — შარენტონი — პარიზი. საფრანგეთში ყოფნის დროს, ამ სტრიქონების ავტორს საშუალება მიეცა გაევლო ამ მარშრუტით.

3 M. Brosset, Documents originaux sur les relations diplomatiques de la Géorgie avec la France vers la fin du règne de Louis XIV. „Nouveau Journal Asiatique" Paris, 1832, t. IX, pp. 193—221; 339—366; 437—456.

4 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე, ტფილისი, 1902; M. Tamarati, L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910.

5 ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბილისი, 1944, გვ. 171—211.

6 D. M. Lang, The Last Years of the Georgian Monarchy 1658—1832. New York, 1957; ibid., Georgian Relations with France during the reign of Wakhtang VI (1711—24). „Journal of the Royal Asiatic Society", Parts 3 and 4, October 1950, London pp. 114—126.

7 ვ. გაბაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი. წიგნში: სულხან-საბა ორბელიანი 1658—1958. საიუბილეო კრებული, თბილისი, 1959, გვ. 61—76.

8 ჯ. ლომაშვილი, სულხან-საბა ორბელიანი როგორც დიპლომატი, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნ. კრებული, V, 1950, გვ. 71—80.

მარსელიდან პარიზში მიმავალ სულხან-საბას, რომელსაც თან ახლდნენ ჟან რიშარი და დავით მეგრელი, პარიზთან ახლოს საფრანგეთის მთავრობის ორი წარმომადგენელი შეხვდა. მათ შორის ერთ-ერთი იყო დემარე[9]. ამის შესახებ თვითონ სულხან-საბა საფრანგეთის მინისტრს და სახელმწიფო მდივანს გრაფ დე პონშარტრენს[10] სწერდა: „როდესაც გინდათ, თქუენთან მოვალ, და მაღლაც გარდავხდი, რომ ორნი პატიოსანი თქუენი მოსამსახურე მოგეგებებინათ, და ალერსები და მოკითხვა შემოგეთვალათ, და წამოგვიძღუნენ, და დაგჳანადგურებ“[11].

პარიზში კი, გრაფი დე პონშარტრენის სახლით 21 მარტს ს.-ს ორბელიანს მიესალმა მამა პოტიე[12]. 22 მარტს ჟან რიშარმა წერილობით მოახსენა თავის მინისტრს ს.-ს. ორბელიანის პარიზში ჩასვლის შესახებ და გადასცა სულხან-საბას სურვილი, შეხვედროდა მას. „ბატონ სულხან-საბას, — სწერდა რიშარი მინისტრს, — რომლის მისასალმებლადაც გუშინ თქვენი დიდებულების მხრივ მოვიდა ბატონი პოტიე, სურდა, დღეს მოვსულვიყავი, რათა დამედასტურებინა თქვენდამი მისი პატივისცემა და მომართმია მისი წერილი; მაგრამ დაგჳრწმუნე, რომ ამის შესახებ მე უნდა მჭონდოდა თქვენი განკარგულებანი“[13].

თვითონ ჟან რიშარსაც ეჩქარებოდა მისვლა თავის უფროსებთან, რათა უშუალოდ წარმოგჳიყო მათ წინაშე და მოეხსენებინა აღმოსავლეთის ამბები. 22 მარტს იგი სწერდა გრაფ დე პონშარტრენს: „თუ თქვენი დიდებულება ნებას დამრთავს, ხვალ დილით თქვენთან მოვალ, როგორც იმისთვის, რათა შეჳასრულო ბატონის (სულხან-საბას — ი. ტ.) თხოვნა, ასევე იმისათვის, რათა უფრო დეტალურად მოგახსენოთ, ვიდრე მე ეს წერილობით შევძელი. სპარსეთში მისიების მდგომარეობისა და ვაჭრობის მომართ სპარსელების განწყობილების შესახებ“[14].

როგორც სხვა საბუთებიდან ირკვევა, 23 მარტს ჟან რიშარი შეხვედრია გრაფ დე პონშარტრენს[15].

---

9 ამ პერიოდში საფრანგეთის სამეფო კარზე ცნობილია ორი დემარე: 1) ქანდარმერიის თანამშრომელი დემარე (l'exempt Desmarets), რომელიც 1714 წლის 28 ოქტომბერს დე ლუვენთან და ლეიტენანტ ბონფონასთან ერთად სპარსეთის ელჩს მოჰამედ რეზა ბეგს შეხვდა მარსელში; 2) ნიკოლა დემარე (Desmarets), მარკიზ დე მელებუა (1648—1721), სახელმწიფო მინისტრი და ფინანსების გენერალური დირექტორი. გადაჭრით ძნელია იმის თქმა, თუ რომელი დემარე შეხვდა აქედან სულხან-საბას. ამასთანავე, ამ გვარს სხვადასხვანაირად წერენ სხვადასხვა ავტორები. მაგალითად: სულხან-საბას წერილში წერია: „დემარასი“ (იხ. M. Brosset, Op. cit., p. 344; მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 318). ამ წერილის ფრანგულ თარგმანში მ. ბროსე წერს: "Desmarais„ (იხ. M. Brosset, Op cit.); ჟან რიშარის ერთ-ერთ წერილში წერია: „des Marais“ (იხ. Archives du Ministère des Affaires Etrangères de la France. Paris. Correspondance Politique. Perse, t. 3. f°. 104).

10 გრაფი დე პონშარტრენი (1643—1727) — ფრანგი სახელმწიფო მოღვაწე: ლუი XIV-ის მეფობის დროს ჯერ საზღვაო მინისტრი (1690—1799), ხოლო შემდეგ მინისტრი და სახელმწიფო მდივანი — კანცლერი (1699—1714).

11 M. Brosset, Op. cit., p. 343; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 317.

12 მამა პოტიე — ფრანგი მისიონერი, იეზუიტი; ერთხანს იყო სპარსეთში.

13 Archives. Paris. Perse, t. 3, f°. 104. (ჩვენს მიერ გამოყენებული არქივის მასალების ჭრილულად გადმოღების დროს, ვარჩიეთ, არ დაგვეცილებინა თარგმანი ორიგინალისაგან; ამდენად ზოგჯერ თარგმანი მოკლებული იქნება სტილისტურ გამართულობას).

14 Ibid., f° 104—104 v°.

15 Ibid , f°. 107.

ს.-ს. ორბელიანმა, მისთვის ჩვეული ენერგიით, ისევე როგორც მარსელში, პარიზშიაც გაშალა დიდი დიპლომატიური მოღვაწეობა. გაჩაღდა აქტიური მიწერ-მოწერა ს.-ს. ორბელიანსა და საფრანგეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის. სხვათაშორის, ყველა ამ საქმეში აქტიურ როლს ასრულებდა ჟან რიშარი, რომელიც დიდ ინტერესს იჩენდა სულხან-საბას მისიასთან დაკავშირებული საკითხების დადებითად გადაჭრის მიმართ.

იმავე, 21 მარტს ს.-ს. ორბელიანმა გრაფ დე პონშარტრენთან გაგზავნა ზემოხსენებული დემარე[16]. ჩვენს განკარგულებაში არსებული მასალებიდან არ ჩანს, გრაფ დე პონშარტრენს დემარეთ სულხან-საბას შესახებ ზეპირად მოახსენა, თუ ჟან რიშარის ან სულხან-საბას წერილი გადასცა. 22 მარტს ჟან რიშარი გრაფ დე პონშარტრენს სწერდა: „მან (სულხან-საბამ—ი. ტ.) თქვენ გამოგიგზავნათ ბატონი დე მარე, რომლისაც ის ძლიერ კმაყოფილია“[17].

23 მარტს თვითონ სულხან-საბამ უშუალოდ მისწერა წერილი გრაფ დე პონშარტრენს, რომლითაც აცნობა პარიზში თავისი ჩამოსვლა და მზადყოფნა შესახვედრად: „მე სულხან-საბა ორბელიანი ამ წიგნს გწერ, და ამას გაცნობებ რომ, თქუენის მაღლის მეფის ბრძანებითა, წყალობითა, და ნიჭითა, აქ დიდს ქალაქს ფარიზს მივედით, და... ვახტანგ ქართველთ მეფის პასუხები დიდებულთანაცა, და თქუენთანაცა მოვიტანე: როდესაც გინდათ, თქუენთან მოვალ...“[18].

პარიზში ჩასვლისთანავე ს.-ს. ორბელიანმა საფრანგეთის ხელისუფლებას სთხოვა ნებართვა — ეცხოვრა არა სასტუმროში, არამედ მონასტერში. 23 მარტს ჟან რიშარი თავის მინისტრს სწერდა: სულხან-საბა „...განუწყვეტლივ გთხოვთ თქვენს მფარველობას მისი უდიდებულესობის წინაშე... რათა მიიღოს მოწყალება — აქ ყოფნის დროს იცხოვროს საღვთო სახლში“[19]. როგორც სხვა საბუთებიდან ირკვევა, ს.-ს. ორბელიანს მიუღია ასეთი უფლება და უცხოვრია პარიზის სენ-ლაზარის მონასტერში.

25 მარტს ჟან რიშარმა კვლავ აცნობა თავის მინისტრს სულხან-საბას სურვილი — შეხვედროდა მეფე ლუი XIV-ს და დაეთვალიერებინა პარიზის ღირსშესანიშნაობანი[20]. „თქვენმა დიდებულებამ უწყის სურვილი, — სწერს ჟან რიშარი მინისტრს, — რომელიც მას (სულხან-საბას — ი. ტ.) აქვს — იხილოს მეფე“[21].

მეფის მიღების მოლოდინში ს.-ს. ორბელიანს გადაუწყვეტია, დაეთვალიერებინა პარიზის ღირსშესანიშნაობანი. „რამდენადაც თქვენ, — სწერს რიშარი გრაფ დე პონშარტრენს,—ჯერ კიდევ არ გაეცით განკარგულება, რათა ს.-ს. ორბელიანს აჩვენონ პარიზის შესანიშნაობანი, ამდენად სულხან-საბას შეკითხვის შემდეგ — შეუძლია თუ არა მას ცოტა ხანს გასეირნება ნასადილევს — ჩვენ იგი წავიყვანეთ პირველ ეკლესიაში წირვის მოსასმენად“[22].

ს.-ს. ორბელიანი წაუყვანიათ ეტლით და დაუთვალიერებია „სამეფო მოედანი და ეტლიდან ჩამოუსვლელად — ლუვრი“[23]. შემდეგ შესულა იეზუიტე-

[16] Arcives. Paris. Perse, t. 3. f°. 104.
[17] Ibid.
[18] M. Brosset, Op. cit., pp. 342—343
[19] Archives. Paris. Perse, t. 3, f°, 107 v°—108.
[20] Ibid.
[21] Ibid., f°. 108.
[22] Ibid.
[23] Ibid.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბის „ნეტარ მამათა ეკლესიაში, სადაც ის კარგად მიუღია ნეტარ მამა ლე ტელიეს, რომელთანაც იგი შეუყვანია იეზუიტთა კომპანიის ლევანტის მისიების გენერალურ პროკურორს ნეტარ მამა ფლერიოს“[24].

ნეტარმა მამა ლე ტელიემ „გამოავლინა თავისი მადლიერება მისდამი იმ მფარველობისათვის, რომელსაც ის აღმოუჩენს და უწევს მისიებს საქართველოში“[25].

იმ დროის საფრანგეთის გარკვეული წრეები, სხვადასხვა მოგზაურთა ჩანაწერების თუ სხვა მასალების მიხედვით, იცნობდნენ საქართველოს. ს.-ს. ორბელიანის პარიზში ყოფნის დროს კი პარიზის თეატრში იდგმებოდა ფრანგი დრამატურგის პ. კრებიიონის[26] ცნობილი ტრაგედია „რადამისტი და ზენობია“[27]. ქართველთა ყოფის ირგვლივ შექმნილი ამ ნაწარმოების დადგმა სულხან-საბას პარიზში ყოფნის დროს ერთი საინტერესო ფაქტი იყო, რომელიც დიდ ინტერესს იწვევდა პარიზელ მაყურებლებში.

1714 წლის 25 მარტს ს.-ს. ორბელიანმა ლუი XIV-სთან წარსადგენად მემორანდუმი გადასცა გრაფ დე პონშარტრენს[28], ამ მემორანდუმში ვკითხულობთ: „თუ ვახტანგი, საქართველოს მეფე, დარჩება ისფაჰანში, საქართველო მთლიანად გამაჰმადიანების აშკარა საფრთხეშია, ხოლო თუ ის დაბრუნდება თავის სამფლობელოებში, ქართველები არა მარტო შეინარჩუნებენ ქრისტიანულ სარწმუნოებას, არამედ თავიანთი მეფის მაგალითისამებრ, შეუერთდებიან კათოლიკურ სარწმუნოებას. ის (ვახტანგი — ი. ტ.) განწყობილია, გააკეთოს ეს, რადგანაც თავისი უბედურების მიზეზად ამ საქმის დაყოვნებას თვლის. ამიტომ გამოთქვა სურვილი, სამშობლოში დაბრუნებისთანავე გადაწყვიტოს ეს საქმე. ამ მეფის განზრახვა უფრო დიდიცაა. მას სურს მისიონერებს მისცეს ქმედითი საშუალებები, მიიღებინოს ეს სარწმუნოება ჩერქეზეთს, რომელიც ესაზღვრება საქართველოს და რომლის მთავრის ერთ-ერთი ქალიშვილი მან ცოლად შეირთო“[29].

---

24 Ibid., f°. 107—108 v°.

25 Ibid., f°. 108. v°.

26 პროსპერ ჟოლიო კრებიიონი — მამა (1674—1762) — ფრანგი პოეტი-ტრაღიკოსი; ცხრა ტრაღედიის ავტორი: „იდომენე“, „ატრეე და ტიესტი“, „ელექტრა“, „რადამისტი და ზენობია“, „ქსერქსე“, „სემირამიდა“, „პირიუსი“, „კატალინა“, „ტრიუმვირატი“.

27 „რადამისტი და ზენობია“-ში მოთხრობილია სისხლაღრევითი ქორწინების, ბუნების საწინააღმდეგო სიყვარულის ისტორია. ავტორს თავისი ტრაღედიის სიუჟეტი საქართველოს ისტორიიდან აუღია. პიესაში ლაპარაკია ორ ძმა-მეფეთა მტრობაზე: იბერიის მეფე ფარნავაზსა და სომხეთის მეფე მითრიდატს შორის. ტრაღედიის შინაარსი მოკლედ ასეთია: ფარნავაზის შვილს რადამისტს შეუყვარდა მითრიდატის ქალიშვილი ზენობია. მითრიდატმა არ მოისურვა ქალიშვილი ცოლად მიეცა ძმისშვილისათვის. მაშინ რადამისტმა მოკლა მითრიდატი და მოიტაცა ზენობია. მითრიდატის ძ.ამხრეები გამოეკიდნენ მას. გამოუვალ მდგომარეობაში მოძწყვდეული რადამისტი კლავს ზენობიას და თვითონ წყალში გადავარდება. გაიარა წლებმა. ფარნავაზს და მის უმცროს ვაჟს არზამს შეუყვარდათ ერთი ქალი — სახელად ისმენი, ეჭვიც არ შეპარვიათ რა იმაში, თუ ეს ქალი იყო ზენობია (იგი გადარჩა და სხვა სახელის ქვეშ იმალებოდა). ამ დროს საქართველოს მეფე ფარნავაზთან მოდის რომაელთა ელჩი — ეს რადამისტია, რომელიც ასევე გადარჩა და იმალებოდა. ის ვერ იცნეს მამამ და ძმამ. რადამისტმა საიდუმლო მხოლოდ ზენობიას გაანდო. ერთ დღეს ისინი გაიქცნენ, მაგრამ მეფე ფარნავაზი და მისი ვაჟი გამოეკიდნენ მათ, დაეწივნენ. მეფე კლავს რომაელთა ელჩს. სიკვდილის წინ რადამისტი გამოუტყდება მამას. მამა სატანჯველში ვარდება. რადამისტი კვდება. ფარნავაზი უბრძანებს თავის უმცროს შვილს, წაიყვანოს ზენობია და წავიდეს მასთან ერთად სომხეთში.

28 M. Brosset, Op. cit., pp. 347—351; მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 321–322.

29 Ibid., pp. 347—348.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ პროექტის განხორციელების შემთხვევაში კათოლიკური სარწმუნოება შეიძლებოდა გავრცელებულიყო „მჭიდროდ დასახლებულ დაახლოებით 24 პროვინციასა და მრავალ მეზობელ სამფლობელოში“[30].

„ეს დიდი მოგზაურობა, — ნათქვამია სულხან-საბას მემორანდუმში, — მე წამოვიწყე მხოლოდ ამ ხალხების ხსნისათვის და მოვედი, რათა დავემხო ეკლესიის უფროსი შვილის ფეხქვეშ იმ იმედით, რომ ეს წერილი მისცემს შემთხვევას დაპირებებით წაქეზებულ სპარსელ ბატონებს წინადადება მისცენ სეფიანებს საქართველოში ვახტანგის, როგორც მათი განკარგულებების ყველაზე უფრო შესაფერის შემსრულებლის, დაბრუნების აუცილებლობის შესახებ“[31].

მაგრამ ამისათვის საჭირო იყო საფრანგეთის მეფის ისეთი რწმუნებულის გაგზავნა სპარსეთში, რომელიც მოაგვარებდა იქ ვახტანგის განთავისუფლების საქმეს. ამასთანავე, სულხან-საბა საფრანგეთის მეფეს სთხოვდა ფულს, რომელიც ამ უკანასკნელს უნდა გაეღო ვახტანგის გასათავისუფლებლად. მემორანდუმში ვკითხულობთ: „300.000 ეკიუ აუცილებელია და საკმარისი. მაგრამ რომელი მხრიდან შეუძლია დაიმსახუროს საქართველოს მეფემ ეს წყალობა“?[32]

შემდეგ მემორანდუმში ლაპარაკია დასავლეთ საქართველოში მისიონერების გაგზავნაზე. „ამ წყალობის შემდეგ, რომელსაც ვბედავ, ვთხოვო ვახტანგისათვის საფრანგეთის უძლევამოსილეს იმპერატორს, მე მრჩება კიდევ წარვუდგინო მას სამეგრელოს პატრიარქის[33] უმდაბლესი თხოვნა. ამ პრელატმა, რომელსაც მე ძალიან დიდი ხანია ვიცნობ, როგორც სათნო ადამიანს, მის სამფლობელოზე გამოვლისას მეტად დაჟინებით მთხოვა, რვა ან ათი მისიონერი გამოვთხოვო მის უდიდებულესობას — ყველა მისიის მფარველად და მხარდამჭერად აღიარებულს მთელს ლევანტში.

ამ პატრიარქის განზრახვაა შეუერთდეს პაპის წმიდა ტახტს და იმუშაოს ამ მისიონერებთან ერთად აბაზების (აფხაზების. — ი. ტ.)[34] მოქცევისათვის; თავისი სიტყვების გულწრფელობის საწინდრად მან გამომაყოლა სანდო ბერი — სახელად დავითი, რომელმაც უნდა ჩაუყვანოს მისიონერები, თუ მისი უდიდებულესობა კეთილს ინებებს და უბოძებს მას...“[35].

მაგრამ ყველაზე მთავარი საქმე და გადაუდებელი საკითხი იყო ვახტანგის განთავისუფლება და დაბრუნება საქართველოში; ამისათვის საჭირო იყო სეფიანების გულის მოგება, „რაც შესაძლებელია მხოლოდ საჩუქრებით, რომელთა გაღების საშუალება ამ მეფეს (ვახტანგს. — ი. ტ.) ამჟამად არა აქვს, თავისი ხანმოკლე მეფობისა და დიდი ხარჯების გაწევის გამო“[36].

და, თუ საფრანგეთის მეფე ისურვებს, დაეხმაროს ვახტანგს, „ყველაზე უფრო ქმედით საშუალებას ამის მისაღწევად წარმოადგენს ის, რომ კეთილინებოს და გაუგზავნოს მას უ დ ი დ ე ს ი მ ო ნ ა რ ქ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ნ დ ო

---

30 Ibid., p. 348.

31 Ibid.

32 Ibid., p. 349.

33 იგულისხმება დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი გრიგოლ ლორთქიფანიძე. იხ. ბაბილინა ლომინაძე, ბიჭვინთის საკათალიკოსოს ისტორია (ხელნაწერი); მისივე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის. „მასალები საქართველოს და კავკ. ისტორიისათვის“, ნაკვ. 31, 1954.

34 ტექსტში წერია „des Abazas„

35 M. B r o s s e t. Op. cit., pp. 349—350.

36. Ibid., p. 350.

პირი, აუცილებელი დახმარებითურთ, რათა ვახტანგს საშუალება მიეცეს სპარსელი ბატონების გული მოიგოს; გაუგზავნოს აგრეთვე წერილი სპარსეთის სეფიანებს, რომლითაც მასი უდიდებულესობა თხოვს მასუბრძანოს იმათ, ვინც ბრძანებლობს საქართველოში. მიიღონ ზომები, რათა უზრუნველყონ ფრანგების მიერ სპარსეთში წასაღები საქონლის უშიშრად გატარება საქართველოზე"[37].

ამ საბუთის მხოლოდ ფრანგული ტექსტი არსებობს. მისი ქართული დედანი (თუ საერთოდ არსებობდა ასეთი) დღემდე არაა ნაპოვნი. შესაძლებელია, ჟან რიშარმა იგი შეადგინა სულხან-საბას კარნახის შედეგად პირდაპირ ფრანგულ ენაზე. საერთოდ, ამ დოკუმენტს აკლია შუა და ბოლო ნაწილი.

იმ სახით, რა სახითაც ეს მემორანდუმი დღეს მოგვეპოვება, პირველად ფრანგულ ენაზე აკად. მ. ბროსემ გამოაქვეყნა[38]. დედანი შედგება ჟან რიშარის ხელით დაწერილი რვა გვერდისაგან.

1876 წელს ამ მემორანდუმის ქართული არაზუსტი თარგმანი გამოაქვეყნა ალ. ჭყონიამ[39].

შემდგომში მემორანდუმის ფრანგული ტექსტი ქართული თარგმანით გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა[40]. მაგრამ მ. თამარაშვილთან ფრანგული ტექსტი შოკლებულია სიზუსტეს, გამოტოვებულია ბევრი სიტყვა, ქართული თარგმანიც არაზუსტია და წყარო შეცდომითაა მითითებული.

ს.-ს. ორბელიანმა საფრანგეთში ჩაიტანა ვახტანგ VI-ის წერილი ლუი XIV-ის სახელზე. ეს იყო პასუხი საფრანგეთის მეფის იმ წერილზე, რომელიც ვახტანგისათვის გადაუცია 1713 წლის 25 აპრილს[41].

ვახტანგ VI-ის წერილი ქართულად ყოფილა დაწერილი. იგი ფრანგულად უთარგმნია ვერსალში ქართული ენის მცოდნეს ჟან რევერანს 1714 წლის 7 აპრილს[42]. წერილის ბოლოს მიწერილია: „თარგმნილი ჩვენს მიერ. მეფის

---

37 Ibid., pp. 350—351. საბუთი ხახვაშენის დედანში.

38 Ibid., pp. 347—351.

39 „ცნობა", 1876, № 44: ვერ დავეთანხმებით ალ. ჭყონიას ზოგიერთ კომენტარს, რომელიც თან ერთვის ამ მემორანდუმის ქართულ თარგმანს. ალ. ჭყონია წერს: ვახტანგი და სულხან-საბა, როცა უნდათ საქართველოს მეფის ტიტული გამოხატონ, ხმაობენ გამოთქმას: „ქართველთა მეფე" (ალ. ჭყონიას მხედველობაში აქვს ფრანგული გამოთქმა: „Roi de Géorgie"). ხოლო, როცა საქმე ეხება ქვეყნის ინტერესებს, მაშინ, ალ. ჭყონიას აზრით, ისინი ხმაობენ გამოთქმას „საქართველო" („la Géorgie"). ჩვენი აზრით, ალ. ჭყონიას ეს შეხედულება მცდარია. „Roi de Géorgie" ნიშნავს არა „ქართველთა მეფე"-ს, არამედ — „საქართველოს მეფეს". „ქართველთა მეფე" იქნებოდა ფრანგულად: „Rois des Géorgiens". ისტორიაში ცნობილია, რომ საფრანგეთში ლუი XIV-ს უწოდებდნენ „ფრანგთა მეფე"-ს („Roi des Français"), ე. ი. „ყველა ფრანგთა მეფე"; ან კიდევ, ნაპოლეონ პირველს უწოდებდნენ „ფრანგთა იმპერატორს" („Impereur des Français").

მონარქებს მიმართ ასეთ სახელწოდებას მიმართავდნენ, როცა უნდოდათ გამოეხატათ მის მიმართ სიმპათია, გრძნობები. მაგრამ ოფიციალური და უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: „საქართველოს მეფე", „საფრანგეთის მეფე" („Roi de Géorgie", "Roi de France.").

40 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 321—322, 728—730.

41 Archives. Paris. Perse, t. 3, f°. 121; M. Brosset, Op. cit., pp. 340—341; D. M. Lang, Georgian Relations with France..., p. 120.

42 Archives. Paris. Perse ,t. 3, f°. 121.

დრაგმანი[43] პალესტინაში, გალილეაში, სამარიასა და იუდეაში. ვერსალი, 1714 წლის 7 აპრილი [ხელისმოწერა] ჟან რევერანი"[44]. აღნიშნული წერილი ფრანგულად პირველად გამოაქვეყნა აკად. მ. ბროსემ[45], რომლის მიერ გამოქვეყნებული ტექსტი რამდენადმე ნაკლულია: ზოგიერთი სიტყვა შეცვლილია ან გამოტოვებული.

1876 წელს „დროებაში" ალ. ჰყონიამ მოათავსა ძ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებული ვახტანგის ამ წერილის ქართული თარგმანი. მაგრამ ეს თარგმანიც არ არის ზუსტი[46].

1950 წელს ინგლისელმა ქართველოლოგმა დ. ლენგმა გამოაქვეყნა ვახტანგის ზემოხსენებული წერილის ფრანგული ტექსტი[47], რომელიც მას საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივიდან აუღია, თუმცა არც ეს ტექსტი ემთხვევა ზუსტად დედანს[48].

ვახტანგის წერილში გამოთქმულია საქართველოს მეფის სურვილი, დაამყაროს კავშირ-ურთიერთობა საფრანგეთთან. „ჩვენ, ვახტანგი, საქართველოს მეფე, რომელიც მხურვალედ ვეძებთ შემთხვევას ვემსახუროთ თქვენს უდიდებულესობას..." — ნათქვამია ვახტანგის წერილში[49].

ამ წერილიდან ჩანს, რომ საქართველოს მეფე თვალს ადევნებდა იმ პარიიდის ევროპის ამბებს, საფრანგეთის ომებს ევროპის სახელმწიფოებთან. ჩვენი „სიხარული გაორკეცდა, როცა ჩვენ გავიგეთ თქვენი დიდი გამარჯვებები და დიდება, რომლითაც შემოსილია თქვენი მეტად მაღალი ტახტი. ჩვენ არ დავგიყოვნებია ამის გამო მადლი გვეთქვა უზენაესისათვის"[50], — სწერს იგი ლუი XIV-ს.

ვახტანგი მიუთითებს, რომ ეპისკოპოსმა გალიკსონმა საქართველოში ყოფნის დროს ვერ იგრძნო „ყოველივე ის, რისი გაკეთებაც გვსურს და რასაც გავაკეთებთ, როცა კი ამის შემთხვევა გვექნება, რათა დავუმტკიცოთ თქვენს უდიდებულესობას ჩვენი უმდაბლესი მადლიერება. ჩვენი სურვილია, თქვენ ამაში კარგად იყოთ დარწმუნებული. მიუხედავად იმისა, რომ ჩავვარდით უბედურებათა ხელში, რომელთაც მოატყუეს ჩვენი წინაპრები, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აქ დახმარებას მოკლებული ვართ, როგორც ისრაელნი უცხო ხალხში თავიანთი მამების ცოდვათათვის, მაინც ჩემი შვილები და ძმები — ჩემს მაგიერ ჩემი სამფლობელოების განმგებელნი, ზუსტად და სიყვარულით აღასრულებენ გულით გაკეთებენ ყოველივე იმას, რასაც ჩვენ მათ ვუბრძანებთ, თქვენი უდიდებულესობის სამსახურისათვის, როდესაც თქვენ ამას გვაცნობებთ"[51].

1714 წლის 13 აპრილს ვერსალში მიიღეს პაპი კლიმენტი XI წერილი ლუი XIV სახელზე „სასარგებლოდ საქართველოს მეფისა, რომელიც დაკავებულია სპარსეთში". რომის პაპი, უგზავნიდა რა ამ წერილს „უსაყვარლესსა

---

43 დრაგმანი, დრაგომანი — თარჯიმანი ევროპის საელჩოებთან აღმოსავლეთში.

44 Archives. Paris. Perse, t. 3, f°. 121.

45 M. Brosset, Op. cit., pp. 340—341.

46 „დროება", 1876, № 44.

47 D. M. Lang, Georgian Relations..., p. 120.

48 ჩვენ ხელთა გვაქვს ვახტანგის ამ წერილის ფოტოპირი.

49 Archives. Paris, Perse, t, 3, f°. 121,

50 Ibid,

51 Ibid. აბატი დე გალიკსონი (გალისონი), ეპისკოპოსი სორბონის, ღვინერსიტეტის დოქტორი

შეილსა ჩვენსა უქრისტიანესსა ლუდოვიკე ფრანგთა მეფესა“, იმედს გამოთქვამდა, რომ საფრანგეთის მეფე ვახტანგს აღმოუჩენდა დახმარებას. პაპი წერდა: „...იოტისოდენა ეჭვიც არ შეგვიძლია ვიქონიოთ, რომ აღფრთოვანებით, მზადყოფნითა სულითა და უმტკიცესი სანდოობით მიიღებით თქვენი მფარველობის ქვეშ საქართველოს მეფეს ანუ მთავარს, რომელიც ამ ხანად სპარსთა მეფესთან მისდაუნებურად დაკავებულია“[52].

საქართველოში ვახტანგის დაბრუნებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა რომის პაპისათვის. კლიმენტი XI საფრანგეთის მეფეს სწერდა: „ხოლო იგი (ვახტანგი. — ი. ტ.), როგორც შევიტყვეთ, თუ კი დაუბრკოლებლივ თავისუფლებაში დაბრუნებას შესძლებდა, კათოლიკებისადმი კეთილგანწყობილებაზე ყველაკე არ აიღებდა ხელს. ამის გამო ფრიად უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოება ესე ღვთის წყალობით ჩვენსა სასიხარულოდ დღითიდღე გაიზრდებოდა და აყვავდებოდა“[53].

მაგრამ ყოველივე ამას, სწერდა პაპი მეფეს, — „უფრო დაწვრილებით შეტყობ მოციქულისა, სარწმუნოებრივი შვილისა, კაცისა სულხან-საბა ორბელიანისა ბერისაგან წმიდის ბასილისა მონახტირისა, ქართველთა იმავე მთავრის ნათესავისა, რომელიც ამ ჩვენ წერილებს შენ გადმოგცემს...“[54].

და ბოლოს, პაპი სთხოვდა საფრანგეთის მეფეს: „ამრიგად, მას ისე, როგორც შეეფერება, წყალობით მოუსმინდე, აგრეთვე ხსენებული მთავრის განთავისუფლებაზე სათანადო თანამდებობის პირებს გადაულაპარაკებდე, ... უსაყვარლესო შვილო ჩვენო, რომლისათვისაც ამასთანავე ჩვენ ქურუმებრივი სიყვარულის ნიშანი, მოციქულობრივი კურთხევა, უსაყვარლესად მიგვინიჭებია“[55].

ეს გრძელი ციტატი მოვიყვანეთ, რათა მკითხველისათვის ცხადი გახდეს, თუ რა გაიმეტა ბოლოს და ბოლოს რომის პაპმა კლიმენტ XI-მ საქართველოსათვის და სპარსეთის ტყვეობიდან ვახტანგის განთავისუფლებისათვის.

რომის პაპის ეს წერილი გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა[56]. მაგრამ მ. თამარაშვილთან წერილის ქართული თარგმანი და თვით ლათინური ტექსტიც არაზუსტია. პაპის ამ წერილის მხოლოდ ლათინური, შედარებით ზუსტი ტექსტი მ. თამარაშვილმა გამოაქვეყნა თავის მეორე წიგნში[57].

აქ მოტანილი პაპის წერილის ტექსტი ჩვენ ავიღეთ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის სპარსეთის საქმეებიდან[58]. იმავე არქივის რომის საქმეებში კი ვიპოვეთ პაპის ამავე წერილის მეორე ტექსტი[59], რომელიც შინაარსით იგივეა, რაც ზემოხსენებული წერილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის დასაწყისსა და ბოლოს. გარდა ამისა, ამ მეორე წერილს აქვს ფრანგულ ენაზე რამდენიმე მინაწერი.

---

52 Ibid., f°. 122. ამ წერილის ლათინური ტექსტის ქართული თარგმანი ეკუთვნის პროფ. ა. ბერაძეს, რისთვისაც მას მადლობას ვუძღვნით.

53 Archives. Paris. Perse, t. 3, f°. 122—122 v°.

54 Ibid., f°. 122 v°.

55 Ibid.

56 იხ. მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა, გვ. 319—320; 727—728.

57 M. Tamarati, L'Eglise géorgienne des origines jusqu'à nos jours, Rome, 1910, p. 595.

58 მ. თამარაშვილს პაპის წერილის ტექსტი აღებული აქვს რომის ვატიკანის არქივიდან.

59 Archives. Paris. Rome, t. 541, f°. 142—142 v°.

საფრანგეთის მეფის მიერ ს.-ს. ორბელიანის მიღების თარიღი ზუსტად არაა ცნობილი. ჩვენი აზრით, სულხან-საბას პირველი შეხვედრა ლუი XIV-თან უნდა მომხდარიყო 1714 წლის 14 აპრილამდე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ვახტანგ VI-ის წერილი ფრანგულად უთარგმნიათ ვერსალში 1714 წლის 7 აპრილს. ამასთანავე, ჩვენ გვაქვს ჟან რიშარის ერთ-ერთი წერილი, დაწერილი იმავე წლის 14 აპრილს, სადაც იგი სთხოვს თავის მინისტრს: „შეეთხოვ რა თქვენს დიდებულებას, ნება დამრთოს, რამდენიმე ხნით ჩამოვშორდე ბატონ სულხან-საბას, რათა გავემგზავრო ჩემი ოჯახის სანახავად... ბატონ რეგენტს შეუძლია ჩემს მოსვლამდე აჩვენოს მას პარიზისა და მისი რაიონის ღირსშესანიშნაობანი“[60].

ამ დროისათვის სულხან-საბას უკვე უნდა ჰქონოდა პირველი აუდიენცია ლუი XIV-თან, რაც ჩანს მინისტრის მიმართ ჟან რიშარის წერილის მეორე ადგილიდან: „ბატონი სულხან-საბა, რომელმაც მე მომანდო დამედასტურებინა მისი პატივისცემა თქვენი დიდებულებისადმი და რომელსაც სურს, რაც შეიძლება მალე გაემგზავროს, რომში, მაჩქარებს, რათა დაუყოვნებლივ გავემგზავრო ჩემს სამშობლოში...“[61].

ცხადია, ს.-ს. ორბელიანს უკვე ჰქონდა აუდიენცია საფრანგეთის მეფესთან, რომ რომში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ამასთანავე, ვერც რიშარი ჩამოშორდებოდა მას, ვიდრე ისინი საფრანგეთის მეფეს არ შეხვედებოდნენ.

გარდა ამისა, რიშარს 1714 წლის 14 აპრილს წერილი გაუგზავნია მარსელში გალერებისა და ვაჭრობის გენერალური ინტენდანტის პიერ დ'არწუსათვის, სადაც ამ უკანასკნელს შეუტყობინა საფრანგეთის მეფის მიერ ს.-ს. ორბელიანის „კარგი მიღების შესახებ“[62].

საპასუხო წერილში პიერ დ'არწუ რიშარს სწერდა: „...მე დიდი სიამოვნება ვიგრძენი, როცა გავიგე ხსენებული ბატონის — სულხან-საბას კარგი მიღებისა და მეფის იმ ბრძანების შესახებ, რომელიც გულისხმობდა რომამდე მის გამგზავრებას სამეფო ხარჯზე. ყოველივე ეს მაიმედებს მისი საქმის კეთილ წარმატებაზე“[63].

ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ვახტანგის წერილი ვერსალში უთარგმნიათ 1714 წლის 7 აპრილს, ხოლო ჟან რიშარი იმავე წლის 14 აპრილს უგზავნის წერილს პიერ დ'არწუს და ატყობინებს მას სულხან-საბას ვერსალში კარგი მიღებისა და რომში სულხან-საბას გამგზავრების შესახებ მეფის განკარგულებაზე; რომ ასევე რიშარი სთხოვს თავის მინისტრს — ნება დართოს დროებით ჩამოშორდეს სულხან-საბას, მაშინ გამოდის შემდეგი: თუ 1714 წლის 7 აპრილს (ვახტანგის წერილის თარგმნის დღეს) არა, ს.-ს. ორბელიანის პირველი აუდიენცია ლუი XIV-თან უნდა მომხდარიყო 7—14 აპრილს შორის. უფრო 14 აპრილთან ახლოს, ვინაიდან რიშარმა ამ დღეს მისწერა წერილი მარსელში პიერ დ'არწუს და თავის მინისტრს სთხოვა — დროებით ჩამოშორებოდა სულხან-საბას.

1714 წლის 17 აპრილს რომის წმიდა კონგრეგაციის პრეფექტმა კარდინალმა საკრიპანტიმ წერილით მიმართა ჟან რიშარს საქართველოსა და მის მე-

60 Archives. Paris. Perse. t. 3. f°. 124, 125.
61 Ibid., f°. 125.
62 Ibid., f°. 149.
63 Ibid.

ზობელ მხარეებში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების შესახებ[64]. ეს წერილიდან ჩანს, რომ „წმიდა კონგრეგაციამ გამოაკლინა განსაკუთრებული სურვილი, გაავრცელოს... კათოლიკური სარწმუნოება ქარალში, სამეგრელოსა და სხვა მეზობელ მხარეებში“ და რომ „ამ მიზნით ის ელოდება აქ წმიდა ბასილის ბერის, მამა სულხან-საბას ჩამოსვლას, რომელიც იმყოფება იქ, სადაც თქვენ ხართ. თქვენთვის ნაცნობი საქმეების გამო“[65].

რომის წმიდა კონგრეგაციამ რეკომენდაცია გაუწია ს.-ს. ორბელიანს. პარიზში პაპის ნუნციუსის წინაშე და „გარდა ამისა, მას მოუპოვა ჩვენი უწმიდესი უფლისა და უქრისტიანესი მეფისაგან ის წყალობა, რომელსაც ითხოვდა საქართველოს მეფის ან პრინცის სასარგებლოდ“[66].

კარდინალ საკრიპანტის წერილში აღნიშნულია, რომ წმიდა კონგრეგაცია ამ წერილთან ერთად აგზავნის პაპი კლიმენტი XI-ის წერილს ლუი XIV-ის სახელზე. პაპის წერილი რომიდან გაეგზავნა პაპის ნუნციუსს პარიზში „უფრო მეტი უშიშროებისათვის და ხსენებული ბერისათვის (სულხან-საბასათვის, — ი. ტ.) საჩქაროდ გადასაცემად, რომელსაც ექნება პატივი წარუდგინოს ეს წერილი მის უდიდებულესობას“[67].

ერთ-ერთ საბუთში, რომელიც შედგენილი უნდა იყოს 1714 წლის აპრილის ბოლოს ან მაისის დასაწყისში[68], ე. ი. ს.-ს. ორბელიანის ლუი XIV-თან მეორე შეხვედრამდე. ლაპარაკია საფრანგეთის მეფისადმი პაპის თხოვნაზე, რათა საფრანგეთის მეფემ „კეთილენებოს, აღმოუჩინოს თავისი მფარველობა საქართველოს მეფეს — დაკავებულს სპარსელებთან, რომელსაც, ყოველთვის მფარველობას უწევდა რა მისიონერებს თავის სამფლობელოებში, გადუწყვეტილი აქვს ამ მხრივ კიდევ უფრო მეტი გააკეთოს; ეს კი კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების დიდ იმედს იძლევა. ეს შეუძლია გაიგოს მისმა უდიდებულესობამ მისი ძვირფასი შვილის სულხან-საბასაგან. წმ. ბასილის ორდენის ბერისაგან, რომელიც მეფეს თხოვს მოუსმინოს. ჰუმანურად“[69].

საფრანგეთის მეფესთან პირველი აუდიენციის დროს სამეფო კართან ს.-ს ორბელიანის მოლაპარაკების შეიძლებოდა საფუძვლად დასდებოდა ვახტანგის წერილი ლუი XIV-სადმი, ს.-ს. ორბელიანის ზემოხსენებული მემორანდუმი, ან რიშარის სხვადასხვა დროს დაწერილი წერილები და ბოლოს, ს.-ს. ორბელიანისა და რიშარის საუბარი საფრანგეთის მეფესთან და სამეფო კარის წარმომადგენლებთან. ხოლო ლუი XIV-თან ს.-ს. ორბელიანის მეორე შეხვედრის დროს საფრანგეთის სამეფო კარს უკვე ჰქონდა სხვა მასალებიც. კერძოდ: პაპის კლიმენტ XI-ის წერილი, პარიზში პაპის ნუნციუსის სარეკომენდაციო წერილი და, რაც მთავარია, ვრცელი მემორანდუმი — შედგენილი მარსელში სულხან-საბას იქ ყოფნის დროს. ამ მემორანდუმთან ერთად ვერსალში ჰქონდათ საქართველოს რუკა, რომელიც სულხან-საბას გადაუცია მარსელშივე პირ დ'არნუსთვის[70].

64 Ibid., f°. 126—126. v°.

65 Ibid., f°. 126.

66 Ibid., f°. 126. v°.

67 Ibid.

68 Ibid., f°. 127—127, v°.

69 Ibid., f°. 127.

70 როგორც ჩანს, საქართველოს რუკა სულხან-საბას ვერსალში კი არ წარუდგენია, არამედ გადაუცია მარსელში პირ დ'არნუსთვის, ხოლო ამ უკანასკნელს იგი გაუგზავნია ვერსალში ამ მემორანდუმის გაგზავნამდე.

ეს მემორანდუმი ხელმოწერილი არ არის. მაგრამ, როგორც საბუთებიდან ირკვევა, მისი შემდგენელი უნდა იყოს გალერებისა და ვაჭრობის გენერალური ინტენდანტი მარსელში პიერ დ'არნუ. „ბატონმა დ'არნუმ თქვენ გამოგზავნათ მეტად ვრცელი მემორანდუმი ბატონ სულხან-საბას შესახებ...", — სწერდა ჟან რიშარი თავის მინისტრს 1714 წლის 25 მარტს[71].

სხვა საბუთებიდან ირკვევა, რომ ეს მემორანდუმი პიერ დ'არნუს მარსელიდან უფრო მოგვიანებით გაუგზავნია. „მე შევძელი, იგი (მემორანდუმი. — ი. ტ.) გამეგზავნა მხოლოდ 4 თუ 5 დღის წინ...", — სწერდა იგი ჟან რიშარს 1714 წლის 30 აპრილს[72].

საქართველოს შესახებ მემორანდუმის შედგენაში პიერ დ'არნუსთან ერთად აქტიური მონაწილეობა მიუღია ს.-ს. ორბელიანს და ასევე, უნდა ვიგულისხმოთ, დავით მეგრელსა და ჟან რიშარსაც. ამის შესახებ პიერ დ'არნუ აღნიშნავს: მემორანდუმში ანუ პროექტში, „რომელიც მე შევადგინე, ვეყრდნობოდი მის (სულხან-საბას. — ი. ტ.) მიერ მოწოდებულ იდეებს, მასალებს მისი ქვეყნის შესახებ..."[73], ხოლო ს.-ს. ორბელიანი ერთ-ერთ წერილში გრაფ დე პონშარტრენს სწერს: „ბატონი ითანდან[74] დიდებული მარცილიას[75] რომ არის... საქართველოს საქმეები მუსუ რიშარით დაგვწერინა, და გაახლოთ"[76].

ამდენად, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ მემორანდუმში გატარებულია სულხან-საბა ორბელიანის და მაშასადამე, იმ ქართველი პოლიტიკოსების აზრი, რომლებიც „კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ"[77], იმათი აზრი, ვინც „მზად იყო პაპის უზენაესობა აღეარებინა, ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დაემორჩილებინა და მთელ საქართველოში კათოლიკობა გაევრცელებინა, ოღონდ კი საფრანგეთ-ევროპის პოლიტიკური დახმარება მიეღო ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში"[78], იმათი აზრი, ვინც „მსგავსად ვახტანგისა, ეძებდა, ყაენის ზურგს უკან, ევროპასთან დაკავშირების საშუალებებს, მასთან დაახლოებას"[79].

გარდა ზემოხსენებული მასალებისა, საქართველოს შესახებ მემორანდუმის შედგენის დროს პიერ დ'არნუს გამოუყენებია ის სამახსოვრო ბარათი, რომელიც ჟან რიშარისათვის ისფაჰანში გადაუცია „ფრანგი რასის ადამიანს"[80].

იმის გამო, რომ საქართველოს შესახებ შედგენილი მემორანდუმი მოიცავს საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობის მნიშვნელოვან საკითხებს, ჩვენ გადავწყვიტეთ, უფრო ფართოდ შევჩერდეთ მის გარშემო. მით უფრო, რომ ეს დოკუმენტი დღემდე არ გამოქვეყნებულა.

---

[71] Archives. Paris. Perse. 3, f°. 137. v°. თუმცა დ'არნუს ეს მემორანდუმი მარსელიდან ჯერ არ ჰქონდა გაგზავნილი

[72] Archives. Paris. Perse, t. 3, f°. 149.

[73] Ibid.

[74] „ითანდან" — ინტენდანტი.

[75] „მარცილია" — მარსელი.

[76] M. Brosset, Op. cit., p. 344.

[77] ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. გვ. 175.

[78] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 175-176.

[79] ვ. დონდუა, ვახტანგ VI-ის დროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან (1712 - 1745). „მიმომხედველი". ტ. III. 1953, გვ. 40.

[80] Archives, Paris. Perse, t. f°. 3. 149.

თვით ამ მემორანდუმის სათაური მიუთითებს იმ საკითხების მრავალფეროვნებაზე, რომელთა გარშემო მოლაპარაკება ჰქონდა ს.-ს. ორბელიანს საფრანგეთში. ამ დოკუმენტის სრული სათაურია: „მემორანდუმი იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეიძლება, ერთი მხრივ, რომის კათოლიკური სარწმუნოების (დასამკვიდრებლად—ი. ტ.), ვაჭრობის დასამყარებლად, როგორც საქართველოსთან, ასევე მის მეზობელ ხალხებთან, მეორე მხრივ, მეფის ძალაუფლებისა და საფრანგეთის ვაჭრობის გაძლიერებისათვის ლევანტსა და აღმოსავლეთში, კერძოდ თურქებთან და სპარსელებთან“[81].

პირ დ'არნუს აზრით, ს.-ს. ორბელიანის წინადადებებს და მოსაზრებებს, ასევე განზრახვებს, ჩამოყალიბებულს ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა „დათმობოდა ადგილი ერთ-ერთ უდიდეს პროექტში, რომელიც შეიძლებოდა შედგენილიყო თანამედროვე ვითარებაში, რათა გავრცელებულიყო რომის კათოლიკური სარწმუნოება, მიეცა სრულიად ახალი გასაქანი მეფის დიდებისათვის მისი ძალღონისა და ბუნებრივი მისწრაფების მიხედვით, დახმარებოდა უბედურებაში ჩავარდნილ მთავრებს; გაეძლიერებინა მის ქვეშევრდომთა ვაჭრობა, შეეზღუდა ჰოლანდიელების ვაჭრობა და ამით შეესუსტებინა მისი ძლიერება, გაეწია მათთვის კონკურენცია ინდოეთში, საიდანაც მათ გამოაქვთ მთელი სიმდიდრე. მორჩილებაში ჰყოლოდა იქ პორტუგალიელები; აეძულებინა იქ ინგლისელები — შიში და პატივისცემა ჰქონოდათ ჩვენდამი და ასევე ჰყოლოდათ თურქები და სპარსელები ერთგვარ დამოკიდებულებაში“[82].

ყოველივე ამის განხორციელება მემორანდუმის შემდგენელთ მიაჩნდათ შესაძლებლად ისეთი „თითქოს საკმაოდ უბრალო და მეტად ბუნებრივი საშუალებებით, რომელიც ნაწილობრივ თავისთავად მოდის და არ მოითხოვს არაფერს ისეთს, რაც არ იქნებოდა მეფის ყურადღების ღირსი და მის ძლიერებაზე გაცილებით დაბლა მდგომი“[83].

გარდა ამისა, „ნაყოფი, რომელსაც შეიძლება აქედან ველოდეთ, თითქოს უკვე ნაწილობრივ მომწიფებულია და მზადაა მოსაკრეფად. როგორც სარწმუნოების, ასევე ვაჭრობის მხრივ ისინი, რომლებიც შესძლებდნენ შემდგომში ამგვარი პროექტის ჩამოყალიბებას მისი დამუშავების შედეგად, გახდებოდნენ უფრო დარწმუნებულნი ამ საქმეში...“[84].

მაგრამ, უპირველესად ყოვლისა, აუცილებელი იყო ამ პროექტის მთავარი არსის საიდუმლოდ შენახვა...“ რათა მან არ გამოიწვიოს ეჭვი და ყურადღება იმ სახელმწიფოების მხრიდან, რომლებსაც ეს, შეიძლება დააინტერესებთ შემდგომში“[85].

პირ დ'არნუმ. ალბათ ჟან რიშარის საშუალებით, იცოდა, რომ სულხან-საბა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოში და, კერძოდ, ქართლის მეფე ვახტანგთან ურთიერთობაში. მემორანდუმში ვკითხულობთ: „სულხან-საბას, როგორც ჩანს, გაელენა აქვს საქართველოში, ხალხში და სამეფო კარზე; ჩანს გულითადად განწყობილია რომის კათოლიკური სარწმუნოებისა-

81 Ibid., f°. 129—146. v°.
82 Ibid., f°. 129.
83 Ibid., f°. 129—129. v°.
84 Ibid., f°. 129, v°.
85 Ibid.

დმი და იმედოვნებს მასში გააერთიანოს თავისი ქვეყნის ყველა ხალხი, რომლებიც სჭიზმატიკოსები არიან“[86].

დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის საკითხში ვახტანგისა და სულხან-საბას აზრს, როგორც ჩანს, იზიარებდნენ დასავლეთ საქართველოშიც. ს.-ს. ორბელიანმა და ჟან რიშარმა ხომ 40 დღე დაჰყვეს დასავლეთ საქართველოში ევროპაში გამგზავრებამდე[87]. ამ დროს სულხან-საბა გაეცნო იქაური პოლიტიკური წრეების აზრს და მათე გააცნო თავისი და ვახტანგ მეფის აზრიც. სწორედ აზთა ერთიანობის შედეგი იყო, რომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოსმა გრიგოლმა სულხან-საბას ევროპაში თან გააყოლა თავისი თანამშმწე — ზემოხსენებული ბერი დავითი. „სამეგრელოს პატრიარქი, რომელიც ამავე დროს არის სულ სხვადასხვა ხალხების: აფხაზების, იმერლებისა და გურულების — პატრიარქი, მიემხრო მას (სულხან-საბას — ი. ტ.), რათა პირველ რიგში თვითონ განათლებულიყო, ხოლო შემდგომში მიეზიდა რომის ეკლესიისადმი მთელი ეს მხარე“[88].

მემორანდუმში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ ვახტანგს უნდოდა კათოლიკური სარწმუნოების მიღება: „საქართველოს მეფეს ვახტანგს განსაკუთრებით სურდა, ჰქონოდა შესაძლებლობა კათოლიკობის მისაღებად, რათა ამით მიეცა მაგალითი ყველა იმ ქვეშევრდომისათვის, რომლებიც მას კიდევ რჩებოდნენ“[89].

ამასთან დაკავშირებით, აკად. ნ. ბერძენიშვილმა ჯერ კიდევ 1944 წელს გამოთქვა აზრი, რომელსაც ადასტურებს ჩვენ მიერ აქ მოტანილი დოკუმენტი. ნ. ბერძენიშვილი წერს: „ქართველ პოლიტიკოსთა გეგმით კათოლიკობას წარმატება მხოლოდ საქართველოში როდი ელოდა. ქართველების აქტიური მონაწილეობით ეს საქმე ფრიად ნაყოფიერი იქნებოდა ალრეთვე აფხაზეთსა და ჩერქეზეთში. ქართველ პოლიტიკოსთა გეგმა ცხადი იყო: რომის პაპის ავტორიტეტით და საფრანგეთის ხელმძღვანელობით კავკასიის დიდი ნაწილის პოლიტიკური შეკავშირება ერან-ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ“[90].

მემორანდუმში აღნიშნულია, რომ მეფე ვახტანგი „ენთუსიაზმებოდა დედოფლის — თავისი მეუღლის. მხრივ ჩერქეზეთის სამ მთავარს, რომლებიც დედოფლის ძმები არიან“[91]. ხოლო, თუ ვახტანგი თვითონ მიიღებდა კათოლიკურ სარწმუნოებას, მაშინ „მეტად ადვილი იქნებოდა შემდგომში იმავე სარწმუნოებაში მოქცევა ყველა იმ ხალხის, რომლებიც მათ ემორჩილებიან და რომლებსაც უკავიათ კვეყნის მნიშვნელოვანი და ძნელად შესაღწევი სივრცე, ვინაიდან მათ უპყრიათ კავკასიის ქედის მთელი უკანა მხარე; შეიძლება გონიერულად იფიქრო და იმედი იქონიო, რომ ამ ხალხების მომხრობა მით უფრო ადვილი იქნება, რომ ისინი პატეოსანნი, წყნარნი და ზრდილნი არიან, უცხოელების მეტად კარგი მიმღებნი; ამავე დროს ისინი არც ერთს სარწმუნოებასთან არ არიან დაკავშირებულნი, ერთნი უწოდებენ თავისთავს ქრისტიანებს, მეორენი კი მაჰმადიანებს და არც ერთმა არ იცის, რას წარმოადგენს ის სარწმუნოება, რო-

86 Ibid.
87 Ibid., f°. 93 v°.
88 Ibid., f°. 129, v°—130.
89 Ibid., f°. 130.
90 ნ. ბერძენიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 176.
91 Archives, Paris. Perse, t. 3, f°. 130.

მელსაც, მათი სიტყვებით, თვითონ მიეკუთვნებიან"[92]. ამრიგად, „შესაძლებელი იქნებოდა ამნაირად, თანდათანობით, სარწმუნოებაში მოქცეცა იმდენივე ხალხისა, რამდენიც შეიძლება იყოს საფრანგეთში"[93].

ამ გეგმის სისრულეში მოყვანა, მემორანდუმის შემდგენლების აზრით, ადვილია. „იმისათვის, რათა წამოიწყო ეს და მიაღწიო წარმატებას, საჭიროა მხოლოდ გაყვეს საკმაოდ დიდი რაოდენობით და კარგად შერჩეული შემსრულებლები, რომლებსაც სხვა მისწრაფებები არ უნდა ჰქონდეთ, გარდა დავალების კარგად შესრულებისა"[94].

მისიონერების ჩამოსვლას და საქართველოში კათოლიკობის გავრცელებას ქართველი პოლიტიკოსები უკავშირებდნენ სავაჭრო ურთიერთობის საკითხს: „ქრისტიანულ ევროპასთან კავშირის მონატრული ქართველები თავიანთი პოლიტიკური გეგმით კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ. მისიონერების მეშვეობით ისინი მიზნადვენ ეკონომიურსა და პოლიტიკურ პერსპექტივეს უთვალისწინებდნენ ევროპის ქვეყნებს: საქართველო საუკეთესო გზა იქნებოდა საფრანგეთის ვაჭრობისათვის ერანისაკენ, ხოლო თბილისის მეტად მარჯვე ადგილი ფრანგი ვაჭრების საქონლის საწყობად"[95].

ს.-ს. ორბელიანს სხვა საკითხებთან ერთად ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც წამოუყენებია, „მე მგონია, — წერს პიერ დ'არწუ, — რომ სულხან-საბას მიზნად აქვს, წამოაყენოს სხვა წინადადება ვაჭრობის შესახებ, რომელიც, ალბათ, მდგმარეობს შემდეგში: გატარებულ იქნას საქართველოზე აბრეშუმეულობა, რომელსაც ღებულობენ სპარსეთის აბრეშუმის თითქმის ერთადერთ მწარმოებელ პროვინციებში — გილანსა და შემახიაში"[96]. მაგრამ ამ წინადადების გარშემო მსჯელობის გასაშლელად და დასასაბუთებლად პიერ დ'არწუს დაუვალებია, შეედგინათ რუკა, რომელიც ამ მემორანდუმის გაგზავნამდე გადაუგზავნია ვერსალში. „მე დავავალე, — წერს ის, — შეედგინათ რუკა, რომელიც მე ამას წინათ გამოვგზავნე"[97].

„მართლაც, ამ რუკიდან, — ნათქვამია მემორანდუმში, — ასევე სხვა მიღებული ახსნა-განმარტებებიდან გავიგე, რომ ვინაიდან ამგვარადვე გააქვთ ოგივე აბრეშუმი შავი ზღვით, შეამცირებდა სამი მეოთხედით გზას, რომლითაც დადიან სომხები; რაც შეეხება სომხებს, იძულებული არიან იარონ ხმელეთით, რათა გაიტანონ თავიანთი აბრეშუმი ჭარავნებით სპარსეთის ამ ორი პროვინციიდან სპირნამდე, სადაც ის თითქმის მთლიანად იყიდება. იმიტომ რომ ეს ორი პროვინცია მდებარეობს არსებითად საქართველოს უკან; საჭიროა ნაწილობრივ შემოუარო მას, რათა გაიარო თურქეთის პირველ ქალაქში—არზრუმში"[98].

92 Ibid.

93 Ibid.

94 Ibid., f°. 130—130 v°.

95 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 176.

96 Archives. Paris. Perse, t. 3, f°. 130 v°.

97 Ibid. ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს ის რუკა, რომელიც სულხან-საბას მიჰქონდა და რომელიც შემდგომში კასპის ზღვის მოსაზღვრე ქვეყნების რუკის შედგენის დროს, 1723 წელს, გამოიყენა ცნობილმა ფრანგმა გეოგრაფმა გიიომ დელილმა. იხ. გრ. ზარდალიშვილი, გამოჩენილი ქართველი მოგზაურები, თბილისი, 1958, გვ. 30—31.

98 Archives. Paris. Perse, t. 3, f°. 130, v°.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მემორანდუმში კითხვაა დასმული — „რატომ სომხები. რომლებიც მოხერხებული ადამიანები და მოკავშირე ხართ, არ დადიან ამ გზით, როცა ის, მართლაც, ყველაზე მოკლეა და ნაკლებ ხარჯებს მოითხოვს“[99] ამის შესახებ ს.-ს. ორბელიანს შემდეგი ახსნა-განმარტება მიუცია: ისინი „ვერ ბედავენ რისკი გასწიონ და გაიარონ ისეთ ქვეყანაზე, როგორიც საქართველოა, რომელსაც არ სთელიან საიმედოდ და რომელიც ნამდვილად არ იქნებოდა საიმედო მათთვის“, ვინაიდან ამ გზაზე მათ მოუხდებოდათ ისეთ პროვინციებზე მაგალითად, სამეგრელოზე, გავლა, სადაც მოსახლეობას „შეუძლია ქურდობასაც კი მიმართოს, როცა მათ არაფერი არ აკავებთ“; გარდა ამისა, „ქარავანებს ძალიან გაუჭირდებოდათ სურსათ-სანოვაგის შოვნა. იქ სრულებით არ არის ქარვასლები, როგორიც თურქეთშია, რის შედეგადაც ისინი ამჯობინებენ მოანდომონ სამნახევარი თვე ამ გზის გავლას და გარდა ამისა გადაიხადონ 3 ან 4 ბაჟი ან გზის გადასახადი, რომელსაც ისინი სხვანაირად აინაზღაურებენ, ვიდრე გაბედონ და გაიარონ საქართველოზე“[100].

ს.-ს. ორბელიანი ვარაუდობს საქართველოს სავაჭრო გზების უშიშროებას, თუ „ვახტანგი, რომელიც ამჟამად მეფობს, როგორც კი შესძლებდა თავის სამფლობელოებში დაბრუნებას... თვითონ წამოიწყებდა ამ ვაჭრობას და ჩაატანდა აბრეშუმს კონსტანტინოპოლში“[101]. ამრიგად, სულხან-საბას აზრით, პირველ რიგში საჭირო იყო, რომ ვახტანგ VI დაბრუნებულიყო საქართველოში და დაეკავებინა სამეფო ტახტი. ამასთანავე, საფრანგეთის მეფეს უნდა დაედასტურებინა, რომ ის დაინტერესებულია ვახტანგ მეფის ბედით და ამ წამოწყებით[102]. ამ წინადადების წამოყენებისას ს.-ს. ორბელიანის მთავარი მიზანი იყო, ნათქვამია მემორანდუმში: „დაეხსნა თავისი მეფე ამ საშუალებით“ სპარსეთის ტყვეობიდან და დაებრუნებინა საქართველოში“[103].

მაგრამ, სულხან-საბა, „რომელიც უნდა იცნობდეს სპარსეთის კარს და რომელსაც, როგორც ჩანს, ეს წინადადება არ წამოუყენებია ვახტანგთან შეთანხმების გარეშე, ამ უკანასკნელთან ერთად ფიქრობს, რომ [საფრანგეთის] მეფის მხრიდან ამგვარ სამსახურს შეუძლია მოახდინოს ეს ეფექტი აღნიშნულის სასარგებლოდ. ჩანს, რომ მის უდიდებულესობას შეუძლია თავისი სახელის გატეხვის გარეშე მოიღოს ეს წყალობა, რამდენადაც ლაპარაკია ქრისტიან მეფეზე... ამავე დროს დასძენდა, თუ [საფრანგეთის] მეფის დახმარება არ მოუტანდა იმ ეფექტს, რომელზედაც ვახტანგი და სულხან-საბა იმედს ამყარებდნენ, მაშინ ამას შეიძლებოდა უფრო ცუდი შედეგი მოჰყოლოდა ვახტანგისათვის“[104].

საქართველოს გზით აბრეშუმის გატანის შესახებ ს.-ს. ორბელიანის აზრი და წინადადება სხვა გზითაც შეუმოწმებია პიერ დ'არნუს. ამ მიზნით მას მიუმართავს ერთ-ერთი სპარსელისათვის, „რომელიც აქ არის და რომელიც ოდესღაც თვითონ ეწეოდა ვაჭრობას და აბრეშუმის გადატანას ამავე პროვინციებიდან — გილანიდან და შემახიიდან სმირნამდე და კონსტანტინოპოლამდე“[105]. დ'არნუს აინტერესებდა სპარსელის აზრი — „აღ-

99 Ibid.
100 Ibid., f°. 130, v°—131.
101 Ibid., f°. 131.
102 Ibid.
103 Ibid.
104 Ibid.
105 Ibid., f°. 131, v°.

ვილია და ხელსაყრელი [თუ არა] გადატანილ იქნას აბრეშუმი საქართველოს გავლით, როგორც კი იქ შესაძლებელი იქნებოდა თავი გეგრძნო უშიშრად, რათა დაიტვრთოს აბრეშუმი შავ ზღვაზე და ამრიგად მიიტანო კონსტანტინოპოლდე"[106].

აი, სპარსელის პასუხიც საქართველოს გზით აბრეშუმის გატანის უპირატესობის შესახებ: „არდასისა და შარბასის აბრეშუმი, რაც წარმოადგენს ორ სხვადასხვა თვისების აბრეშუმს და რაც ყველაზე მეტი საღდება, ადგილზე მათ უჯდებათ... პირველი 50-დან 62-მდე ეკიუ კვინტალისათვის, ხოლო მეორე — 125-დან 175-მდე ეკიუ, ამას უნდა დაემატოს 30 ეკიუ პირველისათვის და 44 ეკიუ მეორესათვის გადასახადებისა და ტრანსპორტისათვის გრძელი გზის გამო: მათ მოუხდებოდათ 4 გზის გადასახადისა ან ბაჟის გადახდა, რაც სულ შეადგენდა დაახლოებით 106 ეკიუს პირველისათვის და 150 ეკიუს მეორისათვის. თუმცა კი ისინი ხელს არ აკლებდნენ მიეღოთ კიდევ მოგება 50 პროცენტზე მეტი პირველიდან და 100 პროცენტზე მეტი მეორიდან... ისინი მათ ჰყიდდენ სმირნაში, სახელდობრ პირველს 135-დან 163-მდე და მეორეს 272-დან 408-მდე ეკიუდ კვინტალს..., ისე რომ ასეთ საფუძველზე მაინც რჩებოდა მოგება 50 პროცენტით მეტი საქართველოზე მათი გატარებისას; იმიტომ რომ, ნაცვლად პირველისათვის 50 ეკიუს გადასახადისა ან გადაზიდვის ხარჯებისათვის და 44 ეკიუსა — მეორისათვის, რაც უჯდებოდათ კვინტალი ჩვეულებრივი გზით სიარულისას, ერთიც და მეორეც, შემახიიდან, რომელიც სპარსეთის ყველაზე უფრო დაშორებული პროვინციაა, კონსტანტინოპოლამდე აჯდებოდა მხოლოდ 3 ან 4 ეკიუ კვინტალი. ეს კი ადვილად წარმოსადგენია, რამდენადაც სრულიად არ იქნებოდა დაბახსხდელი არც ბაჟი, არც გზის გადასახადი ამ გზაზე, რომ გზაში იქნებოდნენ ხმელეთით მხოლოდ 26 დღე ნაცვლად სამწახევარი თვის მოგზაურობისა, რაც საჭიროა მეორე გზით, ხოლო საზღვაო ტრანსპორტი კი მეტად უმნიშვნელო რამეა"[107].

სპარსელის ასეთი პასუხის შემდეგ ამ საქმით უფრო დაინტერესებულა პიერ დ'არნუ. „ამან გამოიწვია ჩემში, — წერს იგი, — მით უფრო მეტი სურვილი — გამეღრმავებინა ეს საკითხი, რათა გამერკვია, ხომ არ შეიძლებოდა რაიმე წინ აღდგომოდა, სხვათაშორის, ამ ვაჭრობას საქართველოზე გავლით"[108]. საქართველოს ტერიტორიაზე სავაჭრო გზის გადატანის საქმეში უარყოფითი მხარედ სპარსელს შემდეგი დაუსახელებია: „გარნიზონები იმ ადგილებისა, სადაც ბაჟი და გზის გადასახადია დაწესებული, ცხოვრობენ მხოლოდ აღნიშნული გადასახადებით. შესაძლებელია, სიპაებმა[109] და იანიჩარებმა[110], რომლებიც შეადგენენ ამ გარნიზონებს, იჩივლონ, როცა დაინახავენ, რომ ჩვეულებრივი გზით გაივლის ნაკლები აბრეშუმი"[111].

---

106 Ibid.

107 Ibid., f°. 132.

108 Ibid.

109 სიპაი (სპარს.) — ჯარისკაცი. საფრანგეთის კოლონიებში ადგილობრივი მოსახლეობისგან შემდგარი კავალერიის ნაწილები, კერძოდ, ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკაში.

110 იანიჩარი (თურქ.) — ახალი ჯარები. პრივილეგიური ფეხოსანთა ნაწილები სულთანის თურქეთში. იანიჩარები დიდ როლს ასრულებდნენ, როგორც იარაღი თურქეთის აბსოლუტიზმისათვის. გაუქმებულ იქნა 1826 წელს.

111 Archives. Paris. Perse, t. 3, f°. 132.

საქართველოზე სავაჭრო გზის გასვლის შემთხვევაში სომხები „იძულებული იქნებოდნენ, ეწარმოებინათ თავიანთი ვაჭრობა ჩვეულებრივი გზით; ამასთანავე, მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა აეკრძალათ მათთვის საქართველოს, გაეცა, რათა შენარჩუნებულ იქნას მთელი მოგება...“[112].

საფრანგეთს შეუძლია ამის შესახებ მოელაპარაკოს თურქეთს და თუ იქ წაწყდება რაიმე წინააღმდეგობას, მაშინ საფრანგეთის ბრეშუმს გაატარებენ ბენდერ-აბასის გავლით. გარდა ამისა, თურქეთს შეიძლება აგრძნობინონ, რომ მისთვის „ეს იქნებოდა საშუალება, რათა კვლავ კონსტანტინოპოლამდე მიატანინოს ის ბრეშუმი, რომელსაც სომხები პირდაპირ ჰოლანდიაში აგზავნიან და რომელზედაც მან (თურქეთმა. — ი. ტ.) დაკარგა ყველა უფლება“[113]. რადგანაც ახლა უკვე ეს ბრეშუმი მიდიოდა მოსკოვის გავლით, „ნაცვლად იმისა, რომ ოდესღაც ის მოდიოდა მარსელში მანამ, სანამ ბატონმა ლებრემ არ განდევნა იქიდან 30 ან 40 სომეხი, რომლებიც იქ დაფუძნდნენ ვაჭრობასთან დაკავშირებით“[114].

ვარდა ამისა, „როგორც ჩანს, კიდევ შეიძლება გამოითქვას სხვა მოსაზრება ამ პროექტის შესახებ, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ შავი ზღვა აქამდე როგორც კაზაკების შემოსევების, ისევე ქარიშხლის ადგილს წარმოადგენდა. იქ ვაჭრობა ნებადართულია მხოლოდ თურქეთის გემებით, რომელთა მესაკუთრე ნაკლებად დახელოვნებულნი არიან. ამის შედეგად, შეიძლებოდა დაგვეკარგა აღნიშნული გზით სარგებლობისას მიღებული შემოსავლის ნაწილი“[115].

იმავე სპარსელს განუცხადებია, რომ „თურქებსა და მოსკოველებს შორის დადებული უკანასკნელი საზავო ხელშეკრულების დროიდან, როცა [რუსეთის] მეფემ გადასცა სულთანს კაზაკების მიერ დაკავებული მხარე, უკვე მათი მხრიდან ამ ზღვაზე საშიში აღარაფერია“[116].

ამასთანავე, საფრანგეთის „მეფეს შეეძლო მოეთხოვა, რათა ეს კერძო ვაჭრობა წარმოებდეს ფრანგული გემებით, რომლებიც დაიტვირთებოდნენ სამეგრელოში ან აფხაზეთში... ვენეციელებს ხომ მეტად მოსწონდათ თავი, რომ რამდენიმე წლის წინათ მიაღწიეს ვაჭრობის თავისუფლებას სპარსეთის გემებით მთელს ამ ზღვაზე. ყოველშემთხვევისათვის, შეიძლებოდა ამნაირი მოლაპარაკება საქართველოს მეფესთან ან იმათთან, ვინც მეფის ნაცვლად თავის თავზე აიღებდა კონსტანტინოპოლამდე აბრეშუმის ტრანსპორტისა და გადატანის უზრუნველყოფას“[117]. ეს კი „შეიძლებოდა გაკეთებულიყო საფრთხის გარეშე არა მარტო იმიტომ, რომ, სპარსელის თქმით, ამ ზღვაზე უფრო ძნელი არაა ნაოსნობა, ვიდრე რომელიმე სხვა ნაცნობ ზღვაზე, არამედ იმიტომაც, რომ ამ გზის გავლა მხოლოდ ზაფხულში შეიძლებოდა. აქ უნდა დაეტვირთათ თურქული გემები, რომლებიც ისარგებლებდნენ ფრანგი მესაკუთრეებით; ეს უკანასკნელნი კი მალე შეისწავლიდნენ ნაოსნობას ამ ზღვაზე ისევე კარგად, როგორც ხმელთაშუა ზღვაზე“[118].

112 Ibid.
113 Ibid. f°. 133.
114 Ibid.
115 Ibid.
116 Ibid., f°. 133, v°.
117 Ibid.
118 Ibid.

ამ პრინციპის დადგენის შემდეგ, თითქოს, „არსებობს ყველა საფუძველი იმ იმედისა, რომ ამ პროექტს შეიძლება წარმატება ექნეს. თუ დავიტოვებთ საფრანგეთის მახუფაქტურის სასარგებლოდ გასაცარ მოგებას, რომელიც 50%-ით მეტი იქნება დღევანდელ მოგებაზე, მაშინ საქართველოს მეფეს დაეუტოვებთ დანარჩენ მოგებას, რათა მას შესაძლებლობა ჰქონდეს, პასუხი აგოს აბრეშუმზე კონსტანტინოპოლიდე და ამავე დროს თავის სამფლობელოებში აგოს კოლეჯი“[119].

საქართველოს გზით აბრეშუმის გატანის პროექტის განხორციელებისა და ამ საკითხში საქართველოსა და საფრანგეთს შორის შეთანხმების შემთხვევაში „ჰოლანდიელთა ყველა ფაბრიკა გაკოტრდებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, მათი რიცხვი ბევრად შემცირდებოდა; ეს კი მნიშვნელოვნად გაადიდებდა საფრანგეთის ფაბრიკების რიცხვს, რომელთაგანაც თვით ჰოლანდიელნი იძულებულნი იქნებოდნენ მიეღოთ აბრეშუმი ტრანზიტით მარსელიდან. ეს მისცემდა ახალ მოგებას [საფრანგეთის] მეფის ქვეშევრდომებს, რომლებიც აბრეშუმს უფრო ძვირად მისცემდნენ მათ (ჰოლანდიელებს. — ი. ტ.) და ამით მოუპოვებდნენ უპირატესობას სამეფოს აბრეშუმის ყველა ფაბრიკას მათ ფაბრიკებთან შედარებით“[120].

თუ აბრეშუმის გადატანის საქმე კარგად წავიდოდა, მაშინ შეიძლებოდა მას „დამატება ვაჭრობა ცვილით, მატყლით, ტყვიით და ენდროს ძირით, რომელიც იძლევა წითელ ფერს საღებავებში და რომელიც, როგორც ამბობენ, უხვად მოიპოვება... საქართველოს ბაზრებზე“[121].

სამაგიეროდ, საქართველოს ამ ბაზრებზე საფრანგეთს შეეძლო თავისი საქონელი გაეყიდა. საფრანგეთისათვის, ნათქვამია მემორანდუმში, „ხელსაყრელი იქნებოდა გაესაღებინა თავისი მაუდის ნაწილი იმ საქონელთან ერთად, რომელსაც იგი შემდგომში ჩათვლიდა საჭიროდ“[122]. ამისათვის ჯერ საჭირო იყო საქართველოსა და მის მეზობლად მცხოვრები ხალხების დაკავშირება საფრანგეთთან. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ეძლეოდა ორივე ქვეყნის ჰავას. ხალხების ტემპერამენტის მსგავსებას, იმ მოგებას, რომელსაც საქართველო მიიღებდა საფრანგეთთან ვაჭრობით, საფრანგეთის მფარველობას საქართველოსადმი. მემორანდუმში ნათქვამია: „განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ შევძლებთ ამ ხალხების საფრანგეთისადმი მიმხრობას, რომელნიც შეესაბამებიან ერთმანეთს სარწმუნოებით, ზნე-ჩვეულებებით, ბუნებითა და ტემპერამენტით...“ ამას უნდა დამატოს „ვაჭრობის გზით მიღებული მოგების იმედით (ქართველთა. — ი. ტ.) დაინტერესება და ის მფარველობა, რომელსაც ისინი მიიღებდნენ...“ საფრანგეთისაგან[123].

ეს პროექტი კიდევ უფრო სიცოცხლისუნარიანი გახდებოდა „განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქართველოს მეფე ამ საშუალებით ცოტა უფრო გამდიდრდებოდა თავის ხალხთან ერთად“[124].

მაგრამ მისცემდნენ თუ არა თურქეთი და სპარსეთი საქართველოს საშუალებას მჭიდრო კავშირი დაემყარებინა საფრანგეთთან? ცხადია, არა! თურქე-

119 Ibid., f°. 133 v°—134.
120 Ibid., f°. 134.
121 Ibid.
122 Ibid.
123 Ibid.
124 Ibid., f°. 134 v°.

თი სპარსეთსაც არ აძლევდა საშუალებას, მის ტერიტორიაზე გავლით დაემყარებინა ნორმალური დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობა საფრანგეთთან. საკმარისია მოვიგონოთ სპარსეთიდან საფრანგეთში ელჩის გაგზავნების ისტორია: როგორც კი თურქეთის ხელისუფლებამ ეჭვი მიიტანა მოჰამედ რეზა ბეგზე, რომ ის დიპლომატიური მისიით მიემგზავრებოდა საფრანგეთში, მაშინვე დააპატიმრა. მოჰამედ რეზა ბეგმა ძლივს დაიწერა თავი ამ ტყვეობას.

ამასთან დაკავშირებით მემორანდუმში ნათქვამია: „ამაზე უფიძლებოდა ეთქვათ, რომ არც თურქები და არც სპარსელები არ მისცემდნენ მას [საქართველოს] დროს; რამდენადაც [საქართველოს] მეფის სამფლობელოები შეჭრილია მათ სამფლობელოებში, იგი ვერასოდეს ვერ შესძლებდა თავი დაეღწია მათი ხელებიდან; თავს დაიღუპავდა, თუ კი განიზრახავდა გამხდარიყო იმაზე უფრო ძლიერი და იმაზე უფრო დამოუკიდებელი, ვიდრე ის დღეს არის. მაგრამ ამის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ [საქართველოს] მეფე სეფიანთა მხოლოდ მოხარკეა და არა მონა! ახლანდელი მეფის პაპა სხვის დაუხმარებლად, მხოლოდ თავის ძალებით და შვილის — არჩილის საშუალებით გახდა ბატონ-პატრონი თავისი სამფლობელოს მოსაზღვრე სამი პროვინციისა, სახელდობრ ახაშეთის[125] და სამეგრელოსი“. ეს ხალხი სულთნის ბატონობას არ ემორჩილება, „თვით თურქებმაც კი ვერასოდეს ვერ შესძლეს მათი დამორჩილება“. თურქებმა ამასთან დაკავშირებით (სამი პროვინციის დაკავება. — ი. ტ.) არავითარ ზომებს არ მიმართეს, თითქოს მათ ეს არც კი შეემჩნიოთ. სპარსეთის შაჰმა კი მონახა საშუალება არჩილის დამპყრობლური მსვლელობის შესაჩერებლად — მას მისცა კიდევ ერთი პროვინცია, კახეთი, და მოსთხოვა გამაჰმადიანება, რასაც მან კიდეც მიაღწია...“[126]. არჩილი კი, რომელმაც უღალატა რელიგიურ პრინციპს, „თავისი საქციელი მოინანია; ის დღემდე ცხოვრობს მოსკოვში..“[127]

სპარსეთის შაჰმა გადაწყვიტა ახალი ლაშქრობა მოეწყო საქართველოზე, გაეტეხა ქართველი ხალხის წინააღმდეგობა და საბოლოოდ დაემორჩილებინა იგი, მაგრამ შაჰმა ვერც ახლა მიაღწია თავის მიზანს. მას შემდეგ, რაც შაჰმა არჩილის მიმართ ზემოხსენებულ საშუალებას მიმართა, გადაწყვიტა „გაელაშქრა მისი (არჩილის. — ი. ტ.) ძმის გიორგის, ახლანდელი მეფის ვახტანგის ბიძის წინააღმდეგ. ის თერთმეტი წელი განუწყვეტლივ იდგა საქართველოს საზღვრებთან 40 ათასიანი ჯარით, მაგრამ ვერასოდეს ვერ შესძლო იქ შეჭრა. ამ პრინცს მხოლოდ იმით მოუღო ბოლო, რომ მხარი დაუჭირა მისი ოჯახის წევრს, მეორე პრინცს, მის საწინააღმდეგოდ. თვით ვახტანგმა, ახლანდელმა მეფემ, ისფაჰანში გამგზავრებამდე ექვსი თვით ადრე ფეზზე დააყენა 30 ათასი კაცი და დაიმორჩილა კავკასიის მთებში მცხოვრები ხალხები, რომლებმაც თავი აარიდეს მის მორჩილებას. ვახტანგს ამ დროიდან უკვე შეუძლია შეინახოს 50 ათასამდე კაცი — ქვეითი და ცხენოსანი, რომელთა შენახვა თითქმის არაფერი უჯდება. იმიტომ რომ ის მათ სრულიად არ აცმევს, ჯერდება მხოლოდ მათ კვებას; ხოლო თითქმის ყველა სახის გადასახადი, რომელსაც ის იღებს თავისი ხალხისაგან, შეადგენს ხორაბლის, ქერის, ღვინოს, და საქონლის საკვებს.. მას აქვს პროვინციები კავკასიის მთებში, სადაც მისი დაძლევა არ შეიძლება;

---

[125] ტექსტში წერია: „des Abacidgais“.

[126] ყოველივე ეს, პიერ დ' არნუს დავალებით ახსნა-განმარტების სახით დაურთავთ საქართველოს მეფეების გენეალოგიისადმი, რომელიც საქართველოს რუკასთან ერთად პიერ დ'არნუს გაუგზავნია ვერსალში. იხ. Archives. Paris. Perse, t. 3, f°. 135.

[127] Ibid.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და თუ მას შეეძლება, ერთხელ დაიბრუნოს ის პროვინციები, რომლებიც მას წინაპრებს თურქებმა და სპარსელებმა წაართვეს, მაშინ მისი დაბლობი ქვეყანა კვლავ აღმოჩნდებოდა თითქმის მთლიანად გარსშემორტყმული ზღვითა და მთებით. ეს კი გაადვილებდა მის დაცვას, გააძნელებდა თურქებისა და სპარსელების იქ შეჭრას. და ბოლოს, ამ სახელმწიფოების (თურქეთი და სპარსეთი.— ი. ტ.) მიუხედავად, ეს მეფეები, გარკვეული ტიტულებით, არსებობენ დიდი კონსტანტინეს დროიდან. ეს ტიტულები მათ დღესაც აქვთ. მათ არ გააჩნიათ არავითარი სხვა ძალა, გარდა საკუთარისა, არიან უფულოდ..., უზარბაზნოდ..., თითქმის უიარაღოდ და სამხედრო დისციპლინაზე ყოველგვარი წარმოდგენის გარეშე. მათ გარს არტყიათ ხალხები, რომლებზედაც მათ არავითარი ძალაუფლება არ გააჩნიათ, თუმცა სინამდვილეში, ამ პროვინციების, — აბაზების, აბაშიძეების, მეგრელებისა და გურიის მთავრები ან ბატონები ქართლის მეფეს ყოველთვის თავიანთ მეთაურად თვლიან“[128].

აქედან შეიძლება გამოტანილ იქნას შემდეგი დასკვნა: „თუ სარწმუნოებამ ერთხელ შესძლო კავშირის კვანძების შეკვრა, რომელიც კიდევ უფრო მჭიდრო უნდა იყოს, ვიდრე არის... მათი საერთო ინტერესებისათვის თუ სარწმუნოებაში მოქცეული ჩერქეზები შევლენ ამნაირ კავშირში და ყველა ერთმანეთს დაეხმარება, ვერავითარი ძალა მსოფლიოში ვერ შესძლებდა მათ განადგურებას მათი უპირატესი მდგომარეობის გამო კავკასიის მთებში, რომლებიც ორივე მხრიდან თანაბრად აკრავთ.

შესაძლებელია ისინი (ქართველები და მათთან გაერთიანებული მეზობელი ხალხები — ი. ტ.) თვითონ გახდებოდნენ საშიში ორი ხალხისათვის (თურქებისა და სპარსელებისათვის — ი. ტ.), რომლებსაც ისინი დღემდე ბორკილებში ჰყავდათ. ვინაიდან ისინი შესძლებდნენ ფეხზე დაეყენებინათ ასი ათასზე მეტი კაცი — ცხენოსანი და ქვეითი; ხოლო ვაჭრობის საშუალებით, რომელიც, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, უნდა მომხდარიყო თურქებისა და სპარსელების ნებართვით, აგრეთვე იმ კავშირების საშუალებით, რაც შეიძლებოდა მეფესა და მის ქვეშევრდომებს, ასევე მისი მოკავშირეების ქვეშევრდომებს ჰქონოდათ საფრანგეთთან, საქართველოს მეფე შესძლებდა გამხდარიყო შედარებით უფრო მდიდარი“[129].

ასეთ ვითარებაში ქართველებს „შეიძლებოდა ესწავლათ რაიმე ხელოვნება და ხელოსნობა, რომელიც მათ აკლიათ, კერძოდ, დნობა და ზარბაზნების, გვარჯილის წარმოება, დენთისა და ცეცხლმსროლელი იარაღის დამზადება; მათ უკვე იციან დნობა რკინისა, რაც უხვად გააჩნიათ, და გვარჯილის სანახევრო გაწმენდა. ამასთანავე მათ შეეძლოთ, ჰყოლოდათ რამდენიმე ინჟინერი, ამავე დროს ესწავლათ სამხედრო საქმე და ის, თუ რანაირად იბრძვიან და იცავენ ადგილებს ევროპელები“[130].

„ყოველივე ეს, — ნათქვამია მემორანდუმში, — თავდაპირველად კაცს მოეჩვენება ბუნდოვან, უსაფუძვლო, უსაგნო, გაჭიანურებულ, ძნელად შესასრულებელ იდეად, რომ არაფერი ვთქვათ მისი შესრულების შეუძლებლობაზე, როგორც თვით ამ ხალხების მიმართ, რომლებიც უუნარონი არიან მიიღონ რაიმე გაბედული გადაწყვეტილება, ან გაერთიანდნენ როგორც საკუთარი, ისე სპარსელებისა და თურქების (რომლებისგანაც ისინი ასე თუ ისე დამოკიდე-

---

128 Archives. Paris. Perse, t. 3, f°. 135—135 v°.
129 Ibid., f°. 135 v°.
130 Ibid.

ბული არიან) ინტერესების შესაფერისად". „ბუნებრივია, იფიქრო, რომ მსგავსი პროექტი მხოლოდ ტყირთად შეიძლებოდა დასწოლოდა საფრანგეთს. საეჭვოა, რომ ის შესძლებდა ოდესმე რაიმე სარგებლობის გამოტანას იმ უმნიშვნელო უთანაგრძნობისა და კავშირების შედეგად, რომელიც ამ ხალხებს ოდესმე ექნებოდა მასთან, — როგორც სიმორის, ისევე იმიტომაც, რომ ძნელი წარმოსადგენია, იქონიო მათთან რაიმე კავშირი ან მიწერ-მოწერა მათი ქვეყნის მდგომარეობის გამო"[131]. თუმცა „მიუხედავად ყველა იმ დაბრკოლებებისა, რაც თვალში გვეცემა, შეიძლებოდა ამ ხალხებს მისცემოდა გარკვეული უპირატესობანი, — თუ კი შევთანხმდებოდით და წარმოვიდგენდით ან გავეცნობოდით იმას, რომ, მიუხედავად ქრისტიანობისა, ამ ხალხებიდან ბევრი — ჩერქეზები, მეგრელები და გურულები — მისდევენ დასაძრახ ჩვეულებას — ჰყიდიან საკუთარ ბავშვებს..., რაც არანაკლებ ეწინააღმდეგება ხალხისა და მათ საერთო ინტერესებს, ვიდრე სარწმუნოებას, რომელსაც ისინი აღიარებენ". „თუ მათ კიდევ შერჩენიათ გონება და გრძნობა, უნდა ვიფიქროთ, რომ თუ კი იქ, ყველა მხარეში, აღმოჩნდებიან მრავალი და კარგად შერჩეული მისიონერები და იმუშავებენ შეთანხმებულად ამ ხალხების სასულიერო და საერო განვითარების მხარდაჭერით, ამ მისიონერებისათვის ძნელი არ იქნებოდა აღსრულებისას გააგებინონ (ამ ხალხს. — ი. ტ.) მსგავსი მოქმედების მთელი საშინელება და აიძულონ ისინი — შეცვალონ თავიანთი ჩვეულება ამ მხრივ; უნდა განუმარტონ, რომ თურქებისათვის ბავშვების მიყიდვით მათ თავს ატყდებათ უბედურება — ვერასოდეს ვერ ისილავენ თავიანთ ბავშვებს, ღუპავენ მათ სულს იმით, რომ უქადიან მათ გამაჰმადიანებას, როგორც ეს ემართება ყველას. გრდა ამისა (უნდა განუმარტონ. — ი. ტ.), რომ ისინი ემსახურებიან საზიზღარ ჩვეულებას, ამცირებენ თავიანთ საკუთარი ქვეყნის მოსახლეობას და ამით დღითიდღე, სულ უფრო და უფრო ისუსტებენ თავს. ამით კი ყოველდღე თვითონ იგდებენ თავს მონებად გახდომის საფრთხეში"[132].

ამიტომ უკეთესი იქნებოდა ქართველებს თავიანთი ბავშვები, თურქეთში გაყიდვის ნაცვლად, 12 წლის ასაკის შემდეგ საფრანგეთში გაეგზავნათ სწავლა-განათლების მისაღებად. „...არ იქნებოდა ძალიან ძნელი ერთდროულად გვესარგებლა ყველა ამ მოსაზრებით, ვაიძულოთ ისინი შეცვალონ მიზანი, ვუთრჩითოთ, რომ ბავშვები 12 წლის შესრულების შემდეგ", გაგზავნონ საფრანგეთში. ამ დროს ისინი „უფრო გათვითცნობიერებულნი იქნებიან და შეეძლებათ მხარი დაუჭირონ თავისი ქვეყნის სარწმუნოების და სამშობლოში დაბრუნებისას დახმარონ მათ (ხალხს. — ი. ტ.) ცხოვრებაში..." ახლა „უკვე შეიძლება მსჯელობა იმაზე, რომ ეს პროექტი არ იქნება უკუღდებული ამ ხალხების მიერ, მით უფრო, რომ ამ ქვეყანაში მამებს და დედებს განსაკუთრებით არ უჭირთ, განშორდნენ თავიანთ ბავშვებს"[133].

ს.-ს. ორბელიანს აღნიშნული აზრი გაუზიარებია. „როცა ეს აზრი გამოთქმულ იქნა სულხან-საბასთან საუბარში, მან დაგვიდასტურა, რომ დაწყებული ამ ქვეყნის უდიდესი ბატონებიდან ყველა დიდი სიამოვნებითა და საკუთარი თაოსნობით გააგზავნიდა შვილს საფრანგეთში განათლების მისაღებად და ტრანგების მსგავსად ჩამოსაყალიბებლად, რათა მათ დაბრუნების შემდეგ გა-

131 Ibid., f°. 136 v°.
132 Ibid., f°. 136 v°—137.
133 Ibid., f°. 137.

ანათლონ და ჩამოაყალიბონ ქვეყანაში (საქართველოში. — ი. ტ.) დარჩენილნი". გარდა ამისა, სულხან-საბამ „დასძინა, რომ ისინი ასეთ პროექტს განიხილავდნენ, როგორც (საფრანგეთის. — ი. ტ.) მეფის ღვთისმოსაობის, მისი ბუნებრივი მიდრეკილების შედეგს და სურვილს — დათესოს სასარგებლო სიკეთე ყველა ხალხში, ისევე როგორც ღვთის განსაკუთრებულ მფარველობას თავის (საქართველოს—ი. ტ.) მეფესა და ქვეყანაზე"[134]. ასეთი ურთიერთობის პირობებში „თითქოს ვერაფერი შეუშლიდა ხელს მის უდიდებულესობას ამ ხალხთა შორის ნამდვილი სარწმუნოების მიმართ მხარდაჭერისა და მისი დამყარების განზრახვაში"[135].

გარდა ამისა, საფრანგეთის მთავრობას შეეძლო „მიეღო ყოველწლიურად თავადაზნაურული წრიდან გამოსული, ყველაზე უფრო ღირსეული, 16 წლის ასაკის 15 ან 20 ახალგაზრდა, რომლებიც ჩამოვიდოდნენ საფრანგეთში თავის სურვილით და მშობლების განკარგულებით. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ისინი აღზრდებოდნენ... კოლეჯში, რომელიც დროთა განმავლობაში შეიძლებოდა დაარსებულიყო საქართველოში"[136].

საფრანგეთში ჩასული ახალგაზრდები მიიღებდნენ სამხედრო განათლებას სხვადასხვა პროფილით. „იქ შეიძლებოდა მათი მომზადება ჯერ ყველასი ერთად ისეთ რომელიმე რაზმში, როგორიცაა მარსელში ინტენდანტის გვარდიის რაზმი. ორი წლის შემდეგ კი ისინი, ორ-ორი ან სამ-სამი, განაწილდებოდნენ ფლოტში, ქვეით ჯარში, არტილერიასა ან მესანგრე ნაწილში, სადაც თანდათანობითი დაწინაურების გზით ისინი იმსახურებდნენ ათი წლის განმავლობაში ყველაფრის დეტალურად შესწავლის მიზნით"[137]. ამ ღონისძიების მიზანი იყო ის, რომ ქართველ ახალგაზრდებს მიეღოთ განათლება საფრანგეთში, გაცნობოდნენ მის კულტურას, სამხედრო საქმეს და გამოსდგომოდნენ ქართველ ხალხს სამშობლოში დაბრუნების შემდეგ: „აღვზარდოთ ისინი, რათა 12 წლის შემდეგ საფრანგეთიდან შინ დაბრუნებისას თვითონ აღზარდონ სხვები"[138].

საფრანგეთში ქართველი ახალგაზრდების პირველი ჯგუფის გამგზავრების მომენტიდან 12 წლის განმავლობაში ყოველწლიურად საფრანგეთში ჩავიდოდა 15 ან 20 ქართველი ახალგაზრდა, ხოლო პირველი 12 წლის დამთავრების შემდეგ დაიწყებოდა მათი დაბრუნება საქართველოში. მემორანდუმში ნათქვამია: „პირველი 12 წლის ბოლოს საქართველო დაიწყებდა ყოველწლიურად ნაყოფის მიღებას ყველა იმ ახალგაზრდა ნერგიდან, რომელსაც ის მოაშენებინებდა საფრანგეთში. საფრანგეთი თანდათანობით მიაწვდიდა მას (საქართველოს. — ი. ტ.) ოფიცერთა კორპუსს, რომელსაც უნარი ექნებოდა ყველაფერი წამოეწყო. რადგანაც ეს ხალხი ბუნებით მამაცია და ყველაფერში ჰგავს ფრანგებს, რამდენადაც მათი ჰავა და ტემპერამენტი, როგორც უკვე ითქვა, ერთნაირია, ეს კი საფრანგეთს არ დაუჯდებოდა იმაზე ძვირი, ვიდრე სხვა ოფიცრების მომზადება. პირიქით, ეს იქნებოდა ადამიანური დახმარება"[139].

ამასთანავე, საფრანგეთისათვის „აღვილი და ხელსაყრელი იქნებოდა", რომ ის ქართველი, რომელიც „შესძლებდა ჩამოსულიყო საქართველოდან, ჩა-

134 Ibid., f°. 137 v°.
135 Ibid.
136 Ibid.
137 Ibid., f°. 137 v°—138.
138 Ibid., f°. 138.
139 Ibid.

ებათ საფრანგეთის სამხედრო სამსახურში, მაგრამ რანაირად?"... ვიყიდით, თუ დასაშვებია ვიხმაროთ ეს გამოთქმა, ან უკეთ რომ ვთქვათ, დავიქირავებთ მათ იმნაირადვე, როგორც ქრისტიანებენ ჯარისკაცებს, ე. ი. ნებაყოფლობით ან ურთიერთშეთანხმებით..."[140]. მათი „მამებისა და დედების თანხმობით"[140].

საფრანგეთში ჩასული ქართველები, საფრანგეთის მეფის განკარგულებით, თავიდანვე განაწილდებოდნენ ჯარში ან ფლოტში, ხოლო რაც შეეხება კერძო პირებს, ისინი „დიდი სიამოვნებით აიყვანდნენ მათ", რადგანაც თავიდანვე მიღებდნენ 50 ან 60 ეკიუს თითოეულზე" და იმდენივეს მხოლოდ 12 წლის განვლის შემდეგ", ე. ი. სულ 120 ეკიუს მთლიანად, ან თუ გნებავთ, 10 ეკიუს ხელფასით წელიწადში იმის მიუხედავად, მოსამსახურე ან შეგირდი მათ ემსახურებოდა 12 წელიწადს ზედიზედ, თუ ვინმე შესძლებდა მათ წართმევას ან ეს ახალგაზრდა ნებით დატოვებდა მას (განსაკუთრებით, თუ კი მეფე მოისურვებდა, ნება დაერთო და ერთხელ დაედგინა ასეთი რამ). ისინი დარწმუნებული უნდა ყოფილიყვნენ იმაში, რომ (შეგირდები.—ი. ტ.) ემსახურებოდნენ მთელი ერთგულებით და სიბეჯითით. მათ ძალიან მცირე დროში უნდა გამოეჩინათ მთელი შესაძლებელი სიმარჯვე, რამდენადაც ეს ხალხი წყნარია, ჭკვიანი, დახელოვნებული და გარდა ამისა, შეჩვეული მორჩილებას"[141].

ამასთანავე, სულხან-საბას უთქვამს, რომ საფრანგეთში წასულ ახალგაზრდებს ყურადღების გარეშე არ დატოვებდნენ მშობლები. ისინი თავიანთი წერილებში მოსთხოვდნენ შვილებს, „დაკმაყოფილონ თავიანთი პატრონები იმ სამსახურით, რომლებზედაც თვით მათი მამები და დედები ვალდებულებას იღებდნენ საქართველოს მეფის წინაშე"[142].

საფრანგეთის სამეფო ხელისუფლებას უფლება ეძლებოდა დაესაჯა ისინი (საქართველოდან ჩამოსულები. — ი. ტ.) დეზერტირობის ან დისციპლინის რაიმე დარღვევის შემთხვევაში: „თუ ისინი არ შეასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, შეიძლებოდა დადებული ყოფილიყო საფრანგეთის მეფის ხელისუფლების მიერ სასჯელი, თავისთავად იგულისხმება იმათ წინააღმდეგ, ვინც გაექცეოდა თავის პატრონს"[143]. ეს ღონისძიება, ამასთანავე, ხელს შეუწყობდა საქართველოში „ნამდვილი ქრისტიანიზმის ზრდას და მხარდაჭერას"[144].

რამდენადაც საქართველოდან საფრანგეთში ჩასულ ახალგაზრდებს იქ რაიმე პროფესია უნდა მიეღოთ, რათა შემდგომში გამოდგომოდნენ თავის სამშობლოს, ამდენად საჭირო იყო, ქართველი ახალგაზრდების აღზრდის საქმე პატრონად ადამიანებს ჰყოლოდათ ხელი. ასეთ ადამიანებად უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყვნენ ხელოსნები. „რომელთა პროფესია, კარგი იქნებოდა, დაგვეწერგა საქართველოში; მათ შორის უნდა შეგვერჩია ისინი, ვინც ყველაზე ნაკლებად შესძლებდა ჩაედინა რაიმე უსამართლობა ამ ახალგაზრდა ადამიანების მიმართ. თუმცა საჭირო იქნებოდა ამ ახალგაზრდებს სიმკაცრით მოვქცეოდით, არ გაგვეწებვარებინა და არ გვექცია ისინი სამეფოსათვის ისევე გამოუსადეგრად, როგორც თავიანთი საკუთარი ქვეყნისათვის, როცა ისინი იქ დაბრუნდებიან"[145].

---

140 Ibid., f°. 138—138 v°.
141 Ibid., f°. 138 v°.
142 Ibid.
143 Ibid.
144 Ibid.
145 Ibid., f°. 139

ქართველი ახალგაზრდების ყოფნა საფრანგეთში პირველ რიგში სახელმწიფოსათვის იქნებოდა მომგებიანი: „სხვადასხვა სამსახურში, სადაც მეფე შესძლებდა მათ განწესებას, დიდად ხელსაყრელი იქნებოდა. ამრიგად, მეფე შესძლებდა ჰყოლოდა ჯარისკაცები და მეზღვაურები იმავე ფასად, როგორც საფრანგეთის — ი. ტ.) სამეფოშია“[146].

ხოლო საფრანგეთის მეფის განზრახვას, გაძლიეროს საქართველო ზემოაღნიშნული საშუალებით „მაინც შეიძლება საშიშროება ელოდეს სპარსელების და თურქების მხრივ, რომლებიც შეამჩნევენ რა ამ განზრახვას, მიიღებენ ყველა შესაძლებელ ღონისძიებას, რათა ხელი შეუშალონ ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას ოდესმე. მაგრამ საქართველოს მეფისა და მისი მოკავშირეებისათვის საკმარისი უნდა იყოს ის“, რომ ზემოთ აღნიშნული საშიშროება მხოლოდ ვადის დამთავრების, ე. ი. 12 წლის შემდეგ შეიძლება დადგეს[147]. თუ თურქები და სპარსელები ამ პროექტის განხორციელებას შეამჩნევდნენ მხოლოდ 12 წლის შემდეგ[148], მაშინ ქართველები „უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, შესძლებდნენ, ყოველმხრივ გაეძლოთ მათ წინააღმდეგ მიღებული ღონისძიებებისათვის“[149]. მაგრამ მაინც მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ „თურქები და სპარსელები ბოლოს და ბოლოს ნახავენ რა, რომ საქართველოში ბრუნდება განათლებული და ომში გამოწრთობილი მრავალი ადამიანი და წარმოიდგენენ მოსალოდნელ ზიანს თავიანთთვის და საერთოდ მთელს მაჰმადიანიზმისათვის, ისინი გაერთიანდებოდნენ ერთი საერთო საქმისათვის, რათა ხელი შეუშალონ და ქართველებს გასანადგურებლად შეუტონ“[150].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მემორანდუმის მიხედვით, საქართველო ამ დროისათვის უფრო განმტკიცდებოდა. „შეიძლება იმედი ვიქონიოთ იმ წარმატებისა, რომელსაც მიაღწევდნენ შერჩეული მისიონერები 12 წლის განმავლობაში აქედანვე არსებულ ხელსაყრელ პირობებში, ...რომ მაშინ ქართველები და მათი მოკავშირეები გაერთიანდებოდნენ ნაწილობრივ მაინც, სარწმუნოებრივი და საერთო ინტერესების შეგნებით. გარდა ამისა, მათ ეყოლებოდათ ინჟინრები, ოფიცრები, დისციპლინირებული ჯარისკაცები და საერთოდ ყველაფერი ის, რაც შეიძლებოდა გამოდგომოდათ“[151].

მემორანდუმში ლაპარაკია კიდევ ერთ პროექტზე, რომელსაც განვიხილავთ ამ სტატიის გაგრძელებაში.

146 Ibid., f°. 139 v°.
147 Ibid.
148 Ibid.
149 Ibid., f°. 140 v°.
150 Ibid.
151 Ibid.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის

პ. აფაქიძე, ო. ლორთქიფანიძე

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტ.)

შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო დიდი ხანია იქცევს ისტორიკოსთა და არქეოლოგთა ყურადღებას. როგორც ცნობილია, აქ ჯერ კიდევ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში და, შესაძლოა, რამდენადმე უფრო ადრეც, წარმოიშვა უძველესი სახელმწიფო საქართველოს ტერიტორიაზე—კოლხეთის სამეფო. კოლხეთის სამეფოს წარმოშობას, რომელიც ამ ტერიტორიაზე მოსახლე ქართველი ტომების სოციალური და ეკონომიური განვითარების ხანგრძლივი პროცესის შედეგი იყო, თან ხდებოდა ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების სწრაფი აღმავლობა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამ დროს ჩნდება ქალაქები—ხელოსნური წარმოებისა და ვაჭრობის ცენტრები.

ადგილობრივ ქალაქებთან ერთად, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში თანდათანობით აღმოცენებას იწყებენ ბერძნული სავაჭრო ფაქტორიები (ემპორიონები), რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ანტიკურ სამყაროსა და კოლხეთს შორის სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობის განხორციელებაში.

საინტერესოა, რომ სტრაბონი, რომლის ცნობები გაცილებით აღრინდელ წყაროებს ემყარება, ფასისს უწოდებს „კოლხთა ემპორიონს (სავაჭრო ადგილს)“: ἐμπόριον τῶν Κόλχων („გეოგრაფია,“ XI, 2,17); ასევე დიოსკურიას სტრაბონთან ადგილობრივი ტომების სავაჭრო ადგილად იწოდება: „ἐμπόριον τῶν ὑπερκειμένων καὶ σύνεγγυς ἐθνῶν κοινόν“ („გეოგრაფია“, XI, 2,16).

კოლხეთში ბერძნული სამოსახლოების აღმოცენება, როგორც ითქვა, მიმდინარეობდა მძლავრი კოლხური სახელმწიფოსა და განვითარებული საქალაქო ცხოვრების არსებობის პირობებში. კოლხეთის შავიზღვისპირა ქალაქებში იმთავითვე, როგორც ჩანს, წამყვან როლს ასრულებდა ადგილობრივი მოსახლეობა. ამიტომ იყო, რომ ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული ბერძნული სამოსახლოებიდან ვერ განვითარდნენ ქალაქი—სახელმწიფოები, მსგავსად ოლბიისა და ქერსონესისა ჩრდ. შავიზღვისპირეთში ან სინოპესა, ამისოსისა და სხვ. სამხრეთ შავიზღვისპირეთში. არც ე. წ. შერეული ტიპის სახელმწიფოები გაჩენილა აქ, ვთქვათ ისეთი, როგორიც იყო ბოსფორის სამეფო (ბერძნულ-სკვითური სახელმწიფო).

კოლხეთის ზღვისპირა ქალაქებიდან დიდ ინტერესს იწვევს ანტიკური წყაროების დიოსკურია-სებასტოპოლისი, რომელიც (როგორც ეს სადღეისოდ დადგენილად ითვლება), თანამედროვე სოხუმის ტერიტორიაზეა საგულვებელი.

დიოსკურიას ანტიკური ტრადიცია, რომელიც არიანესთანაა დაცული, მილეტის ახალშენად მიიჩნევს: „სებასტოპოლისი მილეტელების მიერაა დაარსებული და უწინ დიოსკურიად იწოდებოდა“ (PPE, 15).

უძველესი ცნობა დიოსკურიის შესახებ დაცულია ფსევდო-სკილაქსთან: „მათ (იგულისხმება გელონები—ავტ.) შემდეგაა კოლხები ხალხი და დიოსკურისი ქალაქი. აგრეთვე გვეგოსი ელინური ქალაქი“ (Μετὰ δὲ τούτους κόλχοι· ἔθνος καὶ Διοσκουρὶς πόλις καὶ γυνὴ πόλις Ἑλληνίς („პონტო“, 81)[1].

ეს ცნობა მრავალმხრივაა საყურადღებო. ჯერ ერთი, აქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ დიოსკურისი კოლხების ქვეყანაში მდებარეობს, რაც ანტიკური დროის სხვა მწერალთა ცნობებითაც დასტურდება[2]; გარდა ამისა, ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ფსევდო-სკილაქსის ამ ცნობაში დიოსკურისი არ ახსენებენ ელინურ ქალაქად[3], ხოლო თვით ქალაქის სახელწოდება „Διοσκουρὶς“ გადმოცემულია იმ α ფორმატის გარეშე („Διοσκουρίας“), რომელიც დამახასიათებელია ყველა შემდეგდროინდელი წყაროსათვის[4]. ამიტომ ფიქრობენ, რომ „Διοσκουρὶς“ წინადმდეგ გვიანდელ წყაროებში დამკვიდრებული ფორმისა „Διοσκουρίας“, უნდა იყოს პირვანდელი და ამასთან ადგილობრივი ფორმა ამ სახელწოდებისა, მით უმეტეს, თუ მას არაელინური ქალაქი ატარებდა“.[5] საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ აკად. სიმ. ჯანაშია შენიშნავდა: ბერძნული დიოსკურია „...უძველესი სახელია, იქნებ არაწმინდა ბერძნული წარმოშობისა. არამედ გაბერძნებული; მიაქციეთ ყურადღება სახელწოდების მეორე ნახევარს, სა-

---

[1] ფსევდო-სკილაქსის შრომა, კ. მიულერის აზრით, დაწერილია ძვ. წ. 338—335 წწ. შორის, ხოლო უნგერის აზრით—ძვ. წ. 356 წ. საერთოდ ფიქრობენ, რომ ფსევდო-სკილაქსის შრომის ცალკეული ნაწილები სხვადასხვა დროსაა დაწერილი ძვ. წ. IV. მეორე ნახევარში და შევსებულია გვიანი ხანის ჩანაწერებით. იხ. Вестник древней истории. 1947, № 3. გვ. 240.

[2] შეად. მაგ. სტრაბონი, „გეოგრაფია“, XI, 2, 14; სტრაბონის ცნობები, ისევე როგორც ფსევდო-სკილაქსისა, ძველ ეთნოგრაფს ასახავენ. ასევე ძველი ტრადიცია დაცული ას. წ. V ს. ანონიმი გეოგრაფოსის ცნობაში: § „დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლისიდან მოკიდებული ვიღრე ფასისრამდე ძველად ცხოვრობდა ხალხი, რომელიც კოლხებად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ ლაზებად“ (იხ. (Fragmenta Historicum Graecorum ). სულ სხვა სურათია რომაული და ბიზანტიური ხანის მწერალთა ცნობებში, სადაც ასახულია კოლხეთის სამეფოს დაშლის შემდეგ შექმნილი ვითარება, მაგ. პომპონიუს მელას ცნობით, დიოსკურია ჰენიოხების ქვეყანაშია(De chrongraphia. 1, 19, 111), ხოლო არიანესი (PPE, 115 და პროკოფი კესარიელის ცნობებით კი სანიგების ქვეყანაში და ა. შ.

[3] მ. ინანიშვილის აზრით, სიტყვა „ელინური“, შემთხვევით უნდა იყოს ტექსტში გამორჩენილი, (იხ. მ ი ნ ი, ანტიკური ხანის კოლხეთის ზღვისპირა ქალაქების თვითმმართველობის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“, ტ. XXI, № 2, თბ., 1958, გვ. 241).

ამ აზრს არ იზიარებს თ. მიქელაძე, რომელიც ფსევდო-სკილაქსის ტექსტის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ „ელინური“ არ შეიძლება შემთხვევით იყოს გამორჩენილი და რომ ავტორი ასხვავებს ერთმანეთისაგან ელინურ და არაელინურ ქალაქებს (იხ. თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ქართველი ტომებისა და ბერძნული სამყაროს ურთიერთობის გენეზისისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1960 № 2, თბ., გვ. 191).

[4] თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

[5] იქვე.

დაც შეიძლება გვქონდეს ცნობილი მგრული ტოპოგრაფიული ტერმინი „სკური“[6]. მართლაც, უკანასკნელ ხანებში წარმოდგენილი იქნა ცდა ამ სახელწოდების ქართველურ ენათა ნიადაგზე ახსნისა[7].

ზემოთქმული, ვფიქრობთ, საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ რა დიდ ინტერესს უნდა იწვევდეს არქეოლოგიური შესწავლა ანტიკური დიოსკურია-სებასტოპოლისისა, რომლის შესახებ წერილობით წყაროებში მეტად მცირე ცნობებია შემონახული, ხოლო სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ქალაქის დაარსების თარიღისა, მისი ისტორიისა, ქალაქის ბუნებისა და მისი ადგილმდებარეობის შესახებაც კი, აზრთა სხვადასხვაობაა და გამოთქმულია ურთიერთის სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებებიც, რომელთა განხილვას ჩვენ ჯერ არ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ დიოსკურია-სებასტოპოლისის ისტორიის საკვანძო საკითხების გარკვევა, მისი არქეოლოგიური შესწავლითაა შესაძლებელი.

### ქ. სოხუმისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური შესწავლის ისტორიისათვის

ძველი დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებდა ჯერ კიდევ 1878 წ. V არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომებზე ადგილობრივი არქეოლოგი-ენთუზიასტი ვლ. ჩერნიავსკი. იგი დაწვრილებით ჩამოთვლის ყველა, მისთვის ცნობილ პუნქტს, სადაც თავს იჩენდნენ ხოლმე არქეოლოგიური ნივთები[8]. ვლ. ჩერნიავსკის თაოსნობას მაშინ მხარი დაუჭირეს ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის პროფესორმა პ. იურჩენკო[9] და სხვ.[10].

1886 წ. გაზაფხულზე მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების დავალებით არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად სოხუმში ჩამოვიდა ვ. სიზოვი[11]. მან მოიხილა ქალაქი, მისი მიდამოები და ჩაატარა მცირე გათხრები, ყოფ. ოლგინსკოეს ქუჩაზე[12]. გათხრების შედეგად აღმოჩნდა საკმაოდ მძლავრი კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა კრამიტის, შავლაკიანი ჭურჭლის, სხვადასხვა სახის კერამიკის ფრაგმენტებს, პირამიდული ფორმის საწვავს, ქ.

---

6 ს. ჯანაშია, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, „ენიმკის“ მოამბე, ტ. I, თბ., 1937, გვ. 196.

7 თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 191 და შემდ.

8 Вл. Черняевский, Записка о памятниках Западного Закавказья, исследование которых наиболее настоятельно. Пятый археологический съезд в Тифлисе. Протоколы подготовительного комитета, Москва, 1879.

9 იხ. Пятый арх. съезд.... 51.

10 იხ. აგრეთვე, იქვე, ა. ვედენსკის (გვ. 51) და ა. კომაროვის (გვ. 324) „შენიშვნები“.

11 «Весной 1886 года, приняв на себя поручение Императорского Московского Археологическаго Общества заняться в летние месяцы вместе с Н. В. Никитиным археологическими исследованиями восточного побережья Черного моря, примерно, от Новороссийска до Сухума, — я решился прежде всего ознакомиться непосредственно с предназначенным районом для наших археологических изысканий» — В. Сизов, Восточное побережье Черного моря, Материалы по археологии Кавказа, вып. II, М., 1889.

12 ამ შემთხვევაში ვ. სიზოვი, როგორც მისი ცნობიდან ჩანს (იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 13), ჩურჩავსკის მითითებით მოქმედებდა.

ამისოს მონეტას და სხვ[13]. იქვე იქნა აღმოჩენილი ქვის კედლის წყობის ნაშთები[14]. ვ. სიზოვის აზრით, მთელი ეს ფენა განეკუთვნებოდა ერთ ეპოქას, რომელსაც ის ბერძნულს უწოდებდა და მხოლოდ რამდენიმე ნივთს აკუთვნებდა რომაულ კულტურას[15]. მაგრამ ვ. სიზოვის გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური მასალის უფრო გულდასმით შესწავლა (რა თქმა უნდა, რამდენადაც ეს შესაძლებელია ვ. სიზოვის მიერ მოცემულ აღწერილობათა და ფოტოსურათების საფუძველზე) გვარწმუნებს, რომ აქ საქმე გვაქვს სხვადასხვა ქრონოლოგიურ შრეებთან, ყოველ შემთხვევაში სხვადასხვა დროის არქეოლოგიურ ნივთებთან მაინც.

ვ. სიზოვის მიერ ოლგინსკოეს ქუჩაზე ჩატარებული გათხრებისას მოპოვებული მასალებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შავლაკიანი ჭურჭლის ძირის ფრაგმენტი, რომლის შუაგულში ოვალური მოყვანილობის პალმეტებია გამოსახული, ხოლო ირგვლივ, როგორც ჩანს, ოვებით გამოყვანილი ბორდიური უვლის გარს[16]. ძირის ამგვარი შემკულობა ძვ. წ. V— III სს. კილიკებს აქვთ[17].

უფრო გვიანი ხანისა უნდა იყოს აქ აღმოჩენილი ფრაგმენტი ლეკითოსის ძირისა[18]. იგი იქვე ნაპოვნ მეგარული თასის ფრაგმენტებთან[19] ერთად უფრო ძვ. წ. III—II სს. უნდა ეკუთვნოდეს. აქვე აღმოჩენილი ქ. ამისოს ბრინჯაოს მონეტა ძვ. წ. II ს. დასასრულითა და ძვ. წ. I ს. თარიღდება[20]. გვიანანტიკურ ხანას (ახ. წ. II—III სს.) უნდა ეკუთვნოდეს, ჩვენი აზრით, აქ აღმოჩენილ ფრაგმენტები, როგორც ჩანს, წითელლაკიანი ჭურჭლისა[21], განსაკუთრებით ფრაგმენტი პირგადაშლილი ლანგრისა, რომლის პირი რელიეფური გამოსახულებებით არის შემკული[22]. დაბოლოს, აქვე აღმოჩენილი სპილენძის ილარები[23] ძალზე წააგავან ანალოგიურ ნივთებს, რომლებიც განსაკუთრებით მრავლადაა ნაპოვნი ბიჭვინტაში, სწორედ გვიანანტიკური ხანის ფენებში.

---

13 В. Сизов, დასახ. ნაშრ., გვ. 13 და შემდ.

14 იქვე, გვ. 14—15.

23 იქვე, გვ. 18. «Все найденные фрагменты отличаются безусловно греческим характером, и только небольшая часть предметов может быть отнесена предположительно к римской культуре»... «две свинцовые пластинки относятся к эпохе римского владычества в Сухуми и представляют части свинцового ящика — урны римского легионера. Нужно при этом заметить, что вблизи пластинок находились сожженные кости».

16 В. Сизов, დასახ. ნაშრ., ფოტოტიპია II.

17 შდრ. მაგ. მირმეკიონში აღმოჩენილი ძვ. წ. V—IV სს. შავლაკიანი ჭურჭლის ძირი; В. Ф. Гайдукевич, Раскопки Мирмекия. МИА, вып. 25. სურ. 19.

18 В. Сизов, დასახ. ნაშრ., ფოტოტიპია 1,4.

19 В. Сизов, დასახ. ნაშრ., ფოტოტიპია, 1,6 — 7; А. Н. Зограф, Распространение находок античных монет на Кавказе, Труды отдела нумизматики гос. Эрмитажа, т. I, 1945, № 194.

20 მათ შესახებ ვ. სიზოვი აღნიშნავს, რომ ისინი დამზადებულია „из нежной красной глины“ (გვ. 27)

21 В. Сизов, დასახ. ნაშრ., ფოტოტიპია, 1 10—11.

22 იქვე, ფოტოტიპია 1.

23 იქვე. ფოტოტიპია 1, 17—18; მათ შესახებ ავტორი აღნიშნავს: „два куска медной проволки или стержня один с утолшением на конец (под № 17 и 18) кажутся мне загадочными по их назначению“, გვ. 17.

როგორც ვხედავთ, ვ. სიზოვის მიერ მეტად საყურადღებო მასალები იქნა მოპოვებული, რაც მოწმობდა ამ უბნის დიდ მნიშვნელობას ძველი ნაქალაქარის შესწავლისათვის[24].

ამ ტერიტორიის შესწავლის შემდგომი ცდა ეკუთვნის პროფ. ა. ბაშკიროვს.

1925 წ. სოხუმსა და მის მიდამოებში არქეოლოგიური სამუშაოები, უპირატესად, როგორც ჩანს, დაზვერვითი ხასიათისა, ჩაატარა პროფ. ა. ბაშკიროვმა. იგი ვ. სიზოვის ნაკვალევს გაყვა[25] და გაავლო საცდელი თხრილი იმავე ოლგინსკოეს ჭუჩაზე სასტუმრო „გრანდოტელის“ (ამჟამად სასტუმრო რიწა) პირდაპირ, სანაპირო ჭუჩასა (ამჟამად რუსთაველის ქ.) და ოლგინსკოესა და ლორის-მელიქოვის (ამჟამად ლაკობას) ქუჩებს შორის. გათხრების შედეგად მოპოვებული იქნა ახ. წ. I—II სს. კერამიკული ფრაგმენტები. აღსანიშნავია, რომ ა. ბაშკიროვის მიერ შესწავლილ უბანზე არ აღმოჩნდა შავლაკიანი ჭურჭლის არც ერთი ფრაგმენტი[26]. ამის შემდგომ პროფ. ა. ბაშკიროვი შეუდგა ქ. სოხუმის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ზღვის სანაპიროზე მდებარე ძველი ციხის (ე. წ. სოხუმის ციხის) ტერიტორიის შესწავლას. პროფ. ა. ბაშკიროვმა აღნიშნა, რომ თურქული ხანის ციხის კედლები ხშირად დაგებულია უფრო ძველი ხანის კედლებზე[27] და რომ „ძველი სომაგრის სამხრეთ-დასავლეთი კოშკის ნანგრევების კომპლექსის შესწავლისას, ჩვენ ვხედავთ აქ სამი კულტურის ნაშთებს: თურქული, ბიზანტიური და რომაული“[28].

პროფ. ა. ბაშკიროვმა არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა, აგრეთვე, სოხუმის ციხის ტერიტორიაზე. იგი იძლევა კულტურული ფენების შემდეგ სტრატიგრაფიას: ა) კორდოვანი ფენა (ნიადაგისეული)—0,55 მ, ბ) თურქული პერიოდის ფენა სამშენებლო ნაშთებისა და მოჭიქული ჭურჭლის შემცველი—3,30 მ, გ) საშუალო საუკუნეების „ბიზანტიური“ ფენა მოჭიქული ჭურჭლის ფრაგმენტებით, დ) რომაული ფენა ახ. წ. II—IV ს.—1.25 მ[29].

---

[24] ამ აღმოჩენების საფუძველზე თვით ვ. სიზოვი აღნიშნავდა: «греко-римский Диоскурий (позднее Севастополь) находился на северном побережье Сухумской бухты, на расстоянии, приблизительно от сохранившейся древней крепости (т. н. «Турецкой») до Ольгинской улицы включительно, и, вероятно еще далее к Востоку».

[25] «Работы В. И. Сизова нас чрезвычайно интриговали и мы почти идя по следам его, решили произвести аналогичную проверочную работу»; А. С. Башкиров, Археологические изыскания в Абхазии летом 1925 года, Известия Абхазского научного общества, вып. IV, Сухуми, 1926, стр. 5.

[26] А. С. Башкиров, დასახ. ნაშრ., გვ. 6. თვითონ პროფ. ა. ბაშკიროვი ამე აფასებდა თავისი მუშაობის შედეგებს: «Таким образом, наша разведка в изучении культурных слоев данного участка была менее счастлива, чем разведка В. И. Сизова».

[27] А. С. Башкиров, დასახ. ნაშრ., გვ. 7 და შემდ.; სხვათა შორის, აღნიშნულ გარემოებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ვ. სიზოვმაც: «вглядываясь внимательно в кладку частей стен крепости, можно притти к твердому убеждению, что эти части принадлежат не туркам, а древнегрекам или римлянам, в чем особенности убеждает характер цемента, смешанного с кирпичем, а также куски кирпича древнего типа, вложенного в кладку» — В. Сизов, დასახ. ნაშრ., გვ. 18.

[28] А. С. Башкиров, დასახ. ნაშრ., გვ. 10.

[29] იქვე, გვ. 11 და შემდ.

1940 წ. შოთა რუსთაველის სახელობის სანაპიროზე წყალსადენის გაყვანის დროს, სასტუმრო რიწას წინ, ლენინისა და მიასნიკოვის ქუჩებს შორის თავი იჩინა კულტურულმა ფენამ, რომელიც შესწავლილი იქნა ი. ძიძინბასა და ლ. სოლოვიოვის მიერ. კულტურული ფენა დიდი რაოდენობით შეიცავდა: კერამიკულ ფრაგმენტებს, აგურის ნატეხებს, ნახშირსა და დამწვარ ძვლებს. აქვე იქნა ნაპოვნი, აგრეთვე, ამფორის ნატეხები, ამფორისეი, პრამიდული საწოფი, შავ და წითელკაიანი ჭურჭლის ფრაგმენტები; აგრეთვე, ერთი ნატეხი ე. წ. ბეგარული თასისა. ამ ფენას ლ. სოლოვიოვი ათარიღებს ძვ. წ. III-—II სს. და, შესაძლოა, ძვ. წ. I ს. დასწყისით[30]. არსებითად ეს ფენა, როგორც ჩანს, ვ. სიჯაშვილის მიერ გათხრილს უკავშირდება.

1939 წ. ლ. სოლოვიოვმა მოაკლია, აგრეთვე, დანგრეულ სამარხს ახვიღაბას ბორცვის დასავლეთ ფერდობზე. ამ სამარხს იქ აღმოჩენილი შავლაკიანი ჭურჭლით, რკინის იარაღითა და სხვ. ნივთებით ლ. სოლოვიოვი ძვ. წ. III ს-ით ათარიღებს[31].

1951 წლის გაზაფხულზე სოხუმის მთაზე[32] ტყე-პარკის მშენებლობისათვის წარმოებული მიწის სამუშაოებისას არქეოლოგიური ნივთების აღმოჩენასთან დაკავშირებით დაისვა საკითხი ამ ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის შესახებ. სოხუმის მთის არქეოლოგიური შესწავლა განხორციელდა საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტისა და ათხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის გაერთიანებული ექსპედიციის მიერ, რომელსაც ხელძღვანელობდა ალ. კალანდაძე. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ამ ტერიტორიაზე დადასტურდა ნამოსახლარის, სამაროვანისა და ღრმონთის დამშუშავებელი საწარმოს არსებობა. სოხუმის მთაზე მოპოვებული მასალები გვიჩვენებენ აქ მოსახლე ტომების მატერიალური კულტურის განვითარების უწყვეტ სურათს ძვ. წ. II ათასწლეულის ბოლოდან ვიდრე ძვ. წ. II საუკუნემდე. დიდ ინტერესს იწვევს ძვ. წ. V—II სს. დათარიღებული ფენები, რომლებიც განეკუთვნებიან, სწორედ, დიოსკურიის არსებობის ხანას. კარგად ჩანს ამ ხანებისათვის ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ ინტენსიური საწარმოო საქმიანობა და მისი ცხოველი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობა ანტიკური სამყაროს ცენტრებთან (ამაზე მიუთითებს იქ ბრაგლად აღმოჩენილი იმპორტული ამფორებისა და შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები). ამავე დროს ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალურ კულტურაში ნათლად ჩანს გვიანბრინჯაოს ხანის ე. წ. კოლხური კულტურის ტრადიციები, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, სიახლოვე მის თანადროულ ისტორიული კოლხეთის სხვა რაიონების მატერიალურ კულტურასთან[33]. ამრიგად, სოხუმის მთაზე ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებულია მეტად საყურადღებო მასალა ქ. დიოსკურიის ადგილობრივი მოსახლეობის ისტორიისა და კულტურის შესასწავლად. ამ

---

30 Л. Н. Соловьев. Диоскуриа-Себастополис-Цхум, Труды Абхазского государственного музея, вып. 1, Сухуми, 1947, გვ. 121.

31 Л. Н. Соловьев. **დასახ. ნაშრ.**, გვ. 125. ჩვენი აზრით, ეს სამარხი უფრო აღრინდელია (ძვ. წ. IV ს. მეორე ნახევარი).

32 სოხუმის მთა ჩრდ. და ჩრდ. აღმ. მხრიდან ეკვრის ქ. სოხუმს. იგი წარმოადგენს მდ. ჰაჭე-ფსისა და მდ. ბესლეთის წყლგამყოფ ქედს. მას ესაზღვრებიან აღმოსავლეთით მდ. ბესლეთი, დასავლეთით მდ. ჰაჭე-ფსი, სამხრეთით შავი ზღვის სანაპიროს დაბლობი.

33 იხ. ა ლ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სუხუმი, 1954.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს, აგრეთვე, გუად-იხუს მთაზე ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები.

1952 წ. ზაფხულში საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მ. თრაფშის ხელმძღვანელობით ჩაატარა არქეოლოგიური გათხრები გუად-იხუს მთაზე, სოხუმის მთის ჩრდილოეთით, ქ. სოხუმისა და ს. ბირცხას საზღვარზე. გათხრების შედეგად მთის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებზე დადგინდა საკმაოდ ვრცელი, ძვ. წ. V—III სს. სამაროვნის არსებობა. სამარხთა აღნაგობისა და დაკრძალვის წესის მიხედვით, გამოირჩევა 2 ტიპი: ჭინებრი მოყვანილობის სამარხი ორმოები, ყოველგვარ ნაშენობათა გარეშე: აქ მიცვალებულის სრული კრემაციაა. წაგრძელებული მოყვანილობის სამარხი ორმოები, სადაც მიცვალებულის მხოლოდ ნაწილობრივ კრემაციასთან გვაქვს საქმე[34]. სამაროვანზე მოპოვებული მასალა რამდენიმე ჯგუფად განიყოფა. ესაა—რკინის იარაღ-საჭურველი: ცულ-ჩაქუჩები, ცულები, მახვილები, სატევრები, ხელშუბები, შუბის პირები და სხვ[35].

შემდეგი ჯგუფი შედგება ბრინჯაოს, ვერცხლის, მინისა და სხვ. სამკაულებისაგან. განსაკუთრებით აღსანიშნავია სიმრავლე ბრინჯაოს ბეჭდებისა, რომელთა ფარაკი შემკულია სხვადასხვა გამოსახულებებით (ადამიანის ფიგურები, სფინქსები, გრიფონები და სხვ.)[36] და ბოლოს, დიდი რაოდენობით იქნა მოპოვებული, აგრეთვე, კერამიკაც. ადგილობრივი წარმოების ჭურჭელთან (განსაკუთრებით აღსანიშნავია დოქები და ქოთნები, რომელთა კედლები შემკულია ტალღოვანი სავარცხლისებრი ორნამენტით, ბადისებრი ხაზებით და სხვ.)[37] ერთად გვხვდება იმპორტული კერამიკაც: ამფორები (მაგ. სინოპური, სხვ. ანტიკური ცენტრებისა), შავლაკიანი ჭურჭელი (მაგ. კოტილები, კანთაროსები და სხვ.)[38] მ. თრაპშის სამართლიანი თქმით, გუად-იხუს მთაზე მოპოვებული მასალა „მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა სოხუმის ძველი მოსახლეობის ისტორიის შესასწავლად სოციალური, ეკონომიური და კულტურული თვალსაზრისით“[39]. სამარხთა აღნაგობასა და დამარხვის წესებში არსებული განსხვავება მ. თრაფშს აფიქრებინებს, რომ ძველი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა არ იყო აქ ერთგვაროვანი[40]. ჩვენი აზრით, ეს განსხვავება არ უნდა ყოფილიყო ძალზე საგრძნობი და თუ სამარხეული ინვენტარის მიხედვით ვიმსჯელებით, ამ ტერიტორიაზე ეთნიკურადაც და კულტურულადაც თითქმის ერთიანი მოსახლეობაა სავარაუდებელი. მაგრამ აქ ხაზგასასმელი სხვა გარემოებაა. ისევე

---

[34] М. М. Трапш, Краткий отчет о результатах археологических исследований в Сухуми, в 1952 году, Труды Абхазского института языка, литературы и истории, т. XXVI, Сухуми, 1955, стр. 221.

[35] იქვე, გვ. 224, სურ. 1. 1—4. ტ. ბ. III.

[36] იქვე, გვ. 224, სურ. 2.

[37] იქვე, გვ. 226, ტაბ. IV—5, 7; ეს აღმოჩენები მიუთითებენ, რომ ადგილობრივ მოსახლეობაში ჯერ კიდევ ძლიერია კოლხური ბრინჯაოს კულტურის ტრადიციები. აღსანიშნავია, რომ სავარცხლით გამოყვანილი ტალღისებური ორნამენტი გვხვდება, აგრეთვე, გვიანანტიკური ხანის წითელლაკიან კერამიკაზე.

[38] М. М. Трапш, დასახ. ნაშრ., გვ. 226, ტაბ. $III_7$, ტაბ. IV, 1—4:

[39] იქვე, გვ. 224.

[40] იქვე, გვ. 227.

როგორც სოხუმის მთაზე. აქაც ჩვენ საქმე გვაქვს ძველი დიოსკურიის ადგილობრივ მოსახლეობასთან, მის ცალკე უბანთან. ამ უკანასკნელს, ჩანს, ახლო ურთიერთობა აქვს ქალაქის ბერძნულ მოსახლეობასთან, მის სავაჭრო ფენასთან და მათი მეთხებით გარე სამყაროსთანაც (ამის მოწმობა სამარხებში შრავლად აღმოჩენილი იმპორტული საგნებია). ამავე დროს, სხვადასხვა სამარხებში აღმოჩენილი ინვენტარის შედარებითი შესწავლა მოწმობს ძველი ქალაქის ადგილობრივ მოსახლეობას შორის არსებულ საკმაოდ საგრძნობ ქონებრივ და, ეგებ, სოციალურ განსხვავებასაც[41].

1952 წ. აფხაზეთის ენის, ისტორიისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ (ხელმძღვანელი მ. თრაპში) შესწავლილ იქნა მცირე მონაკვეთი, რომელიც სოხუმის ციხის სამხრეთ ნაწილს ეკუთვნის. გათხრების ხელმძღვანელი შემდეგ სტრატიგრაფიას იძლევა: I ფენა—გვიან საშუალო საუკუნეებისა, II ფენა—XI—XII სს., III ფენას ავტორი ახ. წ. I—II სს. ათარიღებს და IV ფენა—დაახლოებით ძვ. წ. V—III სს.[42]

1956 წლიდან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია (ხელმძღვანელი მ. თრაპში) შეუდგა სოხუმის დასავლეთით წითელი შუქურას (კრასნი მაიაკ) არქეოლოგიურ შესწავლას. უკვე პირველივე წლის კამპანია მეტად მნიშვნელოვანი შედეგებით დაგვირგვინდა. აქ ერთ-ერთ უბანზე დადასტურდა ძვ. წ. VIII—VI სს. ნასოფლარის არსებობა[43]. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს აქ აღმოჩენილი ე. წ. ქსოვილიანი კერამიკა და არქეოლოგიური ნაშთები, რომლებიც მიუთითებენ მარილის წარმოებაზე[44]. ამავე ტერიტორიაზე ფიქსირებულია ძვ. წ. IV—III სს. კულტურული ფენა (შავლაკიანი ჭალისა და კრამიტის ფრაგმენტები)[45]. იმავე ტერიტორიაზე ს. ბებნიმენჩაიას სამხრეთ-დასავლეთით[46], ზღვის სანაპირო ზოლში ექსპედიციამ აღმოაჩინა კერამიკული ჭურა და დაადგინა ძვ. წ. IV—III სს. საკმაოდ მძლავრი კულტურული ფენის არსებობა[47]. ეს ფენა დიდი რაოდენობით შეიცავდა იმპორტული ამფორების და, აგრეთვე, ადგილობრივი კერამიკის (განსაკუთრებით ქვევრების)

---

41 М. М. Трапш, დასახ. ნაშრ., გვ. 227—228; იხ. აგრეთვე, მ. ინაძე, ანტიკური ხანის ჩრდ. კოლხეთის ქალაქების განვითარების ხასიათის საკითხისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XXIII, № 6, 1959, გვ. 771.

42 М. М. Трапш, Некоторые итоги археологического исследования в Сухуми в 1951 — 1953 гг., СА, XXII, 1955, გვ. 209—210.

43 М. М. Трапш, Археологические раскопки в окрестностях Сухуми, Труды Абхазского института языка, литературы и истории, XXIX, Сухуми, 1958.

44 უძველესი ხანის მარილის წარმოების ნაშთები დადასტურებულია, აგრეთვე, შავი ზღვის ჩრდ. აღმ. სანაპიროს სხვა პუნქტებშიც. დაწვრ. იხ. Л. Н. Соловьев, Следы древнего соляного промысла близ г. Сухуми, 1947, გვ. 23—57.

45 М. М. Трапш, Археологические раскопки . . . . გვ. 188.

46 ამ ადგილებში ჯერ კიდევ 1935 წ. არქეოლოგიურ სამუშაოებს ატარებდა ГАИМК-ის ექსპედიცია—იხ. А. А. Иессен, Сухумская экспедиция ГАИМК, т. III, 1937.

47 М. М. Трапш, Археологические раскопки...., გვ. 188 და შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაგმენტებს. დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი იქვე პირამიდული მოყვანილობის თიხის საწაფები[48] და სხვა.

უფრო ღრმად აღმოჩენილია ძვ. წ. VIII—VI სს. სამაროვანი, რომლის შესწავლა გაგრძელდა შემდეგ წლებში[49]. სამაროვანზე მოპოვებული დიდძალი არქეოლოგიური მასალა მნიშვნელოვანი წყაროა ადგილობრივი მოსახლეობის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ამ მხარეში ბერძნული სამოსახლოების გაჩენის წინარე ხანაში.

ასეთია, ძალზე მოკლედ, სოხუმის არქეოლოგიური შესწავლის ისტორია. უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში გაბნეულია ცნობები ქ. სოხუმში შემთხვევით არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებაც[50]. მაგ. განსვენებული არქეოლოგი მ. ივაშჩენკო აღნიშნავდა კულტურული ფენის არსებობას მდ. ბესლეთის შესართავთან, სადაც ზღვის სანაპირო ზოლში პოულობდნენ ხოლმე შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტებს[51]. ამავე მიდამოებიდან რამდენიმე მეტად საინტერესო ფრაგმენტი წითელლაკიანი ჭურჭლისა ინახება სოხუმის სახელმწიფო მუზეუმში. მრავლადაა ნაპოვნი, აგრეთვე, სოხუმსა და მის მიდამოებში ანტიკური ხანის მონეტები. მაგ., 1890-იან წლებში მდ. კელასურის მარცხენა ნაპირზე, ზღვის სანაპიროდან 1—1,5 კმ-ის დაცილებით აღმოჩნდა დიდი განძი, რომელიც უმეტესად ძვ. წ. I ს. დიოსკურიულ მონეტებს შეიცავდა[52]. 1926 წ. ავეჯის ქარხნის ეზოში ორმოს თხრისას აღმოჩნდა ლაოდიკეში მოჭრილ სპილენძის მონეტა ახ. წ. II—III სს[53]; 1949 წ. სოხუმის ავარეუზნო გვირაბის ქუჩის ბოლოში იპოვეს მდინარის ნაპირას გამორიყული ახალი სტილის ათენური ტეტრადრაქმა (დაახლ. ძვ. წ. 125 წ)[54]; 1958—59 წ. სოხუმის პლიაჟზე ტურისტულ ბაზასთან აღმოჩნდა ბოსფორული მონეტა რისკუპორიდ II (ახ. წ. 68—92 წ.)[55] და სხვ.

## არქეოლოგიური გათხრები სოხუმში 1959 წ. ზაფხულში

1959 წ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შავი ზღვისპირეთის არქეოლოგიური ექსპედიცია[56] შეუდგა ქ. სოხუმის არქეო-

---

48 М. М. Трапш, Археологические раскопки... პირამიდული ფორმის საწაფები, როგორც ცნობილია, ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ძაფების დასაჭიმავად იხმარებოდა დაწვრ. В. Ф. Гайдукевич. К вопросу о ткацком ремесле в Боспорских поселениях, Материалы и исследования по археологии СССР, вып. 25. პირამიდული ფორმის საწაფები ნაპოვნია მაგ. ვ. სიზოვის მიერ ოლგინსკოვს ქუჩაზე ჩატარებული გათხრებისას იხ. В. Сизов, დასახ. ნაშრ., ფოტოტიპია 116, აგრეთვე სოხუმის მთაზე ა ლ. კალანდაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38, ტაბ. 20.

49 М. М. Трапш, Предварительные итоги археологических раскопок в Сухуми в 1959 году, საქართველოს სსრ 1959 წ. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სესია, მოხსენებათა ანოტაციები და მუშაობის გეგმა, თბ., 1960, გვ. 43.

50 იხ. იქვე Л. Н. Соловьев, Диоскурия..., გვ. 122 და შემდეგ.

51 М. М. Иващенко, К вопросу о местонахождении Диоскурии древних. Известия Абхазского научного общества, вып. IV, 1926, გვ. 100.

52 А. Н. Зограф, დასახ. ნაშრ., № 186.

53 იქვე, № 198.

54 მონეტა ინახება აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმში (საინვ. დავთ. № 6348). ცნობა ამ აღმოჩენის შესახებ მოგვაწოდა გ. დუნდუამ.

55 დ. კაპანაძის ცნობა.

56 ექსპედიცია მუშაობდა 1959 წ. 12 აგვისტოდან 12 ოქტომბრამდე. შემადგენლობა— ა. აფაქიძე (ხელმძღვანელი), დ. კაპანაძე, ოთ. ლორთქიფანიძე, ქ. ბერძენიშვილი, რ. ფუთუ-

I
II
III
IV
V









ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლეგიური შესწავლას. ძირითადი სამუშაოები ჩატარდა ე. წ. სოხუმის ციხის ტერიტორიაზე—ზღვის სანაპიროზე, რუსთაველის პროსპექტის გაყოლებით.

ქვაფენილის აყრის შემდეგ გასათხრელი ფართობი დაყოფილ იქნა კვადრატებად (კვადრატების ზომაა 5×5 მ, კვადრატებს შორის დატოვებულ იქნა 80—90 სმ სიგანის უღლები სტრატიგრაფიული ჭრილებისათვის (ტაბ. I, ტაბ. VIII, 2), თავდაპირველად შესწავლილ იქნა კვადრატი (№№ I—IV), ხოლო შემდეგ თხრილი გაფართოვდა დასავლეთი (№№ V—VIII კვადრატები) და აღმოსავლეთი მიმართულებით (№№ XI—X კვადრატები). თითქმის ყველა კვადრატი გრუნტული წყლების დონემდე (ზედაპირიდან 1,90 მ-ის სიღრმეზე) გათხარა, ხოლო VII კვადრატში წყალი სპეციალური საქაჩავით ამოიქაჩა და გათხარა იგი უძრავი ე. წ. „ლურჯი თიხების“ დონემდე (ზედაპირიდან 3,5 მ-ის სიღრმემდე).

გათხრების შედეგად რამდენიმე, სხვადასხვა დროის, კულტურული ფენის არსებობა დადასტურდა (იხ. კულტურული ფენების ჭრილი, ტაბ. I, 2).

ქვაფენილს მოსდევდა „ნაყარი“ მიწა, რომელიც, ბუნებრივია, ძველთანდათან, შედარებით ახალი და უახლესი დროის ნაშთებს შეიცავდა. აქ, მაგალითად, უმეტესად ქვაფენილს ქვეშ, კირხსნარიანი ღორღით ნარევ ნაყარ მიწაში აღმოჩნდა კაჟის ისრისპირი, როგორც ჩანს, ადრე ბრინჯაოს ხანისა, შემდგომი ფენისათვის დამახასიათებელი კერამიკული ფრაგმენტები და ახ. წ. II—IV სს. მონეტები. მათთან ერთად გვხვდებოდა საშუალო საუკუნეების მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები. ეს ნაყარი მიწა არის არსებითად ზედა ჰორიზონტი I, ჰუმუსური, ფენისა (მისი საშუალო სიმძლავრე 0,30—0,40 მ-ია, ხოლო ზოგიერთ კვადრატში 0,60—0,70 მ); ეს ფენა საკმაოდ დაზიანებული აღმოჩნდა როგორც ჩანს, მერმინდელ მშენებლობათა შედეგად. ვერტიკალური ჭრილებში ნათლად ჩანს მომდევნო ფენაში ჩაჭრილი და ჰუმუსური ფენით ამოვსებული ორმოები. სწორედ ამ ფენის შემცველი მასალებითაა ამოვსებული ადრეული, სანაპირო კედლის მშენებლობისას გაჭრილი თხრილი. ამიტომაც, I ფენისათვის დამახასიათებელი მასალები ხშირად გვხვდებოდა საკმაოდ ღრმად, ძირითადი თხრილის დასავლეთ ნაწილში, პარაპეტის გაყოლებით. თხრების პროცესში აღნიშნული ფენა (ზავი ფერის) ჰორიზონტალური ჭრილიც კარგად გამოირჩეოდა მომდევნო, ყვითელი ფერის, თიხნარი ფენისაგან, რაც ამ ორ ფენასთან დაკავშირებული მასალების ურთიერთისაგან გამიჯვნისა და ცალ-ცალკე ფიქსაციის საშუალებას გვაძლევდა.

მიუხედავად ამისა, რომ I ფენა მერმინდელი მშენებლობის შედეგადაა ძალიან დაზიანებული, მაინც, იქ მოპოვებული მრავალრიცხოვანი მასალების საფუძველზე შესაძლებელი ხდება მისი დათარიღება.

ამფორები (ტაბ. II, ტაბ. V, 2) ძირითადად ერთგვაროვანია: წითელკეცებიანი, კირქვისა და შავი ვულკანური მინარევებით; ზედაპირი ზოგჯერ დაფარულია თეთრი ფერის ანგობით. ნაპოვნია რამდენიმე ათეულ ფრაგმენტი. ყელი ამ ამფორებისა ცილინდრულია და დასრულებულია გამსხვილებული ქობით; ტანი, ოვალურგანივკვეთიანი ყურები შემკულია სხვადასხვა ზომის ღარებით ან ქედით (ტაბ. VI, IX, X). ძირები ძირითადად კონუსური მოყვანილო-

---

ფები, ვ. ლეჟავიძე, ალ. ბოხოჩაძე, გ. დუნდუა, მ. ხოტელაშვილი, ვ. კანდელაკი (არქიტექტორები), კ. კვეკვესი (მხატვარი), ლ. ასათიანი (ლაბორანტი—რესტავრატორი), ი. პატიმოვი (ფოტოგრაფი), რ. ატონიანი (ტოპოგრაფი).

ბისაა ან მომრგვალებული., ამ ფორმის კედლები იშვიათ გამონაკლისს გარდა, დაღარულია (გიფრირებულია). ანალოგიური ტიპის ამფორათა ფრაგმენტები მრავლადაა ბიჭვინტის ნაქალაქარის ზედა, ახ. წ. IV—V სს. დათარიღებულ ფენებში. საკმაოდ მრავლადაა, აგრეთვე, ისინი ფიქსირებული ჩრდ. შავიზღვისპირეთის ნაქალაქარების ადრესაშუალო საეკუნეების კულტურულ ფენებში[57]. ისევე როგორც ბიჭვინტის ნაქალაქარის ზედა ფენებში, აქაც მრავლად გვხვდებოდა ნატეხები ამფორის კედლებისა, რომელთა ზედაპირი წვრილი, ერთმანეთთან ახლოს მიჯრილი პორიზონტული მომართულების ღრმა ღარებითაა დაფარული (ტაბ. VIII). როგორც ცნობილია, დაღარულკედლიანი ჭურჭლის წარმოება ახ. წ. III—IV სს. იწყება, ხოლო წვრილი, ღრმა ღარებით დაფარულ კედლიანი ამფორები ახ. წ. IV ს. ჩნდებიან და ფართოდ ვრცელდებიან ახ. წ. V—VI სს-ში[58]. ამფორათა კედლებზე ხშირად ასოები ან სხვადასხვა ნიშნებია (გრაფიტო) ამოკაწრული (ტაბ. III). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ფრაგმენტი, IV—V სს. სამოსური ამფორის ყურისა[59].

ამ ფენაში მოპოვებული წითელლაკიანი კერამიკა (ტაბ. IV), აგრეთვე, ახ. წ. IV ს. დამახასიათებელი ტიპებითაა წარმოდგენილი. აქ გვხვდება ფრაგმენტები პირფართე, შედარებით ღრმა, დიდი ზომის ჯამებისა. მათ აქვთ ძირისაკენ ოდნავ შევიწროებული კალთები, რომლებიც დაბალი და ფართო ჭუსლისაგან ღარითაა გამოყოფილი. ძირი მათ ფართო აქვთ და ბრტყელი. საღებავით, ჩვეულებრივ, დაფარულია შიდა ზედაპირი, გარედან კი მხოლოდ კალთები (ისიც მხოლოდ ნაწილობრივ). ძირი, როგორც წესი, შეუღებავია. პირის ჭიპის მოყვანილობით ორი ნაირსახეობა გამოირჩევა. ერთს პირი შიგნითკენ აქვს ოდნავ ჩაქცეული (ტაბ. IV, 2), ხოლო მეორეს პირის ჭიპზე ოდნავ ამოყვანილი ქედი გაუყვება.

ჯამების ეს ტიპი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებულთაგანია ბიჭვინტაშიც[60].

ანალოგიური ტიპის ჯამები ხშირად გვხვდება ჩრდ. შავი ზღვისპირეთში. ორივე ქვეტიპის ჯამები ნაპოვნია ფანაგორიაში, სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად ცნობილ ე. წ. № 50 სამარხში, რომელსაც ვ. ბლავატსკი დაახლოებით IV ს. ათარიღებს[61], ხოლო ნ. ლოსევა—უფრო IV ს. I ნახევრით[62]. 1957 წ. აღ.

---

57 А. Л. Якобсон, Раскопки средневековых слоев Херсонеса, КСИИМК, вып. XXXV, 1950, გვ. 107.

В. Д. Блаватский, Харакс, МИА, IV, გვ. 273.

58 В. Ф. Гайдукевич, Раскопки Тиритаки в 1935—1940 гг. МИА, 25, გვ. 100 — 101.

59 შეად. В. Ф. Гайдукевич, დასახ. ნაშრ., სურ. 114—3; აღსანიშნავია, რომ ფრაგმენტები IV—V სს. სამოსური ამფორებისა საკმაოდ ხშირად გვხვდება ბიჭვინტაშიც როგორც თვით ნაქალაქარის ტერიტორიაზე, ისე მის გარეუბნებშიც, რაც მოწმობაა იმისა, რომ ახ. წ. IV—V სს. სამოსური პროდუქცია შეჩნდათ, აგრეთვე, შავი ზღვის ჩრდ. აღმ. რაიონებშიც.

60 იხ. ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა (ძირითადი ტიპები და მათი დათარიღება); ტაბი VIII. საქართველოს მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნ. განყოფილების კრებული, № 1, 1962, გვ. 242—245.

61 ვ. ბლავატსკი წერს: «могила относится примерно к IV в. н. э.», Труды Гос. Исторического музея , вып. XVI, М., 1941, გვ. 77.

62 Н. Лосева, Краснолаковая керамика Боспора, машинопись кандидатской диссертации.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნიშნული ტიპის ჯამები (ორივე ქვეტიპისა) აღმოჩნდა ქერსონესში თეზის დასამარილებელ ცისტერნაში, რომელსაც გრ. ბელოვი IV ს. თარიღებს[63].

ამ ტიპის ნიმუშები მრავლადაა ნაპოვნი ტირიტაკში. ტ. კნიპოვიჩი თავის ნაშრომში „Краснолаковая керамика первых веков н. э. из раскопок Боспорской экспедиции 1935—1940 гг." ამ ტიპის ჯამებს ახ. წ. III-IV საუკუნებისად თვლის, უფრო კი III საუკუნისად: „Характерный кольцевидный выступ, заменивший прежнюю подставку, а также исполненный гребенчатым штампом орнамент указывают на III, или может быть, уже и на IV в."[64]

ჩვენი აზრით, კნიპოვიჩის მიერ შემოთავაზებული დათარიღება დაზუსტებას მოითხოვს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩრდ. შავი ზღვისპირეთში, კარგად დათარიღებულ კომპლექსებში (ფანაგორია, ქერსონესი) ჯამების ეს ტიპი IV ს. თარიღდება. უეჭველია, უთუოდ, ის გარემოებაც, რომ III ს. კულტურულ ფენებში აღნიშნული ტიპი არსად არაა, ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ცნობილ მასალებში წარმოდგენილი. მაგ. ჯერიერთი ნიმუში არაა ნაპოვნი მირმეკიონში, სადაც, როგორც ცნობილია, ცხოვრება წყდება ახ. წ. IV ს. დასაწყისისათვის[65].

ბიჭვინტაშიც ჯამების ეს ტიპი გვხვდება IV ს. მასალებთან ერთად, მაგ. ინსკრიტის მიდამოებში გათხრილი კოშკის მეორე ფენაში, რომელიც იქ აღმოჩენილი აშენორებით, ფიბულით და, განსაკუთრებით, ე. წ. „ხალიანი" მინის ფრაგმენტებით ახ. წ. IV ს. მეორე ნახევრით თარიღდება[66]. ასე, რომ ზემოთმოტანილი ანალოგიების საფუძველზე, ჯერჯერობით მაინც, აღნიშნული ტიპი ჯამებისა უნდა დათარიღდეს ახ. წ. IV ს. და როგორც ბიჭვინტის ნაქალაქარის კულტურულ ფენებზე დაკვირვება გვარწმუნებს, არსებობას უნდა განაგრძობდეს V ს-შიც. ყოველ შემთხვევაში მის პირველ ნახევარში მაინც.

ამავე ფენაში, აღმოჩენილია, აგრეთვე, ფრაგმენტები პირგადაშლილი მრავალფეროვნად კალთებიანი თეფშისა. ძირი მათ ბრტყელი აქვთ, ჭუსლი დაბალი (ტაბ. IV). თეფშების ეს ჯგუფი ხშირია აგრეთვე ბიჭვინტაშიც, სადაც გვხვდება ფრაგმენტები, რომელთა პირი, ხოლო ზოგჯერ ძირიც, შემკულია სავარცხლით გამოყვანილი ტალღისებრი ორნამენტით[67]. ანალოგიური ტიპის თეფშები, ზოგჯერ შემკული ტალღისებრი ორნამენტით, გვხვდება ტანაისში[68]. ნაპოვნია ისინი ქერსონესში IV ცისტერნაში[69], აგრეთვე ფანაგორიაში, უკვე მოხსენებულ № 50 სამარხში და სხვ.

---

63 მასალები ჯერ გამოუქვეყნებელია, იხ. სახელმწიფო ერმიტაჟის ანტიკური განყოფილების ფონდი 1957. ც 34—35.

64 Т. Н. Книпович, Краснолаковая керамика первых веков н. э. из раскопок Боспорской экспедиции 1935—1940 гг., МИА, 25, გვ. 319, ნახ. 12 (ტიპი Т 23). ამ ჯამების III—IV სს. დათარიღებას იზიარებს გ. გაიდუქევიჩიც. იხ. В. Ф. Гайдукевич, Раскопки Тиритаки в 1935—40 гг., გვ. 172, рис. 153.

65 В. Ф. Гайдукевич, Раскопки Мирмекия в 1935—1938 гг., МИА, вып. 25, გვ. 219.

66 ო. ლორთქიფანიძე, ინსკრიტის მიდამოებში ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში, მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, III, 1963, გვ. 101 და შემდ.

67 ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა..., ტაბი IX, გვ. 244—245.

68 Т. Н. Книпович, Танаис, М.-Л., 1949, სურ. 26/9.

69 იხ. სახელმწიფო ერმიტაჟის ანტიკური განყოფილების ფონდები, X, 1957. 36.

ამ ტიპის თეფშები საკმაოდ ხშირია ტირიტაკაში და ახლო დგას იგი ტ. კნიპოვიჩისეულ 22 (Т) ტიპთან, რომელთაგან დიდი ნაწილი თარიღდება ახ. წ. III ს. მეორე ნახევრით—IV საუკუნით[70].

თეფშების აღნიშნული ნაირსახეობა საერთოდ საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ანტიკურ სამყაროში ახ. წ. I საუკუნიდან. დროის სხვადასხვა მონაკვეთში ისინი განსხვავდებიან დამუშავების ტექნიკითა და ხარისხით და, აგრეთვე, ფორმის ზოგიერთი დეტალის ცვლილებით. ამ ტიპის თეფშების დათარიღებისათვის მნიშვნელობა აქვს ძირის კონსტრუქციას: I—III სს. დამახასიათებელია შედარებით პატარა და მრგვალი ქუსლი. III ს. მიწურულიდან კი, ტ. კნიპოვიჩის აზრით, იგი იცვლება ბრტყელი და ფართო ძირით, რომელსაც დაბალი, ირგვლივ შემოვლებული ქუსლი აქვს. ეს დეტალი, რომელიც ჩვენ თეფშებზეა აღნიშნული[71], მიუთითებს IV და ზოჯერ V ს-ზე[72].

აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის თეფშები ბიჭვინტის ნაქალაქარის თხრისას გვხვდება ზემოთ განხილულ ჯამებთან, რომლებიც ჩვენ IV ს. დავათარიღეთ. ამ ტიპის 5 ეგზემპლარი ნაპოვნია ინკერის კოშკის ახ. წ. IV ს. მეორე ნახევრით დათარიღებულ ფენაში, რაც ზემოთაღნიშნულ ანალოგებთან ერთად უფლებას გვაძლევს, აღნიშნული ტიპის თეფშები ძირითადად ახ. წ. IV ს-ად მივიჩნიოთ. მათთან ერთადაა ამავე ფენაში ნაპოვნი რამდენიმე ფრაგმენტი ნახევრად სფერული მოყვანილობის პირგადაშლილი ჯამისა, რომელსაც დაბალი და პატარა მრგვალი ქუსლი აქვს. პირის ჩობას ქედი გაუყვება (ტაბ. IV, 3). ანალოგიური ჯამები ძალზე გავრცელებულია ბიჭვინტაში და, როგორც წესი, გვხვდება ზემოგანხილულ ტიპებთან ერთად[73]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჯამის ეს ტიპი იშვიათად გვხვდება სხვა ქვეყნებში, მათ შორის, ჩრდ. შავიზღვისპირეთშიც[74].

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ორი ფრაგმენტი წითელლაკიანი ჯამის ძირისა, რომელიც შემკულია სავარცხლით გამოყვანილი ტალღისებრი სახეებით. მსგავსი ორნამენტით შემკული ძირები გვხვდება, აგრეთვე, ბიჭვინტაში მოპოვებულ წითელლაკიან ფრაგმენტებს შორის. ერთი მათგანი (იხ. ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის სველე წიგნი, № 2281) დაფარულია წითელი ფერის კარგი ხარისხის ლაკით. შუაგულში ოდნავ ამობურცულია და შემოუყვება ორი პატარა კონცენტრული წრე, რომლებიც წარმოადგენენ ცენტრს სავარცხლით შესრულებული ტალღურად გამოყვანილი ექვსკრმიანი ვარსკვლავისა. ამ უკანასკნელის ქიმები გადაკვეთილია ორი კონცენტრული წრით. მათგან, სხივების მსგავსად, მიემართება განივჭედებიანი ვიწრო ზოლები, რომელთაც კვლავ კონცენტრული წრეები უვლიან გარს. ხოლო ამ უკანასკნელს ირგვლივ შემოუყვება სავარცხლით შესრულებული ტალღისებური ხაზები.

როგორც ჩანს, მსგავსი ორნამენტით იყო შემკული, აგრეთვე, № 808 ფრაგმენტიც.

ანალოგიური ორნამენტით შემკული რამდენიმე თეფში ცნობილია ჩრდ. შავიზღვისპირეთიდან. სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულია ორი ასეთი თეფში

---

70 Т. Н. Книпович, Краснолаковая керамика..., გვ. 317—318.

71 იქვე.

72 ო. ლორთქიფანიძე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, გვ. 245.

73 იქვე, ტაბ. XIII, გვ. 247.

74 შდრ. Т. Н. Книпович, Краснолаковая керамика..., გვ. 315, სურ. 115.

ანტიკაპეიონიდან[75]; 1957 წ. ასეთი ორნამენტით შემკული თეფში ნაპოვნი იქნა ფანაგორიაში № 50 სამარხში[76]. ნ. ლოსევას აზრით, ამგვარი ორნამენტით შემკული თეფშები თარიღდება ახ. წ. IV ს. I ნახევრით[77]; რაც შეეხება მათ წარმოშობას, იგი ვარაუდობს მის დამზადებას ჩრდ. შავი ზღვისპირეთის რომელიმე ქალაქში (ასეთად გამორიცხავს პანტიკაპეიონს). უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ორნამენტი არაა დამახასიათებელი ანტიკური კერამიკისათვის კერძოდ და ანტიკური ხელოვნების ძეგლებისათვის საერთოდ. ლოსევას აზრით, იგი სათავეს იღებს ახ. წ. პირველი საუკუნის სარმატულ კერამიკაში. შევნიშნავთ, რომ ტალღისებური ორნამენტი, როგორც კერამიკის დეკორატიული ელემენტი, გაცილებით უფრო ადრეა დადასტურებული ძველი საქართველოს ტერიტორიაზე.

სოხუმში აღმოჩენილი წითელლაკიანი კერამიკის შედარებისას ბიჭვინტურ წითელლაკიან ჭურჭელთან, სავსებით აშკარაა მათი თითქმის სრული იდენტურობა, რაც უფლებას გვაძლევს, მათი ერთი და იგივე საწარმოო ცენტრიდან წარმოშობა ვივარაუდოთ. გაჭირიცხული არ უნდა იქნეს შესაძლებლობა ამგვარი საწარმოო ცენტრის არსებობისა შავი ზღვის ჩრდ. აღმ. სანაპიროზე.

ამავე. ჰუმუსურ, ფენაში აღმოჩენილია, აგრეთვე მინის ჭურჭლის ფრაგმენტები (ტაბ. V, 3—5). მათ შორის ლურჯი ფერის ხალვებით შემკული მოყვითალო ფერის ნატეხები. „ხალიანი" მინის ფრაგმენტები საკმაოდ დიდი რაოდენობით გვხვდება, აგრეთვე, ბიჭვინტის ნაქალაქარის ზედა ფენების თხრისას.

„ხალიანი" მინის ჭურჭლის ფრაგმენტები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნია აგრეთვე სოფ. ოლგინსკოეში (წებელდა), IX კრემაციულ სამარხში[78]. არქეოლოგ ნ. ხოშტარიას ცნობით, ერთი ასეთი ფრაგმენტი ნაპოვნია აგრეთვე ქობულეთში.

აღმოსავლეთ საქართველოში ლურჯი მინის „ხალვებით" შემკული ფინჯანი ნაპოვნია მცხეთაში № 142 სამარხში. ამ ფინჯანს ნ. ფურცელაძე ჩრდ. შავი ზღვისპირული ანალოგების მიხედვით ათარიღებს ახ. წ. IV საუკუნით[79].

„ხალიანი" მინის ჭურჭელი საღღეისოდ დიდი რაოდენობითაა მოპოვებული ჩრდ. შავიზღვისპირეთში, სადაც ისინი, ჩვეულებრივ, გვხვდება ე. წ. „გოთური სტილის" ნივთებთან ერთად. მაგ. ქერჩის ე. წ. 15 აკლდამაში, სადაც მთელი კომპლექსი აქვე აღმოჩენილი ვალერიანეს მონეტის ანაბეჭდით თარიღდება IV საუკ. II ნახევრით[80]. 1903 წ. გათხრილ ქერჩის ერთ-ერთ აკლდამაში

75 იხ. ანტიკური განყოფილების ფონდი, П. 1873. 195; П. 1859. 13.

76 ინახება მოსკოვში, სახვითი ხელოვნების მუზეუმში.

77 პროფ. ვ. გაიდუკევიჩი მათ ზოგადად IV ს. აკუთვნებს: იხ. **В. Ф. Гайдукевич Некрополи некоторых Боспорских городов. МИА**, 69, გვ. 235, სურ. 195.

78 ჭურჭელი კონუსური ფორმის ყოფილა და დამზადებულია ღია მწვანე ფერის მინისაგან, სოფ. ოლგინსკოეს აღმოჩენების შესახებ იხ. ი. გ ა გ ლ ი შ ვ ი ლ ი, თიხის ჭურჭელში დაკრძალული კრემაციული სამარხის ნაშთები, საჭ. სსრ მეცნ. აკად. „მოამბე", ტ. VIII, 1947 წ. გვ. 85—95; სამწუხაროდ, ავტორი არ აღნიშნავს „ხალიანი" მინის არსებობას ამ სამაროვანზე მოპოვებულ მასალებს შორის.

79 ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, მინის წარმოების ისტორიისათვის ძველ საქართველოში (სადისერტაციო ნაშრომი), თბ., 1954, გვ. 101—102.

80 **В. В. Шкорпиль**, Отчет о раскопках в г. Керчи в 1904 г., ИАК, вып. 25, 1907, გვ. 42—44.

ხაპოვნი ანალოგიური ფინჯანი თარიღდება IV საუკ. ბოლოთი. იქ აღმოჩენილი იმპერატორ თეოდოსის მონეტის ინდიკაციით[81]. დიდი რაოდენობით გვხვდება ანალოგიური ტიპის ჭურჭლები, აგრეთვე, ქერჩის ე. წ. ჰოსპიტლის ჭუჩაზე აღმოჩენილ სამაროვანზე, რომელიც IV—V სს. თარიღდებიან[82]. „ხალიანი" მინის ფრაგმენტები აღმოჩენილია, აგრეთვე, ქ. ქერჩში მითრიდატეს მთაზე გათხრილი კერამიკული ქურის ნაყარ მიწაში[83], აგრეთვე ტირიტაკასა[84] და ფანაგორიაში[85]. პროფ. ვ. გაიდუკევიჩის გამოკვლევის თანახმად, „ხალიანი" მინის ჭურჭელი ფართოდ იყო ხმარებაში ჩრდ. შავიზღვისპირეთში ახ. წ. IV საუკუნეში. განსაკუთრებით კი მის II ნახევარში[86].

„ხალიანი" მინა გვიანანტიკურ ხანაში საკმაოდ ფართოდ ჩანს გავრცელებული ანტიკურ სამყაროსა და მის პერიფერიებში. ხალებით, ჩვეულებრივ, შემკულია მოყვითალო-მომწვანო ფერის ფინჯნები[87]. უკანასკნელი წლების პუბლიკაციებიდან მიეუთითებთ უნგრეთის ტერიტორიაზე გათხრილი რომაული სამარხოს—ინტერკიზას სამაროვნის № 90 სამარხში აღმოჩენილ ნახევრად ოვალური ფორმის ფინჯანს—შემკულს ლურჯი ფერის „ხალებით"[88]. იმავე სამაროვანზე აღმოჩენილია, აგრეთვე, კონუსური ფორმის ჭურჭლები (მსგავსი, სამთაროს სამაროვნის „ყანწისებრი" ფინჯნებისა), რომელთაგან ერთ-ერთი (წებელდაში აღმოჩენილის მსგავსი) შემკულია ლურჯი ფერის ხალებით[89]. ინტერკიზაში აღმოჩენილი მინის ჭურჭელი შესწავლილია უნგრელი არქეოლოგის ალდარ რადნოტის მიერ. „ხალიანი" მინის შესახებ რადნოტი შენიშნავს, რომ იგი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ რომაულ სამყაროში IV ს. II ნახევარში[90], რაც შეეხება მისი წარმოების ცენტრებს, ეს საკითხი ჯერ კიდევ არაა საბოლოოდ დადგენილი. საფიქრებელია, რომ არსებობდა რამდენიმე ცენტრი, ვიდრე უდობენ მაგ. Köln-ს და ალექსანდრიას.

ამრიგად, ჩვენთვის განხილული სამი ჯგუფი მასალის განსაზღვრავს I ფენის თარიღს—ახ. წ. IV—V სს-ით. ამავე ფენაში დიდი რაოდენობით გვხვდებოდა, აგრეთვე, ქვევრების, სამზარეულო ჭურჭლისა და სხვ. ფრაგმენტები.

შემდეგი, ე. ი. II ფენა თიხნარია, მოყვითალო (უფრო ცვილისფერი, ჟანრიწიანი) ფერისაა (მისი სიმძლავრე საშუალოდ 1,20—1,40 სმ-ია). იგი შე-

---

81 В. Ф. Гайдукевич, Античные керамические обжигательные печи, Известия ГАИМК, вып. 80, 1934, М.-Л., გვ. 33.

82 Л. А. Мацулевич, Серебряная ваза из Керчи, ვᲒ 22.

83 В. Ф. Гайдукевич, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

84 В. Ф. Гайдукевич, Раскопки в Тиритаки в 1935—40, გვ. 119, იხ. აგრეთვე შენიშვნა 1, იმავე გვერდზე.

85 В. Ф. Гайдукевич, Античные керамические обжигательные печи ვᲒ. 85.

86 იქვე. გვ. 33, 85.

87 იხ. A. Kisa, Glas in Altertum, t. III, Leipzig, 1908.

88 A. Radnoti, Glagefässe und Glasgestände, Inlerkisa. Archaeologica Musei Nationalis Hungarici, Series Nouve XXXII; გვ. 14, ტაბ. XXXII, 3; ამავე სამარხში იძპერატორ ვალენტიან I მონეტა (364—375 წწ.); ანალოგიური ტიპის ფინჯანი, შემკული ლურჯი ფერის ხალებით, მოხსენებულია ინტერკიზაში აღმოჩენილი მინის ჭურჭლის კატალოგში. იხ. № 96, გვ. 160.

89 A. Radnoti, დასახ. ნაშრ., გვ. 14, ტაბ. XXXIV, 2 კონუსური ფორმის ჭურჭლები ფართოდაა ინტერკიზაში წარმოდგენილი და ისინი თარიღდებიან IV საუკ. იხ. იქვე, გვ. 153.

90 A. Radnoti, დასახ. ნაშრ., გვ. 153.

ცავდა სამშენებლო ნაშთებს, ნახშირსა და სხვ. ამ ფენაში ძალზე მრავლადაა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის კერამიკული ნაწარმი, მინის ჭურჭლის ფრაგმენტები (მცირე ზომის სანელსაცხებლე ოთხწახნაგა ჭურჭლები, შინდისფერი მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, რომლის ზედაპირზე გარედან ყვითელი და წითელი ფერის ზოლებია დატანილი), ბრინჯაოს ფიბულები და ძვლის კოვზი, აგრეთვე, ახ. წ. II—III ს-თა მონეტები. ამ უკანასკნელთა შორისაა რომაული, მცირეაზიული, ტრაპიზონული[91] და კესარიული მონეტები. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია კერამიკული მასალა, რომელიც ამფორების, წითელლაკიანი ჭურჭლის, სამზარეულო კერამიკის და სხვ. სახითაა წარმოდგენილი.

ამფორები რამდენიმე ტიპისაა. მათგან, უწინარეს, აღსანიშნავია ყელ-პირისა და ყურის ფრაგმენტები ვიწრო და მაღალყელიანი ამფორებისა, რომელთაგან თიხის მიხედვით ორი ჯგუფი გამოიყოფა (ტაბ. VI). ერთი მათგანი (ტაბ. VI. 1) ღია, მოყვითალო-მოთეთრო თიხისაა, კეცი—ღია მოყავისფრო და დიდი რაოდენობით შეიცავს შავ, ვულკანურ მინარევებს და, აგრეთვე, ქარსის წვრილ მარცვლებს. მსგავსი ამფორის ყელ-ყურის ფრაგმენტი სოხუმის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა 1952 წ.[92]. ხშირად ჩნდება ამგვარი ფრაგმენტები ბიჭვინტაშიც ახ. წ. II—III სს. დათარიღებულ ფენებში. ანალოგიური ტიპის ამფორები, თიხისა და კეცის ამგვარივე შემადგენლობით საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ახ. წ. II—III სს-ში ჩრდ. შავიზღვისპირეთში (ქერსონესში[93], სკვითურ ნეაპოლში[94], მირმეკიონში[95], ილურატში[96], ტანაისში[97], კუჩუკურში[98] და სხვ[99]). ამ ამფორებს ჩვეულებრივ მცირეაზიული წარმოების პროდუქციად მიიჩნევენ. სულ უკანასკნელ ხანებში, ილურატში ამ ტიპის ამფორების

---

91 უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გახშირდა ტრაპიზონული საქალაქო მონეტების აღმოჩენათა შემთხვევები შავი ზღვის ჩრდ. აღმ. სანაპირო რაიონებში. განსაკუთრებით მრავლადაა ისინი აღმოჩენილი ბიჭვინტაში, სადაც 1957 წ. ნაპოვნი იქნა განძი, რომელიც ახ. წ. II—III სს. 149 ტრაპიზონულ მონეტას შეიცავდა. ეს გარემოება მეტად საყურადღებოა, რადგან სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში შემუშავებული შეხედულების თანახმად, რომაული ხანის ტრაპიზონული მონეტები თითქმის არ გაქონდათ საგარეო ბაზარზე.

92 შეად. М. М. Трапш, Некоторые итоги археологических исследований в Сухуми в 1951—1953 гг.

93 იხ. С. Ф. Стржелецкий, Раскопки в Инкермане в 1940 г., СА, IX. გვ. 292, სურ. 7 (სურათს ქვემოთ შეცდომითაა აღნიშნული—V ს. სინამდვილეში, როგორც ავტორსვე 295-ე გვერდზე აქვს აღნიშნული, იგი ახ. წ. III ს. განეკუთვნება). იქვე მითითებულია ავტორისათვის ცნობილი ყველა შემთხვევა ანალოგიური ამფორების აღმოჩენისა.

94 И. Б. Зеест, К вопросу о торговле Неаполя и ее значение для Боспора, МИА, 33. გვ. 73, ტაბ. 14, გვ. 76.

95 В. Ф. Гайдукевич, Раскопки Мирмекия в 1935—1938 гг., МИА; 25, გვ. 170, სურ. 64.

96 В. Ф. Гайдукевич, Илурат, МИА, 85, გვ. 36, სურ. 20.

97 Т. Н. Книпович, Танаис..., გვ. 70.

98 М. М. Кубланов, К истории Азиатского Боспора, СА. XXIX—XXX, 1959, გვ. 210, სურ. $10_4$.

99 ანალოგიური ამფორები ფიქსირებულია, აგრეთვე, თანამედროვე პოლონეთის ტერიტორიაზეც. ფიქრობენ, რომ ეს პროდუქცია სამხრეთ შავიზღვისპირეთის ცენტრებისა სლავიანურ ოლქებში ტირის, ოლბიისა და ქერსონესის გზით შექონდათ. იხ. ვ. გაიდუკევიჩის რეცენზია კ. მაევსკის წიგნზე Importny rimckie na ziemliach slaviaczk. ВДИ, 1951 № 2 გვ. 190.

აღმოჩენასთან დაკავშირებით, პროფ. ვ. გაიდუკევიჩმა გამოთქვა მოსაზრება შავი სინოპეში წარმოების შესაძლებლობის შესახებ. პროფ. ვ. გაიდუკევიჩის აზრით, ამ ამფორების თიხა (მოყვითალო-მოყავისფრო ფერისა, მრავალრიცხოვანი შავი წერტილებით) ძალიან ახლოს დგას ელინისტური ხანის ამფორების თიხასთან[100]. ჩვენი აზრით, ეს მეტად საყურადღებო მოსაზრება ჯერ კიდევ დასაბუთებას მოითხოვს, რადგან ელინისტური ხანის სინოპური თიხის ამფორები, როგორც წესი, იასამნის ფერისაა. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ მაინც საქმით აშკარაა, რომ აქ გვაქვს ნაწარმი სამხრეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთ ცენტრისა. დიდ ინტერესს იწვევს და უთუოდ სპეციალური შესწავლის ღირსია მეორე ჯგუფი იმავე ტიპის ამფორებისა (ტაბ. VI, 1а). კეცი და თიხა ამ ამფორებისა წითელი ფერისაა და შეიცავს ზღვის ქვიშას, დანაყილ აგურსა და შედარებით დიდი ზომის ოქროსფერი ბზინვარების ქარსს. მასში სრულიად არ გვხვდება შავი ვულკანური მინარევები, რომელიც ასე დამახასიათებელია პირველი ჯგუფისათვის. ეს გარემოება და, აგრეთვე, პირის ჭობის ოდნავ განსხვავებული მოყვანილობა სავსებით ნათელს ხდის, რომ ისინი სხვა საწარმოო ცენტრის პროდუქციას წარმოადგენენ. ამ უკანასკნელთა კეცი საკმაოდ ახლოს დგას ადგილობრივი კერამიკის სხვა ნიმუშებთან, რაც უფლებას გვაძლევს გამოვთქვათ მოსაზრება, რომ წითელი კეცის მაღალყელიანი ამფორები თეორეციანი მცირეაზიული ამფორების მიბაძვით ადგილობრივ არის დამზადებული. ეს გარემოება კიდევ ერთი მოწმობაა სოხუმისა და ბიჭვინტის ძველი მოსახლეობის ახ. წ. II—III სს. სამხრეთ შავიზღვისპირეთთან ცხოველი სავაჭრო-ეკონომიური ურთიერთობისა, რაც აგრე კარგადაა ილუსტრირებული ნუმიზმატიკური მონაპოვრითაც.

II ფენაში ხშირად გვხვდებოდა ფრაგმენტები (ტაბ. VI, 2), წითელ და, აგრეთვე, ყავისფერკეციანი ამფორებისა. ამათ შედარებით მაღალი პირგადაწელილი ყელი აქვთ. ბრტყელგანივკვეთიანი ყური მშვილდივითაა მოხრილი და უშუალოდ ყელს მიძერწილი. პირს ქვემოთ ყურთან ყელი წიბოთიანია, ზოგიერთ ფრაგმენტს შიგნიდან შავი ფერის ნალექი აქვს (ცვილისგან?). ამფორის ეს ტიპი უახლოვდება და, როგორც ჩანს, წარმოადგენს გვიან ვარიანტს და შემდგომ განვითარებას იმ ყავისფერთიხიანი ამფორებისა, რომლებიც დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი ჩრდ. შავიზღვისპირეთში და რომელსაც ი. ზეესტი ძვ. წ. I და ახ. წ. I სს. ათარიღებს და სინოპური წარმოშობისად მიიჩნევს[101].

ამავე ფენაში ნაპოვნია, აგრეთვე, ფრაგმენტები ადგილობრივი ტიპის ამფორებისა, რომელთაც ბრტყელგანივკვეთიანი ყური ყელისა და მხრის მიერთების ადგილას ეწყება და უშუალოდ ტანს უერთდება (ტაბ. VI, 4). აღსანიშნავია, რომ ამგვარი ამფორები ჯერჯერობით მხოლოდ სოხუმსა და ბიჭვინტაში (ახ. წ. II—III სს. ფენებში) მოპოვებული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, ამავე ფენაში მოპოვებული რამდენიმე ფრაგმენტი თეთრანგობიანი, როგორც ჩანს, შეადრებით მცირე ზომის ამფორათა ყელის, პირის, კედლისა და ძირის ფრაგმენტები (ტაბ. VI, 6). მათ აგურისფერი კეცი აქვთ, ქარსის შალზე ხშირი მინარევებით. ამ ამფორათა გა-

---

100 В. Ф. Гайдукевич, Илурат ... გვ. 34—35.

101 И. Б. Зеест, Новые данные о торговых связях Боспора с Южным Причерноморьем, ВДИ, 1951, № 2, გვ 114, სურ. 7.

ფრირებული კედლები მიუთითებენ, რომ ისინი ვერ განეკუთვნებიან ახ. წ. II—III სს. უფრო ადრინდელ ხანას. მათთან ერთადაა ნაპოვნი თეორანგობიანი (ყვითელი ეკლისა ქარქვის მარცვლებით) ამფორის ბრტყელი ყურა, რომელსაც შერჩენილი აქვს ერთსტრიქონიანი ბერძნული დამღის კვალი. თითქოს იკითხება სახელის დაბოლოება ნათესაობით ბრუნვაში... (x) ου (ტაბ. VI, 3).

ამავე ფენაში გვხვდებოდა, აგრეთვე, მცირე ზომის ფრაგმენტები სინოპური ამფორებისა (დამახასიათებელი ისამნისფერი თიხისა შავი ვულკანური მინარევებიანი).

წ ი თ ე ლ ა კ ი ა ნ ი კ ე რ ა მ ი კ ა წარმოდგენილია ლანგრებისა თუ თეფშების, ჯამების, თასების, ფინჯანების, ჭრაქების, დოქებისა და სხვ. ფრაგმენტებით. განსაკუთრებით მრავალფეროვანია ფრაგმენტები ოვალური მოყვანილობის პირგადაშლილი ლანგრებისა—დაბალი (ირიბი ან ზოგჯერ, ოდნავმომრგვალებული) კალთებიანი და ბრტყელი ფართო ძირიანი, რომელსაც ირგვლივ ოდნავ გამოყოფილი ვიწრო რელიეფური სარტყელი შემოუყვება (იგი ქუსლის მოვალეობას ასრულებს). ამ ტიპის ლანგრებს (ტაბ. VII, 1, 3, VIII, ტაბ. IX, 2) პორიზონტალური ყური აქვთ, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში რელიეფური გამოსახულებითაა შემკული (ტაბ. IX, 2), მეტწილად, მცენარეული ორნამენტი გვხვდება. ზოგიერთ ფრაგმენტზე ირთული რელიეფური კომპოზიციაა გამოსახული (მაგ. ნადირობის სცენა: ირემი, რომელსაც ძაღლი მისდევს). ერთ-ერთ ფრაგმენტზე გამოსახულია ანტიკური ფორმის ჭურჭელი—კანთაროსი და სხვ.

ლანგრის პირის ორნამენტაციის მიხედვით, ორი ჯგუფი გამოიყოფა. ერთი მათგანისა შემკულია რელიეფური გამოსახულებებით (რელიეფი დაბალია, გამოსახულება არაა მკვეთრი): სხვადასხვაგვარი თეფშები, დელფინი, კიბორჩხალა, წერო და სხვ. (ტაბ. VIII), მეორე ჯგუფისა კი შემკულია ღარებით და კოპებით. ზოგიერთი ლანგრის პირის კიდე დაკბილულია (ტაბ. VIII, 1), გვხვდება, აგრეთვე, ამ ლანგრების ისეთი ძირებიც, რომლებიც სხვადასხვაგვარი გამოხატულებითაა შემკული.

აღნიშნული ტიპის ლანგრები, რომლებიც გვხვდება, აგრეთვე, ბიჭვინტაში[102], საკმაოდ გავრცელებულია ჩრდ. შავიზღვისპირეთში და მათ ჩვეულებრივ ახ. წ. II ს. მიწურულითა და III ს. ათარიღებენ[103].

დიდი რაოდენობითაა, აგრეთვე, მოპოვებული ფრაგმენტები ღრმა ჯამებისა (ტაბ. X, 4) მომრგვალებული კალთებით (მათ, როგორც წესი, პატარა, დაბალი და მრგვალი ქუსლი აქვთ). ამ ტიპის ჯამთაგან, ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში, ძირითადად, ორი ნაირსახეობა გამოირჩევა. უფრო მრავალრიცხოვანია ის ჯგუფი, რომელთაც პირის კიდე შიგნით აქვთ ჩაკეცილი. მათი უმრავლესობა საკმაოდ სქელკედლიანია. გვხვდება, აგრეთვე, თხელკედლიანი ფრაგმენტებიც. წერნაქით დაფარულია შიდა ნაწილი. გარედან კი მხოლოდ კალთის ზემო ნაწილები და ისიც არათანაბრად. წერნაქი მდარე ხარისხისაა, უპირატესად ღია წითელი ფერისა. გვხვდება ყავისფერი საღებავებით დაფარული ფრაგმენტებიც.

---

102 იხ. ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ბიჭვინტის წითელლაიანი კერამიკა..., ტიპები II და III.

103 Т. Н. Книпович, Краснолаковая керамика..., გვ. 305—307, სურ. 316.
Л. Ф Силантьева, Краснолаковая керамика из раскопок Илурата, МИА. 85, გვ. 301—303, სურ. 316.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ტიპის ჯამები ფართოდაა გავრცელებული ანტიკურ სამყაროში ახ. წ. I—III სს., ძაგ.. მცირე აზიაში (ჩანდარლის 20 ტიპი)[104].

საგანგებო შესწავლისა და ყურადღების ღირსია კალთამომრგვალებული ჯამების ის ჯგუფი, რომლის პირის ჭობა ჭრილში მარაკუთხა სამკუთხედის ფორმისაა. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა ამ ფრაგმენტს ღია-მოყვითალო ფერის კეცი აქვს. განსხვავება მხოლოდ ჯამების სხვადასხვაგვარ სიდიდესა და წერნაქის ფაშაშია (ღია წითელი ფერის ფრაგმენტებთან ერთად, გვხვდება ყავისფრად შეღებილიც). ზუსტად ამ ფორმის ჯამები არ გვეგულება წითელლაკიანი კერამიკის არსებულ პუბლიკაციებში, არ შეგვიძლია მსგავსი ჭურჭელი არც ჩრდ. შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურ მასალებში. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით საინტერესო ჩანს მსგავსება სოხუმში მრავლად მოპოვებულ ფრაგმენტებსა და 1957 წ. ბიჭვინტის ექსპედიციის მიერ ინკიტის ტბის მახლობლად გათხრილი კოშკის II—III სს. დათარიღებულ ფენაში ნაპოვნ ფრაგმენტებთან[105].

ასევე საგანგებო ყურადღების ღირსია მრავლად მოპოვებული ფრაგმენტები პირფართო ჯამებისა მაღალი გოფრირებული კიდეებითა და ჰორიზონტალურად მიძერწილი ფართო, რამდენიმე რიგად დაღარული ყურით. ჭუსლი არ შემორჩენიათ. ჩანს, მას ირიბი, ძირისაკენ მკვეთრად დაჭანებული კალთები ქონია (ტაბ. VIII. 3; IX, 1; VI, 5). წერნაქი ღია წითელი ფერისაა. მოკლებულია ბრწყინვალებას. ხშირია, ავრეთვე, ყავისფრად შეღებილი ფრაგმენტებიც. თიხა ღია-მოყვითალო ფერისაა, კარგად გაცრილი და თანაბრად გამომწვარი. ამგვარი ჯამის ფრაგმენტები ნაპოვნია ბიჭვინტაშიც[106], მაგრამ სრულიად უცნობია ჩრდ. შავიზღვისპირეთისა და მცირე აზიის არქეოლოგიურ მონაპოვარში.

II ფენაში მოპოვებული წითელლაკიანი ჭურჭლიდან უნდა აღინიშნოს ფრაგმენტები ვერტიკალურკიდიანი (კიდე შუაში ოდნავ შეზნექილია), ძირისაკენ მკვეთრად დაჭანებულკალთებიანი (პირის კიდე კალთაზე გადასვლისას წიბოს ქმნის) ჯამებისა. იგი განეკუთვნება ოლბიის 21 ტიპს, რომელსაც ტ. კნიპოვიჩი „გვიანი ხანით" ათარიღებს[107]. ამ ტიპის ჯამებიდან გამოირჩევა რამდენიმე მეტად საინტერესო ფრაგმენტი (იხ. №№ 855, 826, 1796), შესაძლოა, ერთი და იგივე ჭურჭლისა. შეგნიდან საღებავი მუქი წითელი ფერისაა, გარედან შეღებილია მხოლოდ კიდეები და კალთის ნაწილები. კეცი აგურისფერია, სუფთად გაცრილი და თანაბრად გამომწვარი. თიხა შეიცავს ოქროსფერი ქარსის ხშირ მინარევებს. ამგვარივე თიხისაა № 2100 ფრაგმენტი, ოღონდ უფრო მცირე ზომისა და დაფარული ყავისფერი ლაკით. საინტერესოა, რომ თიხის შემადგენლობით და, საერთოდ, კეცით წითელლაკიანი ჭურჭლის ეს ფრაგმენტები

---

[104] S. Löschke. Keramische Funde im Haltern, Mitteilungen der Altertums-Komission für Westfalen. V. 1909.

[105] მაგ. სოხუმში აღმოჩენილი ზოგიერთი ფრაგმენტი (მაგ. № 1485) ზედმიწევნით მსგავსებას იჩენს ინკიტის ტბასთან ნაპოვნ ჭურჭელთან (იხ. ბიჭვინტის ექსპედიციის საველე წვნი № 1984): გარდა საერთო ფორმისა და კეცის თითქმის სრული იდენტურობისა, ორივე ჯანი შეგნიდან ყავისფრად ყოფილა შეღებილი, ხოლო გარედან წითლად. გარდა ამისა, ორივე ჯამის პირის ჭობას შეგნიდან წითელი სარტყელი გასდევს. შეად. ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა... გვ. 238—239, სურ. 5.

[106] ო თ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ბიჭვინტის წითელლაკიანი კერამიკა, ტიპი VI.

[107] T. Knipowitsch, Untersuchungen...

იდენტური ჩანან გვიანი ხანის კარგად ცნობილი სამოსური ამფორების კეცისა. შესაძლოა, რომ აღნიშნული ფრაგმენტები სამოსურ პროდუქციას წარმოადგენდნენ.

ამავე ფენაშია მოპოვებული და შესაბამისად იმავე დროით უნდა დათარიღდნენ მრავალრიცხოვანი ფრაგმენტები: პირგადაშლილი თუ თხელკედლიანი თასები, ვერტიკალურკიდეებიანი ჯამები და სხვ. მრავლადაა ნამოვნი წითელლაკიანი დოქის ყელ-ყურის, კედლის თუ ძირის ფრაგმენტებიც. დოქები, როგორც წესი, დაბალყელიანია, მრგვალი ვიწრო პირი და ორლულიანი ყური აქვთ (უფრო სწორად, ყურის ზედაპირი ვიწრო ღარით შუაზე ორადაა გაყოფილი). ხშირად გვხვდებოდა ორრიგად დატარული ბრტყელგანივკვეთიანი ყურებიც. დოქები, როგორც წესი, ცალყურაა (ტაბ. VI, 7), წერნაქი ღია წითელი ფერისაა, ზოგიერთი ფრაგმენტისა კი მუქი. ყავისფერი საღებავით დაფარულია პირის შიდა ნაწილი (ზოგიერთი კედლის ფრაგმენტი შიგნიდანაც არის შეღებილი, მაგ. № 1898). კეცი დოქებისა სუფთადაა გაცრილი და თანაბრად გამომწვარი, მეტწილად ღია აგურისფერისა ან ღია-მოყვითალო ფერისაა. გვხვდება ქარსიანი ფრაგმენტებიც. ამგვარად, II ფენაში მოპოვებული მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ფრაგმენტები წითელლაკიანი ჭურჭლისა, მოწმობენ, თუ რაოდენ ფართოდ იყო ხმარებაში ამ სახეობის ჭურჭელი ახ. წ. II—III სს. სებასტოპოლისის მოსახლეობაში.

ჩვეულებრივ, წითელლაკიან ჭურჭლებთან ერთად განიხილავენ ხოლმე მცირე ზომის დაბალ ოდნავ პირგადაშლილსა და მუცელგაბერილ ჭურჭლებს. მათ პატარა მოხრილი ყური და დაბალი მრგვალი ქუსლი აქვთ; ჩვენს მასალებში კეცის მიხედვით ორი ჯგუფი გამოიყოფა: წ ი თ ე ლ კ ე ც ი ა ნ ი და რ უ ხ კ ე ც ი ა ნ ი. ამგვარი ჭურჭლის ძირისა და პირის ფრაგმენტები ხშირად გვხვდება ბიჭვინტაში. ამ ტიპის ქოთნები ფართოდაა გავრცელებული ჩრდ. შავიზღვისპირეთში და მას ახ. წ. II—III ათასწლეულით[108]. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რუხკეციანი ფრაგმენტები. ანალოგიებს ქერსონესში ასეულობით ნაპოვნი ამგვარი ჭურჭლების მსგავსია, რაც უფლებას გვაძლევს, სოხუმში აღმოჩენილი რუხკეციანი ფრაგმენტები ქერსონესის პროდუქციად მივიჩნიოთ.

ამავე ფენაში აღმოჩენილია გვიანბერძნული ფორმის ჭრაქები წითელი თიხისა (ტაბ. VII, 5). ზოგიერთ მათგანს შერჩენილი აქვს „ლაკის“ ნაშთი. აღსანიშნავია, აგრეთვე, ჭინჭილა ღია ვარდისფერი თიხისა, რომელსაც დაბალი და განიერი მუცელი აქვს. მისი ყელი თანდათან ვიწროვდება პირისაკენ. ჭინჭილას ქუსლი დაბალი და მრგვალია, ყური მომტვრეულია, ჩანს მრგვალგანივკვეთიანი ყოფილა.

II ფენაში მოპოვებულ მასალებს შორის დიდ ინტერესს იწვევს, როგორც ჩანს, საკმაოდ ფართოყელიანი ჭურჭლის (იგი წითელკეციანია) კედლის ფრაგმენტი, რომელზედაც რელიეფური გამოსახულებაა: ცენტრალურ ნაწილში ჭრილში გამოსახულია ვაზის მტევანი და ფოთლები, აგრეთვე, რაღაც ფრინველი (ქათამი?), აქეთ-იქით ფრინველის ნიღბიანი და ფარით აღჭურვილი ადამიანის (გლადიატორები?) ფიგურებია (ტაბ. V, 7).

[108] Т. Н. Книпович, Краснолаковая керамика, შეად. აგრეთვე. М. М. Кублановъ, დასახ. ნაშრ., გვ. 210, სურ. 10

აღსანიშნავია ამავე ფენაში მოპოვებული იხვისა და ცხვრის თავის სკულპტურული გამოსახულებანი (თიხისა). ცხვრის თავის გამოსახულება, შესაძლოა, პატერას ტიპის ჭურჭლის ტარის ნაწილს წარმოადგენდეს (ტაბ. X, 1—2).

II ფენაში მოპოვებული ლუთერიები ორი ძირითად ჯგუფად იყოფა: პირველი—უფრო მასიური და დიდი ზომისაა. იგი ანალოგიურია I—III ს-ში ანტიკური ქალაქების კულტურულ ფენებში მრავლად ნაპოვნი ლუთერიებისა. მისი კეცი იასამნისფერია, შავი ვულკანური მინაერთებით და, როგორც ჩანს, განეკუთვნება სინოპის პროდუქციას. განსაკუთრებით საინტერესოა მეორე ტიპი—წითელკეციანი, კირქვისა და ზღვის ქვიშის ხშირი მინარევებით. იგი პირველი ტიპისაგან და, საერთოდ, ანტიკურ სამყაროში გავრცელებული მსგავსი ჭურჭლისაგან განსხვავდება იმით, რომ ტუჩი და მისი გაგრძელება ქობაზეა შემაღლებული. ამგვარი ლუთერიები სოხუმს გარდა, ჯერჯერობით მხოლოდ ბიჭვინტაშია ფიქსირებული. ეს გარემოება კი უფლებას გვაძლევს, იგი ადგილობრივი წარმოების პროდუქციად მივიჩნიოთ[109].

სამზარეულო კერამიკაც, აგრეთვე, დიდი რაოდენობითაა ამ ფენაში წარმოდგენილი; ესაა, მეტწილად, რუხკეციანი, ცეცხლზე ხშირი ყოფნით გაშეებული ქვაბის, ჭოთნის, კოჭების, ჯამისა თუ სხვ. ფრაგმენტები. ჭოთნების უმრავლესობა პირგაშლილია, პირი კი ტალღისებური ორნამენტითაა შემკული. აღსანიშნავია სიმრავლე დიდი ზომის ორყურა ქვაბის ფრაგმენტებისა. მიუხედავად ზოგიერთი დეტალის სხვაობისა, ისინი არსებითად ეკუთვნიან ერთ ტიპს. ესაა დიდი ზომის ორყურა ქვაბი ძირისაკენ მკვეთრად დაქანებული კალთებით. ამგვარი ჭოთნები ძალზე გავრცელებულა ჩრდ. შავიზღვისპირეთში და გვხვდება ახ. წ. II—III სს. ფენებში. აღმოჩენილია მაგ. ტრიბაკაში ახ. წ. II—III სს. ცისტერნაში[110].

ამგვარად, II ფენა ახ. წ. II—III სს. უნდა დათარიღდეს. ეს ფენა ზემოდან ფარავდა საცხოვრებელ სამეურნეო კომპლექსს, რომლისგან გაითხარა ოთახის ნაწილი (კედლები რიყის ქვითაა კირხსნარზე ამოყვანილი (ტაბ. XII, 5); ეზოს ნაწილი სამეურნეო დანიშნულების ნაშთებით (გამოვლინებულია ქვევრის ნაშთები (ტაბ. XII, 2) და ჭა (ტაბ. XI). ეს უკანასკნელი მრგვალი მოყვანილობისაა და შიგნიდან კირხსნარზე ამოყვანილი რიყის ქვებითაა მოპირკეთებული. ჭის ზედაპირზე ნაპოვნია ახ. წ. II ს. მონეტა (ანტონინეს კესარიული დრაქმა). ჭის შიგნით (ჭა გაიწმინდა ჯერჯერობით მხოლოდ 3 მ-ის სიღრმეზე) ნაპოვნია ფრაგმენტები წითელი და ყავისფერლაკიანი ჭურჭლისა. ყურადღებას იქცევს თითქმის მთლიანად რესტავრირებული (ლ. ასათიანის მიერ) წითელლაკიანი ორყურა მუცელგამობერილი ჭურჭელი (პელიკა?). ჭურჭლის ფართო ყელი ოდნავ შესამჩნევად ფართოვდება ჰორიზონტალურად გადაშლილი პირისაკენ. ყურები ბრტყელგანივკვეთისანია და ოთხრიგად დაღარული. ლაკი ღია წითელი, ხოლო კეცი ღია მოყვითალო ფერისაა (ტაბ. V, 1; X, 6). ჭაში აღმოჩნდა, აგრეთვე, სხვადასხვა ამფორის კედლისა და ძირის ფრაგმენტები, რუხკეციანი ჭურჭლის ყელ-ყურის ნაწილები, საქონლის რქები, ფეხსაცმლის

---

109 ო. ლორთქიფანიძე, ინკიტის ტბასთან ჩატარებული სადაზვერვო-არქეოლოგიური მუშაობის წინასწარი ანგარიში, გვ. 105.

110 **В. Ф. Гайдукевич**, Раскопки Тиритаки в 1935—1938 гг., გვ. 32, სურ. 25; იხ. იქვე, გვ. 92. სურ. 111, 1

ლანჩა, ხის ფირფიტა, ერთი გაურკვეველი მონეტა და სხვ. მათ ქვემოთ ჭის ზედაპირიდან 2,30 მ-ის სიღრმეზე კვლავ აღმოჩნდა ერთი მონეტა—ბოსფორული ახ. წ. I ს. შუახანებისა. ეს უკანასკნელი თითქოს იძის მოწმობაა, რომ ამ დროიდან მაინც ჭა ალარ იყო ხმარებაში.

ზემოხსენებული კომპლექსის დათარიღება გართულებულია იმით, რომ ჩვენ ვერ მივაკვლიეთ მისი არსებობის დროინდელ კულტურულ ფენას. სტრატიგრაფიულ პრილში კარგად ჩანს, რომ II, თიხნარი ფენა (იგი შემდეგი ფენისაგან კირხსნარიანი შრითაა გამოყოფილი) ჩვენს მიერ ახ. წ. II—III სს. დათარიღებული, ზემოდან ადევს ამ კომპლექსს და შესაბამისად, წარმოშობილია ამ კომპლექსის დაღუპვის შემდეგ. ეს გარემოება გვაძლევს terminus post quem non-ს. მეორე მხრივ, საცხოვრებელ ნაგებობათა კედლის საძირკველი, თავის მხრივ, დგას კირხსნარიან შრეზე (როგორც ჩანს, მშენებლებს მთელ ფართობზე ნიადაგი მოუსწორებიათ, ე. წ. საამშენებლო მოედანი შეუქმნიათ, რომელიც თხრილის მთელ ფართობს გასდევდა). კირხსნარიანი შრის ქვემოთ (IV ფენა) აღმოჩნდა რიყის ქვისაგან ამოშენებული წყალსადენის ნაშთი (ტაბ. XII. 1), ცრეთე ფრაგმენტები თეთრთიხანი (ქოქსის) ძვ. წ. I ს. ამფორის ორლულანი ურის, კვირისთავის მოყვანილობის ამფორისკის, წითელლაქიანი ჭურჭლის ფრაგმენტები, ძვ. წ. I ს. მონეტა (ამისო თუ პონტოს კომანა) და სხვ.

თანამედროვე ზედაპირიდან 1,90 მ სიღრმეზე დაიწყო გრუნტული წყლების ინტენსიური დინება, რომელმაც საგრძნობლად გაართულა სიღრმეში თხრა. უძრავ ფენამდე (ზედაპირიდან 3,5 მ-ის სიღრმეზე) შესწავლილ იქნა მხოლოდ ერთი (№ 7) კვადრატი (თხრისას სპეციალური წყალსაქაჩავით გვიხდებოდა წყლის განუწყვეტელი ამოქაჩვა). მიუხედავად ამისა, შესაძლებელი გახდა საკმაოდ მძლავრი (დაახლოებით 1 მეტრი სისქის), ძვ. წ. III—II სს. კულტურული ფენის არსებობის დადგენა. ამ ფენაში აღმოჩენილი მასალებიდან უნდა აღინიშნოს წითელლაქიანი (უპირატესად, პერგამული ნაწარმის), და განსაკუთრებით მრავლად შავლაქიანი ჭურჭლის ფრაგმენტები. აღსანიშნავია, აგრეთვე, ფრაგმენტები შესანიშნავი პირგადაწელილი ჯამისა, რომელიც მოყვითალო ფერის ანგობითაა დაფარული. პირის კიდე და კალთის შუაგული შავლაკიანი ორნამენტითაა შემკული[111] (ტაბ. X, 3). ამავე ფენაში აღმოჩენილია ნატეხები ე. წ. ჩვარული თასისა, ნიკარისებრი მოყვანილობის (ტაბ. X, 5) მარმარილოს(?) ხელთის, ამფორების (მათ შორის, წითელყვითელი ორლულანი ყურის), ოქროფერილი მინის მძივის[112] და სამზარეულო კერამიკის ფრაგმენტები. უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, კოლხური პითოსის რამდენიმე ფრაგმენტი (ტაბ. XII, 4), ყველა ისინი რუხკეცებიანია, მათ გვიანელინისტური ხანის დამახასიათებელი ზედაპირი აქვთ და განეკუთვნებიან კოლხური პითოსების იმ ჯგუფს, რომლებიც ბადდებოდა მდ. რიონის შუა წელზე (ნ. ხოშტარია). ამავე ფენაში ნაპოვნია ურნის წიაწები, რომლებიც პროფ. მ. რამიშვილის განსაზღვრით, „კულტუროული ვაზის ტიპიური წარმომადგენელია და ემსგავსება უძველეს ქართული ვაზის ჯიშს—კახეთს“.

---

[111] ანალოგიური ტიპის თეფშებს ათარიღებს ძვ. წ. III ს. დასრულით, იხ. П. Иванов, Антична керамика от некропола на Аполония, „Аполония“, София, 1963, გვ. 232, № 625 а.

[112] მოყვანილი მინის მძივები საქართველოში ვრცელდება ძვ. წ. III—II სს. იხ. ო. ფუთურიძე, გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, მასალები საქართველოს და ამირკავკასიის არქეოლოგიისათვის, II, 1959, გვ. 85.

გათხრებისას აღმოჩენილია, აგრეთვე, ძვ. წ. V ს. შავლაკიანი პურჭლის ნატეხები, მაგრამ ამ დროის ფენა შესწავლილ მონაკვეთზე ჯერჯერობით დადგენილი არაა.

ამგვარად, შავიზღვისპირეთის ექსპედიციის მიერ სოხუმის ძველი ციხის ტერიტორიაზე ჩატარებულმა მუშაობამ დაადგინა „ულტურული ფენების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა და მნიშვნელოვანი მასალა მოიპოვა დიოსკურიასებასტოპოლისის ისტორიის შესასწავლად: I, ზედა ფენა ახ. წ. IV—V სს. ისევე როგორც, ბიჭვინტაში, გვიჩვენებს, თუ როგორი ინტენსიური სამეურნეო ცხოვრება მიმდინარეობს შავი ზღვის ჩრდ. აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში ეგრისის სამეფოს ჩამოყალიბების ხანაში. ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია იყო რთული და ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მიმდინარეობდა ქვეყნის ეკონომიური აღმავლობის ფონზე (ს. ჯანაშია).

II ფენა, ახ. წ. II ს. მიწურულისა და III ს. პირველი ნახევრისა, მნიშვნელოვანი წყაროა ადგილობრივი ხელოსნური წარმოებისა და ანტიკური ცენტრებთან ცხოველი სავაჭრო-ეკონომიური ისტორიის შესასწავლად. ესაა საქალაქო ცხოვრების ხელახალი აყვავების ხანა შავი ზღვის ჩრდ. აღმ. სანაპიროზე.

III ფენა, სამშენებლო კომპლექსით წარმოდგენილი, ახ. წ. I ს., გვიჩვენებს, როგორც ჩანს, საქალაქო ცხოვრების გამოცოცხლების ხანას ხანგრძლივი დაქვეითების შემდგომ.

IV ფენა, ძვ. წ. I—ახ. წ. I ს. დასაწყისის მეტად სუსტად გამოკვეთილი და მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტებით წარმოდგენილი ფენა, როგორც ჩანს, ასახავს ზღვისპირა ქალაქების ეკონომიური დაქვეითების ხანას.

V ფენა, ძვ. წ. III—II სს., ერთი მხრივ, გვიჩვენებს ელინისტური ხანის დიოსკურიის მოსახლეობის ინტენსიურ სამეურნეო ცხოვრებას (ხელოსნური წარმოება, მევენახეობა), ხოლო, მეორე მხრივ, ცხოველ სავაჭრო ურთიერთობას, როგორც კოლხეთის შიდა რაიონებთან, ისე ანტიკური სამყაროს ცენტრებთან (რაც ნათელი ილუსტრაციაა ტიმოსთენე როდოსელისა და სტრაბონის ცნობებისა).

ცალკეული ფრაგმენტები განეკუთვნებიან ძვ. წ. V ს.—დიოსკურიის ისტორიის ადრინდელ ეტაპს.

* *
*

ცნობილია, რომ ძველი ქალაქის ნაწილი ზღვაშია ჩაძირული. სოხუმის წყალქვეშა არქეოლოგიური ძეგლები დიდი ხანია უკვე იპყრობენ მკვლევართა ყურადღებას. სავანგებოდ უნდა აღინიშნოს ის ინტერესი, რომელსაც იჩენდა ამ მიდამოების წყალქვეშა ძეგლებისადმი ცნობილი ქართველი ისტორიკოსი თედო ჟორდანია.

პირველი პრაქტიკული ნაბიჯები სოხუმის წყალქვეშა არქეოლოგიური ძეგლების შესასწავლად გადაიდგა 1953 წელს, როდესაც ბიჭვინტის არქეოლოგიური ექსპედიციის მოწვევით მდ. ბესლეთთან ზღვის ფსკერზე ჩაეშვა ფოთის წყალქვეშა სადგურის ცნობილი მყვინთავი ლავრენტი ბახტაძე. მასთან ერთად ზღვის ფსკერზე ჩავიდა და იქ აღმოჩენილი ნანგრევები დაათვალიერა ექსპედიციის ხელმძღვანელმა ა. აფაქიძემ.

საანგარიშო წელს შავიზღვისპირეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ჩაატარა, აგრეთვე, წინასწარი ჰიდროარქეოლოგიური სამუშაოები სოხუმის ყურეში. მომზადდა პირველი ჯგუფი არქეოლოგი—აკვალანგისტებისა 6 კაცის შე-

მადგენლობით. ჯგუფი სოხუმის მუზეუმთან ერთად იკვლევდა სოხუმის წყალქვეშა არქეოლოგიურ ძეგლებს. ძირითადად, 3 უბანზე: სოხუმის ცისის ირდაპირ, მდ. ბესლეთის შესართავთან და ე. წ. „დიდი აბზაური კედლის“ ირდაპირ. ჯგუფის მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგად შედგენილია წყალქვეშა არქეოლოგიური ძეგლების საორიენტაციო სქემა.

## МАТЕРИАЛЫ К АРХЕОЛОГИИ ДИОСКУРИИ-СЕБАСТОПОЛИСА

(Раскопки Причерноморской археологической экспедиции Института Истории АН ГССР в г. Сухуми в 1959 г.)

А. М. АПАКИДЗЕ, О. Д. ЛОРДКИПАНИДЗЕ

Резюме

В 1959 году Причерноморская археологическая экспедиция, приступила к археологическому исследованию г. Сухуми[1]. Раскопки были произведены на территории древней крепости (т. н. Сухумская крепость) на участке расположенном на Набережной по проспекту Руставели.

Раскопками установлено наличие нескольких разновременных культурных слоев (табл. I). Верхний слой, черного гумуса, толщиной в среднем 0.30—0,40 м (в некоторых квадратах 0,60—0,70 м), оказался сильно поврежденный во время поздних строительств. В верхнем горизонте этого слоя наряду с обломками средневековой глазурованной керамики был найден кремневый наконечник стрелы раннебронзового периода. Попадались также керамические фрагменты, характерные для последующего слоя и монеты II—III вв. н. э. (они были выброшены, по-видимому, при рытьи ям, которые отчетливо видны в разрезах). Основная же часть находок этого слоя относится к IV—V вв. н. э. Это многочисленные обломки, в основном, красноглиняных амфор с цилиндрическим горлом с реберчатыми или желобчатыми ручками овального сечения (табл. II), обломки бороздчатых стенок, а также обломки амфор с густо рифленной поверхностью. Последние хорошо датируются: как известно, появление густого рифления относится к IV в. и широко распространено в IV—V вв. н. э. (ср. Херсонес, Тиритака и др.). Следует отметить также обломок ручки от Самосской амфоры IV в. н. э.

Краснолаковая керамика представлена типами (табл. IV) характерными для IV в. н. э. (больших размеров миски со слегка расходящимися кверху стенками с плоским дном и совсем низким и узеньким ободком; большие тарелки с горизонтально отогнутым краем; неглубокие миски с отвесным бортиком и косыми стенками на маленькой кольцеобразной подставке, чашечки полушаровидной формы с горизонтально отогнутым краем на маленькой кольцеобразной подставке). Один фрагмент дна украшен рифленным орнаментом, характерным для первой половины IV в. н. э. (Бичвинта, Фанагория, Пантикапей). Совершенно очевидно полное сходство фотофрагмента и даже идентичность его с краснолаковой керамикой того же времени, в большом количестве найденной при раскопках древнего Питиуса (совр. Бичвинта), что дает основание предположить их происхождение от одного производственного центра. Ряд данных позволяют предполагать наличие такого производственного центра в районе северо-восточного Причерноморья.

[1] Краткий обзор археологических исследований в г. Сухуми, см. Труды Абхазского Института языка, литературы и истории АН Грузии, т. XXXIII—XXXIV, Сухуми, 1963, стр. 209 и след.

В этом слое найдены также обломки стеклянных изделий: донышки сосудов рюмкообразной формы (аналогичных с встречающимися в большом количестве в позднеантичных и особенно, раннесредневековых слоях как в Бичвинта, так и в Северном Причерноморье), и фрагменты стеклянных сосудов с темносиними пятнами. Последние хорошо датируются IV—V вв. н. э. (Бичвинта, Самтаврский могильник, городища Северного Причерноморья, Дунайские провинции и др.).

Отмеченные выше три группы материала определяют датировку этого слоя IV — V вв. н. э.

В этом слое в большом количестве попадались фрагменты кухоной посуды, пифосов и др.

Следующий слой глинистый, с охристым оттенком (толщиной в среднем 1,20 — 1,40 м), содержит остатки строительного мусора, обломки штукатурки красного цвета, известкового раствора, обломки угля и синей краски. Этот слой богато представлен керамическим материалом, обломками стеклянных изделий (маленькие балзамарии, четырехгранные сосуды, обломок сосуда из стекла вишневого цвета с нанесенными на наружной поверхности желтыми и красными линиями), бронзовыми (фибулы) и костяными (ложечка) предметами, монетами II — III вв. н. э. (в том числе римские, малоазийские, трапезунтские, кессарийские).

Особенно многочисленны и многообразны керамические материалы. Амфоры. В большом количестве найдены обломки светлоглиняных (с примесью черных частиц) узкогорлых амфор II—III вв. табл. VI, 1), южно-понтийского происхождения (В. Ф. Гайдукевич их предположительно относит к синопским изделиям) и часто встречающихся при раскопках Херсонеса, Ольвии, Неаполя. Скифского, Мирмекий, Илурата, Танаиса, поселение Кучугуры[2]. Интересно отметить находки аналогичных амфор из красной глины (Табл. VI, 1а), являющихся местными изделиями, имитирующими импортные (небольшое различие наблюдается лишь в устройстве венчика). Характерным являются для этого слоя также амфоры из коричневой (с примесью черных частиц) и также красной глины с небольшим горлом имевших на уровне верхней части ручек резко выделяющую припухлость (табл. VI, 2). Этот тип является вероятно, дальнейшим развитием и поздним вариантом амфор I в. до н. э. — I в. н. э. из коричневой глины, которых И. Б. Зеест считает синопской продукцией. Следует отметить, что на внутренней части этих амфор имеется налет черного цвета (похожий на смолу). Встречаются также фрагменты местных красноглиняных амфор (табл. VI, 4), у которых дугообразная ручка начинается у плеч и соединяется с туловом (аналогичные амфоры найдены также и в Бичвинта). Особого упоминания заслуживают обломки горлышек, ручек, донышек амфор (по-видимому, небольших размеров) с белым ангобом, обильно насыщенной слюдой. Гофрированые стенки этих амфор указывают, что они не могут быть датированы ранее конца II—III вв. н. э. Вместе с этими найден фрагмент ручки (от амфоры со светлой облицовкой, но с примесью известковых частиц), с однострочным клеймом (табл. VI, 3).

В этом же слое попадались также небольшие обломки синопских амфор (из характерной сиреневого цвета глины с примесью черных частиц).

---

[2] Аналогичные амфоры зарегистрированы и на территории Польши (К. Маевский). Предполагают, что эти изделия производственных центров Южного Причерноморья на славянские территории приникли через Тиру, Ольвию и Херсонес (В. Ф. Гайдукевич).

Краснолаковая керамика также обильно представлена в основном типами, характерными для II—III в. н. э. Это фрагменты мисок, чашек, блюд, тарелок, кубков, кувшинов (как одноручных, так с двумя ручками). Особенно многочислены фрагменты блюд овальной формы с округленными стенками, горизонтально отогнутым краем и плоскими ручками[3] (табл. VII, 1, 2; VIII, 1, 2). Края и ручки украшены рельефными (несколько расплывчатыми) изображениями (сцены охоты, цапля, дельфин, рак, рыбы, канфар, растительный орнамент, табл. VIII). В качестве украшений бортиков встречаются также бугорки и рубчики (табл. VII, 1, 2).

Среди краснолаковых изделий можно опознать самосскую продукцию. Большой интерес представляет собой одна группа блюд, мисок (табл. IX, 1) и кувшинов (табл. VI, 7) из светлой (желтовато-красноватой) глины и являющаяся, по-видимому, продукцией одного и того-же пока неизвестного нам производственного центра.

В этом слое найдены также скульптурные глиняные изображения (табл. X, 1—2) головок утки и барана (последнее, должно быть, является украшением ручки сосудов типа патер). Большой интерес представляет собой обломок стенки красноглиняного кувшинчика с рельефным изображением птицы и виноградных листьев, а также гроздей (в центре) и человеческих фигур с птичьей маской и со щитом (табл. V, 7).

Встречаются также двуручные горшки с округленными стенками на маленькой круглой подставке, как красноглиняные, так и с серовато-зеленоватой облицовкой, совершенно аналогичные тем, которые в большом количестве найдены в Херсонесе и некоторыми исследователями считаются херсонесской продукцией.

Светильники, найденные в этом слое, имеют характерную для II—III вв. н. э. форму щита.

Лутерии. Наряду с импортными (синопские), встречаются и местные (красноглиняные). Интересно отметить, что большинство лутериев местного изготовления имеют одну характерную деталь: у них слив возвышается над краем. Аналогичные лутерии были зарегистрированы пока что, только в Бичвинта.

Кухонная посуда серо и красноглиняная. Встречаются различных форм горшки, миски, сковороды и др. Широко распространены двуручные котлы больших размеров, предназначенные, по-видимому, для варки пищи (аналогичные встречающихся в большом количестве на Боспоре).

Таким образом, рассмотренный материал дает основание датировать этот слой концом II в., первой половиной III в. н. э. Следует отметить, что в этом слое, хотя и редко, встречались также фрагменты более ранних (I в. н. э.) краснолаковых сосудов.

Этим слоем (вторым сверху) перекрывался жилой комплекс; здесь раскопана: часть комнаты (стены возведены из булыжника на известковом растворе (табл. XII, 5), двора с хозяйственным помещением (выявлены остатки пифосов — табл. XII, 2) и колодец круглой формы с булыжной облицовкой внутри (табл. XI). На поверхности колодца найдена монета II в. н. э. Внутри же (колодец расчищен до глубины 3 м) найдены обломки двуручного краснолакового кувшина (реставрирован полностью — табл. V, 1; X, 6), синопских амфор, сероглиняного кув-

---

[2] Аналогичные блюда датируются концом II — первой половиной III в. н. э. (Бичвинта, Ольвия, Мирмекий, Пантикапей, Фанагория, Илурат).

ეროვნული ბიბლიოთეკა

шинчика, деревянная пластинка, остатки кожаной стельки для обуви, роги и две монеты, их которых одна является Боспорской середины I в. н. э.

Точная датировка упомянутого жилого комплекса осложняется отсутствием культурного слоя периода его существования. Как было отмечено, второй сверху культурный слой перекрывал этот комплекс, и тем самым следует считать, что он образовался после прекращения жизни упомянутых сооружений. Это обстоятельство дает terminus post quem non для датировки комплекса. С другой стороны, основание стены жилого помещения стоит на известковой прослойке, которая прослеживается на всей территории ираскопа (т. н. строительная площадка). Ниже известковой прослойки были открыты остатки водостока (табл. XII, 1) и найдены обломки двухстольной ручки от светлоглиняной амфоры (косской) I в. н. э. вертенообразного бальзамария, краснолаковых сосудов и монета I в. н. э. (Амис или Понтийская Комана).

На глубине 1,90 м от поверхности началось интенсивное поступление грунтовых вод, что осложнило дальнейшее углубление раскопа. До материкового слоя (на глубине 3,5 м) был исследован лишь один квадрат (при работах непрерывно выкачивалась вода). На небольшой площади было установлено наличие довольно мощного слоя (толщиной I м) III — II вв. до н. э. Из находок следует отметить обломки краснолаковых (по-видимому пергамского производства) и, в значительном количестве, черполаковых сосудов, фрагменты миски с желтоватым ангобом, край-же и средняя часть ее покрыта черным лаком (табл. X, 3).

Там-же найдены обломки мегарской чаши, мраморного (?) предмета в виде ракушки (табл. X, 5), двухстольной ручки от красноглиняной амфоры, амфорные ножки; обломки стеклянных озолоченных бус (они широко распространяются на всей Грузии с III в. до н. э.) и фрагменты кухонной посуды. Следует отметить также находку обломков колхидских пифосов с характерной для позднеэллинистического периода с поверхностью (табл. XII, 4). Все они серо-глиняные и относятся к той группе колхидских пифосов, которые изготовлялись в районе среднего течения р. Рионн (Н. В. Хоштария).

В этом же слое найдены виноградные косточки, «которые принадлежат древнейшему сорту грузинского винограда — качичи» (проф. М. Рамишвили).

При раскопках найдено также несколько чернолаковых обломков V в. до н. э., однако, слой этого периода еще не удалось открыть.

Таким образом, раскопками установлена стратиграфия культурных слоев на изучаемой экспедицией территории и добыт материал, имеющий немаловажное значение для изучения истории древней Диоскурии — Себастополиса (локализация которой на территории нынешнего г. Сухуми не вызывает никакого сомнения).

I, самый верхний, культурный слой, датированный нами IV — V вв. н. э., дал материал, свидетельствующий об интенсивной экономической жизни в городах Северо-Восточного Причерноморья в период возникновения и расцвета Лазкого (Эгрисского) царства.

II слой, датированный II—III в. н. э., совпадает с периодом расцвета городской жизни. Город становится крупным центром ремесленного (особенно, керамического) производства. Устанавливаются тесные торгово-экономические связи с античными центрами, особенно с городами Южного и Северного Причерноморья.

III слой, представленный жилым комплексом, относится к периоду некоторого подъема городской жизни на территории древней Диоскурии.

IV слой, I в. до н. э. — начала I в. н. э. слабо выраженный и давший лишь одиночные находки, совпадает с периодом упадка и кризиса городской жизни на территории древней Диоскурии.

V слой, III — II вв. до н. э. отображает период экономического расцвета Диоскурии эллинистического периода. Особенно ценным являются данные о развитии виноградарства. Добытые материалы свидетельствуют о наличии торгово-экономических связей города, как с внутренними районами древней Колхиды, так и с внешним миром; что является прекрасной иллюстрацией к сведениям Тимосфена Родосского и Страбона.

Отдельные находики V в. до н. э. относятся к начальному периоду истории г. Диоскурии.

Как известно, часть древнего города в настоящее время находится на дне Сухумской бухты. Остатки древних сооружений, находившихся под водой давно уже привлекают внимание исследователей. Следует отметить большой интерес, проявленный к подводным археологическим памятникам этого района известным грузинским историком конца XIX — первой половины XX в. Ф. Жорданиа.

Практические шаги по изучению подводных археологических памятников в районе Сухумской бухты были впервые предприняты в 1953 г. Бичвинтской археологической экспедицией Института истории АН ГССР. Для подводных исследований был приглашен известный водолаз Потийской подводной станции Лаврентий Бахтадзе, совместно с которым для обследования крепостных сооружений у р. Беслетка[3] погружался начальник Бичвинтской экспедиции А. М. Апакидзе.

В отчетном году, Причерноморской археологической экспедицией велись и предварительные гидроархеологические работы на дне Сухумской бухты. Сухумской спасательной станцией подготовлена первая группа археологов-аквалангистов из шести человек. С участием водолазов Сухумской спасательной станции, группа обследовала подводные археологические памятники, в основном, на трех участках: напротив остатков Сухумской крепости, у устья р. Беслетки — напротив Санатория № 22 и около т. н. «Великой Абхазской стены». На месте остатков древних сооружений выставлялись буйки, которые засекались с берега теодолитом.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გაზეთი „თბილისის მოამბე" და გლეხთა აჯანყებანი საქართველოში

ლ. ჩიქოვანი

(წარმოადგინა აკად. ნ. ბერძენიშვილმა)

გაზეთი „თბილისის მოამბე" გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოდიოდა. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენი ქვეყანა ერთი საზოგადოებრივი წყობილებიდან ახალ ფორმაციაში გადადიოდა. ერთი შეხედვით, ეს იყო „დიადი რეფორმების ხანა", რუსეთის ხელმწიფისაგან ბოძებულ თუ აღმძრულ „თავისუფლებათა" ეპოქა, როდესაც განაწლების გზაზე შემდგარ ქვეყანას თავისი შემდგომი განვითარებისათვის თითქოსდა აღარაფერი ეღობებოდა წინ, მაგრამ სინამდვილეში ყოველივე რიგზე როდი იყო. რომანოვების უზარმაზარ სამფლობელოში, ხალხთა ამ საპყრობილეში, სადაც კვლავინდებურად იტანჯებოდა უამრავი ორაგუსი ერი, ძველებურად გაისმოდა ქვეყნის კიდით-კიდემდე გლეხების (ახლა უკვე, უმთავრესად, „დროებითვალდებულ" გლეხთა) გმინვა და გოდება, უწინდებურად დახშული იყო თავისუფალი აზრი და კატორღით ისჯებოდნენ ხალხისთვის თავდადებული მებრძოლნი.

საქართველოში, ისევე როგორც მთელ რუსეთში, რეფორმის შემდეგაც გლეხი—ეს ძირითადი მწარმოებელი კლასი იმდროინდელი საზოგადოებისა—არსებითად ისეთსავე ექსპლოატაციას და ყვლეფას განიცდიდა თავის ყოფილ მებატონეთაგან, როგორსაც რეფორმის წინ. ამის მიზეზი იყო, უწინარეს ყოვლისა, „დროებითი ვალდებულება", რომლითაც „განმათავისუფლებლებმა" გლეხი მის ძველ მებატონეს მიაჯაჭვეს; ამის მიზეზი იყო გლეხთა საყოველთაო მცირემიწიანობა, ხშირად კი მისი სრული უმიწაწყლობა, რაც ჩვენში რეფორმის უშუალო შედეგს წარმოადგენდა. ამასთან გლეხს სისხლს სწოვდა და სიცოცხლეს უმწარებდა მისი, თითქმის ერთადერთი, კრედიტორი და „მხსნელი"—სოფლის ჩარჩ-ვაჭარი. ცნობილია, რომ უამრავი გადასახადების გასასტუმრებელ და დროებითი ვალდებულებისაგან თავდასასხნელ ფულს გლეხი მამასისხლის ფასად უმთავრესად ჩარჩ-ვაჭრისაგან შოულობდა ხოლმე. არანაკლებად ჩაგრავდნენ და აბუჩად იგდებდნენ ქართველ გლეხებს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებიც, სოფლის მამასახლისი იქნებოდა ეს თუ მეფის ადმინისტრაციული აპარატის მოხელე. ამათ ვითანით აწყარა და შეუნიღბავი მექრთამეობით, ძალმომრეობით, თავგასულობით, თვითნებობითა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებით ყოველგვარ ზომას გადააჭარბეს და ბოლმით ავსეს ძმრომელთა მოთმინების ფიალა.

ამით აიხსნება ის, რომ ქართველი ხალხის, ისევე როგორც მთელი რუსეთის მშრომელთა, წიაღში მწიფდებოდა და იზრდებოდა ის უდიდესი სახალხო გულისწყრომა, რომელმაც საგლეხო რეფორმის განხორციელების შემდეგ სულ მალე აღმოხეთქა გლეხთა მოძრაობებისა და სტიქიური აჯანყებათა სახით. განსაკუთრებით გამოაშკარავდა გლეხთა ეს ფარული უკმაყოფილება რეფორ-

მიდან ცხრა წლის შემდეგ. როდესაც, ხალხის წარმოდგენით, უნდა ბოლო მოეღოთ მათს „დროებით ვალდებულებას“ ყოფილ მემამულეთა მიმართ. სწორედ ამიტომაა, რომ გლეხთა წვრილ-წვრილი გამოსვლები, რომელსაც საქართველოში ადგილი ჰქონდა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ თითქმის ყველგან დაყოველთვის, 70-იანი წლების შუახანაში მძლავრ სახალხო სტიქიურ მოძრაობად აზვირთდა და სვანეთის (1875—1876 წწ.), სამეგრელოს (1876 წ.), თუ კახეთის (სიღნაღის) გლეხთა აჯანყებად (1878 წ.) გადმოხეთქა.

დასახელებულ აჯანყებათა მსვლელობის შესწავლა და შეფასება ქართული საბჭოური ისტორიული მეცნიერების მონაპოვარს წარმოადგენს[1]. ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ იმ როლსა და ღვაწლს, რომელიც სხვა თბილისურ მოწინავე გამოცემებთან ერთად „თბილისის მოამბესაც“ მიუძღვის.

მასალებიდან ირკვევა, რომ „თბილისის მოამბის“ პუბლიცისტები თავდადებულად ცდილობდნენ ქართველი გლეხების ამ ისტორიული გამოსვლებისადმი საყოველთაო თანაგრძნობის დანერგვას და აჯანყებულთა მიმართ მეფის ხელისუფლების ჯალათური როლის მხილებას.

გაზეთის ხელმძღვანელები თუ ყოველთვის აშკარად ვერა, შინაგანად მაინც მხურვალედ მიესალმებოდნენ ხოლმე ხალხის თითოეულ ასეთ გამოსვლას და, როგორც კი ამის საშუალებას იხელთებდნენ, თამამად ამხელდნენ, თუ ვინ, ან რა აიძულებდა გლეხს, მიეგდო მიწა, თავი დაებეზღებინა მამულისათვის და თხიც თავის მჩაგვრელთა მოსაგერიებლად მოემარჯვებინა.

ამასთანავე უნდა გავახსოვდეს, რომ წინასწარცენზურას დაქვემდებარებული ორგანოსათვის ყოველთვის როდი იყო შესაძლებელი მთავრობისა და არსებული წესწყობილების წინააღმდეგ მიმართული სახალხო მოძრაობისათვის აშკარად მხარის დაჭერა და მისადმი საზოგადოებაში თანაგრძნობისა და სიმპათიის მოპოვება.

არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ ადგილობრივი ხელისუფლება წინასწარ მიმართავდა ხოლმე ყველა ზომას, რათა ქვეყნის ამა თუ იმ კუთხეში მომხდარი არეულობა თუ სხვა სახალხო გამოსვლები ფართო საზოგადოებრიობისაგან დაეშალა, არ გაემჟღავნებინა იგი და, მით უმეტეს, პრესის საშუალებით არ გაეხმაურებინა. ამიტომ დემოკრატიული გაზეთები, როგორიც იყო „დროება“ და „თბილისის მოამბე“, იძულებულნი იყვნენ ან მინიშნებით ეცნობებინათ მკითხველისათვის სახალხო აჯანყებათა ამბავი, ანდა, როცა ამას ვეღარ ახერხებდნენ ხოლმე, ფართოდ გაეშუქებინათ თავიანთი ფურცლებზე ის სასამართლო პროცესები, რომელსაც მეფის მთავრობა აწყობდა ხოლმე აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ.

---

[1] იხ. საქართველოს ისტორია, ტ. II, დაბმარე სახელმძღვანელო, ს. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 134—136; ა. კ ე კ ე ლ ი ძ ე. საქ: ისტორია, თბ., 1954:

ვ. ო ნ ი ა ნ ი, სვანეთის აჯანყება 1875—1876 წწ., სავანდიატო დისერტაცია თბილისი, 1949 (გამოუქვეყნებელია).

ლ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გლეხობის საკითხი გაზეთ „დროებას“ (1866—1885 წწ.) მიხედვით, თბილისი, 1960 (გამოუქვეყნებელია).

ა. კ ო კ ი ა შ ვ ი ლ ი, „სისტორიო მოამბე“, 1915 წ., № 1, გვ. 129—209

ვ. ქ ე ბ უ ლ ი ა, ქართველი იერისტები, თბ., 1961, გვ. 147—157.

ი. ლ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ი. 1878 წ. ჭიზიყის გლეხთა აჯანყების საკითხისათვის, საქ. მეცნ. აკადემიის საზოგად. მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე“, № 5. 1963, გვ. 113—123.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ასე მაგალითად, „თბილისის მოამბე“ ფართოდ გამოეხმაურა და ღიდი გულმოდგინებით გადმოსცა იმ სასამართლო სხდომათა ანგარიში, რომელიც მოეწყო ფოთში 1875 წლის ნოემბერს სენაკის მაზრის აჯანყებულ გლეხთა საქმის გამო.

ნოსირელი გლეხების გამოსვლა, როგორც ცნობილია, მოხდა 1874 წლის ოქტომბერში. საქმე ეხებოდა საეკლესიო გლეხთა დავას თავად დადიანებთან მიწების საკითხის გამო. „თბილისის მოამბის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალა ამტკიცებდა—სოფელ ნოსირის გლეხები (ოდიშარიები, კვირაკელიები, თოფურიები და სხვები) არ ყოფილან თავად დადიანების ყმები[2], ოდითგანვე ისინი საეკლესიო მიწებს ფლობდნენ ტეხურის ნაპირზე და ეკლესიას უხდიდნენ დაწესებულ გადასახადს[3]. ამასთან ნოსირელები, თურმე, ჯარიით ამუშავებდნენ თავად დადიანთა იმ მიწებს, რომლებიც გლეხთა საკუთრებას და დადიანთა მამულებს შორის მდებარეობდა. მაგრამ მალე დადიანებმა მოიწადინეს ამ საიჯარო გადასახადის გადიდება და სცადეს აეძულებინათ გლეხები გადასახადი ეკლესიისათვის კი არა, მათთვის, თავად დადიანებისათვის, ეძლიათ. ამასთან, თუ მემამულეთა ეს განზრახვა განხორციელდებოდა, მაშინ გლეხთა გადასახადი მნიშვნელოვნად იზრდებოდა; თუ აქამდე ნოსირელები ეკლესიის სასარგებლოდ 3 მანეთს იხდიდნენ კომლზე, ამიერიდან მათ 4 მანეთი უნდა გადაეხადათ დადიანთა სასარგებლოდ. როგორც კი გლეხებმა ეს შეიტყვეს (1869 წელს), მაშინვე მიანებეს თავი თავად დადიანთა საიჯარო მიწების დამუშავებას. გავიდა ხანი. 1872 წელს მემამულეებმა საქმე აღძრეს ნოსირელ გლეხთა წინააღმდეგ.

თუმცა მემამულეთა ეს პრეტენზია აშკარად ყალბი იყო, მიუხედავად ამისა მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწემ ვინმე ინგისტრომა[4], საქმე ჯერ ორი წლით გააჭიანურა, ხოლო შემდეგ მემამულეთა სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ეს იყო 1874 წლის გაზაფხულზე.

გლეხებმა მიმართეს საეკლესიო უწყებას და მისი მოხელის გლუხოვსკის დაომარებით, გაასაჩივრეს (აპელაციით) სოლჭო სასამართლოში, მაგრამ. ეტყობა, დადიანებმა აქაც მოახერხეს მართლმსაჯულების წარმომადგენელთა მოსყიდვა და საქმე კიდევ გადაიდო ერთი წლით. მიუხედავად იმისა, რომ ნოსირელ გლეხთა მიწების საკითხი ჯერ საბოლოოდ არ იყო გადაწყვეტილი, დადიანებმა მაინც მოიწადინეს 1874 წლის შემოდგომაზე გლეხების მოსავლის აღება ძალით. ნოსირელებმა მემამულეთა მსახურები ყანაში არ შეუშვეს. მაშინ დადიანებმა მიმართეს ადგილობრივი ხელისუფლების მოხელეებს და სცადეს მათი თანხლებით შეჭრილიყვნენ ყანაში. თავდაპირველად გლეხები, თურმე, ბევრს ემუდარებოდნენ და ეხვეწებოდნენ მთავრობის წარმომადგენლთ, ცოდვას ნუ ჩაიგდებინებთ და ნუ გამოგვიყვანთ მოთმინებიდანო. მაგრამ, როდესაც ამანაც არ

---

[2] ი. რას აჩვენებდა მოწმე გლუხოვსკი (სახელმწიფო მრჩეველი ქუთაისში) სასამართლო პროცესზე: „Я положительно утверждаю, что земля, указанная в их (ლაპარაკია ნოსირელ გლეხებზე—ლ. ჩ.) исковом прошении, есть земля церковная и находится в пользовании и владении церковных крестьян Одишариевых, которые прекратили пользование арендными землями от кн. Дадиани еще в 1869 году („თბ. მოამბე“ № 20, 1876, 25.I, გვ. 2)

[3] არ არის გამორიცხული, რომ ეს სადავო მიწაწყალი, ოდესღაც თავად დადიანებს ეკუთვნოდა. შემდეგ მათ იგი, უთუოდ, შეწირეს ეკლესიას, ახლა კი შეეცადნენ დაებრუნებინათ თავიანთი შეწირულება. საერთოდ კი დადიანთა ეს პრეტენზია უკანონო და უსაფუძვლო იყო.

[4] მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის უკვე განხორციელებული ეს წ. სასამართლო რეფორმა, მეფის სასამართლო დაწესებულებებში კვლავ სუფევდა მკრთომეობა.

გასჭრა. მოიმარჯვეს კეტები და ცემა-ტყეპით გამორეკეს თავიანთ ყანებიდან დუმპატივებელი სტუმრები, მოსავალი მათ ჩუმად ღამით აიღეს. ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელთათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა—მთავრობის თვალში—სხვა არა იყო რა, თუ არა ანაწყობა. გლეხთა მოთავეები დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. სანამ სასამართლო დაინიშნებოდა (ერთ წელზე მეტი გასტანა ძიებამ) ერთი პატიმართაგანი მოკვდა. დანარჩენები სასამართლოს წინაშე წარსდგნენ.

მართალია, გაზეთის რედაქციამ ვერ მოახერხა, საცენზურო პირობების გამო, თავისი აზრი აშკარად გამოექვეყნებინა გლეხთა ამ მღელვარების შესახებ, მაგრამ მან დაწვრილებით გადმოსცა სასამართლო პროცესი და ზედმიწევნით აღწერა არა მარტო გლეხთა ჩაცვრის, არამედ მათი აღშფოთებისა და განრისხების სურათიც; ამ მასალის დაბეჭდვით რედაქცია მიზნად ისახავდა იმდროინდელ საზოგადოებაში დაენერგა ის იდეა, რომ ჩაგრულ და მიმძლავრებულ გლეხთა მოთმინებასაც საზღვარი აქვს და ვაი იმათ, ვისაც ხალხის რისხვა დაატყდება თავსო.

ამ ამბის აღწერას გაზეთმა უძღვნა არა ერთი ნომერი[1], თუმცა მკაცრი ცენზურული რეჟიმის პირობებში ვერ ღაბეჭდა თავისი საკუთარი შეხედულება გლეხთა ამ ანაწყობაზე. მაგრამ გაზეთის ხელმძღვანელთა აზრით, გლეხები მართალნი ყოფილან თავიანთ მოქმედებაში და რაკი აშკარად ამის აღიარება წინასწარცენზურას დაქვემდებარებულ გაზეთში შეუძლებელი იყო, რედაქციამ ამჯობინა სულაც უკომენტაროდ დაებეჭდა ცნობები გლეხთა გამოსვლის შესახებ.

„თბილისის მოამბის“ მესვეურებს არ გამორჩენიათ არც მეორე ასეთი ინციდენტი. რომელიც მომხდარა სამეგრელოს სოფელ ხიბულას გლეხებსა და ჯაზაკთა დამსჯელ რაზმს შორის იმავე 1874 წლის გაზაფხულზე. გაზეთი აღნიშნავს, ამ სისხლისმღვრელი შეტაკების მიზეზი ის იყო, რომ გლეხები აღსდგნენ ძველი, ბატონყმური ვალდებულების (საწვავი ხე-ტყის გადასახადის)[2] წინააღმდეგ, რომელსაც მემამულის სასარგებლოდ იხდიდნენ-ო. ყოფილ ყმა-გლეხებს აღარ სურდათ დამორჩილებოდნენ „დროებით“ ვალდებულებებს და იარაღით ხელში იცავდნენ ბოძებულ „თავისუფლებას“, ე. ი. თავისუფლება ყოველგვარი „დროებით“ (თუ უდროო) ვალდებულებათა გარეშე. „თბილისის მოამბე“ კი არასოდეს ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას, რათა საზოგადოების ყურადღება და აზრი მიექცია ამ გარემოებისათვის და ზოგჯერ აშკარად და აღფრთოვანებით, ხანდახან კი თვალისმახვევი გულგრილობით გადმოეცა გლეხთა ასეთი გამოსვლების თითქმის ყველა ფაქტი. ამით მას სურდა მკითხველი საზოგადოებისათვის ნათელეყო, რომ ბატონყმური რეფორმა არასაკმარისი და შეზღუდულია, რომ მის მიერ ბოძებული „თავისუფლებანი“ ხანეგრაღული ხასიათისაა და ბევრ ძველს წესს ტოვებს ძალაში. ამით გა-

[1] იხ. „თბილისის მოამბე“, 1876 წელი, №№ 1, 2, 19, 20, 21.

[2] იხ. „თბ. მოამბე“, № 48, 1875 წ. 6 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეთი მიზნად ისახავდა ეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ გლეხთა სამართლიანი გულისწყრომისა და მღელვარების მიზეზი არსებული ეკონომიური და პოლიტიკური პირობების წიაღში იყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩანს, რომ გაზეთის რედაქცია შეურიგებელი მტერი იყო ბატონყმური გადმონაშთებისა და მხარს უჭერდა გლეხთა მოძრაობას, მიმართულს მათ აღმოსაფხვრელად.

არ გასულა ერთი წელიწადი ზემოთაღწერილი ამბებიდან, რომ საშეგრელოში კვლავ იფეთქა გლეხთა მღელვარებამ, რომელიც ამჯერად «რვა სოფელს მოედო» (ასე იტყობინებოდა «თბილისის მოამბე»). ზოგიერთი წყაროს მიხედვით, სამ მაზრაში ბობოქრობდა გლეხთა მასობრივი მოძრაობა. მაშინ მთავრობამ, დაშინებულმა ხალხის უკმაყოფილების აზვირთებით, კიდევ უფრო მკაცრ ზომებს მიმართა, რათა პრესას არ გაეხმაურებინა ქვეყნის შიგნით მომხდარი «უწესრიგობანი»[7]. ამრიგად, მთავრობის პირდაპირი ბრძანება ყოფილა უშუალო მიზეზი იმისა, რომ ამ აჯანყების შესახებ გაზეთებს თითქმის არაფერი უთქვამთ, და არამც და არამც ის, თითქოს ჩვენებურმა დემოკრატიულმა გაზეთებმა დაგმეს გლეხთა აჯანყებანი. ანდა სულაც არ მიიღეს ისინი.

ამიტომ გაკვირვებას იწვევს ჩვენს საისტორიო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს «თბილისის მოამბე» მთავრობის ოფიციოზი (?!) იყო და ამდენად გლეხთა გამოსვლებს უკმაყოფილების უბრალო ფაქტად ასაღებდა[8]. სინამდვილეში საქმე სრულებითაც არ იყო ასე. ყოველ შემთხვევაში, «თბილისის მოამბის» არსებობის ამ ეტაპზე, როცა გაზეთის სათავეში იდგა და უშუალოდ განსაზღვრავდა მის მიმართულებას ნ. ნიკოლაძე—გამოჩენილი ქართველი სამოციანელი, რევოლუციონერი და დემოკრატი. პირიქით, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მთავრობა კატეგორიულად მოითხოვდა, გაზეთებმა არაფერი დაბეჭდონ გლეხთა «ამბოხებების» შესახებ, «თბილისის მოამბე» მაინც ახერხებდა თავის ფურცლებზე ამა თუ იმ ცნობის გაპარებას გლეხების მღელვარებათა შესახებ, ასეთ ვითარებაში რედაქცია, რა თქმა უნდა, ცდილობდა, ეს ცნობები სასხვათაშორისო, უმნიშვნელო მასალად გაეყალებინა. ყოველივე ეს ხდებოდა მხოლოდ ცენზურის სიფხიზლის მოსალოდნელად და არა იმიტომ, თითქოს რედაქციას არ ესმოდა გლეხთა გამოსვლების ნამდვილი მნიშვნელობა.

ასე მაგალითად, «თბილისის მოამბის» 127 ნომერში, რომელიც 1876 წ. 10 ივნისს გამოვიდა, მეორე გვერდზე უსათაუროდ დაბეჭდილია შემდეგი ცნობა: «ჭუთაისის გუბერნიის ხუდადის მაზრიდან გვწერენ, რომ იქაური გლეხთა შორის ატყდა რაღაც გაუგებრობა მიწის ნადელის გამოსყიდვის ანგარიშში მოსავლის ერთი მეოთხედის აკრეფის გამო. ეს საქმე, რომელიც დიდი ხანია საყოველთაო ყურადღებას (ხაზი ჩვენია—ლ. ჩ.) იქცევს (მაშასადა-

---

7 აი, რა წერია ამის თაობაზე ს. მგალობლიშვილისადმი: «საშეგრელოში გლეხების ბუნტია, არეულობა. ცხრა წელიწადი გათავდა, რაც დროებით ვალდებულ ყმებად ვართო, ახლა ნადელის ფული და ხარჯი აღარ უნდა ვაძლიოთ ბატონებსო. 6000 დაიარაღებული კაცი ამდგარა. ჯარები გაგზავნეს. ღუბერნატორი მოვიდა, მაგრამ არ მიიღეს. ფსისხლით საქმე არ გათავდება. გაზეთებში ამაზე ვერ ნახავ, ბრძანება—არაფერი დაბეჭდონ» (ხაზი ჩვენია—ლ. ჩ.), იხ. ს. მესხი, «წერილები», ი. ბოცვაძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, სოხუმი, 1950, გვ. 222.

8 იხ. დეველოპმენტი გვაქვს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის ლ. ბერძენიშვილის სადისერტაციო ნაშრომი «გლეხობის საკითხი გაზეთ «დროებაში» (1866—1885 წწ.)» მიხედვით», თბ. 1960, გვ. 259 (გამოუქვეყნებელია).

მე, რედაქცია ამბობს, რომ გლეხთა მიწების გამოსყიდვისა და მათი საკუთრებად გამოცხადების საკითხი, საყოველთაო, ანუ საზოგადოებრივი საქმეა და არა მარტო ზუგდიდელი გლეხებისაო—ლ. ჩ.), ემყარება შემდეგს: „გლეხები ამტკიცებენ, რომ მათთვის ნადელების სხით მიცემული მიწები მათს საკუთრებას შეადგენს და ამის დასამტკიცებლად მომრიგებელ მოსამართლეს წარუდგინეს სათანადო საბუთები[9]. შემდეგ რედაქცია მოურიდებლად ატყობინებს მკითხველს, რომ ეს საქმე მთავრობამ გააჭიანურა: „ამ საბუთების განხილვა, როგორც უკვე ამას ვწერდით, გადაიდო (ხაზი ჩვენია—ლ. ჩ.) იმედით, რომ გლეხები ნებაყოფლობით მოურიგდებიან მემამულეებს ამ ძვირი მიწების გამოსყიდვის თაობაზე. რაც შეეხება მოსავლის ნაწილის (1/4) აღებას იმ მიწების ანგარიშში, რომელიც გლეხებს ნადელებად მიეცათ, ეს ხშირად იწვევდა გლეხების მხრივ პრაკრა წინააღმდეგობას“[10].

„თბ. მოამბე“ მოაგონებს მკითხველს ნოსირელ გლეხთა გამოსვლას და მათს შეიარაღებულ წინააღმდეგობას. რაკი ამჯერად მთავრობის მიერ მიღებული მკაცრი ზომების გამო შეუძლებელი იყო აჯანყების მსვლელობაზე ლაპარაკი, გაზეთის რედაქცია ნოსირელთა მაგალითის გახსენებით მიახედრებდა მკითხველს, რომ აქაც იგივე ამბავი მოხდა, რაც ნოსირში-ო. უფრო მეტიც. რედაქცია ამ ცნობით იმასაც ეუბნება მკითხველს, რომ ასეთი მღელვარება თითქმის განუწყვეტლივ მიმდინარეობს სამგრელოში და მთავრობა სასტიკად, უსწორდება გლეხთა „წამქეზებლებსო“ (დასახელებულია ვინმე გოშუა, რომელიც ჯერ კიდევ 1873 წელს „იყენებდა“. თურმე, გლეხებსა და მემამულეებს შორის ამტყდარ ყველა ამგვარ „გაუგებრობას“ და წამქეზებლის როლში გამოდიოდა. მაგრამ ახლა იგი ციმბირშია გადასახლებულიო[11]. მკითხველისათვის ყველა ამ ცნობის მიწოდების შემდეგ, გაზეთი ხელისუფალთა უურადღების ასაცილებლად წერს: „თავისთავად ცხადია, რომ ყველა ამგვარ გაუგებრობას არავითარი განსაკუთრებული მნიშვნელობა არ აქვს“.

განა ჩვენ მართლა უნდა დავიჯეროთ, თითქოს „თბილისის მოამბის“ რედაქცია ნამდვილად არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა გლეხთა ამ გამოსვლებს? ეს რომ ასე ყოფილიყო, იგი არც ეცდებოდა ამ ფაქტების გამოშხეურებას. მით უმეტეს რომ ხელისუფალნი ამას სასტიკად კრძალავდნენ. თავი და თავი ის არის, რომ გაზეთი ამ ცნობის დაბეჭდვითაც არ დაკმაყოფილებულა. მან კიდევ ერთხელ მოახერხა ლაპარაკის ჩამოგდება სამგრელოში მომხდარი აჯანყების მნიშვნელობის შესახებ. ამჯერადაც ეს ცნობა დაბეჭდილია გაზეთის მეორე გვერდზე, სასხვათაშორისოდ, ადგილობრივი ქრონიკის განყოფილებაში. ამ გარემოებას ჩვენ იმიტომ ვაქცევთ უურადღებას, რომ იგი, ცოტა არ იყოს, უჩვეულოა. საქმე ის არის, რომ ცნობა სამეგრელოში აჯანყების შესახებ მოწოდებულია უცხოეთიდან მიღებული ჰავასის სააგენტოს დეპეშის სახით (აღსანიშნავია, რომ ამგვარი დეპეშები ყოველთვის გაზეთის პირველ გვერდზე, თვალსაჩინო ადგილას იბეჭდებოდა ხოლმე, ამჯერად კი ეს დეპეშები მეორე გვერდზე მოათავსეს, რათა მთავრობას უმალვე თვალში არ მოხვედროდა მათი

---

[9] „თბ. მოამბე“, 1876 წ., № 127, გვ. 2.

[10] იქვე.

[11] ეტყობა, „თბილისის მოამბის“ რედაქციამ იცოდა, რომ გლეხების „წამქეზებლები“—(მაშასადამე, აგიტატორები) ქართველი ნაროდნიკები იყვნენ და ახლა მკითხველს ატყობინებდა, რომ მეფის მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა ხალხის გულშემატკივრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინაარსი); სახელდობრ, დაბეჭდილია შეკითხვა იმის შესახებ, მართლა იფეთქა კავკასიაში აჯანყებამ თუ არაო?

გარდა ჰავასის სააგენტოს ამ შეკითხვისა, აქვე დაბეჭდილი იყო თურქეთის ორი სომხური გაზეთის („მანზუმეი ვექიარისა“ და „მაჯუმეი ევადისის“ ცნობა იმის შესახებ, რომ კავკასიის აქეთა მხარე აღსდგა რუსეთის წინააღმდეგო, და გადმოცემული იყო ის, თუ რა შედეგი მოუტანა ამ ცნობათა დაბეჭდვამ ხსენებული გაზეთების რედაქტორებს.

ჩვენი აზრით, სრულიადაც არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ყოველივე ზემოთ აღნიშნული თვითონ „თბილისის მოამბის“ რედაქციის მიერ იყოს შეთხზული. ეს მას სჭირდებოდა იმისათვის, რათა საშუალება მისცემოდა ელაპარაკა აკრძალულ საგანზე—აქაოდა უცხოეთიდან გვეკითხებიან და ჩვენც იძულებული ვართ, პასუხი გავცეთო. ყოველ შემთხვევაში, რედაქციას კიდევაც რომ მიეღო ეს შეკითხვები უცხოეთიდან, მას შეეძლო სულაც არ ეპასუხა ამ დეპეშებზე, მაგრამ გაზეთი ხელიდან არ უშვებს ამ შესაძლებლობას და არამცთუ ატყობინებს ქვეყანას საქართველოში მომხდარ გლეხთა აჯანყების ამბავს, არამედ მის მიზეზებსაც ჩამოთვლის. მართალია, ხელისუფალთა „საამებლად“ (თუ თვალის ასახვევად) რედაქცია აქ ერთ ხერხს მიმართავს და თავისი სტატიის დასაწყისში აცხადებს, არავითარი აჯანყება ჩვენში არ მომხდარაო, მაგრამ ეს უბრალო ფანდია, რომელიც მოწინავე ჟურნალისტებს გამოუყენებიათ ცენზორის შეცდომაში შესაყვანად. ამას თვით წერილის შინაარსი მოწმობს.

„არავითარი აჯანყება არც კავკასიაში და არც ამიერკავკასიაში არ მომხდარა—წერს „თბილისის მოამბე“. სამეგრელოში რვა სოფლის გლეხებმა, რომლებიც *უკმაყოფილონი იყვნენ საადგილმამულო ურთიერთობით ყოფილ მემამულეებთან* (ხაზი ჩვენია—ლ. ჩ.), უარი განუცხადეს მათ მოსავლიდან მეოთხედის გადახდაზე. ადმინისტრაციამ ბრძანება გასცა დაეპატიმრებიათ რამდენიმე გლეხი. მაშინ ხალხმა მოიწადინა დაპატიმრებულთა განთავისუფლება, მაგრამ *მათ ზარბაზნებიდან ცეცხლი დაუშინეს. გლეხები დაიმალნენ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მათი მხრიდან დაეცა რამდენიმე კაცი დაჭრილი და მოკლული* (ხაზი ჩვენია—ლ. ჩ). ამ აგრარულ მოძრაობას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არა ჰქონია და იგი წმინდა ადგილობრივი მოვლენა იყო“[12].

ამით გაზეთის რედაქცია აუწყებდა მკითხველს, უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ იმიერ და ამიერ კავკასიაში სახალხო იოძრაობაა, აჯანყებაა, რომ ამ აჯანყების მიზეზი მიწის საკითხი, ხალხის უზომო ჩაგვრა და ბატონყმობის გადმონაშთებია, რომ ნოსირელ გლეხებთან შედარებით, რომლებიც მარტოდმარტონი იბრძოდნენ, ახლა აღსდგა არა მარტო ერთი სოფლის, არამედ მრავალი სოფლის გლეხობა და რომ მათ წინააღმდეგ მთავრობამ ზარბაზნებიც კი გამოიყენა.

ცხადია, რომ დეპეშების შემდეგ მოყვანილი რედაქციის სიტყვები „ეს იყო წმინდა აგრარული მოძრაობა და ამ მოძრაობას არავითარი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა, წმინდა ადგილობრივი იყო“, მთავრობისა და ცენზურის თვალის ასახვევად იყო ნათქვამი.

---

12 „თბილისის მოამბე“, № 161, 1876 წ. 21 ივლისი.

საინტერესოა ის გარემოება, რომ გაზეთმა „დროებამ“ სიტყვა-სიტყვით და ამასთან უკომენტაროდ გადაბეჭდა თავის ფურცლებზე „თბილისის მოამბის“ ეს მთელი მასალა. როგორც ღებაშები, ავრეთვე გაზეთის ახსნა-განმარტება[13]. თუ „თბილისის მოამბე“ არასწორად ასახავდა საქმის ვითარებას და ვერ აღწევდა სასურველ მიზანს, განა რა ძალა ადგა „დროებას“, რომ „თბილისის მოამბის“ „შემცდარი“ თვალსაზრისი არ დაებეჭდა? უკიდურეს შემთხვევაში, „დროება“ მარტო დებაშების გადმობეჭდვით დაკმაყოფილდებოდა. მაგრამ, როგორც ჩანს, „დროებამ“ შესანიშნავად გაიგო, თუ რის თქმაც სურდათ „თბილისის მოამბის“ ხელმძღვანელებს. მოიწონა მათი ინტერპრეტაცია მომხდარი ამბებისა და, ნიშნად თანხმობისა, თავის ფურცლებზე გადმობეჭდა.

ასე მოახერხა „თბილისის მოამბემ“ კიდევ ერთხელ მიექცია მკითხველთა ყურადღება ამ დიდი სახალხო მღელვარებისათვის, ამით კი, არსებითად, ჩაიფუშა მთავრობის განზრახვა, როგორმე მიეჩქმალა და მიეფუჩეჩებინა გლეხთა ამ აჯანყების ამბავი. მაგალითად, „თბილისის მოამბემ“ მოათავსა უცხოეთიდან (შვეიცარის სოფელ ტუნიდან) მიღებული კორესპონდენცია, რომელშიც ავტორი აღწერს, ვითომ სხვათა შორის, მაგრამ სრულიად დეტალურად, თუ რა სენსაცია მოახდინა სამეგრელოს აჯანყების ამბავმა უცხოეთში:

«Большую сенсацию произвело здесь (т. е. за границею) известие, пущенное в ход венскими газетами об инсурекции на Кавказе. Рассказывалось, с умирительною серьезностью о восстании 80.000 человек армян и грузин, о побитии правительственных войск, высланных против бунтовщиков,... Наконец, успокоились на известии, взятом из вашей газеты (ხაზი ჩვენია ლ. ჩ.) и переданном сюда по телеграфу, что волнение не имеет вообще политического характера, что оно ограничивается несколькими мингрельскими деревнями и что порядок давно восстановлен»[14].

ეჭვი არ არის, რომ ამ კორესპონდენციის მოთავსებით „თბილისის მოამბე“ ცდილობდა ეცნობებინა მკითხველისათვის, თუ რა დიდი რეზონანსი ჰქონდა უცხოეთში სამეგრელოს აჯანყებას; კერძოდ, იმ ამბავის გახმაურებას, რომ მთავრობამ ჯარები და ზარბაზნები გამოიყენა აჯანყებულ გლეხების წინააღმდეგ.

გაზეთი რომ ყოველთვის ვერ ახერხებდა, მკაცრი საკენზურო პირობების გამო, თავისი აზრის გამოხატვას გლეხთა მღელვარების შესახებ, ეს აშკარად ჩანს იმ მასალითაც, რომელიც გამოქვეყნდა „თბილისის მოამბის“ ფურცლებზე ვანების (1875—1876 წწ.) აჯანყების გამო და ავრეთვე იმ სტატებითაც, რომელთაც ჩვენ მივაკვლიეთ საცენზურო კომიტეტის არქივში.

სვანეთის ხსენებული აჯანყების შესახებ, რომელიც გამოწვეული იყო მიწის სიმცირით, გადასახადების სიმძიმით, მეფის მთავრობის მოხელეთა მხრივ ძიწის გაზომვისას ხალხის ინტერესების აბუჩად აგდებით მემამულეთა საამებლად და მათ სასარგებლოდ[15], გაზეთში მცირე ცნობები მოეპოვება. ეს, რა თქმა უნდა, სრულებითაც არ აიხსნება იმით, თითქოს „თბილისის მოამბის“ ხელმძ-

---

13 ეს იყო პირველი სტატია, რომლითაც „დროება“ გამოეხმაურა მეგრელ გლეხთა ამ აჯანყებას. ამის შემდეგ მან მოახერხა დამატებით მხოლოდ ერთი კარგი და შინაარსიანი სტატიის გამოქვეყნება ამ საკითხზე (იხ. „დროება“, № 80, 1876 წ., „ზედიდის უეზდის ამბები“).

14 იხ. „თბ. მოამბე“, № 161, 1876 წ., 14 აგვისტო, გვ. 3.

15 იხ. საქართველოს ისტორია, ტ. II, დამხმარე სახელმძღვანელო ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1962, გვ. 135—136.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლვანელობას არ ესმოდა ამ ჭეშმარიტად გლეხთა ომის ნამდვილი მნიშვნელობა საქართველოს შემდგომი სოციალური და პოლიტიკური განვითარებისათვის, მაგრამ ამ ისტორიული სისხლისღვრის შესახებ წერა სასტიკად იყო აკრძალული. ამიტომ გაზეთიც იძულებული იყო დაკმაყოფილებულიყო იმ ოფიციალური ცნობების გადმობეჭდვით, რაც გაზეთ „კავკაზში" გამოქვეყნდა[16]. მომდევნო წელსაც სვანების აჯანყების ახალი ძალით აღმოხეთქვისას „თბილისის მოამბეს" ათიოდე წერილის გაპარება მოუხერხებია თავის ფურცლებზე. ერთ-ერთი სტატია წარმოადგენს ლეჩხუმის მაზრის უფროსის წერილს რედაქციის მიმართ, რომელშიც იგი თავს იმართლებს გაზეთის მესვეურთა ბრალდებისაგან, რატომ არ შეუშვი სვანეთში მოგზაური მეცნიერი ბუნებისმეტყველნიო. ორივე ამ წერილს (რედაქციის საყვედური და მეფის მოხელის პასუხი) ჩვენთვის ის მნიშვნელობა აქვს, რომ იგი ააშკარავებს მთავრობის პოზიციას აჯანყებულთა მიმართ: ადგილობრივი ხელისუფლება ცდილობდა აჯანყებულ სვანეთსა და ლეჩხუმში არცერთი გარეშე პირი არ შეეშვა, მეცნიერი იქნებოდა ეს, ლიტერატორი თუ, მით უმეტეს, გაზეთის თანამშრომელი. „თბილისის მოამბის" მესვეურნი კი საყვედურს გამოთქვამენ იმის გამო, რომ აჯანყებული სვანეთიდან კორესპონდენციები არ მოსდით და თვითონაც უფლება არა აქვთ გაგზავნონ იქ ვინმე[17].

სამაგიეროდ, ბევრ კითხვაზე პასუხს გვაძლევს ის საარქივო მასალა, რომელიც საცენზურო კომიტეტის საბუთებში აღმოჩნდა.

ცენზურას 1876 წლის შემოდგომაზე „თბილისის მოამბის" მეთაურ წერილად ნავარაუდევი ერთ-ერთი სტატია, რომელსაც ეწოდება „თბილისი, 17 სექტემბერი", მკაცრი სამსჯავროს წინაშე გაუტარებია: რამდენიმე დღეს სტატია თავისი უწყების მაგიდებში შეუჩერებია, უსინჯია, უზომია, უჯიჯგნია, წითელი ფანქრით უნავარდნია მის ფურცლებზე (მაგალითად, ყველგან, სადაც რედაქცია წერდა აჯანყებულ სვან გლეხთა დატყვევებაზე, ცენზორს წითელი მელნით გაუსწორებია „დაპატიმრება"), შემდეგ, როგორც იქნა, წაუწერია „თბილისი 20 სექტემბერი", მაგრამ ვერც უკვე სავსებით გამოშიგნული, უსულო და უფერული სტატიის დაბრუნება გაუბედავს ცენზორს სტამბისათვის და საკუთარი თავის დასაზღვევად გადაუგზავნია იგი თვით მეფისნაცვლისათვის. აი, ამ უკანასკნელს კი უყოყმანოდ წაუწერია ზედ: „აიკრძალოს"[18]. სტატია, რა თქმა უნდა, დღის სინათლეს ველარ ეღირსა. მეფის მთავრობამ ამ უვნებელი წერილის (როგორიც იგი გახადეს ცენზორებმა სამი დღის „დამუშავების" შემდეგ) გაშვების ნებაც კი არ დართო, თორემ პირვანდელი სახით დაბეჭდვაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. სტატიაში მოთხრობილია სვანეთის აჯანყების მსვლელობის, მიზეზებისა და შედეგების შესახებ. სხვათა შორის, სტატიის ტონი მეტად მშვიდია და, ერთი შეხედვით, თითქოს ინდიფერენტულიც კი. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს რედაქციის მიერ სტატიის ტექსტში შეპარებული განცხადება იმის შესახებ, რომ ჩვენ ბევრი რამ გვინდოდა გვეთქვა, მაგრამ პირი სავსე გვაქვს წყლითა-ო; აი, რა წერია ამ დოკუმენტის ხსენებულ ადგილას:

«В ноябре прошлого года, вскоре после прошлогодних волнений в Сванетии, мы получили от одного из пленных сванов Казибулата Шарашидзе весьма важное описание поводов этих волнений. Мы не

[16] იხ. „თბილისის მოამბე", 1875 წ., № 72 და № 86.

[17] იხ. „თბ. მოამბე", 1876 წ., №№ 137, 164 (ადგილობრივი ქრონიკა).

[18] ცსსა, ფ. 480, ანაწ. I, საქმე 240, ფ. 10.

нашли тогда возможным (ბაზი ჩვენია— ლ. ჩ.) дать не могли дать места в своей газете этому письму; требовалось собрать справки, удостовериться в основательности сообщений Казибулата Шарашидзе и т. д. Собрав эти справки, мы можем сказать, что лица, близко знакомые с местными обстоятельствами, подтвердили нам истинность этих сведений. Поэтому теперь мы сделаем несколько выдержек из этого письма»[19].

განა მტკიცება უნდა იმას, რომ აქ სინამდვილეში არავითარ ცნობათა შეკრებასა და შემოწმებაზე არ არის ლაპარაკი? რედაქცია ატყობინებს თავის მკითხველს, რომ აკრძალული გვქონდა ამ თემაზე წერა და იმიტომ ვდუმდითო. გამგები მიხვდებოდა და გაიგებდა კიდეცაც, რომ ეს იყო ერთადერთი ძიზეზი გაზეთის დუმილისა.

ეს ახრი კიდევ უფრო დამაჯერებელი იქნება, თუ მოვიშველიებთ ს. მესხის ერთ კერძო ბარათს, დაწერილს 1875 წლის 8 ივლისს, რომელშიც იგი ამბობს:

„სვანეთში ამჟამად არეულობაა. ჭუთაისიდან და აქედამ (ე. ი. თბილისიდან—ლ. ჩ.) ჯარი და ზარბაზნები გააგზავნეს. ამბობენ, ერთი როტა სალდათი ამოუხოციათ და ყველა იქ მყოფი რუსის ჩინოვნიკებიო: მირავიო სუდია, პოსრედნიკი, პრისტავი და სხვა. მიზეზი ამ არეულობისა, როგორც ისმის, ის არის, რომ ადგილობრივი მთავრობა გადასახადისათვის ეწუხებდა თურმე ხალხს. ამის გარდა წელს ცუდი მოსავალი არისო, შიმშილობა-ო. მკითხავს აკი თვენი თურმე ვიღაცამ და იმას უთქვამს, რომ თქვენ ერთი ხატი (თუ სახარება) გქონიათ, რომელიც ლეკებისავ[20] წაუღიაო, სანამ იმას არ მოიტანთ, მანამ შოსველს ნუ მოელითო. ამას უფრო აუღელვებია ხალხი. იქაური რუსის ციხე აუღიათ, თოფები და წამალი სულ რაც იყო მოუტანიათ და გამაგრებულან. ამბობენ, ბორჯომიდან ხამესტნიკი წავიდა. ერთი სიტყვით, აქ ამაზე ბევრს ლაპარაკობენ. გწერ „ლაპარაკობენ“ იმიტომ, რომ ნამდვილი ამბავი ჯერ კაცმა არ იცის რა. გაზეთებში არაფრის თქმის უფლება არა გვაქვს (ბაზი ჩვენია—ლ. ჩ.). ერთის მხრით, კარგი ამბავია, რომ ლევაშოვის მოქმედება გამოჩნდება, მაგრამ, მეორე მხრით კი, დიდი უბედურებაა: ხალხს ამოწყვეტენ (სვანები სულ ბევრი 1500 კაცი თუ იქნება). თუმცა მაგარი ალაგები აქვთ, ძალიანაც გამაჯვებულები რიან თურმე, მაგრამ ეს ერთი მუშა ხალხი რას გაიწყობს! მაინც არა უშავს რა: სისხლის დაღვრა ხანდახან კარგია ხალხისათვის. ამის თაობაზე „გოლოსში“ ორესპონდენციას ვგზავნი ამ დღეებში, თუ დაბეჭდეს...“[21]

ეს წერილი მრავალმხრივ არის საინტერესო. უწინარეს ყოვლისა, იგი დასტურებს იმ ფაქტს, რომ მთავრობის განკარგულებით გაზეთები ამ აჯანყების შესახებაც, ისევე როგორც სამეგრელოს შესახებ, ვერაფერს წერდნენ და ამდენად არც უფლება და შესაძლებლობა ჰქონდათ, გამოეკვეთათ საქმის ნამდვილი ვითარება. შემდეგ, იგი ააშკარავებს თერგდალეულთა პოზიციას არა მარტო უცხოეთში მომხდარი რევოლუციების, არამედ ჩვენებური, სახალხო აჯანყების მიმართაც: „სისხლის დაღვრა ხანდახან კარგია ხალხისათვისო“—ამ

19 იხ. ცსსა, ფ. 480, ანაწ. I, საქმე 240, ფ. ფ. 17 და 18.

20 გრაფი ლევაშოვი—ჭუთაისის გენერალ-გუბერნატორი, რომელსაც ჩვენებური მოწინავე ინტელიგენცია აშკარად ბრალად სდებდა დასავლეთ საქართველოს ეკლესია-მონასტრების გაძარცვას.

21 ს. მ ე ს ხ ი, ზემოთაღნიშნული „წერილები“, გვ. 190.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაზით აშკარად არის ნათქვამი ჩვენი რევოლუციური დემოკრატების დამოკიდებულება შეიარაღებული აჯანყებისადმი.

ჩვენ ამით სულაც არ გვინდა იმის თქმა, თითქოს თერგდალეულები ანგარიშს არ უწევდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლ კლასთა რეალურ შესაძლებლობებს, ფხიზელი პოლიტიკოსის თვალით არ სინჯავდნენ მოწინააღმდეგეთა (ერთი მხრივ, საქართველოს ცალკეული კუთხეების აჯანყებულ გლეხთა დაქუცმაცებული გამოსვლები, ხოლო, მეორე მხრივ, გაბატონებული კლასები, რომელთაც ზურგს უმაგრებს მთავრობა თავისი სახელმწიფო აპარატით, რეგულარული ჯარით და ა. შ.) ძალების უთანაბრობას, ანდა წინასწარ ვერ ჭვრეტდნენ გლეხთა ამ სტიქიური აჯანყების განწირულებას (ამით არის ნაკარნახევი ამ წერილის სიტყვები, მეორე მხრივ დიდი უ ბ ე დ უ რ ე ბ ა ა: ხ ა ლ ხ ს ა მ ო წ ყ ვ ე ტ ე ნ“). მაშასადამე, აქ ორი აზრი არ შეიძლება იყოს: თერგდალეულები სამშობლოში მომხდარ გლეხთა შეიარაღებულ აჯანყებებს მიესალმებიან მთელი სულითა და გულით, მაგრამ ისინი წინასწარჭვრეტენ ამ აჯანყებათა აუცილებელ დამარცხებას, მთავრობის ძალთა დიდი უპირატესობის გამო („ეს ერთი მუჭა ხალხი რას გააწყობს“?) და ამიტომ მიაჩნიათ იგი (ეს დამარცხება და არა აჯანყება) დიდ უბედურებად. მიუხედავად ამისა, თერგდალეულების ლოზუნგი ამ დროს მაინც უკან დახევას კი არ მოითხოვდა, იარაღს ხელს ნუ მოვკიდებთო, ამას კი არ ქადაგებდა, მსგავსად ხალხის „გულშემატკივარი“ ლიბერალებისა, არამედ, პირიქით, მათი აზრით „მაინც არა უშავს რა. სისხლის დაღვრა ხანდახან კარგია ხალხისათვისო“. ამიტომ საოცარია ზოგიერთი ისტორიკოსის (მაგალითად მკვლევარ ლ. ბერძენიშვილის) შეხედულება, თითქოს თერგდალეულები თავიანთ ორგანოებში გლეხთა აჯანყებას უბედურებად მიიჩნევდნენ; ვერ ხედავდნენ აჯანყებულ ხალხს და ა. შ. ამ უკანასკნელი დებულების „გასამაგრებლად“ მოჰყავთ ს. მესხის სიტყვები მისი მეორე წერილიდან, სადაც იგი ამბობს: „სვანეთიდამ ჯარი დააბრუნეს, დარწმუნდნენ, რომ აქ—არავითარი არეულობა არ არის, განგებ უნდოდათ თურმე, რომ აჯანყება შეეთხზათ, რომ ჩინები მიეღოთო“[22]. ჩვენი აზრით, ეს ადგილი სულაც არ მოწმობს იმას, თითქოს თერგდალეულები ვერ ხედავდნენ აჯანყებულ ხალხს. საქმე ის არის, რომ იგი დაწერილია იმ დროს, როდესაც სვანეთის ამბების შესახებ დანამდვილებით ჯერ არავინ იცოდა რა: სვანეთის გლეხთა აჯანყება ხომ ორ წელიწადს გაგრძელდა, ეს წერილი კი დაწერილია ამ არეულობათა დაწყებიდან სულ ორი-სამი კვირის შემდეგ, ე. ი. იმ დროს, როდესაც ს. მესხის სიტყვით რომ ვთქვათ, „ნამდვილი ამბავი ჯერ კაცმა არა იცის რაო“.

ჩვენ დავინახეთ, რომ თერგდალეულები მიესალმებოდნენ ჭეშმარიტ სახალხო აჯანყებას, ხოლო თუ აჯანყება ნამდვილი არ იყო, დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ, რათა მთავრობის მხრივ მოწყობილ პროვოკაციაში არ გახლართულიყვნენ. ცნობილია, რომ მეფის ხელისუფლება „აჯანყების“ საბაბით სასტიკად უსწორდებოდა ჩაგრულ ხალხებს, არ ერიდებოდა მათს აყრას მშობლიური ადგილებიდან და ჩრდილოეთში გადასახლებას, ყუმბარებს უშენდა მშვიდობიან მოსახლეობას, თუ კი სადმე აჯანყების ან სეპარატიზმის ლანდი მოეჩვენებოდა.

თერგდალეულებს რომ გლეხთა აჯანყება საყოველთაო სახალხო მნიშვნელობის პოლიტიკურ მოვლენად მიაჩნდათ და არა ვიწრო წოდებრივ საქმედ, ეს კარგად ჩანს „თბილისის მოამბის“ იმ ზემოთხსენებული წერილიდანაც,

22 ს. მესხი, ზემოთაღნიშნული „წერილები“, გვ. 153.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც დღის სინათლე არ უნახავს „ტვინმეისტერების“ (ე. ი. ცენზორების) და თვით მეფისნაცვლის ადმინისტრაციის წყალობით. ამ წერილის (იგი სარედაქციოა და ავტორი არ ჩანს) იმწერი ერთგან ასეთ დასკვნას აპარებს: «Кончилась калдийская вспышка считавшаяся столичной печатью чуть ли не делом государственной важности»[23] (ხაზი ჩვენია.— ლ. ჩ.).

დიახ, სვანეთის აჯანყება და საერთოდ გლეხთა ყოველი ასეთი გამოსვლა თავიანთი უფლებების დასაცავად „თბილისის მოამბეს“ სახელმწიფო მნიშვნელობის პოლიტიკურ მოვლენად აქვს შეფასებული. უფრო მეტიც, იგი აშკარად გამოთქვამს იმ რწმენას, რომ აჯანყების მიზეზები აღმოუფხვრელი დარჩა და მომავალში კიდევ ექნება ადგილი ამგვარ ამბებს: «... Мы должны перейти к изложению обстоятельств, которые по нашему глубокому убеждению вызвали как сванетские волнения 1875 г., так и вспышку 1876 г. и которые быть может готовят нам в будущем еще несколько подобных сюрпризов (ხაზი ჩვენია—ლ. ჩ.), стоящих огромных жертв казне и вредящих репутации нашего края...»[24].

აქ ნახმარმა ტერმინოლოგიამ (ის, რომ მომავალი აჯანყება „სიურპრიზად“ არის მონათლული, ხოლო მისი შედეგები ჩვენი ქვეყნისათვის, ვითომდა, „რეპუტაციის“, მაშასადამე, სახელის გამტეხად) შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს და ერთი წუთითაც არ უნდა გვაფიქრებინოს, თითქოს გაზეთის მესვეურებს, მართლაც, ხალხის აჯანყება სახელის გატეხვად მიაჩნდათ. პირიქით, ეს იყო ერთადერთი საშუალება აკრძალულ თემაზე ლაპარაკის ჩამოგდებისა და „თბილისის მოამბეც“ იძულებულია გამოიყენოს იგი, რათა მკითხველს გააგებინოს საქმის ნამდვილი ვითარება. ამ სტრიქონების ქვეტექსტი კი აი, რას ამბობს: „მოიცათ, ამით საქმე არ გათავებულა, კიდევაც მოხდება და განმეორდება ხალხთა აჯანყება“. აი, ეს არის სინამდვილეში გაზეთის ფარული აზრი! სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მთავრობამ აკრძალა ეს წერილი: ისიც მიხვდა ავტორის ნამდვილ გულისნადებს.

ამ სიტყვების შესანიშნავ დადასტურებას წარმოადგენს დავით ერისთავის ფელეტონი „На сегодня“ (სადღეისო[25]), სადაც იგი ფაქტიურად ეკამათება რეაქციულ პრესას და, კერძოდ, კატკოვს, რომელიც კავკასიაში მეფის მთავრობის წინააღმდეგ აღმდგარ მთიულებს რელიგიურ ფანატიზმს სწამებდა, ხოლო, ამიერკავკასიის და, კერძოდ, ქართველ გლეხთა გამოსვლებს უგუნურობის (აქაოდა გლეხებმა ვერ გაიგეს ბოძებულ რეფორმათა სიკეთეო) შედეგს უწოდებდა. სამეგრელოში, სვანეთსა და კავკასიის მთიანეთში მომხდარი ამბების შესახებ დავით ერისთავი აშკარად წერს, რომ ეს რელიგიურ და გლეხთა უგუნურების საფუძველზე მომხდარი ამბოხება კი არაა, არამედ აქ ჩვენ საქმე გვაქვს ჭეშმარიტ რევოლუციასთანო. ეს არის ამ ფელეტონის ძირითადი აზ-

---

23 იხ. ცსსა ფ. 480, ანაწ. I, საქმე 240, ფ. ფ. 17 და 18 („თბ. მოამბის“ ზემოაღნიშნული დაპატიმრებული ნომერი). მართალია, წერილის ავტორი ამბობს, ცენტრალურ პრესას მიაჩნია სვანეთის აჯანყება სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენადო, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ამბებს პეტერბურგის გაზეთებში ისევ ჩვენებური ჟურნალისტები ბეჭდავდნენ ხოლმე. სინამდვილეში, აქ გამოთქმულია „თბ. მოამბის“ რედაქციის შეხედულება, რომელსაც იმ ხანებში თერგდალეულები (ნ. ნიკოლაძე) განსაზღვრავდნენ.

24 ცსსა, ფ. 480, აღწ. I, საქმე 240, ფ. ფ. 17 და 18 („თბ. მოამბის“ ზემოაღნიშნული დაპატიმრებული ნომერი).

25 „თბ. „მოამბე“, № 182, 1876 წ., 15 აგვისტო, ფელეტონი.

რი. შეპარებული ავტორის მსჯელობაში სხვადასხვა საპირბოროტო, სადღეისო საქმეებზე.

შემდეგ, სვანეთის აჯანყებისადმი „თბილისის მოამბის“ დამოკიდებულება განსაკუთრებით შესანიშნავ დოკუმენტს წარმოადგენს საცენზურო კომიტეტის მასალებში დაცული კიდევ ერთი საბუთი, რომლითაც აშკარავდება, რომ გაზეთს განზრახული ჰქონდა დაებეჭდა სტატია სასამართლო სხდომისა და მისი განაჩენის შესახებ. მიკვლეული საბუთი წარმოადგენს საცენზურო კომიტეტის დასკვნას, თუ რატომ აკრძალა მან ხსენებული სტატია. აი, რას წერს ამის შესახებ დ. ფურცელაძე:

«Представляемая... статья задержана мною по следующим соображениям:

1. «Тифлисскому Вестнику» Военным министерством не предоставлено право печатать ни решения военно-судебных установлений и ни то, что происходило в военно-судебном публичном заседании при рассмотрении дела;

2. Статья бросает некоторую неблаговидную тень на действия военно-полевого суда;

3. В статье высказывается неодобрение как со стороны автора, так и со стороны публики решения военно-полевого суда;

4. Преступники сваны выставляются невинными жертвами»[26].

ამრიგად, საცენზურო კომიტეტს დაუპატიმრებია სტატია, რომელშიც გაკრიტიკებული ყოფილა საველე სამხედრო სასამართლოს საქმის წარმოების წესი და მისი განაჩენი აჯანყებულ სვან გლეხთა მიმართ. თვით აჯანყებულები კი გამოყვანილი ყოფილან, როგორც მართალნი, როგორც თავიანთი ღირსების, უფლებებისა და თავისუფლების დამცველი ადამიანები. ამაზე მეტის გაგეთება ცენზურასდაქვემდებარებულ გაზეთს არც შეეძლო და, როგორც ვხედავთ, ვერც გააკეთა: სტატია გაზეთს არ დაუბეჭდვინეს. იგი საცენზურო კომიტეტის არქივებმა შთანთქა.

ამ საბუთიდან ისიც ჩანს, რომ „თბილისის მოამბის“ მესვეურები არ მორიდებიან აკრძალულ თემაზე წერას და სამხედრო სასამართლო პროცესის საიდუმლოების გახმაურებას. მართალია, ეს წერილი არ დაბეჭდილა ცენზურის „სიფხიზლის“ გამო, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ თბილისურმა გაზეთმა მოურიდებლად სცადა, ფარდა აეხადა ისეთი დიდი საზოგადოებრივი მოვლენისათვის, როგორიც იყო გლეხთა აჯანყება საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში და დაეგმო სამხედრო-საველე სასამართლოს განაჩენი, როგორც არასწორი და უსამართლო, თავისთავად მეტად გაბედულ აქტს წარმოადგენს. იგი მჭერმეტყველურად მოწმობს იმას, რომ „თბილისის მოამბე“ გლეხთა აჯანყებების საკითხში უკიდურეს, შეიძლება ითქვას, რევოლუციურ პოზიციებზე იდგა.

ყოველ შემთხვევაში, უდაოა ის, რომ „თბილისის მოამბე“ არ გმობს გლეხთა აჯანყებას, როგორც პროტესტს იმ აუტანელი ეკონომიური და სო-

---

26 ცსსა, ფ. 480, ანაწ. I, საქმე 240, ფ. 10.

ციალური მდგომარეობის წინააღმდეგ, რომელშიც ჩავარდა გლეხობა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. გაზეთს მიაჩნია, რომ მეფის მთავრობას უფლება არ აქვს გასამართლოს და, მით უმეტეს, სასტიკად დასაჯოს სასოწარკვეთილებამდე მისული და აღშფოთებული გლეხები, რომელთაც მთავრობამდე შეუქმნა ეს არაადამიანური და ყოვლად აუტანელი ყოფა. აჯანყებული სვანები (და საერთოდ აჯანყებული გლეხები!), გაზეთის მესვეურთა აზრით, უდანაშაულო მსხვერპლნი არიან მეფის მთავრობის მიერ შექმნილი ეკონომიური და სოციალური უსამართლობისა. ამ მხრივ, „თბილისის მოამბე“ სავსებით აჯანყებულთა მხარეზეა. მაგრამ საქმე ის კი არ არის, რომ გაზეთის რედაქცია უთანაგრძნობს ჩაგრულ გლეხებს (ამის უნარი ხომ ლიბერალებსაც შესწევთ!), თავი და თავი ის არის, რომ იგი მთავრობას ადანაშაულებს, რაკი გლეხებს მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებაში—თვით აჯანყებაში ამართლებს და აჯანყების მიზეზად არსებული ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური წყობილება მიაჩნია.

მაგრამ ჩვენ ამით სრულებითაც არ გვსურს ვთქვათ, თითქოს „თბილისის მოამბე“ თვითონაც აჯანყებისაკენ მოუწოდებდა გლეხებს. უწინარეს ყოვლისა, უნდა გვახსოვდეს, რომ გაზეთს, რომელიც წინასწარცენზურას იყო დაქვემდებარებული, არ შეეძლო, კიდევაც რომ სდომნოდა, ასეთი ლოზუნგის წამოყენება. მეორე მხრივ, ვიმეორებთ, მოწინავე ქართველ ინტელიგენტებს, რომლებიც იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას ხელმძღვანელობდნენ და საქართველოს დემოკრატიული ჟურნალისტიკის სათავეში იდგნენ, შესანიშნავად ესმოდათ, რომ გლეხთა განცალკევებული, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და სტიქიურად აღმოხეთქილი აჯანყებებით შეუძლებელი იყო რუსეთის არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობილების დამხობა. ამიტომაც არ მოუწოდებდნენ ისინი გლეხებს აჯანყებისაკენ, რომელიც არსებულ ვითარებაში ხალხის უბრალო სასაკლაოდ გახდებოდა, ამიტომაც, რომ თერგდალეულთა ეს ფხიზელი, შორსმჭვრეტელური, ფრთხილი და წინდახედული ტაქტიკა სრულებითაც არ უნდა იქნას შეფასებული, როგორც მხდალ რეფორმისტთა—ბურჟუაზიულ ლიბერალთა მოქმედება.

ცნობილია, რომ ბურჟუაზიულ ლიბერალებს ეშინიათ სისხლისღვრისა საერთოდ, მათ ბატონკაცურად ეშინიათ სისხლში თითების გათხუპნვისა, ეშინიათ არსებული წყობილების რადიკალურად შეცვლისა და, მით უმეტეს, მისი ერთბაშად, რევოლუციური გზით ნგრევა-დამხობისა. რა საეროო აქვთ ქართველ სამღიანელებს, თერგდალეულებს, ასეთ ბურჟუაზიულ ლიბერალიზმთან, რომლის პროგრესულობა არასოდეს გასცილებია ლამაზ და ჰუმანურ ფრაზას, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, წვრილ-წვრილ, უმნიშვნელო და კუდმუკვეცილ რეფორმათა შესახებ ოცნებას?[27] ამასთან ეს ოცნებაც, ბურჟუაზიულ ლიბე-

---

27 ამით ჩვენ იმის თქმა კი არ გვსურს, თითქოს რევოლუციური დემოკრატები საერთოდ და ხელაღებით უარყოფდნენ რეფორმებს და მათ მნიშვნელობას საზოგადოებრივ განვითარებაში, პირიქით, ქართველ რევოლუციურ-დემოკრატებს, მაგალითად, ნ. ნიკოლაძეს, კარგად ესმოდათ, რომ მშვიდობიანი განვითარების ეპოქებში, რომლებიც გარდუვალად მოჰყვება ხოლმე რევოლუციურ აზვირთებათა პერიოდებს, ორგანიზებულ, თანმიმდევრულ, შემტევ და მეტად ბრძოლას რეფორმათათვის დიდად პროგრესული მნიშვნელობა აქვთ ხალხის ცხოვრების შემდგომი დემოკრატიზებისა და გაუმჯობესებისათვის. ამიტომ არის, რომ ნ. ნიკოლაძე ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში მიზნად დაუსახა ქართულ ჟურნალისტიკას, ფარული კამპანია გაეშალა ბეგლერთი ორგანოების მეშვეობით ხალხისათვის აუცილებელ დემოკრატიულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალთა წარმოდგენით, მხოლოდ ზემოდან, მხოლოდ მეფის „წყალობათა“ და „ბოძებათა“ სახით უნდა განხორციელებულიყო და არა რევოლუციის, აჯანყების გზით, რომელიც მათთვის ყველა შემთხვევაში მიუღებელი, შემაძრწუნებელი და შემზარავი იყო.

სულ სხვანაირად მოქმედებს ჭეშმარიტად ხალხის ქომაგი, მისი ნამდვილი გულშემატკივარი და მეგობარი—რევოლუციონერი დემოკრატი[28]. მისი რე-

უფლებათა (ქალაქის და ქვეყნის თვითმმართველობა, განათლების დემოკრატიზება და ა. შ.) მისანიჭებლად. საქმე ის არის, რომ ლიბერალებისაგან განსხვავებით, რომლებიც ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოხიბლულნი იყვნენ მთავრობის ლიბერალიზმით და აღტაცებაში მოდიოდნენ პროგრესის ხანით“, ქართველი რევოლუციონერი დემოკრატები, მიზნად ისახავდნენ ამ დემოკრატიულ რეფორმათა შეუზღუდველად, მთელი სისრულით განხორციელებას და ამით მათი შინაარსის არსებითად შეცვლას (მთავრობის განზრახვის საპირისპიროდ). ამისათვის ისინი საჭიროდ თვლიდნენ შეუპოვარი, შემტევი, ლეგალური ბრძოლის ორგანიზებას მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც, თავის მხრივ, ცდილობდა ეს რეფორმები „პოლიციურ ჩარჩოში“ მოექცია (ვ. ი. ლენინი, მე-4 გამოცემა. ტ. 5, გვ. 36)

[28] ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი აიგივებს ცნებას „ბურჟუაზიული დემოკრატები“ და „გლეხთა იდეოლოგები“ (იხ. ვ. ი. ლენინი, ტ. 18, მე-4 გამოც., გვ. 638), ხოლო ერთმანეთს უპირისპირებს ცნებას „ბურჟუაზიული ლიბერალი“ და „ბურჟუაზიული დემოკრატი“, (ვ. ი. ლენინი, ტ. 19, მე-4 გამოც., გვ. 353). ამიტომ ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს პ. რატიანს, როცა ის წერს, რომ თერგდალეულები რევოლუციური დემოკრატები და, მაშასადამე, გლეხთა იდეოლოგები იყვნენო (იხ. პ. რატიანი, „თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან. თბ., 1912). მაგრამ ამასთან ერთად ვფიქრობთ, რომ რევოლუციური დემოკრატები სწორედ იმის გამო, რომ ისინი გლეხთა იდეოლოგები იყვნენ, ობიექტურად ბურჟუაზიულ დემოკრატებად გვევლინებიან. ცნობილია, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიას, მის საუკეთესო ნაწილს—გლეხურ დემოკრატიას—უპირისპირდება, მხოლოდ პროლეტარული დემოკრატია ანუ სოციალ-დემოკრატია და არა რევოლუციური დემოკრატია, რომელიც გლეხური (საბოლოო ჯამში მაინც ბურჟუაზიული) იდეოლოგიის ყველაზე უფრო თანამიმდევრული, რევოლუციური გამომხატველი იყო. ამასთანავე ცნობილია ისიც, რომ ვ. ი. ლენინი სწორედ გლეხთა დემოკრატიის (საკუთრივ გლეხების, სისხლხორცეული გლეხების და არა მათი ინტელიგენტი წარმომადგენლების) შესახებ წერდა, რომ იგი სოციალისტური კი არა ბურჟუაზიულიაო (ვ. ი. ლენინი,, თხზულ., მე-4 გამოც. ტ. 18, გვ. 667, 679, აგრეთვე, ტ. 20, გვ. 117).

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია, მივაქციოთ მკითხველის ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა თერგდალეულთა კლასობრივი ვინაობის შესახებ. პროფ. ლ. გორგილაძე არ უარყოფს თერგდალეულთა რევოლუციურობას, მათს დემოკრატიზმს და პირდაპირ აღიარებს, რომ ისინი გლეხური დემოკრატები იყვნენ (იხ. ლ. გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1961, გვ 48—137). ამასთან პროფ. ლ. გორგილაძეს თერგდალეულები ქართველ განმანათლებლებად მიაჩნია. პ. რატიანის აზრით, ტერმინი „განმანათლებლები“ მაინც და მაინც მარჯვე ცნება არ არის თერგდალეულთა ვინაობის დასახასიათებლად, რადგან განმანათლებლობა აერთიანებდა თავის რიგებში არა მარტო რევოლუციურ დემოკრატებს, არამედ სკალდინის ტიპის ბურჟუაზიულ ლიბერალებსაცო (როგორც ვიცით, ფ. ენგელსის და ვ. ი. ლენინის განსაზღვრით, სკალდინი იყო liberalkonservativ, ე. ი. ბურჟუაზიული ლიბერალი და არა ბურჟუაზიული დემოკრატი), მაგრამ, ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი იმიტომ კი არ ასახელებდა სკალდინს, თითქოს იგი განმანათლებლობის ტიპიურ წარმომადგენლად მიაჩნდა, არამედ იმიტომ, რომ ცენზურული პირობების გამო ნ. გ. ჩერნიშევსკის სახელის ხსენება შეუძლებელი იყო. ამასთან 60-იანი წლების გარიჟრაჟზე რევოლუციური დემოკრატობა და ლიბერალიზმი ჯერ კიდევ გამიჯნული არ იყო. ყოველივე ამის გამო ამჯობინა ვ. ი. ლენინმა პირობითად დაესახელებინა ბურჟუაზიული ლიბერალი სკალდინი, თუმცა ავტორი აშკარად გულისხმობდა რევოლუციურ დემოკრატ ჩერნიშევსკის.

ამრიგად, ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, ტერმინი „განმანათლებელი“, რომელიც ბურჟუაზიულ ლიბერალზედაც ვრცელდება, ვერ გამოდგება თერგდალეულთა განმასხვავებელ ცნებად (მართალია, მათ ჰქონდათ ლიბერალური მერყეობანი, მაგრამ დემოკრატი მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოლუციური დემოკრატიზმი, მისი მზადყოფნა თავდაუზოგველად და თავგანწირვით სისხლი დაღვაროს ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის, მოითხოვს მისგან უდიდეს სიფხიზლეს, მომენტის ყოველმხრივ შეფასებას და უმიზნო და უშედეგო სისხლისღვრისაგან თავშეკავებას. ფაქტები მოწმობენ, რომ ქართველი რევოლუციური დემოკრატები, თერგდალეულები, გულწრფელად მიესალმებოდნენ რევოლუციას და საკუთარ სიცოცხლესაც არ იშურებდნენ მისთვის იქ, სადაც მას შეიძლებოდა უშუალო და სასურველი შედეგი მოჰყოლოდა (გავიხსენოთ, მაგალითად, ის, რომ ს. მესხი არა მარტო პლატონურად ეტრფის რევოლუციას საფრანგეთში, არა მარტო არ სურს მაყურებლის როლით დაკმაყოფილდეს და შორიდან, განზე გადგომით ჭვრეტდეს აჯანყებას, არამედ მზად არის *თვითონვე ააგოს* პარიზის ერთ-ერთ ქუჩაში მარჯვე ბარიკადა და, მაშასადამე, საკუთარი სისხლი დაღვაროს უცხო ხალხის თავისუფლებისათვის)[29]. განა ეს ბურჟუაზიული ლიბერალის ფილოსოფიაა? ბურჟუაზიული ლიბერალი ყველგან ერთნაირად მხდალია: შინაც და გარეთაც, ყოველ შემთხვევაში, იგი არც უცხო ქვეყანაში ააგებს ბარიკადას და, მით უმეტეს, სიცოცხლეს არავის შესწირავს.

მეორე მხრივ, ის, რომ ქართველი სამოციანელნი მზად იყვნენ თავიანთი სიცოცხლე შეეწირათ ევროპის ქვეყანათა რევოლუციებისათვის, სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ისინი რევოლუციას მხოლოდ უცხოეთში მიესალმებოდნენ, თავიანთ სამშობლოში კი „მყუდროების დარღვევისა“ ეშინოდათ. ეს რომ ასე ყოფილიყო, ისინი დაკმაყოფილდებოდნენ ევროპის ქვეყნებში რევოლუციის მხოლოდ სიტყვიერი შექებით (საამისოდ ესეც კმაროდა!) და პრაქტიკულად არ მიიღებდნენ მასში მონაწილეობას. განა ის თაობა, რომელიც უკან არ იხევს სიკვდილის წინაშეც კი და იარაღით ხელში იცავს უცხოელი ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებას, სულს დაიშურებდა საკუთარი ხალხის კისრიდან ჩაგვრის უღლის მოსაშორებლად? მაგრამ რაკი მათს მშობლიურ მხარეში სახალხო აჯანყებას ჯერ არ შეიძლებოდა გამარჯვება მოჰყოლოდა (არა ცალკეულ საბრძოლო ეპიზოდებში, არამედ მეფის ხელისუფლებაზე ერთიანი შეტევის აზრით), ამიტომაც არ მოუწოდებდნენ ქართველი სამოციანელები, ქართველი რევოლუციური დემოკრატები უდროვო[30] და, მაშა-

---

ყოველთვის იმარჯვებდა მათში), თუმცა განმანათლებლობის ყველა ძირითადი ნიშანი თერგდალეულთათვისაც ფრიად **დამახასიათებელი იყო.**

ჩვენი აზრით, რაკი სკალდინი სრულებითაც არ არის განმანათლებლობისათვის დამახასიათებელი პიროვნება, ეს ცნება განთავისუფლდა ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ზედმეტი ტვირთისაგან და ამიტომ იგი ისევე შეესატყვისება ქართველ თერგდალეულებს, როგორც მეორე ცნება—რევოლუციური დემოკრატი.

29 ს. მესხი, დასახელებული „წერილები“, გვ. 70.

30 აკაკი წერეთელი თავის შესანიშნავ ფელეტონში „ხარლამპიოს მოგონაკის წერილებიდამ“ პირდაპირ აცხადებს, რომ ჩემს თანამოსანგრე—თერგდალეულებს („ჩვენი თაობის მოწინავე კაცებს“) ძლიერ კარგად ესმოდათ მუქთახორა მემამულეების (და აგრეთვე ბურჟუამევახშეების) თავიდან მოცილების აუცილებლობაო. მაშასადამე, მათ ესმოდათ, რომ სოციალური ბრძოლა მათს სამშობლოშიც გარდაუვალი, აუცილებელი და მისასალმებელია: „მათ (თერგდალეულებმა — ვ. ჩ.) იცოდნენ, — ამბობს აკაკი, რომ *უმჯობესი იქნებოდა ეს უქმად მყლაპელები სულ არ ყოფილიყვნენ ჩვენს ქვეყანაში*“ (ხაზი ჩვენია — ლ. ჩ.), მაგრამ, რადგან გარეშე მტერი ჯერ თავიდან არ მოგვიშორებია და არ გაგვირეკნია ცხრა მთას იქით,—„ამისათვის საჭირო არის,—მისი აზრით,—ეს ორივე წოდება...ერთად, შეერთებულის ძალით წინ უდგებოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადამე, განწირული სახალხო მოქმედებისაკენ, აჯანყებისაკენ, რომელსაც შეიძლებოდა მხოლოდ უდიდესი ეროვნული კატასტროფა მოჰყოლოდა. ამრიგად ის, რომ ქართველმა სამოციანელებმა არ დაჰკრეს საბრძოლო ყიჟინა და არ მოუწოდეს გლეხებს აჯანყებისაკენ, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს თერგდალეულები არ იყვნენ რევოლუციონერები და ეშინოდათ, ან ეწინააღმდეგებოდნენ ამგვარ აშკარა და ძირფესვიან გარდაქმნებს თავიანთ სამშობლოში. პირიქით, როცა ქვეყანაში სტიქიურად დაიწყო გლეხთა აჯანყება, სახალხო გამოსვლები, მათ საჭიროდ დაინახეს ჩარეულიყვნენ აჯანყებულთა ბედ-იღბალში, რათა ყოველნაირად მხარი დაეჭირათ მათთვის, ეხსნათ ისინი განსაცდელისაგან და ხელიდან გამოეგლიჯათ გამძვინვარებული მთავრობის კლანჭებიდან. თერგდალეულები გაბედულად გამოდიოდნენ აჯანყებულთა სიმართლის მოწმეებად და თავდადებულ დამცველებად. ქართველი რევოლუციონერი დემოკრატები აშკარად უმტკიცებდნენ მეფის მთავრობას, რომ გლეხები მართალნი არიან და რომ ისინი ააჯანყა არსებულმა აუტანელმა პირობებმა, ამიტომ შენ უფლება არ გაქვს მიიღო სასტიკი ზომები მათ წინააღმდეგო.

ამ პროგრამის განხორციელება მოითხოვდა საქართველოს დემოკრატიული პრესისაგან ძალთა უდიდეს მობილიზებას და ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ, საზოგადოებრივი აზრის წარმართვას აჯანყებულთა სასარგებლოდ და მთავრობის მოხელეთა საზიანოდ. ეს ნამდვილად რევოლუციური ამოცანა იყო იმ პირობებში, როდესაც მთავრობა უკრძალავდა დემოკრატიულ გაზეთებს აჯანყების შესახებ ხმის ამოღებასაც კი. მაგრამ თერგდალეულებმა თავიანთ თავზე აიღეს აჯანყებულთა დაცვა საქართველოში და აკაკი წერეთლის[31] მეშვეობით მკერდით იხსნეს დატყვევებული აჯანყებულები სიკვდილით დასჯისაგან.

ამ დროს, როგორც ვიცით, არც „თბილისის მოამბე“ იდგა გულხელდაკრეფილი და თავისი წვლილი მასაც შეჰქონდა ქართველ პატრიოტთა ბრძოლაში. ზემოთმოყვანილი მასალა აჯანყებული გლეხებისადმი გაზეთის გულმხურვალე თანაგრძნობის, უდიდესი მხარდაჭერისა და ერთგულების გამომხატველია[32].

გარეშე მტერს“... მანამდე კი აკაკი ურჩევს ქვეყნის მოამაგეებს და პატრიოტებს (თერგდალეულებსა და ნაროდნიკებს) გაანათლონ ხალხი (ნ. ნიკოლაძე ურჩევდა თავის თაობას არა მარტო მასების განათლებას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, დაცემული ეკონომიკის აღორძინებისათვის ზრუნვას), შეიტანონ მასში თვითშეგნება, დარაზმონ იგი თავისი საერთო მტრის —მეფის მთავრობაზე საიერიშოდ, ამიტომ, ქართველ ნაროდნიკთა (ამ „სულითა და გულით პატიოსან და თავგანწირულ პატრიოტთა“) რევოლუციური აგიტაცია ხალხში 70-იან წლებში, ა. წერეთელს დაფასებული აქვს, როგორც „დროსა და ვითარების მოთხოვნილების უგულვებელყოფა“. ამის მიზეზი, აკაკის აზრით, ის არის, რომ ქართველ ნაროდნიკებს „არ ჰქონდათ რიგიანი მომზადება (ალბათ, აკაკი აქ გულისხმობდა საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნა-არ ცოდნას) და გამოცდილება–ო“. (იხ. გაზ. „დროება“, 1876 წ. № 8). თერგდალეულები, რომ რევოლუციის დაწყებისათვის მარჯვე მომენტს ელოდნენ და მეფის მთავრობის დამხობაზე ოცნებობდნენ, ეს აშკარად გამოხატა ა. წერეთელმა თავის ლექსში „თქვენი ჭირიმე“: „ამ დღეს ველოდი, მოვესწარ“-ო, აცხადებს პოეტი და მოუწოდებს ახალგაზრდებს, ახლა კი უშიშრად ამოაგდეთ „ძირმწარა“-ო.

31 იხ. ა. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზულებანი, ტ. 15, თბილისი, 1963, გვ. 347. და, აგრეთვე, ე. ქ ვ ა ნ ი ა, ქართველი იურისტები. თბილისი, 1961, გვ. 147—157. ავტორი ცხადყოფს, სხვათა შორის, რომ აკაკის ამ დაცვითი სიტყვის მოსამზადებელ მუშაობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ნ. ნიკოლაძემ, რომელსაც მთავრობა უშუალოდ არ ანდობდა გლეხთა დაცვის საქმეს.

32 არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ ნ. ნიკოლაძე მონაწილეობდა აგრეთვე „თბილისის მოამბეში“ გლეხთა საკითხისადმი მიძღვნილი სხვა სტატიების შედგენასა და რედაქტირებაშიც. მართალია, 1876 წლის შუა ხანებიდან მას უკვე გული აყრილი ჰქონდა ამ გაზეთზე, მაგრამ გლეხთა სტიქიური აჯანყება — ეს ისეთი უდიდესი მოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ სხვანაირად აისახა „თბილისის მოამბის“ ფურცლებზე ქართველ გლეხთა უდიდესი, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვანი მოძრაობა, რომელსაც კი ადგილი ჰქონდა საქართველოში გასული საუკუნის მეორე ნახევარში, სახელდობრ, გლეხთა 1878 წ. აჯანყება სიღნაღში (ქიზიყში).

იმის მაგივრად, რომ გაზეთს სიმართლის შუქით გაენათებინა ის წყვდიადი, რომელსაც მეფის მთავრობა განზრახ ქმნიდა კახეთის აჯანყების გარშემო, „თბილისის მოამბის“ ახალმა მესვეურებმა (პ. იზმაილოვი და პ. ა. ოპოჩინინი— ტიპიური ბურჟუაზიული ლიბერალები) საკუთარი კორესპონდენტიც კი არ გაგზავნეს სიღნაღის სამხედრო სასამართლო პროცესზე, რადგან მთავრობა ამის ნებას არ გვაძლევსო.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ აჯანყების დაწყებისთანავე, გაზეთის ფურცლებზე გამოქვეყნდა „ბაკურციხის ტრაგედიის“ თვითმხილველისა და მონაწილის ერთი ანონიმური წერილი, რომელშიც მოთხრობილი იყო, თუ როგორ მოიყარეს თავი 1878 წ. 5 ივნისს ანაგის ხეობაში სიღნაღის გარშემო მდებარე რამდენიმე სოფლის (ანაგა, კარდანახი, ზემო და ქვემო მაჩხაანი, ბოდბისხევი, ვაქირი, მაშნაარი, საქობო და სხვ.) მცხოვრებლებმა და ერთმანეთს შეჰფიცეს, არ მივცეთ კენჭისყრით მილიციონერებიო (ეს იყო აჯანყების საბაბი: ხალხი აღსდგა ჯარისკაცთა გაწვევის უსამართლო წესის წინააღმდეგ, რომლის თანახმად მდიდარი გლეხების შვილები არ მიჰყავდათ მილიციაში, ხოლო ღარიბთა შვილები, უსაკონი და უწლოვანნიც კი, წვევამდელებად ითვლებოდნენ). მოთხრობილია, როგორ გამოუდგნენ გლეხები მაზრის უფროსს ტიზენჰაუზენს, რომელმაც თავად ვაჩნაძიანთ მამულში შეაფარა თავი, როგორ შეიჭრნენ ისინი ბაკურციხის მფლობელის სახლში და დაარბიეს იგი[33]. შემდეგ მოყვანილია გაზეთ „ობზორის“ კორესპონდენციაც სიღნაღიდან.

საყურადღებოა ის, რომ „თბილისის მოამბის“ ამ და მომდევნო წერილებში ხალხი ნაჩვენებია მხოლოდ როგორც გამძვინვარებული ბრბო, რომელიც განუკითხავად სჩეხს და ჰკაფავს მართალსა და მტყუანს—ყველას, ვინც კი მას გზად შეხვდება, თუ ხელში ჩაუვარდება. გაზეთი არც კი ცდილა უფრო ღრმად ჩასწვდომოდა აჯანყების მიზეზებს, გაერკვია, თუ რა ჰქონდა საერთო კახეთის აჯანყებას წინამორბედ გლეხთა აჯანყებებთან, რატომ ჩეხდნენ აჯანყებულნი არა მარტო საძულველ უფროსებს, არამედ მეფის მთავრობის „უდანაშაულო“ მოხელეებსაც კი.

სულ სხვანაირად მოიქცა ნიკოლაძის საკუთარი გაზეთი „ობზორი“. უწინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სხვა თბილისურ გამოცემათაგან განსხვავებით, მარტო იგი არ დამორჩილებია ბედს (იმას რომ, გაზეთების რედაქციებს სამხედრო-საველე სასამართლოზე დასწრების და იქაური ამბების გაშუქების ნება თვით სამხედრო მინისტრისაგან უნდა ჰქონოდათ) და საკუთარი ინიციატივით, საკუთარი კორესპონდენტი გაგზავნა სიღნაღში. სწორედ ამ უკანასკნელმა მიაწოდა „ობზორს“ სამხედრო პროკურორის თანაშემწის (ვინმე

---

ლენა იყო, რომ კ. ბებუთოვზე განაწყენება ხელს ვერ შეუშლიდა ნ. ნიკოლაძეს დახმარებოდა მშობელ ხალხს ამ განსაცდელის ჟამს. ჩვენი ეს მოსაზრება იმით არის ნაკარნახევი, რომ მალე (1877 წ.) ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა სტატია „Наш год“ („ჩვენი წელიწადი“), სადაც მან კვლავ ჩამოაგდო საუბარი ქართველ გლეხთა ამ ორივე აჯანყებაზე და აქაც იგივე შეხედულებანი გაიმეორა, რაც ზემოთაღნიშნულ წერილშია გამოთქმული (იხ. „Альманах“, 1877, გვ. 88—89).

[33] იხ. „თბილისის მოამბე“, № 138, 1876 წ. 2/VI (გადაბეჭდილია „ობზორიდან“).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორნატსკის) საბრალდებლო სიტყვა, რომელიც შემდეგ „ობზორიდან“ „თბილისის მოამბემაც“ გადმობეჭდა. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ „თბილისის მოამბე“ სიღნაღის აჯანყების გაშუქებაში უკან მისჩაჩნა ლება „ობზორს“ და, რა თქმა უნდა, რომ მკითხველი ახალი ამბების გასაგებად პირველ რიგში „ობზორს“ მიმართავდა ხოლმე და არა მის დუბლიორს „თბილისის მოამბეს“. ეს არ გამოპარვია „ობზორს“, რომელმაც სამართლიანად გაკიცხა და დაგესლა თავისი ანტაგონისტი[34]. ასე, მაგალითად, ვინმე „მოკვდავი“ („Смертный“) წერდა თავის ფელეტონში „უსაქმო კაცის მონახაზები“ („Наброски досужего человека“): „განა კბენასა და კინკლაობას[35] ის არ გერჩიათ მეტი ინტერესი გამოგეჩინათ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი? მერედა რამდენი საინტერესო რამ აღმოჩნდა აქ... ამ თემაზე ბევრის თქმა შეიძლება. ყოველ შემთხვევაში, უფრო საინტერესო რამის, ვინემ ახლა ამბობენ“ (ხაზი ჩვენია—ლ. ჩ.)[36]. ხოლო ამ ფელეტონისადმი დართულ, ვითომ სარედაქციო, შენიშვნაში ავტორი უკიჟინებდა თბილისურ გამოცემებს, მათი მონური მორჩილების გამო „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ წინაშე და გადაკვრით ატყობინებდა მათ, რომ, მართალია, არც მას, „ობზორს“, ჰქონდა სამხედრო მინისტრის საგანგებო ნებართვა, დასწერებოდა სამხედრო-საველე პროცესს, მაგრამ მან მაინც მოახერხა სასამართლოში შეღწევა და ამიტომ მეფისნაცვალი იძულებული გახდა ნებართვა მიეცა (შესაძლებელია, რომ **Post factum**) პრესის წარმომადგენლთათვის, დაესწრონ აჯანყებულ გლეხთა გასამართლებასო[37].

„ობზორმა“ დაწვრილებით გადმოსცა, ავრეთვე, თვით სასამართლო პროცესის მსვლელობა, რომელიც „თბილისის მოამბემ“ ბეჯითად გადმობეჭდა თვის ფურცლებზე (იხ. №№ 263, 264, 265, 266, 269, 271, 272, 275), ალბათ იმიტომ, რომ სახიფათო აღარაფერი იყო: ის, რაც დასაშვები იყო „ობზორისათვის“, უთუოდ აღარც მის კუდში მოჩანჩალე გაზეთს მოუტანდა ხელისუფალთა რისხვასა და წყრომას. შემდეგ, „ობზორმა“ სხვადასხვა მიმდინარე (მაგრამ ფრიად საჭირბოროტო) საკითხებზე მსჯელობისას არაერთხელ მოახერხა აჯანყების, მისი მიზეზებისა და შედეგების შესახებ ლაპარაკის ჩამოგდება (ამას კი „თბილისის მოამბე“ აღარ გამოხმაურებია, რაც თავისთავად მრავალსმეტყველია, რადგან ეს უკვე აკრძალულ თემაზე საუბარს ნიშნავდა, ხოლო ამ დროს გაზეთს აშკარად ეტყობა, რომ მისი ახალი მესვეურები ამგვარ რისკს ვაურბოდნენ).

ახლა გავარკვიოთ, რის შესახებ წერდა „ობზორი“ (მართალია, შეპარვით, არა მთელი ხმით, მაგრამ მაინც წერდა) და რას უნდა გამოხმაურებოდა, ჩვენი აზრით, „თბილისის მოამბე“, იგი რომ კვლავინდებურად თავის ძველ, მებრძოლ პოზიციებზე მდგარიყო?

„ობზორმა“ გაბედულად მოსთხოვა პასუხი იმდროინდელ რუსეთში სა-

---

34 ტყუილად როდი წერდა გ. თუმანიშვილი თავის წიგნში „Характеристики и воспоминания“, книга первая, второе дополненное издание. Тифлис, 1913 г., გვ. 54, რომ რუსეთ-თურქეთის ომთან ერთად ბებუთოვ-ნიკოლაძისეული ომიც მიმდინარეობდაო.

35 ამ დროს „თბილისის მოამბეს“, და „ობზორს“ შორის ბრძოლა მიმდინარეობდა ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის წესდების გამო, რომელსაც ნ. ნიკოლაძე სამართლიანად აკრიტიკებდა. „თბილისის მოამბის“ ფურცლები აღსავსე იყო „ობზორის“ რედაქტორის ლანძღა-თრეებით და მის წინააღმდეგ დაუსაბუთებელი ცილისწამებით.

36 „ობზორი“ № 310, 1878 წ. 19 ნოემბერი, ფელეტონი.

37 იქვე.

ხელგანთქმულ და ძლიერ პოპულარულ ლიბერალ ადვოკატ სპასოვიჩს[38], რათქმა არ ჩამოხვედ და პოსწორლობა არ მიიღე ქრისტიანის აჯანყებულ გლეხთა გასამართლებაში, რომელსაც უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მან გამოაშკარავა და სავსებით ნათელყო გლეხთა ყოვლად აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა, სოფლის ხელისუფალთა ბოროტმოქმედება და არაველი სხვა ფრიადმნიშვნელოვანი მხარე თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მაშინ, როცა ვიღაც თავად ჩქოტუასათვის[39] მოიცალე და პეტერბურგიდან თბილისში ჩამოხვედი საზოგადოებრივი თვალსაზრისით უმნიშვნელო საქმისათვის[40]

„ობზორმა“ ბრწყინვალე ფელეტონში „რისთვის“ („За что?“) დაიცვა აჯანყებული ქიზიყელი გლეხები იმ ბრალდებისაგან, ვითომდა ისინი განუკითხავად სჯიდნენ მეფის ხელისუფლების წარმომადგენლებს, ისეთებსაც კი, ვისაც „არავითარი ბრალი“ არ მიუძღოდა გლეხების წინაშე. ნ. ნიკოლაძემ ფაქტებით ცხადყო, რომ არ არსებობს მეფის ისეთი მოხელე, რომელიც დამნაშავე არ იყოს ხალხის წინაშე. თუ იგი უშუალოდ არაფერს ავნებდა ხალხს, მაგრამ გულდამშვიდებით უყურებდა გლეხის ყელეფას, ესეც მძიმე დანაშაული იყო, რადგან პატიოსანი კაცი გულგრილად ვერ მოეკიდებოდა გლეხთა აბუჩად აგდებას, შევიწროებას, ჩაგვრას. აი, რისთვის სჯიდა გამძვინვრებული ხალხი იმთაც კი, ვისაც მისთვის „არა დაუშავებია რა“[41].

---

38 ნ. ნიკოლაძემ დაუნდობლად ამხილა ამ ჭეშმარიტად ლიბერალი მოღვაწის წარსული, მისი ორჭოფი და ორაზროვანი მოქმედება, როდესაც იგი, ს.—პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, ერთი მხრივ, თავისი მგზნებარე სიტყვებით აქეზებდა ახალგაზრდებს, უბიძგებდა მათ გამოსვლებისაკენ, ხოლო, მეორე მხრივ, უკან ერეკებოდა მათ, ქადაგებდა ზომიერებას; ერთი მხრივ, თავი ისე მოაქონდა, ვითომდა უაღრესად მოწინავე იდეებს ენერგიას ახალგაზრდებში, ხოლო, მეორე მხრივ, უწინააღმდეგებოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას რუსეთში, ეს რეფორმაც კი ნაადრევია ჩვენშიო. ნ. ნიკოლაძემ დაანახა თბილისის საზოგადოებას, რომ ამ მერყევ, მბრალ და თვალმაქცე ადამიანს პეტერბურგის მოწინავე ინტელიგენციამ და, უწინარეს ყოვლისა, სტუდენტობამ ზურგი შეაქცია მაშინვე, როგორც კი გაიგო მისი ინება, და ჩამოაგდო იმ კეკლუცობეკიდან, რომელზეც ესოდენ დაუმსახურებლად იყო ეზანა. ამით ნ. ნიკოლაძემ სახელი გაუტეხა სპასოვიჩს საქართველოშიც და ძლიერ შეარყია მისი ავტორიტეტი და გავლენა.

39 „ჩქოტუას სკმე“, ანუ იმ დროისათვის ფრიად გახმაურებული და შემზარავი სასამართლო პროცესი ნინო ანდრეევსკაიას მკვლელობის გამო. ეს ქალი ნახევრად ქართველი იყო, ნახევრად რუსი. 1876 წლის ზაფხულში იგი გაიტაცეს თავისი დის—გ. შერვაშიძის მეუღლის—სახლიდან მთიშვე მსახერებმა. მაგრამ ნ. ანდრეევსკაის გატაცება და მოკვლა დაპირალად თავად თვით ჩქოტუას—გ. შერვაშიძის ძმადნაფიცსა და მოურავს (ამ ვერსიის ავტორი იყო თვით მეღილაცვალე, დიდი მთავარი მიხეილი, რომელიც დაინტერესებული იყო იმით, რომ გ. შერვაშიძისათვის—ოფიზეის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრისათვის—გაეტეხა სახელი). დ. ჩქოტუას სამსის გამო ჩვენს იმპერიონელ პრესაში დიდი ყამაო ატყდა. ნ. ნიკოლაძეს სწერდა დ. ჩქოტუას დანაშაული ამ მკვლელობაში და უსაყვედურებდა თავის მოწინააღმდეგეებს (მაგალითად, ბ. ლოლობერძეს), როგორ თელდნით ასეთ ადამიანს ახალთაობის კაცად (დ. ჩქოტუა პეტერბურგის უნივერსიტეტის დიპლომანტი იყო), თვრგდალეულთა მიმდინარეობის მონაწილედ-ო. მაგრამ ჩვენი იმპერიონელი საზოგადოების ნაწილს დ. ჩქოტუა უდანაშაულოდ მიაჩნდა და პრესაში საწინააღმდეგო შეხედულებებს ავრცელებდა (დაწერილების ამის შესახებ იხილეთ ს. ჯანაშიას გამოკვლევა: „დავით ჩქოტუა და მისი „ეეფხისტყაოსანი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“, 1934, № 1).

40 იხ. გაზეთი „ობზორი“ № 317, 1878 წ. 26/XI, სხვათა შორის ნ. ნიკოლაძე იმასაც ესაყვედურებდა ვ. დ. სპასოვიჩს, თუ შენ ჩქოტუას სიმართლე გწამდა, მაშ რად გამოართვი ეგოდენ დიდი თანხა ღარიბსა და უქონელ თავადს? სიმართლე უსასყიდლოდ უნდა დაგეცვა და პრტი გზის ბაძვის ანაზღაურებით დაგვაჯილდებულიყავით.

41 იხ. „ობზორი“ № 167, 1878 წ. 25/VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ნიკოლაძემ სპეციალური შესწავლის საგნად გაიხადა სამეგრელოს, სვანეთისა და სიღნაღის აჯანყების მიზეზთა საკითხი[42]. ის იმ დასკვნამდე მივიდა.

---

[42] მხედველობაში გვაქვს ლიტერატურულ მუზეუმში, დ. ერისთავის ფონდში დაცული ერთი ფრიად მნიშვნელოვანი, მაგრამ ძლიერ დაზიანებული (აკლია დასაწყისი და ბოლო; ხოლო შუაში ამოხეულია რამდენიმე ფურცელი). ხელნაწერი (იხ. ლიტერატურული მუზეუმი, დავით ერისთავის ფონდი, საქმე № 18614—6), რომელშიც განხილულია ქიზიყელ გლეხთა აგრარული მდგომარეობა და მათი აჯანყების გამომწვევი მიზეზები. დოკუმენტი დაწერილია დ. ერისთავის ხელით, ხოლო შუაში ნ. ნიკოლაძის სტატიიდან **„Наш год“**, რომელიც, როგორც ვიცით, 1877 წ. **„Альманах“**-ში დაიბეჭდა, ჩართულია ვრცელი ამონაბეჭდი. ხელნაწერის გულდასმით შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ იგი ორი ავტორის—ნ. ნიკოლაძისა და დ. ერისთავის ერთობლივი შემოქმედების ნაყოფი უნდა იყოს. ამას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტის (მხედველობაში გვაქვს სწორედ ხელით დაწერილი ნაწილი) შინაარსი, სტილი, ენა, აგებულება.

„თბილისის მოამბეში“ დ. ერისთავისა და ნ. ნიკოლაძის უთვალავი სტატია დაიბეჭდა. გაზეთზე მუშაობის დროს ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, ახლოს გავცნობოდით „თბილისის მოამბის“ წამყვანი მუშაკების (მათ შორის ამ ორი ავტორის) წერის მანერას, ენას, სტილს. „მემკვიდრეობითი პოეტი“ გაზეთში წერდა, უმთავრესად, მოსწრებულ იუმორესკებს, სატირულ ფელეტონებს, სხარტულებს საჭირბოროტო სადღეისო საკითხებზე. მართალია, მის კალამს ეკუთვნის, აგრეთვე, რამდენიმე ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი, მაგრამ პუბლიცისტურ სტატიებს სხვადასხვა სოციალურ საკითხზე იგი არასოდეს არ წერდა. ეს ნ. ნიკოლაძის სტიქია იყო. შემორჩენილი ფრაგმენტი კი სწორედ ასეთი ხასიათისაა და ენის მხრივაც იგი, ჩვენი აზრით, ნიკოლაძისა უნდა იყოს. ამასთან აღსანიშნავია ის, რომ სტატია გადაწერილია, როგორც ვთქვით, დავით ერისთავის ხელით. გარდა ამისა—იქ, სადაც მოყვანილია ამონაბეჭდი ნ. ნიკოლაძის სტატიიდან („**Наш год**“), ავტორი ნ. ნიკოლაძეს მესამე პირში იხსენიებს. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ სტატიას ორი ადამიანი წერდა.

საქმე ის არის, რომ 1879 წ. [სტატიის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი ან 1878 წლის დამლევს (ნოემბერში) უნდა იყოს დაწერილი, ან სულაც 1879 წელს. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ აქ მსჯელობაა სიღნაღის გლეხთა აჯანყების თაობაზე გამართულ სამხედრო სასამართლოსა და მისი განაჩენის შესახებ, რომელიც გამოტანილ იქნა, როგორც ცნობილია, ნოემბერში] ნ. ნიკოლაძე უგაზეთოდ აღმოჩნდა: „ობზორი“ დაიხურა, „თბ. მოამბესა“ და „დროებაში“ იგი უკვე აღარ მოღვაწეობდა, „კავკაზი“ კი საწინააღმდეგო მიმართულების გაზეთი იყო. ასეთსავე მდგომარეობაში ჩავარდა დავით ერისთავიც, რომელმაც ჯერ კიდევ 1878 წ. მიწურულში, სახელდობრ 4 დეკემბერს, გამოაქვეყნა გაზეთ „ობზორში“ (№ 325) წერილი იმის შესახებ, რომ მან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა „თბილისის მოამბესთან“, მაგრამ დ. ერისთავი ამ დროს პეტერბურგის გაზეთ „**Голос**“-ის საკუთარი კორესპონდენტი იყო. საარქივო მასალები (დ. ერისთავისა და ნ. ნიკოლაძის მიმოწერა) მოწმობენ, რომ ამ, ასე ვთქვათ, „უგაზეთობის ჟამს“, ნ. ნიკოლაძე კვლავ დაუკავშირდა (იგი ხომ წინადაც, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, თანამშრომლობდა „**Голос**-ში, სადაც სამხედრო კორესპონდენციებს ბეჭდავდა) პეტერბურგის გაზეთს დავით ერისთავის მეშვეობით (არ არის გამორიცხული, რომ ნ. ნიკოლაძე ამ დროს სულაც დ. ერისთავის მაგივრად წერდა სტატიებს „გოლოსში“, რადგან „მემკვიდრეობითი პოეტი“ ამ დროს ქართული თეატრის აღორძინების საქმეებით იყო გართული და დაკავებული). ყოველივე ამას გვაფიქრებინებს ნ. ნიკოლაძის პირად არქივში შემონახული დავით ერისთავის წერილი (იხ. საქმე № 14—141, საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა), სადაც ის წერს: „ნიკო! მიკვირს შენგან რომ აქამდის არა გამომიგზავნე რა „**Голос**“-ში (ეს სიტყვა წითელი მელნით ჩამატებულია ნ. ნიკოლაძის ხელით—ლ. ჩ.) უთოროთ მაფანელი არ გეპირვება. გეთაყვა გამომიგზავნე რამე, თორემ ერთი თვეა არა გამიგზავნია რა (ხაზი ჩვენია—ლ. ჩ.). კასპს გამომიგზავნე. შენი დავით ერისთავი. 1879, 19 ივლისს. ს. ოძისი“.

ამის საპასუხო წერილში, რომელიც დ. ერისთავის პირად ფონდში ვიპოვეთ (იხ. საქმე № 18910—6), ნ. ნიკოლაძე ქუთაისიდან 23 ივლისს სწერს დავით ერისთავს: „ძმაო დავით, შენ სცდები, როცა ფიქრობ, ვითომ იმიტომ არ ვსწერ, რომ ფული ბლომათ მაქვს. წერას მე ავადმყოფობა მიშლის... დღეს გიგზავნი კორესპონდენციას. იმედი მაქვს, რომ რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ დავამზადებ რასმე, თუ კარგად ვიქენი.

რომ, მიუხედავად ამ აჯანყებათა გარეგნულად გამასხვავებელი ნიშნებისა, მათ საერთო ის ჰქონდათ, რომ გლეხი მძიმე ეკონომიურ ჩაგვრას განიცდიდა. მას ბატონყმობის გადმონაშთები ახრჩობდა და იგი ვერ შერიგებოდა დროებით ვალდებულებასო—ბატონყმობის ნაშთს. თუ სიღნაღის აჯანყების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ მეფის მოხელენი უხეშად არღვევდნენ მილიციაში გაწვევის წესებს, ხოლო სამეგრელოს და სვანეთის აჯანყების დროს გლეხები ამას არ უჩიოდნენ, ეს იმით აიხსნება, რომ მაშინ (ე. ი. 1874—1875—1876 წლებში) მილიციონერთა გაწვევის ახალი წესების შესახებ ჯერ არსად, არც აღმოსავლეთ და არც დასავლეთ საქართველოში არაფერი ისმოდა. სამაგიეროდ სიღნაღელი გლეხები ისევე უჩიოდნენ თავიანთ მძიმე და გაუთავებელ ვალებს, როგორც ხსენებული ორივე მაზრის აჯანყებული გლეხები. სიღნაღელი გლეხებიც თურმე, სიხარულით შეჰყურებდნენ უხვ მოსავალს, რომელიც მათ ასალებს ჰქონდათ, და იმედოვნებდნენ ამ ჭირნახულით ვალების გასტუმრებას, მაგრამ ბოლო მომენტში მათ მობილიზაციის წესით წაართვეს ცხენი და ხარ-კამეჩი. ერთი სიტყვით, გამწევი ძალა, ვითომდა ლეკებისაგან კახეთის დასაცავად. თვითონ გლეხები ამ სამეურნეო გაჭამაწიის დროს მოსწყვიტეს თავიანთ ყანებს და გარეკეს სამხედრო სამუშაოზე ბეგარის მოსახდელად. შეძლებულმა გლეხებმა ფულით დაიხსნეს თავი და შინ დარჩნენ, ღარიბებს კი, როგორც იტყვიან, ქვა აღმართში დაეწია: მათ ვერც მოსავლის აღება შესძლეს, საქმეც წაუხდათ და ვალებიც გაუსტუმრებელი რჩებოდათ. სწორედ ასეთ ვითარებაში ხელისუფლებმა ცეცხლს კიდევ ნავთი შეასხეს და კენჭისყრით წვევამდელთა მობილიზება მოითხოვეს. გლეხები სწორედ ამ წესით ჯარში გაწვევამ აღაშფოთა. საქმე ის იყო, რომ ამ წესს სოფლის მამასახლისები და მაზრის უფროსები ისე იყენებდნენ, რომ მდიდარ გლეხთა შვილები ჯარში არ მიჰყავდათ, ხოლო ღარიბებისა (უწლოვანნი და უსაკონიც კი), როგორც უკვე აღვნიშნეთ, 18 წლისად საღდებოდნენ და მილიციონერებად მიდიოდნენ.

მაგრამ თუ ამ ნიშნით კახეთის აჯანყება განსხვავდებოდა წინამორბედ

---

დღეს ვნახე „Голос“-ში ჩემი ფელეტონი. იმაში 56 მანეთი მერგება. პროცესშიდაც მერგება რამე (25 მანეთს ხომ ვერ დამაჯერებთ!). მაშ იმედი მაქვს, რომ მალე გამომიგზავნი ხუთიოდე თუმანს, ანდა მეტს. ძლიერ მჭირდება აქ ფული. რადგან ფოშტით გამოგზავნა ძნელია, უბრალო წიგნებში ჩადევი თითოში 25 მანეთიანი და ისე გამომიგზავნე. ორს ამისთანა წიგნს ველი შენგან მოუთმენლად.

შენი ნ. ნიკოლაძე“.

ამ წერილიდან ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძეს 1879 წ. „Голос“-ში რამდენიმე სტატია დაუბეჭდავს: ერთი ფელეტონი (იხ. „Голос“ 1879, №№ 155, 156, გვ. 3) და, ბოლოს, ის წერილი, რომლის შესახებაც ნ. ნიკოლაძე სწერს დავით ერისთავს, „დღეს გიგზავნი საინტერესო კორესპონდენციასო“. ჩვენი აზრით, ეს წერილი „Голос“-ში დაიბეჭდა 9 აგვისტოს ნომერში (იხ. „Голос“ № 218, 9/VIII: Кутаис, 24 июля). იგი მთლიანად გლეხთა აგრარული საკითხისადმია მიძღვნილი. შესაძლებელია, დავით ერისთავმა მოიწადინა ამ წერილის გამოყენება ქიზიყის და საერთოდ ქართველ გლეხთა აჯანყებისადმი მიძღვნილი რაიმე კრებულის (ან სულაც გლეხთა დასაცავად მოხსენებითი ბარათის) შესადგენად და ამიტომ გადაწერა ან გადაამუშავა იგი. არ არის გამორიცხული ის, რომ ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ ხელნაწერს სწორედ ის ნაწილი აკლია, რომელიც პეტერბურგს გაიგზავნა „Голос“-ში დასაბეჭდად. ყოველ შემთხვევაში უდაოა ის, რომ ხელნაწერი ფრაგმენტიც და „Голос“-ში გამოქვეყნებული სტატიაც ამჟღავნებენ ქართველ საზოგადოებრივ მოღვაწეთა გულმხურვალე მონაწილეობას და დაინტერესებას აჯანყებული გლეხების ბედ-იღბლით, მათი ეკონომიური თუ სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობით. ორივე დოკუმენტი ამჟღავნებს მათი ავტორების სურვილს, დაიცვან გლეხები მთავრობის რისხვის წინაშე და გაამართლონ თვით მათი აჯანყების ფაქტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აჯანყებათაგან, სამაგიეროდ მათ საერთო ის ჰქონდათ, რომ აქაც გლეხები ემუქრებოდნენ თავიანთ ყოფილ მემამულეებს, არ გადავიხდით მოსავლის მეოთხედსო[43] (მაგალითად, თავად რევაზ ვაჩნაძის სახლის დარბევისას გლეხები სწორედ ამას გაიძახოდნენ). ესე იგი, აქაც სოციალური პროტესტი, აგრარული ურთიერთობა იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გლეხების აჯანყებისა[44].

აძგვარი ანალიზის ცდას სიღნაღის გლეხთა აჯანყებისას ჩვენ, სამწუხაროდ, ვერსად წავაწყდით „თბილისის მოამბის“ ფურცლებზე. არც საცენზურო კომიტეტის მასალებში აღმოჩნდა რაიმე „დაპატიმრებული“ სტატია ან წერილი ამ გაზეთის მუშაკისა, მიძღვნილი ჩვენთვის საინტერესო საკითხისადმი.

ამით სრულებითაც არ გვინდა ის ვთქვათ, თითქოს გაზეთი შემდეგშიც არ იჩენდა დაინტერესებას გლეხთა მძიმე ეკონომიური და სოციალური მდგომარეობით, სრულებითაც არა. „თბილისის მოამბეში“ მრავლად მოიპოვება მასალა, რომელიც შესანიშნავად ასახავს გლეხთა უმიწაწყლობას, მათს დუხჭირ ყოფას, მათს დაბეჩავებას, ჩაგვრას და ყვლეფას ყოფილ მემამულეთა, ჩარჩ-ვაჭართა, თავგასულ სოფლის, მაზრის თუ გუბერნიის ხელისუფალთა მხრივ, მაგრამ ანალიზი ამ ფაქტებისა, აქედან გამომდინარე დასკვნები, ან გზები, გაზეთის მუშაკებს იმხანად რომ დაესახათ ამ დაძაბუნებული მდგომარეობიდან გამოსავლის საპოვნელად, არსად ჩანს. საკითხი ან ღიად არის დატოვებული, ან გადაწყვეტილია გულშემატკივრული სენტენციებით და სენტიმენტალური ფრაზებით. ამიტომ (ამ და სხვა მიზეზების გამო) ჩვენ ვასკვნით, რომ 1878 წლისათვის გაზეთმა, ნებსით თუ უნებლიედ, აშკარად თუ საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ შეუმჩნევლად, მაგრამ ფრიად მნიშვნელოვნად, იცვალა ფერიცა და ზნეც, იცვალა თავისი ადრინდელი მიმართულება და მებრძოლი დემოკრატიული გაზეთიდან კუდში მაჩანჩალა მხდალ ლიბერალურ ფურცლად იქცა.

---

43 იხ. ლიტერატურულ მუზეუმში ზემოხსენებული ხელნაწერი № 18614—ა.

44 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თარგმანება „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ვაეპისა

ი. ლოლაშვილი

(წარმოადგინა აკად. ალ. ბარამიძემ)

## 1. „ეს გუჰარი“, „ესეგვარი“ თუ „ესე გვარი“

გულაწუაროს მეფის მონათა უხუცესი ფატმანთან მივიდა და უთხრა: შენ რომ დამალული მზეთუნახავი ქალი გყავს, ის ჩვენს მეფეს სარძლოდ უნდა და „აწ მომგვარე, წავიყვანოთ“. ფატმანი ძლიერ შეწუხდა, მაგრამ უარის თქმა არ შეძლებოდა, საიდუმლოება გამჟღავნებული იყო. მაშინვე ის თავის საგანძურში შევიდა, ძვირფასი თვალ-მარგალიტი აიღო, ნესტანს წელზე შემოარტყა და უთხრა: „ჩემო, განღა სადმე გეხმარების ესე გვარი“ (1178,1), შემდეგ კი ქალი მონათა უხუცესს ჩააბარა.

ამ კონტექსტში განმარტებას მოითხოვს სიტყვა „ესე გვარი“. პოემის ძირითად ხელნაწერთაგან მის განსხვავებულ წაკითხვას გვაძლევს მხოლოდ ორი ნუსხა: F—ეს გუჰარი, J—ეს გუარი[1]. პირველად მისი მნიშვნელობის ახსნა სცადა იუსტ. აბულაძემ. მან თქვა: „ესე გვარი“ დამახინჯებული წაკითხვაა. „ყველაზე სწორი და სარწმუნო ვარიანტია“ FJ ხელნაწერების „ეს გუჰარი“, ან „ეს გუარი“. აქ „გუჰარ“ („გუარ“) სპარსულად მარგალიტის თვალს ნიშნავს და ეს მნიშვნელობა „ძალიან უხდება აზრსო“ (შესწორებანი და შენიშვნანი, 1914, გვ. 93,101; შაჰნამე, I, გვ. 799—800; ვეფხ., 1926, გვ. 229). ს. კაკაბაძემ პოემის მეორე გამოცემაში დაბეჭდა „ესე გვარი“ (სტრ. 1178), ლექსიკონში კი ახსნა როგორც „მარგალიტის თვალი“ (გვ. 194). კ. ჰიუნანძემ გაიზიარა იუსტ. აბულაძის შესწორება (სტრ. 1241), 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში აღდგენილ იქნა ტრადიციული „ესე გვარი“, ხოლო 1951—1957 წლების გამოცემებში—„ესეგვარი“, რაც ნიშნავს: „ამნაირი, ამის მსგავსი“ (შდრ.: „ესეგვარი საზრახავი დაუზრახა გულსა შინა“, 1091,1). და ბოლოს, ამ სიტყვას შეეხო ვ. ნოზაძე: „ესე გვარი“ უნდა გავიგოთ, როგორც „ეს მარგალიტი“, ხოლო ტაების აზრი ასეთია: „ოღონდაც სადმე მოგეხმარება, გამოგადგება ეს მარგალიტი (და თვალიო)“ (ფერთამეტყვ., გვ. 133—134).

მკვლევართა მიერ ტაების შინაარსი ძირითადად სწორად არის გაგებული, ოღონდ საცილობელია დაწერილობა სართიმო სიტყვისა: ესე გვარი, ეს

[1] ხელნაწერთა შიფრები მითითებულია წიგნიდან „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“, რომელიც ოთხ ნაკვეთად გამოაქვეყნა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილებამ (1961—1963 წწ). ლიტერატურა დასახელებულია შემოკლებებით. დამოწმებულ ციტატებში დაყოფა თუ ხაზგასმა ყველგან ჩემია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუჯარი თუ ესეგვარი? უკანასკნელი წაკითხვა საანალიზო კონტექსტს შინაარსობლივად არ ეფარდება და ის, როგორც წერითი შეცდომა, მექანიკურად უნდა უკუგდებულ იქნეს. „ეს გუჯარი“ აზრიანი ვარიანტია, ოღონდ ის ნარედაქციებ ხელნაწერებშია დაცული. ამასთან არ არის აუცილებელი სადავო სიტყვა პოემაში სპარსული ფორმით შემოვიტანოთ. თვით ნაცვალსახელი „ეს“ რუსთაველის ენისათვის ნაკლებ დამახასიათებელი ფორმაა (უფრო ხშირად გვხვდება „ესე“). მაშასადამე, რჩება ტრადიციული წაკითხვა „ესე გვარი“, რომელიც დამოწმებული გვაქვს ბევრ ძირითად ხელნაწერსა და გამოცემაში.

რას ნიშნავს „ესე გვარი“?—იმასვე, რასაც „ეს გუჯარი“ (ან „ეს გუარი“). მისი გააზრება როგორც „ამნაირი, ამის მსგავსი“ შეცდომა იქნებოდა. კონტექსტით, აქ „გვარი“ არ არის არც ის სიტყვა, რომელიც გვხვდება პოემის სხვა სტროფებში, მაგ.: „ეე დიდებულთა დიდ-გვართა“ (992,3), „ბინდის გვარია სოფელი“ (1090,3), „გვარად უცხონი ყვავილნი“ (1061,3) და სხვა, არამედ ის მიღებულია სპარსული სიტყვიდან „გუჰარ“ (ქართულად: გუჰარ-ი, გუარ-ი, გვარ-ი). ძველ ქართულ თხზულებებში გვხვდება ამ სიტყვის სხვანაირი დაწერილობაც: გოვარ-ი, გოარ-ი, გორ-ი, და ყველა ეს ქართულად ნიშნავს მარგალიტის თვალს, როგორც ამას სწორად განმარტავენ ლექსიკოგრაფები. ეს სიტყვა აქ ახსნილი მნიშვნელობით ხშირად იხმარება კლასიკური და აღორძინების ხანის საერო-მხატვრულ ძეგლებში. ასე მაგ.: „ვისრამიანში“ ნათქვამია: მოყვარენი „ოდეს წალკოტს იყვნიან, ოქროსა და გოარსა აყრიდეს ნიავი თავსა“ (ჩვენი საუნჯე, II, გვ. 258), ხოლო „აბდულმესიანში“ ვკითხულობთ:

ვინც იწყოს რიცხვი, იქმნას ურიცხვი
გოარი მათგან დანათვალითა (43,1),
გვცა სრა სრულებით, სავსედ სრულებით
თვალ-გვარებით, ოქროს მილებით (65,2).

„რუსუდანიანში“ კი „ესე გვარის“ ბევრი ანალოგიური დაწერილობაა შემონახული: „თავსა გვარი გარდაყარეს“ (გვ. 61), ზაჰმა „თავსა გვარი გარდააყარა და პირსა მზიანსა აკოცა“ (გვ. 68), „გაგზავნეს კაცი ჯორ-აქლემთა და სპილოთა მოსასმელად და მის უსახოსა თვალ-გვარის წასაღებლად“ (გვ. 74) და სხვა მრავალი.

ამრიგად, 1178-ე სტროფის პირველი ტაეპი „ვარქვი: ჩემო, განღა სადმე გეხმარების ესე გვარი“ ნიშნავს: ვუთხარ: ჩემო, იქნებ სადმე გამოგადგეს (დაგჭირდეს) ეს თვალ-მარგალიტი. ამგვარი წაკითხვა და განმარტება გამართლებულია ხელნაწერების ვარიანტებითა და თხრობის სათანადო კონტექსტით.

### 2. სახითა თუ ხასითა

ტარიელი უყვება ავთანდილს: დილით ადრე მეფემ და დედოფალმა სასახლეში დამიბარეს. ავდექ და იმავე წამს გავეშურე. დარბაზში რომ შევედ, „ენახე, ორნივე ერთგან სხდენ ხ ა ს ი თ ა ოდენ სამითა“ (ე. ი. ენახე, რომ ორნივე, მეფე და დედოფალი, ერთად ისხდნენ მხოლოდ სამი დიდებულით). მათ დაჯდომა მითხრეს, მეც „წინაშე დავჯე სკამითა“ (სტროფი 507) და ა. შ.

გამოთქმა „ხასითა ოდენ სამითა“ ძველ გამოცემებსა და ბევრ ძირითად ხელნაწერში იკითხება დამახინჯებით, როგორც „სახითა ოდენ სამითა“. 1937 წლამდე მკვლევართა მიერ აუხსნელი რჩებოდა, თუ რას ნიშნავდა ეს წაკითხვა. როგორ შეიძლებოდა მეფე და დედოფალი ერთად სამი სახით მსხდარიყვნენ?! ეს რაღაც არა რუსთველურ და ყალბ მხატვრულ სახეს წარმოადგენდა და პოემის გამომცემლები ცდილობდნენ მის გააზრიანებას.

პირველად ამ გამოთქმის განმარტება სცადა ვახტანგ მეექვსემ. იგი პოემის კომენტარებში წერს: „სახითა ოდენ სამითა რომე სწერია, მართლა კი არ ვიცი და მე ასრე მგონია: ორნი—მეფე-დედოფალი და მესამე—ერთი ვეზირი მისანდოც. თუ ასრე არ დაწერა «სახითა ოდენ სამითა», ლექსი არ გაიწყობოდა. და ერთს კიდევ ამას ვეჩვობ, რომე, ვითაც ხელწიფენი ღმრთის ჩრდილად რომ არიან თქმულნი, ორნი ერთად რომ ისხდენ სახით სამითა, ვითამ კინაღამ სამების სახედ ისხდენო. ძლერებასა და საზარელობას უქებს თავის პატრონს. ოდნობა რა არი, ვერ ვაგრძნეთ“ (გვ. ტკო). ამ განმარტებაში საყურადღებოა სამი გარემოება: ა. ვახტანგს ეჭვი შეაქვს წანაკითხის სისწორეში: „სახითა ოდენ სამითა“ მართლა ასე უნდა იყოს, თუ სხვანაირად, არ ვიცი“, და, ცხადია, სათანადო მასალების უქონლობის გამო მის შესწორებასაც ვერ ბედავს. ბ. მას არ ესმის, თუ რას ნიშნავს „ოდენ“-სიტყვა („ოდნობა რა არი, ვერ ვაგრძნეთო“) და გ. გამოთქმის შინაარსობლივ გააზრებაშიც ყოყმანობს: შეიძლება აქ იგულისხმებოდეს სამი პირი—მეფე, დედოფალი და ვეზირი, ხოლო „სახითა ოდენ სამითა“ პოეტურ ქლიშეციას წარმოადგენს, ან შეიძლება აქ მეფე-დედოფლის ძლიერებისა და საზარელობის გამოსახატავად მათი ღვთაებრიობა, სამების მსგავსება იყოს მინიშნებული. ერთი სიტყვით, ვახტანგს ტაეპის შინაარსი კარგად არ ესმის და მის გასააზრიანებლად სავარაუდო მოსაზრებებს გამოთქვამს.

ვახტანგის შემდეგ ამ ტაეპის შინაარსობლივ მხარეს ჩაუღრმავდა დ. კარიჭაშვილი. მან სიტყვა „სამითა“ გაიგო არა როგორც რიცხვითი სახელი სამ-ით(ა), არამედ როგორც „ამო“ (-საამო) სიტყვიდან ნაწარმოები ზედსართავი სახელი და ტაეპის შინაარსი ასე გაშიფრა: „ვნახე, ორნივე ერთად ისხდნენ იმოდენად საამურის სახითაო“ (ვეფხ., 1903, გვ. 280). ეს გაგება თითქოს აზრიანია, მაგრამ ძლიერ ხელოვნურია „სამითა“ სიტყვის „საამურად“ განმარტება, კომენტარიც დამაჯერებლობას მოკლებულია.

„ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო კომისიამ ტაეპი გაასწორა ვარიანტების შესაბამისად. ამის შესახებ საიუბილეო კომისიის თავმჯდომარე კ. კეკელიძე კომისიის მუშაობის ანგარიშში წერდა: „Читается везде: ენახე: орнивеე ერთგან სხდეს სახითა ოდენ სამითა, что значит: увидел я, что вдвоем они сидели вместе по образу трех. Абсолютная бессмыслица! Она устраняется при нашем исправлении: ენახე: ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა. «ხასი» значит: придворный, приближенный к царю. В исправленном виде перевод получится такой: увидел, что они вдвоем сидели вместе, те тремя придворными“ (ეტიუდები, VII, გვ. 288).

ეს გასწორება, როგორც უდავო და სანიმუშო, 1937 წლის საიუბილეო კომისიის წევრებმა—კ. კეკელიძემ, ა. შანიძემ, ა. ბარამიძემ, ვ. ბერიძემ, პ. ინგოროყვამ, ს. იორდანიშვილმა, ს. კაკაბაძემ და კ. ჭიჭინაძემ ერთხმად გაიზიარეს. კ. ჭიჭინაძე, რომელიც რუსთველოლოგებს ხშირად ეკამათებოდა

პოემაში შეტანილი უმნიშვნელო გასწორებების გამოც კი, 1952 წელს წერდა: წაკითხვა „სახითა ოდენ სამითა“ არის „სავსებით უაზრო. მართლაც, რას ნიშნავს ორი ადამიანის სხდომა სამი სახით?“ ხოლო „ხასითა ოდენ სამითა“ არის „საინტერესო გასწორება“, რომელშიც „უკვე ყველაფერი ნათელია: მეფე-დედოფალს მოთათბირებდ მიეწვევია სამი რჩეული პირი (ხასი)“... და იქვე კმაყოფილებით დასძენდა: „გასწორება ვეფხისტყაოსანში ასეთ გასწორებას ჰქვიან“ (რუსთაველი და მისი პოემა, 1960, გვ. 171).

ამავე გასწორების ორჯერ შეეხო ა. ბარამიძე („შითა რუსთაველი“, 1958, გვ. 12—13; „ხელისხელ საგოგმანები მარგალიტი“, გაზ. „კომუნისტი“, 1962, № 72); აღნიშნა: საიუბილეო კომისიის გასწორება „ხასითა ოდენ სამითა“ ეჭვს არ იწვევს; „ხასითა-ს გადაკეთება გამოთქმით სახითა გრაფიკულ ნიადაგზე ადვილი ასახსნელია“; „ტარიელს დარბაზში დახვედრია მეფე და დედოფალი სამი დიდებულით“.

უკანასკნელ ხანს ამ აღდგენილი ტაეპის შესახებ „მნათობში“ (1962, № 11, გვ. 166—169) დაბეჭდა წერილი („ვეფხისტყაოსნის ერთი ტაეპის გაგებისათვის“) ვ. გაბესკირიამ და სადავოდ გახადა წაკითხვა „ხასითა ოდენ სამითა“. იგი წერს: „ამგვარად წაკითხული ტაეპი, ბალასტია რუსთაველის დიად შენობაში“, იგი „ყოველგვარ მხატვრულობას მოკლებული ფრაზაა“, ამგვარი გაგების წყალობით ტაეპს ეკარგება ქვეტექსტები, პოეტური გზნება“. ხოლო როცა ვკითხულობთ „ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა“, მაშინ „ეს ტაეპი მეტად ძვირფას მხატვრულ სახედ გვევლინება, ვინაიდან ტახტზე ერთგან მსხდომნი მეფე-დედოფალი ტარიელმა ჯერ ერთ არსებად აღიქვა, შემდეგ კი სამპიროვან ღერთად“, ან: „ასე გვგონია, იმ დროს სასახლეში დიდი სინათლე დგას, ყველაფერი ბრწყინავს“. ამიტომ ვ. გაბესკირია რუსთველოლოგებს საყვედურობს კიდეც: „რატომ უნდა ამოვიღოთ ვეფხისტყაოსნის საგანძურიდან ძვირფასი თვალი („ხასითა ოდენ სამითა“, ი. ლ.) და მის ნაცვლად კენჭი („ხასითა ოდენ სამითა“, ი. ლ.) ჩავაგდოთ?“... მოკლედ, იგი მოითხოვს, რომ „ხასითა“ შეიცვალოს წანაკოთხით „სახითა“.

ვ. გაბესკირიას მოსაზრება უარყო ვ. ნოზაძემ წიგნში „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“ (გვ. 458—460).

რა ითქმის ამ მოსაზრებათა შესახებ? გამოთქმა „ხასითა ოდენ სამითა“ შესწორების არ საჭიროებს. იგი დადასტურებულია პოემის ექვსი (CFGLTY) ძირითადი ხელნაწერით, რომელნიც XVII—XVIII საუკუნეებით თარიღდებიან. „ხასითა“-წანაკოთხს მხარს უჭერს XVII საუკუნის J ნუსხის ვარიანტიც—„ხასნითა“. ხოლო წანაკოთხი „სახითა“ გრაფიკულ ნიადაგზე აღმოცენებული დამახინჯებაა სიტყვისა „ხასითა“. ხ—სა და ხ—ს აღრევა ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგ., უნდა იყოს „ჯარი გამრავლდა ხასისა“ (44,1). „ათი ათასი ჭაბუკი დგას ყველა კაი ხასები“ (1243,2), „რომე სპარსნი გაგვახასდენ“ (540,4) „აწ თქვენგან გავხასდი“ (763,3), მაგრამ ზოგან დაყოფილი სიტყვები იკითხება ამგვარად; „სახისა“ ($O^1$), „სახები“ (FL), „გაგისახდენ“ (L), „გავსახდი“ (C) და ა. შ. მაგრამ დავანებოთ თავი „სახითა—ხასითა“-ს აღრევის ფაქტებს და გადავიდეთ ტაეპის შინაარსობლივ მხარეზე.

რას ნიშნავს სიტყვა „ხასი“ და რა და რა მნიშვნელობით იხმარება იგი ვეფხისტყაოსანში?

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხასი“ არაბული სიტყვაა (ხას) და ქართულში სპარსული ენიდან უნდა იყოს შემოსული. მას აქვს რამდენიმე მნიშვნელობა: 1. თავისებური, განსაკუთრებული, უცნაური, საუცხოო, საუკეთესო; გამორჩეული, რჩეული; 2. წარჩინებული, პრივილეგიანი, მეფესთან დაახლოებული პირი; დიდებული, დარბაისელი, დიდი კაცი; კარის კაცი, კამერდინერი; 3. წმინდა, ხალასი, შეურეველი (ცენკერი, გვ. 400; გაფაროვი, I, გვ. 275). ქართულში ეს სიტყვა სამივე მნიშვნელობით იხმარება. გვხვდება მისგან ნაწარმოები სიტყვებიც: ხასადი, სახასო, გახასება, გახასებული, ხასაგიანი და სხვა. ვეფხისტყაოსანში „ხასი“ თხუთმეტჯერ არის ნახმარი და უმრავლეს შემთხვევაში ნიშნავს „დიდებულს“.

აი ამის დამადასტურებელი მაგალითებიც:

1. ავთანდილმა უცხო მოყმის საძებნელად წასვლის წინ უთხრა შერმანდინს: „წიგნსა მოგცემ, გმორჩილობდენ, ვინცა იყოს ჩემი ხ ა ს ი“ (164,4). შემდეგ დაწერა ბრძანების წიგნი, რომელიც შერმანდინს დაუტოვა, და ცხენით მარტო გაემგზავრა, ხოლო

> შერმანდინ ერთგან შეყარნა ხ ა ს ნ ი და დ ი დ ე ბ უ ლ ე ბ ი,
> უჩვენა იგი უსტარი, ამბავი მისი თქმულები“ (175, 1—2) და სხვა.

2. როსტევან მეფემ ავთანდილის გაპარვა რომ შეიტყო, მოთქმით პირის ხოკა და წვერის გლეჯა დაიწყო. სასახლეში „შემოკრბა ჯარი მრავალი კაცისა“. ყველა თავში ხელს იცემდა და იგლოვდა. პოეტი ამბობს: „დარბაზს ხ ა ს თ ა გ ა ნ ჯარია ხელითა წვერთა ტაცისა“ (825,2). როსტევანი გაეგება მათ; „რა მეფემან დ ი დ ე ბ უ ლ ნ ი ნახნა, სულთქმით შემოსტირნა“ (826,1) და ა. შ.

3. ნესტანთან ერთად ინდოეთში დაბრუნებულმა ტარიელმა „რა ნახნა ხ ა ს ნ ი, ვაზირნი ფლასითა დამოსილნია“, თვალთაგან სისხლის ცრემლები გადმოყარა: სიხარული და გლოვა ერთმანეთს დაერთო. „დ ი დ ე ბ უ ლ-ნ ი მოეხვივნეს, მოუზრუნეს მათ ცოლ-ქმართა“ (1624—1625) და ა. შ.

სამივე შემთხვევაში „ხასი“ და „დიდებული“ სინონიმებია. რუსთაველი მათ ერთმანეთს უნაცვლებს: ერთსა და იმავე კონტექსტში ხან „ხასს“ ხმარობს და ხან— „დიდებულს“. ეს არის მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი სტილური ნიშანი. ასეთი შენაცვლებით ფრაზას მხატვრული ელფერი ეძლევა და თხრობა მიმზიდველი ხდება. 175-ე სტროფში შემონახული გამოთქმა „ხასნი და დიდებულები“ ისეთივე სინონიმური წყვილია, როგორც რიცხვი და ჰამარი, გუშაგი და ებგური, ფანჯარა და სარკმელი, მტერი და დუშმანი. ამ წყვილებში ერთი უცხო სიტყვაა (ხასი, ჰამარი, გუშაგი, ფანჯარა, დუშმანი), მეორე კი— ქართული (დიდებული, რიცხვი, ებგური, სარკმელი, მტერი), ხოლო ორივე წყვილად აღებული ერთი ცნების გამომხატველია. ძველ ქართულში ორი, ერთნაირი მნიშვნელობის სიტყვის შეწყვილება ჩვეულებრივი მოვლენაა, და ეს გარემოება ზოგჯერ საგრძნობლად აადვილებს ამა თუ იმ უცნობი სიტყვის მნიშვნელობის ამოხსნას.

ვეფხისტყაოსანში „დიდებულის“ მნიშვნელობით „ხასი“ დამოწმებულია აგრეთვე შემდეგ ტაეპებში:

44,1: თინათინის მეფედ კურთხევის დროს „მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯ ა რ ი გამრავლდა ხ ა ს ი ს ა“ — მთელი არაბეთი მოვიდა, დიდებულთა კრებული გამრავალრიცხოვანდა.

471,1: „მერმე ყველაი დამოსა, იგი და მისი ხასია“—მერმე (ფარსადან მეფემ) დამოსა ყველა—იგი (რამაზ მეფე) და მისი დიდებულები.

552,3: სასიძოს მოსულის გამო „შეიქნა გასული შიგნითა, ჯარია მუნ ხასებისა“—სასახლეში მყოფებმა (მოქალაქენი) გამოსცლა დაიწყეს, იქ დიდებულების სიმრავლე, შეყრილობაა (იქ დიდებულებს მოუყრიათ თავი).

1205,2: „ისი კაცი ჰშვნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი“—ის კაცი, რომელსაც ჰშვნაგირი ჰქვიან, სასახლეში (მეფისაგან) წარჩინებული, უფლებამოსილი, პრივილეგიანი პირი იყო[3].

ამრიგად, ძველ ქართულში „ხასის“ ერთ-ერთი მნიშვნელობაა „დიდებული, დიდი კაცი, დარბაზის ერი“ და გამოთქმაში „ხასითა ოდენ სამითა“ სიტყვა „ხასი“ მხოლოდ დიდებულს, დარბაზის ერს აღნიშნავს. მაგრამ ეგვე სიტყვა რუსთაველის პოემაში სხვა მნიშვნელობებითაც არის შემონახული. ფატმანი ავთანდილს უამბობს, თუ ქაჯთა ქალაქი როგორ არის გამაგრებული: ქალაქში არისო მაღალი და გრძელი კლდე, რომელსაც შიგნიდან აქვს ასაძგრომი ხვრელი ანუ გვირაბი და

გვირაბის კარსა ნიადაგ მოყმე სცავს ას ჰირ-ნასები,
ათი ათასი ჰაბუკი დგას, ყველაკაი ხასები,
ქალაქის კართა სამთავე—სამათას-სამათასები (1243).

აქ გამოთქმას „ყველაკაი ხასები“ რუსთველოლოგები სხვადასხვანაირად განმარტავენ: თეიმურაზ ბაგრატიონი წერს: „ხასები—კაცნიერნი და შვილდავნი ბრძოლისა“ (განმარტება, გვ. 236). ნ. მარი კი სტროფის პირველ ორ ტაეპს თარგმნის ასე: „У дверей потайного хода на страже находятся постоянно прекрасноликие витязи (მოყმე): стоят десять тысяч витязей (ჰაბუკი), все они придворные“ (ТР, XII, გვ. XXXII). ამ თარგმანით „ხასები“ გაგებულია როგორც „придворные“, ხოლო „ხასი ჰაბუკები“—სამეფო კარის რაინდებად. ტაეპის ამგვარი გაგების სისწორე არ არის გამორიცხული. ცნობილია, რომ საგმირო-სარაინდო რომანების მიხედვით მეფის ულამაზესი ქალი პატმარივითაა გამომწყვდეული კოშკში და კოშკის კარს იცავენ რაინდები, რომლებიც მეფის ნება-სურვილს ასრულებენ. მაგ., ამორინდარიჯანიანით, ასფან მეფის სამეფო კარზე „იყვნეს შვიდნი ქორნი შვიდთავე ქალთანი უდგა კართა ზედა სამათას-სამათასი მეომარი კაცი მცველად“ (ჩვ. საუნჯე, II, გვ. 346). ეს მეომრებიც ჰაბუკები არიან, „ყველაკაი ხასები“, რომლებიც ასფან მეფის კარზე მსახურობენ. მაგრამ მაინც აქ „ხასები“ პრივორნყ-ს არ ნიშნავს, არამედ—რჩეულს, დარჩეულს (ამ შემთხვევაში

---

[3] „ხასი“, როგორც სინონიმი ქართული „დიდებულისა“, გვხვდება სპარსულიდან ნათარგმნ საერო მხატვრულ ძეგლებშიც.

ვისრ.: „ხაჰინშა ჯდა ტახტსა ზედა მხიარული... მისნი დიდებულნი ახზაურანი და ხასაგიანნი ნებისა ღრუბლისაგან ოქროსა და მარგალიტსა აწვიმებდეს“ (ჩვ. საუნჯე, II, გვ. 48). ხასაგიან-ნი სპარსულ-ქართულის გაორმაგებული მრავლობითის ფორმაა სიტყვიდან „ხას-ი“ და იმასვე ნიშნავს, რასაც—„ხასნი“.

შაჰნამე: „ხელმწიფე სავარდენოზა წევრდა ოდენ ხასითა, თავადებითა კარგითა, არა ბევრითა ასითა“—ხელმწიფე ვარდის ბაღში (წაქცოტში) შევიდა მხოლოდ დიდებულებით, კარგი თავაკებით, რომელთა რიცხვი იყო არა ათი ათასი, არამედ ასი (I, 669).

ქილილა და დამანა: „ორთავე გიბამს გაკრძალვა, ხასთა და მათ უხასოთა“ (სულხან-საბა, თხზ., II[1], გვ. 443). „ხასი და უხასო“ იგივეა, რაც „დიდებული და მეორეხარისხოვანი“—საკმაოდ გავრცელებული გამოთქმა კლასიკური ხანის საერო-მხატვრულ და საისტორიო თხზულებებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხასი“ გრამატიკულად ზედსართავი სახელია, სინტაქსურად კი—„ჭაბუკების“ განმსაზღვრელი), ხოლო ტაეპის შინაარსი ასე უნდა გავიგოთ: „ათი ათასი რაინდი (მოყმე) დგას (მცველად), ყველანი რჩეულნი (დარჩეულნი, ერთმანეთზე უკეთესნი) არიან“.

„ხასი“, როგორც ზედსართავი სახელი, პოემაში გვხვდება აგრეთვე იაგუნდის მსაზღვრელად და ნიშნავს საუცხოოს, საუკეთესოს, უძვირფასესს:

ტარიელს უძღვნა გვირგვინი, ვერ დანადები ფასისა,
იაგუნდისა მრთელისა, ყვითლისა, მეტად ხასისა (1438)

ე. ი. ტარიელს ძღვნად მისცა მეტად საუცხოო (საუკეთესო, გამორჩეული), მთლიანად ყვითელი იაგუნდისაგან გაკეთებული გვირგვინი, რომელსაც ფასი არ დაედებოდა (რომელიც ფასდაუდებელი იყო)[3].

დასასრულ, „ხასი“ ვეფხისტყაოსანში იხმარება საპატიო მსახურის, კამერდინერისა თუ ლაიბდინერის მნიშვნელობითაც.

ტარიელი ამბობს: მამა რომ გარდამეცვალა,

მე წელიწდამდის ბნელსა ვჯე საწუთრო გაცუდებული,
დღისით და ღამით ვვაებდი, ვერვისგან სულ-დალებული,
გაყვანად ხასნი მოვიდეს, მითხრეს მეფისა მცნეული,
ებრძანა: შვილო ტარიელ, ნუ ხარ შავითა ლებული (335).

შემდეგ—„უკუნით გამოიყვანეს ხასთა მათ წინა-მდგომელთა“ (337,2).

თეიმურაზ ბაგრატიონი წერს, რომ ეს ხასები არიან „ჩინებულნი მეფეთა კარისანი, პრიდვორნები“ (განმარტება, გვ. 48). სხვა მკვლევარნი კი ფიქრობენ, რომ ისინი იყვნენ დიდებულები. რუსთველოლოგები ცდილობენ 337,2 ტაეპის შინაარსობლივ გახსნასაც. მაგ., ა. შანიძემ ტაეპი გაასწორა და განმარტა ასე: „უკუნით გამომიყვანეს ხასთა, მათ წინა მდგომელთა, ე. ი. სიბნელიდან გამომიყვანეს ხასებმა, რომლებიც იმათ წინ იდგნენო“ (სიმფონია, გვ. 023; მნათობი, 1957, № 2, გვ. 156—157). კ. ჭიჭინაძე ეკამათება რა ა. შანიძეს, წერს) ტაეპის აზრი ასეთიაო: „ჩემს წინაშე წარმომდგარმა იმ ხასებმა („ხასთა მათ“. გამომიყვანეს მე ბნელიდან“ (რუსთ. და მისი პოემა, გვ. 254). დაახლოებით ასევე განმარტავს ტაეპს ვ. ნოზაძე (საზ. მეტყვ., გვ. 54). უკანასკნელ ხანს მოსაზრება გამოთქვა ი. გიგინეიშვილმა. მან დამაჯერებლად გაარკვია, რომ აქ „წინა-მდგომელი“ არის ფეოდალური ხანის სამოხელეო ტერმინი, და მოგვცა ტაეპის ახალი რედაქცია: „უკუნით გამომიყვანეს ხასთა და წინამდგომელთა“—სიბნელიდან გამომიყვანეს დიდებულებმა და (ჩემმა) მსახურებმაო“[4]. ეს გაგება დაეჭვებას არ იწვევს, მაგრამ არც ძველი წაკითხვა („ხასთა მათ წინა-მდგომელთა“) არის უარსაყოფი. ტარიელი 335-ე სტროფში ამბობს: ჩემს გასაყვანად მოვიდნენ ხასებიო. აქედან არ ჩანს, თუ ეს ხასები ვინ არი-

[3] შდრ. შაჰნამე: „მუნ სიხარული შეიქმნა, მივა ტანითა ხასითა“ (1482,4) და „წყნარად მიდიან გულ-ამოდ, ტანითა მეტად მშვენითა“ (665,1); ან პროზული შაჰნამედან: „მრავალი ხასადი (—რჩეული, დარჩეული, საუცხოო) საჭურჭლე, ოქრო და ვეცხლი, გუარი და მარგალიტი გავუგზავნოთ“ (გვ. 416), „კამბეჩნი ურემსა შეაბეს და სამი ათასსა აუდვეს ხასად-ხასადი (—რჩეულ-რჩეული, ნაირ-ნაირი) საქონელი“ (გვ. 440) და სხვა.

[4] ენათმეცნიერების ინსტიტუტის XV სამეცნიერო სესიის თეზისები, 1958, გვ. 8—9. ი. გიგინეიშვილმა მოხსენების ტექსტი ხელნაწერის სახით თავაზიანად დამითმო გასაცნობად, რაზედაც ავტორს მადლობას მოვახსენებ.

ან, მაგრამ 337,2 ტაეპიდან ირკვევა, რომ იმთი ყოფილან წინა-მდგომელნი. ქართული სასტორიო წყაროებით, წინა-მდგომელი (ანუ წინაშე-მდგომელი) ფეოდალური ხანის სამოხელეო თანამდებობაა; იგი მეფის, დიდი ფეოდალის, დიდგვაროვანის თუ სხვა წარჩინებული პირის მსახურია, რომელიც მუდმივად პატრონის წინაშე დგას და მის ბრძანებებსა და ნება-სურვილებს ასრულებს, მოკლედ: ის არის თავისი პატრონის ბრძანებათა აღმსრულებელი პირი (ი. ჯაველიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია, II[1], გვ. 35). ეს ტერმინი გვხვდება ჯერ კიდევ IX—X საუკუნეების ქართულ ძეგლებში. „კონსტანტინე ქართველის მარტვილობაში“ ნათქვამია: როდესაც უსჯულო მეფეს უთხრეს, რომ კონსტანტინე არ აპირებს ქრისტიანული სჯულიდან გადადგომას, „წარავლინა მან ერთი წინაშე-მდგომელთაგანი უცხო თესლი და მან მოკუეთა თავი მისი მახვილითა“ (ჩვ. საუწყვ, I, გვ. 79). ბასილი ზარზმელი წერს, რომ გიორგი მარწყვეულს ნადირობის დროს თან ახლდნენ „წინაშე-მდგომელნი“ (ჩვ. საუწყვ, I, გვ. 102). ასეთივე წინამდგომელნი ანუ მსახურნი ჰყავდათ აგრეთვე ამოტ კურაპალატსა (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, TP, VII, გვ. 19) და ნარინ დავითს. მათ ნარინ დავითის ბრძანებით ააოხრეს ჯიქურის სახლი და თვით ჯიქური კი შეპყრობილი „წარადგინეს წინაშე მეფისა“ (ქსძ., II, გვ. 238). ეიფხისტყაოსანში ეს ტერმინი ოთხ ადგილას გვხვდება და ოთხივეგან მსახურის (კამერდღინერის ანუ ლაიბდინერის) აღმნიშნელია.

1. ფატმანი უამბობს ავთანდილს: ნაღი ჩვენს სანაპიროს რომ მოადგა და იქიდან ზანგებმა ულამაზესი ქალი გადმოსვეს, მაშინვე „მოვიხმენ ოთხნი მონანი, ჩემსა წინაშე-მდგომელნი“ (1133,1) და მათ ვუთხარ, ის ქალი ეყიდათ ან ძალით წამოეყვანათო.

2. ფრიდონი ეუბნება ტარიელს; მე რა ბედიც ღმერთმა მომცა, ამას რა სჯობია? „მოსრულხარ ჩემად წყალობად მეფე ინდოეთს მჯდომელი“, მე ამისთვის რა უნდა დაგამადლო? პირიქით, „ერთი ვარ მონა მონებად წინაშე თქვენსა მდგომელი“. ე. ი. მე ერთი წინაშე-მდგომელი (ანუ მსახური) მონა ვარ თქვენს სამონოდ (636,2—4).

3. როსტევან მეფემ უცხო მოყმის მოსაყვანად „გაგზავნა მონა თორმეტი მისი წინაშე-მდგომარე“ (91,2)—გაგზავნა თავისი თორმეტი მსახური მონა.

დამოწმებული მასალები გვაძლევენ შესაძლებლობას, რომ გამოვთქვათ „ხასთა მათ წინა-მდგომელთა“ მივიჩნიოთ სწორ წაკითხვად. „წინა მდგომელი ხასი“ არის ლაიბდინერი, მეფესთან დაახლოებული პირი, რომელსაც სამეფო კარზე უკავია წინა-მდგომელის თანამდებობა. მაშასადამე, ტარიელ უკუნდან გაუყვანიათ იმ ხასებს, რომელნიც მსახურებად აყენენ ფარსადან მეფესთან.

აი, ყოველივე ის, რაც შეიძლება სიტყვა „ხასის“ შესახებ ითქვას ეიფხისტყაოსანთან დაკავშირებით.

ამრიგად, 1937 წლის საიუბილეო კომისიის გასწორება „ვნახე, ორნიო ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა“, რომელიც დადასტურებულია ვეიფხისტყაოსნის ვარიანტებითაც, უდავოდ სწორია. ხოლო წაკითხვა „სახითა ოდენ სამითა“ და მისი განმარტება—„ტახტზე მსხდომნი მეფე-დედოფალ ტარიელსა, მათმა ერთგულმა მონამ და მათზე შეყვარებულმა ადამიანმა, იგი დაინახა, როგორც ერთ არსებად ქცეული სამპიროვანი ღმერთი“, ან აქ ჩვენ

საქმე გვაქვს „ორი ადამიანის ერთ არსებად აღქმასთანო“, მიუღებელია.

რუსთაველი ხატოვანი სიტყვის დიდი ხელოვანია; ის ასეთ ბუნდოვან მხატვრულ სახეებს არა ქმნის. რუსთაველი ქრისტიანული თეოლოგიის კარგი მცოდნეცაა, თუ მას სურს მეფე-დედოფალი ერთ-არსება და სამსახოვან ღმერთად დასახოს, ამას ამბობს ნათლად და „გამოსაღები ენით“. ქრისტიანული მოძღვრებით, ღმერთი სამგვამოვანი ანუ სამპაპოვანია, მაგრამ ამავე დროს ის არის ერთ-არსება, სხვანაირად: ერთ-არსება ღმერთში განსახიერებულია სამი გვამი: მამა-ღმერთი, ძე-ღმერთი და სული წმიდა. პეტრიწის ენით რომ ვთქვათ, უზენაესი ერთი შეუცნობელი და მიუწვდომელი, „რიცხუსა შორის ზესთა წმიდისა სამობისასა“ იხილებს. ამიტომაც ამბობენ „უშველესსა შემისსა, და შობასა ძისსა, და გამოვლენასა სულისა ზესთა წმიდისასა, და ერთობასა ბუნებისასა გასხუებულებითსა გუამოვნებათაჲთა“ (შროშები, II, გვ. 217). თეოლოგიის ეს ანბანი რუსთაველმა კარგად იცის და ამიტომ შეუძლებელია მას შეექმნა ისეთი მხატვრული სახე, რომლის მიხედვით ტარიელს ორი ადამიანი „ჯერ ერთ არსებად აღექვა, შემდე კი სამპიროვან ღმერთად“. სამება-ერთარსება ითქმის მხოლოდ უზენაეს ერთზე და ორის წარმოსახვა „სახითა ოდენ სამითა“ არ გამოდგება ვითომდა „ერთ არსებად ქცეული სამპიროვანი ღმერთის“ ანალოგიით გააზრებული მხატვრული სახის შესაქმნელად. მხატვრული სახის წარმოდგენაში დიდ როლს თამაშობს ანალოგია. რაც უფრო იგი ზუსტი და ნათელია, მით უფრო მხატვრული სახე მომხიბლავი და წარმტაცია. „სახითა ოდენ სამითა“-ში ანალოგია დარღვეულია და თვით გამოთქმაც, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, აბსოლუტური უაზრობაა.

### 3. ორი კონიექტურა—„ფრდილობა“ და „გააფრდილებს“

ნესტან-დარეჯანის საძებნელად მიმავალ ავთანდილს ზღის პირას ვაჭრთა ქარავანი შემოხვდა. მოჭარბენენი მეკობრეთა შიშით ზღვაში შესვლას ვერ ბედავდნენ. ავთანდილმა უთხრა მათ: ნუ გეშინიათ, ჩასხედით ხომალდში, მე გამოგყვებით ბაღრაგად და, ვინც თქვენ შეგებრძოლებათ, მათ ჩემი ბჭილი თავზე დაიცვდებაო. ვაჭრები ჩასხდნენ ხომალდში და ზღვაში შესცურეს. ერთხანს „სიამოვნისა დართ იარეს“, მაგრამ მალე „გამოჩნდა ნავი მეკობრე დროშითა მეტად გრძელითა“. მეკობრენი „კოიდეს და მოდიოდეს“ ვაჭართა ხომალდისაკენ. ავთანდილმა სწრაფად „ჩაიცვა ტანსა აბჯარი“, ჩაინის კეტი ხელთ დაიჭირა, „ნავისა თავსა წადგა“ უშიშად და მტრის ნავს ძელ-სახნისი მოსტება, შერე მათ ნავში გადახტა და მეკობრეები თითქმის ერთიანად გაუსვრიტა. გახარებულმა ვაჭრებმა ავთანდილს ქება შეასხეს, დალოცეს და თავიანთ უკლად გაიხადეს.

შემდეგ პოეტი განაგრძობს (სტროფი 1054):

ავთანდილს უსამ მოართვა ვაჭართა შემოთვლილობა:
შენგან ვართ გამაგრებული, ჩვენ ვიცით ჩვენი ცვილობა;
რაცა გვაქვს, იგი შენია, ამას არ უნდა ცილობა,
რასაცა მოგვცემ, გვიბოძე, გვემნია აქა ყოველება.

ვახტანგისეულ ვეფხისტყაოსანში და მასზე დამოკიდებულ გამოცემებში შეორე ტაეპის ბოლო რვამარცვლედი („ჩვენ ვიცით ჩვენი ცვილობა“) იკითხება

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ხება, როგორც „ჩვენ ვიცით ჩვენი ფლიდობა“. ეს წაკითხვა გვხვდება თითქმის ყველა ძირითად ხელნაწერში. მხოლოდ ორად ორი ნუსხაა, რომელიც გვაძლევს მისგან არსებითად განსხვავებულ ვარიანტს: „ჩვენცა გვაქვს ამის ზრდილობა“ (J) და „ჩვენცა გვაქვს ამისდილობა“ (T). ეს ორი ხელნაწერი ტყუპის ცალებია და წაკითხვა „ამისდილობა“ მიღებულია „ამის ზრდილობა“-დან. ასე რომ, ხელნაწერებში გვაქვს „ცვილობა“-სიტყვის ნაცვლად ორი ვარიანტი: ფლიდობა და ზრდილობა. ფლიდობა ნიშნავს მატყუარობას, ცბიერებას, პირმოთნეობას და მოცემულ კონტექსტში ეს მნიშვნელობა გაუგებრობას იწვევს. ვაჭრები უაღრესად აღფრთოვანებული არიან ავთანდილის გმირობით. ისინი თავიანთ მსხნელს ქებას ასხამენ, უფალსა და ქვეყნად ჩამოსულ მზეს უწოდებენ. მათ არ იციან, რა პატივი სცენ ავთანდილს იმ დიდი ამაგისთვის, რომელიც მან დასდო ვაჭრებს. და ასეთ ვითარებაში ქარავნის უფროსი თავიანთ გმირს ეუბნება: „შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიცით ჩვენი ფლიდობა“ო. რა მუაშია აქ ფლიდობა? ცხადია, ტექსტი დამახინჯებულია. შინაარსობლივ შეუსაბამობასთან ერთად ამას ნათლად მეტყველებს ისიც, რომ სტროფში დარღვეულია რითმა (შდრ.: შემოთვლილობა, ჩვენი ფლიდობა, უნდა ცილობა, აქა ყრილობა). სამ ტაეპშია -ილობა, ხოლო მეორეში— -იდობა. რითმის ამგვარ დარღვევას ვეფხისტყაოსანში არსად არ ვხვდებით. რაც შეეხება წაკითხვას „ჩვენცა გვაქვს ამის ზრდილობა“, იგი სტროფის რითმას ასწორებს, მაგრამ შინაარსობლივად არ ეფარდება ეპიზოდში მოთხრობილ ამბავს. ამას გარდა J ხელნაწერში დაცული ტექსტი მთლიანად ვიღაც გადამწერისაგან არის ნასწორები და მისი წანაკითხები ნაკლებ სანდოა; ოღონდ აქ ერთი რამ ცხადია: „ზრდილობა“ და „ფლიდობა“ მიღებულია საერთო წანაკითხიდან. უნდა ვივარაუდოთ, რომ ადრინდელ ხელნაწერებში იყო გადამწერთათვის გაუგებარი რაღაც სიტყვა, რომელიც შეიძლება გრაფიკულ ნიადაგზე გადაკეთებულიყო ფლიდობად ან ზრდილობად. კ. ჭიჭინაძე ფიქრობს, რომ ეს „რაღაც სიტყვა“ უნდა იყოს ცვლილობა. იგი წერს: „რუსთაველს უდავოდ და ყოველი მიზეზის გარეშე ეს ადგილი ექნებოდა ასე: «შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიცით ჩვენი ცვლილობა». რითმის გასწორების გარდა, პოეტის აზრი აქ უკვე სავსებით ნათელია. — ვაჭრები ეუბნებიან ავთანდილს: ჩვენ შენგნით ვართ გამაგრებულნი (ისინი ძალიან შეაშინა მეკობრეებმა) და ეს ცვლილება, რომელიც ჩვენში მოხდა, თვითვე ვიცითო“ (ვეფხ., 1934, გვ. 262; შდრ.: იქვე სტროფი 117-ე). კ. ჭიჭინაძის მოსაზრება უარყო კ. კეკელიძემ და თავის მხრით მან წარმოადგინა ტაეპის ახლებური წაკითხვა და გაგება. „მე ვფიქრობ, — შენიშნავდა 1934 წელს კ. კეკელიძე, — თავდაპირველ დედანში იყო «ცვილობა» (სიტყვისაგან «ცვილი»). ამ წაკითხვით გამართლებულია რითმა და აზრიც სწორადაა მოცემული: ჩვენ ვიცით, რომ რბილი ვართ, როგორც ცვილი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ შენგან ვართ გამაგრებულიო“ (ეტიუდები, II, 1945, გვ. 163). კ. კეკელიძის წაკითხვა „ჩვენ ვიცით ჩვენი ცვილობა“ გაიზიარა 1937 წლის საიუბილეო გამოცემის კომისიამ და ამ კომისიის მიერ შემუშავებული ტექსტის წყალობით „ცვილობა“ ყველა შემდგომ გამოცემაში ხელშეუხებელი დარჩა. ამრიგად, ხელნაწერთა ვარიანტებს (ფლიდობა-ზრდილობა-ს) დაუპირისპირდა ორი კონიექტურა — ცვილობა და ცვლილობა. კითხვა იბადება: ამათგან რომელი კონიექტურაა მისაღები? — ვფიქრობთ, არც ერთი. ორივე ნაკარნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხევია სტროფის პირველი და მესამე ტაეპების საერთო სიტყვების (შეთვლილობა-ცილობის) გავლენით. რომ „რუსთაველს უდავოდ და ყოველი მიზეზის გარეშე“ აქ ჰქონოდა „ცვლილობა“ ან თავდაპირველს დედანში წერებულიყო „ცვილობა“, მათი ამოკითხვა ან გაგება გადამწერებს არ გაუჭირდებოდათ. ამ ორივე სიტყვის გრაფიკულ ნიადაგზე დამახინჯებითაც საეჭვოა მივველთ „ფლიდობა“ თუ „ზრდილობა“, რადგანაც ორივე საკმაოდ ცნობილი სიტყვაა და ისინი არაერთგზის გვხვდებიან ახალ ქართულში. მაშ, რა სიტყვა უნდა წერებულიყო პოემის ადრინდელ, ჩვენამდე არმოღწეულ ხელნაწერებში?—ჩვენ დაკვირვებით, ეს საძიებელი სიტყვა უნდა ყოფილიყო „ფრდილობა“. იგი თავისი მორფოლოგიური აღნაგობით ისეთივეა, როგორც „ზრდილობა“. ორივე სიტყვაში იკარგება ასო რ: ფდილობა და ზდილობა. ჩვენამდე არ მოღწეულ ხელნაწერთაგან, რომელშიც ეწერა „ფრდილობა“, გვიანდელმა გადამწერებმა ამოიკითხეს „ზრდილობა“-დ და ტაეპის შინაარსი შეცვალეს (შდრ.: „ჩვენცა გვაქვს ამის ზრდილობა“), ხოლო რომელშიც ეწერა „ფდილობა“, ასევე ვერ გაიგეს მისი მნიშვნელობა და გადააკეთეს „ფლიდობა“-დ. ერთი სიტყვით, წანაკითხები (ფლიდობა, ზრდილობა) წარმოშობილია ფრდილობა (ფდილობა)-სიტყვის გრაფიკულ ნიადაგზე დამახინჯების შედეგად, „ამას არ უნდა ცილობა“.

„ფრდილობა“ სიტყვა, რომლის ძირია ფარდ (ისევე, როგორც „ზრდილობა“ სიტყვისათვის—ზარდ), ნაწარმოებია ფრდა-დან: ფრდ-ა, ფრდ-ილ-ი, ფრდ-ილ-ობ-ა. მისი მნიშვნელობა დაკავშირებულია აღებ-მიცემობასთან, ყიდვა-გაყიდვასთან, საერთოდ სავაჭრო საქმესთან. სულხან-საბას განმარტებით, ფრდა ნიშნავს ყიდვას. აქედან ფრდილი იგივეა, რაც ნასყიდი, ხოლო ფრდილობა—ნასყიდობა. ფრდა-დან გვაქვს სხვა ნაწარმოები სიტყვებიც: განფრდა (განვაჭრება, გაყიდვა, თავის მიცემა), განფრდილი (განვაჭრებული, გაყიდული), განმფრდელი (გამყიდველი), მოფარდული (გამყიდველი) და საფარდული (სამოსასყიდლო, სავაჭრო ადგილი). ამ სიტყვებს ხშირად ვხვდებით ბიბლიურ წიგნებში, აგიოგრაფიულ, საისტორიო და სხვა ხასიათის ძეგლებში. „მოფარდული და მომსყიდველი“ (მათე 21,12) სინონიმური ცნებებია. „ტაძარსა შინა ფრდიდეს ზროხასა და ცხოვარსა და ტრედსა“ (იოანე 2,14) რუსულად თარგმნილია როგორც „в храме продавали волов, овец и голубей“. ოთხთავის მთაწმიდელისეულ თარგმანში კი ეს ადგილი ამგვარად იკითხება: „პოვნა ტაძარსა მას შინა მოფარდულნი (-გამყიდველები, მოვაჭრენი) ზროხათანი და ცხოვართანი და ტრედთა“. ასე რომ, „ფრდილობა“-სიტყვის მნიშვნელობა (სყიდულობა-ნაყიდობა) ძველ ქართულში სრულიად გარკვეულია და მოსალოდნელია, რომ რუსთაველს ეს სიტყვა საჭიროებისამებრ მის შესატყვის კონტექსტში ეხმარა. მოქარავნენი, რომლებიც ავთანდილმა იხსნა მეკობრეთაგან, ვაჭრები არიან და, ბუნებრივია, მათ მეტყველებაში ვაჭრობასთან დაკავშირებულ ტერმინს უნდა ეჩინა თავი. და მართლაც, ვაჭრები თავიანთ მხსნელს უსამის პირით ეუბნებიან:

შენგან ვართ გამაგრებულნი, ჩვენ ვიცით ჩვენი ფრდილობა;
რაცა გვაქვს, იგი შენია, ამას არ უნდა ცილობა,
რასაცა მოგვცემ, გვიბოძე, გვიქმნია აქა ყრილობა.

ეს ნიშნავს: (ჩვენ) შენგან ვართ გამაგრებულნი (ძალამომატებულნი, განმტკიცებულნი და გამხნევებულნი). ჩვენ ვიცით ჩვენი თავის ნასყიდობა (ჩვენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვიცით, თუ შენ ჩვენი თავი რა დაგიჯდა, როგორ გვიხსენ, როგორ გამოგვიყიდე მეკობრეთაგან). ამიტომ რა ქონებაცა გვაქვს, ყველა შენია, ამას არ უნდა ცილობა. ახლა რასაც მოგვცემ, გვიბოძე. აქ შენთან ყველანი შეყრილად მოვსულვართო.

* * *

მეორე კონიექტურა პირველის ანალოგიურია. იგი შეეხება 713-ე სტროფს. მის შესახებ მოსაზრება გამოთქვა ი. გიგინეიშვილმა. მან ჩემგან დამოუკიდებლად სტროფი გაასწორა ისევე, როგორც მე ვფიქრობ. ჩვენი მოსაზრებანი ერთმანეთს დაემთხვა[5]. ეს ამ კონიექტურას რამდენადმე დამაჯერებლობის ძალასანიჭებს.

ავთანდილი თინათინისაგან გაყრილი წავიდა „გულითა რეტითა". ის მიმავალი მკერდზე მჯილვს იცემდა, მოსთქვამდა საყვარელთან ხანმოკლე შეხვედრის გამო. ამის შესახებ პოეტი წერს:

ყმა წავიდა სევდიანი, მკერდსა იცემს, ამად ილებს.
რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და ა გ უ ლ ჩ ვ ი ლ ე ბ ს;
რა ლრუბელი მიეფარვის, მზე ხმელეთსა დააჩრდილებს,
მის მოყვრისა მოშორვება კვლა აბინდებს, არ ადილებს.

მეორე ტაეპის ბოლო რვამარცვლედი „ატირებს და აგულჩვილებს" ზემოთ დასახელებულ ორ ნასწორებს ხელნაწერში (JT) იკითხება როგორც „არას ოდეს დაატკბილებს", დანარჩენ ძირითად ხელნაწერებში გვაქვს „ატირებს და გ ა ა ფ ლ ი დ ე ბ ს" (მხოლოდ სამ ნუსხაშია დაშვებული კალმისმიერი შეცდომა: გააფლდებს — D, გაფლიდებს — IX). ძირითადი გამოცემებიდან „გააფლიდებს" დაცულია ვახტანგის, ბროსეს, ჩუბინაშვილისა და კაკაბაძის გამოცემებში, სხვა დანარჩენში იკითხება „აგულჩვილებს". რაკი უკანასკნელი წაკითხვა XVII—XVIII საუკუნეების ნუსხებში არ არის, რასაკვირველია, ის რითმის გასწორების გამო დაშვებულ გვიანდელ კონიექტურას წარმოადგენს და პოემის გამოცემებში შეტანილია არტანუჯული ხელნაწერიდან, რომელსაც დავით რექტორის ცლიერი რედაქტორული ხელი ეტყობა (S4732, გვ. 124, სტრ. 706). რომ „აგულჩვილებს" თავდაპირველ დედანში არ ეწერებოდა, ამას ადასტურებს სტროფის რითმაც — დ-ილებს (დ-ონი რითმის საყრდენი ბგერაა. შდრ.: ამად ი ლ ე ბ ს, დააჩრდ ი ლ ე ბ ს, არ ა დ ი ლ ე ბ ს), მეორე ტაეპის რითმად კი გვაქვს -ი ლ ე ბ ს. ამიტომ ეს სიტყვა პოემის ტექსტიდან ამოსაღებია. მაგრამ არც „გააფლიდებს" -წანაკითხია მისაღები მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის ყველა ძველ ხელნაწერს შემოუნახავს. საერთოდ რუსთაველი ამბობს: „სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეჟვანნი, ამას ჟღერენ" (791,3,). აქ კი ნათქვამია: მიჯნურობა კაცს გააფლიდებსო. ამგვარი შინაარსი არ ეფარდება რუსთაველის ჰუმანისტურ მოსაზრებებს სიყვარულის შესახებ. სიტყვა „გააფლიდებს" არღვევს სტროფის რითმასაც (შრდ.: დ-ილებს და -იდებს). ამიტომ „აგულჩვილებს" -სიტყვის ნაცვლად ხელნაწერებისეული წანაკითხის („გააფლიდებს") აღდგენა გაუმართლებელი იქნებოდა. უდავოა, პოემის თავდაპირველ დედანში აქაც ეწერებოდა სხვა რაღაც სიტყვა, რომელიც გვიანდელი გადამწერების წყალობით შეცვლილა შინაარსობლივად შეუსაბა-

[5] ი. გიგინეიშვილმა თავისი მოსაზრება გამოაქვეყნა მოხსენებად საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა I (V) სამეცნიერო-მეთოდურ კონფერენციაზე 1963 წლის აპრილში (იხ. მოხსენებათა თეზისები, თბ., 1963. გვ. 11—12).

მო წანაკითხით. ეს სხვა რაღაც სიტყვა, ჩვენი აზრით, არის იმავე ფრდადან ნაწარმოები ზმნა „გააფრდილებს“. ირკვევა, ადრინდელ ხელნაწერებში წერებულა „გააფდილებს“, გადამწერებს კი ის შეუცვლიათ „გაიფლიდებს“-სიტყვით.

გა-ა-ფრდილ-ებ-ს—ზმნის საწყისია გაფრდილება (განფრდილება). ეს საწყისი ნაწარმოებია მიმღეობიდან განფრდილი. ლექსიკოგრაფები მას განმარტავენ ასე: „ნებსით თავი გაყიდოს ჯამ-როდენ, გინა სრულიად გაიყიდოს“ (საბა), „ნებსით დამონებული ჯამად ან სრულიად“ (ნ. ჩუბ.), „გაყიდული“ (ა. შანიძე), „გაყიდული; თავმიცემული“ (ილ. აბულაძე). „განფრდილი ცოდვასა შინა“ ჩვეულებრივი გამოთქმაა ძველ კლასიკურ ქართულში: „მე გორციელ ვარ და განფრდილი ცოდვასა შინა“, რუსულად: „я—плотян, продан греху“ (რომაელთა 7,14); „მე კაცი ვარ განფრდილი ცოდვათა შინა“ (ბალავარიანი, 1957, გვ. 29), „ყოს ღმერთმან წყალობაჲ საწყალობელისა და ცოდვათა შინა განფრდილისა სულისა ჩემისა თანა“ (ეხ. ოვანესი და ეფთვიმესი, 1946, გვ. 27) და სხვა. ამრიგად, „გააფრდილებს“ ნიშნავს: ნებსით თავგანსყიდულს (თავდამონებულს, თავმიცემულს) ჰყოფს. ამის შესაბამისად ვეფხისტყაოსნიდან ზემოთ დამოწმებული სტროფის მეორე ტაეპი უნდა გაიმართოს ასე: „რომე კაცსა მიჯნურობა ატირებს და გააფრდილებს“. მაშინ სტროფის რითმაც გაიმართება და შინაარსიც ასეთი იქნება: ჭაბუკი წავიდა სევდიანი; (ის მიდის და) მკერდზე (მჯიღეს) ირტყამს, მკერდს ((ცემთ) ილურჯებს, რადგანაც მიჯნურობა ადამიანს ატირებს და ნებსით თავს დაამონებინებს (თავის მონა-მორჩილად გადააქცევს). რა ღრუბელი მზეს ჩამოეფარება, ის (მოღრუბლული მზე) ხმელეთს დააჩრდილებს. (ასევე) მოყვრის (სატრფოს) მოშორება (მიჯნურის, მიჯნურის გულს) ადარდიანებს (ადინდებს), არ ამხიარულებს (არ ადილებს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თიმსარიანის წყაროს საკითხისათვის

თ. გორგელიშვილი

(წარმოადგინა აკად. ალ. ბარამიძემ)

„სინდბად-ნამემ“—წიგნმა ბრძენი სინდბადის შესახებ თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე მსოფლიო აღიარება და პოპულარობა მოიპოვა. იშვიათად მოიძებნება ისეთი ცივილიზებული ხალხი, რომლის ლიტერატურაშიც საპატიო ადგილი არ ეკავოს „სინდბად-ნამეს“ წარმტაც სიუჟეტს. მისი ვერსიები ინდურ ფოლკლორში უნდა ვეძიოთ.

ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით, „სინდბადის წიგნი“ დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით უკვე სასანიანთა ირანში არსებულა[1].

„სინდბად-ნამეს“ მრავალრიცხოვანი ვერსიებიდან ჩვენთვის ყველაზე საინტერესო სპარსული ვერსიებია. ისინი უშუალოდ პირველწყაროდან—ფალაურიდან მომდინარეობენ. ტრადიციულად შემუშავებული აზრის მიხედვით, „სინდბად-ნამეს“ ქართული ვერსია შეთარგმნეტ საუკუნის მწერლის ზაჰირა სამარყანდელის „სინდბად-ნამედან“ უნდა მომდინარეობდეს.

არსებობს ამ ნაწარმოების ორი რედაქცია: ვრცელი—დიდი სინდბადი და მოკლე—პატარა სინდბადი. რა განსხვავებაა მათ შორის? ერთადერთი სხვაობა მოცულობაშია: „პატარა სინდბადი“ დიდთან შედარებით შვიდი არაკით ნაკლებია. ასევე შემოკლებულია შესავალი და ეპილოგი. რაც შეეხება კომპოზიციასა და სიუჟეტის განვითარებას, ისინი იდენტურნი არიან. თავისი გავრცელების არის მხრივ უფრო პოპულარულია „პატარა სინდბადი“, რომელიც არაბულის გზით გავრცელდა თითქმის მთელ მსოფლიოში. მის ვერსიებს ვხვდებით სირიულ, ბერძნულ, ესპანურ, ლათინურ, იტალიურ, ინგლისურ, გერმანულ, შვედურ, ისლანდიურ, პოლონურ, რუსულ, ბულგარულ, ჩეხურ, სომხურ და სხვა ენებზე[2]. რაც შეეხება „დიდ სინდბადს“, პროფესორი ს. ოლდენბურგი სპარსულის გზით მომდინარე მხოლოდ ორ—თურქულსა და ქართულ ვერსიას ასახელებს[3].

---

[1] سندباد نامه نگارش محمد بن علی بن محمد الظهیری السمر قندی با سندباد نامهٔ تازی باهتمام تصحیح و حواشی احمد آتش، استا نبول، ۱۹۴۸.

[2] Auberee Altfranzösisches Fables..., von G. Ebeling, Halle, 1895; H. Keller, Si Romans des sept Sages. Tübingen, 1836; Die Geschichte von den sieben Weisen bei den Slaven, von M. Murko, Wien, 1890; D. Komparetti, Researches respecting the book of sindibad, London, 1882.

[3] С. Ольденбург, О персидской прозаической версии „Книги Синдбада“, „Сборник статей учеников проф. В. Р. Розена“, Петербург, 1897, გვ. 274.

ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობას მეტად ღრმა ტრადიციული ფესვები გააჩნია. სპარსული კლასიკური ლიტერატურის არაერთი შედევრი იქნა გადმოღებული თუ გადმოკეთებული ჩვენი წინაპრების მიერ; ამიტომ, ბუნებრივია, რომ „სინდბადის წიგნი“ ჩვენში სწორედ სპარსულის გზით შემოსულა. ქართულად მას ეწოდება „თიმსარიანი“. მასი თარგმანი, როგორც ეს ხელნაწერების ჩვენებითაც და ტრადიციულად არის აღიარებული, ეკუთვნის შვიდსაუკუნოვან მეფე თეიმურაზ მეორეს.

სანამ „თიმსარიანის“ სპარსულ ტექსტთან მიმართების საკითხს შევეხებოდეთ, მოკლედ მიმოვიხილავთ სამეცნიერო ლიტერატურასა და იმ მოსაზრებებს, რომელიც ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში არის გამოთქმული მის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურა „თიმსარიანის“ გარშემო მეტად ღარიბია.

პირველად „თიმსარიანს“ გაეცნო შეფსკი პროფ. ს. ოლდენბურგი ზემოთ დასახელებულ შრომაში. იგი განიხილავს დიდი და პატარა სინდბადის ურთიერთობას, აგრეთვე, სპარსული პროზაული ვერსიის რაობას; მკვლევარს აკად. ნ. მარის მიერ მიწოდებული ზოგიერთი ცნობების საფუძველზე აღნიშნული თხზულების ქართული ვერსიის შესახებაც გამოთქმული აქვს ზოგიერთი მოსაზრება: „Не имея перевода грузинского текста, а лишь краткий перечень рассказов, мы не решаемся говорить подробно об отношении грузинской версии к разбираемой нами прозаической персидской, но присутствие в грузинском тексте характерных рассказов почти соответствующий персидскому позволяет нам установить весьма близкую связь между ними“.

ალ. ხახანაშვილი „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“[4] გარკვეულ ადგილს უთმობს თიმსარიანსაც. მკვლევარი თითქმის მთლიანად ეყრდნობა ს. ოლდენბურგის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. ს. ოლდენბურგის მიერ მოტანილი „სინდბად-ნამეს“ არაკთა დასათაურებისა და „თიმსარიანის“ არაკთა სათაურების შედარების საფუძველზე, ალ. ხახანაშვილი მიუთითებს ამ ორი ხელნაწერის ცალკეულ არაკთა თანამიმდევრობაში არსებულ ზოგიერთ სხვაობაზე. 1902 წ. ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოცემულ ხელნაწერთა აღწერილობაში[5] მოცემულია ცნობები „თიმსარიანის“ რამდენიმე ხელნაწერის შესახებაც. მკვლევარი აქვე მსჯელობს „თიმსარიანთან“ დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხზე, თუმცა ახალი მის მსჯელობაში არაფერია. იგი ძირითადად ეყრდნობა ს. ოლდენბურგისა და ალ. ხახანაშვილის მონაცემებს და იმეორებს მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. ე. თაყაიშვილის დასკვნა ასეთია: „Вся разница сводится к пропуску одного рассказа и последовательности других. Если эти особенности не составляют недостатка дошедших до нас рукописей „Thimсарианъ“, то нужно предположить, что „Thimсарианъ“ переведен с одной из утраченных версии персидского «Большого Синдбада» (გვ. 400). მკვლევარი აღნიშნავს, რომ ასეთ ვარაუდს ს. ოლდენბურგიც უშვებდაო.

---

[4] А. Хаханов. Очерки по истории грузинской словесности, вып. III, Лит-ра XIII—XVIII вв., Москва, 1901.

[5] Е. Такаишвили. Описание рукописей „общества распространения грамотности среди грузинского населения“. Т. I, вып. I. Тифлис, 192.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკად. ნ. მარი ორიოდე სიტყვით ეხება „თიმსარიანს". იგი წერს, რომ შედარების საფუძველზე (მას შეუდარებია სპარსული ლექსითი ვერსიისთვის, რომლის შინაარსი გამოქვეყნებული აქვს ფ. ფლაკონერს, **Asiatic Journal**, 1841, XXXV, XXXVI) „თიმსარიანი" სპარსულიდან უნდა იყოს თარგმნილი (იხ. სსრკ აკადემიის აკადემიკოსთა არქივი, ნ. მარის ფონდი).

აკად. კ. კეკელიძე სხვებთან შედარებით უფრო ვრცლად განიხილავს „თიმსარიანს"[6].

ძირითადად იგივეა განმეორებული დასახელებული წიგნის შემდეგდროინდელ—1952 წ., 1958 წ. გამოცემებშიც. მკვლევარი იმეორებს ს. ოლდენბურგის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს „სინდბად-ნამეს" წარმოშობისა და გავრცელების ფარგლების შესახებ. შემდეგ მოცემულია „თიმსარიანის" მოკლე შინაარსი. განხილულია მთარგმნელის საკითხი და მწერლის ენა. დასასრულს აღნიშნულია, რომ „თიმსარიანს" საფუძვლად უძევს XII საუკუნეში შემუშავებული სამარყანდის რედაქცია.

თ. ბეგიაშვილიც აღნიშნავს, რომ ქართული თარგმანი შესრულებულია სპარსული ვერსიიდან, რომელიც XII საუკუნეში დაუმუშავებია სამარყანდის[7]. თ. ბეგიაშვილი ვარაუდობს, რომ „თიმსარიანის" სხვა თარგმანიც უნდა ყოფილიყო ქართულად.

გიორგი ჯაკობია თეიმურაზ II-ის თხზულებათა სრული კრებულის წინასიტყვაობაში (თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1939) იხილავს „თიმსარიანის" ხელნაწერებს, მათ ავკარგიანობასა და ა. შ. ამავე დროს, მკვლევარი ეხება „თიმსარიანის" წინა გამოცემათა შეცდომებსა და არასწორ წაკითხვებს.

აკად. ალ. ბარამიძე თეიმურაზ მეორის შემოქმედების განხილვისას[8], რამდენიმე სიტყვით ჩერდება „თიმსარიანზეც", იგი წერს: „თეიმურაზს უთარგმნია „თიმსარიანის" სახელწოდებით სპარსული ცნობილი იგავ-არაკთა კრებული „დიდი სინდბადი". თეიმურაზის „თიმსარიანი" გაუმართავს სტილურად, დაუხვეწია და თორმეტი ახალი იგავ-არაკით შეუვსია დავით რექტორს" (გვ. 467).

როგორც სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვიდან ჩანს, „თიმსარიანის" ყოველმხრივი გამოკვლევა ჯერ არ მოგვეპოვება. მკვლევართა უმეტესობას დასკვნები გამოჰქონდა „სინდბად-ნამესა" და „თიმსარიანის" არაკთა დასათაურების ერთმანეთთან შედარების საფუძველზე. დასკვნა ყველას ერთნაირი ჰქონდა: „თიმსარიანი" თარგმნილია სპარსულიდან. ასეთი დასკვნა კი, ჩემი აზრით, უნდა გაკეთებულიყო „თიმსარიანისა" და „სინდბად-ნამეს" ტექსტების (და არა მხოლოდ არაკთა დასათაურების) შედარება-შეწამების შედეგად. ამის გაკეთება კი „სინდბად-ნამეს" ხელნაწერთა იშვიათობისა და დეფიციტურობის გამო დღემდე ვერ ხერხდებოდა.

ჩვენ შევეცადეთ, გაგვერკვია „თიმსარიანის" ზაჰირი სამარყანდელის „სინდბად-ნამესთან" მიმართების საკითხი. შედარებისას ვსარგებლობდით სტამ-

---

[6] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II, საერო მწერლობა, XI—XVIII, ტფილისი, 1924.

[7] თ. ბეგიაშვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია; მესამე ნაწილი, თბილისი, 1931.

[8] კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1954.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოლის 1948 წ., თეირანის 1954 წ. ბეჭდური გამოცემებითა და ლონდონის მუზეუმის ერთი ხელნაწერით[9].

შედარებისას გამოირკვა: ქართული ვერსიის ზოგი ადგილი იმდენად განსხვავდება სპარსულიდან, რომ მით ზოგიერთი არაკის დედააზრი იცვლება. მათში შეტანილია შინაარსობრივი სხვაობა და ხანდახან შეცვლილია არაკის მიზანდასახულობაც კი. ამავე დროს, ვხვდებით მეტნაკლებად გავრცობილ-შემოკლებულ ადგილებს და მრავალ განსხვავებულ დეტალსაც. სანიმუშოდ მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს:

1. არაკი ქალის, ცხვრის, სპილოებისა და მაიმუნების შესახებ.

„ს ი ნ დ ბ ა დ-ნ ა მ ე თ ი“:

ქ. ჰამადანის მთებში, მრავალი მაიმუნი ესახლა. მათ ჰყავდათ მამასახლისი სახელად რუზბეჰი, მრავლის მომსწრე და გამოცდილი, კარგისა და ავის მნახველი. იგი ყოველთვის გონივრულად და ბრძნულად წყვეტდა ხოლმე საჭირბოროტო საკითხებს და თავის მოვალეობად თვლიდა, რათა ეზრუნა ქვეშევრდომთა მიმართ. ერთ დღეს იგი მთის წვერზე იჯდა და ქალაქს გაჰყურებდა. დაინახა ცხვარი, რომელიც რქებით ქალს ეთამაშებოდა...[10]

„თ ი მ ს ა რ ი ა ნ ი თ“:

ამა თემსა შინა ერთსა მაღალსა მთაზედან ძველად ოდესმე მაიმუნთა სახლობა და ყრილობა ყოფილა, რომე იმისი უმრავლესი მაიმუნი სხვაგან არ გაგონილა; ნიგვზის ხესა ზედან და ნიგოზ ქვეშ სახლებულან. დღესა ერთსა გადმოუხედავს ერთს მაიმუნს და დაუნახავს საღითმე გარდმოვარდნილი მთის ძირში ერთი ნათამაშევი ცხვარი. წასულა იგი მაიმუნი და უფროსის მათისათვის უთქვამს[11].

როგორც ვხედავთ ქალი, რომელიც „სინდბად-ნამეში“ ამ არაკისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს (ამას ქვევით ვნახავთ), „თიმსარიანში“ უგულებელყოფილია. სპარსულში მაიმუნთა უფროსის სახელია მოცემული, ქართულში კი არა. ასევე, სპარსულში ცხვარს მაიმუნთა უფროსი დაინახავს; ქართულში ერთ-ერთი მაიმუნი მოახსენებს ცხვრის გამოჩენას.

რუზბეჰი მაიმუნებს ურჩევს გადასახლებას ამ ადგილიდან, რადგან ცხვრის გამოჩენა ცუდის მომასწავებელი ნიშანი უნდა იყოს. არ დაუჯერებენ. რუზბეჰი თავისი ოჯახით მიდის. ირჩევენ ახალ ხელმძღვანელს.

„თიმსარიანშიც“ მიდის მაიმუნთა უფროსი, მხოლოდ ახლის არჩევანზე არაფერია ნათქვამი. „თიმსარიანში“ ქალის უგულებელყოფამ საგრძნობლად განასხვავა ცეცხლის გაჩენის მიზეზიც:

„გამოვიდა (მცირე) ხანი და ასანდორთა ცეცხლი მოედვა; ცხვარსა გაუპარსაობით მატყლი გაზდოდა; ცხვარსა ცეცხლი მოეკიდა, ცხვარმან სირბილი დაიწყო და მის ჟამისა ხელმწიფის სამყოფინარს სასპილოეს ალაგს შევარდა და ჩალიან სახლსა შეეფხანა; მას ჩალას ცეცხლი მოედვა[12]...

[9] سندباد نامه، استانبول، ۱۹٤۸؛ کتاب سندباد نامه، محمد بن الحسن الظهیری السمرقندی، تهران، ۱۳۳۳; Библиотека Королевского Азиатского Общества в Лондоне, № 337.

[10] სინდბად-ნამე, სტამბოლის გამოცემა, გვ. 8..

[11] თიმსარიანი, გვ. 157. შედარებისას ვსარგებლობთ გ. ჯაკობიასეული გამოცემით, თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1939.

[12] თიმსარიანი, გვ, 158.

ვნახოთ, როგორ არის ეს „სინდბად-ნამეში“.

როდესაც ამ შემთხვევიდან (რუზბეჰის წასვლიდან, თ. გ.) რამდენიმე ხანმა გაიარა, ერთ დღეს ცხვარმა ქალს რქა ატაყა. ქალს მწვავედ ეტკინა და ცხვარს თავში ქვა დაარტყა. ცხვარი ძლიერი დარტყმისაგან უგონოდ დაეცა. როს გონს მოვიდა, შურისძიების წყურვილი ჩაიმარხა გულს. ერთ დღეს ქალი კედელთან იდგა, ცხვარმა რა დაინახა იგი, დაეტაკა რქებით და კედელს ააკრა. ქალს ხელში გაღვივებული მუგუზალი ეკავა, იგი ცხვარს დაარტყა. ცხვარს ბეწვზე ცეცხლი მოედო. ცეცხლისაგან შეშინებული ცხვარი ეცა სპილოთა სადგომს და ეხახუნებოდა სასპილოეს ღერწის ღობეს, რათა ცეცხლი ჩაექრო. ცეცხლი ღერწამსაც გადაედო...

2. უფლისწულს ქალის ცილისწამებით მეფემ სიკვდილით დასჯა მიუსაჯა და გადასცა ჯალათს. ამის შემდეგ „სინდბად-ნამეში“ შემდეგია ნათქვამი:

**و پادشاه را هفت وزیر شایسته بود هر یک کامل و عاقل و ناصح و فاضل[13]**

„და მეფეს შვიდი ღირსეული ვეზირი ჰყავდა. თითეული სრულყოფილი და ჭკვიანი, კარგი მრჩეველი და გონიერი“ და ა. შ.

აქ ეს ვეზირები სხვანი არიან და ის შვიდი ბრძენი, რომელიც მეფემ ათას ბრძენთაგან ამოარჩია—სხვანი.

„თიმსარიანში“ ასეთი სხვაობა არაა დაცული. აქ ეს ვეზირები იგივე უფლისწულის ყოფილი მასწავლებელი ვეზირები არიან:

ჯალადებმან ფიცხლად გაიყვანეს ხელმწიფის შვილი და სასიკვდილოდ გაამზადეს. ამაზედან ხმა დავარდა, და ვეზირებსაც ამბავი მოუვიდათ, ვითომ ხელმწიფეს თავისი შვილი ჯალადებისათვის მიუცემია სასიკვდილოდ[14]...

შემდეგ: „სინდბად-ნამეში“ ვეზირთა უფროსი შემდეგს ურჩევს ვეზირებს:

**مصلحت آنست کی هرّوز از ما یکی به خدمت رود و در مکر زنان و غدر ایشان حکایتی روایت کند تا بود کی این داهیهٔ عظیم و این واقعهٔ جسیم مندفع گردد[15]**

„თიმსარიანში“ არ არის წინასწარ მოლაპარაკება არაკების მოყოლის შესახებ. ეს კი აუცილებელია ნაწარმოების სიუჟეტის ნორმალური განვითარებისათვის. მოგვაქვს „თიმსარიანის“ შესაბამისი ადგილი: ...ვაზირთა... ასრე უთხრეს: უწინ შენ მიდი, ჩვენი თავი და უფროსი შენ ხარ და მას უკან შენი საქმე როგორც დაგვარიგებს, იმას ვიქთი[16].

აღსანიშნავია, რომ წინასწარი მოლაპარაკება არაკების მოყოლის შესახებ არის ლექსით ვერსიაშიც:

**مقرر برلن شد که هر صبحگاه — بیاید وزیری بدرگاه شاه**
**بگوید حکایات مکر زنان — خرافات و افک و فکر زنان**

---

13 სინდბად-ნამე, გვ. 78.
14 თიმსარიანი, გვ. 156.
15 სინდბად-ნამე, გვ. 84.
16 თიმსარიანი, გვ. 158.

3. არაკი ქმრის, ცოლის და თუთიყუშის შესახებ.

ქმარი წვეულებაში წავიდა. ცოლმა საყვარელი დაიბარა. მეორე დღეს თუთიყუში უყვება პატრონს ცოლის ღალატს. კაცი სცემს ცოლს. ცოლი გაჯავრებულია, თუ როგორ შეიტყო ქმარმა. ეშვი მიაქვს მოსამსახურეზე („თიმსარიანში“ ყოლი). მოსამსახურე იფიცავს, რომ იგი უმწიკვლოა ამ საქმეში. შემდეგ მსახური დასძენს, რომ ეს უსათუოდ თუთიყუშის გაკეთებულია და ურჩევს: ან მოიშორე ეს თუთიყუში, ან ჩაიკალ შენში ენებანიო („თიმსარიანში“ თვით ცოლი იღებს თუთიყუშის მოკვლის გადაწყვეტილებას).

ერთ დღეს კაცი ქორწილში დაპატიჟეს. ქალმა შემდეგი ეშმაკობა მოუწყო თუთიყუშს: სახურავიდან ფქვილს აყრიდა და წყალს ასხამდა თავზე, ხელსაფქვავს ატრიალებდა, სცემდა ლითონის ჭურჭელს ხელს და ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნა თუთიყუშს, რომ იფიქრა: ქარიშხალი ამოვარდაო. „თიმსარიანში“ ქალი მეორედაც მოიყვანს საყვარელს და დამშვიდებული, რომ თუთიყუში ყმაწვილების მიერ შექმნილი მოჩვენებითი ქარიშხლით დაბრმავებულია. განცხრომას მიეცემა. („სინდბად-ნამეში“ საყვარელი მეორედ აღარ მოდის). როს ქმარი დაბრუნდება და თუთიყუში ქარიშხლის ამბავს დაახვედრებს, მისი სიტყვების სიმართლეში დაეჭვდება და მოკლავს თუთიყუშს. ერთი მისი შეგობარი მიზეზს ჰკითხავს. კაცი მოუყვება. მეგობარი საქმის გამოძიებაა სთხოვს, რადგან თუთიყუში უდანაშაულო უნდა იყოსო. „სინდბად-ნამეში“ კაცი ცოლს აბანოში გააგზავნის, მის მსახურს დაემუქრება და აძმევინებს სიმართლეს. „თიმსარიანში“ კი კაცი შვილისგან („სინდბად-ნამეში“ შვილები საერთოდ არ არის ნახსენები) გებულობს ნამდვილ ამბავს. „დედაჩემმან ხელსაფქვავი გვაბრუნებია და გათენებამდინ თვალში მტვერი გვაყრევინა და წყალი გვასმევინაო“[17].

4. მრეცხელის, მისი ვაჟის, ვირისა და მორევის ამბავი

ერთ მრეცხელს სულელი და თავჭარიანი შვილი ჰყავდა; ზარმაცი და უქნარა. მთელ დღეს ლაზოანთარობაში ატარებდა. ერთხელ, როდესაც მრეცხელი ტანისამოსს რეცხავდა წყლის პირს, შვილი შეჯდა ვირზე და პირდაპირ ღრმა ადგილისკენ გაემართა. ატყდა ქარი, ამოვარდა ტალღები და ვაჟი და ვირი ხან დაიმალებოდნენ და ხან ამოყოყრუყმალებდნენ. დაღუპვის საშიშროება ელოდათ. მამა მიეშველა შვილს. შვილი ჩაებღაუჭა მამას და არ მისცა განძრევის საშუალება. ორივენი მორევში მოხვდნენ და დაიღუპნენ:

اخر الامر پدر و پسر جان شیرین چون شکر در آب بباد دادند و عمر عزیز و نفیس را وداع کردند[18]

ყურადღება რომ არ მივაქციოთ სხვა დეტალებს, განსხვავებულია „თიმსარიახის“ ფინალი:

ღღესს ერთსა გზირი წყლის პირს ტანისამოსს რეცხდა. შვილმან ვირი ტალახსა და წყალში ჩააგდო; ვირი საფლობში ჩაეფლა და ყმაწვილი წყალმან წაიღო. დაუძახა მამას: „მიშველეო!“ მამას გული დაეწვა (შვილს მიეშველა და) ხელი შეჰკიდა; წყალმან გაზიდა და ბერი კაცი წყალმან ჩაითრია, იგი ყმაწვილი კაცი იყო, ხელი და ფეხი იხმარა და მორჩა, მამა კი წყალს დაარჩობინა“[19].

17 თიმსარიანი, გვ. 163.

18 სინდბად-ნამე, გვ. 116.

19 თიმსარიანი, გვ. 166.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი შეხედვით, თითქოს აქ უბრალო სხვაობასთან გვაქვს საქმე, მაგრამ თუ მივყვებით კვანძის განვითარებასა და არაკის მიზანდასახულობას, გამოირკვევა, რომ „თიმსარიანის“ ამ არაკის ფინალი უფრო პასუხობს არაკში ჩაქსოვილ მორალს, ვიდრე „სინდბად-ნამესი“. ეს არაკი ეკუთვნის ქალს. იგი იმიტომ უყვება მეფეს ამ არაკს, რომ მეფე დაარწმუნოს, შენი შვილი მოკვლას გიპირებდა, შენი დაღუპვა სურდა, რათა თითონ დამჯდარიყო ტახტზე; შენ მას არ სჯი, ამიტომ ისე დაგემართება და ისე დაგღუპავს შენ შენი შვილი, როგორც ძრეცხელის ვაჟმა მამაო.

რასაკვირველია, მრეცხელისა და მისი შვილის (მეფისა და უფლისწულის) დაღუპვა, როგორც ეს „სინდბად-ნამეშია“, ნაწილობრივ ამართლებს ქალის მიერ წარმოთქმული არაკის მორალს: შენ დაიღუპები (ესაა მთავარი), შენი სიკვდილის მერე ის დარჩება თუ არა, შენთვის რა ფასი აქვსო. მაგრამ, ვფიქრობთ, სასწორი მაინც „თიმსარიანის“ არაკის ფინალისკენ იხრება.

6. არაკი: „შეყვარებული ყმაწვილის, მოხუცისა და მტირალი ძაღლის შესახებ“. ერთ ყმაწვილს შეუყვარდა ერთი ვაჭრის ცოლი. გაუგზავნა წერილი. ქალმა წერილი თავიდან ბოლომდე გადაიკითხა.

[20](چون رقعه بزن رسید و مطلع و مقطع آن بدید)

„თიმსარიანში“:—მოუვიდა წიგნი ქალსა მას, დიდად გაწყრა, არც ჩამოართო და არც არად მიიჩნივა და ასე შესთვალა[21]... ყმაწვილს უარყოფითი პასუხი გაუგზავნა. ვაჟი ჩამოხმა ქალის ნდომით. ამ დროსდამხმარედ გამოჩნდება მოხუცი მაჭანკალი. „სინდბად-ნამეთი“ იგი ქალთან მივა როგორც უაღრესად მორწმუნე და ღვთის მონა-მსახური. იგი ქალს თვალს უხვევს სწორედ ამ თავისი მორწმუნეობით.

„თიმსარიანში“ გარდა იმისა, რომ უფრო ვრცლად არის ეს ადგილი გადმოცემული და მოხუცისა და ქალის დიალოგი არის ჩართული, ვხვდებით მნიშვნელოვან სხვაობას. სახელდობრ: მოხუცი ქალთან მისვლას მარტო თავისი ღვთისმოყვარულობითა და შემთხვევითობით კი არ ხსნის, არამედ—მასთან დედაშვილური დამოკიდებულებით: „შვილო, შენ ვერ მიცნობ (ეუბნება მოხუცი ქალს, თ. გ.), თორემ აგრე არ მიკითხავდი. ორს მთელს წელიწადს მე შენთვის ძუძუ მიწოვებია. მას უკან შენ სხვა ძიძა მოგგვარეს და მე კი მაქას წაველ. ეს თხუთმეტი წელიწადია, რომ იქ ვარ, და მე ასე მწამდა, რომ ჩემი დღე იქ დამელია, მაგრამ შენი სიყვარული ისეთი მომაგონდებოდა, რომ (გავგიჟდებოდი და აწე შენის ნახვის გულისათვის) იქიდამ გამოვიჭერი. აწე შენ გნახე. ნეტარძი ჩემთა თვალთა, რომ აგრე ტურფა შექნილხარ. ორისა წლისა დაგაგდე და ახლა ერთი უებრო მნათობი, ბანოვანთა თავი, ქმრისა და შვილის პატრონი, და სახლისა და კარისა პატრონი ხარო“[22]. როგორც ვხედავთ, მოხუცმა საკმაოდ სერიოზული არგუმენტი წარუდგინა ქალს მისი ასეთი მოულოდნელი სტუმრობისათვის. „სინდბად-ნამეში“ არავითარი ამის მსგავსი არ გვხვდება.

„სინდბად-ნამეთი“ მოხუც ქალს იმ ქალაქში აქვს თავისი ბინა. „თიმსარიანი“ ბოლომდე ავითარებს რა მოხუცის იმ განცხადებას, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის ჩამოვიდა მექადან, რათა ენახა თავისი გაზრდილი, მოხუცის ბინის ქონებაზე არაფერს ამბობს. ამიტომაა, რომ მოხუცი სთხოვს ქალს: „შვი-

---

20 სინდბად-ნამე, გვ. 185.

21 თიმსარიანი, გვ. 172.

22 იქვე, გვ. 173.

ლო, შენის სახლის სიახლოვეს ერთი ჭოხი ამოშენებინე. რომ იქ დავდგე და ჩემთვის ვილოცვიდეო". ქალმან ყველა დაუჯერა, გაუკეთებინა და დააყენა..."[23].

საქრძნობი სხვაობაა არაკის ფინალშიც: „სინდბად-ნამეი" მოხუცმა „შტირალი ძაღლის" მეშვეობით ქალი დაარწმუნა იმაში, რომ აუცილებელი იყო იმ ვაჟთან, რომელიც ქალის გულისთვის იტანჯებოდა, სასიყვარულო რომანის გამო. ამასთან ერთად, მოხუცმა ისე მოახერხა, რომ ვაჟთან შეხვედრა თვით ქალმა მოითხოვა. მოხუცმა მოიყვანა ვაჟი ქალთან[24].

„თიმსარიანი" მარტო ქალ-ვაჟის შეხვედრას არ ჯერდება. აქ ვაჟი კი არ მიდის ქალთან, არამედ ქალი მიჰყავს მოხუცს ვაჟთან. ეს გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: როდესაც მოხუცი დედაბერი პირველად ნახავს ვაჟს და გამოკითხავს რა მძიმე მწუხარების მიზეზს, დაიტრაბახებს: „დამბადებლისა მაღლმან, მე შენ არად გაგიჯი და არც იმასთან მისვლას გკადრებ: ასეთი საქმე რამე ვქნა, ასრე გაუხადო მე იმას საქმე, რომე თვითონ სირბილით შენთან მოვიდესო..."[25] („სინდბად-ნამეში" ასეთი რამ არ გვხვდება). აი, ამან განაპირობა არაკის ფინალის სხვაობაც.

7. ღორის, ლეღვის ხისა და ძაიმუნის არაკი.

ერთმა მაიმუნმა მიატოვა ოჯახი, სახლ-კარი და განმარტოდა ზღვის პირას ერთ უდაბურ ადგილზე, სადაც უხვად მოიპოვებოდა ხილი. ზაფხულობით იგი იხმობდა ხილს და ინახავდა ზამთრის მარაგს. ერთ დღეს დაჭრილი ღორი, რომელსაც მონადირეთგან დაელწია თავი, გამოჩნდა მის სამფლობელოში („თიმსარიანში" ღორი არ არის დაჭრილი; იგი მონადირე ძაღლების შიშით ზღვაში შედის: „ერთი ღორი მონადირეთგან გარდმოსვეწილი შიშით ზღვაში შევარდა, და უკან ძაღლები მისდევდნენ; ზღვაში ძაღლები ვეღარ შეყვნენ. ღორს ცურვა მოეწყინა, ზღვიდამ უკუმობრუნდა და მაიძუნის სამყოფს ალაგს გამოვიდა")[26]. ღორს მოეწონა ხილით დახუნძლული ხეები. გამოემცნაურა მაიმუნს, სთხოვა ლეღვი ჩამომიყარეო. მაიმუნმა ჩაუყარა. ღორის გაუმაძღარ ბუნებას რა დააკმაყოფილებდა! მან კიდევ და კიდევ მოითხოვა. მაიმუნმა, იმის შიშით რომ მთელ ხილს შეჭამდა, მეტის მიცემაზე უარი უთხრა. ღორი შეეჯავა, შეეკამათა და დაემუქრა: მაიმუნი არ შედრკა და უთხრა, რომ შენ თუ შენ ძალას გამოიყენებ, მე შევთხოვ ღმერთს, ყოვლისმქნელსა და ყოვლის შემძლეს. რათა სამაგიერო მოგიზღოსო. ღორი ამ სიტყვებმა აღაშფოთა:

خوگ از استماع این مقدّمات در خشم شد آتش غضبش بیفروخت
چون آتش بر بالای درخت دوید چون بر سر درخت رسید شاخ بشکست ....
و بدوزخ رفت[27]

„ამ სიტყვების გაგონებამ ღორი განარისხა, სიბრაზის ცეცხლი გადმოაფრქვია, ვითარცა ელვა ხისკენ გაემართა, როდესაც ხეზე აიჭრა, ტოტი ჩამოუტყდა და ჯოჯოხეთისკენ გაემართა" ე. ი. მოკვდა.

სრულიად საწინააღმდეგო სურათია „თიმსარიანში": „ღორმან ეგრე უთხრა: „მე ეგ შენი ნაბოძები ულუფა და ჯამაგირი არ მეყოფაო". ადგა და თვით

23 თიმსარიანი, გვ. 174.
24 სინდბად-ნამე, გვ. 197.
25 თიმსარიანი, გვ. 173.
26 იქვე, გვ. 178.
27 სინდბად-ნამე, გვ. 170.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეზე გავიდა და დაუწყო ჭამა. მაიმუნს ნაჩური ამოკრა და ზღვაში გარდაგდო, თვით დაიმკვიდრა ის ალაგი და, როგორც უნდოდა, ისე ჭამა“[28].

ჩვენთვის ცნობილ ვერსიებში „თიმსარიანისეულ“ ფინალს ვერსად ვერ ვხვდებით. ლექსითი ვერსიაც „სინდბად-ნამესეულად“ ვითარდება:

بیافتاد و شد گردنش خورد مرد

„ჩამოვარდა (ღორი), მოიტეხა კისერი და მოკვდა“.

რამ გამოიწვია ასეთი სხვაობა? წინააღმდეგობაში ხომ არ ვარდება ასეთი დაბოლოება არაკის დედააზრის მიმართ? ვფიქრობთ, რომ არა. პირიქით, „თიმსარიანის“ ამ არაკის კვანძის გახსნა თითქოს უფრო პასუხობს ნაწარმოების შინაარსსა და არაკის მიზანდასახულობას. თუმცა ორივე არაკის ფინალი თავისთავად ცალ-ცალკე გამართლებულია და აი, რატომ: ეს არაკი ეკუთვნის ქალს, რომელსაც იგი მეოთხედ მოვიდა მეფესთან. თავისი არაკით იგი ცდილობდა გაებათილებინა მესამე ვეზირის სიტყვები და ვეზირთა ბოროტმოქმედება და მეფისადმი, მისი ტახტისადმი, მათი ორგულობა დაემტკიცებინა. სწორედ ზემოხსენებული არაკი არიჩია მან ამისთვის. ღორი—ეს იგივე ვეზირებია, რომლებსაც შენი ტახტის მიტაცება და შენი ქონების დატაცება სურთ. „როგორც იმ ღორმან ის ალაგი მოინდომა საჭმელად, ისე შენი საბატონო შენს ვეზირებს მოუნდომებიათ“[29]. აი, „თიმსარიანის“ დასკვნა. ახლა ვნახოთ რა მდგომარეობაა „სინდბად—ნამეში“, რითია გამართლებული ღორის სიკვდილი:

این مثل از بهر آن گفتم تا رای صایب و عزم ثاقب شاه‌را روشن شود کی
حق جل جلاله ظلم نپسندد و هیچ مظلوم مرحوم‌را محروم نگذارد [30]

„მე იმისთვის მოვყევი ეს არაკი (თქვა ქალმა)— რათა მეფის გამჭრიახი და შორსმჭვრეტელი გონებისათვის ნათელი გახდეს, რომ ყოვლის შემძლე ღმერთი არ იწონებს ბოროტებას და არც ერთ შეურაცხყოფილს არ დატოვებს თავისი წყალობის გარეშე“. ე. ი. აქ ქალი ამ არაკს იყენებს თავისი თავის დასაცავად და აშინებს მეფეს, რომ თუ მე უცოდველი ადამიანი არ განმიკითხე და სამაგიერო არ მიუზღე მას, ვინც ძალადობა იხმარა ჩემზე, ღმერთი მაღალი ჩემს შეურაცხმყოფელს დაუსჯელად არ დატოვებს, ისე როგორც დასაჯა ღორით“.

როგორც აღვნიშნეთ, ამ არაკის განსხვავებული ფინალი განპირობებულია არაკის მიზანდასახულობით. თუმცა ამას ჩვენთვის არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი ისაა, რომ „თიმსარიანი“ აქ განსხვავდება „სინდბად-ნამესგან“. სხვაობა კი, როგორც ვხედავთ, საგრძნობია.

12. არაკი მასპინძლისა და სტუმრების შესახებ.

„სინდბად-ნამეში“ ერთი კაცი სტუმრებს დაპატიჟებს. გააგზავნის მსახურს ბაზარში რძისთვის. მსახური იყიდის რძეს და:

„ჭურჭელი, რომლითაც რძე მიჰქონდა, თავზე დაედგა და სახლისკენ მიდიოდა. ღვთის განგებამ ასე ინება და ციურმა ბედისწერამ ისე ისურვა, რომ ერთმა წერომ, რომელსაც პირში შხამიანი გველი ეკავა, გადაუფრინა სწორედ ახდილ ჭურჭელს და რამდენიმე წვეთი მომაკვდინებელი შხამი გველის პირიდან ჩაეწვეთა რძეში ისე, რომ ვერავინ ვერაფერი ვერ გაიგო“.

---

28 თიმსარიანი, გვ. 179.

29 იქვე, გვ. 179.

30 სინდბად-ნამე, გვ. 170.

ამ რძით მოხარშეს ბრინჯი. დაიხოცნენ სტუმრები. შეიქნა კამათი, თუ ვინ იყო დამნაშავე. ბოლო დასკვნა ასეთია: ბედისწერაო.

მიუხედავად იმისა, რომ „თიმსარიანშიც“ ანალოგიური დასკვნაა გამოტანილი (ბრძანება ღვთისა ყოფილა), ვფიქრობთ, ამისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს. აი რატომ: „რომ მოაქნდა (მსახურს რძე—თ. გ.), მძაღლა ერთმა ლაკლაგმა გამოიარა და გველი ჭანგშიგან ეჭირა; იმის სწორედ რომ მოვიდა, გავარდა იგი გველი და მას დიაცს რძის ჯამში კი ჩაუვარდა. დიაცმან იგი გველი ამოიღო, და გარდააგდო, შიშით კი ვერ გაამეღვინა. შინ მივიდა, საჭმელი დაამზადა და მიართო“[31].

არაკის დედააზრი, როგორც აღვნიშნეთ, ასეთია: „არცერთის ბრალი არ არის: ბრძანება ღვთისა ყოფილა“[32]. ეს დასკვნა მექანიკურად არის გადმოტანილი „სინდბად-ნამედან“. „თიმსარიანის“ არაკის მიხედვით, აქ ქალია დამნაშავე, რომელმაც გველის რძეში ჩაგდება დამალა.

ამ არაკს ჰყვება უფლისწული. რომ დაამთავრებს მოყოლას, სწორედ უფლისწული ეკითხება დამსწრეთ, ვინ არის დამნაშავეო. ზოგი მასპინძელს დანაშაულებს, ზოგი გველს შხამს და ა. შ. ბოლოს უფლისწული ასკვნის, რომ ეს არის ბედისწერაო.

„თიმსარიანში“ ეს კითხვა-პასუხი არაკისეულია. თვით არაკში არის დასმული კითხვა, თუ ვინ არის დამნაშავეო და არა უფლისწული სვამს კითხვას მამისა და დამსწრე საზოგადოების წინაშე: „რა შეიგნეს მათ კაცთა დახოცა, მის ალგისა კაცნი სულ იქ შეიყარნენ და შექნეს კითხვა, თუ რის მიზეზით დახოცნენ ეს კაცნი? ერთმა ბრძენმა თქვა...“ აქედან გამომდინარე ის დასკვნა, რომელსაც „სინდბად-ნამეში“ აკეთებს უფლისწული, აქ მეხუთე ფილოსოფოსს ეკუთვნის. ეს კი ცოტა უხერხულობას ქმნის ნაწარმოების სიუჟეტის განვითარებისათვის.

გარდა ამ განსხვავებული მომენტებისა, ქართულსა და სპარსულს ტექსტებში გვხვდება მსგავსი, ხანდახან ზუსტად იდენტური ადგილები:

1. „სინდბად-ნამე“—მეფე ეუბნება მხევალ ქალს:

بدان کی جد روزگار بی هزل و قبول او بن‌عزل نیست بر اثر هر سوری مانمی دهد و از پس هر شادی غمی پیش آرد و آدمی‌را از تجرع کاس اجل چاره نیست[33]

„იცოდე, რომ საწუთროს სერიოზულობა დაცინვის გარეშე და მისი თანხმობა უარყოფის გარეშე არ არის. ყოველი ღხინის შემდეგ იგი მწუხარებას მოგვივლენს და სიხარულს ნაღველად შეგიცვლის. ადამის ძეს სიკვდილის თანისგან, რომლიდანაც ნელ-ნელა სვამს მომაკვდინებელ სასმელს, თავდახსნის საშუალება არ აქვს“.

„თიმსარიანით“: „ვინც დაიბადების სიკვდილი უკან მოსდევს, და ასეთი სიხარული არ იქნების, რომ შეჯერვება და მწუხარება უკან არ მოსდევდეს. ვინცა ადამისა და ევას შვილნი არიან, უნდა რომ თითო ჯამი სიკვდილის სასმელი დალიის“[34].

31 თიმსარიანი, გვ. 206.
32 იქვე, გვ. 206.
33 სინდბად-ნამე, გვ. 39.
34 თიმსარიანი, გვ. 141.

2. „სინდბად-ნამე“:

باز سفید هر چند شایسته و در خور بود تا رنج تعلیم و بیذاری نکشد و بریاضت تادیب و تهذیب نیاید جلاجل زرین بر پای او نبندند و از دست سلاطین ممرکب او نسازند و همچنین زر و نقره چون از معدن بیرون آید با کدورت کان ممتزج و مخلوط باشد تادر بوتهٔ امتحان ننهند و بتقویت آتش غش و کدورت از وی جدا نگردانند خالص و صافی نه شود و مستحق خلخال عروسان و تاج شاهان نگردد[35]

„თეთრი ქორი რაც არ უნდა ღირსეული და კარგი ჯიშის იყოს, სანამ წრთვნის წვალებასა და ღმის ტეხვას არ იწვნევს, სანამ კარგად არ აღზრდიან, მანამდე ფეხზე ოქროს რგოლს არ შეაბამენ და არც მეფეთა მკლავზე დასვამენ სანადიროდ. ასევე ოქრო და ვერცხლი, როდესაც საბადოდან ამოიღებენ, აღრეულნი და შერეულნი არიან სხვადასხვა გამოუსადეგარ ქანებში. სანამ მათ ქურაში არ გამოსცდიან და ცეცხლის ძალით შენარევებისაგან არ გაათავისუფლებენ, წმინდა და ხალასი არ გახდება. და ვერც დაიმსახურებს იმას, რომ პატარძალთა ფეხთა სალტედ და მეფეთა გვირგვინად გამოიყენონ“.

„თიმსარიანი“: „თეთრი ქორი თუმცა გვარიანია და ყოველთა ქორთა ხელმწიფე არის, მაგრამ, როდესაც დაიშვრენ და კაცთა ხელში ჩავარდების, სანამდისინ ნემსით თვალს არ აუკვრენ და მრავალ გზის ღამეს არ გაატეხინებენ, და ძრავალ სასჯელს არ მიაპყრობენ, ვერც დაამშვიდებენ და ვერცა მურასას იარაღს შეასხმენ, ვერც ხამლსა და ტუჩფასა ჯილოს გარდაცმენ, ვერც ნებისაებრ ნადირობას დაწყებინებენ. აგრევთე ოქრო, თუმცა პატიოსანი და ძვირფასი არის, მაგრამ სანამდინ ცეცხლშიგან არ შეაგდებენ, არ დაახალისებენ. კვერითა არა სცემენ, არ განსჭანდვრენ და მეჭოპოსნენი არ იხმარებენ, არც მნათობთა ქალთა ფერხთა სალტედ შეეცმის და არცა ხელმწიფეთა ბეღნიერთა გვირგვინად დაეხურვის“[36].

3. „სინდბად-ნამე“:

اگر.. عنان یکران در جولان این میدان سست گذاشته آید کار از دست تدارک در گذرد و پای اهمال و امهال افتد[37]

„თუ სადავე ცხენისა ამ მოედანზე ჭენებისას შესუსტდება, საქმე ხელიდან წავა და ფეხიც (ცხენისა) შეყოვნდება და შეფერხდება“,

„თიმსარიანი“: „დიდს მოედანში ცხენი ჩავაგდე და ველარ გამიწუხია და ლაგამს ქვე ვეზიდები“...[38]

4. „სინდბად-ნამე“. მეფემ წერგნში ამოიკითხა:

هر که بانگشت در مردمان بکوید دیگران در او بمشت بکویند[39]

„ვინც ხალხს კარზე თითით მიუკაკუნებს, მის კარს სხვები მუშტით მიუბრახუნებენ“.

„თიმსარიანი“: „თუ კაცმან ვინმე სხვათა კართა თითი ჰკრათ. თქვენთა კართა წიხლი ეცემის...“[40].

35 სინდბად-ნამე, გვ. 44.
36 თიმსარიანი, გვ. 144.
37 სინდბად-ნამე, გვ. 216.
38 თიმსარიანი, გვ. 189.
39 სინდბად-ნამე, გვ. 261.
40 თიმსარიანი, გვ. 201.

და სხვა.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: „თომსარიანს“ საფუძვლად უდევს ზაჰირი სამარყანდელის თხზულების „სინდბად-ნამეს“ სპარსული ტექსტი. ქართული ვერსიის ავტორი კი არ თარგმნის მას, ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით, არამედ იჩენს ზომაზე მეტ თავისუფლებას: თავისი სიტყვებით ხშირად შემოკლებული, იშვიათად გაგრძობილი სახით გადმოაქვს ის. მთარგმნელი არ ერიდება, აგრეთვე, ახალი დეტალების შეტანასაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართულ ვერსიაში, ძირითადად, გადმოცემულია „სინდბად-ნამეს“ არაკთა შინაარსი და შეგრნებანი. მთარგმნელი თუ გადმომღები, როგორც ჩანს, დაინტერესებული ყოფილა არა ტექსტის სიტყვასიტყვითი თარგმანით, არამედ თხრობის თავისებური მანერით შინაარსის გადმოცემით, რასაც ის, იმდროინდელი ქართული მხატვრული პროზის თვალსაზრისით, ახერხებს კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიკო ლომოურის ენის თავისებურებანი

(ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკა)

თ. ბერიძე

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტმა)

ჩვენი ნაშრომის მიზანია ნიკო ლომოურის მხატვრული პროზის ენის შესწავლა, ვცდილობდით გვეჩვენებინა, რა თავისებურებები ახასიათებს აღნიშნულ ენას სალიტერატურო ქართულთან შედარებით და რა წყაროდან აქვს ისინი შეძენილი ნ. ლომოურს, ეს თავისებურებანი ერთნაირად ახასიათებს თუ არა ნ. ლომოურს, როგორც ავტორს, და მის პერსონაჟებს. როგორ აისახა მწერლის ენაში მშობლიური დიალექტის გავლენა, რომელიც მან ბავშობაში განიცადა, რამდენად იცავს იგი იმდროინდელი სალიტერატურო ენის ტრადიციებს და თავს იჩენს თუ არა მის ნაწარმოებებში არქაიზმები.

ნ. ლომოური ენის სიწმინდისთვის იბრძოდა. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში მოიპოვება ჟურნალ „ზრომის“ მეოთხე ნომერი 1908 წლის 2 მარტისა (რედაქტორ-გამომცემელი დ. ს. მესხი), რომელშიც დაბეჭდილია ნ. ლომოურის სტატია „ხმა ქართლიდამ“. სტატიის თავში ნ. ლომოურის ხელით წარწერილია შენიშვნა, რომელშიც ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს რედაქტორის მიერ სტატიაში შეტანილი შესწორებების გამო. რედაქციული ცვლილებები შემდეგი სახისა აღმოჩნდა:

1. ემფატიკური ხმოვანი სისტემატურად ჩამოცილებულია, მაგ.:

| ხელნაწერშია: | ნაბეჭდშია: |
|---|---|
| ღონივრათა შლის 2, 15 | ღონივრათ შლის 7, 1, 25[1] |
| სპეტაკი ფერფლი თოვლისა 3,6 | სპეტაკი ფერფლი თოვლის 7, 1, 40 |
| მათრახი გადაჰკრა ქალსა 5, 6 | მათრახი გადაკრა ქალს 8, 1, 10 და სხვ. |

2. მესამე პირის სუბიექტური პრეფიქსი მრავლობით რიცხვში **-ნენ** შეცვლილია **-ენ**-ით:

| ხელნაწერშია: | ნაბეჭდშია: |
|---|---|
| მოსდევდნენ 3, 17 | მოსდევდენ 7, 2, 11 |
| შემოეხვიენენ 3, 19 | შემოეხვიენ 7, 2, 14 |
| მიჰყვნენ 4,9 | მიყვენ 7, 2, 30 და სხვ. |

3. ხშირად ამოღებულია მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი:

---

[1] პირველი ციფრი მიუთითებს ჟურნალის გვერდზე, მეორე—სვეტზე, მესამე—სტრიქონზე.

| ხელნაწერშია: | ნაბეჭდშია: |
|---|---|
| კრიჭა შეჰკროდა 2, 4 | კრიჭა შეკროდა 7, 1, 8 |
| მიჰყვნენ სხვებიც 4, 9 | მიყვენ სხვებიც 7, 2, 30 |
| ჰკითხეს 5, 2 | კითხეს 8, 1, 4 |
| გაჰფანტა 3, 1[2] | გაფანტა 7, 1, 34 და სხვ. |

4. კაუზატივის **-ინ** მაწარმოებელს მოკვეცილი აქვს თანხმოვნითი ელემენტი, მაგ.:

| ხელნაწერშია: | ნაბეჭდშია: |
|---|---|
| „მაპოვნინეთ“ 5, 17 | „მაპოვნიეთ“ 8, 1, 25 |
| გაალებინეს კარი 3, 20 | გაალებიეს კარი 7, 2, 16 |
| დაწყებინეს 6, 2 | დაწყებიეს 8, 1, 32 და სხვ. |

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რედაქციული ცვლილება უსაფუძვლო არ არის, მაგ.: დაბეჭდილია სიტყვები „შემოხვევამ“ 8, 28, „დაამტვრია“ 8, 2, 18, რომლებიც ლომოურს „შენთხვევამ“ 6, 7, „დაანტვრია“ 6, 19 — სახით აქვს.

**-ავ** თემის ნიშნის ნაცვლად ნ. ლომოური ხმარობს **-ამ** თემის ნიშანს, რედაქტორს **-ავ** თემის ნიშანი ჩაუწერია სათანადო ადგილებში:

| | |
|---|---|
| დაგზოცამთ 5, 18 | დაგზოცავთ 8, 1, 21 |
| ბედამდა 7, 8 | ბედავდა 8, 2, 25 |

ცალკეული სიტყვები

| ხელნაწერშია: | ნაბეჭდშია: |
|---|---|
| ფთებს 2, 16 | ფრთებს 7, 1, 26 |
| თოვლდა 3, 7 | თოვდა 7, 1, 42 |
| ხანდისხან 4, 14 | ხანდახან 7, 2, 37 |

არის კიდევ სხვა ხასიათის რედაქციული ცვლილებები, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით.

ენობრივი მასალა ამოკრებილია ნ. ლომოურის მოთხრობების ხელნაწერებიდან, რომლებიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში. ზოგი მოთხრობა წარმოდგენილია რამდენიმე ვარიანტად, მასალის ამოწურისას ვემყარებოდით მათ შორის ძირითადს, ვარიანტებს კი შესადარებლად ვიყენებდით. ზოგ ხელნაწერს აკლია ბოლო, ან შუა თავები. ვისარგებლეთ შემდეგი მოთხრობების ხელნაწერებით: „ალი“, „ბედი უბედურთა“, „პაწია მეგობები“, „ქრისტიანი ლეკები“, „გოგო ღრუბელაშვილი“, „წინაპართა აჩრდილნი“, „ხერხი სჯობიან ღონესა“, „წუთისოფელი“, „სამფეხა ამირანა“ „ბერუა ქრისტესიაშვილი“, „ჩვენი სალომე“.

## ფონეტიკა

ნ. ლომოურის მოთხრობებში, ქართული დიალექტისაგან განსხვავებით, არც ავტორის და არც მისი გმირების მეტყველებაში არ არის კონსტატირებული **ჲ**, **ჳ** ბგერა[3].

[2] აქ არც უნდა ყოფილიყო **ე**.

[3] ამ ბგერის არსებობის შესახებ ქართულში მითითებულია ვ. თოფურიას წერილში „ქართული“, პოეტი, ტფ., 1924, გვ. 129; ო. ჯანიძის ატენისა და წყდისის ხეობის ქართული, იბერ-კავკ. ენათმეცნიერება, VI, 1953, გვ. 272—277.

როგორც ავტორის, ისე მისი გმირების მეტყველებაში შეინიშნება შემდეგი ფონეტიკური პროცესები:

ხმოვანთა ასიმილაცია

ა) რეგრესული სრული კონტაქტური

დეეხრჩო ბ. უ., 11, 34[4].

-ა ხმოვანუფიანი სახელების -ა მოუკვეცელია (იხ. გვ. 13), ემსგავსება მრავლობითი რიცხვის -ებ სუფიქსის ე-ს და ვიღებთ -ეები დაბოლოებას:

სიმღერეები ბ. ქ., ა, 16, 31; „ლექციეები“ გ. ღ., 12, 21[5];

„პატარეები“ ჩ. ს., ა, 9, 26; „მაღაზიეები“ გ. ღ., 12, 23;

გორგოლეები ჰ. მ., ა, 19, 17 და სხვ.

ქართლურისთვის სპეციფიკური—უფიქსული ა-ს მოუკვეცელობა მრავლობით რიცხვში და მისი დამსგავსება მრავლობითის სუფიქსის ხმოვანთან[6] ს. მგალობლიშვილის მოთხრობებისათვისაცაა დამახასიათებელი[7]. ფრონის ხეობის ქართლურში პროცესი უფრო შორს არის წასული, ეე-ს ნაცვლად ისმის გრძელი ე[8].

ბ) რეგრესული სრული დისტანციური

გველაშაპივით წ., 28, 14; „ამოდონა“ ბ. უ., 4, 40.

თანხმოვანთა ასიმილაცია

ა) რეგრესული სრული დისტანციური ასიმილაცია

ცარცვა-გლეჯა წ., 14, 17; დაწერწოლა წ., დ, 7, 6;

„რამ შიშორეზე“ გ. ღ., 35, 1; შიშველ-წყურვილი წ., დ, 7, 18.

ბ) რეგრესული ნაწილობრივი კონტაქტური ასიმილაცია

დასანდურებელი წ., დ, 7, 16; შენთხვევა პ. მ., ა, 6, 29;

თავპირდანტვრეული ბ. უ., 6, 47; „ავანტყოფობა“ ჩ. ს., ა, 17, 9 (←ავამტყოფობა ← ავამდყოფობა ← ავადმყოფობა);

„უნცროსობა“ ბ. ქ., ა, 25,5; დაანწყვედია პ. მ., ა, 16, 8 და სხვ.

კბილისმიერის მეზობლობაში ბაგისმიერი მ იქცა კბილისმიერ ნ-დ და მდ, მთ, მტ,—, მც, მწ კომპლექსების ნაცვლად მივიღეთ ნდ, ნთ, ნტ,—, ნც, ნწ კომპლექსები.

გ) რეგრესული ნაწილობრივი დისტანციური ასიმილაცია

შინჯავდა ბ. უ., 12,5.

დისიმილაცია

ა) პროგრესული მიმართულების დისტანციური დისიმილაცია

ბევრჯელ წ., ვ, 13, 3; ორჯელ-სამჯერ ბ. ქ., დ, 7, 11;

ოროლი ჩ. ს., ა, 17, 10 (←ორ-ორი).

ბ) რეგრესული მიმართულების კონტაქტური დისიმილაცია

ანბავი პ. მ., ა, 10, 25...

---

[4] ასოები წერტილებით მიუთითებს მოთხრობის სახელწოდებაზე. მძიმის შემდეგ უწერტილო ასო—ვარიანტზე, პირველი რიცხვი გვერდს, მეორე—სტრიქონს.

[5] პერსონაჟთა მეტყველების ნიმუშები მოგვყავს ბრჭყალებში, ავტორისა—უბრჭყალებოდ.

[6] ო. ჯახაძე, იქვე, გვ. 288.

[7] გ. შალამბერიძე, დიალექტიზმები ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში, იბერ. კავკ. ენათმეცნიერება, IX—X, 1958, გვ. 161.

[8] ა. მარტიროსოვი, ანგარიში სახუფუნო მიელინებისა ფრონის ხეობაში 1938 წ. ენიმკის მოამბე, VI, 3, 1939, გვ 212.

გ) რეგრესული მიმართულების დისტანციური დისიმილაცია
ბატარა ა., 1, 19.

მეტათეზისი

გვხვდება სონორული თანხმოვნებისა და მათთან ახლოს მდგომი **ვ** ბგერის მეტათეზისი. ადგილს იცვლიან როგორც უშუალო მეზობელი, ისე დაშორებული ბგერები:

ქრმის წ., თ, 5, 9; სარკლმები ხ. ს. ღ., ა, 4, 16;
ხლმები ბ. უ, 11, 51; ხორველა (← ხორერა ← ხოლერა) ბ. უ., 6, 25;
ძიელ (←ძრიელ ← ძლიერ) ა., 10, 25; ამღზდელი წ., დ, 2, 8; შეკმაზა ა., 12,55; ყვნოსის (← ყნოსვის) ა., 11, 23.

ბგერათა დაკარგვა

1) **ხ** ბგერის დაკარგვა

**ხ** მეტწილად პერსონაჟთა მეტყველებაში იკარგება:

ა) **ტ** ბგერის წინ:

„ტაქანი" ბ. მ., ა, 11, 12;
„ტანცია" ბ. მ., ა, 10. 29; „პრიტანი" ჩ. ს., ა, 16, 28.

ბ) მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებაში ხმოვანდაწყებიან სახელებთან სისტემატურად იკარგება მიცემითის **-ს**, როდესაც ეს სახელი დამატებაა და წინ უძღვის შემასმენელს ან წინადადების სხვა წევრს. ეს მოვლენა დამახასიათებელია ქართლურისათვის[9], მაგალითები:

„თავ მოვიკლამ" ჩ. ს., ა, 8, 3: „ღმერთ ერწმუნე" ბ. უ., 8, 5; „ისეთ ბურვაკ მოგართმევთ!" ბ. უ., 8, 33; „ერთ ამაზ როგორ დაგიჭერ?" წ., 8, 10; „ასეთ წვენ კი გაგეთებ!" ბ. უ., 13, 40; „აი ფურ-კამეჩ... დაუგირავებ!" ა., 9, 51; „იმას ხელ ვინ დაკარებს!?" ბ. უ., 3, 23; „შენ პირ შაქარ!" გ. ღ., 5, 5.

გ) მიცემითის **-ს** კარგება თანხმოვნით დაწყებული ცალკე მდგომი თანდებულების წინაც, ამის შედეგად ზოგი თანდებული (ზემოთ, ქვემოთ, წინ) სახელთა ფუძეს უერთდება, მაგ.:

ღრუბლებ შორის წ., ვ, 22, 18; ნაპირებ შორის ბ. ქ., დ, 4, 13; მათსა და მათ მსხვერპლ შუა ა., 10, 26; საფარველ ქვეშ ხ. ს. ღ., ა, 2, 21; უღვაჰებ ქვეშა ა., 12, 46; წელზემოთ წ., დ, 5, 2; „მუხლქვემოთ" ს. ა., 11, 15; წელქვემოთ წ., დ, 5, 1; ქალაქქვემოთ ა., 12, 23; სახლწინ ქ. ლ., 8, 12; კარებწინ ხ. ს. ღ., ა, 5,15 და სხვ.

დ) „ეს", „ის" ჩვენებით ნაცვალსახელებს წინამავალ მსაზღვრელად გამოყენებისას პერსონაჟთა მეტყველებაში დაკარგული აქვთ თანხმოვნითი ელემენტი **-ს**, მაგ.:

„ე კერა გვეაჩაღოთ, ...ე კუნძები დავაგუზგუზოთ!" ქ. ლ., ა, 4, 8;
„ე სკოლის ფული ხო მოგეცით.." ქ. ღ., ა, 7, 2; „ი ბავშვები მოამორეთ ეაღლსა..!" ს. ა , 3, 13; „ი მუდრეგი მგლებიც" ს. ა., 9,19 და სხვ.

ე) **ხ** დაკარგულია ფორმაუცვლელ სიტყვებში, სადაც იგი წარმოშობით $S_3$-ის, ან მიცემითი ბრუნვის ნიშანია, მაგ.:

თითქო (← თითქოს ← თუ ითქვას) წ., 13, 18;
„მარშან ზამთარ" ბ. მ., ა, 10, 11; დამდეგ ხ. ს. ღ., 1, 4;
როდი (←რა ოდეს) წ., 6, 17.

[9] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 132, 133.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) $S_3$-ის -ს დაკარგულია „არის“ ზმნაში (მხოლოდ გმირების მეტყველებისას):

„ეს არი ეხლა“ პ. მ., ა, 34, 10; „ეშმაკი არ არიო“ პ. მ., ა, 11, 24 და სხვ.

2) **რ** ბგერის დაკარგვა

ჩვეულებრივ მარტივდება **ბრტ**, **ბრძ**, **ბრწ**, **ბრჭ**, **ზრდ**, **ფრთ**, **გრძ**, **ჩრდ** თანხმოვანთა ჯგუფები:

ბტყელი გ. ლ., 2, 11; ბძანდებოდა წ., 21, 10; სახეგაბწყინვებული წ., თ, 39, 4; ბჭყალი გ. ლ., 23, 22; უზდელი ბ. ქ., დ, 6, 18; ფთხილად ხ. ს. ლ., ა, 4, 21; ფთები პ. მ., ა, 5, 17; გძელი ბ. ქ., დ, 8, 10; მგძნობიარე წ., ვ, 19, 14; დაიჩდილა პ. მ, ა, 6, 6.

3) **ლ** ბგერა დაკარგულია სიტყვებში

ხემწიფე ბ. უ., 5, 32; სახკარი წ., თ, 23, 10;

„წვრიმალი“ ჩ. ს., ა, 20, 4; „ძაან“ ა., 12, 18; სუ (←სულ) ბ. უ, 4, 9...

4) **მ** ბგერის დაკარგვა

მოქმედ პირთა მეტყველებაში **მ** იკარგება ჩვენებით ნაცვალსახელებში, როცა ისინი მსაზღვრელად წინ უძღვიან სახელს ირიბ ბრუნვებში, მაგ.:

„ე რუზე გადავწყვიტოთ რამე“! ბ. უ., 4, 37; „გამოდი ე საყდრის კარებთან!“ ა., 9, 4; „ი მამიჩემის მზემა“ ა., 6, 23; „ი გიჟმა ნინიკამ“ ა., 10, 15 და სხვ.

იშვიათად **მ** დაკარგულია მიმღეობებში და სიტყვის ბოლოს (პერსონაჟთა მეტყველებაში):

„ბრძანებელი“ გ. ლ., 16, 25; „ღვთიშობელსა“ ა., 2, 18; რო პ. მ, ა, 11, 19...

5) **ვ** ბგერის დაკარგვა

ა) **ვ** იკარგება უპირატესად **უ** და **ო** ხმოვნების წინ, მაგ.:

ჩაჰპაროდნენ ბ. ქ., დ, 4, 18; დათურად ა., 7, 58;

ბრიყული წ., ვ, 1, 24; შენასკული გ. ლ., 1, 10;

ბავშური პ. მ., ა, 13, 36; საბავშო ჩ. ს., ა, 10, 32;

ეუბნეოდა ჩ. ს., ა, 9, 8 (შდრ. ეუბნევოდა ა., 1,45).

**უ**-ს წინ იკარგება **ვ** მაშინაც, როცა ის სუბიექტური პირის ნიშანია (როგორც გმირების, ისე ავტორის მეტყველებაში), მაგ.:

... ხარებს სულ მე მოუდგები,—მიუგე მე. ა., 2, 28; „მე... არაფერი არ დაუმალე მოძლვარსა, უანბე ყველაფერი...“ ბ. ქ., ა, 30, 10;

... მე უახლოვდებოდი... გოროძირის არე-მარეს. ბ. უ., 2,8; „ჩვენ უნდა გაუძლვეთ წინ ჯარსა“ წ. ა., 18, 24 და სხვ.

ბ) **ვ** დაკარგულია **იე** ხმოვნებს შორის: „ჩამწკრიებულან“ ბ. ქ., დ, 11, 13; „გალვიებული“ ს. ა., 13, 18; „აციებს წყალს“. გ. ლ., 7, 12.

ბგერის განვითარება

ბგერის განვითარების შემთხვევები ნ. ლომოურის მოთხრობებში იშვიათია, ვითარდება სონორული თანხმოვნები და მათთან ახლოს მდგომი **ვ** ბგერა, მაგ.:

**რ**: „ქლერქი“ ს. ა., 23, 17; როდესლაც წ., ვ, 12, 15 (როდესაც სიტყვის ანალოგიით).

**მ**: სამზღვარი წ., დ, 3, 12; სამღვთო წ., ვ, 19, 6;

მემცხვარე პ. მ., ა, 32, 24; მსწავლული წ., 3, 24 (მიმღეობების ანალოგიით); უმფროსი წ., ვ, 17, 21 (უმცროსის ანალოგიით).

**ნ**: „ანგარე“ ბ. უ., 5, 3; ჭანდრები წ., კ, 17, 27.

**ვ**: ხორველა ბ. უ., 6, 25 (← ხორელა ← ხოლერა).

ბგერათმონაცვლეობა

მონაცვლეობენ მსგავსი ბგერები. მაგ.:

**მ/ნ**: ანღრეული წ., ვ, 11, 12; „ნეღე ერეკლე“ ბ. ქ., დ, 14. 8.

**ვ/ბ**: „ბარცხნა“ ა., 2, 41.

**ზ/დ**: სამძღვარი წ. ა., 34, 14.

**ტ/ჭ**: დაჭიკნილი გ. ღ., 9, 19 (დატკნილი)

**ც/ხ**: „უსაბედათ“ ბ. ქ., ა, 21, 6 (← უცაბედათ).

მონაცვლეობა გვაქვს ბგერათა კომპლექსებშიც:

**ვა → ო**: [ნისლი] კომლივით იფანტებოდა... ბ. ქ., დ, 4, 8.

**ვი → უ**: გამოსჭუოდნენ ბ. უ., 7, 34 (← გამოსჭვიოდნენ ← გამოსჭვივოდნენ).

**ოა** და **უა** კომპლექსები დისიმილაციის შედეგად გვაძლევს **უა** და **ია** კომპლექსებს, მაგ.:

ბერუა ბ. ქ., დ, 7, 2; „ჭიამა“ ს. ა., 6, 9;

„გიახლებით“ ბ. ქ., დ, 6, 17.

ხმოვანთა შერწყმის შედეგად გვაქვს:

**აიმ** (← აი იმ): „აიმ ციხეში“ ბ. ქ., დ, 13, 28.

**აის** (← აი ის): „აის ღრუბლები“ გ. ღ., 5, 1.

## მორფოლოგია

### სახელი

მრავლობითი რიცხვი

ნ. ლომოურის მოთხრობებში მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად ორივე სუფიქსი, **-ებ** და **-ნ (-თა)** გვხვდება, უპირატესად **-ებ**.

რამდენიმე შემთხვევაში ე. წ. ირიბ ბრუნვებში ორივე სუფიქსი ერთდროულადაა გამოყენებული, ე. ი. არის დაბოლოება **-ებთა**, მაგ.:

მდინარის კიდეებთ შუა ა., 7, 48;

მამაკაცნი... ეთხოვებოდნენ მშობლებთ... ბ. უ., 12, 48;

კერო პირებთა მდგომარეობა ა., 8, 17;

სხვა ქალალდებთა შორის წ., 10, 11.

ბრუნვის ნიშნები

ხმოვანფუძიან სახელებს პაუზასთან ერთვის სახელობითის **-ი**, მაგ.:

ნახა ამ ყოლაში თავი დაი. პ. მ., ა, 17, 9;

„თითქო კიდეც ებრალებათ მარი“. პ. მ., ა, 26, 18;

„ეხლა ნახირში ეყოლებათ... იმათ ძროხაი“. ბ. უ., 13, 15.

ეს -ი საზოგადო სახელებსაც ერთვის და საკუთარსაც, უპირატესად პერსონაჟთა მეტყველებაში ვხვდებით, როგორც დიალექტურ მოვლენას, კერძოდ—ქართლურს[10].

ვითარებითის -დ, როგორც ავტორის, ისე პერსონაჟთა მეტყველებაში სისტემატურად ყრუვდება, გვაქვს -თ, მაგ.:

საიდუმლოთ ხ. ს. ღ., ა, 3, 22; „ცხადათ“ ს. ა., 8, 13 და სხვ.

კუმშვა

სახელთა ბრუნებისას ფუძისეული ა, ე, ო ხმოვნები ნ. ლომოურის მოთხრობებში ჩვეულებრივ იკუმშება, მაგრამ არაერთი სახელი გვხვდება უკუმშველადაც.

ა არ იკუმშება სიტყვებში:

ზვარის წ., ვ, 30, 5; ქარავის ბ. ქ., დ, 8, 8;

ჯვარის წერა წ., ვ, ბ, 15; „ნაგავთა“ გ. ღ., 18, 7;

მომღერალის ბ. ქ., ა, 16, 1; არაყის წ., დ, 4, 2;

„უჩინარათ“ ა., 11, 45; „აწშყოთი და მომავალით“ გ. ღ., 29, 16;

„მარგალიტის თვალები“ ა., 1, 9; მტრის ქვეყანისაკენ წ. ა., 8, 7.

ე შეუკუმშავია სიტყვებში:

შავარდნის წ. ა., 23, 7; დედაბერის გ. ღ., 20, 11;

„რომელის“ გ. ღ., 13, 12; მანათობელის წ., თ, 46, 26;

მგელად წ., 29, 15; უვნებელათ წ. ა., 33, 18;

შეუმჩნეველად წ., 35, 14; უგრძნობელად წ., თ, 2, 8;

დარბაისელურად გ. ღ., 15, 22; განუწყვეტელად ა., 7, 13;

სადიდებელად წ. ა., 24, 14; საფუველიანი წ., 4, 19.

ო შეუკუმშავია სიტყვაში:

ობოლად წ., 37, 7.

ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვების ურედუქციო ფორმები ქართული სალიტერატურო ენისთვის ბუნებრივი არ არის[11], ასე ხმარების საფუველს არც ქართლური იძლევა, საერთოდ, აღმოსავლური დიალექტებისთვის და, კერძოდ, ქართლურისთვის, სწორედ ბლიერი რედუქციაა დამახასიათებელი.

კვეცა

-ა ხმოვანფუძიან სახელებზე მრავლობითის -ებ სუფიქსის დართვისას ფუძისეული ხმოვანი ზოგჯერ არ იკვეცება, მაგ.:

სიმღერაები ბ. ქ., დ, 13, 5; ნარეკალაები ბ. უ., 2, 14;

„ჩიორაები“ გ. ღ., 3, 19; „ჯატარაები“ გ. ღ., 10, 23;

„ჩემისთანაები“ წ. ა., 24, 23; „ოაებს“ ბ. ქ., დ, 17, 12 და სხვ. შემდეგ ფუძისეული ხმოვანი ემსგავსება მრავლობითის სუფიქსის -ე-ს (იხ. გვ. 4). ეს მოვლენა ქართლურისთვისაა დამახასიათებელი)[12], დადასტურებულია ს. მგალობლიშვილის მოთხრობებშიც[13].

---

[10] გ. თოფურია, ქართული, გვ. 138.

[11] გ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში, იბერ-კავკ. ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 72—73.

[12] ა. მარტიროსოვი, მიკლინება ფრონის ხეობაში, გვ. 212.

[13] გ. შალამბერიძე, დიალექტიზმები ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში, გვ. 162.

**-ე** ხმოვანდაწყებულ სახელებზე მრავლობითის **-ებ** სუფიქსის დართვისას ნაცვლად **-ებ**ისა დაბოლოებისა იშვიათად გვხვდება **-ებ**, შერწყმულია ორი **ე**: მოწვეები წ., თ, 30, 7; ბ. უ., 12, 30; სახრები ბ. ქ., ა, 29, 23.

## ნაწილაკიანი სახელების ბრუნება

ნაწილაკიანი ნაცვალსახელებისა და რიცხვითი სახელების ბრუნებისას ნ. ლომოური უპირატესად შეუხორცებელ წარმოებას იყენებს.

**-მე** ნაწილაკი შეუხორცებელია ფუძეს:

მიც.: იქნება ვისმე ეგონოს ბ. მ., ა, 14, 11; მოიტანდა რასმე წ., დ, 7,7; რომელსამე მოსწავლეს წ., ვ, 16, 25; რამდენსამე ტოტს წ., ვ, 12, 10 და სხვ.

ნათ.: „ოცისამე მოგონება“ ა., 11, 54; რომელისამე ოჯახისაკენ ჩ. ს., ა, 20, 9.

მოქმედებითში საზღვრულს მსაზღვრელი ნათესაობითის ფორმით ეწყობა რამდენისამე დღით წ., თ, 29, 3 და სხვ.

ვითარებ.: რამდენათმე დაკეცილი შალი გ. ღ., 9, 11.

აღსანიშნავია, რომ ნაცვალსახელს „რამდენიმე“ ნ. ლომოური შეუხორცებელი სახით მოთხრობითშიც ხმარობს: რამდენმამე ბიჭმა ბ. უ., 11, 45; რამდენმამე ოჯახმა წ., 21, 13; რამდენმამე ნაცნობმა წ., 46, 6 და სხვ[14].

**-მე** ნაწილაკიანი სახელების შეუხორცებელი წარმოება XIX საუკუნის სალიტერატურო ქართულში გვხვდება[15] და ნ. ლომოურის მიერ მისი ხმარება ბუნებრივია.

**-ვე** ნაწილაკიანი ნაცვალსახელები და რიგითი რიცხვითი სახელები შეუხორცებელი ბრუნების წესს მისდევს:

**მიც.**: ყოველსავე გაპატიებს წ., 29, 3; იმგვარსავე ტანჯვა-ნეტარებასა წ., თ, 34, 12; თავისავე საავათმყოფოში ბ. მ., ა, 37, 21; პირველსავე დღეს ბ. მ., ა, 15, 27.

მოქმ. (მსაზღვრელი ნათესაობითშია): იმგვარისავე მოხერხებით წ. ა., ა, 33, 4; ისეთისავე სინაზით წ., თ, 47, 2.

ვითარებ. (მსაზღვრელი მიცემითშია): იმგვარსავე მოვლენად წ., 33, 15.

**-ვე** ნაწილაკი რაოდენობით რიცხვით სახელებთან ფუძესაა მეხორცებული: ორივემ ბ. მ., ა, 13, 3; ორივეს ბ. მ., ა, 13, 14; სამივენი წ., კ, 22, 20, მაგრამ გვხვდება უკანონო ფორმებიც:

ორთავენი გ. ღ., 23, 11; სამთავენი ა., 10, 38;

ორთავემ ბ. უ., 10, 25; სამთავემ წ., კ, 22, 25.

ასეთი ფორმები უცხო არ აოის ქართულისთვის[16].

**-ღა** ნაწილაკი ბრუნებისას ფუძესაა მეხორცებული:

„ვილას რათ უნდა“? წ. ა., 29, 9; „ვილასა დგახართ?“ ბ. უ., 5, 55.

---

[14] მსგავსი წარმოების მაგალითს ყაზბეგისას ასახელებს ა. შანიძე, იხ. მისი—ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, 1953, გვ. 105.

[15] **-მე, -ვე, -ღა, -ღაც (ა)** ნაწილაკიან სახელთა ბრუნება, ვ. თოფურიას მოხსენების ძიებით, სალიტერატურო ქართულის ნორმები, I, 1936, გვ. 14.

[16] ო. ჯაბაძე. ატენისა და წყდისის ხეობის ქართული, გვ. 289.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**-ღა** ნაწილაკიანი სახელების ბრუნებისას ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შორის ჩაისმის:

მოთხრ.: ვიღამაც მოირბინა. ხ. ს. ღ., ა, 4, 22; რაღამაც უკბინა. გ. ღ., 2, 8; „რომელღამაც იწყო სიარული“. წ., თ, 40, 7 და სხვ.

მიც.: ვიღასაც დასტაცა ხელი. წ. ა., 28, 5;

„რაღასაც ჩაჩითიფერთობენო“. ბ. უ., 12, 19 და სხვ.

ნათ.: ვიღასიც ხმა წ., 8, 3.

ასევეა მრავლობითშიც: რაღაებიც შესჭრა. პ. მ., ა, 36, 18;

რაღაებმაც იმოქმედეს. ა., 3, 28; „რაღაებისთვინაც“ ბ. უ., 13,9.

**-ღაცა** ნაწილაკიანი სახელების ბრუნების ე. წ. გარდამავალი სახეობა სალიტერატურო ქართულშიც გვხვდება და ქართლურიათვის ძირითადი უნდა იყოს.

**-ღა, -ღაც(ა)**[1] ნაწილაკიანი სახელები ნათესაობითსა და მოქმედებითში მხოლოდ ნარევი სახით გვხვდება, **-ღა** ნაწილაკი ბრუნვის ნიშნისგან სახეცვლილ ფუძეს ერთვის, ბრუნვის ნიშანი ნაწილაკის შემდეგაცაა, მაგ.:

რიღასიც თქმა უნდოდა. გ. ღ., 19, 3;

„ვრღათი გავცე პასუხი?“ ქ. ლ., ა, 9, 13 და სხვ.

ეს ფორმები სალიტერატურო ქართულშიც იჩენს თავს, როგორც უკანონო, მოეპოვება ქართლურსაც.

## ზმნა

თემის ნიშანი

**-ავ** თემის ნიშნის პარალელურად აწმყო-მყოფადშია და თურმეობითშიც, როგორც პერსონაჟების, ისე ავტორის მეტყველებაში სისტემატურად გვხვდება **-ამ**, მაგ.:

„ნუ სცოდამ!“ წ., თ, 13, 27; ჰბაძამდა პ. მ., ა, 4, 10;

დაჰფარამდა ჩ. ს., ა, 26, 12; არც მინახამს წ., ვ, 32, 17 და სხვ.

ეს მოვლენა ბუნებრივია ქართლურისთვის[17].

ფუძედრეკადი ზმნები

ფუძედრეკადი ზმნები რომ სუფიქსებს შეიცავს[18], დღევანდელ ქართულში ეს დაჩრდილულია, ამის გამო თითქმის ჩვეულებრივადაა ნაქცევი ასეთ ზმნებზე თემის ნიშნის დართვა[19].

ნ. ლომოურის მოთხრობებში იშვიათი არ არის ფუძედრეკად ზმნებზე **-ავ/-ამ** თემის ნიშნების დართვა, მაგ.:

სწშენდავს გ. ღ., 7, 12; სცქვეტავს ყურებს. ა., 11, 42;

„თავს გაგისრესამს“. ჩ. ს., ა, 19, 26; „მჩხვლეტამდა“ ს. ა., 11, 2 და სხვ.

**-ავ/-ამ** თემის ნიშნები ერთვის ერთთემიან და **-ი** თემისნიშნიან ზმნებსაც, მაგ.:

სტენავდნენ წ. ა., 16, 10; ვრაცხამ წ., 43, 8 და სხვ.

---

[17] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 141.

[18] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, თსუ შრომები, III, 1936, გვ. 230—232.

[19] ი. ც ე რ ც ვ ა ძ ე, ფუძედრეკად ზმნათა თავისებური წარმოებისათვის, სტუდ. სამეცნ. შრომ. კრებ., 1, 1941.

ზოგჯერ მიმღეობაც -**ავ** თემიანი ზმნების მსგავსადაა ნაწარმოები:

დაკლაკნული ხ. ს. ღ., ა, 4,11 (შდრ. დაკლაკნილი ხ. ს. ღ., ა, 13,12);

გაღღინთული წ., ვ, 30, 15 (შდრ. გაღღინთილი წ., კ, 17, 13) და სხვ.

დროთა წარმოება

-**ობა**-ზე დაბოლოებულ ზმნებს, როგორც მხოლოობითის, ისე მრავლობითის სამსავე პირში ბოლოში ხმირად ახლავს -**ნ**, მაგ.:

შეუძლიან წ., ვ, 24, 4; „სცალიან“ გ. ღ., 19, 6;

„მწყურიან“ წ., კ, 15, 24; „ნუ გეშინიან!“ ა., 12, 20;

„გწადიანთ“ ბ. უ., 13, 7 და სხვ.

ამ რიგის ზმნები წარმოშობით სამპირიანია, დაკარგული აქვთ სუბიექტი, ის პირი, რომელიც ამ -**ან**-ს აჩენდა ბოლოში, ზმნა იქცა ობიექტური წყობისად, რაკი მრავლობითობა აღარაფერ შუაშია, იკარგება -**ან** სუფიქსის ნ-ც[20], ქართლურში ეს ნ შემონახულია[21], აქედან ნ. ლომოურიც ხმარობს.

ნ. სრულში ზმნების ერთ წყებას სალიტერატურო ქართულში I—II პირში აქვს დაბოლოება -**ი**, როგორც ცნობილია, ეს -**ი** არ არის მორფოლოგიური ელემენტი[22], ასეთი ზმნები ნ. ლომოურის მოთხრობებში ჩვეულებრივ ამ -**ი**-ს გარეშე გვხდება, მაგ.:

გაეცან ბ. ქ., დ, 7, 6; წავადექ ა., 3, 35;

„უთხარ“ ბ. ქ., ა, 29, 30; „გადაეც“ წ., თ, 43, 20 და სხვ.

ზმნებს, რომლებსაც სალიტერატურო ქართულში ნ. სრულის I-II პირში -**ე** დაბოლოება აქვთ, ნ. ლომოური -**ეი** დაბოლოებით ხმარობს, მაგ.:

„მოვბანეიე“ ს. ა., 14, 28; მოვიტანეითა ა., 4, 29;

„ნახეიე“ წ., 27, 28; ჰკითხეითო წ., კ, 21, 10.

-**ეი** სუფიქსი გამოიყოფა -**ევ**, რომელიც ზმნათა გარკვეულ წყებას ახასიათებს და რომლისგანაც მიღებულია ნ. სრულის ე[23]. ნ. ლომოურის მოთხრობებში ქართლურიდან შეთვისებული „მოვბანეიე“, „ჰკითხეითო“ ფორმები[24] უფრო ძველ ვითარებას ასახავს, ვიდრე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული „მოვბანე“, „ჰკითხეთ“ მსგავსი ფორმები.

ენებითი გვარის ზმნებს მეორე სერიის ნაკვთებში—ნ. სრულსა და კავშირებით მეორეში—მრ. რიცხვის I და II პირში უჩნდება -**ენ**- ფიქსი, რომელიც ძველი ქართულიდან მომდინარეობს[25], გვხვდება მე-19 ს. მწერლობაში, ახასიათებს ქართლურსაც. მაგ.:

ნ. სრ. „გამოვიპარენით“ ბ. მ., ა, 34, 16; დავემალენით ა., 6, 13;

„აიყარენით“ ა., 5, 13; „დაიკარგენით“ გ. ღ., 27, 32 და სხვ.

კავშ. II „მოვერიდენეთ“ წ. ა., 22, 11; „უნდა აივყარნეთ!“ ა., 5,50.

---

[20] არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა, იბერ.-კავკ. ენებში, I, 1948, გვ. 70.

[21] ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 143.

[22] არნ. ჩიქობავა, რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში? ტფ. უნ. მოამბე, IX, 1929, გვ. 113.

[23] გ. როგავა, აორისტისა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -**ევ** აფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, სპ. სრ მეცნ. აკად. მოამბე, VI, № 8, 1945, გვ. 647, გვ. 652.

[24] ვ. თოფურია, ქართლური, გვ. 143.

[25] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადებების პრობლემა ქართულში, I, 1928, გვ. 235, ციხივე რით არის წარმოდგენილი МО.., გვ. 108.

ეროვნული ბიბლიოთეკა

-ენ აფიქსის გამოყენებისას აღდგენილია კავშირებითის უძველესი ნიშანი -ე ისეთ ზმნებთანაც, რომლებსაც კავშირებითი ახალ ქართულში ჩვეულებრივ -ო- თი ეწარმოებათ (შდრ. ავიყაროთ, მოვერიდოთ).

თურმეობით პირველში -ია-ზე დაბოლოებულ ზმნებს უჩნდება -ნ-, მაგ.:

მიუყიდნია წ., ვ, 3, 3; მოხვევნია წ., კ, 12, 1;

„ჩაუქახნია“ ა., 5,25 და სხვ.

ეს -ნ- თურმეობით მეორეშიც გადასდევს:

ელაპარაკნა ა., 1, 43; დაეკიდნათ ბ. უ., 2, 12;

დაეთხოვნა წ., დ, 8, 12; „გაეტაცნა“ ბ. ქ., ა, 23, 16 და სხვ.

-ავ და -ამ თემიანი ზმნები სხვა ზმნების მსგავსად თურმეობით პირველში -ია დაბოლოებას იღებენ, მაგ.:

უთელია ქ. ლ., ა, 2.8; „წაუულეკია“ ბ. უ., 11, 33; მიუკრუნჩხიათ ბ. უ., 1, 2 და სხვ.

ასეთი წარმოება ახასიათებს ქართულურს[26]. ამისათვის სხვა ზმნების ანალოგიის გარდა იმასაც უნდა შეეწყო ხელი, რომ -ავ და -ამ თემიანი ზმნების თურმეობითი I-ის ფორმები ემთხვეოდა აწმყო-მყოფადის სასხვისო ქცევის ფორმებს, თურმეობითში -ია-ს დართვით მოხერხდა ამ ერთგვარი ფორმების გარჩევა, მეორე მხრივ მოხდა თურმეობითის წარმოების უნიფიკაცია სხვადასხვა ტიპის ზმნებისათვის.

-ავ და -ამ თემიან ზმნებს თურმეობითში რადგან -ია დაბოლოება გაუჩნდა, აქაც დაერთო -ნ-, რომელიც თურმეობით მეორეშიც გადასდევს, მაგ.:

თურმ. I.: შეუხედნია წ., თ, 46, 1; დაუზოცნია ბ. უ., 11, 14; დაუხერტყნია ჩ. ს., ა, 3, 20 და სხვ.

თურმ. II: მოეკეცნა ბ. უ., 3, 34; დაეხოცნა წ. ა., 4, 40;

გაებედნა ბ. ქ., ა, 24, 4 და სხვ.

ზმნისწინი

მო- ზმნისწინი პირველი პირის ობიექტური მ- პრეფიქსის წინ მა- სახით გვხვდება, მაგ.: მამესმა ა., 1, 44; „მამძებნე“ ბ. უ., 9, 35; მამაგონდა ა., 1, 30; „გამამიშუქა“ გ. ღ., 13, 23 და სხვ. ორჯერ მიმღეობაშიც შეგვხვდა მა- ზმნისწინი:

მამაკვდავი ბ. მ., ა, 36, 14; „მამკვდარიყო“ ჩ. ს., ა, 19, 23—ორ მ-ს შორის დისიმილაციით ო იქცევა ა-დ.

გადა- ზმნისწინი ვნებითი გვარის ან ქცევის ხმოვნების წინ გვხვდება როგორც სრული სახით, ისე ბოლო ხმოვან მოკვეცილი—გად-, მაგ.:

პირღიმელი გადეფინათ. ბ. ქ., ა, 19,5;

„გადირჩინეთ თავი!“ წ. ა., 24, 24; „გადიწხლართა“ ბ. ქ. ა, 24, 17;

„გადუგდებ პურს“. პ. მ., ა, 31, 23 და სხვ.

სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა.

მეორე პირის სუბიექტურ პრეფიქსს ნ. ლომოური საერთოდ არ ხმარობს, მაგ.:

---

[26] გ. იმნაიშვილი, არაგვის ხეობის ქართლური, იბერ-კავკ. ენათმეცნიერება, IV, 1953, გვ. 328.

მისივე, ბორჯომის ხეობის ქართლურის თავისებურებანი, იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება, VIII, 1956, გვ. 100.

„რას ბორგავ, რას ტრიალებ?“ ჩ. ს., ა, 13,9;
„ჩემ გვერდზე რო დადგებოდი“...გ. ღ., 3,17;
„რისთვინაც შეგროვდით“... ბ. უ., 4, 34 და სხვ.

სულ სამ ზმნასთან შეგვხვდა $S_4$:

„მაშ გასწი ეხლავე!“ წ. ა., 14, 1; „ეხლავე გაჰქუსლე!“ წ. ა., 22, 14;

„ნუ სწუხდებით, ყმაწვილო, ნუ სწუხდებით“ წ., ბ, 13, 5 (პირველი ორი წარმომითი ბრძანებითია). აქ პრეფიქსი მეორე პირის აღსანიშნავად არ უნდა იყოს, ამ ზმნებთან პრეფიქსი მესამე პირიც მუდამ გამოყენებულია (იხ. გვ. 23), პრეფიქსი ფუძეს მექანიკურადაა შეზრდილი.

$S_2$ ქართლურში (კერძოდ, ქართლის იმ კუთხეში, საიდანაც ჩვენი ავტორია) გამქრალია[37], ამიტომ უნდა იყოს, რომ მას არც ნ. ლომოური ხმარობს. მესამე პირის ობიექტური პრეფიქსი ნ. ლომოურის მოთხრობებში გარდა ხმოვნებისა არ გვხვდება სპირანტების (ლ-ს გამოკლებით), ავრეთვე ვ-ს და ნარნარა ბგერების წინ.

პრეფიქსებად გამოყენებულია ჰ- და მისი ფონეტიკური ფარიანტი ხ-.

$O_3$-ს $S_1$-ის შემდეგ ნ. ლომოური არ ხმარობს, მაგ.:

„ამირანას მოვპარეთ ფეხი“... ს. ა., 15, 30;
„...ხელმწიფეს სადგან უნდა გავცე პასუხი...?“ ბ. უ., 5, 32;
„ჩვენც მივძახეთ ბანი“. ბ. ქ., ა, 25, 19 და სხვ.

ერთხელ შეგვხვდა ასეთ პირობებში $O_3$: „შევსთხოვდი ა., 1, 35, მაგრამ იგივე ზმნა ჩვეულებრივ უპრეფიქსოდაა: შევთხოვე ა., 3, 21...

ზემოთქმულის გარდა სამპირიან ზმნებთან $O_3$ მუდამ გამოყენებულია, მაგ.: [ყმაწვილმა] სალამი მისცა მხედართმთავარს. ხ. ს., ა, 8,8;

[ხარს] .. გამოსჭრეს ყელი. ბ. უ., 9, 25;

[მაროს]... მოჰბანეს თვალები. ბ. მ., ა, 20, 1 და სხვ.

მუდამ გვხვდება $O_3$ აგრეთვე ორპირიან გარდაუვალ ზმნებთანაც (გარდა -ობ თემიანი ზმნებისა), მაგ.:

„ეგენი გლეხებს არა ჰგვანან“. ქ. ლ., ა, 6, 5;

[ცხენი]... მოსწყდა დედამიწასა... წ. ა., 23, 12 და სხვ.

ინვერსიულ ზმნებთან $O_3$ მუდამ იხმარება, მაგ.:

„...ზაქარა ჰქვიან სახელად“. ბ. ქ., დ. 11, 2;
„ვისა სცალიან თქვენთვისა?“ გ. ღ., 19, 6;
„ჩემ ქმარს ერთი ცუდი ზნე სჩვეოდა“. წ., ვ, 2, 25 და სხვ.

$O_3$ მუდამ გვხვდება აგრეთვე ზმნებთან, რომლებსაც ნ. სრულში სუბიექტი მოთხრობითში აქვთ, ობიექტი—მიცემითში:

მოჰკრა მას... ნაკადულმა. ბ. უ., 10, 57;
[ბავშვებმა]... შესცინეს ერთმანეთს. ბ. მ., ა, 32, 21 და სხვ.

(ეს ზმნები წარმოშობით სამპირიანია, $O_3$ უნდა ყოფილიყო კიდეც).

ორპირიან გარდაუვალ ზმნათაგან ცალკე უნდა გამოიყოს -ობ თემიანი ზმნები, ამ ზმნებთან $O_3$ არ იხმარება, მაგ.:

[მარო] თავის ტკივილსა გრძნობდა... ბ. მ., ა, 16, 24;
[მიხაკო]... ლექსსა კითხულობდა. წ., დ, 18, 19;

---

[37] ა. შანიძე, სუბ. პრეფ. მე-2 პირისა და ობ. პრეფ. მე-3 პირისა, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, გვ. 230.

„რაღასაც ჩირთიფირთობენო“. ბ. უ., 12, 19;

ბაადური... შვილის მომავალზე... ამასა ფიქრობდა. წ., დ, 7, 12.

ორპირიან გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა პირველ სერიაში ნ. ლომოური თითქმის მუდამ ხმარობს ობიექტურ პრეფიქსს, მაგ.:

[მარო და ბაბუცა]... ღასტსა სწვამდნენ. პ. მ., ა, 22, 25;

[ამილახვარი] ერთის დაკვრით ვაჟკაცს შუაზე სჩეხდა. წ. ა., 35, ე და სხვ.

მხოლოდ ოთხჯერ შეგვხვდა 2 პ. გარდამავალი ზმნა I სერიაში უპრეფიქსოდ, მაგ.:

[ნადირები]... გლეჯავდნენ... ცხოველებს... გ. ღ., 32, 27;

„მართალს ბძანებს ნაწმე...“ ხ. ს. ღ., ა, 10, 58 და სხვ.

ორპირიან გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა II სერიაშიც ხმარობს ნ. ლომოური $O_3$-ს, ე. ი. სახელობითში დასმული ობიექტის გადმოსაცემად, მაგ.: მთელი სახე ბერიკაცისა ღიმილმა დაჭყარა. ბ. ქ., დ, 7, 9;

ურმისთვის გაჭგზავნეს... ორი ბიჭი. ბ. უ., 7, 10;

ბაბუცამ ძილი დაჭკარგა. პ. მ., ა, 27, 2 და სხვ. (198 მაგ.).

უპრეფიქსო ფორმები შედარებით ნაკლებად გვხვდება (43 მაგ.):

მჟაუნაშვილმაც კარები ჩაკეტა... წ., 8, 24;

ბიცებმა გაყარეს ხელიდან ცულები. ა., 4, 21 და სხვ.

აქვე უნდა დავასახელოთ ისეთი ზმნები, რომლებსაც ნ. სრულში სუბიექტი მოთხრობითში შეეწყობა, ობიექტი კი დაკარგული აქვთ, ასეთ ზმნებს მუდამ პრეფიქსით ეხვდებით, მაგ.:

გასტანა ბ. უ., 1, 41; წამოჭბერა [ნიავმა]. ბ. უ., 2, 27;

გაჭუსლეს წ., 25, 23; შეჭკივლეს გ. ღ., 23, 31;

მოჭყურცხლა პ. მ., ა, 23, 25; შეჭღუვლებდა ხოლმე ა., 10, 26 და სხვ.

ჩანს, კიდევ იგრძნობა ამ ზმნების მრავალპირიანობა და კიდევ აისახება უკვე დაკარგული პირის ნიშანი.

არის კიდევ ერთპირიანი ზმნების ერთი წყება, რომლებთანაც პრეფიქსის ხმარება ჩვეულებაა ნაქცევი, მაგ.:

სცურამდნენ წ. ა., 19, 23; სწყვება ბ. უ., 2, 1;

სწუხდა წ., 24, 14; მიჭკრიდა წ., ბ, 2, 10; გაჭანდა ბ. უ., 6, 45.

ამგვარად, $S_3$ ნ. ლომოურისთვის მკვდარია, $O_3$-ს ხმარობს მუდამ, სადაც კი ამის საჭიროებაა—მიცემითში დასმული ობიექტის გამოსახატავად—ორპირიან გარდაუვალ და სამპირიან ზმნებთან, ორპირიან გარდამავალთან დრო-კილოთა პირველ სერიაში, ამ მხრივ ნ. ლომოურის ენას ქართლურის გავლენა ატყვია[28].

ნ. ლომოური $O_3$-ს მუდამ ხმარობს აგრეთვე მოთხრობით სუბიექტიან ზმნებთან, რომლებსაც ობიექტი დაკარგული აქვთ, ორპირიან გარდამავალ ზმნებთან დრო-კილოთა II სერიაში—უპირატესად, და ერთპირიანი ზმნების ერთ წყებასთან, რომლების ფუძესაც შეხორცებულია პრეფიქსი.

### თანდებულები

ნ. ლომოურის მოთხრობებში ერთიდაიგივე თანდებული გვხვდება როგორც სრული სახით, ისე ფონეტიკურად სახეცვლილი.

[28] ა. შანიძე, სუბ. პრეფ. მე-2 პირისა და ობ. პრეფ. მე-3 პირისა. გვ. 231.

**-ზე** თანდებული გვხვდება **-ზე** (უპირატესად, 571 შემთხვევა), **-ზედ** (227-ჯერ) და **-ზედა** (62 მაგ.) სახით, მაგ.:

სახეზე გ. ღ., 21, 4; ქვაზე ჩ. ს., ა, 18, 19 და სხვ.

საღამოზედ წ., დ, 7,7; გულზედ პ. მ., ა, 29, 23 და სხვ.

**-გან** თანდებული მოქმედებითთან უპირატესად სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებული ფორმით გვხვდება: სახლიდან წ., ვ, 15, 9; ქედიდან ა., 13, 12 (184 მაგ.), გვხვდება **-იდგან** დაბოლოებაც:

ამიერიდგან წ., ვ, 28,2; დარბაზიდგან გ. ღ., 24, 1 (31 მაგ.).

**-თ-ს** თანდებულს უპირატესად ამ ფორმით ხმარობს ნ. ლომოური, მაგ.: ავათმყოფობისთვის წ., თ, 19, 15; „გამჭრიახობისთვის“ ხ. ს. ღ., ა, 11, 3 და სხვ. (137 მაგ.).

ამ თანდებულის **-თვინ** ფორმა, რომელიც დღეს მხოლოდ კილოებში იხმარება, თორმეტჯერ შევნიშნეთ, აქედან ათი პერსონალთა მეტყველებაში, მაგ.: „ქაცისთვინ“ ბ. უ., 11, 21; „მთვრალისთვინ“ ბ. უ., 11, 34 და სხვ.

**-მდე** თანდებული გვხვდება თითქმის ყველა სახით, რომელიც კი შეიძლება ჰქონდეს მას საერთოდ[29], გაბატონებულია **-მდე** (53 მაგ.):

თავით ბოლომდე წ., თ, 9, 18; მუხლებამდე ხ. ს. ღ., ა, 6, 14 და სხვ.

**-მდის** რვაჯერა აქვს ნახმარი ავტორს:

ცამდის წ., 21, 14; ვახშმობამდის პ. მ., ა, 17, 12 და სხვ.

ამის პარალელურად პერსონალთა მეტყველებაში ვხვდებით **-მდინ** ფორმას (თვით ავტორს ერთხელ აქვს ნახმარი), რომელიც დღეს დიალექტურია[30], მაგ. „ექამდინ“ ბ. უ., 3, 27; „სოფლამდინ“ პ. მ., ა, 27, 19 და სხვ. (6. მაგ.).

ერთხელ შეგვხვდა **-მდი**: ბლაღოჩინამდი ა., 4, 39.

**-მდისინ**, მიღებული **-მდის** და **-მდინ**-ის კონტამინაციით, უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე მისი შემადგენელი კომპონენტები ორივე ერთად, ე. ი. **-მდე** თანდებულის პარალელურად, რომელიც გაბატონებულია, იხმარება არა **-მდის**, არამედ **-მდისინ** (27 შემთხვევა), მაგ.:

კიბემდისინ პ. მ., ა, 33, 29; ხშირბინდამდისინ ბ. უ., 2, 34;

წლითწლობამდისინ წ., 44, 15 და სხვ.

**-გან** თანდებულს (მოქმედებითთან) პარალელურად ნ. ლომოური ხმარობს **-დამ** თანდებულს (229 შემთხვევა), რომელიც გარეგნული სახით ახლოსაა მასთან, მაგრამ სრულიად სხვა ასაკისა და წარმოშობისაა[31], მაგ.:

ურმიდამ ა., 3, 30; „სოფლიდამ“ ს. ა., 5, 16 და სხვ.

**-დამ** ძალზე ხშირია აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა ენაში[32].

ნ. ლომოურის მოთხრობებში გვხვდება **-ვეზ/-ვეფ** თანდებული[33]: მათ სიტყვას და ბრძანებას ყურმოჭრილ ყმასავეზ ასრულებდა მთელი სოფელი ბ. უ., 12, 44.

---

[29] ა. შანიძე, -მდე თანდებულის გენეზისისათვის, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, III, № 4, 1942, გვ. 367—371.

[30] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 623.

[31] არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში, ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 62.

[32] არნ. ჩიქობავა, ერთი უცნობი თანდებული..., გვ. 56.

[33] -ვეზ თანდებული დადასტურებულია ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში, იხ. გ. წალამბერიძე, დიალექტიზმები ს. მგალობლიშვილის მოთხრობებში, გვ. 168.

13.

თონესავეფ დახურებულნი,... [მთები] ახურებდნენ ჰაერს. ბ. უ., 5, 17;
...მისი თამასუქები რკინის ბადესავეფ იყო გადაშლილი... გლეხობის შრომაზედ. ა., 8, 21;
გიგო ამ წყის ზეციერ მანანასავეფ ნატროდა. ბ. უ., 12, 12;
ძროხასავეფ... შეჰქმნა ბღავილი... ბებერმა. ბ. უ., 13, 18;
[დათუას]... დამბალი ხესავეფ გაჰკონდა ძანძარი. ა., 9,16;
[ნინიკა]... პირუტყვისავეფ შეჰღმუვლებდა ხოლმე. ა., 10, 25.

შინაარსობლივად ეს თანდებული აღნიშნავს მსგავსებას, მნიშვნელობით ეტოლება **-ვით** და **-ებრ** თანდებულებს.

„სა შეუალსა და ახალ ქართულში **-ებრ** თანდებული **რ** თანხმოვნის მოკვეციოაც იხმარება“[34], ე. ი. **-ებ** სახით, **-ებ**-იდან შეიძლება **-ეფ** იყოს მიღებული[35].

ჩვენ მაგალითებში დადასტურებულ **-ვებ**/**-ვეფ** თანდებულში სწორედ **-ებრ** თანდებულისეული **-ებ**/**-ეფ** უნდა გამოვყოთ ძირითად ელემენტად, **ვ** კი ფონეტიკურად ხელსაყრელ გარემოში უნდა იყოს განვითარებული[36], ამისთვის **-ვით** თანდებულის ანალოგიასაც უნდა შეეწყო ხელი.

**-ვებ**/**-ვეფ** თანდებული სახელს მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში მართავს, მიცემითში—ხმოვანფუძიანებს, ნათესაობითში—თანხმოვანფუძიანებს (თუმცა საამისო მაგალითი მხოლოდ ერთი გვაქვს), **-ებრ** თანდებული, რომელიც **-ვეფ**-ის ამოსავლად მივიჩნიეთ, სახელს ნათესაობით ბრუნვაში მართავს, შეიძლება პირდაპირ ფუძესაც დაერთოს[37]. ამის მიხედვით **-ვეფ** თანდებულის ნათესაობით ბრუნვასთან ხმარება ბუნებრივი იქნებოდა, მაგრამ გაუგებარი რჩება მისი ხმარება მიცემითთან.

**-ებრ** თანდებულისაგან მომდინარე **-ვეფ** მნიშვნელობით ეტოლება **-ვით** თანდებულს, ფონეტიკური ცვლის შედეგად კი ფორმალურადაც დაემსგავსა **მას**, ამიტომ მის მსგავსად ხმოვანფუძიან სახელებში მიცემით ბრუნვას დაერთო, თანხმოვანფუძიანებთან კი შეერჩა ნათესაობითში მართვის წესი, რადგან ამას არც **-ვით** თანდებული გამორიცხავდა.

აღსანიშნავია, რომ **-ვებ**/**-ვეფ** თანდებულის ნაცვლად ნაბეჭდ ტექსტში ზოგგან **-ვით** თანდებულია: ბადესავით გვ. 26, მანანასავით გვ. 119, პირუტყვსავით გვ. 33[38].

**-ებრ**, როგორც თანდებული, ნ. ლომოურის მოთხრობებში არ შეგვხვედრია.

### ცალკე მდგომი თანდებულები

ცალკე მდგომი თანდებულების მიერ სახელის მართვისას ნ. ლომოურის მოთხრობებში შეინიშნება ერთგვარი წესი:

ხმოვანფუძიან სახელებს **შორის**, **შუა**, **წინ**, **უკან**, **ქვეშ**, **იქით**—თანდებულები მუდამ ნათესაობითში მართავენ (ზემოთ, ქვემოთ, აქეთ, გარეთ—თანდებულად ხმოვანფუძიან სახელებთან არ შეგვხვედრია), მაგ.:

[34] ა. მარტიროსოვი, თანდებული ქართულში, იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება, I, 1946, გვ. 227.

[35] მ. ანდრონიკაშვილი, -ებრ სუფიქსი „ვეფხის-ტყაოსანში“.

[36] ამ საკითხს ეხება ო. ჭაჭანია წერილში: ქართული კილო ნ. ლომოურის მოთხრობებში, Ученые записки, VIII, серия филолог. наук, 1961, Сталинир, გვ. 1 12.

[37] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, გვ. 622; ა. მარტიროსოვი, თანდებული .., გვ. 227—228.

[38] ნ. ლომოური, მოთხრობები, საბელგამი. 1926.

მცხოვრებთა და ახალ მებატონის შორის წ., კ, 18, 21;
ამ იმედსა და უიმედობის შუა წ., თ, 35, 16;
ეკლესიის წინ ბ. უ., 13, 32; სასახლის უკან წ., ვ, 12, 2;
შუხის ქვეშ წ., თ, 36, 15; მთის იქით ხ. ს. ღ., ა, 11, 26 და სხვ.

თანხმოვანფუძიან სახელებს თანდებულების უმეტესობა მიცემითში მართავს, ესენია შორის, შუა, უკან, ზემოთ, ქვემოთ, აქეთ, გარეთ, მაგ.:

ღრუბლებ შორის წ., ვ, 30, 18; კარებსა და მის შუა წ., კ, 15, 29;
„დედაბობს უკან“ ს. ა., 13, 12; წელზემოთ წ., დ, 5, 2;
„შუხლქვემოთ“ ს. ა., 11, 15; გუშინდელს აქეთ წ., თ, 41, 10;
სახლს გარეთ წ., კ, 13, 11 და სხვ.

მხოლოდ წინ და ქვეშ თანდებულებთან შეგვხვდა თანხმოვანფუძიანი სახელი მიცემითშიც და ნათესაობითშიც:

საფარველ ქვეშ ხ. ს. ღ., ა, 2, 21; კარებწინ ქ. ლ., 8, 12, მაგრამ: ცაცხვის ქვეშ გ. ღ., 33, 25; ტახტის წინ წ., ვ, 26, 26 და სხვ.

ცალკე მდგომი თანდებულების მიერ ბრუნვაში მართვისას სახელების დანაწილება ხმოვანფუძიანად და თანხმოვანფუძიანად არც სალიტერატურო ქართულში და არც ქართლურში დამოწმებული არ არის. სალიტერატურო, ქართულში ხან ნათესაობითში მართავენ სახელს, ხან მიცემითში, ზოგი თანდებული ერთ-ერთ ამ ბრუნვათაგანს აძლევს უპირატესობას[39], ქართლურში ასეთი თანდებულები სახელს ჩვეულებრივ მიცემითში მართავენ, მაგრამ ნათესაობითშიც ხდება მართვა[40].

## ლექსიკა

ნ. ლომოურის მდიდარი ლექსიკა ბირითადად XiX საუკუნის ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკისა და ნაწილობრივ ქართლური დიალექტური ლექსიკისაგან შედგება.

ავტორი ოსტატურად ხმარობს სიტყვას პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით, ჩანს სიტყვის სხვადასხვა ემოციური ელფერი—ირონია, თანაგრძნობა. ზმნები მდიდარია ვნებითი თუ მოქმედებითი გვარის, კაუზატივის, ქცევის ფორმებით.

ნ. ლომოური ბუნებრივად იყენებს ზმნისწინებს სასურველი მიმართულებისა თუ შინაარსის გადმოსაცემად.

ვხვდებით ნაწარმოებ და რთულ სიტყვებს, ავტორს გამოყენებული აქვს თითქმის ყველა თანამედროვე მოქმედი მაწარმოებელი აფიქსი და სიტყვათშერთების სხვადასხვა ხერხი.

ნ. ლომოური ხშირად ხმარობს მექანიკურად შეერთებულ სინონიმურ სიტყვებს, ასეთი კომპოზიტები ავტორს მეტი გამომხატველობითი ძალის მქონედ მიაჩნია.

მასალად გამოყენებულია:

ა) მიმღეობები (უპირატესად ვნებითი გვარისა):

აფხვერილ-ცხვირდაშვებული დაქექილ-დაბეგვილი

---

[39] ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, თანდებული ქართულში, გვ. 237—246.

[40] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ქართლური, გვ. 145.

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | |
|---|---|
| გაბანილ-დაბზინილი | დაღონებულ-დაძმარებული |
| გარინდებულ-გაშტერებული | დაჭრილ-დასერილი |
| გაქნილ-გაოსტატებული | მოწშენდილ-მოკრიალებული |
| დამფთხვალ-გადარეული | მიკრულ-გადაბმული და სხვ. |

ბ) მასდარები:

| | |
|---|---|
| აღზრდა-გაწვრთნა | ძებნა ჩხრეკა |
| შესხმა-ქება | წყევლა-შეჩვენება |
| ტორტმან-ბარბაცით | ჩხრიალ-ჩუხჩუხი |
| შხუილ-ჩქრიალი | გრიალ-ზრიალით და სხვ. |

გ) არსებით სახელები:

| | |
|---|---|
| გვამ-მუცელი | წვიმა-ავდარი |
| სევდა-ფიქრი | სითამამე-გამბედაობა და სხვ. |

დ) ზედსართავები (შედარებით იშვიათად):

| | |
|---|---|
| კოხტა-ლამაზი | უშნო-ულაზათოდ და სხვ. |

მარჯვედ ხმარობს ნ. ლომოური ხმაბაძვით სიტყვებს, როგორიცაა:

| | |
|---|---|
| აკაპუნებს (კბილებს) | ყუტყუტი (მწყრისა) |
| კაკა-კუკი (ცულებისა) | წკანწკარი |
| დაიტრუხუნებს (ღორი) | ჯახჯახი (ჩხიკვისა) |
| კუჭკუჭი (გოგოსი) | ჭყრიპინი (ბარტყებისა) |
| | რუხრუხი (დევისა) და სხვ. |

ნ. ლომოურის მოთხრობებში ვხვდებით ბარბარიზმებს, მაგრამ მათ, ჩვეულებრივ, პერსონაჟები—ქალაქის მცხოვრებნი—ხმარობენ, მაგ.: „ოკრუნნი სუდი“, „პადლოგი“, „სავსემათ“, „სკანდალი“ და სხვ., ავტორი კი მათ ირონიისთვის იყენებს:

„აბლაკატი“, „ატანცაებს“, „ბარიშნა“, „ედინიცა“...

ნ. ლომოური გვიხატავს ძველი ქართლის სოფელს თავისი მატერიალურ-კულტურული და ეთნიკური ატრიბუტებით. ამასთან დაკავშირებით ნ. ლომოურის თხზულებებში მდიდრდება წარმოდგენილი სათანადო ლექსიკა, როგორიცაა:

დარბაზი, დედაბოძი, კერა, საკიდელი, დერეფანი, ბანი, ერდო, გვირგვინი;

ვენახი, გასხვლა, შესარგა, შეყელვა, ჯალჯის ღობე;

ფქვილის გოდორი, საწყელელი, ქოთანი, ქაშანურის ჯამი, თუნგი, ლიტრა, კულა, კოკა;

სახლის შეკვრა, დარისხება, ფთილების დასხმა, ზედაშე, ზვარაკი და სხვ.

ქართლელი გლეხის ცხოვრების სურათების დახატვისას ნ. ლომოური იყენებს ქართულურ ლექსიკას, მაგ.:

ააკრავს—აიცლის, დასტყუებს

აიფაფხება—აფოფხდება, აცოცდება

ამოყუნტული—ამოშვერილი
არგასაშვები—არდასაცალებელი, სასიკვდილე
არსად—არასოდეს
აღავებს—ფანტავს, შლის
აყუფებული—ლანძღ. სულძაღლი, ძაღლი
გაიპატრება—გასკდება
გუდამშიერი—ღარიბი, ღატაკი, უქონელი
დაკოჟიტებული—დაკოჟრებული
დაშორებით—გაცილებით, ბევრად უფრო.
მაჭატა—ენატიკტიკა, მეტიჩარა (გოგო)
მიბინარებული—მიბნედილი, გრძნობამიხდილი
მოკრთალებული—მოკრძალებული, მორიდებული
ნაბდღვრიალევი—ნაბდღვენი, ბურტყლი
ოთხფეხი—ძაღლი
საშობლო—გათხოვილი ქალისთვის მშობლების სახლი; მშობლები, დაძმა, ახლო ნათესავები.
საოფლე—სახადი
წინაკაცი—მახაროპელი, მოციქული
წინაპირველად—თავდაპირველად
წრიოკდება—ილევა, სუსტდება, უძლურდება
ხშირბინდი—კარგა შებინდებული, სიბნელე და სხვ.

ნ. ლომოურს მრავლადა აქვს ბუნებრივი ქართული შესიტყვებები და იდიომატური გამოთქმები. მაგ.:

ფეხს აიდგამს—გაჩნდება, ფეხს მოიკიდებს
პირის კომბლ ამოსახუთი—ამოსაწყვეტი
თავზე ბალანს აურევს—შიშის ზარს დასცემს
შუაზე გადაიყრება—გასკდება, გატყდება (ჭურჭელი)
თვალებიც გამოხეთქია—წყევ. დაბრმავდეს, დასაბრმავებელი
ორივ კალთებით ეწევა—კალთებს ახვევს, ძალიან ეხვეწება (წაყოლას).
ხელის მიტანება—დახმარება, შემწეობა
ზურგს მიჰყუდებს—მიუდგება, მიემხრობა, მეურთდება
ღვიძლსა და თირკმელს უდაგამს—გულს უკლავს, ამწარებს
ვის ება თავი ცოცხალი—ვინ გაბედავდა და სხვ.

## დასკვნა

ნ. ლომოური წერს კარგი, გამართული, სადა და მიმზიდველი ენით.

1. შეინიშნება ზოგი ენობრივი თავისებურება, რომელიც ძირითადად დიალექტიდან, ქართლურიდან მომდინარეობს. ყველა დიალექტურ მოვლენას, რა თქმა უნდა, ერთნაირად არ ეყრობა ავტორი. რაც აშკარად დიალექტურია, რასაც სალიტერატურო ენისაგან განსხვავებულს ხედავს, იმას მხოლოდ პერსონაჟების მეტყველებაში ხმარობს, მაგ. ტ-ს წინ სიტყვის თავში იკარგება ხ, მიცემითის ს იკარგება თანხმოვნით დაბოლოებულ ობექტთან, რომელიც ზმნას წინ უძღვის, საზღვრულის წინ მდგომ ჩვენებით ნაცვალსახელებს ეკარგება ბოლო თანხმოვანი და გვაქვს ე, ი, მა (←ეს, ის, იმ, მაგ) და სხვ.

არის მთელი რიგი დიალექტური მოვლენები, რომელთა **კუთხურობა** აშკარად საგრძნობი არ არის, ასეთი ენობრივი მოვლენები თანაბრად გვხვდება როგორც პერსონაჟების, ისე ავტორის მეტყველებაში.

2. დიალექტური მოვლენების ერთი რიგი სპორადულად იჩენს თავს ნ. ლომოურის მოთხრობებში, მაგალითად, ასიმილაცია, დისიმილაცია, მეტათეზისს არ აქვს სისტემატური ხასიათი, ზოგი დიალექტური მოვლენა კი გვხვდება როგორც ჩამოყალიბებული სისტემა, მაგალითად, **-ა** ხმოვანფუძიან სახელებს მრავლობით რიცხვში არ ეკვეცება ხმოვანი, **-ავ** თემის ნიშნის პარალელურად სისტემატურად იხმარება **-ამ**, აწმყო დროის მესამე პირის მხოლ. რიცხვში **-ია**-ზე დაბოლოებულ ზმნებს ერთვის **-ნ** და სხვ.

3. დიალექტურ მოვლენათა ერთი წყება ნ. ლომოურის ენაში ახალი ეთარების ამსახველია, მაგ. მეორე სუბიექტური პირის პრეფიქსი მკვდარია, მესამე ობიექტური პირის პრეფიქსი პირველი სუბიექტური პირის პრეფიქსის შემდეგ არ იხმარება, მესამე პირის რელატური ობიექტი მიცემითში ზმნის ითანხმებს მრავლობით რიცხვში და სხვ.

4. ნ. ლომოური მე-19 საუკუნის მწერალია; მის მოთხრობებში არქაულ მოვლენას თუ ვხვდებით, დიალექტის გზითა აქვს შეთვისებული, ე. ი. დიალექტური მოვლენა, რომელიც ნ. ლომოურის მოთხრობებში იჩენს თავს, უფრო ძველი ვითარების ამსახველია, ვიდრე ახალ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული შესაბამისი ფორმა, მაგ. ნამყო სრულის I—II პირში ზმნას არ უჩნდება **-ი** (შევდექ, გავეცან), **-ე**-ზე დაბოლოებული ზმნები **-ევი** დაბოლოებით გვხვდება (ჰკითხევი..), ნაწილაკიანი სახელები ბრუნებისას უპირატესად შეუხოცებელია, მესამე ობიექტური პირის პრეფიქსის ხმარების წესი ძირითადად დაცულია, ვნებითი გვარის ზმნებს მრავლობითი რიცხვის I და II პირში უჩნდება **-ენ**-, ასეთ ზმნებს კავშირებითი მეორე **-ე**- ხმოვნით ეწარმოება (და არა **-ო**-თი).

5. ზოგი ენობრივი მოვლენა თანამედროვე სალიტერატურო ენაში ნორმირებული არ არის, ლომოური ცდილობს თავის გართმევას, ამავე დროს მისდევს მე-19 საუკუნის სალიტერატურო ქართულის ტრადიციას. ამ შემთხვევაში ერთგვარ პირობებში ვხვდებით პარალელურ ფორმებს, მაგ. თანდებულები სრული და შეკვეცილი სახით.

## ОСОБЕННОСТИ ЯЗЫКА НИКО ЛОМОУРИ

### (фонетика, морфология, лексика)

Т. БЕРОЗАШВИЛИ

### Резюме

В труде рассмотрены художественные прозаические произведения грузинского писателя XIX века Нико Ломоури.

В нем показаны особенности языка указанного автора по сравнению с грузинским литературным языком. Источником этих особенностей является картлийский диалект.

Язык Н. Ломоури—это современный ему грузинский литературный язык. Писатель следует традиции литературного грузинского языка XIX века.

Н. Ломоури в своих произведениях умело использует диалектизмы, явные диалектизмы, значительно отличающиеся от литературного языка, у него встречаются только в речи персонажей, а ряд слабо выраженных диалектных явлений в равной мере встречается как в речи персонажей, так и в речи автора.

Архаизмы встречаются спорадически; они проникли в произведения Н. Ломоури из картлийского диалекта.

Диалектизмы встречаются также в лексике, в частности в словах, отражающих быт, обычаи, ритуалы.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მასდარიანი შესიტყვების თავისებურებანი ძველ ქართულში*

დ. ჩხუბიანიშვილი
(წარმოადგინა აკად. ვ. თოფურიამ)

## I

ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი ძველ ქართულში მასდარის სხვა ფორმათაგან განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებს. თავისებურებას ქმნის მისი სინტაქსური ფუნქციები, რაზედაც მითითებულია ჯერ კიდევ ძველ ქართულ გრამატიკებში. მასდარის ამ ფორმის გულდასმითი ანალიზი რიგ საინტერესო საკითხს სვამს, რომელთა სწორი გადაწყვეტა საკითხის ისტორიის წარმოდგენის საჭიროებასაც გულისხმობს.

ანტონ პირველის ცნობით, ვნებით სახელზმნაზე და მის წარმოებაზე აზრი გამოუთქვამს იოანე პეტრიწს: „...თუ სადამე მარტოებს, მაშინ ვნებითი (განუსაზღვრებელი სქესი — დ. ჩ.) ჯერ-არს განრჩევად უკმოასა ამის მიერ, რომელა ვ. რამეთუ ესე იოანე ფილოსოფოსისაგან ქმნული კანონი არს, მაგალითებრ: ჰამად, წერად, შეწერად“[1]. სამწუხაროდ, არ არის ცნობილი, რას ეყრდნობოდა ანტონი: ზეპირ გადმოცემას, თუ იოანე პეტრიწის რომელიმე შრომას. აღ. ცაგარლის აზრით, ანტონის ზემომოყვანილი ცნობა ცხადყოფს, რომ ქართული ენის აგებულების ზოგიერთ მოვლენის შესახებ მაინც იოანე ფილოსოფოსს რაღაც ნაშრომი ჰქონია, რომელიც, როგორც ჩანს, ანტონის დროსაც არსებობდა[2]. თუ ანტონის ამ ცნობას მართლაც რაიმე რეალური საფუძველი აქვს, საყურადღებო იქნებოდა, რომ ძველ მწიგნობრებს ყურადღება მიუქცევიათ წ ე რ ად, ჰ ამ ად (წერად, ჰამად) ფორმებისათვის, ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარისათვის, რომლსაც ძველ ქართულში ინფინიტივის ფუნქცია ჰქონდა[3].

ზურაბ შანშოვანი თავის გრამატიკაში[4] მასდარის შესახებ ანგარიშგასაწევს არაფერს ამბობს. იგი ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს საერთოდ არ განიხილავს. ზმნას ხუთი ვითარი (=კილო) აქვს, მეხუთეა უჩინო, „უჩინოს რიცხვი, პირი და ჟამი არა აქუს“, მაგრამ განარჩევს ნათესავს (=გვარს): სამოქმედოსა და სანებოს.

---

* წაკითხულია მოხსენებად ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების ღია სხდომაზე 1962 წლის 26 ნოემბერს.

[1] ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ა ნ ტ ო ნ I-ის მიერ, თბილისი, 1885, გვ. 169.

[2] А. Цагарели. О грамматической литературе грузинского языка, СПб, 1873, გვ. 11—12; ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფილისი, 1937, გვ. 3-4.

[3] მართალია, წ ე რ ად, ჰ ამ ად ფორმები ხელოვნურია და, აღ. ცაგარლის სიტყვით, ქართული ენის ბუნებას არ შეეფერება, მაგრამ იქნებ ამ თვალსაზრისით იოანე პეტრიწის ენის შესწავლას რაიმე სინტერესო შედეგი მოეცა.

[4] მოკლე ღრამმატიკა ქართულისა ენისა ქმნული ზურაბ შანშოვანისაგან 1737 წელსა, აკ. ც ა გ ა რ ე ლ ი ს გამოცემა, 1881.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქმედოთა: ქმნა, ბანა, მიცემა, თქმა.

სავნებო: ვქმნა, ბანვა, მივიცემდ(?), ვითქვი(?)[5].

არც ერთი ძველი გრამატიკოსი არ განიხილავს მასდარს ისე გულდასმით და დაწვრილებით, როგორც ანტონი. იგი განასხვავებს ფორმებს წერა (წერვა) და წერად (წერადი). პირველი მისთვის არის სახელზმნა, მეორე კი — განუსაზღვრებელი სქესი, იგივე უჩინო სქესი. ეს სხვაობა კარგადაა ჩამოყალიბებული 1767 წლის გრამატიკაში. პირველ რედაქციაში გრამატიკისა ანტონის მსჯელობა ამ საკითხზე არაა თანამიმდევრული. ერთი მხრივ, უჩინო სქესი და სახელზმნა სხვადასხვა ოდენობებადაა მიჩნეული, რაც კარგად ჩანს „კრავს“ ზმნის უღვლილების პარადიგმებზე დართული ფორმებიდან: „უჩინოჲსა სქესისა აწმყო — კრვად, მყოობადი — კრვადი.

მიმღეობა: აწმყო — მკრველი, მკრველისა; ნამყო სრული, უსრულესი და უუსრულესი — კრვილი; მყობადი — საკრველი.

ნაკლ-ზმნა[6]: კრვისა, კრვასა, კრვითა, კრვაჲ“[7].

მეორე მხრივ, ზოგადი მსჯელობისას ასეთი გარკვეულობა აღარაა. სამართლიანად აღნიშნავს ე. ბაბუნაშვილი, რომ პირველ რედაქციაში „უჩინოს“ შესახებ მსჯელობა ბუნდოვანია, რადგანაც, როგორც ჩანს, ანტონს თვითონ არ ჰქონდა გარკვეული, რა მიმართება იყო ე. წ. „უჩინო“ ანუ „განუსაზღვრებელ“ კილოსა და „სახელზმნას“ შორის[8]. ამასვე მოწმობს შემდეგი ადგილები მეორე რედაქციისა: „...სახელზმნისა, რომელსაცა მაშინ (იგულისხმება 1753 წელი) სომეხთაებრ უწოდეთ უჩინოჲ...“, ანდა „...მაშინ წოდებულნი იგი ჩუჱნგან უჩინონი, რომელ არიან სახელ-ზმნანი...“[9]. აქედან ჩანს, რომ შემდეგდროინდელი სახელზმნა და განუსაზღვრებელი სქესი სხვადასხვა მოვლენად არ მიაჩნდა ანტონს და მას „უჩინო სქესს“ უწოდებდა

---

5 იქვე, გვ. 45, 35, 30, 50. ზურაბ შანშოვანის გრამატიკას წინ უძღვის ალ. ცაგარლის წინასიტყვაობა, სადაც ავტორი სხვა საკითხებთან ერთად ეხება ზ. შანშოვანისა და ანტონ I-ის გრამატიკების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს. ცაგარელი ჩამოთვლის ჯერ შანშოვანის, შემდეგ ანტონის გრამატიკულ ტერმინებს და გვერდით უწერს რუსულ თარგმანს. მაგ. საარსო მყოფი — სახელზმნა — отыменный глагол. გაუგებარია, ჯერ ერთი, თუ რატომ გაუგია ალ. ცაგარელს ზურაბ შანშოვანის ტერმინი „საარსო მყოფი“, როგორც ანტონისეული „სახელზმნა“.

საარსო მყოფი არ ნიშნავს სახელზმნას. ზ. შანშოვანის გრამატიკაში ვკითხულობთ: „ხოლო ზმნათაგანნი რომელნიმე არიან საარსო მყოფნი, ხოლო რომელნიმე საგარმყოფონი“, მაგალითად: „საარსო მყოფნი, რ͠ლ არს: ვარ, ვდგევარ, ვიმყოფი, ვიქმნები, ხოლო საგარმყოფონი: ვთქვა, მოვიტანო, ვაქო“. როგორც ჩანს, საარსო მყოფი ზმნები „არსების“ (ანტონით) გამომხატველი ზმნებია და არა სახელზმნა.

და მეორეც, სახელზმნა არაა отыменный глагол — ნასახელარი ზმნა. იგი ნაზმნარი სახელია — отглагольное имя. ეს მექანიკური შეცდომაა.

6 საინტერესოა, რომ ნაზმნარი არსებითი სახელის აღსანიშნავად, როგორც ჩანს, ანტონს პირველად ნაკლ-ზმნა უხმარია, ხოლო შემდეგ იგი გადაუკეთებია სახელ-ზმნად. სწორედ ეს კარგად ჩანს თვით ხელნაწერში („ნაკლ-ზმნის“ პირველ სიტყვას ხაზი აქვს გადასმული და თავზე აწერია სახელ), ზოგან კი ძველი ტერმინია დარჩენილი.

7 ანტონი, I რედაქცია (ფოტოპირები), გვ. 77.

8 ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველის „ქართული გრამმატიკის“ აღნაგობა (გამოუქვეყნებელი შრომა), 1962, გვ. 73.

9 ანტონი, გვ. 218.

სომხური ენის გავლენით. შემდეგში იგი ამასაც და სხვა შეცდომებსაც ასწორებს და ერთგვარ ბოდიშსაც კი იხდის ადრინდელ გრამატიკაში დაშვებული შეცდომების გამო: „...ესე სიჭაბუკმან და გამოუცდელობამა ჰქმნა საქმისა-მანო“[10].

ტერმინი სახელ-ზმნა პირველად ანტონმა იხმარა[11]. მისი განმარტებით „სახელ-ზმნა არს განრჩევა წოდებითი მნიშვნელი ქმნისა ანუ ვნებისა“, ე. ი. სახელ-ზმნა არის ქმნისა (მოქმედების) და ვნების აღმნიშვნელი სიტყვა.

ა) იგი „შეიწყნარების ყოველთა მდევართა სახელისათა, გარდა ნათესავისა“ (=სქესისა). ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ეს მდევრებია: ბრუნვა და რიცხვი მაგ.: ღუწუა, ღუწისა, ღუწისა... მისწრაფება, მისწრაფებანი.

ბ) სახელ-ზმნას აქვს ზმნის მდევარნიც: ნაკვეთი, რიცხვი, გვარი. ენებითი გვარის ნიშანია ვ.

სახელ-ზმნა შეიძლება უმეშტეობითი (=საშუალო) გვარისაც იყოს, მაგალ.: სლუა, ჯდომა, დგომა, მდგმოება და სხვა.

ტერმინის საფუძველია ამ ტერმინის ქვეშ ნაგულისხმევი მოვლენის თავისებურებანი: ვინაიდან ამ ფორმებს ახასიათებს სახელისა და ზმნის კატეგორიები, ისინი „სამართლად იზედ-წოდა ჩუმნგან სახელ-ზმნადო“[12] — წერს ანტონი. სხვაგან ვკითხულობთ: „სახელ-ზმნა ესე იმეცნების განსაზღურებისამებრ თჳსისა სახელად და ზმნად“[13].

სახელ-ზმნა ძირია ზმნისა. მისგან იწარმოება ზმნის ყველა ფორმა „მაუღლებელ, მაპიროვნე და მამრავლე“ ნიშანთა დართვით. სახელ-ზმნა „განბანა“ ხან სახელად წარმოგვიდგება (და დაბრუნდების ნათესავობითად მეორისამებრ ნიშნისა), ხან კი ზმნად. აქ განხილულია სახელ-ზმნისაგან ზმნის წარმოების მეჭანიზმი: „ხოლო წარმოდგების რა ზმნად პირველისა პირისად, მიეცემიან მამრავლენი და მაპიროვნენი თჳსნი, ნიშანნი... და თჳსი იგი საკუთარი ასოჲ ა შეავლს შორის და ეკიდურების ნ, მაგ.: განჳბან“[14].

სახელ-ზმნისგან დამოუკიდებლადაა განხილული წ ე რ ა დ, წ ე რ ა დ ი ფორმები. ამ ფორმებს „არა აქუს დანიშნულება პირთა მიმართ“ (მეტიც: „განუსაზღურებელ ყოფითა უჩინოებს პირთა მიმართ და რიცხუთა“...)[15]. მაგრამ აქვს გვარი და დრო. ვნებითი გვარის ნიშანია ვ. დრო ორი აქვს: აწმყო (წერად, წყინებად, ჭამად) და მყოფადი (წერადი, წყინებადი, ჭამადი). ნამყო დროის გაგებას მას მხოლოდ პირიანი ზმნა აძლევს. მაგალითად: „შენ წ ყ ი ნ ე ბ ა დ მ ო ს წ რ ა ფ ე ი ყ ა ვ ჩემდა“.

აწმყო დროის ფორმები გვაჩვენებს ან მოქმედებას აწმყო დროში და იწარმოება -ად ნიშნით (შეყუარებად), ან ვნებას აწმყოსავე დროში (შეყუარებებად, აღხოცვად). აწმყო დროის უმეშტეობითის ფორმებია: ხარებად, სუფევად, მიმოსლტად[16].

---

10 ანტონ ი, იქვე, გვ. 197.

11 ა ნ ტ ო ნ ი, იქვე, გვ. 197.

12 იქვე, გვ. 197.

13 იქვე, გვ. 198.

14 იქვე, გვ. 173.

15 იქვე, გვ. 198.

16 იქვე.

მყოფადს -დი ნიშანი აწარმოებს და მუდამ ვნებითის გაგება აქვს („ნიადაგ ვნებითად წარმოდგების". § 273), მაგალითად: წერადი, კურნებადი, შეძინებადი... მყოფადის ფორმები, განსხვავებით აწმყოსაგან, სახელის მსგავსად იბრუნვიან: წერადი, წერადისა... წერადმან...

საგულისხმოა ანტონის ცნობა იმის შესახებ, რომ უჩინო სქესი სხვა ნიშნითაც იწარმოება. ეს ნიშანია -ის: უკუეთუ გნებავს შეწყნარებისა...[17].

სახელზმნისა და ზმნის განუსაზღვრებელ კილოს აქვთ საერთო ნიშნები:

ა) ირთავენ ზმნისწინს: აღწერა, აღწერადი...

ბ) თანდებულებს: შეყუარებადისაებრ, შეწყნარებადისათჳს...

გ) იძმარებიან ზმნიზედასთან ერთად: მჱსწრაფლ-დაცხრომადი, იდუმალ-ზრახვად, ნაცუალ-უბნობა, ბოროტ-ზრახჳა[18].

დ) შესაძლებელია ზმნების მსგავსად „სხმით-გარდასვეთი" ფორმა მიიღონ, მაგ.: შეყუარებინებად. მაგრამ ამგვარი ფორმები ხელოვნურიაო, — დასძენს ავტორი.

სახელზმნა, არსებითი სახელის მსგავსად, წინადადებაში შესაძლოა მოგვევლინოს ქვემდებარედ ან დამატებად: „სახელზმნა სახელებრ შეაღს სიტყუასა შინა უფლად (=ქვემდებარედ) ზმნისა, მაგ.: ქდომა შემთხჳა იეროსალიმელთა ქალაქსა.... და ოდესმე საძიებოდ, (=დამატებად), მაგ.: ამცნო უფალმან ღმერთმან არაჭამა ხისა ცნობადისა ადამს"[19].

განუსაზღვრებელი სქესის აწმყო დროის ფორმა (წერად, ქნნად) „პირთვანი" ზმნის მსგავსად, შეუძლებელია იყოს „მთუფლებელი" სახელი წინადადებაში, ე. ი. ქვემდებარე (§ 321). მაგრამ შეიძლება მოგვევლინოს „საძიებოდ" ზმნისა, ე. ი. დამატებად (ამ შემთხვევაში სახელზმნებისაგან არ განსხვავდება), მაგ.: ბრძანა ალქსანდრიან გატანად პირველიცა იგი ტივი[20].

მყოფადის ფორმები განუსაზღვრებელი სქესისა (წერადი, ქნნადი), ანტონის აზრით, უფრო ახლოს დგას სახელზმნასთან. მას აქვს უნარი „იაბრუნდეს" (მიიღოს ბრუნვის ნიშნები) და წინადადებაში მოგვევლინოს განსაზღვრებად („არ ვარგა საქმე ქნნადი"). იშვიათად ქვემდებარედ („განჯრუნადმან ამან შეიმოსოს უხრწნელება")[21].

საყურადღებოა ანტონის შენიშვნა იმის თაობაზე, რომ განუსაზღვრებელი კილოს ფორმები და სახელზმნები მართავენ სახელს ბრუნვაში ისევე, როგორც ყველა პირიანი ზმნა და მიმღეობა. „განუსაზღვრებელნი მიმღე არიან ბრუნვილთა ნათესავისამებრ საძიებოდ წრფელობითთა (=სახელობით) და ნათესაობითთა და სხუათა". ე. ი. შეიწყობს სახელს სახელობით, ნათესაობით და სხვა ბრუნვებში. ასეთი მაგალითები წერილობით ძეგლებში მრავალიაო, წერს ანტონი, მაგრამ „ესენივე მრავალჯერ არიან მდებარე სიტყუასა შინა მიუღებელად საძიებოჲსა". ანტონს მოჰყავს მაგალითები:

1. „ქრისტეანეთა... თანა-ამსთა დაცუად მცნებანი ქრისტჱ ღუთისანი", — ამ მაგალითში განუსაზღვრებელმა სქესმა მიიღო საძიებო სახელობით ბრუნვაში.

---

17 ანტონი, იქვე, გვ. 198.

18 იქვე.

19 იქვე.

20 იქვე, გვ. 239.

21 იქვე, გვ. 199.

ეროვნული ბიბლიოთეკა



2. „...თანა-გუაძს შეყუარებად წმიდისა ღუთისა და მოყუასთა“ — აქ საძიებო ნათესაობით ბრუნვაშია.

3. „ვიწყოთ... თავნი ჩუენნი მიცემად ღუთისა მიმართ“, — ამ მაგალითში საძიებოა ღუთისა მიმართ და იგი მიცემით ბრუნვაშიაო[22].

ამ და სხვა მაგალითების განხილვა გვარწმუნებს, რომ ანტონი მკვეთრად ვერ ასხვავებს წერად, ქმნად ფორმებთან უშუალოდ დაკავშირებულ სახელს — პირდაპირ დამატებას, რომელსაც, მართლაც, მართავს ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი, უბრალო დამატებისა და სხვა გარემოებითი სიტყვებისაგან. მაგალითად, წინადადებაში: „შენ გენება ჯდომად სავარძელსა ზედა“ განუსაზღვრებელი სქესის საძიებოდ, ამ სქესის მიერ მართულ სიტყვად, ანტონს მიაჩნია თანდებულიანი მიცემითი — სავარძელსა ზედა.

ბრუნვიან სახელებს იგუებს აგრეთვე სახელზმნა. მაგალითებიდან ჩანს, რომ ეს ბრუნვებია: ნათესაობითი, დაწყებითი, მოქმედებითი. წოდებითი (=სახელობითი) არ გვხვდება სახელზმნასთან და ეს განასხვავებს მას უჩინო სქესისაგან.

ანტონის თვალსაზრისში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს სახელზმნისა და განუსაზღვრებელი კილოს (წერა და წერად ფორმების) ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად განხილვა. ეს დაპირისპირება განსაკუთრებით იგრძნობა მორფოლოგიაში, ნაკლებად — სინტაქსში. მოსალოდნელი კი იყო სწორედ სინტაქსური ფუნქციების გამიჯვნა. რა განსხვავებაა ანტონის სახელზმნასა და განუსაზღვრებელ კილოს შორის?

1. განუსაზღვრებელი სქესი ნაწარმოები სახელია, სახელზმნა — არა. ანტონი არც კი სვამს სახელზმნის წარმოების საკითხს. იგი ძირია ზმნისა და საფუძვლად უდევს მეტყველების სხვა ნაწილთა (ზმნისა და მიმღეობის) წარმოებას[23].

2. უჩინო სქესი ზმნის ფორმაა, უპირო ზმნაა, კილოა, სახელზმნა სახელიც არის და ზმნაც, ამიტომ აქვს სახელისა და ზმნის კატეგორიები. უჩინო სქესს არ შეიძლება ჰქონდეს ბრუნვა და რიცხვი, ვინაიდან იგი ზმნაა, ზმნის განუსაზღვრელი კილოა (გამონაკლისია მყოფადის ფორმა: წერადი).

3. ანტონი ითვალისწინებდა იმ ენების (სომხურის, რუსულის, ბერძნულის) გრამატიკულ სქემებს, რომელთაც მოეპოვებათ ნაზმნარი სახელიც და ზმნის განუსაზღვრელი ფორმაც, ამიტომ, ბუნებრივია, თუ იგი ქართულში დაიწყებდა ამ ორი ტიპის სახელების ძებნას. მეორეცაა და, წერად, ქმნად ფორმების გამოყოფას ძველ ქართულში გარკვეული რეალური საფუძველი ჰქონდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია ანტონს.

---

22 ანტონი, იქვე, 241.

23 ზემოაღნიშნული არ ვრცელდება გრამატიკის პირველ რედაქციაზე, სადაც ავტორი სახელზმნის წარმოების შესახებ განსხვავებულ თვალსაზრისზე დგას. იგი აღნიშნავს, რომ სახელზმნა იწარმოება თხრობითი კილოს აწმყო დროის პირველი პირისაგან... იგივე უდევს საფუძვლად „უჩინო სქესის“ წარმოებას, ოღონდ ზმნას ჩამოშორდება ზმნისწინი და ბოლოში ვად მაწარმოებელი დაერთვის. შეიძლება „უჩინო“ ყოველთვის ამ სქემით ვერ ვაწარმოოთ, მაგ.: „მრწამს“ ზმნიდან გვაქვს უნ მარცვალჩამატებული „რწმუნვად“, „მინდა“ ზმნიდან გვაქვს ოუ მარცვალჩამატებული „ნდომვად“ და ა. შ. (ე. ბაბუნაშვილი, დასახ. შრ., გვ. 104—105; ანტონი I, 142, 129).

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინდოევროპულ ენებში განუსაზღვრელ ფორმასთან — ინფინიტივთან — დაკავშირებული სახელი აკუზატივში დგას. ეს ანტონისთვის ცნობილია, მაგრამ იგი აკვირდება ქართულ ენას და მისი ბუნებიდან გამომდინარე ასკვნის, რომ განუსაზღვრელი კილო ქართულში მოითხოვს სახელს სახელობითსა, ნათესაობითსა და სხვა ბრუნვებში.

5. გვარისა და დროის გამოყოფა ხელოვნურია, ამდენად არაგამართლებული.

ანტონის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ტერმინი „სახელზმნის" შემოღება. იგი მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ანტონ I-ის გავლენა დიდზე დიდი იყო. ალ. ცაგარელი აღნიშნავდა, რომ დროის მიხედვით ანტონის უახლოესი თანამიმდევარნი გრამატიკულ სარბიელზე: გაიოზი, დავით ბატონიშვილი, ვარლამი — მკაცრად მიჰყვებიან მის გრამატიკას როგორც ტერმინოლოგიით და განსაზღვრებებით, ისე საერთო სისტემით. მაგრამ ს. დოდაშვილს, დ. ჩუბინაშვილსა და პლ. იოსელიანს უკვე რამდენადმე განსხვავებული სისტემა და ტერმინოლოგია აქვთ, რომელიც გამოთქმათა სიზუსტით, განსაზღვრებებით და სისტემით უახლოვდება გრამატიკული მასალის რაციონალურ თანამედროვე განაწილებისა და გადმოცემის წესს[24].

სხვანაირად რომ ვთქვათ, ანტონის გრამატიკა საფუძვლად ედო ყველა ქართულ გრამატიკას მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში და მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლებამდის"[25].

ზემოაღნიშნული მთლიანად ვრცელდება ჩვენთვის საინტერესო საკითხზეც.

გაიოზი[26] ძირითადად ანტონის პოზიციებზე დგას, ოღონდ შედარებით ნაკლებ ადგილს უთმობს სახელზმნისა და განუსაზღვრებელი კილოს განხილვას.

გაიოზის მიხედვით, განუსაზღვრებელი სქესი აღნიშნავს მოქმედებას უპიროდ და ურიცხვოდ[27]. „განუსაზღჳრებელნი ზმნანი მიიღებენ ძიებად შემასმენელობითსაცა და ნათესაობითსა, მაგ., ჯერ არს დავიწყებად წ ყ ი ნ ე ბ ი ს ა ანუ წ ყ ი ნ ე ბ ა ჲ"[28].

ანტონისგან განსხვავებით, ფორმები ქ მ ნ ა დ ი, ჭ ჳ ნ ა დ ი, ს წ ა ვ ლ ა დ ი, გაიოზის აზრით, მყოფადი დროის მიმღეობაა ადი ნიშნით ნაწარმოები და არა განუსაზღვრებელი კილოს მყოფადი[29].

ვარლამის „მოკლე ქართულ გრამატიკაში"[30] ცალკე მსჯელობა არაა განხილულ საკითხზე. ზმნის უღვლილების პარადიგმებზე დართული ფორმებიდან ჩანს, რომ ვარლამისთვის ყ ო ფ ა დ ფორმა (быть) — განუსაზღჳრებითი კილოა (неопределенное, неокончательное наклонение), ყოფადი (быть вперед)[31] ანტონის მსგავსად და გაიოზისაგან განსხვავებით, განუსაზღჳრებითი კილოს მყოობადია, ხოლო ყ ო ფ ა (будучи) გაგებულია აბსოლუტივად (деепричастие).

---

[24] А. Цагарели, О грамматической литературе грузинского языка. გვ. 34—35.

[25] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, შენიშვნა თემის ხელმძღვანელისაგან, თსუ სტუდენტთა სამეცნ. შრომების კრებული, III, 1948, გვ. 24.

[26] გ ა ი ო ზ ი, ღრამმატიკა, კრემენჩუკი, 1789.

[27] იქვე, გვ. 26.

[28] იქვე, გვ. 102.

[29] იქვე, გვ. 77.

[30] Краткая грузинская грамматика сочиненная на росийском языке, СПБ., 1802.

[31] იქვე, გვ. 37, 42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკლედ შევჩერდებით ს. დოდაშვილის გრამატიკაზეც[32].

სახელზმნა და განუსაზღვრებელი სქესი მას ისევე ესმის, როგორც ანტონს. „განუსაზღვრებელი სქესი აჩვენებს საქმესა უჩინოდ ანუ განუცხადებელად პირთა შინა, რიცხვთა და დროთა. მაგ., წერად, შეყვარებად...“[33]

„სახელზმნა არს ლექსი ზმნისაგან წარმოებული, რომელიცა აჩვენებს თვით თავით თვისით მოქმედებასა ანუ მოძრაობასა საგნისასა...“ სახელზმნა იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი[34]. ავტორი აქვე შენიშნავს, რომ სახელზმნა არაა დამოუკიდებელი სიტყვის (=მეტყველების) ნაწილი, „იგინი შეადგენენ სახელთა არსებითთა“.

ს. დოდაშვილის გრამატიკაში ზოგი სიახლე შეინიშნება, ასე მაგ.:

1. განუსაზღვრებელი სქესი შეიძლება იყოს სრული და უსრული: წერად-უსრული, დაწერად — სრული.

2. ს. დოდაშვილმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ განუსაზღვრებელი სქესი ხშირად იხმარება პირნაკლი ზმნების შემდეგ. ეს ისეთი ზმნებია, რომელთაც მხოლოდ მესამე პირის ფორმა აქვთ: ჯერ-არს, სათანადო არს, შვენის, შეჰგავს, ჰხამს. მაგ.: სათანადო არს შეყვარებად მშობელთა და სხვა.

ამ ზმნებთან შესაძლებელია განუსაზღვრებელი კილოს ნაცვლად სახელზმნის ხმარება, რომელთანაც ობიექტი ნათესაობით ბრუნვაში იქნება: ჯერ არს შეყვარებად მოყვასი, შდრ. ჯერ არს შეყვარება მოყვსისა.

3. აქაც, ისევე როგორც ანტონის გრამატიკაში, აღნიშნულია, რომ განუსაზღვრებელი კილო შეიწყობს სახელს (ძიებას) „ნათესაობითსა ბრუნვასა და ანუ შემასმენელობითსა. მაგ.: სათანადო არს შეყუარებად ღვთისა. ფარნავაზ მეფემან... იწყო შემოღებად ასოებითი წერილი ქართულსა ენასა შინა“.

მაგრამ თუ ეს ძიება (დამატება) პირის ნაცვალსახელითაა გამოხატული, მაშინ იგი მიცემით ბრუნვაში დგას: ვიწყე ქებად შენდა.

პლატონ იოსელიანიც[35] ანტონის მსგავსად ცალ-ცალკე განიხილავს ზმნის განუსაზღვრელ კილოს და სახელზმნას. მისთვის ცნობილია, რომ „სახელზმნასა უწოდებს ანტონი ძირად ზმნისა“[36], მაგრამ მისი აზრით, „სახელზმნა არს წარმოებული ზმნისაგან სახელი არსებითი (ვჰსწერ-წერა, ვჰსტირ-ტირილი)“, რომელიც მიიღებს არსებითი სახელის თვისებებს და მათ მსგავსად იბრუნვის. ახალი აქ ისაა, რომ სახელზმნა გამოცხადებულია ნაწარმოებ სახელად („ზმნისაგან წარმოჰსდგება სახელი არსებითი, რომელიცა იწოდების სახელზმნად“, § 58)[37].

განუსაზღვრებელი სქესის განმარტება ანტონისეულია: „განუსაზღურებელი სქესი აღნიშნავს მოქმედებასა განუცხადებელად პირთა შინა, რიცხუთა და დროთა“.

---

32 შემოკლებული ქართული გრამმატიკა, გამოცემული სოლომონ დოდაევის მიერ, 1830, სოლომონ დოდაშვილი, თხზულებანი, 1961.

33 იქვე, გვ. 115.

34 იქვე, გვ. 135—136.

35 პლ. იოსელიანი, პირუწლ-დაწყებითნი კანონნი ქართულისა ღრამმატიკისა, ტფილისი, 1883.

36 იქვე, გვ. 66.

37 იქვე, გვ. 39.

პლ. იოსელიანის გრამატიკა მთელი რიგი მიხვედრებითა და ახალი დაკვირვებებით ხასიათდება, ამათგან აღსანიშნავია შემდეგი:

1. ზნებითსა და პირნაკლ ზმნებს არა აქვთ განუსაზღვრებელი სქესი, მაშასადამე, წერად, ჰამვად ფორმები და ვ საწარმოებელი ნიშნის საკითხი მოხსნილია.

2. განუსაზღვრებელ სქესს ორი დრო აქვს: აწმყო და ქმნადი (ანტონით მყოობადი). აწმყო-ქმნადის ფორმებს ზმნისწინი განასხვავებს. ანტონის მიხედვით: წერად აწმყოა — წერადი მყოობადი, ხოლო პლატონ იოსელიანის მიხედვით: წერად, საწერად — აწმყო, დაწერად, დასაწერად — ქმნადი.

3. ფასეულია პლ. იოსელიანის შენიშვნა, რომ მნებავს და მინდა ზმნებთან განუსაზღვრებელი სქესი სახელზმნის ნათესაობითი ბრუნვის ფორმით წარმოგვიდგება, და რომ „ესევითარნი მცირედ იხმარებიან წერილთა შინა, მაგ.: არა უნდა ნუგეშინის-ცემის“.

4. განუსაზღვრებელი სქესი მოითხოვს დამატებას (ძიებას) ორ ბრუნვაში: ცემისა[38] და სახელობითში. რით არის გამოწვეული ეს სხვადასხვაობა, რატომ არის სახელი ხან სახელობითსა და ხან მიცემით ბრუნვაში? პლატონ იოსელიანი პირველი დაინტერესდა ამ საკითხით და მოგვცა ამ მოვლენის ახსნის ცდაც. მისი აზრით, ბრუნვები პირიან ზმნაზეა დამოკიდებული: თუ პირიანი ზმნა მოითხოვს მიცემით ბრუნვას, დამატება მიცემით ბრუნვაში იქნება, თუ სახელობითს მოითხოვს — სახელობით ბრუნვაში, მაგალითად: განვიზრახავ მიცემად მისსა წერილსა, ხოლო განვიზრახე მიცემად მისდა წერილი.

და ბოლოს 5. პლატონ იოსელიანი ატარებს პარალელს ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარსა და ლათინურ გერუნდივს შორის: „განუსაზღვრებელი სქესი არს მსგავსი ლათინურისა გერუნდისა“[39].

დავით ჩუბინაშვილი პირველი იყო, რომელმაც უარყო განუსაზღვრელი კილოს არსებობა ქართულში (Грузинские глаголы не имеют неокончательного наклонения) და აღნიშნა, რომ მის მაგივრობას ეწევა ნაზმნარი არსებითი სახელი, რომელიც არის ძირი ყოველი ზმნისა[40].

კიდევ უფრო კატეგორიულად ილაშქრებს განუსაზღვრელი კილოს წინააღმდეგ დიმიტრი ყიფიანი. იგი წერს: „ქართულს არა აქვს დახრა დაუბოლოვებელი, განუსაზღვრებელი — infinitivi, неопределенное наклонение, ანტონის გრამატიკით „სქესი უჩინო“. მის მაგივრად იხმარება სიტყვა, რომელსაც სახელზმნა ჰქვია (отглагольное имя) და რომელიც მსგავსია ლათინური გერუნდისა: წერა, შენება“[41]. სხვა ადგილასაც ეგეგე აზრია გამოთქმული: ქართულში „არ არის დახრა „დაუბოლოვებელი, განუსაზღვრებელი“, ძველთაგან „უჩინოდ“ წოდებული. რაც თავისთავად უჩინოა, მაინცადამაინც უნდა გამო-

---

38 წიგნში ნათესაობითი წერია, მაგრამ საილუსტრაციო მაგალითიდან ჩანს, რომ იგულისხმება მიცემითი. შესაძლოა, აქ მექანიკური შეცდომა იყოს.

39 პლ. იოსელიანი, გვ. 40.

40 Д. Чубинов, Краткая грузинская грамматика, СПб., 1855, გვ. 19.

41 დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამმატიკა, სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის, სანკტპეტერბურღი, 1882, გვ. 71.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანოო, რომ დავიყინონ, როგორ გამოვაჩენთ? — ამის მაგიერად იხმარება სიტყვა, რომელსაც ჩვენებურად ჰქვია სახელზმნა — отглагольное имя[42].

განუსაზღვრელი კილო არ გვხვდება თ. ქორდანიას გრამატიკაში. ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის შემცველი კონსტრუქციები მისი დროის ქართულს არ ახასიათებდა, ამიტომ ავტორი საგანგებოდ მასზე არ ჩერდება. ძაგრამ სამი შენიშვნა მოწერილა, რომ ძველი ქართულის ვითარება თ. ქორდანიასთვის ცნობილი იყო[43].

1. პირველი შენიშვნა ეხება „იწყო ზიარებად“ კონსტრუქციას. იგი ძველ გრამატიკოსებს ესმოდათ, როგორც შესმენილი და სძიებო (ზმნა და მისი დამატება), თ. ჯორდანიას აზრით კი ესაა შედგენილი შემასმენელი: „ძველ მწერლობაში პირველმნიშვნელობის სახელზმნას დაუმატებდნენ ბოლოს ასოსა დ და ამგვარი სახელზმნა შეადგენს განუყოფელს ნაწილს შესმენილისას, მაგ. „იწყო ზიარებად“ აღნიშნავს მოქმედებას (ზიარყოფად) და არის შესმენილი (ხოლო ქვემდებარე არის საგულისხმიერო: მან). ხოლო წინადადებაში „იწყო ზიარება“ ქვემდებარე არის „ზიარება“ და შესმენილი „იწყო“ (ზიარება დაიწყო).

2. ავტორის მეორე შენიშვნა ანგარიშგასაწევია იმ მხრივ, რომ შობად არს შედგენილი შემასმენელი (ავტორით „ზმნის-ზედითად დაბრუნებულნი სახელზმანი“) აღნიშნავს „უუახლოვესს მომავალს დროსა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს: სადა უკუე შობად არს ქრისტე (აღნიშნავს ახლო-დროჲსა შობასა, მოახლოებულსა შემთხვევასა).

ესე ყოფად არს (ე. ი. ახლავე ანუ მალე უნდა მოხდეს).

ძე კაცისა მიცემად არს სიკვდილსა და დაფლვად (ე. ი. ყოველივე ესე დაუყოვნებლივ მოხდება).

3. მესამე შენიშვნაში თ. ქორდანია განიხილავს ძიებადი, ჭამადი ფორმებს, რომლებიც, მისი აზრით, ძველ მწერლობაში აღნიშნავენ არა მხოლოდ მომავალსა დროსა, არამედ წარსულსა და აწმყოსაცა, ე. ი. ფორმა სამარადისოჲ დროჲსა: ცვალებადი — ანუ რაც იცვლება ანუ მუდმივ ცვლილებაშია[44].

განუსაზღვრელ დახრას (კილოს) ვხვდებით მ. ჯანაშვილის გრამატიკაში[45]. წინამორბედთაგან განსხვავებით იგი კვლავ ზმნის ხუთ კილოს განიხილავს, მეხუთეა განუსაზღვრელი.

„განუსაზღვრელ დახრაში დაისახელების მხოლოდ მოქმედება, აღუნიშნელად პირისა ანუ საგნისა, რომელსაც ეკუთვნის ეს მოქმედება. მაგ.: სწავლა, ჭამა, ლოცვა, ცოხნა“. განსაზღვრაში არაფერია ახალი, მაგრამ აღსანიშნავი ის არის, რომ ავტორმა განუსაზღვრელი დახრა სახელზმნას უწოდა. ე. ი. ახალი ქართულის ვითარების შესაბამისად ტერმინში ახალი შინაარსი ჩადო. „განუსაზღვრელ დახრის ზმნას ჰქვიან აგრეთვე სახელზმნა, რომელიც იბრუნვის როგორც ყოველი სახელი არსებითი“. ხოლო „წერად“ ფორმა მ. ჯანაშვილის აზრით, სუპინუმია[46], ჭამადი, წერადი კი ვნებითი გვარის მიმღეობის აწ-

---

42 დ. ყიფიანი, დასახ. ნაშრ.

43 ქართული გრამმატიკა, თხზული და გამოცემული თ. ქორდანიასაგან, ტფილისი, 1869.

44 თ. ქორდანია, გვ. 95.

45 მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906, გვ. 54.

46 იქვე, გვ. 59.

მყო ანუ სამარადისო დროის ფორმები: ჰამადი — ის, რაც იჭმევა და უნდა იჭამოს. აქვეა დასახელებული: ხელადი, გულადი, სულადი, ფერადი, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს ნაზმნარ სახელებთან და დროის კატეგორიასთან[47].

შემდეგდროინდელ გრამატიკებში (ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი, ი. სიხარულიძე და სხვ.) შედარებით ნაკლები ადგილი ეთმობა სახელზმნას და არაფერია ნათქვამი ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ ვითარებაზე.

შეიძლება შევაჯამოთ: ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი ძველ გრამატიკებში კვალიფიცირებული იყო როგორც უჩინოსქესი (ანტონის 1753 წლის გრამატიკაში), განუსაზღვრებელი სქესი (ანტონის გრამატიკის მეორე რედაქციაში, სოლ. დოდაშვილის, პლ. იოსელიანის გრამატიკებში). ეს გრამატიკოსები სხვა (სომხურ, რუსულ, ბერძნულ) ენებში არსებული ზმნის განუსაზღვრელი ფორმების შესატყვისად სავსებით სამართლიანად ასახელებდნენ ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს. ამ მოვლენის პირველი და შედარებით სრული აღწერა ანტონ პირველმა მოგვცა. შემდეგი გრამატიკოსები მთლიანად ეყრდნობოდნენ ანტონს, აკლებდნენ ან აზუსტებდნენ მის დებულებებს. ზოგჯერ კი უმატებდნენ თავისი დაკვირვების შედეგებს. დ. ჩუბინაშვილიდან მოყოლებული წერად, კეთებად ფორმები აღარაა გრამატიკოსების ყურადღების საგანი, ვინაიდან მათი შესწავლის ობიექტს ახალი ქართული ენა წარმოადგენს, სადაც ეს ფორმა ძველი ფუნქციებით აღარაა ცოცხალი.

რა მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნები აქვს განუსაზღვრელ კილოს ძველი გრამატიკების მიხედვით?

1. იწარმოება **ად (ვად)** და **ის** ნიშნების დართვით. ანტონი არ გამოყოფდა მიმართულებით ბრუნვას, ამიტომ წერად ფორმა წერა სახელის ბრუნების პარადიგმაში არ იყო მოქცეული, ცალკე იდგა და ამითაც ემსგავსებოდა სხვა ზმნათა ინფინიტივს.

2. უპირო ზმნაა, არა აქვს რიცხვი,

3. განარჩევს დროსა და გვარს,

4. დაირთავს ზმნისწინს, იხმარება ზმნიზედასთან ერთად.

5. აქვს სხმითგარდასვლითი (კაუზატივის) ფორმები.

6. არის შედგენილი შემასმენლის ნაწილი (თ. ჟორდანია).

სინტაქსური ნიშნებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. არის საძიებო (დამატება) ზმნისა.

2. თვითონ მოითხოვს დამატებას (ძიებას) ნათესაობით, წრფელობითსა (სახელობითსა)და სხვა ბრუნვებში (ანტონი), ნათესაობითსა და შემასმენლობითში (ს. დოდაშვილი), მიცემითსა და სახელობითში (პლ. იოსელიანი).

თანამედროვე გრამატიკულ ლიტერატურაში მასდარის ვითარებითი ბრუნვა და მასთან დაკავშირებული საკითხები არაერთხელ გამხდარა მსჯელობის საგანი[48].

გ. დეეტერსი თავის მონოგრაფიაში ქართული ზმნის შესახებ[49] ნაზმნარი სუბსტანტივების განხილვისას ყურადღებას ამახვილებს მათ ხმარებაზე (§ 419.

[47] იქვე, გვ. 58.

[48] აქ. ვანგიხლავთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს. დაწვრილებით ამა თუ იმ ავტორის შრომა თუ ღებულება მოითხოვებული იქნება სათანადო ადგილას.

[49] G. Deeters, Das kharthwelische Verbum, Leipzig, 1930.

14

**Gebrauch der Verbalsubstantiva).** კერძოდ, იგი აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში ნაზმნარი სუბსტანტივის მიმართულებით ბრუნვას სუპინუმის მნიშვნელობა ჰქონდა და იგი იხმარებოდა მოძრაობის გამომხატველ ზმნებთან: მრკ 2,17, არა მოვედ წოდებად მართალთა...[50].

იგი გამოიყენებოდა აგრეთვე შეძლების, სურვილის, დაწუების, ბრძანების გამომხატველ ზმნებთანაც: მრკ 2,19, ვერ ჴელ-ეწიფების ძეთა სიძისათა მარხვად...

გ. დეეტერსს შენიშნული აქვს „გამოცხადებად არს“, „ყოფად გიც“ კონსტრუქციები, სადაც, მისი აზრით, სუპინუში გამოიყენება აუცილებლობის ანდა ჩვეულებრივი მომავლის გამოსახატავად[51].

ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს და მასთან დაკავშირებულ სახელს გაკვრით ეხება აკ. შანიძე. მისი სიტყვით. „როცა საწყისი ზმნისა ვითარებით ბრუნვაშია დაყენებული, მას ევროპული ენების ინფინიტივის მსგავსად, შეიძლება პირდაპირი ობიექტი ჰქონდეს[52].

მასდარის ვითარებით ბრუნვასთან დაკავშირებულ სინტაქსურ საკითხებს განიხილავენ ვლ. ფანჩვიძე[53], თ. შარაძენიძე[54], ა. კიზირია[55], ბ. გიგინეიშვილი[56].

ჩვენთვის საინტერესო ფორმები ინფინიტივად მიაჩნია არნ. ჩიქობავას, რაც ჩანს ორ სხვადასხვა შრომაზე დართული შენიშვნებიდან:

„ძველ ქართულში ინფინიტივის ჩანასახი ვეძინდა, მაგრამ არ განვითარებულა, ჩაკვდა“[57]. „ძველ სალიტერატურო ქართულში ინფინიტივის ჩამოყალიბების პროცესი იწყებოდა, მაგრამ მისი განვითარება შეწყდა“[58].

არნ. ჩიქობავას ზემოაღნიშნული დებულება განავითარა არ. მარტიროსოვმა შრომაში „მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ძველ ქართულში“[59], სადაც ავტორი დაწვრილებით განიხილავს მასდარის ვითარებითი ბრუნვის ხმარების ყველა შემთხვევას და დაასკვნის, რომ ძველ ქართულში შეინიშნება პროცესი თავისებური „ინფინიტივის“ ჩამოყალიბებისა, რაც გამოიხატება ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის ხმარებით. იგი ფუნქციის მიხედვით ანალოგიურია სხვა ენათა ინფინიტივისა. ასეთი მასდარი ქართულში ვეღარ განვითარდა. მე-10 საუკუნიდან მოყოლებული იგი გამოდის ხმარებიდან (იგულის-

---

50 იქვე, გვ. 221.

51 იქვე, გვ. 222.

52 ა. შანიძე, ძველი ქართული ენა; ა. შანიძე, ა. ბარამიძე, ი. აბულაძე, ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, 1934, გვ. 311.

53 ვლ. ფანჩვიძე, ნაზმნარი სახელის მიერ სახელის მართვა ბრუნვაში უფერ ენაში, იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება, XII, 1960, გვ. 408.

54 თ. შარაძენიძე, მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება და ფუნქციები ძველ ქართულში, სახელის ბრუნვის ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1956, გვ. 423—432.

55 ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, 1963, გვ. 49—50, 162—164, 210.

56 ბ. გიგინეიშვილი, მასდარი ძველ ქართულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, VI, 1955.

57 არნ. ჩიქობავა, ინფინიტივის დიალექტური ვარიანტები ხუნძურში (ავარულში), ენიმკის მოამბე, I, 1937, გვ. 89.

58 არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 217.

59 იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება, VII, 1955, გვ. 43—60.

სმება ზმნური მართვის შემთხვევები), ხოლო მიზნის გარემოების ფუნქციით მე-12-13 საუკუნემდე შემორჩა სალიტერატურო ქართულს[60].

...ვით. ბრუნვაში დასმული მასდარი და მისი კონსტრუქციები ძველ ქართულშიც შედარებით ახალი წარმონაქმნი ჩანს. იგი ჩანასახის სახეს ატარებს. ასეთმა მასდარმა ვერ მოასწრო მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე მიეღო და ისე გამოვიდა ხმარებიდან, რომ მისი კვალიც კი აღარ შერჩა ახალ სალიტერატურო ქართულს[61].

ნათესაობით და ვითარებით ბრუნვათა ფუნქციებთან დაკავშირებით ჩვენთვის საინტერესო საკითხს განიხილავს ი. იმნაიშვილი შრომაში „სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში“[62]. მისი აზრით, ვითარებით ბრუნვაში დასმული საწყისის კონსტრუქციები ძველ ქართულში ინფინიტივის კატეგორიის გადმოსცემს და უცხო ენათა გავლენითაა შექმნილი[63].

ვიდრე საკითხის შესახებ ვემსჯელებდეთ, ვნახოთ სურათი ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის ხმარებისა ძველ ქართულში[64].

## II

მასდარი-ინფინიტივის[65] შემცველი კონსტრუქციები ფართოდაა გავრცელებული. იგი სხვადასხვა გარემოცვაში გვხვდება და შესაბამისად განსხვავებული ფუნქციების მატარებელია.

ინფინიტიური კონსტრუქციის აგებულება ასეთია: ზმნა + მასდარი-ინფინიტივი. ზმნა შეიძლება იყოს სხვადასხვა სტრუქტურულ-სემანტიკური ჯგუფის, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს მასდარი-ინფინიტივის ფუნქციას. ამდენად განსახილველი კონსტრუქციის დახასიათება უპირველეს ყოვლისა ზმნის ანალიზს უნდა ემყარებოდეს. აღნიშნული თვალსაზრისით კონსტრუქციათა დახასიათებისას ოთხი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა.

1. მასდარი-ინფინიტივი გვხვდება გარდამავალ ზმნებთან. ეს ზმნებია: წყო, ბრძანა, განიზრახა, აიძულა, არწმუნა, არა აუფლა, არა უტევა, იკადრა, აზმნა, შესძინა, აცადა, ქელ-ყო, ჯერ-ჩინა... მათთან ხშირად პირდაპირი ობიექტის ადგილს იჭერს მასდარის ვითარებითი ბრუნვის ფორმა და ამდენად იგი დამატების ფუნქციის მატარებელია[66]. წყო ორპირიანი გარდამავალი ზმნაა ნამყოს ჯგუფისა, შეიწყობს ორ ობიექტს: სუბიექტს — მოთხრობით და ობიექტს — სახელობით ბრუნვაში:

— „წყო იერუსალჭმით მახარებელთაგან „ქადაგებაჲ“, კიმ. II.

---

60 არ. მარტიროსოვი, იქვე, გვ. 58.

61 იქვე, გვ. 59.

62 ი. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძვ. ქართულში, თბილისი, 1957, გვ. 750—752, გვ. 174—183.

63 იქვე, გვ. 751, 183.

64 ამ თვალსაზრისით შესწავლილია V—XI საუკუნეების ნათარგმნი და ორიგინალური ტექსტები.

65 „შენებად“, „ქადაგებად“ ფორმებზე მსჯელობისას ტერმინოლოგიური სიძნელეები არსებობს თავს. მათ აღნიშნავენ, როგორც ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს, მასდარის ვითარებითი ბრუნვის ფორმას, იშვიათად „ინფინიტივს“. ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა, ამ შრომებში ხშირად ინფინიტივი გვეხმარა, ანდა თუ მაინცდამაინც საჭიროა ქართული ინფინიტივის თავისებურებათა გახაზვა, მოსახერხებლად გვეჩვენება მასდარ-ინფინიტივის ხმარება.

66 შდრ. არ. მარტიროსოვი, დასახ. შრ., გვ. 47.

187,36. მაგრამ შემთხვევათა დიდ უმრავლესობაში სახელობით ბრუნვაში დასმული ობიექტის ნაცვლად იხმარება მასდარი-ინფინიტივი:

„...იწყეს ქადაგებად ჩუენდა მომართ“, კიმ. I, 36,21.

აღსანიშნავია, რომ ზემოჩამოთვლილი ზმნები სემანტიკური თვალსაზრისით თავისებურ ჯგუფს ქმნიან, ისინი არ გამოხატავენ კონკრეტულ ფიზიკურ მოქმედებას, და ამდენად გულისხმობენ ობიექტად. არა კონკრეტულ საგანს, არამედ ზმნას ან ნაზმნარ სახელს:[67] მაგ. „იწყო“ ნიშნავს რაღაცის დაწყებას[68], დაწყება კი შეიძლება მოქმედებისა, პროცესისა: იწყო შენებად. „ბრძანა“ ნიშნავს „ავალებს ვისმე, მოითხოვს ვინმესგან რაღაცის გაკეთებას[69]. „განიზრახა“ — რაიმე ზრახვა გულში გაიკვლო, გაიფიქრა, რაიმე დააპირა[70]. მაშასადამე, ზემოჩამოთვლილ ზმნებთან ნაზმნარი სახელის ხმარება კანონზომიერია, და ხშირად იგი ვითარებითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი. სიხშირით გამოირჩევა „იწყო“ და „ბრძანა“ ზმნები.

## მაგალითები

**იწყო**

მაშინ იწყო თაყუანის ცემად ღმრთისა მიმართ: შუშ. XII,7.

მაშინ იწყო ზედამიწევნად და სწავლად წმიდათა სამრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა: აბო 64,11.

და იწყეს ცემად და კიცხევად მისა: ევსტ. მცხ. 171,14.

და იხილა რაჲ წიდამან მან ფრიადი გოდებაჲ მისი, შეეწყალა და იწყეს ცრემლთა მისთა დიბებად: ხანძთ. ნშგ.

...იწყო ქროლად მის თანა ქარამან მან ბორბალშან... მოც. 27,14.

...და ვიწყე მიერითგან მარხვად და ვედრებად.. სინ. მრავ. 65,35.

მიერ ჟამითგან იწყო შეწუნარებად, რომელნი მოეიდოღეს მისა: კიმ. II, 150,9.

...იწყეს სიტყუად ბრძათა მათ და კითხვად ურთიერთას, თუ ვითარ დაბრმეს: ლმ. 37,13.

და იწყეს დაფლვად მოყუასთა თჳსთა: კიმ. I, 42,12.

**ბრძანა//უბრძანა**

რაჲსაჲცუე მიბრძანებ მე მსახურებად ყრუთა და უტყუთა? კიმ. II, 12,4.

მაშინ უბრძანა დიაკონსა მას განსლვად პატრეაჯმან: ლმ. 67,22.

...ბრძანეს თითოეულად კაცად-კაცადმან სამსახურებელად მიძღუანებად ძჳთა მათ: მოც. 11,29.

...და არა უბრძანა დადგომად ქუეყანასა, არამედ აღშორებულად ქუეყანისაგან... სინ. მრავ. 73,24.

ამა ესრეთ უბრძანო დაკრძალვად კარი ეკლესიისაჲ... იქვე, 70,14.

**იზრახა**

...იზრახა ფარულად განტევებად იგი: მ 1,19.

და განიზრახვიდა უფიცხლესსა ცხორებასა მოპოვნებად: კიმ. I, 222,35.

---

67 იქ, სადაც აღნიშნულ ზმნებთან ნაზმნარი სახელი არაა, იგულისხმება, მაგ. „ვიწყო ლომისთჳს, რამეთუ შარავანდედ არს“. აქ იგულისხმება, რომ ავტორი იწყებს ხორობას, სუბარს ლომის შესახებ (ვიწყო ხორობად ლომისათჳს...).

68 ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „იწყებს“ ზმნა განმარტებულია შემდეგნაირად: „დასწყისს აძლევს, შეუდგებ; ხელს მიჰყოფს (რაიმე მოქმედებას), დასაბამს აძლევს“, ტ. 4, 963.

69 იქვე, ტ. II, 1145.

70 იქვე, ტ. II, 991.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**იკადრა**

ცხორებასა მისსა და ცხორებასა მოძღურისა მისისასა ვერ იკადრებდა ეშმაკი და-ცემად კაცთა წმიდათა ამათ შინა ადგილთა: ხანძთ. იბ$_{34}$.
...და იკადრა თქუმად სამი გუამოვნებაჲ ღმრთეებისაჲ... კიმ. II, 185,30.
...ხოლო იგი ძწოდა და ვერ იკადრებდა შეახლებად მისა... სინ. მრავ. 80,12.

**აიძულა**

ხოლო მე მცირედ ვაიძულე მიღებად ჭამადი: შუშ. VII,20.
მაშინ აიძულა მას პატრეაქმან ჟამის წირვად: ლიმ. 67,8.
მუნ დახუდა იგი ჟამსა მას, ოდეს-იგი აიძულეს ბერსა ჭამად მფრინველისაჲ: ლიმ. 31,25.

...აიძულებდეთ მათ ზორვად ღმერთთა: კიმ. II, 45,25.

**არა აუფლა**

ხოლო ადგილსა მას არავის აუფლეს მისლვად ქრისტეანეთაგანსა: აბო, 75,6.
კუალად გამოუჩნდა მას ვერძი იგი და არა აუფლა შესლვად საფლავად: ლიმ. 24,19.
ხოლო მჴედართა მათ არა აუფლეს ესე ყოფად ძმათა მათ: კიმ. II, 58,8.

**არა უტევა**

ღმერთი არს ევგენიაჲს თანა წყალთა მათ ზედა... და არა უტევა იგი დანთქმად: კიმ. II, 84,19.

და დიდითა ტირილითა მისითა და გულს-მოდგინებითა ლოცვისა მისისაჲთა არა უტე-ვის განსუენებად მოძმეთა მისთა: იქვე, 175,23.

...თანა-წარჰჴდეს უფალი კარსა მას და არა უტეოს მომსრველი იგი შესლვად სახლსა მას თქუენსა მოსრვად: გამ. 12,23.

**აზმნა**

და წარვიდა იერუსალჱმდ და იგი აზმნობდა შედგომად მოწაფეთა მათ მიმართ: მოც. 9,26.

აღდგა და კუალად აზმნო შესლვად საფლავად... ლიმ. 24,17.

**შესძინა**

და შესძინა უფალმან სიტყუად ჩემდა მერმე და თქუა: ესაია 8,5.
ნუღარა შესძინებთ ცემად ბზესა ალიზისა საქმარად: გამ. 5,7.
ამისთჳს ესერა შევსძინო გარდაცვალებად ერისა მის და გარდავცვალნე იგი-ნი: ესაია, 29,14.

**აცადა**

აცადეთ ყრმებსა მაგას მოსლვად ჩემდა: მ 19,14.
...აცადეთ იგი ერთად აღორძინებად; მ 13,30.
და იგი ევედრებოდა მას ლმობიერად, რაჲთა აცადოს შესლვად და ლოცვად წმიდასა საფლავსა: ლიმ. 23,7.

**ისწრაფა**

და ისწრაფდა იგი აღსლვად ძალითი-ძალად...: კიმ. I, 20,21.
...ვისწრაფე ესე უწყებად თქუენდა...: კიმ. II, 69,1.

**ჯერ-იჩინა**

ხოლო ჯერ-იჩინა ღმერთმან შემოსად ხატი მონებისაჲ: კიმ. II, 68,9.
უკუეთუ წარმართთაცა მიცემად ჯერ-იჩინა ღმერთმან სინანული იგი ცხოვრები-საჲ: მოც. 11,18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თავს-იდვა**

ჭირისა მისთჳს და მორჩილებისა თავს-იდვა ყოფად ესე: ლიმ. 31,23.

...შჯულთა ბუნებისათა დამორჩილებად მაღლმან არა თავს-იდვას: სინ. მრავ. 5,2 და ა. შ.

2. ა) მასდარი-ინფინიტივი ხშირად გვხვდება გარდაუვალ ზმნებთანაც. ეს ზმნებია: ჰნებავს, უნდა, სურს, სწადის, ეგულების, უძლავს, ულირს, ძალ-ედვა, ძალ-უც, ჭელ-ეწიფების...

გუნებავს შენგან სასწაულისა ხილვაჲ: მ. 12,38.

აქ „გუნებავს“ ზმნის კონსტრუქციაში (გუნებავს ჩუენ იგი) სახელობით ბრუნვაში დასმული სახელის — ქვემდებარის — ადგილს მასდარი-ინფინიტივი იჭერს:

თქუენ არა გნებავს მოსლვად ჩემდა: ი. 5,40.

ზმნათა ზემოაღნიშნული ჯგუფი მოდალური ელფერის მატარებელია, გამოხატავს სურვილს, მონდომებას, შესაძლებლობას...[71]

**ნებ.**

...მსაჯულ მე ეგევითარისათჳს არა მნებავს ყოფად: მოც. 18,15.

გნებავსა დათესვად ჩუენ შორის სულმოკლეობაჲ და მოწყინებაჲ სიკუდილისაჲ: კიმ. II, 24,35.

...რამეთუ უფალსა ჰნებავს დამკჳდრებად ასოთა შინა თქუენთა: აბო 57,17.

უკუეთუ გინებს განმართლებად, მივედ მამისა ჩუენისა საბაჲსა... კიმ. II, 175,5.

**მინდა**

მინდა მეცა კაცისა მისგან სმენად: მოც. 25,22.

უნდა კუალად დაპყრობად საყდარი ქალაქისა თჳსისაჲ: ლიმ. 20,18.

...და მათ არა უნდა სმენად: ევსტ. მცხ. 168,8.

...არავისი მინდა ცნობად საიდუმლოჲ ესე: კიმ. I, 20,1.

და რომელსა უნდეს საშჯელად შენდა და მიღებად კუართი შენი, მიუტევე მას სამოსელიცა შენი: მ 5,40.

**სურის**

...სუროდა მისლვად უფლისა თჳსისა: კიმ. II, 46,11.

...და ალესურვა ხილვად წმიდისა მის: იქვე, 144,12.

**სწადის**

...უკუეთუ ვისმე სწადის კითხვად... საღმრთონი წიგნნი აიხუენ და ჰპოო... სინ. მრავ: 65,9.

...მრავალთა წინაჲსწარმეტყუელთა და მართალთა სწადოდა ხილვად და სმენად: ხანძთ. გ25.

**ძალ-ედვა**

...და დავარდა დიდითა მით სიცხითა და ვერ ძალ-ედვა სლვად. კიმ. II, 147,8.

...მწყემსთაცა მის უდაბნოჲსათა ვერ ძალ-ედვა მიახლებად ადგილსა მას: იქვე. 157,24.

---

[71] G. Deeters, დასახ. შრომა, გვ. 221; არ. მარტიროსოვი. დასახ. შრომა, გვ. 47.

**ძალ-მიც**

მჴეცრობისა ჩემისა დატევებად ვერ ძალ-მიც: კიმ. II, 145,29.
...ვერ ძალ-მიც გემოგას ხილვად: შუშ. VII,23.
ვერ ძალ-მიც მე გამოსლვად: ლიმ. 53,12.

**ეგულების**

შენ წინაშე მეგულების მე დღეს სიტყჳსგებად უფროჲს ხოლო: მოც. 26,2.
რაჲ გეგულების ყოფად, რამეთუ კაცი ესე ჰრომი არს: იქვე, 22,26.
და ვითარცა ეგულებოდა შესლვად წმიდად აღდგომად, იხილა მან ვერძი ერთი... ლიმ. 23,23.

**ჴელ-ეწიფების**

ვერ ჴელ-ეწიფების ხესა კეთილსა ნაყოფისა ხენებისა გამოღებად: მ 7,18.
ვის ჴელ-ეწიფების სმენად მისი: ი 6,60.
...ჴელ-მეწიფების განტევებად სტეფანწმსა სატანჯველთაგან: სინ. მრავ. 59,18.
...ვერვის ჴელ-ეწიფების ცნობად, გარნა მათ, რომელთა გამოუცდივს იგი: იქვე, 119,2.
... ვერ ჴელ-ეწიფების მიზეზის ცემად წარჩინებულისა მის: იქვე, 116,13.

**უკმს**

მე მიჴმს შენ მიერ ნათლის-ღებად: მ 3,14.
ამიერითგან რაჲღა-მე მიჴმს კაცისათჳს სიტყუად: სინ. მრავ. 87,20.

**მიღირს**

უფალნო ჩემნო, რაჲ მიღირს ყოფად, რაჲთა ვცხონდე? მოც. 16,30.
მრავალთა ჭირითა გჳღირს ჩუენ შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა: მოც. 14,22.

ძველი აღთქმის ანალოგიური შემთხვევების ბერძნულ ტექსტთან შედარებისას გამოირკვა, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის შესატყვისად ბერძნულში ინფინიტივია. ინფინიტივის მტკიცედ ჩამოყალიბებული სისტემის მქონე ენებში, მაგ. რუსულში, ჩვეულებრივია ინფინიტივის ხმარება ზემოთ განხილულ პოზიციებში: გარდამავალი ზმნების გარკვეულ ჯგუფთან და მოდალურ ზმნებთან, მეტიც, გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე სხვა რომელიმე მეტყველების ნაწილის ხმარება[72].

და იწყეს მოსრვად ერისა მისგანთა... მსაჯ. 20,31.
καὶ ἤρξαντο τύπτειν ἐκ τοῦ λαοῦ...
и начали... убивать...

ვერ ჴელ-მეწიფების ყოფად საქმისა მის: დაბ. 19,22.
... οὐ γὰρ δυνήσομαι ποιῆσαι πρᾶγμα
я не могу сделать дела

და ვერ უძლოხილვად ქუეყანისა... გამ. 10.5.
καὶ οὐ δυνήσῃ κατιδεῖν τὴν γῆν
нельзя будет видеть земли

არა მიტევებს მე სულისა აღმოტევებად: იობ, 9,18.

---

[72] В. П. Сухотин, Синтаксическая синонимика в современном русском литературном языке, Москва, 1960, გვ. 27—79.

οὐκ ἐᾷ γάρ με ἀναπνεῦσαι:

ბ) ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი გვხვდება პირნაკლ ზმნებთანაც:

**ჯერ-არს**

ჯერ-არს მისა გებად კერპთა: კიმ. II, 113,15.
ჯერ-არს გულის-ჴმის ყოფად დიდიცა ესე ღმრთისა საიდუმლოჲ: იქვე, 68,1.
...რომელთაჲ ჯერ-არს მოკსენებად ჩუენდა: ლიმ. 55,1.
...ჯერ-იყო აღსრულებად წერილი: მთ. 1,16.
და სათნოებანი მათნი მრავალფერნი ჯერ-არიან მითხრობად: ლიმ. 1,18.

**უმჯობეს-არს**

უმჯობეს-არს, რაჲთა წარჯდეს რომელიმე ასოთა ჩუენთაგანი... ვიდრე არა ყოველთა ასოთა ცოცხლად გებულთა და შთავრდომად ცეცხლსა მას ჯოჯოხეთისსა: კიმ. II, 56,3.

**(ვერ) შესაძლებელ არს**

...რომლისაგან ზეგარდმო შობაჲ მისი გამოთქუმად ვერ შესაძლებელ არს.. სინ. მრავ. 32,27.
...შესაძლებელ იყო ადგილი იგი სიმრავლისა მის დატევნად: კიმ. II, 186,33.

შესატყვისი ბერძნული ტექსტი აგრეთვე ინფინიტიურ კონსტრუქციას გვიჩვენებს, მაგ.:

ესრე ჯერ-არს ჩემდა აღსრულებად ყოველი სიმართლე: მ 3,15.
οὕτω γὰρ πρέπον ἐστὶν ἡμῖν πληρῶσαι πᾶσαν δικαιοσύνην
надлежит нам исполнить всякую правду
ესრე ჯერ-არს ყოფად: მ 26,54.
ὅτι οὕτως δεῖ γενέσθαι:
...так должно быть
ჯერ-არს ჩემდა დღეს და ხვალე და ზეგე წარსლვად: ლ 13,33.
... δεῖ με... πορεύεσθαι:
...мне должно ходить...
...რომელი არა ჯერ-არს შაბათსა შინა საქმედ: მ 12,2.
... ὃ οὐκ ἔξεστιν ποιεῖν ἐν σαββάτῳ
Ученики твои делают, чего не должно делать...
არა ჯერ-არს ესე დადებად სიწმიდესა: მ 27,6.
οὐκ ἔξεστιν βαλεῖν αὐτὰ εἰς τὸν κορβανᾶν
не позволительно положить его в сокровищницу церковную.

„ჯერ-არს“-ის შესატყვისი ზმნები δεῖ, χρή ἔξεστι, πάρεστι, πρέπει, προσήκει... ...უპირო ზმნებია და ნიშნავს: должно, можно, следует, прилично ე. ი. სემანტიკურად იგივეა, რაც ჯერ-არს, შესაძლებელ-არს. ეს ზმნები ბერძნულში, ჩვეულებრივ, ინფინიტივს დაირთავენ (ამათგან ორი: χρή და δεῖ ინფინიტივის გარეშე არც იხმარება). აღნიშნული კონსტრუქცია δεῖ πορεύεσθαι (ჯერ-არს წარსლვად) ბერძნულ გრამატიკულ ლიტერატურაში გაგებულია როგორც ქვემდებარე და შემასმენელი. სხვა შემთხვევაში ინფინიტივს, როგორც ქვემდებარეს, შემასმენლად მოუდის აგრეთვე სხვა მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველზმნიანი ფორმები[73]: δίκαιόν ἐστι — სამართლიანი არის, κρεῖττόν ἐστι — უმჯობეს არს, δυνατόν ἐστι — შესაძლებელ არს.

ზემომოყვანილი ქართული მაგალითებიც ხომ არ შეიძლება ანალოგიურად იქნას განხილული? ეს იმას ნიშნავს, რომ წინადადებაში: არა ჯერ არს ესე დადებად სიწმიდესა — ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი პირობითად ქვემდებარედ მივიჩნიოთ ჯერ-არს პირნაკლი ზმნისა. თუ ეს სწორია, მაშინ შეიძლება განვაზოგადოთ „ჰნებავს" ტიპის ზმნათა მიმართ მიღებული დებულება და დავასკვნათ: გარდაუვალ ზმნებთან მასდარი-ინფინიტივი ქვემდებარის ფუნქციას ასრულებს.

3. მასდარი-ინფინიტივი ზოგჯერ უბრალო დამატების ფუნქციას ასრულებს.

მაგალითები:

...რომლისა არა ღირს ვარ ჴამლთა მისთა ტჳრთვად: ლ 3,16.
არღარა ღირს ვარ მე წოდებად ძედ შენდა: იქვე, 15,19.
...რომელნი-იგი ღირს იქმნნეს საუკუნესა მას მიმთხუევად: იქვე, 20,35.
ყოველთაგან ნათესავთა შობად ღმრთისა ესე ხოლო ღირს იქმნა: სინ. მრავ. 20,15.
ღირს არს ღმრთისა სათნოჲ იგი ტაძარი წმიდისა ქალწულისაჲ ესევითარითა გჳრგჳნითა შემკობად: იქვე ,18,3.
...დიდი წრაფაჲ აქუნდა შეკრებად კაცთა მოხუცებულთა... კიმ. II, 159,18.
აწ არს ჟამი განღჳძებად ჩუენდა ძილისაგან: ბოლნ. 6,25.

4. ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი მოძრაობის გამომხატველ ზმნებთან და ზოგ სხვა შემთხვევაში მიზნის გარემოებას გამოხატავს. ეს აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში[74], აქ მხოლოდ მაგალითებს დავასახელებთ:

მოვიდა იგი წმიდისა შუშანიკისა მადლისა გარდაჴდად: შუშ. XI,15.
მე არა ხოლო ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტჱსთჳს, არამედ სიკუდილდცა: აბო, 69,8.
უფალო, შეწევნად ჩემდა ისწრაფე... სინ. მრავ. 43,30.
აწ ესერა გეძიებენ შენ შეპყრობად, ტანჯვად და გუემად: აბო, 69,6.
და მიავლინა ერთი მჴედართაგანი მოწოდებად ნეტარისა ევსტათისა: ევსტ. მცხ. 161,7.
...წარვიდა ძიებად კრავთა მათ რჩეულთა მწყემსი იგი კეთილი: ხანძთ. კვ.
და იხილეს ადგილი მარჯუჱ და პურისა-ჭამად დასხდეს: ხანძთ. მდგ.
და დღესა ერთსა განიზრახა კაცმან მან აღსლვა კოსტანტინედ ვაჭრობად: ლიმ. 35,26.
განემზადეს აღსრულებად ბრძანებასა მთავრისასა: კიმ. II, 33,4.
და მისცა იგი ოთხთა ოთხეულთა ერისაგანთა ცვად: მოც. 12,4.

შესატყვისი ბერძნული ტექსტები ამ შემთხვევაშიც ინფინიტიურ წინადადებას წარმოგვიდგენს:

მცეს მე პური საჭმლად და სამოსელი შემოსად: დაბ. 28,20.

καὶ δῷ μοι ἄρτον φαγεῖν καὶ ἱμάτιον περιβαλέσθαι

...и даст мне хлеб есть и одежду одеться

---

73 Соболевский, Древнегреческий язык, გვ. 330.

74 არნ. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, იბერ.-კავკ. ენათმეცნ., V, 1953, გვ. 42; არ. მარტიროსოვი, დასახ. შრომა, გვ. 49; ივ. იმნაიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 748—450.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მირბიოდა ჯურღმულსა მას ვსებად: დაბ. 24,20.

καὶ ἔδραμεν ἔτι ἐπὶ τὸ φρέαρ ἀντλῆσαι...

и побежала опять к колодезю почерпнуть...

ვითარცა იხილა ღმერთმან, რამეთუ მოვალს ხილვად, უწოდა მას უფალმან მაყულოანის გამო: გამ. 3,4.

... ὅτι προσάγει ἰδεῖν ...

...что он идет смотреть

და დასხდა ერი იგი ჭამად და სუმად და აღდგეს სიმღერად: გამ. 32,6.

... καὶ ἐκάθισεν ὁ λαὸς φαγεῖν καὶ πιεῖν καὶ ἀνέστησαν παίζειν

...и сел народ есть и пить, а после встал играть.

ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს, განსხვავებით მასდარის სხვა ბრუნვის ფორმებისაგან, ახასიათებს ერთი, მისი ბუნებისათვის მეტად არსებითი, თვისება: მას აქვს ზმნური მართვის უნარი—მოითხოვს სახელს სახელობითსა და მიცემით ბრუნვებში[75]. ვით. ბრუნვაში დასმული მასდარი ზოგ შემთხვევაში გარდამავალი ზმნის კონსტრუქციას ქმნის, ზოგჯერ კი — გარდაუვალი ზმნისას: როდესაც გარდამავალი ზმნის კონსტრუქციას ქმნის, იგი შეიწყობს ერთ სახელს სახელობით ან მიცემით ბრუნვაში. ან ორ სახელს ერთდროულად სახ. და მიც. ბრუნვაში. ამ უკანასკნელის მაგალითები შედარებით იშვიათია.

უკეთუ არცა ინებოს მამამან მის ქალისამან მიცემად მას იგი ცოლად, ვეცხლ მოსცეს მამასა მის ქალისასა: გამ. 22,17.

უკეთუ წარმართოცა მიცემად ჯერ-იჩინა ღმერთმან სინანული იგი ცხოვრებაჲ... მოც. 11,18.

უმჯობჳს არს ჩემად მიცემად იგი შენდა, ვიდრე მიცემად იგი სხუასა ქმართა: დაბ. 29,19

არამედ უმჯობჳსად შეერაცხე მორჩილ-ყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა ჩემისასა: აბო. 56,10.

სამაგიეროდ საკმაოდ ხშირია ვით. ბრუნვაში დასმულ მასდართან ბრუნვაცვალებადი ობიექტის ხმარების შემთხვევები.

## სახელობითი ბრუნვა:

მაშინ უბრძანა დადებად ჯაჭჳ ქედსა მისსა: შუშ. VIII,27.

მაშინ უბრძანა იესუ მოწაფეთა მათ წყალი მოღებად: ევსტ. მცხ. 169,23.

რომლითა ღმრთისა სათნო-ვეყო, იგი მინუას რჩული პყრობად: იქვე, 166,5.

და ვერცა ეეთლისა ქადებითა არწუთუნა მამული რჩული პყრობად. იქვე, 174,14.

ინებენ უფალმან მოცემად ჩუენდა მადლი ესჳ: ხანმთ. 382.

მაშინ უბრძანა ერთსა მღდელთაგანსა წარსლვად ეკლესიად და მოღებად ეკლოგიად ზეთი კანდელისა მისგან: იქვე, ნდ16.

თქუენგან ჯერ-არს განსაგებელი თქუენი განგებად: იქვე, მბ106.

ხოლო წოდებად სახელი გლახაკთაჲ ჯერ იჩინა ქრისტემან შჳნებასა წმიდათა მოსატერთასა: იქვე, კბ47.

წეს არს წესი საღმრთოჲ საეკლესიოჲ ეკლესიას შინა ჩემსა დაწესებად ბრძანთგან განუკითხველი: იქვე, იბ46.

---

75 არ. მარტიროსი, დასახ. შრომა, გვ. 49.

აწ ბრძანე გუამი მისი მოცემად ჩუენდა: აბო, 74,15.
უკუეთუ გნებავს ცნობად სიტკბოებაჲ მისი, შენცა გრწმენენ ქრისტჱ: იქვე, 73,23.
არა თუ ხოლო ჩემდა მარტოჲსა საძიებელ არს სმენად საწადელი ესე მარტჳლობაჲ წმიდისა ამის მოწამისაჲ: იქვე, 57,27.
უკუეთუ ვინმე უძლოს ქჳშაჲ ქუეყანისაჲ აღრაცხად, ნათესაჲცა შენი აღრაცხოს: დაბ. 13,16.
...რომლისათჳს ეფუცა უფალი მამათა თქუენდა მოცემად თქუენდა ქუეყანაჲ: გამ. 13,5.
აწ იწრაფე შეკრებად საცხოვარი შენი: იქვე, 9,19.
და არა ინებეს ძეთა ბენიამენისთა სმენად ქმაჲ ძმათა თჳსთაჲ: მსჯ. 20,13.
თქუენდა ჯერ-იყო პირველად რქუმად სიტყუაჲ ესე ღმრთისაჲ: მოც. 13,46.

მიცემითი ბრუნვითაა წარმოდგენილი ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდართან როგორც ბრუნვაცვალებადი ობიექტი (პირდაპირი ობიექტი), ისე ბრუნვაუცვლელი (ირიბი)[76]. მასდარის ზმნური მართვის უნარის დახასიათებისას, არა აქვს არსებითი მნიშვნელობა, მასთან შეწყობილი სახელი პირდაპირი ობიექტია თუ ირიბი. არსებითი ისაა, რომ ორივე შემთხვევაში პრიმიმართ სახელთანა გვაქვს საქმე: ვით. ბრუნვაში დასმული მასდარი იხმარება იმ სახელების მაგივრად, რომლებიც ზმნაში პირს აჩენენ.

## მაგალითები:

და ვერვინ იკადრა თავსა მისსა დაბურვად: შუშ. IX,8.
მეცა გულს-მოდგინე ვიქმენ უძლიერჱსსა ჩემსა აღებად: აბო, 56,19.
არამედ შემომიდგა მე, რაჲთა ღირს იქმნე ხილვად დიდებით მიცვალებასა მისსა ამიერ სოფლით: ხანძთ. ლთ11.
ესრჱთ მხიარულ იქმნა სიმრავლჱ იგი ერისაჲ, რაჟამს წმიდითა ჭელითა მისითა ღირს იქმნენს მიღებად ჭორცსა და სისხლსა ქრისტჱსსა: იქვე, გან.
იწყეს ჴმად მარადის მეტყუელთა სულისა საზრდელსა მას სიტყუასა: იქვე, 384.
და არცა ღირს ხარ სახელსა მისსა სმენად: კიმ. II, 34,12.
ვერ შემძლებელ ხარ დაფარვად ჩემგან ერისაცა საქმესა შენსა: ლიმ. II, 16,13.
ყოველი იგი ქალაქი შეკრბა სმენად სიტყუასა მას უფლისასა: მოც. 13,44.
ნიჭსა მას ღმრთისასა ჰგონებ შენ ფასითა მოპოვებად: იქვე, 8,20.
...ვერ უძლებდენ ცხოვარსა შეჴმად: გამ. 12,4.

## ირიბი ობიექტი მიცემითში:

...ამისთჳსცა არა გიტევე შენ შეხებად მას: დაბ. 20,6.
...არამცა ღირს ვიქმენ შედგომად ქრისტჱსა: აბო 73,14.
გმადლობ და გაყურხევ შენ, სამებაო წმიდაო, რამეთუ ღირს მყავ მე მიმთხუევად ღუაწლსა მას წმიდათა მოწამეთა შენთასა: იქვე, 73,33.
ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწუდომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა: იქვე, 60,9.
...ღირს-მყო მე თაყუანის-ცემად კუალსა წმიდათა ფერჴთა შენთასა: ხანძთ. 322. და სხუა.

---

76 მასდარ-ინფინიტივთან დაკავშირებული ობიექტების ამგვარი დახასიათება პირობითია და მისი შესაბამისი ზმნის კონსტრუქციას ემყარება.

ზემოთ განხილული იყო მაგალითები, რომლებშიც ინფინიტივი დამატების და ქვემდებარის ფუნქციით გვევლინება. ასეთივე მდგომარეობაა მიზნის გარემოების გამომხატველ ინფინიტიურ კონსტრუქციაშიც. მაგ.:

სახელი სახელობითშია:

არავინ ჩუენგანმან დააყენოს საფლავი შენგან დაფლვად მკუდარი შენი მუნ: დაბ. 23,6

და წარვიდა შუამდინარედ ასურეთისა მოყუანებად თავისა თჳსისა ცოლი: დაბ. 28,6.

სახელი მიცემითშია:

და ვითარცა მოვიდეს ვსებად წყალსა... გამ. 2,16.

რაჲსათჳს ესრეთ შეითქუენით თქუენ განცდად სულსა უფლისასა? მოც. 5,9.

და შევიდოდა ტაძრად მითხრობად აღსრულებასა მას დღეთა გაწწმედისათა: იქვე. 21,26.

აწ იყავნ განმზადებაჲ ჩუენი მოღებად გჳრგჳნსა მას სარწმუნოებისასა და უხილავსა მას საროწმუნოებასა თუალითა ხედვად: სინ. მრავ. 78,38.

გვხვდება კიდევ ერთი კონსტრუქცია: „ეკლესიისა შენებად“ ან „შენებად ეკლესიისა“. ამ საკითხს აქ არ შევეხებით.

5. ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი შეიძლება იყოს პრედიკატიული წევრი — შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ისევე, როგორც სხვა ენათა ინფინიტივი (ინგლისური, ბერძნული და სხვ.). მხედველობაშია გვაქვს ყოფად არს, განსლვად არს ფორმები. ამ ფორმათა შინაარსი კარგად გაუგია თ. ჟორდანიას. თავისი გრამატიკის შენიშნაში იგი წერს: ყოფად არს აღნიშნავს „უუახლოვესს მომავალს დროს, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შესრულდეს... ესე ყოფად არს, ე. ი. ახლავე, ანუ მალე უნდა მოხდეს“[77].

სპეციალურ ლიტერატურაში სამართლიანად აღნიშნავენ, რომ შინაარსობრივად ასეთი შედგენილი შემასმენელი აუცილებლად შესასრულებელ მოქმედებას ანუ კატეგორიულობას გამოხატავს და მის შესატყვისად სხვა ენებში გვხვდება ზმნა, ინფინიტივი ან მომავლის მიმღეობა“[78].

მაგალითები:

რამეთუ მე აქა არღარა მოქცევად ვარ: ევსტ. მცხ. 164,27.

ჰალაჲსა რასმე განცდენებად ვართ ჩუენ: მოც. 27,26.

ღუაწლსა დიდსა შესლვად ხარ, დედოფალო: შუშ. III,12.

...ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ...: იქვე. IX,22.

მცირედ და ყოფად არს ჩემი ჴორცთა შინა ყოფაჲ: ხანძთ. 394.

...სიძესა მას ნათლისასა მიგებებად ვართ: სინ. მრავ. 78,21.

ხოლო სიკუდილი ჩემი ტფილისს ყოფად არს სპყრობილესა და თავი მოკვეთად არს ჩემდა: ევსტ. მცხ. 164,29.

კუალად მოსლვად არს იგი დიდებითი თჳსითა.., კიმ. II, 48,14.

...და შემდგომად რისხვაჲ ღმრთისაჲ მოწუენად არს ჩუენ ზედა: ლიმ. 26,3.

მეშვიდე ზმნა შედგენილ შემასმენელში შეიძლება იყოს როგორც აწმყო. ისე ნამყო დროში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი გამოხატავს წარსულის

77 თ. ჟორდანია, გრამმატიკა, გვ. 126.

78 არ. მარტიროსოვი, დასახ. შრომა, გვ. 56.

გარკვეული მომენტის მიმართ მომავალში შესასრულებელ მოქმედებას, აქ შეიძლება გავეცნოთ ინდოევროპულ ენებისათვის დამახასიათებელი დრო: **future in the past** — მომავალი ნამყოში:

პატივი ზეგარდამო ღმრთისა მიერ მონიჭებად იყო მათდა: ხანძთ. 231.
იოვანე თესლისაგან ხაჭარიასა შობად იყო ელისაბედისგან: ევმ. II, 68,3.
უწყოდა მან წინამსწარითა ცნობითა თჳსითა ყოველი ესი, რომელი შემთხუევად იყო მონათა მისთა: იქვე, 9,39 და სხვ.79.

ყოფად არს შედგენილ შემასმენელში მომავლის სემანტიკა მის სახელად საწილოთან უნდა იყოს დაკავშირებული. ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი როგორც მიზნის გარემოება მომავალში შესასრულებელ მოქმედებას გამოხატავს (წარვიდა მოკლვად). ასეთივე მდგომარეობაა მაშინაც, როცა მასდარი დამატების ფუნქციას ასრულებს: გარკვეული შემთხვევებში აქ სწორედ მომავალში შესასრულებელი მოქმედება ივარაუდება: „ბრძანა წერად წერილი?“ ნიშნავს: ბრძანა, რომ დაწეროს. აქ, ყოველ შემთხვევაში, ორი მოქმედების შემდგომადობასთან გვაქვს საქმე. შესაძლოა, მომავალის სემანტიკა უძველესი იყოს ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარისთვის და იგი დაკავშირებული იყოს მის ფორმასთან, კერძოდ ვითარებით ბრუნვის ფორმასა და ფუნქციებთან.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი შესაბამება ინფინიტივს და ასრულებს დამატების, ქვემდებარის, მიზნის გარემოებისა და პრედიკატული წევრის ფუნქციას. ყველა ეს შემთხვევა ბერძნულში (და სხვა ენებშიც) შესატყვისს პოულობს. ზემოთ ჩამოთვლილი ხუთივე ფუნქცია ინფინიტივის ძირითადი ფუნქციებია. ამტკიცებს, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი, რომელსაც ეს ფუნქციები ახასიათებს, „ინფინიტივად[80], „თავისებურ ინფინიტივად“[81] იწოდება სპეციალურ ლიტერატურაში.

მაინც, ინფინიტივისთვის არსებითია სახელის ზმნური მართვის უნარი ბრუნვაში. მასდარის ვითარებით ბრუნვას ეს უნარიც აქვს. იგი ქმნის ძველ ქართულში თავისებურ კონსტრუქციებს, რომლებიც ფართოდაა გავრცელებულა და საკმაოდ ჩამოყალიბებული სახე აქვთ.

ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ ძველებს ქართულ წერილობით ძეგლებს — ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებს, შემდეგ სურათს მივიღებთ

ა) მასდარი-ინფინიტივი შეიწყობს პირდაპირ დამატებას სახელობითსა და მიცემით ბრუნვებში:

და ხასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რომელი გამცენ თქუენ: ხანმ. მ 28,20.

რამეთუ სათნო-იყო მამამან თქუენმან მოცემად თქუენდა სასუფეველი: ხანმ. ლ 12,32.

...ოდეს იგი იეზაბელს ხეგულებოდა დაპყრობად ვენაკი იგი ნაბუთწსი... ხანმ. მრავალთ. 14,7.

79 რუსულ ენაშიც აგებულებით შედგენილი შემასმენლის ანალოგიური შემთხვევები გვაქვს, მაგრამ შინაარსობრივ განსხვავებულია: **зачем было приходить, что было делать.**

80 არ. ჩიქობავა, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, 1950, წინასიტყვაობა, გვ. 012.

81 არ. მარტიროსოვი, დასახ. შრომა, გვ. 45, 69.

...ესრე შუენის აღსრულებად ყოველი სიმართლჱ: ხანმ. მრავალთ. 6,10.

და თანამეინაჯეთა ბრძანა მიცემად იგი მას: ჰაემ. მ 14,10.

და არცაღა ჯაჭუებითა ვის ჴელ-ჰეწიფა შებორკილებად იგი: ჰაემ: მრ. 5,3.

და ჰიყო ვითარ ერი დაესხმოდა მას სმენად სიტყუასა ღმრთისასა: ჰაემ. ლ 5,1.

ბ) მასდარი-ინფინიტივი „იწყო“ და „ჰნებავს“ ტიპის ზმნებთან:

და პუბრძანა მათ შე-რე-გინებად მცირედ: ჰაიმ. ლ 5,3.

...აღუთქუა მას მიცემად რაჲცა ითხოვოს: ჰაემ. მ 14,7.

...ვერ ჴელ-ჰეწიფების მოსლვად ჩემდა... ჰაემ. ი 6,65.

და იტყოდეს ურთიერთას და ვის ჴელ-ეწიფების ცხოვრებად: ჰაემ მრკ 10,26.

ვინაჲ ძალ-გჳც აქა განძღებად პურითა ესოდენისა ერისა უდაბნოსა ზედა: ჰაემ. მრკ 8,4 და სხვა.

ბ) მასდარი-ინფინიტივი მიზნის გარემოებაა:

არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად: ჰაემ. მრკ 2,17.

მირბოდეს თხრობად მოწაფეთა მისთა: ხანმ. მ 28,8.

მოვიდეს წინადაცუეთად ყრმისა მის: ჰაემ. ლ 1,59.

აწ ესერა მივალ იერუსალჱმდ მსახურებად წმიდად: ხანმ. ჰრომ. 15,25.

გ) მასდარი-ინფინიტივი პირნაკლ ზმნებთან:

ჴრარას ძისა კაცისა მიცემად ჴელთა კაცთა ცოდვილთასა ჯუარსცუმად: ხანმ. ლ 24,7.

ჰუადვილჱს არს მანჭანისა საბელი კურელსა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი შესლვად სასუფეველსა ღმრთისასა: ჰაემ. მრკ. 10,25.

ხანმეტ და ჰაემეტ ტექსტებში სულ 52 მაგალითი შეგვხვდა ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარისა. ამათგან 11 შემთხვევაში იგი შეიწყობს ბრუნვაცვალებად ობიექტს. მცირე მოცულობის ტექსტში ასე უხვად წარმოდგენილი ზმნური მართვის შემთხვევები მოწმობს, რომ ეს თვისება (ზმნური მართვის ძალა) და ინფინიტივის სხვა ფუნქციები არაა ახალი ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარისთვის.

ინფინიტიური კონსტრუქციის სიძველეს მოწმობს აგრეთვე ის, რომ იგი ფართოდაა გავრცელებული ძველ ქართულ ნათარგმნ და ორიგინალურ ძეგლებში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ოთხთავის ტექსტის ჩვენება:

იწყო ზმნა 71-ჯერ გვხვდება და მას ყველა შემთხვევაში ვითარებიან **ბრუნვაში** დასმული მასდარი ერთვის:

ჴელ-წიფების — 58 შესაძლებელი შემთხვევიდან 54-ში ინფინიტიური კონსტრუქციაა, 4 შემთხვევაში — მასდარია სახელობით ბრუნვაში.

შეუძლო — 19 შესაძლებელი შემთხვევიდან ცხრამეტივე ვითარებით ბრუნვაში დასმულ მასდარს შეიცავს.

შემძლებელ ვარ — 28 შემთხვევიდან — 28,
შესაძლებელ არს — 9 შემთხვევიდან — 9,
ძალ-მიც — 24 შემთხვევიდან — 24,
აცადე — 10 შემთხვევიდან — 10,

ევულების — 15 „ 11
ყრარის — 55 „ 35 (მასდარი-ინფინიტივი), 20 (მასდარის სახ. ბრუნვის ფორმაა).
ბრძანა — 27 „ 13 (მასდარი-ინფინიტივი), 14 (მასდარის სახ. ბრუნვა).

როგორც ჩანს, ვით. ბრუნვაში დასმული მასდარის ხმარება კანონზომიერია ამ ზმნებთან და საკმაოდ გავრცელებული. თუ გავითვალისწინებთ სხვა ძეგლების მონაცემებსაც, შეიძლება ეს დებულება განზოგადდეს ძველი ქართულის მიმართ და ითქვას, რომ მასდარ-ინფინიტივის ხვედრითი წონა დიდია ძველ ქართულში. მისი ჩამოყალიბების პროცესი გაცილებით ადრე უნდა ვიგულისხმოთ, ვიდრე ძველი ქართულის ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურის ენაა.

განხილული კონსტრუქციების სიძველეზე უნდა მეტყველებდეს ავრეთვე ისიც, რომ იგი უცბად არ გამქრალა ენიდან, როგორც რაღაც ხელოვნური, უცხო ენათა გაგლენით შექმნილი (რაც არ შეიძლება ითქვას „არა უნდა ნუგეშინის-ცემის“ კონსტრუქციის მიმართ). ინფინიტიური კონსტრუქციები კარგა ხანს შემორჩა სალიტერატურო ქართულს და, რაც უფრო არსებითია, დიალექტებში დღესაც ცოცხალია მათი კვალი.

ამ თვალსაზრისით შევამოწმოთ მეთორმეტე საუკუნის და შემდეგდროინდელი ძეგლები.

ცნობილია ის ფაქტი, რომ „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში“, რომელიც მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახევარში დაიწერა, მხოლოდ ერთი შემთხვევა დასტურდება, სადაც მასდარი-ინფინიტივი ზმნური მართვის ძალას ჩრნს[82], ხოლო სხვა ფუნქციით მისი ხმარება არაა იშვიათი. მოსალოდნელი იყო, რომ შემდეგდროინდელ ძეგლებში ასეთივე მდგომარეობა იქნებოდა, მაგრამ არა.

„გიორგი ათონელის ცხოვრება“[83] მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწერა, ტექსტი გამოცემულია XII საუკუნის ხელნაწერის მიხედვით. სურათი ასეთია: ჩვეულებრივია მასდარ-ინფინიტივის ხმარება ყველა ფუნქციით. აქედან ცხრა შემთხვევაში მასდარი მართავს სახელს: ორჯერ სახელობითსა და შვიდჯერ მიცემით ბრუნვაში:

აწ ბრძანენ მეფობამან შენმან მოცემად ტყვე: 197,14.
მენება, უკუეთუმცა შესაძლებელ იყო, განძღერებად უძღურებაჲ ჩემი... 212,4.
...კადნიერ ვიქმენ ჴელყოფად საქმესა ამას დიდსა და სულიერსა უწყებასა მითხრობად და წინადადებად ცხორებასა და მოღუაწებასა ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგისსა... 214,22.
...ნაბუქოდონოსორო უშჯულოჲ სურტანი გამოვიდა საზღვართაგან თჳსთა მოსრვად ნათესავსა ქრისტეანეთასა: 208,11.
...და ვითარი-ღა წინა ედგა ჭირვეულსა ცხორებასა ჩემსა სიკუდილს, მითხრობად... 211.18.

---

82 ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ მიხედვით, 1946, გვ. 79; არ. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

83 ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, 1946, გვ. 189—214.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...იწყო... სწავლად მორჩილებასა ეპისკოპოზისა თჳსისასა და არავისა თუალღებით მიცემად განმაცხოველებელსა მას ჯორცსა და სისხლსა ქრისტესსა... 207,1.

...და ეძიებდა ცნობად ნებასა ღმრთისასა: 204,18.

...და მოასწავებდა წინაჲსწარე გამოღებად ნაყოფსა მას, რომელი ყოფად იყო: 191,10 და სხვ.

საინტერესოა აგრეთვე მეორე თხზულება „რაჟდენ პირველმოწაჲის მარტვილობაჲ“[84], რომელიც XII საუკუნის მეორე ნახევარშია დაწერილი. ხოლო გამოცემული XVIII საუკუნის ხელნაწერის მიხედვით. მოცულობით ეს ძეგლი დაახლოებით ხუთჯერ ნაკლებია „გიორგი ათონელის ცხოვრებაზე“, დროის მიხედვით მერმინდელია, მაგრამ მდგომარეობა არ იცვლება. ინფინიტიური კონსტრუქციის ოცამდე შემთხვევა დასტურდება, აქედან ხუთი ზმნური მართვის ძალას ავლენს:

...და უწყი მეცა, ვითარმედ სურვიელ ხართ სმენად ზედმიწევნილობასა მოქალაქობისა მისისასა... 241,36.

და ილოცვიდა, რაჲთა იგიცა ღირს იქმნეს... შესუმად სასუმელსა უკუდავებისასა: 242,33.

რაჲსა მაიძულებთ, უსჯულონო, ცხოველისა ღმრთისა დატეგებად... და მსახურებად ცეცხლსა შემწუელსა... 246,3.

...დედოფალთა და პალატსა შინა სამეუფოსა მყოფთა დამაკლებს მე ჟამი ესე აღრიცხუად სიმრავლესა მათსა... 241,26.

...და ყოველი ჰასაკი თანამდებ ყო შესხმად ბრწყინვალეთა ღუაწლთა მისთა და ქებად ახოვნებისა მისისა და უფროჲსად დიდების-მეტყუელებად განმაძლიერებელსა და გჳრგჳნოსან მყოფელსა მისსა ქრისტესსა: 241,34.

„ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა საუკუნის თხზულებათა ენობრივი ანალიზი საშუალებას გვაძლევს თვალყური ვადევნოთ ინფინიტიურ კონსტრუქციას ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

„ქართლის ცხოვრება“ საერო მწერლობის ძეგლადაა მიჩნეული[85], მაგრამ ენობრივი თვალსაზრისით იგი ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ენის ტრადიციათა გაგრძელებას წარმოადგენს და ერთგვარი კონსერვატიულობით თითქოს ემიჯნება კიდევაც საერო მწერლობის მეორე და ძირითად შტოს: „ვეფხისტყაოსანს“, „ვისრამიანს“, „მირანდარეჯანიანს“... ასეთი დასკვნის საფუძველს გვაძლევს, უპირველეს ყოვლისა, ინფინიტიური კონსტრუქციების გავრცელებულობისა და სახეების შესწავლა ამ ძეგლებში.

ამ თვალსაზრისით შესწავლილია „ქართლის ცხოვრების“ ორივე ტომის ყველა თხზულება. აქ განვიხილავთ მხოლოდ მეორე ტომის ძეგლებს, რომლებიც XIII—XVIII საუკუნეების განეკუთვნებიან. ეს ძეგლებია: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“, „ამთაოლმწერელი, ახალი ქართლის ცხოვრება: პირველი, მეორე და მესამე ტექსტი.

შეიძლება ითქვას, რომ ზემოჩამოთვლილ ძეგლებში ინფინიტიური კონსტრუქციები ფართოდაა გავრცელებული, სულ შვიდასამდე შემთხვევა აღინუსხა.

---

84 ძველი ქართ. ლიტ. ქრესტომათია, გვ. 241—246.

85 ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, 046.

აღსანიშნავია ისიც, რომ აქ თავს იჩენს ინფინიტიური კონსტრუქციის ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ყველა შესაძლებელი სახეობა.

მიუხედავად ამისა, საგრძნობია განსხვავება ძველი ქართულისაგან, რაც უპირველეს ყოვლისა გამოიხატება ისეთ შემთხვევათა სიხშირით, რომლებშიც მოსალოდნელი ინფინიტიური კონსტრუქციის მაგივრად მონაცვლე კონსტრუქციები იხმარება (მასდარი სახელობით ან მიცემით ბრუნვებში, მომავლის მიმღეობა ვითარებით ბრუნვაში...).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ზმნური მართვის შემთხვევები, რომელთა რაოდენობა ინფინიტიურ კონსტრუქციათა საერთო რაოდენობასთან შედარებით მცირეა (შეფარდება ასეთია 700:30), მაგრამ თვით ფაქტი სახელთა მართვის არსებობისა მეტყველებს იმაზე, რომ საისტორიო თხზულებათა ავტორები ძველი ქართულის ნორმებს მიჰყვებიან.

ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ისინი ძველი ქართულის ტრადიციებზე არიან აღზრდილნი, აქვთ სამწერლობო ენისა და წყაროების კარგი ცოდნა. თუ ეს ნორმები ბოლომდე არ არის გატარებული, ალბათ იმიტომ, რომ საისტორიო თხზულებათა დამწერნი თავს ვერ აღწევენ მათი თანამედროვე ენის გავლენას. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს:

...და შენ გიბრძანებია ქართველთათჳს აღებად ჯრმაღი მუსლუმანთა კოცად: ისტ. ახმ. 93,4.

...იწყო აღლესვად ორპირსა მახჯლსა... ბასილი ეზოსმოძღვ. 117,11.

...და ვერვინ იკადრა გამოთხრად გუამი მეფისა: ქამთაღმწყ. 292,4.

...და მზა არს ჩემდა მოცემად ქელითა თჳსითა გჳრგჳნსა მას უხრწნელებისასა: ახ. ქართლ. ცხ. I, 397,11.

...მძლავრებით აიძულებდეს ფერჴითა დათრგუნვად ხატსამას: ახ. ქართლ. ცხ. III, 495,20.

...აღუთქუა არა მოკლენებად ძჳრსა, არამედ მინიჭებად მრავლისა პატივისა: იქვე, 505,3 და სხვ.

საისტორიო თხზულებათა ენობრივი თავისებურებები თავს იჩენს ვახუშტის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ იმ განსხვავებით, რომ ზმნური მართვის შემთხვევები ამ უკანასკნელში არ დასტურდება. არქაული სტილით გამოირჩევა წიგნის შესავალი ნაწილი („მკითხველთათჳს სიტყუა რაჲსამჳს არს შრომა ესე“), სადაც ავტორი ზოგადად მსჯელობს შრომის დანიშნულებაზე. ხშირია ასეთი კონსტრუქციები: „ჯერ არს კითხვად და არა უგუნებელს ყოფად“: 3,1; „ჯერ არს რიცხვად“: 3,8; „ჯერ არს ცხორებად“: 2,33; „არავის ძალუძს მოქცევად“: 1,6; „არღარა შემძლებელ ვართ კელყოფად“: 1,9; „...იწყიან ბრძოლად“: 15,21 და ა. შ.

სურათი გამარტივებულია საერო პოეზიასა და მხატვრულ პროზაში[86]. ზმნური მართვის შემთხვევები აქ უკვე აღარ გვხვდება. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“, თუმცა აქაც ასეთი შემთხვევები საძებარია:

...კლა გაგზავნეს სხვანი კაცნი სასიძოსა მოყვანებად: 516.

...ფატმან ფერჴთა მოსხვია: არა ღირს ვარ პირსა ჴვრეტად...: 1119.

---

86 ამ თვალსაზრისით შესწავლილია „ვეფხისტყაოსანი“, „ვისრამიანი“, „ამირან-დარეჯანიანი“, „რუსუდანიანი“, „სიბრძნე სიცრუისა“... სხვადასხვა ძველი განსხვავებულ ვითარებას ვეხმიენებს, მაგრამ ამ საკითხზე აქ ვერ შევჩერდებით.

...ჩემნი სპანი მოვიდიან საჴურეტლად და ჩემად ქებად,
ვერ იტყვიან, ვერ მომხვდარან ქებასაცა მოხსენებად: 453.
თუ მოჯხური ვარ, ერთი ეხმ ხელი მინდორთა მე რებად;
არ მარტო უნდა გაჯრილი ცრემლისა სისხლსა ფერებად?: 784.

ყველაზე მეტად გავრცელებული და აქტიური მოქმედი ჩანს მიზნის გარემოებითი კონსტრუქცია. იშვიათია მასდარ-ინფინიტივის ხმარება სხვა ფუნქციებით:

გარდამავალ ზმნებთან:

გულსა სევდა შემეყარა, ვიწყე ჭირთა მოპოვნებად: ვტ 516.
მეფემან ახმა დურაჯთა მითხრა მიტანად ქალისა: ვტ 342.
...დაიწყო შეჭირვებად და კითხვად და ვერავინ რა უთხრა: ამირანდარეჯ. 35,18.
...გვიბრძანა წვევად, შეგვმოსნა ტანსა: იქვე. 176,18.
...ჴელვყავ მისთა საფლავთა შენებად: რუსუდან. 158,12.

გარდაუვალ ზმნებთან:

...სიბერისაგან დიდისა ვედარ შემძლებელ ვარ წინაშე თქვენსა მოსლვად: ამირანდარეჯ. 8,30.
...ვერ შემძლებელ არს ენა ჩემი წარმოთქმად და გული ჩემი თავს დებად... რუსუდან. 600,31.
ვინ შემძლებელ არს ქველის მოქმედებათა შენთა აღრიცხვად? იქვე, 599,31.

პრედიკატულ წევრად:

...კურთხეულმცა არის მიწა იგი, რომელმან ზავსებრი ნაყოფი გამოიღო, რომელი ადრე მოსვლად არს თქვენსა წინა: რუსუდან. 93,18.

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისაში“ მხოლოდ მიზნის გარემოებითი ინფინიტიური კონსტრუქციები ღა გვხვდება.

ახალ სალიტერატურო ქართულს ინფინიტიური კონსტრუქცია არ ახასიათებს. ძველი ვითარების კვალი მთის ზოგიერთ დიალექტშია დაცული. განსაკუთრებით საინტერესოა ამ მხრივ თუშურის ჩვენება.

1. ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი მიზნის გარემოებას გამოხატავს და ამ ფუნქციით მისი ხმარება ჩვეულებრივია:

დიდოეს სოფელში წასარულიყვნეს სახლების დამტვრევად[87]: 97,20.
პირის დაბანად წაჭუ წყალი...[88]

2. ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი გვხვდება შედგებ-შედგ ზმნასთან, მაგალითად: ტირილად შედგ//შედგებ, რაც ნიშნავს ტირილი დაიწყო, ტირილს შეუდგა, ავრეთვე საქმეს შედგ — საქმეს შეუდგა. აღნიშნული შემთხვევები მოგვაგონებს ძველი ქართულის „იწყო ტირილად“, „იწყო ქმნად (საქმედ)“ კონსტრუქციებს.

3. და რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, თუშურში დაცულია გაქვავებული სახით გამოთქმა „თქმად არს“:

რაყის თქმად ხარბ//იყავ—რა უნდა თქვა, რა გაქვს სათქმელი.

87 თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960.

88 ეს და სხვა ქვემოთ დასახელებული მასალა თუშურიდან მომაწოდეს თ. უთურგაიძემ და გ. ცოცანიძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადეს ბალღ კიმის თქმად არს, რომელ შინ წავიდნეთავ — ბაგშვს იმის თქმა უნდა, რომ შინ წავიდეთო.

ვაშარაის წყაროს შევეყარ.

შესმად ვიყავი — დამიშრა...[89].

თუმცა ამ გამოთქმებში კატეგორიულობისა და მომავლის სემანტიკა დაჩრდილულია, ეფიქრობთ, მაინც ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ იგი სტრუქტურული თვალსაზრისით ძველი ქართულის „თქმად არს“, „აღსრულებად არს“ კონსტრუქციების ნაშთია.

განხილულ კონსტრუქციათა ორგანულობასა და სიძველეს მხარს უჭერს ქართველურ ენათა კერძოდ ზანურის მონაცემები.

1) სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჭანურში მიმართულებით ბრუნვაში დასმული მასდარი მიზანს აღნიშნავს და შეესაბამება ძველი ქართულის მასდარის მიმართულებითს, მაგალითად: ...იგზალუ ნანა მუშში ოგორუშა... (ოგორუშა — ძებნად). ...მსქვერიშ ოყოილუშა ვიგზალით... (ოყოილუშა — კვლად)[90].

ასეთივე წარმოება დასტურდება მეგრულის გარკვეულ გამოთქმებში: ...მიდართუ ოგორუშა... (ძებნად წავიდა)[91], ათე ჟირი ჯიმაქ ოტყაღშა მიდართუსგ... (...ნადირობად წავიდნენ)[92].

2) ზმნა ქოგდოჭკუ ჭანურში მოითხოვს მასდარის მიცემით ბრუნვას: უჭკოშუს ქოგდოჭკუ — „ჭამას დაიწყო“,... ოხორჯაქ ქოგდოჭკუ ომგარინუს — „ტირილს დაიწყო“[93].

განხილული შემთხვევები ძველი ქართულის „იწყო ჭამად“ კონსტრუქციის ანალოგიური ჩანს. ვფიქრობთ, დაბრკოლებად არ ჩაითვლება ის გარემოება, რომ ჭანურის მასდარი განხილულ პოზიციაში მიცემით ბრუნვაში დგას, ვინაიდან სპეციალურ ლიტერატურაში არაერთგზისაა მითითებული მიცემითი და ვითარებითი ბრუნვების ფუნქციათა მსგავსებაზე და მათ გენეტურ კავშირზე.

იბერიულ-კავკასიურ ენათა ვითარების გათვალისწინების საფუძველზე ვ. ფანჩვიძე ვარაუდობს, რომ მასდარული კონსტრუქცია ძველ ქართულში წარმოადგენს საკუთარ მოვლენას და იგი გადმონაშთი უნდა იყოს ძველი ვითარებისა[94].

დღეს ქართულ სალიტერატურო ენას ინფინიტიური კონსტრუქცია არ ახასიათებს. ამ მხრივ ქართული გამონაკლისს არ წარმოადგენს. ცნობილია, რომ ძველ ბერძნულში ძალზე დიდი იყო ინფინიტივის ხვედრითი წონა. მიუხედავად ამისა, საშუალო ბერძნულიდან მოყოლებული იწყება მისი კვდომა და გაქრობა. ახალ ბერძნულში ინფინიტივის კვალიღა შემორჩენილი[95].

---

89 კ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, თუშური პოეზია, 1962, გვ. 71.

90 არნ. ჩიქობავა, მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართველში, გვ. 41—42.

91 არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიული ანალიზი, 1936, გვ. 177.

92 იქვე, გვ. 178.

93 არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, I, ხოფური კილოკავი, 1929, გვ. 38.

94 ვ ლ. ფ ა ნ ჩ ვ ი ძ ე, ნაზმნარი სახელის მიერ სახელის მართვა უღერ ენაში: იბერ.-კავკ. ენათმეცნიერება, XII, 1960, გვ. 408.

95 П. Ш а н т р е н, Историческая морфология греческого языка, москва, 1953, გვ. 237—238.

## შემოკლებათა განმარტება

აბო — იოანე საბანისძე, წამებაჲ ჰაბოჲსი, კ. კეკელიძის გამოცემა: ადრინდელი ფეოდალური ლიტერატურა, ნაკ. I, ტფილისი, 1935.

ამირანდარეჯ. — მ. ხონელი, ამირან-დარეჯანიანი, ს. კაკაბაძის რედაქციით, 1939.

გამ. — გამოსლვაჲ: წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკეთი I, ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1947.

დაბ. — დაბადებისაჲ, ნ. გამ.

ევსტ. მცხ. — მარტკლობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ: ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ი. იმნაიშვილის გამოცემა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1953.

ესაია — წინაწარმეტყუელებაჲ ესაიაჲსი, წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ტ. I, ნაკეთი 2, ა. შანიძის გამოცემა, თბილისი, 1948.

ვეტ — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1937.

ი — სახარებაჲ იოვანჱსი: ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945.

იობ. — წიგნი მეცხრჱ იობისი, ნ. გამ.

კიმ. I, II — კიმენი, ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, გამოსცა კ. კეკელიძემ: ტ. I, ტფილისი, 1918; ტ. II, თბილისი, 1946.

ლ — სახარებაჲ ლუკაჲსი, ნ. ი.

ლიმ. — იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევით და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1960.

მ — სახარებაჲ მათჱსი, ნ. ი.

მარტვ. მონაზ. — მამათა სწავლანი X—XI ს-თა ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1955.

მრკ — სახარებაჲ მარკოზისი, ნ. ი.

მსაჯ. — წიგნი მეშჳდჱ მსაჯულთაჲ, ნ. ესაია.

რუს. — რუსუდანიანი, ილ. აბულაძის და ივ. გიგინეიშვილის რედაქციით, თბილისი, 1957.

მოც. — საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით, გამოსცა ილ. აბულაძემ ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1950.

სინ. მრავ.—სინური მრავალთავი 864 წლისა, ა. შანიძის რედაქციით, თბილისი, 1959.

შუშ. — იაკობ ცურტაველი, მარტკლობაჲ შუშანიკისი. გამოკვლევა, ვარიანტები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ილ. აბულაძემ, ტფილისი, 1938.

ხანმ. — ხანმეტი ლექციონარი, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1944.

ხანმ. მრავალთ. — გამოსცა ა. შანიძემ: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VII, 1927.

ხანძთ. — შრომაჲ და მოღუაწებაჲ... გრიგოლისი... ხანძთისა და შატბერდის აღმაშჱნებელისაჲ, ნ. მარის გამოცემა, ТР. VII, СПб., 1911.

ჰაემ. — ჰაემეტი ტექსტები, ა. შანიძის გამოცემა: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923.

# ОСОБЕННОСТИ МАСДАРНЫХ СЛОВОСОЧЕТАНИЙ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Д. З. ЧХУБИАНИШВИЛИ

(Р е з ю м е)

1. Масдар в направительном падеже был квалифицирован в грузинских грамматиках раннего периода (Антония I, С. Додашвили, П. Иоселиани) как неопределенное наклонение — „განუსაზღვრებელი სქესი“ ganusazɣvrebeli skesi и рассматривался отдельно от других форм масдара — отглагольного имени существительного, которое обозначалось термином „სახელზმნა“ saxelzmna. Одной из основных причин этого можно считать тот факт, что вышеназванные авторы руководствовались принципами и терминологией грамматик других языков. Следует однако отметить, что такое раздельное рассмотрение в древнегрузинском языке не лишено было реального основания. Начиная же с. Д. Чубинашвили «неопределенное наклонение» исчезает из терминологии, так как объектом изучения грамматистов становится современный грузинский язык.

2. Масдар в направительном падеже в древнегрузинском языке имел следующие функции: он выступал в роли дополнения (იწყო ჰამად), подлежащего (ჯერ არს აღსრულებად), обстоятельства цели (წარვიდა მოკლედ) и предикативного члена (ყოფად არს). Интересно отметить, что в данных случаях масдару в направительном падеже в греческом языке соответствует инфинитив.

Известно также, что рассматриваемая форма масдара характеризуется глагольным управлением—основным признаком инфинитива.

3. Употребление в вышеназванных функциях масдара в направительном падеже в древнегрузинских оригинальных и переводных памятниках письменности—обычное явление, что дает нам основание предполагать, что процесс его возникновения восходит к периоду более древнему, чем памятники древнегрузинской письменности.

Масдар в направительном падеже постепенно стал выходить из употребления и это был довольно длительный процесс: в исторических памятниках XIII—XVIII веков он все еще сохранял свои основные функции. Пережитки инфинитивной конструкции еще сохранились в горных диалектах грузинского языка — в хевсурском и, по нашим данным, в тушинском.

## მონამეთის საწინამძღვრო ჯვარი


თ. საყვარელიძე


(წარმოადგინა აკად. გ. ჩუბინაშვილმა)

ქართული ოქრომჭედლური ხელოვნების მეტად მდიდრულ და მრავალფეროვან კოლექციაში გამოირჩევა ძეგლების ერთი ჯგუფი, რომელიც არანაკლები სიცხადითა და სისრულით გვიჩვენებს ჩვენში პლასტიკის განვითარების საერთო სურათს, ვიდრე სკულპტურის სხვა რომელიმე დარგი. ეს ძეგლებია ე. წ. საწინამძღვრო ჯვრები, რომლებიც ერთნაირადაა გავრცელებული მთელ ქრისტიანულ სამყაროში (როგორც აღმოსავლეთში ისე დასავლეთში)[1].

საწინამძღვრო ჯვარი ანუ „ძელი ცხოვრებისა" ჩვეულებრივ ვერცხლისგან გამოჭედილი (ან ჩამოსხმული), სიმაღლით 25—50 სმ და ფეხით ხე-ტარზე დაგებული, გვირგვინთან, პორფირთან, სკიპტრასთან, მახვილთან, საყდარ-საჯდომთან და დროშასთან ერთად, მეფის ხელისუფლების ნიშნად ითვლებოდა[2]. თამარის პირველი ისტორიკოსის სიტყვით, იგი იყო „მცველი და მფარველი მეფეთა სკიპტრისა"[3], „სკიპტრა და ჯაჭუ-ჭურ მეფეთა"[4]. ჯვრის ტარება მეფის წინ, რაიმე პროცესიის დროს, დაკისრებული ჰქონდა განსაკუთრებულ სამღვდელო პირს, რომელსაც ჯვარისმტვირთველი ეწოდებოდა. ჯვარისმტვირთველი და საწინამძღვრო ჯვარი თან ახლდა საერო და სასულიერო ცხოვრების თითქმის ყველა მნიშვნელოვან მოვლენას (ლიტანია[5], კალმასობა[6], ნადირობა, მეფედ კურთხევის ცერემონიალი[7] და სხვ.). „ხელმწიფის კარის გარიგებაში" ვკითხულობთ: „აწ გაცხადება ვსთქვათ დიდი დღესასწაული და წესი არის, რომე მეფე სადაც იყოს, რაც სული კაცი არის ქრისტეანი, ყოველივე წავა, დიდი დროშა ააბან და მენობათენი წინათ და დროშა განაღამცა წინა ამართული, და მერმე ჯვარისმტვირთველი შემოსილი და ძველი ცხოვრებისახელთა"[8].

---

[1] იხ. Беляев, Byzantina, кн. III, Богомольные выходы византийских царей в городские и пригородные храмы Константинополя, СПб., 1906, გვ. 115—116, 117.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტ., წ. II, ნაკვეთი II, ტფ., 1929, გვ. 205—206.

[3] „ისტორიანი და აზმანი"..., ქართლის ცხ., ტ. II. თბ., 1959, გვ. 36.

[4] იქვე, გვ. 69.

[5] პ. კარბელაშვილი, სვანეთში ორი ცკვირით, „ივერია", 1903, № 161.

[6] დ. ბაქრაძე, Археол. путеш. по Гурии и Адчаре, СПб, 1878, გვ. 127; აგრეთვე, ვ. დონდუა, კალმასობა როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა..., თბ., 1949, გვ. 14.

[7] ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტ., წ. II, ნაკვეთი II, ტფ., 1929, გვ. 197—201.

[8] ხელმწიფის კარის გარიგება, ექვთ. თაყაიშვილის გამოც., ტფ., 1920, გვ. 2.


ეროვნული ბიბლიოთეკა

„განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობდა“ საწინამძღვრო ჯვარი ლაშქრობისას. ქართულ საისტორიო წყაროებში არა ერთი ცნობაა შემონახული, რომელიც საწინამძღვრო ჯვრების „მოღვაწეობის“ ამ სფეროს შეეხება. ბასილი ეზოსმოძღვარი, თამარის მეორე ისტორიკოსი, მოგვითხრობს: ბასიანის ომის წინ თამარმა „მოიყვანნა წინაშე თვისსა ყოველნი წარჩინებულნი და უბრძანა ერის-თაოთა, რათა თვითოეული მათი **მოვიდოდის წინაშე წმიდისა ჯუარსა** და **თაყუანის-ცემდენ** და **შეემთხუეოდენ**. და იწყეს მოსლვად ყოველთა და ტირილით ვედრებად, და თაყუანისცემად პატიოსნისა ჯუარისა, და ამბორის-ყოფად... და ანდერძ-ყოფდეს ყოველნი სახლთა, შვილთა და სულთა წინაშე მისსა. რამეთუ **ერთითა ხელითა თვით მას (თამარს) ეპყრა ძელი ჯუარისა, ხოლო ერთითა ეზოსმოძღვარსა ბასილის** და **ჯუარისმტვირთველსა**. სრულ იქმნა რა ყოველთაგან ესრე სახედ თაყუანისცემა ჯუარისა, მერმე თვით მოიქუა ბასიანსინი ჯუარი იგი ხელითა თვისითა და ამხედრებულთა ზედა ყოველსა მხარსა ნიში ჯუარისა გამოსახა სამგზის, დაულოცა და ეგრეთ წარემართნეს მინდობილნი ღმრთისანი“[9].

ანდა მეორე მაგალითი იმავე თხზულებიდან: შამქორის ომის წინ ამხედრებულ ლაშქარს თამარი სიტყვით მიმართავს: „ძმანო ჩემნო, ყოველად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათუის და სიმცირისა თქუენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენ თანა არს[10]... მხოლოდ ღმერთსა ოდენ მიენდვენით... და სასოება ყოველი ჯუარის-ა მიმართ ქრისტესისა იყავნ... **და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა წარემართენით**“. ულოცა მათ და შეავედრნა ღმერთს, **წარუძღუანა ძელი ცხოვრებისა** და თანა წარატანა ანტონი ჭყონდიდელი“[11].

შემდეგ, თვით ბრძოლის დაწყების წინაც, „ყოს გარდახდეს ცხენთაგან ყოველნი, თაყუანის-სცეს ღმერთსა და **წმიდასა ჯუარსა ევედრნეს ცრემლითა** და ვითარ არწივთა მიმართეს, და ვითარ ვეფხნი ეკუთნენს“[12]. და ჩვენი ისტორიკოსი, ბასილი ეზოსმოძღვარი, რომელიც უშუალო თანადამსწრე და მონაწილე იყო ყველა ამ ამბებისა, იქვე დასძენს: „და იხილებოდა დიდი საკვირველი და გარდმატებული შეწევნა ღმრთისაო“[13]. ხოლო არჩილ მეფე, ხოსროანი (V ს.), სპარსელებზე გამარჯვების შემდეგ, პირდაპირ უცხადებს ხალხს: „აოა ძალითა ჩუენითა, არცა სიმხნითა, არცა სიბრძნითა, არცა სიმრავლითა სპათათა ვსძლიეთ მტერთა, არამედ **ჯუარითა უფლისა ჩუენისა იესო** ქრისტესითა, ძისა ღმრთისათა, რომელმან მოგუცა **წინამძღუარად** და **სუჯუველად ჯუარი მისი პატიოსანი**“[14].

ასეთი მაგალითების მოტანა კიდევ მრავლად შეიძლება ჩვენი სხვადასხვა დროის წერილობითი ძეგლებიდან[15]. ყველა მათგანი ითქლად მოწმობს, რა „ძა-

---

9 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხ., ტ. II, თბ., 1959, გვ. 136.

10 და ამ ღმერთის „რაღაური განსახიერება“ აქ, მიწაზე, ხალხის თვალწინ, სწორედ ეს საწინამძღვრო ჯვარია.

11 ბასილი ეზოსმოძღვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი, ქართლის ცხ., ტ. II, თბ., 1959, გვ. 126.

12 იქვე, გვ. 127.

13 იქვე.

14 ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხ-ბა, ტ. I, თბ., 1955, გვ. 140.

15 ჯუანშერი, იქვე, გვ. 173—174. ქამთაველი წერელი, ქართლის ცხ-ბა, ტ. II, თბ., 1959, გვ. 152; ომან მდივანბეგი ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ქართლის ცხ-ბა, ჩუბინაშვილის გამოც., სპპ., 1854, გვ. 485—486 და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა და შეწევნა" ჰქონდა საწინამძღვრო ჯვარს, რა დიდი იყო მისი „მფარველი ძალა" და ზემოქმედება. ამიტომაც არის, რომ საწინამძღვრო ჯვარი ხშირად ჩვეულებრივი ჯვარი კი არაა, მხოლოდ გარკვეული რიტუალის შესასრულებლად გამიზნული უბრალო საეკლესიო ნივთი, არამედ სათანადოდ გაწყობილი და გაფორმებული ძეგლიცაა, „განშუენებული ოქროთა და ანთრაკითა",—როგორც ჩვენი ისტორიკოსი ამბობს[16]. და სწორედ ამიტომაა, რომ დღეს, როცა საწინამძღვრო ჯვარმა თავისი ფუნქცია დაკარგა, ბევრი მათგანი ამშვენებს ჩვენს მუზეუმებს, როგორც ხელოვნების პირველხარისხოვანი ნიმუში. ერთი ასეთი ნიმუშთაგანია მოწამეთის საწინამძღვრო ჯვარიც.

მოწამეთის ჯვარი (იხ. ტაბ. I და II), ამჟამად ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაცული (ინვენტარის № 3858—ახალი ნუმერაციით, ძველ სააღრიცხვო წიგნში № 35). 1923 წლამდე კი, ე. ი. ვიდრე ქუთაისში მოხვდებოდა, იგი მოწამეთის მონასტერში იყო. მოწამეთაში, ღვთისმშობლის ეკლესიის საკურთხეველში უნახავს იგი მე-19 ს. არაერთ მოგზაურსა და მკვლევარს[17].

ძეგლმა შელახული სახით მოაღწია ჩვენამდე. თავისი საკუთარი ქვედატანი—სახელური—მას საერთოდ აღარ შემორჩა. ხე-ტარი, რომელზედაც ახლა ჩამაგრებულია ჯვარი, თავისი ბურთებითა და სადინითურთ, გვიანი ხანისაა[18]. რაც შეეხება საკუთრივ ჯვარს, იგიც საკმაოდ დაზიანებულია. ისე როგორც საწინამძღვრო ჯვრების უმრავლესობა, მოწამეთის ჯვარიც ქვედა მკლავის არეში გადამტყდარა და შემდეგ იგი არაერთხელ შეუმაგრებიათ. ჯვრის ქვედა მკლავსავე აღარ შერჩა თავისი მედალიონი. მაგრამ რომ იგი ნამდვილად ჰქონდა მას, სრულიად უდავოა. ჯერ ერთი, ასეთია ყველა სხვა ანალოგია. შემდეგ, ქვემო მკლავის ბოლოზე, სადაც მედალიონია საგულვებელი, შეიმჩნევა პატარა ნაშვერი ჩამონატეხი კიდით. დაბოლოს, მრგვალი ფირფიტა, ფიგურული გამოსახულებით, რომელიც ახლა ჯვარზეა ზევიდან დაკრული, აშკარად ამ ძეგლისეულია[19] და რაკი ასეა, ეს ფირფიტაც აშკარად მედალიონის არსებობაზე მეტყველებს—იგი ამ ქვედა მედალიონში იჯდა, სხვაგან მისი ადგილი ყოვლად წარმოუდგენელია.

მოწამეთის ჯვარი (სიმაღლე—34 სმ ქვედა მედალიონის ჩათვლით, სიგანე—20 სმ) თავისი მედალიონებითა და კიდურა პატარა მომრგვალებებით ვერცხლის ერთი ფურცლისგან არის გამოჭრილი. ყველა სხვა ნაკვთი, რომელიც ჯვრის ზედაპირზეა—გამოსახულებები, თვლის ბუდეები, მომჩარჩოებელი ლილვი—ცალკეა დამზადებული, აგრეთვე ვერცხლისგან, და შემდეგ მიკავშირებული

---

16 ჯუანშერი, დასახ. შრომა, გვ. 174.

17 ბროსე, Voyage archeologique en Transcaucasie, S.-P.bg. 1851, rapp. XI, 46—в; მურავიოვი, Грузия и Армения, Спб., 1848, ნაწ. III; პეროევალენკო, Поездка в Моцамети, „Кавказ", 1850, № 75; კონდაკოვი და ბაქრაძე, Опись памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, Спб., 1890, გვ. 56, № 6.

18 სიონის ყველა გამოსახულება თავისი საერთო იერითა და ცალკეული დეტალებით მე-15 საუკუნის ძეგლებში პოულობს ანალოგიებს.

19 შეად. ეს ფიგურა ზედა რელიეფებს—ყველგან და ყველაფერში იგრძნობა ერთი ძეგლი, ერთი და იგივე იარაღები.

ჯვარზე, მარჯვენა წესით მთელი ჯვარი, წინაპირიცა და ზურგიც, მოოქრულია (მკრთალი ყვითელი დაფერილობა ახლა ბევრგანაა გადაცლილი).

ჯვრის წინაპირზე, ცენტრში, ჯვარცმული ქრისტეს ფიგურაა[20], მედალიონებში კი ყველგან ნახევარფიგურებია ჩასმული: მარცხნივ და მარჯვნივ—ღვთისმშობელი და იოანე მახარებელი, ზევით—მთავარანგელოზი, ქვედა მედალიონში—რომელიღაც წმინდანი.

გარდა რელიეფური გამოსახულებებისა, მოწამეთის ჯვარი (მისი წინაპირი) თვლებითაა შემკული. სრულიად სადა, უბრალო ბუდეებში ჩამჯდარი თვლები მთავსებულია ოთხივე მკლავის კიდურა მომრგვალებებში და თვით მკლავებზეც. ჰორიზონტალურ მკლავებზე ორ-ორი სიმეტრიულად ჩასმული ბატარა თვალია, ჯვარცმულის ძელის ბოლოებთან; ზედა მკლავზე კი, რაკი აქ მეტი ადგილიც იყო, ოსტატმა სამი თვალი მოათავსა: ორი მკლავის ბოლოზე, ერთი კი, უფრო მოზრდილი, შუაში, ზედ ჯვარცმულის ძელის თავზე[21]. რამდენი თვალი ამკობდა ქვედა მკლავს, ან როგორ იყვნენ ისინი განთავსებულნი, ვერაფერს ვიტყვით—მათგან ალარაფერი დარჩა.

წინაპირისგან განსხვავებით, მოწამეთის ჯვრის ზურგი სულ სხვაგვარადაა დამუშავებული. აქ არაა არც რაიმე ფიგურული გამოსახულება, არც რაიმე თვლის სამკაული: მხოლოდ ორნამენტი და წარწერა, თანაც ყველაფერი ერთ სიბრტყეშია მოცემული. ყველაფერ შეიძლება ითქვას, გრავიურის მსგავსადაა შესრულებული. ზურგის ფონი ყველგან შეფსკვნილია პუნსონით დატანილი ძალზე წვრილი და ხშირი წერტილებით და ასეთ მუქ ფონზე კარგად გამოიყოფა ორნამენტიც და წარწერაც. კიდური მომრგვალებებზე გამოსახულია სრულიად მარტივი ოთხფოთლა ფოთოლი, მკლავებზე კი მცენარეული მოტივის შედარებით რთული სახეა გამოყვანილი. ფაქტიურად თითოეულ მკლავზე გვაქვს ერთიერთმანეთზე გადაბმული წრეები, რომლებშიც თითო სტილიზებული ფოთოლია ჩახაზული. ორნამენტი თავისუფლადაა განთავსებული, მოცული სიბრტყე არ არის გადატვირთული, არ არის გაჭედილი.

ასომთავრული წარწერა მედალიონებია განაწილებული. იგი იწყება ზედა მედალიონზე. შემდეგ გრძელდება ჰორიზონტალური მკლავების მედალიონებზე და ბოლოვდებოდა, უთუოდ, ქვედა მედალიონზე (რომელიც ახლა ალარ არსებობს). მხედრული ტრანსლიტერაციითა და ქარაგმების გახსნით წარწერა ასე იკითხება: „ქრისტე, ადიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი; ქრისტე, შეიწყალე სოფრონ ერუშნელი, ძე ქველისაი; ქრისტე, განუსვენე სულსა მხსენებისა“[22]. ბროსემ ეს წარწერა (და ამიტომ თვით ჯვარიც) XI საუკუნეს მიაკუთვნა, კერძოდ, ბაგრატ IV-ის ეპოქას. მართლაც, წარწერაში მოხსენიებული ტიტული—„აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი“, ბაგრატ IV-ის ტიტულია. ასე იწოდება იგი ალავერდის სახარების XI საუკუნის ერთ-ერთ მინაწერ-

---

[20] ჯვარისფელი თავის ძელითურთ ერთი ფირფიტისგან არის ნაჭედი უკანა მხრიდან, ისე როგორც ყველა სხვა ფიგურა; ზოგი დეტალი კი თვითონ ზევიდანაა დატანილი ან გამკვეთრებული.

[21] თვლებიდან ზოგი მათგანი ნამდვილი ქვაა (სარდიონი, გრანატი, მთის ბროლი), ზოგი კი მინისაა—ქვის იმიტაცია.

[22] იხ. ბ რ ო ს ე, Voy. arch. ... XI, 46—ხ და დ. ბ აქ რ ა ძ ე, Кавказ в древних памятниках Христианства, გვ. 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში[23], ანდა ბაგრატის ერთ-ერთ მონეტაზე[24]. ე. ი. მოწამეთის ჯვარი აშკარად ბაგრატ IV-ის ხანაშია შექმნილი: 1027—1072 წლებში. მაგრამ არაა ძნელი კიდევ უფრო შევზღუდოთ ეს ქრონოლოგიური ფარგლები. „ქართლის ცხოვრებიდან“ ვიცით, რომ ბაგრატ IV „პირველ იყო კურაპალატი, და შემდგომად ნოველისიმოსი, და მერმე იქმნა სევასტოს“[25]. როგორც ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა[26], ბაგრატ IV-ს „სევასტოსობა“ 1059-60 წლებს შორის მიუღია, ე. ი. მანამდე იგი ნოველისიმოსის ტიტულს ატარებდა და, მაშასადამე, ჩვენი ჯვარიც 1060 წლამდეა გაკეთებული. როდის მიიღო ბაგრატმა ნოველისიმოსობა, ამის შესახებ ზუსტი ცნობა არ მოგვეპოვება. მაგრამ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის 1040 წლის ხელნაწერში ბაგრატი ჯერ კიდევ კურაპალატად იწოდება[27]. ამგვარად, მოწამეთის ჯვარი შექმნილია 1040—1060 წლებში [მოწამეთის ჯვრის წარწერაში, გარდა ბაგრატ მეფისა, კიდევ ორი პირია მოხსენიებული. მაგრამ ორივე მათგანის ვინაობა გაურკვეველია. ვინაა სოფრონ ერუშნელი, არაფერი ვიცით. არც საისტორიო წყაროებში, არც სიგელებსა და საბუთებში, არც სხვა რაიმე წერილობით ძეგლებში არაფერია შემონახული ამ ისტორიული პირის შესახებ. უცნობია წარწერის მეორე პირიც, რომელიც „მხცისა“ სიტყვაშია დამალული. ბროსემ და შემდეგ ბაქრაძემ (იხ. ზემოდასახელებული შრომები) ამ დაქარაგმებულ სიტყვაში გვარი ამოიკითხეს—„მხეციძე“. ეს გვარი, მართლაც, გავრცელებულია ჩვენში, მაგრამ მე-16 საუკუნეზე ადრე იგი თითქო არა გვხვდება (იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897 წ. გვ. 354—355, 274; ტფ. კონდაკოვი და ბაქრაძე, Опись.. გვ. 32, 33—34 და სხვ.); უფრო საფიქრებელია კი, რომ ჩვენი წარწერის ეს სიტყვა—„მხცისა“—სახელია (მხეცი) და არა გვარი. საგულისხმოა ამ მხრივ აჭის ეკლესიის (გურიაში) სამხრეთი კარის ზემოთ მოთავსებული წარწერა (გამოცემული აქვს ექვთ. თაყაიშვილს—არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. I, 1907 წ., გვ. 24). აქ წარწერის ბოლოს ვკითხულობთ: „...მეოხ ექმენ... გალატოზთა მქლს და მხეცსა“. თაყაიშვილსაც „მხეცსა“ სიტყვა აქ გვარი მიაჩნია (მხეციძე). მაგრამ უფრო ბუნებრივია აქ სახელი ვიგულისხმოთ—ძალზე უჩვეულოა ასეთ კონტექსტში ერთი ოსტატი სახელით იყოს მოხსენიებული, მეორე კი გვარით (ე. ი. მიქელ და მხეციძე).

თავისი საერთო ფორმითა და აგებულებით მოწამეთის ჯვარი არაფერს განსაკუთრებულს არ წარმოადგენს. ასეთი ჯვრები—ბოლოგაფართოებული მკლავებით, ოთხივე მკლავის ბოლოზე მრგვალი მედალიონებით და კიდეებში პატარა მომრგვალებებით—ჩვენში ფართოდაა გავრცელებული X-XII საუკუნეებში, ე. ი. სწორედ იმ ხანებში, როცა მოწამეთის ჯვარია გაკეთებული: ცაიშის

---

[23] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. 1892 წ., გვ. 203—204; ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 179.

[24] დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950, გვ. 40, ტაბ. III, № 45.

[25] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის რედ., I, თბ., 1955, გვ. 315.

[26] ივ. ჯავახიშვილი, К вопросу о времени построения Атени, Христ. Восток, т. I, вып. III, 1912, გვ. 285—290; აგრეთვე, მისივე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1949, გვ. 179.

[27] ალ. ცაგარელი, Сведения о памятниках грузинской письменности, СПб., 1889, გვ. 43, № 144; აგრეთვე, ე. მეტრეველი, შავი მთის ბწიგნობრული კერის ისტორიისათვის XI საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XX-B. თბ., 1959, გვ. 89.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვარი (X ს.)[28], ლაშთხვერისა და შემოქმედის ჯვრები (XI ს.)[29], ხობისა[30] და აჭის ჯვრები (XII ს.)[31].

ყველა ამ ძეგლისგან მოწამეთის ჯვარი გამოირჩევა თავისებური პროპორციებით, მკლავთა თავისებური თანაფარდობით. ჩვეულებრივ საწინამძღვრო ჯვრის ოთხი მკლავიდან დაგრძელებულია ხოლმე მისი ქვედა მკლავი. დანარჩენი სამი მკლავი კი თითქმის თანატოლია (ზოგან სულ ოდნავ, თვალისთვის შეუმჩნევლად, ზედა მკლავი მეტია, ვიდრე გვერდითი მკლავები). მოწამეთის ჯვარში, გარდა იმისა, რომ ქვედა მკლავი კარგა გრძელია, ზედა მკლავიც საგრძნობლად სჭარბობს ჰორიზონტალურ მკლავებს და ასეთი აგებულება მეტ სიმსუბუქესა და მოხდენილობას მატებს მთელ ძეგლს.

თითოეული მკლავის მოყვანილობით მოწამეთის ჯვარი ყველაზე მეტ მსგავსებას ლაშთხვერის ჯვართან იჩენს: ორივეგან მკლავები თანდათან კი არ ფართოვდება (შუიდან გარეთ), ისე როგორც ცაიშის, ბრეთის ან ასათის ჯვრებშია, არამედ ერთბაშად, მოულოდნელად ჩნდება მკლავის ბოლოში აზნექილობა. ცენტრში კი მკლავის გვერდები თითქმის პარალელურია ერთმანეთისა.

მოწამეთისა და ლაშთხვერის ჯვრებში მსგავსადვეა გადაწყვეტილი მკლავისა და მედალიონის ურთიერთკავშირი. ორივე ძეგლზე მედალიონი თითქო ჩადგმულია მკლავის ნახევარწრიულ დაბოლოებაში. მაგრამ ლაშთხვერის ჯვარზე მკლავის გაზნექილი კიდეები მჭიდროდ ეკვრის მედალიონს (მის მთელ ნახევარს), მოწამეთის ძეგლზე კი მედალიონი ოდნავ თავისუფლდება მკლავის შემოჭდობილი ბოლოებისგან. იგი ახლა მხოლოდ ერთიმეოთხედით ეხება მკლავის კიდეს. უფრო გვიან, ხობისა და აჭის ჯვრები უკვე მედალიონების სრულ დამოუკიდებლობას გვიჩვენებს, ისინი ჯვრის მკლავებისაგან უკვე სრულიად გამოცალკევებული, დამოუკიდებელი ერთეულებია[32].

ასეთი ჯვრის მაგალითები ჩვენში უფრო მოგვიანო საუკუნეებშიც გვხვდება. მაგრამ ისინი ზუსტი განმეორებაა ამ ადრინდელი, მძლავრი შემოქმედებითი ხანის ძეგლებისა.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, საწინამძღვრო ჯვრის აღნიშნული ტიპი სხვაგან არ უნდა იყოს მაინცდამაინც გავრცელებული. ჩვენ ვერც ერთ გამოცემაში ვერ მივაკვლიეთ ასეთი ფორმის **საწინამძღვრო ჯვარს**. სხვა დანიშნულების ძეგლებზე კი ჯვრები ამგვარივე აგებულებით არც თუ ისე იშვიათია და საგულისხმო ის არის, რომ ყველა ისინი ზოგადად იმავე ეპოქისაა, რომელსაც ჩვენი საწინამძღვრო ჯვრები ეკუთვნის — X-XII საუკუნეები. ასეთი ძეგლების ერთი ჯგუფი მოტანილია გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევაში[33]: X-XI საუკუ-

---

28 გ. ჩუბინაშვილი, Грузинское чеканное искусство თბ., 1959, ილუსტრაციების ტომი, ფოტო 5 და 6. ქვევით ეს ტომი ყველგან მითითებული გვექნება—ფოტო.

29 ფოტო, 391, 395 და 396.

30 გ. ჩუბინაშვილი, ქართული ოქრომჭედლობა VIII—XVIII სს., ალბომი, თბ., 1957, ტაბ. 149. შემდეგში ყველგან მითითებულ იქნება —ალბომი.

31 ერმაკოვის კოლექცია, ფოტო № 13458.

32 გ. ჩუბინაშვილი, Грузинское чеканное искусство. ტექსტი, თბ., 1959, გვ. 176.

33 იქვე, გვ. 177—178,—მითითებულია გოლდშმიდტის და ვაიტცმანის Die Byzantinischen Elfenbeinskulpturen des X—XIII Jahrhunderts, Bd. II, Berlin, 1934, №№ 3., 38, 53, 60 1.1-B; იხ. აგრეთვე, დ. ტალბოტ რაისი, The Art of Byzantium, ლონდონი, 1959, სურ 98, 102, 104.

ნების სპილოს ძვლის ცალკეული ფირფიტები ანდა სპილოს ძვლისავე ტრიპტიქონების კარებთა გარეპირები. არსებობს ასეთი ანალოგიების უფრო მახლობელი წრეც—ეს არის ჰედურივე ხელოვნების ნიმუშები იმავე X-XII საუკუნეებიდან: რელიკვარიუმები და სტაროთეკები, რომელთა ზურგზე ჩვენთვის საცნობი ჯვრებია გამოსახული—მედალიონებითა და კიდური მომრგვალებებით[34]. დაბოლოს, აქვე არ შეიძლება არ გავიხსენოთ პატარა ვერცხლის ჯვარი ვაშინგტონის Dumbarton Oaks Collection-დან. ბიზანტიელი იმპერატორების რომანოზ II და ბასილ II-ის წარწერით, ე. ი. 960—963 წწ.[35].

ერთი სიტყვით, ჯვრის ფორმა, რომლითაც ჩვენი მოწამეთის ძეგლია წარმოდგენილი, კარგადაა ცნობილი საქართველოსგარე ქრისტიანულ სამყაროშიც.

მოწამეთის ჯვრის კომპოზიციური აგებულება, აგრეთვე, კარგად ცნობილ სქემას მისდევს. პირველ რიგში, მკვეთრადაა გამიჯნული ერთმანეთისგან ძეგლის წინაპარი და მისი უკანა მხარე: წინა—ფიგურული გამოსახულებები და თვლების სამკაულია, ზურგზე კი—მხოლოდ ორნამენტი და წარწერა. პრინციპულად ასეა გადაწყვეტილი თითქმის ყველა საწინამძღვრო ჯვარი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია.

საწინამძღვრო ჯვრების ძირითადი თემა საერთოდ ჯვარცმაა. ყველა ზემოთხსენებული ძეგლიდან—და ამას შეიძლება დავუმატოთ კიდევ უამრავი მაგალითი როგორც ქართული, ისე უცხოური სამყაროდან—ჯვრის წინაპირი ჯვარცმის კომპოზიციას აქვს დათმობილი. მაგრამ ჯვარცმა ყოველთვის და ყოველგან ერთსელ და სამუდამოდ მოცემული ერთი გაყინული სქემა არ არის. არსებობს მისი მრავალი ვარიაცია. თემა ყველგან უცვლელი რჩება—იცვლება მისი კომპოზიციური შედგენილობა, პერსონაჟთა ტიპები, თვით ჯვარცმის იდეა.

ჯვრის იმ ტიპისათვის, რომელსაც მოწამეთის ძეგლი ეკუთვნის, ადრევე დაკანონდა ჯვარცმის ერთი კომპოზიცია: შუაში—ჯვარცმული ქრისტე, მედალიონებში—ნახევარფიგურები: მარცხნივ და ბარჯვნივ—ღვთისმშობელი და იოანე მახარებელი, ზევით—მთავარანგელოზი, ქვევით—იოანე ნათლისმცემელი ან რომელიმე წმინდანი. ერთადერთია ცაცშის ჯვარი, რომლის მედალიონებში სხვა პერსონაჟებია წარმოდგენილი, თანაც მთელი ტანით და სწორედ ამიტომ მკვეთრად დარღვეული საერთო პროპორციულობით. ე. ი. შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვით ჯვრის სტრუქტურამ განაპირობა ჯვარცმის ასეთი კომპოზიციური გადაწყვეტა: მედალიონებში ნახევარფიგურების მოთავსებით ასე თუ ისე მოვარდა ფიგურათა საერთო პროპორციულობის საკითხი.

გარდაცვლილი ჯვარცმულის ის ტიპი, რომელიც მოწამეთის ძეგლზეა მოცემული, XI საუკუნისათვის უკვე დამოწმებულია როგორც ბიზანტიურ, ისე ქართულ იკონოგრაფიაში. ბიზანტიური ხელოვნებიდან ჯვარცმულის ასეთ ტიპს გვაძლევს მონუმენტური კედლის მხატვრობის ძეგლები—Hosios Lucas (ფოკი-

---

[34] ბანკი. Византийские серебряные изделия XI—XII вв. в собрании эрмитажа 1. „Византийский временник", т. XIII, 1958, ილ. 4, 7, 8; ა. ბანკი, იგივე შრომა, 2; „Византийский временник", ტ. XIV, 1958, სურ. 4; დ. ტალბოტ რაისი, The Art of Byzantium, ლონდონი, 1959, სურ. 166.

[35] მარვინ ჯ. როსი. An Emperor's Gift—and notes on Byzantine Silver jewelry of the middle period, The journal of the Walters Art Gallery, v. XIX—XX, Baltimore, 1956—1957, გვ. 22—26, სურ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და, XI ს. დასაწყისი) და Hea Monj (XI ს. შუაწლები, კუნძულ ხიოსზე[36]). ჩვენში ჭედური ხელოვნებისავე ძეგლებიდან ქრისტეს იგივე ტიპია გამოსახული შორაპნულ ლორფინზე (X—XI საუკუნეების მიჯნა)[37], კაცხის საკურთხევლისწინა ჯვარზე (XI საუკ. დასაწყისი)[38]. უფრო მოგვიანო მაგალითებია ხობის ჯვარი და აჭის ჯვარი (XII საუკ.)[39]. ყველა ეს ძეგლი გამოირჩევა ჯვარცმულის მეტად დამახასიათებელი პოზით: თეძოებში გაფართოებული და მარცხნივ გაზიდული სხეული, ერთმანეთთან მჭიდროდ მიჯრილი პარალელური ფეხებით, თავი—მარცხნივ გადახრილი, ხელები—იდაყვში მოხრილი (პოზა, რომელიც მკვეთრად განსხვავდება იშხანის, შემოქმედის, ბრეთის, მარტვილის ჯვრების ჯვარცმულთაგან[40]). მოწამეთის ჯვარცმული ყველაზე ახლოს კაცხის დიდი ჯვრის ქრისტესთან დგას: გარდა ზემოჩამოთვლილი ძირითადი ნიშნებისა, რომლებიც ჯვარცმულის ამ ტიპის თავისებურებას განსაზღვრავს, მოწამეთის ჯვარცმულს სხვა უფრო წვრილმანი დეტალებიც საერთო აქვს კაცხის ჯვარცმულთან. ასეთია თმის კულულები წინ, მხარზე: მარცხნივ—თითო ტოტი, მარჯვნივ—ორ-ორი. ხელის მტევნის პოზიცია—გაჩაჩხული თითებით, წინსაფრის საერთო ნახატი, და მაინც მოწამეთის ჯვარცმული ქრისტე თავისი საერთო იერით ძალზე გამოირჩევა კაცხის ძეგლის ჯვარცმულისაგანაც—წაგრძელებული პროპორციები, თხელი სხეული, წვრილი და გაწელილი კიდურები. მაგრამ ეს უკვე სტილის საკითხებია, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

ღვთისმშობელიც და იოანე მახარებელიც მოწამეთის ჯვარზე კარგა ხნის შემუშავებული პოზითა და ჟესტიკულაციით არიან წარმოდგენილნი და მათ მრავალი პარალელი მოეძებნება. იოანესათვის ასეთია: ბრეთის ჯვარი (1000 წლის ახლოხანები)[41], კაცხის საკურთხევლისწინა ჯვარი (XI ს. დასაწყისში)[42], შემოქმედის ლორფინი (ჯვარცმის კომპოზიცია, 1008 წ.)[43], ლაფსყალდის ჯვარი (XI ს. I მეოთხედი)[44], მარტვილის ჯვარი (XI ს. მეორე მეოთხედი)[45]. ღვთისმშობლის ფიგურისათვის: დავით კურაპალატის ჯვარი (X ს. ბოლო,—ოღონდ აქ მარიამს მარჯვენა ხელი აქვს გულზე მიკრული, და მარცხენა გაშვერილი)[46]; ბრეთის ჯვარი, შემოქმედის ჯვარი; წყაროსთავის სახარების ყდის მოჭედილო-

---

[36] იხ. ვულფი, Altchristliche und Ryzantinische Kunst, II, Berlin, 1914, გვ. 487; დალტონი, Byzantine art and archeaology. Oxford, 1911, გვ. 252; ლაზარევი, История византийской живописи, II, M., 1948. ტაბ. 107.

[37] სურ. იხ. Ars Georgica, II, თბ., 1948 წ. ტაბ. 44; აგრეთვე, ალბომი, ტაბ. 18.

[38] სურ. იხ. ალბომი, ტაბ. 69; შ. ამირანაშვილი, Бека Опизари, თბ. 1956, ტაბ. 8.

[39] ალბომი, ტაბ. 149 და ერმაკოვის კოლექცია, ფოტო № 13458.

[40] ფოტო 58, 395, 103, 390.

[41] ალბომი, ტაბ. 7 და ფოტო 101.

[42] ალბომი. ტაბ. 69 და შ. ამირანაშვილი Бека Опизари, თბ., 1956, ტაბ. 8.

[43] ალბომი, ტაბ. 12 და Ars Georgica, II, თბ., 1948, ტაბ. 43.

[44] ფოტო 366.

[45] ალბომი, ტაბ. 141; ბიზანტიური პარალელები იხ. გოლდშმიდტი და ვაიტცმანი, Die Byzantinischen Elfenbeinskulpturen. Bd. II. Berlin, 1934. № 28, 122, 156—155, სპილოსძვლის ფირფიტები, რომელთაც ვაიტცმანი X ს. ფარგლებში აქცევს; იხ. აგრეთვე, G. Lehnert, Illustrierte Geschichte des Kunsgewerbes. I. გვ. 181, სურ. 156.

[46] ალბომი, ტაბ. 6, ფოტო 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა (მე-12 ს.)[47]. თუ მაინცდამაინც მილეს ტიპოლოგიას მივმართავთ[48], იოანე კაპადოკიურ ვარიანტს მისდევს (მარცხენა ხელში წიგნი, მარჯვენა—ნიკაპთან), ხოლო მარიამი—გულზე მიდებული მარცხენა ხელით, ბიზანტიურ ტიპს იმეორებს.

ქრისტიანული იკონოგრაფია მთავარანგელოზის რამდენიმე ტიპს იცნობს: მთავარანგელოზი ანტიკურ სამოსელში გამოწყობილი (ტუნიკითა და პალიუმით), მთავარანგელოზი—მეომარი, აბჯარასხმული და ხმალშემართული და ე. წ. ლორატული მთავარანგელოზი. ჩვენში, ყოველ შემთხვევაში ოქრომჭედლურ ხელოვნებაში, ყველაზე მეტად გავრცელებულია ლორატული მთავარანგელოზის ტიპი, სწორედ ის ტიპი, რომელიც მოწამეთის ჯვარზეა მოცემული[49].

ძირითადი, აუცილებელი ნიშანი, რომელიც მთავარანგელოზის ამ ტიპისათვის არის დამახასიათებელი, საიმპერატორო ინსიგნიები—სკიპტრა და სფერო, და ლორონია. განსაკუთრებით სპეციფიკურია ეს უკანასკნელი—ფართო თავისებური სარტყელი, რომელიც მხრებზეა გადადებული ჯვარედინად და მთელ სხეულს ევლება. ლორონი ბიზანტიელი იმპერატორების შესამოსია და აქედან ისესხა იგი ხელოვნებამ მკვლევართა დაკვირვებით[50], უკვე IX—X საუკუნეების მიჯნაზე ბიზანტიურ ხელოვნებაში ჩნდებიან საიმპერატორო ლორონით შემოსილი მთავარანგელოზები[51].

საქართველოში ასე ადრეული ხანის სულ რამდენიმე ძეგლი თუა შემორჩენილი. ამიტომ მაინცდამაინც როდის შემოდის ჩვენში ანგელოზის ეს ტიპი, ძნელია ამის თქმა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში (ე. ი. XI ს., როცა მოწამეთის ჯვარია შექმნილი) იგი კარგა ფეხმოკიდებულია. პირველ რიგში, უნდა ვახსენოთ ლაშთხვერის საწინამძღვრო ჯვარი—როგორც პირდაპირი პარალელი ჩვენი ძეგლისა. შემდეგ, გაბრიელ მთავარანგელოზის ხატი მესტიიდან (XI ს. დასაწყისი)[52]. მიქელ მთავარანგელოზის ხატი ჩუკულიდან

---

47 შ. ამირანაშვილი, Бека Опизари, თბ., 1956, ტაბ. 2. ბიზანტიური ხელოვნებიდან—ჰალბერშტადტის დისკოსის ჯვარცმა (XI ს.—დალტონი, ზემოდასახელებული ნაშრომი, სურ. 318; შ. ამირანაშვილ, ბექა ოპიზარი, თბ., 1937, ტაბ. XXVII, სურ. ბ; აგრეთვე, А. Банк Визант. временник, ტ. XIV, გვ. 234—242, სურ 9. Hosios Lucas-ის ზემოდასახელებული მოზაიკა.

48 Recherches sur L'Jconographie de L'Evangile, პარიზი, 1960, გვ. 400—407.

49 რ. შმერლინგი, ქართული ოქრომჭედლობის ერთი ძეგლი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XXVII, № 1, 1961, გვ. 114—115.

50 გ. ჩუბინაშვილი, Грузинское чеканное искусство, ტექსტი. თბ., 1959, გვ. 267—270; აგრეთვე, რ. შმერლინგის დასახ. ნაშრომი.

51 მიძინების ეკლესია ნიკეაში—საკურთხევლის ბემის კამარის მოზაიკა, IX ს.—იხ. ვულფი, Handbuch, სურ. 477 და ლაზარევი, История византийской живописи, II, 1948, ტაბ. 6; IX საუკუნის ბიბლიის ყდა ვენეციიდან—დ. ტალბოტ რაისი, The Art of Byzantium, ლონდონი, 1959, ტაბ. 91, მთავარანგელოზი გაბრიელი, სპილოსძვლის ფირფიტა ვაშინგტონიდან, IX ს., იხ. იქვე, სურ. 83 და სხვ.

52 ფოტო 170.

(XI ს. დასაწყისი)[53]. ამდაგვარი ხატები ლაბეჭინიდან, მურყმელიდან[54] და სხვ[55].

ყველა ამ ძეგლზე ძალზე ნიშანდობლივია ღორონის მორთულობა—სწორკუთხედებისა და ოვალების მწკრივი (ძვირფასი ქვების იმიტაცია), რაც მოწამეთის ჯვრის რელიეფზეც კარგად ჩანს.

მოწამეთის ჯვრის ქვედა მედალიონის ფიგურა ჩვენთვის გამოუცნობი რჩება. მოსალოდნელი იყო აქ იოანე ნათლისმცემელი—ისე როგორც ლაშთხვერის ჯვარზეა ეს, ანდა მარტვილის XIV ს. ჯვარზე[56]. მაგრამ თავის ტოპის მიხედვით (მოკლედ შეპრილი ხვეული თმები) ეს ვარიანტი უნდა გამოვრიცხოთ უფრო სავარაუდოა, აქ რომელიღაც წმინდანია გამოსახული: ასეთი ჟესტიკულაცია—ცალ ხელში ჯვარი, ცალი ხელი კი ნებით ჩვენსკენ, ტიპიურია წმინდანთათვის[57].

საწინამძღვრო ჯვრების თვლებით მორთვის იდეა ჩვენში კარგა ძველია. უკვე იშხანის 973 წლის ჯვარი გამოირჩევა ძვირფასი თვლების მდიდრული სამკაულით, მაგრამ იშხანის ჯვარზე თვლების შემკულობა ძეგლის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია; იგი სკულპტურის ტოლფასი ელემენტია, მას თავისი საკუთარი, დამოუკიდებელი და საკმაოდ მძლავრი ხმა შეაქვს მთელი ძეგლის საერთო ჟღერადობაში[58]. სულ სხვა ხასიათისაა მოწამეთის ჯვრის სამკაული. თვლების განაწილების პრინციპით ჩვენი ძეგლის უახლოესი ანალოგია ისევ ლაშთხვერის ჯვარია. და ისევე, როგორც ლაშთხვერის ჯვარზეც, აქაც თვლები მსუბუქი ფერადოვანი აქცენტებია მხოლოდ, მართალია, არა უთავბოლოდ გაფანტული ჯვრის ზედაპირზე, არამედ გარკვეული სისტემით შედგენილი; მაგრამ ძალა მათი ზემოქმედებისა ბევრად სუსტია, ვიდრე შთაბეჭდილება, რომელსაც ძეგლის სკულპტურული მორთულობა ახდენს.

თუ მოწამეთის ჯვრის წინაპრის ბევრი რამ საერთო აქვს ლაშთხვერის ჯვართან, მისი ზურგი, თავისი საერთო კომპოზიციით, შემოქმედის ჯვრის ზურგს წააგავს[59]. ლაშთხვერის ძეგლზე ზურგის მთელი არე (მკლავებიცა და მედალიონებიც) ერთიანი ორნამენტული დეკორით არის დაფარული. მოწამეთისა და შემოქმედის ჯვრებზე ორნამენტი მხოლოდ მკლავებზეა, მათ ფონზე კი მკაფიოდ გამოიყოფა მედალიონები, ოღონდ ერთგან მედალიონებში წარწერაა მოთავსებული, მეორეგან—სევადით შესრულებული გამოსახულებები. ლაშთხვერის ჯვრის ზურგი თვალს იმორჩილებს ორნამენტის რიტმული სიმწყობრით.

---

53 ალბომი, ტაბ. 66; და ფოტო 171.

54 ფოტო 172, 175, 178.

55 მონუმენტური კედლის მხატვრობიდანაც შეიძლება მოვიტანოთ მაგალითები; ატენის ტრქის მთავარანგელოზი გაბრიელი—შ. ამირანაშვილი, История грузинской монументальной живописи, ტ. I, თბ., 1957, ტაბ. 53; გელათის მოზაიკის მთავარანგელოზები, ტაბ. 99, 103; და სხვ.

56 ფოტო 487.

57 წმ. დემეტრე კვირიკეს ცნობილი ხატიდან, ლაგურკა, XI ს. პირველი ნახ., ქვედა ჩარჩო—იხ. ფოტო 214; წმ. ანდრია შუამყრელის მაცხოვრის ხატიდან XI ს., ფოტო 225; წმ. კვირიკეს IV ხატი ლაგურკიდან, XI—XII საუკ., ფოტო 218 და სხვ. საწინამძღვრო ჯვარზეც გვხვდება წმინდანის გამოსახულება და, კერძოდ, მოწამეთის ჯვრის ტიპის ძეგლზეც—გელათის XVI საუკუნის ჯვარზე: წმ. ნიკოლოზი,—ფოტო 535.

58 იხ. ფოტო 57 და 391.

59 ფოტო, 396.

მოწამეთისა და შემოქმედის ჯვრებზე კი მედალიონებისა და მკლავების დაბრისპირება ქმნის არსებითად ზურგის მთელ შთამბეჭდაობას. მისი მხატვრული ზემოქმედების ხარისხს. სრულიად განსაკუთრებულია ამ მხრივ შუა მედალიონი, მკლავების შესაყარზე. იგი, ოდნავ მოზრდილი დანარჩენებზე. საუცხოოდ აწონასწორებს კიღურა მედალიონებს, კარგად კრავს და აორგანიზებს მთელ კომპოზიციას, მკაფიობასა და სიმტკიცეს ჰატებს მას. ყველაფერი ეს განსაკუთრებით ცხადად ვლინდება ჩვენი ძეგლის ხობის ან აჭის ჯვრებთან შედარებისას (რომელთაც შუამედალიონი არ გააჩნიათ ზურგზე).

ახლა ცალკე ორნამენტის შესახებ. ტექნიკური ხერხი, რომლითაც მოწამეთის ჯვრის ორნამენტი და წარწერაა შესრულებული, ფართოდაა გავრცელებული X—XI საუკუნეების ქართულ ოქრომჭედლობაში. ხშირია იგი ამ დროის სანონამძღვრო ჯვრებზეც: დავით კურაპალატის ჯვარი, ბრეთის ჯვარი. ძარღვალტ წირქვალელის ჯვარი, მარტვილის ჯვარი, შემოქმედისა და გელათის ჯვრები. ნახატი (ორნამენტი იქნება ეს თუ წარწერა—ასოები) მოცემულია მხოლოდ კონტურული ხაზებით, ისე რომ კონტურშიდა არეები სრულიად გლუვია, მთელი ფონი კი ირგვლივ პუნსონითაა შეხვებული. რაც შეეხება თვით ორნამენტულ მოტივს, ასეთი წრეში (მცენარეული ყლორტის წრეში) მოქცეული სტილიზებული ფოთლების შწკრივი საკმაოდ ხშირად გვხვდება XI საუკუნის ჭედური ხელოვნების ძეგლებზე—ხატების ჩარჩოებზე, როგორც, მაგალითად, საბა დრანდელის ხატზე[60]; ანდა ჯვრების უკანა მხარეზე, როგორც, მაგალითად, ბესტიის საკურთხევლისწინა ჯვარზე, ანდა ლაშთხვერის საწინამძღვრო ჯვარზე. მაგრამ ჩვენი ძეგლის ორნამენტის ყველაზე მახლობელი ანალოგია გელათის საკურთხამძღვრო ჯვრის ზურგია[61]. ახლა ქართული ხელოვნების მეზღუდის სეიფში გამოფენილი). მართალია, ამ უკანასკნელზე ფოთლები ორრიგადაა ჩამწკრივებული, მაგრამ ორივე ძეგლზე მსგავსია ფოთლის საერთო აგებულება, მისი კუთხოვანი ბოლოწაწვეტილი ფურცლები, წრეებსგარე პატარა მონაკვეთების ფოთლოვანი გამონაზარდებით შეესება, და რაც მთავარია, ორივეგან მსგავსია ორნამენტის შესრულების ხასიათი: თუ უფრო ადრინდელი ძეგლები (ბესტიის დიდი ჯვარი, საბა დრანდელის ხატი, ლაშთხვერის ჯვარი) ამავე ორნამენტული მოტივის პლასტიკური, რელიეფური დამუშავებით გამოირჩევა, მოწამეთისა და გელათის ჯვრებზე ეს ორნამენტი სრულიად ბრტყლადაა მოცემული, და თუმცა ნაშენია, ორივეგან იგი თითქო ნახატი უფროა, ვიდრე რელიეფი.

ჩვენ განვიხილეთ მოწამეთის ჯვრის ფორმა, მისი კომპოზიციური აგებულება, დეკორატიულ-ორნამენტული მორთულობა, შევეხეთ ძეგლის იკონოგრაფიულ მხარესაც. ვნახოთ ახლა, რას წარმოადგენს მოწამეთის ჯვარი წმინდა პლასტიკის თვალსაზრისით, ე. ი. როგორია ძეგლზე წარმოდგენილი ფიგურების სკულპტურულ-პლასტიკური რაობა.

კონდაკოვს მოწამეთის ჯვრის აღწერისას შენიშნული აქვს, რომ ჯვარცმულის ფიგურა უხეში ნახატია, მედალიონები კი კარგი ნახელავიაო[62]. მკვლევრის ეს დაკვირვება არსებითად ფიგურათა პლასტიკურ შეფასებას გულისხმობს. მართლაც, ჩვენ ძეგლზე ჯვარცმულსა და ნახევარფიგურებს შორის ამ მხრივ აშკარა შეუსაბამობაა.

---

60 ალბომი, ტაბ. 136.

61 იქვე. ტაბ. 143.

62 კონდაკოვი, ბაგრატ. Опись... გვ. 56.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყოველი ნახევარფიგურა სრულიად გარკვეული მოცულობაა, შემუშავებული სკულპტურული ფორმაა, ძირითადად სწორი პროპორციებით, ბუნებრივი, თავისუფალი პოზითა და ჟესტით.

ყველა ნახევარფიგურაში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი საკმაოდ დაბალი რელიეფითაა ნაქედი (სულ 3—4 მმ თუა), მკაფიოდაა ნაჩვენები მოცულობათა თანამიმდევრობა, მათი სხვადასხვა პლანში განთავსება: სკულპტურული ფრთები მთავარანგელოზის სხეულის უკან, მის წინ კი—სკიპტრი და ხელი—დამატებითი პლასტიკური ფორმები. ანდა იოანეს სხეული, წიგნი და წიგნსხვევით კიდევ ხელი; წმინდანის მკერდის წინ—ხელების მოცულობები, მარიამის მაფორიუმი თავზე, მკერდზე მიდებული მუშტი ან გაწვდილი ხელი. მაგრამ თითოეული ნახევარფიგურა ძეგლზე წარმოდგენილია არა მარტო ზოგად, ძირითად მოცულობებში, არამედ სხეულის ცალკეული ნაწილების გარკვეული მოდელირებითაც. პირველ რიგში, ეს ითქმის ნახევარფიგურათა თავების შესახებ. თავის ყოველი დეტალი—თმა, წვერი, ყურები, პირისახის ნაკვთები—ყველგან მკაფიოდ გამოხატული ფორმებია. შემდეგ, დაკვირდით, როგორაა მომრგვალებული იოანეს გაშიშვლებული ხელი, ღვთისმშობლის ხელები (განსაკუთრებით გაშვერილი ხელის მტევანი), როგორაა გადმოცემული მთხუცი წმინდანის ხელის მოცულობითობა—გამოყოფილი მომრგვალებული ცერით და დანარჩენი ოდნავ მოხრილი თითებით.

კარგადაა გადმოცემული ნახევარფიგურებში მოცულობათა ურთიერთკავშირი, მკაფიო და საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს ყოველი მოძრაობა, ყოველი ჟესტი. როგორ უცინავს, მაგალითად, იოანეს წიგნი, მთავარანგელოზს—სკიპტრა, ანდა წმინდანს—ჯვარი მარჯვენა ხელში, და რამდენად გაუბედავი და უსუსურია ანალოგიური მოტივები X საუკუნის რომელიმე ძეგლიდან (მაგ., ბრაველაძალის წმ. გიორგი და წმ. თევდორე (ფოტო 36, 37); ან ჩუკულის ჩიხაღრეშის და ჯახუნდარის ტრიპტიქონები (ფოტო 45—49); ბედიის ოქროს ბარძიმი (ფოტო 86—95); ანდა თვით XI საუკუნის I მეოთხედის ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობი ლაშთხვერის ჯვარიც რომ ავიღოთ—მთავარანგელოზის ფიგურა).

მოსალოდნელი იყო, ყველა ის სკულპტურული ღირსება, რომელიც მოწამეთის ჯვრის ამ პატარა რელიეფებში გამოვლინდა, უფრო მკვეთრად და უფრო მკაფიოდ ჯვარცმულის ფიგურაში იჩენდა თავს. ქრისტეს გამოსახულება ხომ, გარდა იმისა, რომ იგი ცენტრალური ფიგურაა თავისი იდეით და თავისი კომპოზიციური მდგომარეობით, მთელი ტანითაც წარმოდგენილი და, ცხადია, ყველაზე მეტად აქ შეეძლო ოსტატს გამოეჩინა თავისი პლასტიკური ნიჭი და უნარი. მაგრამ ჩვენ წინ სხვა სურათია. თავი მაცხოვრისა ძალზე მთელილია და როგორ იყო იგი დამუშავებული, ახლა გარკვევით ვერაფერს ვიტყვით. მაგრამ მაცხოვრის სხეული არათუ არ გამოირჩევა რაიმე განსაკუთრებული სკულპტურულობით, იგი სრულიად სქემატურად, რამდენადმე პრიმიტიულადაც კია მოცემული. შიშველი ტანი ერთიანი მოცულობაა, ყოველგვარი დეტალიზაციის გარეშე (მასზე მხოლოდ გულმკერდის არეა სულ ოდნავ გამოყოფილი). კიდურებიც მხოლოდ ერთიანად მომრგვალებული წვრილი ბლოკებია, არაა გამოვლენილი მხრებიდან მკლავებზე გადასვლა, ანდა მაჯიდან—ხელის მტევანზე. ხელის მტევნები დანაწევრებულია—თითებგამოცალკევებული, მაგრამ მთელი მათი ფორმა ძალზე ბრტყელი და არაპლასტიკურია. წინასაფარიც ჯვარცმულის

სხეულზე, თავისი ნაკეცებითა და შუანასკვით, გრაკირებულ ნახატს წარმოადგენს მხოლოდდამხოლოდ[63].

ერთი სიტყვით, პლასტიკური სხვაობა მოწამეთის ჯვრის ნახევარფიგურებსა და ჯვარცმულს შორის სრულიად აშკარაა. ბუნებრივია ვიფიქროთ, აქ ორ ოსტატთან გვაქვს საქმე. მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი, უფრო გარეგნული მხარეა. როგორღა ავხსნათ ის ფაქტი, რომ ქრისტეს გამოსახულება, ცენტრალური ფიგურა ძეგლზე, პლასტიკურად ბევრად ნაკლებადაა გამოკვეთილი, ვიდრე ნახევარფიგურები—შედარებით მეორეხარისხოვანი პერსონაჟები და, რაც მთავარია, უფრო ძნელად დასამუშავებელი მათი სიმცირის გამო.

ჰედური ხელოვნების ძეგლზე და, კერძოდ, საწინამძღვრო ჯვარზეც, ფიგურათა ასეთი შეუსაბამობის მაგალითი სხვაც მოგვეპოვება: ბრეთის ჯვარი (როგორც ავრეთვე ორი ოსტატის მიერ არის შესრულებული)[64], შემოქმედის ჯვარი, მარტვილის ჯვარი[65]. ყველა ამ ძეგლზე აშკარად შეინიშნება განსხვავება. სწორედ პლასტიკურობის თვალსაზრისით, ერთი მხრით, ჯვარცმულსა და, მეორე მხრით, მარიამსა, იოანესა და სხვა დამატებით გამოსახულებებს შორის. მაგრამ ყველა ამ შემთხვევაში ჯვარცმულის ფიგურაა სკულპტურულად ძირითადი. იგი განსაზღვრავს არსებითად ძეგლის სკულპტურულ სახეს, მის პლასტიკურ გამომსახველობასა და შთამბეჭდიობას. ყველგან აქ, პირველ რიგში, სწორედ ჯვარცმულის ფიგურაშია ასახული ეპოქის პლასტიკური ამოცანები და შესაძლებლობანი. რაც შეეხება ძეგლის მეორეხარისხოვან ფიგურებს, ყველა ისინი სკულპტურულადაც მეორეხარისხოვანნი არიან. მოწამეთის ჯვარზე, როგორც ვნახეთ, სრულიად საწინააღმდეგო სურათი გვაქვს. მაგრამ ეს სურათიც ეპოქის გამოვლინებაა.

X—XI საუკუნეები ქართული პლასტიკური ხელოვნების „სკულპტურული“ პერიოდია. ამ ხანებში ჩვენი პლასტიკის მთავარი, ძირითადი პრობლემა ფორმათა სკულპტურული ძიება, მათი სკულპტურული ათვისება და დამუშავებაა. XII საუკუნეში ქართული პლასტიკის განვითარების საერთო ხაზი მკვეთრად იცვლება. XII საუკუნემ ფაქტიურად მიივიწყა სკულპტურული ამოცანები, სკულპტურული პრობლემები. სკულპტურა ამ დროს აშკარა დაქვეითების გზას დაადგა, უფრო სწორედ, იგი ჩიხში მოექცა. XII საუკუნის რომელი ძეგლიც არ უნდა ავიღოთ (თვით აღიარებული ბეშქენ და ბეჭა ოპიზართა ნამუშევრების ჩათვლით), ვერც ერთი მათგანი საკუთრივ პლასტიკის თვალსაზრისით ვერ გაუტოლდება XI საუკუნის პირველი ნახევრის ბრწყინვალე ნიმუშებს (ლაღამის სვიმეონ მესვეტის ხატი იქნება ეს[66], ლანჩვალის მაცხოვარი[67], ლაშ-

---

63 მეტი სიცხადისათვის შეად. ჩვენ ჯვარცმულს კაცის საკურთხევლისწინა ჯვრის ჯვარცმული—მისი უახლოესი იკონოგრაფიული პარალელი და XI საუკუნის დასაწყისის ნამუშევრად სკულპტურულ-პლასტიკური ნიმუში (იხ. გ. ჩუბინაშვილი, Грузинское чеканное искусство, ტექსტი, გვ. 484).

64 იქვე, გვ. 73—79.

65 იქვე, გვ. 64—65.

66 გ. ჩუბინაშვილი, ალბომი, ტაბ. 90.

67 იქვე, ტაბ. 106.

თხვერის იოანე და პროხორე[68], თუ მარტვილის საწინამძღვრო ჯვრის ჯვარცმული[69].

რამ განაპირობა ჩვენში სკულპტურულობის განვითარების ასეთი შეფერხება?

გ. ჩუბინაშვილი სამ მომენტზე მიუთითებს[70]: ქართული სკულპტურა (ქედური ხელოვნება, ქვის ჭანდაკება თუ ხეზე კვეთილება) არსებითად რელიეფური პლასტიკაა. მრგვალი სკულპტურა საქართველოში არ განვითარდა. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, გარკვეულად ზღუდავდა შემოქმედებით გაქანებას. შემდეგ, XI საუკუნის ფიგურები, ყველაზე დიდ რელიეფებშიც კი, ვერ აღწევს ადამიანის ნატურალური ზომის ნახევარსაც. ოსტატს არა აქვს საშუალება, არა აქვს სტიმული დაამუშაოს ფიგურის უმცირესი დეტალები. დახელოვნდეს მოდელირების საქმეში. გარდა ამ ორი შინაგანი მიზეზისა, რომელიც ხელს უშლიდა საქართველოში სკულპტურის ნორმალურ განვითარებას, იყო კიდევ მესამე გარეშე მიზეზიც: აღმოსავლურ-მართლმადიდებელი ეკლესია კრძალავდა ქრისტიანული ლეგენდის გმირთა სწორედ სკულპტურულ გამოსახვას.

ჩვენთვის ამჟამად მეტად საგულისხმოა გ. ჩუბინაშვილის დაკვირვება ამ უკანასკნელ მომენტთან დაკავშირებით: „დარჩენილი ძეგლების თანახმად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეკლესიის ეს ჩარევა აქტიურად გამოვლინდა XI საუკუნის მეორე ნახევარში"[71]. თუ ახლა მოწამეთის ჯვრის მივუბრუნდებით. უნდა ვიფიქროთ, იგი XI საუკუნის ერთი იმ პირველ ძეგლთაგანია, რომლებზედაც „ეკლესიის ეს აქტიური ჩარევა" უკვე აისახა ასე თუ ისე. ბუნებრივია, ეკლესია, პირველ რიგში ქრისტეს „სკულპტურულობას" შეებრძოლებოდა. ჩვენ ვნახეთ, რომ მოწამეთის ჯვრის ჯვარცმულს აღარაფერი შერჩა სკულპტურულობისა. მოწამეთის ჯვარცმულს აღარაფერი აკავშირებს X—XI საუკუნეების ჯვარცმულთა სკულპტურულ ფიგურებთან და იგი თავისი საერთო იერით, თავისი საერთო ხასიათით ხობის XII საუკუნის საწინამძღვრო ჯვრის ჯვარცმულის უკვე სრულიად პირობითს გამოსახულებას უახლოვდება.

რაც შეეხება ჩვენი ძეგლის ნახევარფიგურებს, მართალია, ისინი გაცილებით მეტი სკულპტურულობით გამოირჩევიან, მაგრამ ნამდვილი, შემოქმედებითი, დასრულებული პლასტიკისაგან ყველას მათ მაინც ბევრი რამ აშორებს. ოსტატი აქ, უთუოდ, XI საუკუნის პირველი ნახევრის ნიმუშებით სარგებლობს და მას, უთუოდ, სრულიად მექანიკურად გადაუჭრია თავის ძეგლზე ამ ნიმუშებისათვის დამახასიათებელი ღირსება-ნაკლოვანებანი. ამაზე ნათლად მეტყველებს ღვთისმშობლის ზედმეტად დაგრძელებული ხელი—აშკარად მზანიშნიდან გადმოყოლილი ადრეული „ექსპრესიონიზმის" გადმონაშთი.

---

68 იქვე, ტაბ. 136.

69 მაგრამ XII საუკუნემ თავისი ხელოვნება შეჭმნა, ხელოვნება, რომელიც წმინდა დეკორატიულობის პრინციპით სახრდოობს. XII საუკუნის ხელოვნება მთელი კომპოზიციის დეკორატიულ გადაწყვეტას ეძებს. ესაა მისი ძირითადი ამოცანა და ამ ამოცანას ეწირება ხშირად არათუ სკულპტურულობის გამომხატველი რიმე უმნიშვნელო დეტალი, არამედ ფიგურათა პროპორციებისა და მათი აგების სისწორეც (ამის მკაფიო მაგალითია წყაროსთავის სახარების ყდა, განსაკუთრებით მისი ზურგი—ღვთისმშობლისა და იოანე ნათლისმცემლის ჰატარა, ჩარჩოში ჩაქედილი, ფიგურებთან.—შ. ამირანაშვილი, Бека Опизари, თბ., 1956, ტაბ. 3.

70 გ. ჩუბინაშვილი,... ალბომი, გვ. 10 და მისივე, Груз. чеканное искусство ტექსტი, გვ. 611, 615, 647.

71 გ. ჩუბინაშვილი,... ალბომი, გვ. 10.

ამრიგად, მოწამეთის საწინამძღვრო ჯვარი რთული მხატვრული ორგანიზმია. ძეგლი, მასზე ამოკვეთილი წარწერის თანახმად, XI საუკუნეშია შექმნილი, ბაგრატ IV-ის ეპოქაში, კერძოდ, 1040—1060 წლებში. ჯვრის ფორმა, მისი კომპოზიციური აგებულება, თვლების მორთვის სისტემა, ორნამენტიკა—ყველა ეს ელემენტი სწორედ XI საუკუნის ჰედურ ხელოვნებაში პოულობს ახლო ანალოგიებს. მაგრამ, მეორე მხრივ, მოწამეთის ჯვარი თავისი მხატვრული კონცეფციით, თავისი მხატვრული არსებით, XII საუკუნის ქართული პლასტიკის წმინდა დეკორატიულ ხელოვნებას უკავშირდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქორწინო ინსტიტუტი ქართლში

ნ. მაჩაბელი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტმა გ. ჩიტაიამ)

ქორწინება და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესწავლა სამუშაოებას გვაძლევს დავადგინოთ ამა თუ იმ ხალხის ზრდისა და განვითარების ისტორიული პროცესი და განვლილი სოციალური წყობილების სხვადასხვა საფეხური, „რის დროსაც აშკარავდება ოჯახის განვითარების საერთო გეზი და აგრეთვე მასში შემავალ პირთათვის სქესობრივი ურთიერთობის გამოკვლევასთან ერთად ქონებრივ და უფლებრივ ნორმათა სხვადასხვაობაც“[1].

ქორწინება, ისევე როგორც სხვა სოციალური მოვლენები, წარმოადგენს აქტიურ ელემენტს ოჯახის განვითარებაში. იცვლება რა სოციალურ-ეკონომიური პირობები, იცვლება ოჯახის ფორმა, მასთან ერთად საქორწინო ურთიერთობა და საქორწინო რიტუალები.

უნდა აღინიშნოს, რომ ქორწინებასთან დაკავშირებული რიტუალები საზოგადოების სოციალური პირობების შეცვლის შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, კარგავენ თავის პირვანდელ მნიშვნელობას და მეტწილად იქცევიან საქორწინო ზეიმის მხოლოდ და მხოლოდ მხატვრულ მხარედად. ამის გამო, ქორწინება და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა რიტუალი წარმოადგენს შედარებით უფრო მყარ მოვლენას, რომლის შესწავლის საშუალებით შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ საფეხურზე მდგომი საზოგადოების სოციალ-ეკონომიური პირობების, ოჯახის ფორმებისა და იდეოლოგიურ-რელიგიური მსოფლმხედველობის გარკვევა.

ამ მიმართებით ქართლი წარმოადგენს საქართველოს ერთ-ერთ საინტერესო და ტიპიურ კუთხეს, რომელმაც უკანასკნელ დრომდე შემოინახა საქორწინო წესებისა და ურთიერთობის თავისებური საზოგადოებრივი ფორმები და რიტუალური ჩვეულებანი, რომელთა შესწავლას შეუძლია წარმოგვიდგინოს ხალხის წარსული.

ამას გარდა, ქართლი, როგორც ცნობილია, არის საქართველოს ის კუთხე, რომელმაც გაიარა საზოგადოების განვითარების ყველა საფეხური, ამიტომ აქ საქორწინო ურთიერთობის და მასთან დაკავშირებული რიტუალების შესწავლა გვაძლევს მრავალფეროვან და საინტერესო სურათს.

---

1 რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი, 1939, გვ. 8.

როგორც ცნობილია, ბოლო დრომდე, საქართველოში, კერძოდ კი ქართლში, გავრცელებული იყო „ჯვრისწერის“ ქრისტიანული წესი. აღსანიშნავია, რომ ეკლესია ჯვრისწერის ცერემონიალით ებრძოდა ძველ, წარმართულ წესებს და გზას უკაფავდა ახალს—ქრისტიანულ სარწმუნოებას. ქრისტიანობა, „წარმართობასთან შედარებით უფრო პროგრესული იდეოლოგია იყო, რომელიც ხელს უწყობდა ფეოდალური საქართველოს წინსვლა-განვითარებას და კულტურული ურთიერთობის დამყარებას ევროპის ქვეყნებთან“[2]. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქრისტიანობამ ეკლესიამ, მიუხედავად წარმართულ რელიგიასთან მკაცრი ბრძოლისა, მაინც ვერ შეძლო ძირფესვიანად მოესპო ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ძველი რწმენა-წარმოდგენები. ამიტომ ის იძულებული გახდა, „ბევრი რამ მიეღო ძველი წარსული ცხოვრებიდან და „ძველ გუდაში თავისი ახალი ღვინო ჩაესხა, მაგრამ ცხადია ამ გზით თვით სიტყვასაც გარკვეულად ეცვლებოდა იერი და ფერი“[3]. ასეთსავე მოვლენას ვკმაჩვევთ ქორწინების წეს-ჩვეულებასა და რიტუალის შესრულებისას. ეხება ჩვ ჯვრისწერის ცერემონიალს, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს: „...ქრისტიანობის გავლენით შეცვლილ ქორწინების ზნე-ჩვეულებებსა და წესებში ბევრი რამეა შემონახული, რაც შორეული წარსულის ნაშთს წარმოადგენს და ცოლ-ქმრობის დამყარების ძველის-ძველი წესების ისტორიის ერთერთი საფეხურის დამახასიათებელია“[4].

მართლაც, ჩვენ მიერ ველზე შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს, რომ ჯვრისწერის რიტუალში შემონახულია შეუღლების უძველესი წესები, რომლებიც საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ საფეხურისათვის არის დამახასიათებელი. ყოველივე ამის შესახებ რომ ნათელი წარმოდგენა გვქონდეს. საჭიროა დაწვრილებით შევეხოთ იმ წინამძღვრებს, რომელთაც განაპირობეს აღნიშნული ქორწინების ძირითადი ხასიათი და თავისებურება.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობამ ცოლ-ქმრობისათვის ახალი წესები შემოიღო. ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე, ქორწინებისათვის საჭირო გახდა ნებისათვის რეკომენდაცია გაეწია იმავე სოფლის მოძღვარს, მეორე სოფლის მოძღვრისათვის წარსადგენად, რათა არ დაებრკოლებინა გვირგვინის კურთხევა. იმ შემთხვევაში, თუ სასიძოს არ ექნებოდა თავისი სულიერი მამისაგან გვირგვინის კურთხევის სათანადო მოწმობა. მაშინ, საერთოდ, არ შეიძლებოდა გვირგვინის კურთხევა. სასიძოსთვის მოწმობა უნდა მიეცა იმ სოფლის მღვდელს, რომლის მრევლის წევრიც იყო თვითონ. ჯვრისწერისას მოწმობა ეკლესიას სჭირდებოდა იმისათვის, რომ გაეფორმებინა ოფიციალურად ქორწინების აქტი, გაეგო სასიძოს წლოვანება, სარწმუნოება, ასრულებდა თუ არა ქრისტიანულ მოძღვრებას და სხვა. როგორც ველზე მოპოვებული მასალა გვიჩვენებს, ჯვარს მეტწილად ქალის სოფელში იწერდნენ, ამიტომ ვაჟი ვალდებული იყო მღვდლისათვის მოწმობა წარედგინა.

გორის მუზეუმსა და დიდმის წმინდა გიორგის ეკლესიაში მოიპოვება ქორწინების რამდენიმე მოწმობა, სანიმუშოდ მოგვყავს ერთ-ერთი მათგანი:

---

2 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, 1943, გვ 91.

3 ს. ჯანაშია, შრომები, წიგნი I, 1949, გვ. 235.

4 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, თბილისი, 1928.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„მ ო წ მ ო ბ ა

ძიეცა ესე ტფილისის უეზდის სოფელ ახალდაბის მცხოვრებ გლეხს ალექ-სი ზაქარიას ძე მარლიშვილს, მას მასზე, რომელ არს მართმადიდებელი სარწ-მუნოებისა, ყოველ წლივ ჰქონდა აღსარება და მიუღია წმინდა საიდუმლო, შო-ბითაგან აქვს წლოვანება ოცდა ორი წელი. პირველსა ქორწინებისადმი შესვლას არავითარიმე დამაბრკოლებელი მიზეზი არა აქვს. დაუბრკო-ლებელ პირთან თავისის სულიერის მოძღვრისაგან ნებართვის ნება აქვს თავისის მშობლებისაგან, და არის სრულის გონებისა. სამრევლოთ ეკუთვნის ტფილისის უეზდის სოფლის მწყნეთის წმინდა გიორგის შტატის ეკლესიას; რო-მელზედაც ვემოწმები ხელის მოწერითა ჩემითა და ეკლესიის ბეჭდის დასმითა, მისი სულიერი მოძღვარი. ტფილისის უეზდის სოფლის მწყნეთის წმიდის გი-ორგის შტატის ეკლესიის მღვდელი ნაწე შახათ“...[5].

საყურადღებოა, რომ ბატონყმობის დროს, გარდა ამგვარი მოწმობისა, ყმის ოჯახიდან ქალის გათხოვების დროს საჭირო იყო აგრეთვე ბატონის ნებართვა, რომელსაც ყმა წარუდგენდა ხოლმე მღვდელს ჯვრისწერისას. ამ ნებართვის გა-რეშე მღვდელს ნება არ ჰქონდა ჯვარი დაეწერა ნეფე-დედოფლისათვის, მაგა-ლითისათვის შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე მათგანი.

[„მამაო გრიგოლ ანთაძე“].

ჩემი ყმა ხოსია ჩაჩანიძე თავის შვილს ნატალიას ათხოვებს და მე ჯვრის დაწერის ნებასვაძლევ, რომელსაც ჩემის მხრით არაფერი დამაბრკოლებელი მიზეზი არა აქვს.

თქვენი დარისპანი“[6] (1864 წელი იანვრის 15).

2. „ნებას ვაძლევ ჩემს ყმა ივანე ჩაჩანიძეს მისი ასულის ატატოს გათხო-ვებისას, რომელსაც ჩემის მხრით არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არა აქვს.
მაიორ სპირიდონ მაჭავარიანი“[7].

ანალოგიური ცნობა ესაჭიროებოდა აგრეთვე ყმა ქვრივს გათხოვებისას.

ბატონი აღნიშნულ ცნობას აძლევდა ყმას იმ შემთხვევაში, თუ ის გადაიხდი-და მის სასარგებლოდ გარკვეულ თანხას, რომელსაც ქვრივის გათხოვების შემ-თხვევაში „საქვრივო“[8], ხოლო ქალიშვილი ქალის გათხოვებისას კი „საჩექმე“[9] ეწოდებოდა.

„ჩვეულებით სჯულში“ ნათქვამია: „არის ადგილობითი ჩვეულება, რომ ოდესაც გათხოვდება პირველად ქალი, მაშინ მუნებური მებატონე ანუ მოხელე, ვისიც გლეხის ქალი იქნებოდა, ვინც წაიყვანდა, წამყ-ვანს გამოართმევდნენ ექვს აბაზს, ორს მინალთუნს და ანუ სამს მინალ-თუნს. და ეს ჩვეულება არის თავად-აზნაურთ ყმათა ზედა. და თუ საჴელმ-

---

[5] დიღმის წმინდა გიორგის საეკლესიო საბუთები (საკუთარი არქივიდან).

[6] ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერთა ფონდი Sd, № 1772.

[7] იქვე.

[8] ლ. ვ ა ხ ა რ ი ა, სახელმწიფო ბეგარა-გადასახადები აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკ. პირველ ნახევარში, გვ. 48.

[9] ი ქ ვ ე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



წიფო ყმა წაიყვანს, მასაც გამოართმევენ. მაგრამ გარდა ამისა არის ჩვეულება, უკეთუ თავადისა და აზნაურის ყმის ცოლი დაქვრივდებოდა და ითხოვდა ვინმე იმ ქვრივს ვინც წაიყვანს საქვრივოს გამოართმევენ ღირსებისამებრ ქვრივისა ხუთის მინალთუნიდამ ვიდრე ხუთს თუმნამდე“[10].

სახელმწიფო გლეხები, მეფის მოხელეების მეშვეობით „საქვრივო“ და „საჩექმე“ გადასახადს უხდიდნენ მეფეს. აღმოსავლეთ საქართველოში, სახელმწიფო ბეგარა-გადასახადების საკითხის შესწავლის საფუძველზე სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია რომ: „ხიზანის სასარგებლოდ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში შემდეგი გადასახადები იკრიბებოდა: სურსათი, კოდის-პური, მახტა ფულადი, მახტა პურეულით, მალი, ღალა, საბალახე, ყალანი, კულუხი, საკომლო, სააღდგომო, საშობაო, სამასპინძლო, გასამყრელო, საქვრივე და საჩექმე“[11].

ბატონი, როგორც წესი, ქალის გათხოვების უფლებას იძლეოდა მხოლოდ საჩექმესა და საქვრივოს გადახდის შემდეგ. თუმც პირიქითაც ხდებოდა, რასაც ადასტურებს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული საბუთები, სადაც აღნიშნულია, რომ: „აბუასშვილს მელქუას ქალი ხეჩიკაშვილის ასატურის შვილს გაბრიელს შეურთავს და საჩექმე უნდა მომცეს“[12].

ასეთივე საბუთი მოგვეპოვება ქვრივის შესახებაც: „ქ. გრაკლელს გიგილასშვილს თანდილას ჩემის კაცის აბუაშვილის მელქუას ქვრივი ყავს, საქვრივო უნდა მომცეს“[13] (ანალოგიური შინაარსის საბუთები დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში. იხ. ფონდი Sd № 4666, № 4551).

„საეკლესიო საბერო ყმები“ „საჩექმე“ და „საქვრივო“ გადასახადს უხდიდნენ ეკლესიას. ამის დამადასტურებელ ცნობას იძლევა შემდეგი საბუთი.

„საქვრივოს და გასამყრელოს შეწირულების წიგნი.

„ნებითა და შეწირვნითა ღვთისათა, ესე უკუნისამდე ჟამთა და ხანთა წიგნი მოგართვით ჩვენ ფავნელიშვილმა პაპუნამა თმოგველმა იოთამ და შიომ ნიქოზელსა. მას ჟამსა ოდეს საქვრივო გლეხისა და გასამყრელო უნდა ერთი ჴარი მოგართვან საყდრის ყმისა, საყდრისა ყოფილიყო, ჟამთა ვითარებისაგან მოეშალათ. ახლა ისევ თქვენთვის მოგვირთმევია. არას კაცს საქვრივოსა და გასამყრელოსაგან ჴელი არა აქვს. არც საყდრის ყმის, ბეგარისაგან, არც შემოეცილოთ. არას კაცს ვინცა და რომელმანც ნათესავმან ჩვენმან ანუ სხვამან გვარმან კაცმან ესე ამ ჩვენს მონასტერს მოუშალოს რისხვამცა ღმერთი... ამის მოწმენი სახლის უხუცესი ნამორაძე იორამ, ნამორაძე დათუნა, დეკანოზი ბასილი, მოურავი ებიტა და (არ იკითხება—ნ. მ.)... მე იოსებ მღვდელს ხახულას დამიწერია და მოწმეცა ხოს, ხარი სძეს“-ო[16].

„დასტურლამალის“ მიხედვით, საჩექმე ფულად გადასახადად ჩანს. „თრიალეთის რიგისა და გამოსაღებისა საბატონოსა და სამოხელეოსათვის“ განკუთვ-

---

10 ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, 1960, გვ. 76.
11 ლ. გვახარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.
12 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Sd № 4466.
13 იქვე.
14 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ad, № 1504.

ნილ თაგში ვკითხულობთ: „საჩექმე ორი შაური“, ან კიდევ „დურნუკის მოურავისათვის“: „საჩექმე სამი აბასი“. ფულის რაოდენობა ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა“[15]. რაც შეეხება საქვრივო გადასახადს, ის გვხვდება როგორც ფულადი, ასევე საქონლის სახით. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „ქვრივი თუ სადმე სხვა ადგილას (ტერიტორიულად) გათხოვდებოდა, მაშინ მისი მთხოვნელი გადასახადს ანუ საზღაურს იხდიდა ბატონის სასარგებლოდ, ხოლო „სოფლის კაცმა რომ ქვრივი წაიყვანოს, ხარი არა სძეს, და თუ გარეშემომ წაიყვანოს, ხარი სძეს“-ო[16].

საინტერესოა, რომ „საქვრივო“ გადასახადით დაინტერესებული მებატონე ხშირად ავიწროებდა ქვრივს და აიძულებდა გათხოვილიყო. ამ ძალმომრეობის წინააღმდეგ ვახტანგ VI თავის სამართლის მე-203 მუხლში აღნიშნავს: „გლეხის კაცის ქვრივი რომ დაქვრივდეს, მისი მებატონე ქვრივს ძალად ნუ გათხოვებს. ვინც ქვრივს უნდოდეს, ის შეირთოს; და თუ არ უნდოდეს, თავის ობლებთან იყოს. და თუ ნებით შეირთოს ვინმე, თავის მონდომებული, იმ ქვრივის წამყვანმა ავს ქვრივსა და კარგ ქვრივზედაც ჯარი და მარჩილი მისცეს მეტს ნურც ის მებატონე და ნურც მოურავი ნუღარას სთხოვს“[17].

იმ შემთხვევაში, თუ მღვდელი ჯვარს დასწერდა ზემო აღნიშნული მოწმობის გარეშე, ბატონს უფლება ჰქონდა ქალი უკან მოეთხოვა. ამის შესახებ მიხეილ ხაკაშიძის განცხადებაში შემდეგს ვკითხულობთ: „როგორც მე ვსცანი კრძობითად წარსულის წლის დეკემბრის თშე დაუწერია ჯვარი ჩემდა მოსაკუთვნელის ყმის იესესა ხვათასის ქალის ძატასათვის გურამთას წცხოვრებს სახელმწიფო ყმას გაბრიელ მახარობლიძეს გობრონის-ძეზედ თვითეარ ჩემის სიტყვიერის და წერილობითი ნებართვისა და თანხმობის გარეშე სოფლის გოგორეთის ეკლესიის მღვდელს, მაქსიმე მარგალიტაძეს. ზემორე ხსენებული გოგო მაატა ღირს ფასად ნწინდელის გურიასა შინა ფასობისამებრ ორას მანეთი შეცხლის ფულათ და რადგან მე, ვითარცა პირდაპირ მეპატრონე მისი, ვარ მოკლებული ამა გოგოისა ანუ ფასსა მისასა ამისათვის მოვილტეი ამა თხოვნითა თქვენის მაღალკეთილშობილებისადმი და უმორჩილესად ვითხოვ ამ საგანზედა განკარგულება დახსნისამებრ სამართლისა (მებრ) ჩემის განცხადებისა. დაკმაყოფილებულ ვიქმენი მე გოგოთა ანუ ფასითა რასა ზედა მოველი მართსაჯულსა განკარგულებასა თქვენსა.

## კნიაზ მიხეილ ნაკაშიძე“[18] (9 მარტი 1851 წ)

როგორც ისტორიული საბუთებიდან ირკვევა, ჯვრისწერის მოწმობა ბატონს უნდა მიეცა ყმისათვის, იმ შემთხვევაში, თუ ის ქალს ითხოვებდა, რადგან ყმა ქალი მიდიოდა მისი საბატონოდან, ხოლო ვაჟს კი ასეთი მოწმობა ჯვრისწერისათვის არ ესაჭიროებოდა.

როგორც ზემოთ განხილული მოწმობები, ისე ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა, ნათლად გვიჩვენებს, რომ წყვილთა შერჩევის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ სოციალურ წარმოშობას. ქართლი, როგორც ცნობილია, წარმოადგენდა განვითარებულ ფეოდალურ კუთხეს, სადაც წოდე-

---

15 ლ. გვახარია, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

16 იქვე.

17 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, თბილისი, 1963, გვ. 531.

18 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Sd. № 2776.

ბათა შორის წარმოქმნილი უფლებრივ-პოლიტიკური დაპირისპირება, რასაკვირველია, თავს იჩენდა სოციალურ ყოფაშიც, ამიტომ ყველა სათანადო წესდებისა და საზოგადოებრივი უფლების საფუძველზე ვალდებულია თავის შესაბამის ფენასთან ჰქონოდა საქორწინო ურთიერთობა. ვახუშტი, საქართველოს ზნე-ჩვეულების აღწერის დროს აღნიშნავდა, რომ ქართველებს ჰქონდათ წესად „ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანიან თჳსთჳსთა თანასწორთა მთავარნი მთავართა. აზნაურნი აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა და ამის მიერ არა იყო მრავალცოლობა, ვითარცა ვიხილავთ ქართლოსისასა დასხვათათაცა“[19].

1465 წლის მცხეთის სიგელში ვკითხულობთ, რომ „...,.ესე წიგნი.,.. მოგაჴსენეთ (მცხეთას) და ქკ˜ზს მარკოზს ჩუენ შაბურისძეთა ერისთავმან ვამიყ და საროდ და ძეთა ჩ˜ხთა გ˜ი ომარ, მიქამან, ვარამ და ნუგზარ... მის ჟამისა შედეგად, ოდეს ჩუენად ულირსად დიდად და საპატიოდ შეგვწყალეს პატრონმან მეფეთა მეფემან გ˜გი (გიორგი) და მათი ასული ჩუენისა შვილისათჳს გვბოძეს და მოგუცეს, დიდი გამოსანახავი სასჯული და საკანონო საქმე იყო... და შემოვსწირეთ კითხვითა, ბრძანებითა და ნება-დართვითა... მეფეთა მეფისა გიორგისითა ჩუენი მკვდრი... მამული ნოჯიკეთა ნოჯისთავი ეკლესია მისითა მიმდგომითა, რას შვილისეული მამული მისითა მამულითა (sic), სახლკარითა, ველითა... საიქოსძე ჩაბაშვილი, მაკარისშვილი და თევდორასშვილი მათითა ძიდგომითა და ხუდაბუნებითა.... ყუელა უკლებად ამა წესითა, რა გუარაც სხუანი მცხეთისა მამულნი თარხანნი და ჭელშეუვალნი არიან, მითვე წესითა არავისი ჭელი შევიდეს... დაიწერა... მოქცევასა მეათოთხმეტესა. ქ˜კს: რნგ: აპრილსა ოც-და-სამსა ჭელითა ოქროსპირისშვილისა მახარებელისათა“. ბოლოს მდარე ხელით მხედრულად: „მე ერისთავი ამისი გამათავებელი ვარ“[20].

ამასვე მეტყველებს 1527 წლის მცხეთის სიგელი, რომელშიაც ვკითხულობთ: „ქ... ეს წიგნი გკადრეთ (მცხეთას)... და კზ˜ს ბასილს ჩ˜ნ ერისთავმან ბაინდურ და ჩ˜ნთა ძმათა ზურაბ, გოდერძი, ბარძიმ, გოსტასაბ და როსტომ (უცნობნი ისტორიაში)... მას ჟამს ოდენ (ოდეს) მეფის დავითის ქალი შევირთეთ, საკანონო იყო და თქუენცა გამოგუწნახენით და ჩ˜ნ მისთჳს დაგიდევით ჩუწნი ნასყიდი დილუამს ვენაჴი თავაქალასეული მისითა წყლითა“...[21]

1448 წლის სიგელში კი აღნიშნულია: „ცოდვასა საქმესა შეესწრა ჩვენი შვილი დავითი და უხვედრი ბარათაშვილისა ასული შეირთო“[22]

მოყვანილი საბუთებიდან ჩანს, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება წოდებრივ განსხვავებას ჯვრისწერის დროს, თვით მეფისათვისაც „უხვედრი იყო თუნდაც დიდგვაროვანი თავადის ქალი, ისე როგორც პირუკუ მეფის ქალისათვის დიდგვაროვანი (მაგრამ არასამეფო გვარის) საქმრო (ასეთ შემთხვევაში წესის დარ-

---

[19] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941, გვ. 12.

[20] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. 2, თბილისი, გვ. 285.

[21] იქვე, გვ. 371.

[22] ი ქ ვ ე, 405. ამ სიგელს უძღვის ჟორდანიას განმარტება: „მეფე საკანონოდ მცხეთას შეწირულებას უძღვნის, რადგან უხვედრი ბარათაშვილის ქალი შეურთავს. უხვედრობა აქ მხოლოდ მას უნდა ჰნიშნავდეს, რომ მეფეს მეფის ქალი უნდა შეერთო და არა ქვეშევრდომის“.

ღვეგისათვის სასიძო ვალდებული იყო გაეღო „საკანონო“ ეკლესიისათვის). ასევე, თავადს არ შეეძლო წესით წოდებრივად მასზე დაბალი მდგომი ქალის თხოვა. ამაზე მეტყველებს მცხეთის 1563 წლის სიგელი № 51, რომელშიაც ამილახარი „მამისა“ მომართავს ჯზს დიმიტრის: „მას ჟამსა ოდეს კორინთელის სულხანის ასული შევირთე და საკანონო იყო გაგჳწყვრით მოგაკსენეთ კირბლდადმე ჩუმნი სახასო ხოდაბენი მიწა სობურის რუმდი“[23].

ფეოდალები საერთოდ გაურბოდნენ სამოყვრო ურთიერთობას გლეხებთან. ამის უფლებას არც ეკლესია აძლევდა მათ. ამ წესის დამრღვევს მღვდელი გვირგვინს არ უკურთხებდა და შეუღლებულნი უკანონო ცოლ-ქმრად ითვლებოდნენ. თუ გლეხის ქალს თავადი შეირთავდა, იგი ხასად და არაკანონიერ ცოლად ითვლებოდა. მათი შვილები კი იყვნენ არაკანონიერი მემკვიდრეები.

ქართლში ასეთი დაბრკოლებების გარდა, არსებობდა აგრეთვე წოდებათა შინგით ეკონომიური უთანასწორობის საფუძველზე აღმოცენებული აკრძალვები. როგორც ცნობილია, საქართველოში, კერძოდ ქართლში, იყვნენ თავისუფალი—აზატი გლეხები და ყმები. ცხადია, აზატი გლეხი თავისი უფლებრივი მდგომარეობით, ყმა გლეხებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაში იყო და ერთხელვე (ფულით ან დამსახურებით) შეძენილი თავისუფლება არ სურდა დაეკარგა. ამიტომ ცდილობდა, სამოყვრო ურთიერთობა დაემყარებინა აზატ გლეხთან. იმ შემთხვევაში, თუ ყმა გლეხი შეირთავდა აზატი გლეხის ქალიშვილს, მისი შვილები და შვილიშვილები ყმები ხდებოდნენ. მაშინაც კი, თუ ბავშვს მამა მოუკვდებოდა, დედა მეორედ გათხოვდებოდა, შვილებს თან წაიყვანდნენ და მეორე ქმრის—მამინაცვლის ოჯახში გაზრდიდა, ისინი მაინც თავის მამის ბატონის ყმებად ითვლებოდნენ[24]. ასევე, თუ ბავშვებს დედ-მამა დაეხოცებოდათ და დიდედასთან (დედის დედასთან) გაიზრდებოდნენ, ისინი მაინც ითვლებოდნენ თავიანთი მამის ბატონის ყმებად. ამ მხრივ საინტერესოა ხელნაწერთა ინსტიტუტში Ad ფონდში დაცული საბუთი № 615, სადაც მაღალაშვილი ედავება თავისი გარდაცვლილი ყმის სიდედრს მისი შვილიშვილების შესახებ („რადგან მან გოგო გაათხოვა, ბიჭი კი შინა ჰყავს“). და აღშფოთებული აღნიშნავს: „რომელს კაცს წართმევია თავისი მსახურის შვილები სიდედრისაგან, რომ ეგ მედავება. მრავალ კაცს ჰყავს ასე მოსული კაცი. თუ სხვა მებატონე არ გამოუჩნდა მე... ვერ წამართმევს ეს საქმე ასე არის და ნება თქვენის ბრწყინვალებისა აღსრულდეს“.

როგორც საბუთი გვიჩვენებს, მართლმსაჯულებს განუხილავთ ეს საკითხი და დაუდგენიათ: „თუ ამ სვიმონის მოხსენება სამართლის მიმართ ჭეშმარიტი არის, რომ პირველად ამას მისცია და ყმობაცა და სვიმონს ეს ჭირნახული დაუცს (არ იკითხება) და მეორედაც იმასთან მოსულა და ამის ყმობაში მომკვდარა რაც ობლები დარჩა იმ კაცს სვიმონისა არის“.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აზატი გლეხი ძნელად მისცემდა თავის ქალს გაქცეულ—„თავდაუწერავ“ ყმასაც, რადგან ამ უკანასკნელის პოვნის შემთხვევაში, ბატონს უფლება ჰქონდა უკან წაეყვანა ყმა, რომელსაც თან უნდა გაჰყოლოდა ცოლი და შვილიც. ამაზე მეტყველებს აღბუთას სამართლის 79 მუხლი. „თუ თავდაუწერელმან კაცმან შეირთოს ცოლი, ერაცა გლეხსა ზედა ვის შეესიძოს და არცა სეფე-ქალსა, ვისცა იგი კაცი მართებს მკვიდრად. მისი

23 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. 2, თბილისი, გვ. 405.

24 იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული საბუთი, ფონდი Ad, № 1951.

(267 რ) ცოლი და შვილიცა მას მართებენ. და რითაცა შემოსრულა, ეგრეთცა წაიყვანოს და წავიდეს“[25].

არც იმ ყმის მდგომარეობა იყო სახარბიელო, რომელიც გაქცევის შემდეგ მოახერხებდა სხვა ბატონთან „თავდაწერას“, რადგანაც „მკვიდრს“ ბატონს მისი პოვნის შემდეგ უფლება ჰქონდა უკან დაებრუნებინა თავისი ყოფილი ყმა. ხოლო კანონის მიხედვით „არც ცოლს ემართლების და არცა შვილსა“ და თუ ყმა არ ისურვებდა ცოლშვილის დატოვებას. მას შეეძლო ისინი წაეყვანა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ „დიაცის პატრონს ფასს“ გადაუხდიდა[26].

ყმა გლეხები, როგორც ცნობილია, იყოფოდნენ სახელმწიფო, საეკლესიო და საბატონო ყმებად; ამათგან საბატონო ყმები უფრო ცუდ პირობებში იყვნენ. ამიტომ სახელმწიფო ყმები ცდილობდნენ ისევ სახელმწიფო, ან საეკლესიო ყმისათვის მიეცათ შვილი და არა საბატონო ყმისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მე-18 ს. წერილობითი მასალები გვიჩვენებენ გლეხთა შორის არსებულ ქონებრივ დიფერენციაციას. გლეხები თავისი ეკონომიური მდგომარეობის მიხედვით, იყოფოდნენ 4 ძირითად ჯგუფად: „ლიტრიან“. „ნახევარლიტრიან“. „ჩარექიან“. „ნახევარჩარექიან“ გლეხებად[27] (პირველში ექცეოდნენ შედარებით შეძლებული გლეხები, მეორეში—საშუალო გლეხები, მესამეში—ღარიბი და მეოთხეში—უკიდურესად ღარიბი გლეხობა).

სოფრომ მგალობლიშვილი თავის მოგონებაში გადმოგვცემს: „სახელმწიფო ხარკის ანუ როგორც გლეხობა ეძახის „ფოსტის ფულის“ ასაკრებად სოფელი განაწილებული იყო 4 კატეგორიად: ლიტრის კაცი. ნახევარლიტრისა, ჩარექისა და ნახევარჩარექისა“[28].

თბილისის მაზრის მარშალი აღნიშნავს, „რომ ამ მხარეში I კლასის გლეხს უნდა ჰქონდეს: 30 დღიური სახნავი. 40 თავი მსხვილრქიანი პირუტყვი, 100 ცხვარი და 100 ღორი. ორი-სამი დღიურის ზომის ვენახი, ადგილმდებარეობა ამას ხელს არ უშლის. II კლასისას—15 დღიური სახნავი. 30 თავი მსხვილრქიანი პირუტყვი. 30 ცხვარი, 30 ღორი და ადგილმდებარეობის შესაბამისად 1.5 ან 1 დღიური ვენახი. III კლასისას უნდა ჰქონდეს მეორე კლასის ქონების ნახევარი, IV კლასისას კიდევ—მესამე კლასის ქონების ნახევარი“.

დუშეთის მაზრის მარშლის ცნობით, ამ მაზრაში I კლასის გლეხებს აქვთ: 20 დღიური სახნავი. წისქვილი და ორი ან მეტი დღიური ვენახი. ან მთელი გუთნეულის გასამართავი მსხვილრქიანი პირუტყვი, 200 თავი ცხვარი ან ღორი. II კლასისას უნდა ჰქონდეს პირველის ნახევარი. III კლასისას მეორის ნახევარი, ხოლო IV კლასისას—მესამის ნახევარი“[29].

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ გლეხთა დაყოფა „ბატ“ და ყმა გლეხობად ისპობა, რაც შეეხება მათ შორის ქონებრივ დიფერენციაციას, როგორც ფაქტიური მონაცემები გვიჩვენებს, პირიქით, იზრდება.

აღსანიშნავია, რომ მდიდარი გლეხი ყოველთვის ცდილობდა, სამოყვრო ურთიერთობა დაემყარებინა „მის შესაფერის ოჯახთან“. მაგალითად, მდიდარი

---

25 ი. დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები, I. სამართალი აღბეღისა, გვ. 454.

26 იქვე, გვ. 453.

27 იხ. ე. სონღულაშვილი, ხალხური სიტყვიერების მასალები, II, 1957 წ., გვ. 202—203.

28 იქვე, გვ. 201.

29 ვ. გუგუშვილი, საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., 1956, გვ. 413, 426.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გლეხი არ მისცემდა თავის შვილს მოჯამაგირეს, ამისთვის ეს სათაკილო იყო, ხალხი იტყოდა: როგორ გაატანა თავისი შვილი ღარიბ-ღატაკსაო..., მდიდარი არც დღიურად მომუშავე გლეხს მისცემდა შვილს. აი, რას მოგვითხრობს ამის შესახებ მთხრობელი ამირან ანდრიას ძე თაყნიაშვილი (ს. თონეთი, 92 წლის): „დღიურად მომუშავე გლეხებს ღარიბ ხალხს ეძახიან. მდიდარი გლეხი იმას შვილს არ მისცემდა, ის მისი შესაფერისი არ იყო“.

ქონებრივი დიფერენციაცია გლეხებს შორის უფრო მეტად იჩენს თავს XIX საუკუნის მეორე ნახევარში—კაპიტალიზმის შემოჭრის შემდეგ. როგორც ცნობილია, ამ დროიდან ზოგიერთ გლეხს მიეცა საშუალება გამდიდრებისა და ქონების შეძენისა. ჩნდება ახალი კლასი—ბურჟუაზია ვაჭართა ფენის სახით, რომელიც, გვარიშვილობით დაინტერესებული, ცდილობს სამოყვრო ურთიერთობა დაამყაროს თავადებთან.

ამრიგად, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ მე-19 ს. მეორე ნახევრიდან ისპობა რა წოდებრივი უთანასწორობა, საფუძველი ეყრება ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას. შეცვლილი სოციალურ-ეკონომიური პირობების საფუძველზე იცვლება ქორწინების წეს-ჩვეულების ზოგიერთი მხარე და მასთან ერთად საქორწინო ურთიერთობის განმსაზღვრელი მთელი რიგი წინა პირობები.

უნდა აღინიშნოს, რომ ფეხმძიმე ქალის ჯვრისწერა, ქრისტიანული ეკლესიის მიერ კანონით აკრძალული იყო. ჩვენ მიერ ველზე მოპოვებული მასალის მიხედვით ირკვევა, რომ ფეხმძიმე ქალს ეკლესიაში საერთოდ ჯვარს არ დასწერდნენ. ასეთ შემთხვევაში ხალხიც უკმაყოფილებას გამოთქვამდა, იტყოდნენ: „დედა თავის შვილზე იწერს ჯვარსაო“, ან გვირგვინის ქვეშ თავის შვილზე დაქორწინდაო და სხვა. ჯვრისწერისას თუ მღვდელი შეიტყობდა დედოფლის ფეხმძიმობას, ჯვარს არ დასწერდა. სანამ ჯვრისწერის ფულს არ წაუმატებდნენ და კაი ფულიც დაუჯდებოდათ ხოლმე (ფხვენისი, მთხრობელი ვარაივანეს ასული აბულაძე, 76 წლის).

აი, კიდევ რას მოგვითხრობს ამის შესახებ მთხრობელი: „დანიშნულები რომ ვიყავით დიდმარხვაში ვეზიარენით, ეგ თავის სოფელში, მე ჩემ სოფელში დავდიოდით 10—12 საათამდე მშივრები, მერე მღვდელმა მკითხა: შენი ქმარი, დანიშნული რომ ხარ, შენთან ხომ არ წევსო, ამას განდობას ვეძახდით. ამის შემდეგ მოგვცემდა ზიარებას (ქვემობოდბე — მთხრობელი სოფიო გიორგის ასული ხაჩიაშვილი, 78 წლისა).

ანალოგიური სახის მასალას ვხვდებით: კასპის რაიონის სოფლებში, აგრეთვე, ქვემო ქართლის, მარნეულის, ბოლნისის და თეთრი წყაროს მთელ რიგ სოფლებში; საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ჩვენ მიერ კახეთსა და თუშეთშიც ამ საკითხის ირგვლივ შეკრებილი მასალა იმავე სურათს იძლევა.

საეკლესიო ჯვრისწერის 1899 წლის ერთ საბუთში—„გამოკითხვა ქორწინებისა“-ში ვკითხულობთ: არის ქალწული, „ქორწინებისადმი შესვლას არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არა აქვსო“. ამ საკითხთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „საინტერესო ცნობა მოგვეპოვება სამთავნელი სარგოს გარიგების 1669 წლის წიგნში, სადაც ნათქვამია, რომ: „უკ˜თუ ჯ˜რ დაუწერელად კაცმა ცოლი დაათრისულოს გ(3) ძროხა მიართვას სამთავნელს ამ დანაშაულების საზღაურადო, ხოლო „უ˜კ თუ მღვდელმან ორისულს ჯ˜ი დასწეროს, გ(3) მიართვას, თუ

იცოდეს, თუ არ იცოდეს: ა(1) და მექორწინემ გ(3) ძროხა მიაროვას“-ო[30]. ასევე, წილკნელის სარგოს გარიგების 1669 წ. განახლებულ წიგნში შემდეგს ვკითხულობთ: „თუ ვინმე ჯვარდაუწერელი ცოლთან დაწვეს საკანონო ცხვარი ორი და ჭარი ორი აძეს“-ო. ქვემოთ ახალუბის შესახებ დებულებაში ეს ცნობა ამნაირად არის გამოთქმული: „თუ ჯვარდაუწერელს დაუწვეს, საკანონო ძროხა ერთი“-ო[31].

ამ გადმონაშთში უნდა ვეძიოთ ქრისტიანული ეკლესიის ბრძოლა ძველ წარმართულ წეს-ჩვეულებებთან, რომელიც ჯვარდაუწერლად სქესობრივ კავშირს კრძალავდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესია კრძალავდა ორცოლიანობას (მრავალცოლიანობას), ამიტომ სამღვდელოება თვლიდა საეკლესიო კანონების სწორად გატარებას ცხოვრებაში და სხვადასხვა საშუალებით ებრძოდა მათ დარღვევას. მღვდელი მხოლოდ იმ შემთხვევაში დასწერდა ჯვარს, თუ კაცი უცოლო იყო, ან კანონიერად. ცოლგაყრილი: მას უნდა ჭონდა ამის საბუთი. ასეთივე საბუთი ქალსაც ესაჭიროებოდა. ერთი ამ ხასიათის საბუთი ნიმუშად აქვე მოგვყავს მიქელაშვილის ცოლის განტევების შესახებ.

„ქ. ესე მთელი და ჴეშმარიტი წიგნი მივეც ჩემს ცოლსა და მეუღლესა, ბატონო უფალო ნეკრესელო, ასე რომ, მე ამასთან ჩემი გულის თქმა ვერ შევასრულე და ვეღარა ჩემს თავს დავატყე (1), ღმერთმა თავისს გზაზედ უშველოს და სადაც ნება, მაგისია, იქ ქმარი შეირთოს და მეც გევედრებით ნება უბოძოთ შერთვისა, მე სოლომონ ჟურულს დამიწერია გაბრიელის სიტყვითა მოწამეცა ვარ“. იქვე მიწერილი შემდეგი შინაარსისაა:

„ქ. იოსებ დეკანოზო, ადამ მღვდელო, დავით მღვდელო, თქვენის ნოწმობითა მე მიქელაშვილმა გაბრიელმა ცოლი აღარ შევირთო და უქმათ ვიყო, მე სოლომანს დამიწერია ესეც, მოწმეცა ვარ“.

ქ. ჩვენ ნეკრესელი ასე ვწერ.

დღეს მესამე წელიწადია, ეს ცოლქმარნი ასე უქმად დაუწოლად არიან, ამით საქმე დიდად გამავიძე და კიდეც შემოვაცდევინე და ყარაულებიც დაუყენე, და თვითონ ექიმებიც დაიყენა, და იმედი გადაიწყვიტა, მაგრამ მე კიდევ ძეძნელებოდა ამათი გაშორება, უფალმან უწყის, ახლა ასე გადაუწყვეტია თავის ნებით დამორწმებით და ჩვენც ნება მიგვცია, და შენდობა.

რომელიც მღვდელი ბრძანდებოდე, ამ წიგნში დაწერილს თინათინს ჯვარ დ ა ს წ ე რ ე თ. შ ე ნ დ ო ბ ა მ ი გ ვ ი ც ი ა“[32].

ქრისტიანული რელიგია კრძალავდა ნაძალადევ ქორწინებას. მღვდელს არ ჰქონდა უფლება ჯვარი დაეწერა მოტაცებული ქალისათვის“. უკ-თუ უმჯობრ დედაკაცი მოიტაცოს ცოლად ბ(2) ძროხა მიართოს სამთავნელს დანაშაულობის საზღაურად, ხოლო, უკ-თუ მღვდელმან ამგვარად მოქმედს კაცსა ჯ-რი უასწეროს, განიკუმთოს და უკეთუ შეინანოს, სამი ძროხა მიართვას“[33].

---

30 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

31 ი ქ ვ ე, გვ. 160.

32 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ad, № 845.

33 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, გვ. 276.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ქრისტიანული ეკლესია ჯვრისწერის ცერემონიალის მეშვეობით ცდილობდა არაქართველი ხალხის გაქრისტიანებასაც. საველე-ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს, რომ ქართველს უფლება არა ჰქონდა წესით ეთხოვნა ან გაყოლოდა სხვა ერის კაცს, იმ შემთხვევაში თუ ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანები არ იყვნენ. ამასვე ადასტურებს ერთ-ერთი საბუთი, სადაც ნათქვამია: „უკეთუ ქართველმა სომეხს ქალი მისცეს ცოლად ანუ მოიყვანოს, მონათლოს ანუ გააშვებინოს, საკანონო სამი ძროხა მიართვას“[34].

უნდა აღინიშნოს, რომ უფრო დასაშვებად ითვლებოდა უცხო სჯულის ქალის მოყვანა ქრისტიანული რელიგიის მიერ, ვიდრე პირიქით სხვა ტომისა და სჯულის წარმომადგენელზე გათხოვება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ქალს უხდებოდა ქმრის სახლში შესვლა და სარწმუნოების შეცვლა.

აი, რას ამბობს ამის შესახებ ჩვენი ხალხი: ჩვენ რომ ოსი, სომეხი, ან სხვა სჯულის ქალი მოგვეყვანა, შეიძლებოდა, იმას მოვნათლავდით, ხოლო ჩვენს ქალს სხვას არ მივცემდით, წესი არ იყო. სომხის ან ოსის ქალს რომ მოვიყვანდით, ჩვეულებრივ მოვნათლავდით, ჯვარს ჩვენი მღვდელი დასწერდა და მერე სულ ჩვენ ეკლესიაში უნდა ევლო.

ამ საკითხის შესახებ საყურადღებოა ერთი ისტორიული საბუთი „გ/ქ. თუ რომელიმე ქრისტ(ე)ანე კაცი ოსს ქალს მისცემს და დამოყურდება, იმას ჩვენს მუხანათობასავით მოვიკითხავთ და დიდადაც გარდავახდევინებთ, და თუ ოსმა ქალი მოგცეს, ის კი ითხოვეთ, მაგრამ უნდა კი მონათლოთ, მოუნათლობა არ იქნება“[35].

უნდა აღინიშნოს, რომ მღვდელი ნეფე დედოფალს ჯვარს დასწერდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ქრისტიანები იყვნენ[36]. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯვრისწერა არ შედგებოდა. ხოლო ჯვარდაუწერავი ცოლქმარი კი უკანონოდ ითვლებოდა და ვალდებული იყო ჯარიმა გადაეხადა. 1420 წლის მცხეთისადმი მიცემულ სიგელში ვკითხულობთ: „ძმამან ლიპარიტ უხუცჱდრად ცოლი შეირთო... თქუჱნ (ქკზ˝მან მიქელ?) გაგჳწყერით და უჯუაროდ გაგუჴადენით და ჩუჱნ ჩუ˝ნითა ნებითა ვარდოვანს ექვსის დღის მიწა და ორის დღის მიწა ბიწმენს შერაკაშვილის ნაქონი მოგაჴსენეთ და თქუჱნ შენდობა გვიბრძანეთ“[37].

ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ხალხი დიდხანს გაურბოდა ქრისტიანულ ქორწინებას, სავალდებულოდ არ თვლიდა ეკურთხებინა გვირგვინი ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით. ქრისტიანული ეკლესია, ქართველ მეფეთა დახმარებით, განუწყვეტლივ იბრძოდა ჯვარდაუწერლად წყვილთა შეუღლების წინააღმდეგ. 1782 წლის „ბარისა და მთიელთა

---

34 იქვე.

35 საქართველოს სიძველენი, ტფილისი, 1928, გვ. 193.

36 ქორწინების მოწმობაში უპირველესად ყოვლისა აღნიშნულია, რომ იგი არის „მართლმადიდებელი სარწმუნოებისა“, ხოლო „გამოკითხვა ქორწინებისა“-ში ამ საკითხს ცალკე მუხლი აქვს დათმობილი, სადაც აღნიშნულია „სასიძო, გლეხი ალექსანდრე დიმიტრის ძე ტანადაშვილი მართლმადიდებლის სარწმუნოებითა“ (იხ. გვ. 15).

37 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, ტ. 2, თბილისი, გვ. 225.

განჩინებაში“ ვკითხულობთ: „ჩვენ საქართველოს მეფის ირაკლი მეორის ძმამან, სრულიად არაგვის საერისთოს მპყრობელმან, ვახტანგ სანატრელის ჩვენის ძმის ბატონიშვილის ლეონისაგან მთებში დადებული განჩინება ხელმეორედ განვაახლეთ და რავდენიმე ჩვენ მიერ განწესებულებიც თან ჩაურთვეთ. ყოველთა არაგვის საერისთოს ბარში მყოფთ კაცთა ასე გიბრძანებთ: ...ქ. თუ ვისმე უქორწილოდ ქალი ჰყვანდეს მიყვანილი ცოლად, ან ახლავ ჯვარი უნდა დაიწეროს იმ ქალზედ და ან ახლავ კელი უნდა აიღოს. თუ შეუტყუეთ, რომ რომელსაც ქალი შინ მიყუანილი ცოლად ჰყოლია და იმაზედ ჯვარდაუწერელი ყოფილა, იმას ჩვენზედ შეცოდებასავით მოვკითხავთ, და ქალის პატრონი, რომელიც თავის ქალს ჯვარდაუწერელს მისცემს, იმასაც ავად მოვეპყრობით. ჯვარდაუწერლად ქალის შინ მიყვანა არ იქნება“[38].

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყოველი „მოძღვარი“-მღვდელი პასუხს აგებდა ეპისკოპოსის წინაშე. თუ მას ჯვარდაუწერელი მრევლი ჰყავდა. 1789/—IV—15 წლის პირობის წიგნში (რომელიც „ბერიკო იმერელმა და ბეჭანკამ“ მიართვა ეპისკოპოსს ნეკრესელს დოსითეოზს) აღნიშნულია, „რომ თუ ამ ჩვენ მიხეიძე კვირიას ჯვარდაუწერელი ცოლი ჰყავდეს, ათი თუმანი ჯარიმა ჩვენ მოგვართოთ“[39].

აღსანიშნავია, რომ ეკლესიას უფლება ჰქონდა, ჯვარდაუწერელი ცოლ-ქმარი გამოეცხადებინა უკანონოდ და გაეყარა ისინი. ამ მხრივ ძალიან საინტერესო საბუთს წარმოადგენს ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad ფონდში დაცული ₤53-ე საბუთი, სადაც ვკითხულობთ: „გიბრძანებს კუჭანტას შინა (მუნიკო?) მღვდელი ევსტატი. მერე ამ შიოს შვილს ივანეს, რადგან თავისი სჯულიერი ცოლი აღარ დასდგომია, და რომელიც ამ კაცის ტყვეობის ჟამს შეურთავს ის შეყვარებია იმას გაჰყოლია და კაცსაც მოუტაცნია და ფშავს გარდუყვანია და იმ დედაკაცთან მრუშობით მცხოვრები არს. ამ შიოს შვილმა რომელიცა დედაკაცი შეირთოს ჩვენგან შენდობა აქვს ჯვარი დასწერე, მაგრამ როდესაც ამ კაცს ივანეს ჯვარი დასწერო თვალი გეჭიროს ყველგან დაკითხვიდე, რომ თუ ის ამ კაცის ცოლის მომტაცებელი გამოჩნდეს სამე და ფშავიდან ის დედაკაცი გადმოიყვანოს, დიკასტირიას წერილით მოახსენე, რომ ის დედაკაცი წაერთოს. იმ კაცმაც სხვა ცოლი უნდა შეირთოს და დედაკაცმაც სხვა ქმარი ისინი სჯულიერნი მეუღლენი არ არიან და ღვთის წინააღმდეგ არიან ერთად მცხოვრებნი.

დაწერა დიკასტირიას შინა..., ღირსი არხიმანდრიტი დეკანოზი დიდის ეკლესიისა სვეტიცხოვლისა და კარისა წიგნობართმთავარი“[39] (საბუთს უზის საეკლესიო ბეჭდები).

როგორც ეთნოგრაფიული, ისე ჩვენს მიერ განხილული ისტორიული საბუთები გვიჩვენებენ, რომ ჯვარდაუწერელი ცოლ-ქმარი ითვლებოდა უკანონოდ. მათ უნდა გადაეხადათ ჯარიმა და ჯვარი დაეწერათ ან გაყრილაყვნენ, უფრო მეტიც, ეკლესიას უფლება ჰქონდა, აღარ ეცხოვრებინა მათი გვირგვინი და დაეშორებინა ისინი. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტსაც, რომ ეკ-

---

38 საქართველოს სიძველენი, ტ. 1, წიგნი, გვ. 193. 1782 მუხლი.
39 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad ფონდი, № 828.

ლესია ჯვარს სწერდა მხოლოდ იმათ, ვისაც მიღებული ჰქონდა ქრისტიანული რელიგია, ხოლო ჯვარდაწერილები კი ითვლებოდნენ კანონიერ ცოლ-ქმრად, მიუხედავად იმ დასკვნამდე, რომ ჯვრისწერის რიტუალი, თავისთავად ხელს უწყობდა ქრისტიანული რელიგიის გავრცელებას. ამ საკითხთან დაკავშირებით შესანიშნავ ცნობას გვაწვდის ტერრნბერგი. აღწერს რა სახალიწზე მცხოვრები გილაკების ყოფას, აღნიშნავს რომ: «По всему западному берегу я встретил только двух крещеных гиляков, которые приняли „святое“ крещение исключительно для получения свидетельства о вступлении в законный брак с гиляцкой такой-то свидетельства, дающего право и возможность пользоваться содействием властей для возвращения жены на случай похищения ее»[40].

ზემოთ განხილული როგორც ეთნოგრაფიული, ასევე ისტორიული მასალა გვიჩვენებს, რომ ქრისტიანული ეკლესია ჯვრისწერის ცერემონიალით ებრძოდა ძველ სარწმუნოებას და გზას უკაფავდა ქრისტიანულ სარწმუნოებას. მაგრამ მთელი რიგ თაობებისათვის არც ისე ადვილი იყო ძველის დავიწყება, ამიტომ ეს უკანასკნელი ცდილობდა ძველი სარწმუნოება ამოფარებინა ახალი ქრისტიანული სარწმუნოებისათვის. თუმცა ქრისტიანული ეკლესია წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში იძულებული იყო უკან დაეხია და ძველთან ერთად კავშირში ყოფილიყო, ოღონდ ქრისტიანული ფერებით.

მართლაც, ჩვენ მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა გვიჩვენებს, რომ ჯვრისწერის რიტუალში შემონახულია მრავალი მაგიური წეს-ჩვეულება. ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ყოველივე ამაზე, გადავიდეთ ჯვრისწერის ცერემონიალის აღწერაზე.

ქალის ოჯახიდან წამოსული ნეფე-დედოფალი, ეჯიბი, მდადე და მაყრები მიდიან ეკლესიისაკენ ჯვრის დასაწერად თოფებისა და დამბაჩების სროლით, რომელსაც მაყრული სიმღერები ფარავს. აღწერს რა ქართულ ქორწინებას ბატონიშვილი ვახტანგი, გადმოგვცემს:: „ვითარცა მოუმღერენ სიძესა თვისსა სახლიდამ ჟამსაცა, მას ისე წარუძღვიან ყოველნი ქვეითად და ეგრეთვე მგალობელნი თქმითა მაყრულისათა ქალსა მას გაყვის მდადი ქალნი მრავალნი და მაყარი და ნათესავნი თვისნი მივიდიან ეკლესიად და ეკლესიასა შინა იყვის სიძისა და სძლისათვის დასადგომი ადგილი ესრეთ განმზადებულ, დაფენილ ქვეშ მაუდით და მაზედ ძვირფასი ოქროქსოვილი ფარჩა განწლილ მცირე რაიმე მისცენ მეკარესა ეკლესიისა შევიდიან და დადგიან თვისა განმზადებულსა ადგილსა და აღასრულის მღვდელმან საიდუმლო ქორწინებისა“[41].

ეკლესიაში ჯვრის საწერად მიმავალ ნეფე-დედოფალს ხელი მოკიდებული ჰქონდათ ბადიაზე, რომლის ერთი ბოლო დედოფალს ეჭირა, ხოლო მეორე—ნეფეს. მეტწილად ისინი მიდიოდნენ ხელიხელ ჩაკიდებულნი. იმ შემთხვევაში, თუ მაყრიონს გზაზე ან ეკლესიის ეზოსთან სხვა მაყრიონი შეხვდებოდა, ნეფე-დედოფალი უნდა დაემალათ ისე, რომ მათ ერთმანეთი არ დაენახათ.

ეკლესიის ეზოში ყოფნის დროს ნეფე-დედოფალს ახლობლები გარს ეხვეოდნენ და თვალყურს ადევნებდნენ, რომ ვინმეს ცუდი განზრახვით არ შეე-

[40] Л. Я. Штернберг. первобытная религия, Ленинград, 1936, გვ. 21.

[41] ისტორიები აღწერა ირაკლის-ძის ვახტანგის მიერ, თბილისი, 1914, გვ. 13.

ხედა. ან მგლის ქონი არ ჩამოესვა. ერთ-ერთი მაყარი ამ დროს სამრეკლოზე ყარაულად იდგა, რათა ზარი არავის ჩამორეკა. ზარის ჩამორეკვა კი ჯვრისწერის დროს, ხალხის რწმენით, დიდი უბედურების მომასწავებელი იყო

ჯვრისწერის ჟამს ზარის ჩამორეკვაზე მთხრობელი დიმიტრი ჩაჩანიძე (ს. დიღომი) მოგვითხრობს: „როცა მე ჯვარს ვიწერდი, ვიღაცამ, იმ ჩემი ცოდვით სავსემ, მტრობით ზარი ჩამორეკა, გამოვარდნენ კარში ბიჭები, ბევრი ეძებეს, მაგრამ ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ რა ვიცი. ვერ იპოვეს ზარის ჩამომრეკი. იმის შემდეგ მეც კეთილი აღარ, დამყრია. რაძდენი შვილიც გაგვიჩნდა, იმდენი მოგვკვდა. ბოლოს ერთი შეგვრჩა, თორმეტ წელს მიატანა, მერე ისიც დანარჩენების გზას გაჰყვა“.

ასევე მეორე მთხრობელი გადმოგვცემს, რომ „ჯვრისწერის დროს ზარის დარეკვა არ შეიძლებოდა. ზარს სიკვდილის დროს დარეკამდნენ ხოლმე. ზოგჯერ ვინმე, მტრულად ჯვრისწერაზე ზარს დარეკავდა და დაიმალებოდა (მაზდანა ბითაძე, გორი, სოფ. ქვემო ხვითი).

ვფიქრობთ, ზარის ჩამორეკვა გაიგივებული უნდა იყოს „ზარის“ ტერმინთან, თავზარის დაცემასთან. ესე იგი „შიშის ზართან“. რაც უბედურებასთანაა დაკავშირებული. სულხან-საბა ორბელიანს ზარი ასე აქვს განმარტებული: „საზარელისაგან შიში“. მიუთითებს დაზარა-ზე და საზარელზე; ლექსიკონის სიტყვით, „დაზარა“ ნიშნავს „ზარმა დაუარა“. ხოლო საზარელი ნიშნავს „ზარის ღასაცემელი სასმენი ესმას“.

ნეფე-დედოფლის ეკლესიაში შესვლის დროს მაყრები კარების გასწვრივ ორ მწკრივად დაწყობილნენ და ნეფე-დედოფალს გადაჯვარედინებული ხმლებს ქვეშ გაატარებდნენ, რათა „ავი ანგელოზი არ შეყვესო“. ეკლესიის კარებში კი ნეფეს დედოფლისათვის ფეხი უნდა დაედგა „ჩემი ნებისა გამოვიდესო“. იმ შემთხვევაში, თუ მაყრებს ხმლები არ ჰქონდათ, აღნიშნავს მთხრობელი, მაშინ მეჯვარე ეკლესიის კარებში ხანჯალს დადებდა, იმაზე უნდა გადაეარათ. იქ ეშმაკები არ დაუხვდნენ, არ დააშორონ ერთმანეთს ნეფე-დედოფალი (შინდისი, დარიკო გიორგის ასული მარგველაშვილი).

კარებთან ნეფე-დედოფალს მღვდელი შეეგებებოდა, გამოართმევდა სანთლებს (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჯვრისწერაზე უნდა დაენთოთ ნათლების დროიდელი სანთელი, რომელსაც ჯვრისწერის შემდეგაც სიკვდილამდე შეინახავდნენ), აანთებდა და იმით გადასწერდა ჯვარს, შემდეგ დაუბრუნებდა უკან და შეუძღვებოდა ეკლესიაში.

ეკლესიაში უკვე მომზადებული იყო „ანალოი“, მასზე იდო სახარება და ჯვარი. ნეფე-დედოფალი დადგებოდა ამ ანალოის წინ. მღვდელი მოითხოვდა ჩვენ მიერ უკვე რამდენჯერმე აღნიშნულ მოწმობას და შემდეგ დაიწყებოდა ნეფე-დედოფლის დაკითხვა. რასაც „გამოკითხვა ქორწინებისა“ ეწოდებოდა. ძაგალითისათვის მოგვყავს ერთ-ერთი მათგანი.

## გამოკითხვა ქორწინებისა

1899 წელსა იანვრის ცხრამეტსა დღესა მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის უქმზით ტფილისის მაზრის, თელოვნის წმინდის ნინოს ეკლესიის სამღვდლო და საეკლესიო მსახურთა პირთ მოახდინეს გამოკითხვა ქორწინების მსურველთათვის და აღმოჩნდა შემდეგი:

1. სასიძო გლეხი მათე გიორგის-ძე ჩიტაური, მართმადიდებელი სარწმუნოებისა. სცხოვრობს ღუშეთის მაზრის სოფელ ჯართალში.

2. სარძლო ტფილისის მაზრის სოფელ კარსანში მცხოვრებელი გლეხის გიორგი მჭედლაურის ასული ნინო, მართმადიდებელი სარწმუნოებისა.

3. ასაკი შეუღლებისათვის აქვთ სრული, სახელდობრ: სასიძო ოცდა ათის წლისა და სარძლო თექვსმეტის წლისა, და ორნივე იმყოფებიან სრულსა გოხებაზედ.

4. იმათ შორის ნათესავობა სულიერი, ან ხორციელი ნათესავობა და თვისება, აღმკრძალველი ქორწინების წმ. ეკლესიის კანონით, არავითარი არა არის რა.

5. საქმრო მეორის ქორწინებითა და სარძლო პირველი ქორწინებითა.

6. ქორწინებას შეუდგებიან ისინი თავიანთის ურთიერთის თანხმობით და სურვილით, და არა ძალდატანებით, და ამაზედ აქვთ მშობელთაგან ნებართვა.

7. ამ გვარის აღნიშნულს ეკლესიაში მომხდარის განცხადებით დაბრკოლება ამა ქორწინებისადმი არავითარი არავის არ გაუცხადებია.

8. ამ ქორწინების დაუბრკოლებლობის შესამოწმებლად წარმოიდგინებიან საბუთნი: თვისი სულიერი მოძღვრისაგან მიცემული მოწმობა 15 ივნვარი 1889. № 45.

9. ამის გამო აღნიშნულთ პირთ ქორწინება წინათ—განზრახულ არის აღსრულდეს ზემოდ მოხსენებულს ეკლესიაში, ამა ივნვრის ცხრამეტსა დღესა.

დაწესებულს დროს, გარეშე მოწმების დასწრობით.

10. რომ ყოველივე აქ ხსენები სასიძოზედ და სარძლოზედ შეშმარიტია. ამას მოწმობენ თვითოეულის იმათგანის თავდებნი, ასე, რომ უკეთუ რაიმე აღმოჩნდეს სიცრუე, მაშინ ხელმომწერნი ბრალდებულნი არიან სამსჯავროს წინაშე საეკლესიო კანონისა და სამოქალაქო სჯულდების ძალითა. სასიძო ღუშეთის უეზდის სოფელს (ქართლში მცხოვრებელი) ჩიტაურში მცხოვრებელი გლეხი მათე გიორგის-ძე ჩიტაური რადგან წერა არ იცოდა ამის თხოვნით ხელს ვაწერ.

ფიდო თიბელაშვილი (არ იკითხება კარგად)

სარძლო ტფილისის სოფელ კარსანში დიდის დროებით მცხოვრებლის გლეხის გიორგი შედლიურის ასული ნინო რადგან წერა არ იცოდა ამის თხოვნით ხელს ვაწერ ფიდო თიბელაშვილი. სასიძოს თავდებნი: ღუშეთის უეზდის სოფელს პავლეურში მცხოვრებელი გლეხი დავით გრიგოლის-ძე ჯაბანაშვილი, სოფელს ჯართალში მცხოვრებელი გლეხი გიორგი გლახას-ძე სუციანის-ძე. რადგან ზემო თავდებთა წერა არ იცოდნენ, ამათი თხოვნით ხელს ვაწერ გიორგი ივანეს ძე ბერიძე. სასძლოს თავდებნი: სოფელს დიდომში მცხოვრებელნი გლეხნი ივანე ანტონის-ძე კენჭიაშვილი და მოსე დავითის ძე ხელაშვილი— რადგან ზემო თავდებთა წერა არ იცოდნენ ამათი თხოვნით ხელს ვაწერ გიორგი ივანეს ძე ბერიძე. გამოკითხვა მოახდინეს: შტატს მღვდელი დავით...“[42]

მღვდელი, უწერნარეს ყოველისა, ჰკითხავდა ნეფე-დედოფალს, სურდათ მათ ერთმანეთი თუ არა. იმ შემთხვევაში თუ აღმოჩნდებოდა, რომ ჯვრისწერა ხდებოდა მათი სურვილის წინააღმდეგ, გვერგვინის კურთხევა არ შედგებოდა.

---

42 სოფ. დიდმის წმინდა გიორგის ეკლესიის საბუთებიდან, საკუთარი არქივიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მთხრობელთა ცნობით, მღვდელი იკითხავდა—სურდათ თუ არა ერთმანეთი, თუ უარს იტყოდნენ, მღვდელი ჯოხს გადატეხამდა და ერთს ერთი კარებიდან გაიყვანდა და მეორეს მეორე კარებიდან. როგორც ჩანს, ასეთ შემთხვევებს იშვიათად ჰქონდა ადგილი და მეტწილად ჯვრისწერა მშვიდობიანად ჩაივლიდა ხოლმე.

როცა მღვდელი „ქორწინების გამოკითხვას“ მოათავებდა, პატარძალს პირბადეს ახდიდა (იმ შემთხვევაში თუ პირბადე ჰქონდა). გვირგვინს აკურთხებდა და ნეფე-დედოფალს სამჯერ დაადგამდა, ამის შემდეგ ის შეუდგებოდა ლოცვას და ჯვრით ხელში სამჯერ შემოუვლიდა „ანალოის“, ნეფე-დედოფალი ანთებული სანთლებით მიჰყვებოდნენ მას. მათ უკან მისდევდა მეჯვარე, რომელსაც ხელში ეჭირა გვირგვინის უკანა ტოტები, ხოლო მდადე კი უწევდა პატარძალს კაბის ბოლოს. ლოცვის შემდეგ მღვდელი ბეჭედს სამჯერ შეუცვლიდა ნეფე-დედოფალს და ისევ გაუკეთებდა, ასევე უნდა მოქცეულიყო ნათლია, მასაც სამჯერ უნდა შეეცვალა ბეჭედი ნეფე-დედოფლისათვის; როცა ბეჭედს[43] მესამედ შეუცვლიდნენ ნეფე-დედოფალს, ხალხი დაიძახებდა: „ღმერთმა შეგაბეროთო“. მღვდელს სახარებაში რაც ეწერა, ლოცულობდა, მერე აზიარებდა, შეასმევდა წმინდა ზიარების წვენს, გვირგვინს დაახურავდა, ბეჭედს სამჯერ შეუცვლიდა, მერე კი მეჯვარე შეუცვლიდა ისევ სამჯერ, ამ დროს ხალხი ერთხმად ყვიროდა: გვირგვინი დაადგა! შეხვრიპა! შეუცვალა და ა. შ.

ჯვრისწერის ამ ჩვეულებაში, კერძოდ, მღვდლისა და მერე მეჯვარის მიერ ნეფე-დედოფლის ხელზე ბეჭედის სამჯერ შეცვლა, ისევე როგორც გვირგვინის სამჯერ დადგმა, გაიგივებული უნდა იყოს სამჯერ ქორწინების უფლებასთან (რადგან ქრისტიანული წესით ერთი პირის ქორწინება მხოლოდ სამჯერ იყო დაშვებული). სავარაუდოდ მიგვაჩნია, რომ საქორწინო რიტუალში ამა თუ იმ პროცესის სამგზის განმეორების წესი (კერისა და ანალოის გარშემო სამჯერ შემოტარება, გვირგვინის სამჯერ დახურვა, ბეჭდის სამჯერ გამოცვლა, პატარძლის მიერ ქმრის ოჯახში შესვლისთანავე სახლის ზღურბლზე პურის ცომის სამჯერ შემოტრიალება, მის მიერვე ქვევრზე სამჯერ ბარის დარტყმა, უშვილო ქალის მიერ ეკლესიის სამჯერ შემოვლა და სხვა) წინ უნდა უსწრებდეს ქრისტიანულ რელიგიას და წარმართული დროის გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს[44].

უნდა აღინიშნოს, რომ ჯვრისწერის დროს ნეფე-დედოფალს სულ ახლობლები ეხვეოდნენ გარშემო, „უცნობს ახლო არ უშვებდნენ და ცდილობდნენ დაეცვათ ისინი ავი თვალისაგან“. გარდა ამისა, მთხრობელთა ჩვენებით ჯვრისწერის დროს ნეფე-დედოფლის უკან ერთი ვინმე იდგა და ჩხირსა თლიდა, რათა თავიდან აეცილებინა ნეფე-დედოფლისათვის ის უბედურება, რომელსაც მათი რწმენით, კლიტის დაკეტვა, ძაფის ან ნაჭრის გაკვანძა და მიწაში ჩაფლვა გამოიწვევდა.

[43] თუშეთში ჩვენს მიერ ფიქსირებული მასალა გვიჩვენებს, რომ ბეჭდის უქონლობის შემთხვევაში, მღვდელი სანთლის ბეჭედს გაუკეთებდა და იმას შეუცვლიდა. საქ. სახელმწიფო მუზეუმი, ეთნოგრ. ექსპედიცია, 1961 წ.

[44] ცნობისათვის: „После того, как тело было опущено в могилу, сахели и восхуи образовали круг, чтобы засыпать могилу землей, каждый по очереди, начиная состашего по возрасту, сбрасывал по Три полных лопаты. Трическое число их религиозной системы: первая относилась к великому духу, вторая к солнцу и Третья к матери земле“. Морган, Дом и домашная жизнь Американских туземцев, გვ. 3.

ანალოგიური რწმენა-შეხედულება მოწმდება თუშეთის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. აქ, როცა საქორწინოდ საკლავს დაკლავდნენ, ნაწლავებს სწრაფად მიწაში ჩაფლავდნენ, რომ ვინმეს ის არ შეეკვანძა, თორემ „ნეფე შეკრული იქნებაო“[45].

ასევე, იმ მიზნით, რომ ნეფეს „კაცობა“ არ დაკარგვოდა, ჯვრისწერის დროს ჩხირის თლის გარდა, მიმართავდნენ სხვა ხერხსაც. ქალის მახლობელი ნათესავი ან თვით ქალის დედა კეტავდა კლიტეს და გასაღებს ნეფეს უდებდა ჯიბეში, ჩაკეტილ კლიტეს კი თვითონ ინახავდა ფრთხილად. ხალხს რწმენით, თუ ჩაკეტილ კლიტეს, დამალავდა, მაშინ მეფეს კაცობა დაეკარგებოდა და იქამდე არ დაუბრუნდებოდა, სანამ კლიტეს არ დაუბრუნებდა.

ამავე მიზნით აჭარაში სრულდებოდა „ჩაკეტვა“. ოჯახის მტერი, რომლის მიზანია ნეფე-დედოფლის გაუბედურება, „ჩუმად მიიმალება იმ გზის პირად, სადაც ნეფე-დედოფალმა უნდა გაიაროს, მას თან აქვს ქარქაშიანი დანა. გზის ერთ მხარეზე ის დანას დაიგდებს, მეორეზე კი ქარქაშს. დედოფალი მაყრებით რომ გაივლის, ის კაცი აიღებს დანას და ქარქაშში ჩაიგებს, „ჩაჰკეტავს“. ამის შემდეგ, ხალხის შეხედულებით, ნეფე-პატარძლის ბედიღბალი ამ კაცზეა დამოკიდებული, და სანამ ის კაცი დანას ქარქაშიდან არ ამოიღებს, ცოლ-ქმრული ცხოვრება ახალდაქორწინებულთა შორის შეუძლებელია. ამ ნიადაგზე ცოლ-ქმარს ერთმანეთის შესძულდებათ და თუ ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდება, შეიძლება ერთმანეთს კიდეც გეყაროს. „ჩაკეტილი“ ცოლ-ქმარი ამის გამო იტანჯებიან და მათი მშობლები გაფაციცებით ეძებენ დამწაშავეს“.

აჭარული რწმენით „ჩაკეტვა“, ან „ჩასკვნა“ სხვა ხერხითაც შეიძლება მოეწყოს. ამ მიზნით მექორწინეთა მიმართ მტრულად განწყობილი პირი ქორწილამდის 15 დღით ადრე ქათამს დაკლავს და მის თბილ სისხლს მერდიხს წასცხებს. შემდეგ ამ სისხლიან მერდინს რამდენჯერმე გასკვნის და სანამ კვანძი არ გაიხსნება, ნეფე-დედოფალს შორის სქესობრივი კავშირი შეუძლებელი იქნებაო[46].

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ამბებისათვის თავი რომ დაეღწიათ, მიმართავდნენ მაგიურ ქმედებას, როგორიცაა: ეკლესიაში ჯვრისწერის დროს ნეფე-დედოფლის უკან ხანჯლით ჯოხის თლას, კლიტის დაკეტვას და სხვა. ხის თლის საშუალებით ბოროტი ძალის განდევნა და მისი ენერგიისაგან დაცვა უნდა უკავშირდებოდეს წმინდა ხის ძლიერებასა და მფარველ ძალას და იგი ხის კულტის გადმონაშთს უნდა წარმოადგენდეს.

ცნობილია, რომ ძველად ჩვენი ხალხის ყოფასა და სულიერ ცხოვრებაში ხის კულტს დიდი ადგილი ეჭირა; ჩვენი წინაპრები განსაკუთრებულ პატივს სცემდნენ წმინდა ხეებს. ამ მიმართებით მკვლევარი ვ. ბარდაველიძე საყურადღებო ფაქტებს ასახელებს: ქართლში, თეძმის ხეობაში. სოფელ როკთან, რკონის ღვთისმშობლის ეკლესიის მახლობლად მდგარა ბებერი ცაცხვისხე, რომელიც წმინდა ხედ ითვლებოდა: „ეს ბებერი ცაცხვისხე ჯვახიშვილების საკვარეულო სალოცავს წარმოადგენდა რკონის ღვთისმშობლის ეკლესიასთან ერთად. ამავე დროს, ხალხური რწმენისა და გადმოცემის მიხედვით, რკონის წმ. ცაცხვისხე საიდუმლო კავშირში იმყოფებოდა ჯვახიშვილების საგვარეუ-

---

45 ჩვენს მიერ ფიქსირებული მასალა თუშეთში, მით. ექსპედიცია კახეთში.

46 ჯ ე მ ა ლ ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი, ეთნოგრაფიული ნარკვევი აჭარელთა ცხოვრებიდან, თბილისი, 1935, გვ. 32.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსთან, ვინაიდან ამ ხის სინედლესა და სიმრთელესთან ჯავახიშვილების ჯანმრთელობა და სიცოცხლე იყო დაკავშირებული. ეს აშკარად ჩანს შემდეგი ჩვეულებიდან, რომელიც ჯავახიშვილებში არსებულა. როცა ამ გვარეულობის რომელიმე წევრი ავად გახდებოდა, მივიდოდნენ ცაცხვთან და მას გულდასმით დაათვალიერებდნენ, თუ ცაცხვს ტოტები ყველა მთელი ადმოაჩნდებოდა. მაშინ, მათი წუწმენით, ავადმყოფი მალე მორჩებოდა, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მას საფრთხე მოელოდა. სასიკეთოდ იყო განწირული"[47]. ჩვთა თაყვანისცემის ფაქტები საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაცაა დადასტურებული. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ მხრივ „ფხიზლური დღესასწაული „ამშაპ", რომელიც აპრილის დამდეგს იცოდნენ. 16 დღის განმავლობაში, დღესასწაულის წინ ხალხი მარხულობდა და ღვინოსაც კი აღარ იყარებდა, თანაც ცდილობდა ზნეობრივადაც გასპეტაკებულიყო. სამი დღით წინ ცოდვათა მონანიება იწყებოდა; წინა ღამეს მთელი სოფელი ღამიანად აიშლებოდა მამასახლისის მეთაურობით და ტყისაკენ მიეშურებოდა, იქითკენ, სადაც ყველასაგან სათაყვანებელი საღმრთო მუხა იდგა. ლოცვის წარმოთქმის შემდგომ მამასახლისი ნაბადს წამოიხურავდა ისე, რომ არავინ დაენახა, ხოლო ხალხი ჯერ ქალები, მერმე ვაჟები, როგორიგობით მიდიოდა მუხასთან აკოცებდა და ხანჯალს დასობდა მუხას. მერმე ლოცულობდა და ემთხვეოდა მუხას, შემდეგ კი მამასახლისს მიუბრუნდებოდა და აღსარებას ამბობდა ხოლმე. როცა აღსარებას გათავებდა, ხალხი უკან ბრუნდებოდა და მამასახლისი ითითეულს პატარა ნაჭერ წმინდა სანთელს აღლევდა"[48]. ასეთი წმინდა ხეები ქართლში ბლომად მოიპოვება, მაგალითად, დიღომში წმინდა გიორგის ჭადარი, ბასილიძისთა ცხრა მუხა ქვემოხვითში, წმინდა მუხები ვერის ხეობაში[49] და სხვა მრავალი.

როგორც ზემოთაც ითქვა, შემდეგში ამ წმინდა ხეების ახლოს შენდებოდა ქრისტიანული ეკლესიები. ამგვარი ფაქტი დაბადებაშიაც გვხვდება, სადაც ნათქვამია: „და აღიღო კარავი თვისი აბრამ და მოვიდა და დაშენა იგი მუხასა მასთანა მამბრესა როშეი იგი არს ქებრონსა და აღაშენა მუნ საკურთხეველი უფლისა"[50]. ესე იგი, აბრამს მუხასთან დაუშენებია „საკურთხეველი ღვთისა", რომლის ადგილმდებარეობა აღინიშნებოდა სიტყვა „მამბრე"-თი. მამბრე სულხან-საბას ლექსიკონში შემდეგნაირად არის განმარტებული. „მამბრე — ხეღვისაგან, გინა მაღალი, გინა გამოცხადება სახილავთა, გინა ხილვა მსოფლიოთა გულის ზრახვათა, გინა მწირობა". ხოლო „ქებრონ — სასწორი, ანუ ხილვა სახილო, გინა მოყუსობა"[51] ე. ი. აბრამს საკურთხეველი აუგია მაღალ, ყველასათვის თვალსაჩინო ადგილზე.

ამგვარად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობამდელ წმინდა ადგილებში, სადაც წმინდა ხეები და ბაგინები იდგა, ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ აღიძართებოდა ქრისტიანული ეკლესიები.

---

47 ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, მრომიზღველი 1959, 1, გვ. 129.

48 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 1, თბილისი, გვ. 94—95.

49 ჯ. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, მასალები ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 126.

50 ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნი, სიტყვის კონა, 1949.

51 ი ქ ვ ე.

თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველივე ამას, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ თავდაპირველად საქორწილო წეს-ჩვეულების შესრულება თაყვანისცემის სახით სავალდებულოც იქნებოდა საგვარეულო ღვთაების წინაშე, რათა მისი მფარველობის ქვეშ ყოფილიყო გვარში ახალი შემატებული სული. და ალბათ, აქვე, წმინდა ხესთან უნდა მომხდარიყო ის საქორწილო წეს-ჩვეულება ნეფე-დედოფლისა, რომელიც ჯვრისწერის დროს სრულდებოდა. ხოლო ქრისტიანობის გავრცელების და ქრისტიანული წესით გვირგვინის კურთხევის სავალდებულოდ გახდომის შემდეგ, ნეფე-დედოფალს ეკლესიაში გაჰყვა ღვთაებრივი ხე, ანუ საგვარეულო ღმერთი—ტოტის სახით, რომელიც მფარველობას უწევს მტრის ბოროტი ზრახვებისაგან. ხოლო, რაც შეეხება ხანჯალს (რომლის საშუალებითაც მაყარი ჯოხს თლის), იგი ყოფაში წმინდა ნაწილად ითვლება, რომლის სიახლოვეს ავი სული ადვილად ვერ „გაიჭაჭანებს". ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რომ აფხაზური „ამშაპ"-ობის დროს თუ რა როლს ასრულებდა ხანჯალი წმინდა მუხასთან, სადაც ცოდვათა მოსანანიებლად ადამიანი მუხასთან მისვლისას „აკოცებდა ხანჯალს" და შემდეგ „დაასობდა მუხას". აქედანაც კარგად ირკვევა, რომ ხალხი, არა მარტო წმინდა მუხას სცემდა თაყვანს, არამედ ხანჯალსაც—რკინას და, მართლაც, ეთნოგრაფიული ყოფიდან მრავალი შთაგლეთის მოყვანა შეგვიძლია, სადაც ხანჯალია გამოყენებული, როგორც მფარველი წმინდა ძალა. ასე მაგალითად: „შეშინებულს", „თვალნაცემს" ან სხვა „მიზეზით" დაავადებულ ავადმყოფს მკრთხავი ყოველთვის ხანჯლით ულოცავს და საწოლში თავქვეშ უდებს. ასეთივე წესს ვხედებით ქორწილის დროს, ჯვრის წერისას ნეფე-პატარძალს ფეხი უდგათ ხანჯალზე. როგორც სახლიდან, ისე ეკლესიაში შესვლა-გამოსვლის დროს ნეფე-დედოფალს გაატარებენ გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ. ხოლო ნეფის სახლში მისული მაყრები დედაბოძებსა და სახლის კუთხეს ურტყამდნენ ხმლებს. მეჯვარე ხანჯლის წვერით ახდის პატარძალს გვირგვინს და ბოლოს ნეფე-დედოფლისათვის გაწლილ ლოგინში ბალიშის ქვეშ დასდებენ ავრეთვე ხანჯალს, რათა ავი სული არ მიეკაროს „ნანეფარ—ნადედოფლარს". ამ ამბავს ხალხური ზეპირსიტყვიერებაც გვიმოწმებს: „ეშმაკმა სთქვა. საცა თბილი სბანია, ნახე ჩემი ბაბანია, საცა ხმალი შიშველია, მე იქ ვერას გიშველიო". ყოფაში ხანჯლის—რკინის გამოყენება როგორც ავი სულებისაგან, ასევე ადამიანთა ბოროტი ზრახვებისაგან, თავის დაცვაც იარაღად უნდა წარმოადგენდეს რკინის კულტის გადმონაშთს[52].

თუ გავითვალისწინებთ ჯვრისწერის დროს შესრულებულ ზემოთ აღწერილ რიტუალებს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ძირითადად ისინი მიმართული იყვნენ „ბოროტი" ანუ „ავი ანგელოზის" წინააღმდეგ, რომელთა ავ მოქმედებას შეიძლება ნეფე-დედოფლისათვის ენება მიეყენებინა. ამიტომ „ავი ანგელოზისაგან" თავი რომ დაეცვა, ადამიანი მიმართავდა სხვადასხვა თავდასაცავ საშუალებას და ბოლოს ყველა ამ ბოროტების წინააღმდეგ იყენებდა ჯოხს. რომელსაც მაყარი ნეფე-დედოფლის უკან ხანჯლით თლიდა გვირგვინის კურთხევის დროს. ეს ჯოხი, შესაძლებელია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იყოს საგვარეულო ღმერთის „ხე" — ძველი გადმონაშთი, რომელიც ცხობილია დაბადებაში „ხე იგი ცხობა კეთილისა და ბოროტისა"[53]. დაბადების მითის თა-

---

52 იხ. ნ. ჩ ი ტ ა ი შ ვ ი ლ ი, მჭედლობა რაჭაში, თბილისი, 1953, გვ. 245.

53 დაბადება (ბიბლია), ნაწ. I, 1884, გვ. 4.

ხახმად. „ცხოვრების ხე“-ს შეუძლია ადამიანს მიანიჭოს სიცოცხლე. უკვდავება. ის ყველაფერს ანაყოფიერებს და ცსაზრდოებს, თვითონ კი უკვდავია. როგორც საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გავრცელებული საგვარეულო წმინდა ხეები, ეს ხის ტოტი და ხანჯალი იცავს გვირგვინის კურთხევის დროს ნეფე-დედოფალს ავი ანგელოზებისაგან, კლიტის ჩაკეტვის, მგლის ჭონის ჩამოსმის, ზარის ჩამორეკვის, მტრის შუაში გავლისა და სხვადასხვა უბედური შემთხვევისაგან, რომელთა მოქმედებას, ხალხის რწმენით, შეუძლია „სანაშენო“ მოუშალოს ნეფეს, ხოლო დედოფალს კი შვილოსნობის უნარი. აღნიშნული რიტუალი სრულდება იმ მიზნით, რათა უზრუნველყონ ნეფე-დედოფლის, მისი ოჯახის, მისი გვარის ნაყოფიერება, გამრავლება და გაძლიერება.

# კრიტიკა და გიბლიოგრაფია

## რამდენიმე შენიშვნა პ. ინგოროყვას „რუსთველიანასა“ და „რუსთველიანას ეპილოგის“ გამო

დ. ჯუმბიშვილი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა)

რუსთველოლოგიის ერთ-ერთი კარდინალური საკითხი, რომელიც გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს, იყო და არის შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების საქართველოს სინამდვილესთან ურთიერთკავშირის გარკვევა. ამ საკითხის მართებულად გადაჭრასთან არის დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების ნათელყოფა, როგორიცაა ვეფხისტყაოსნის თემის, იდეის, დაწერის თარიღისა და ჟანრის განსაზღვრა.

უკანასკნელი ორი საუკუნენახევრის განმავლობაში ამ საკითხის ირგვლივ დიდძალი ლიტერატურა დაგროვდა და მრავალ საყურადღებო აზრთან ერთად ბევრი მცდარი თეორიაც შეითხზა.

უპირველესად ყოვლისა, რუსთაველის მკვლევრები შეეცადნენ დაედგინათ, ვეფხისტყაოსანი ორიგინალური ნაწარმოებია, თუ რომელიმე. მანამდე არსებული, ლიტერატურული ძეგლის თარგმანი. რუსთველოლოგთა ერთი ნაწილი. ღებდა რა მხედველობაში შოთას სიტყვებს

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
გჰპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“.

ვეფხისტყაოსანს სპარსულიდან ნათარგმნად აცხადებდა და მის ორიგინალობაში ეჭვი შეჰქონდა.

მაგალითად, აკად. ნ. მარი წლების განმავლობაში იმ აზრს ადგა, რომ ვეფხისტყაოსანი არ არის ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული ორიგინალური ნაწარმოები, არამედ რომელიღაც დაკარგული სპარსული რომანის თარგმანია. თუ რამდენად დარწმუნებული იყო აკად. ნ. მარი ამ შეხედულების ჭეშმარიტებაში, ეს მისი შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „ველი ცნობებს ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ბრიტანულ მუზეუმში იხსება, ლონდონში, და იქნება თვით ვეფხისტყაოსანის დედანია“[1].

ჩვენ აქ არ გავიხსენებთ ნ. მარის ამ მცდარ შეხედულებას, მით უმეტეს, რომ შემდეგ მან თვითონ თქვა უარი მასზე, რომ აღნიშნული შეხედულება სხვა მკვლევრებსაც არ გაეზიარებინათ. მაგალითად, პროფ. იუსტინე აბულაძეც ვეფხისტყაოსანში მაჰმადიანური სამყაროს ყოფა და რელიგია დაინახა[2].

---

1 გაზ. „თეატრი“, 1890 წ., № 12.

2 პროფ. იუსტინე აბულაძე წერდა: „სიუჟეტი ისე, როგორც მთელი შინაარსი პოემისა, სრულიად ეუცხოება ქართულ სინამდვილეს“. იხ. თ. ს. უ. შრომები, № 1, 1936, გვ. 145, „ვეფხისტყაოსნის სიუჟეტებისათვის“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბედნიეროდ, ეს მცდარი შეხედულება შოთა რუსთაველის გენიალურ ქმნილებაზე ერთხელ და სამუდამოდ დაგმობილია და არა გვგონია, რომ რუსთველოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ვინმეს დაებადოს სურვილი მისი დაცვისა და განვითარებისა. ახლა ეს ჰიპოთეზა მხოლოდ იმის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება იქნას მოყვანილი, თუ რა გაუგებრობამდე და მცდარ დასკვნებამდე შეიძლება მივიდეს მკვლევარი, როდესაც იგი მხატვრულ ნაწარმოებს განიხილავს მის წარმომშობ ისტორიულ გარემოსაგან მოწყვეტილად.

ნათარგმნ ნაწარმოებად ვეფხისტყაოსნის გამოცხადების თეორიამ მაინც შეასრულა დადებითი როლი იმ მხრივ, რომ მან გამოიწვია ქართული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლების კანონიერი აღშფოთება და გაცხოველებული პოლემიკა, რომელმაც ნათელი მოჰფინა ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს.

რუსთველოლოგთა მეორე ნაწილი ვეფხისტყაოსანს ორიგინალურ ნაწარმოებად აცხადებდა, მას საქართველოსთან ამა თუ იმ მიმართებაში განიხილავდა და მასში ქართველი ხალხის ცხოვრების ანარეკლს ხედავდა. მაგრამ აღნიშნულ მკვლევართა შორისაც აზრთა დიდი სხვადასხვაობა შეინიშნება. დავა ორი მიმართულებით წარმოებს: ერთი მხრივ, კამათობენ იმის შესახებ, თუ ვეფხისტყაოსანში საქართველოს ისტორიული განვითარების რომელმა პერიოდმა ჰპოვა თავისი ასახვა და, მეორე მხრივ, იმაზე, თუ რამდენად და რა სახით აირეკლა ეს სინამდვილე.

რუსთველოლოგთა ერთი წყება თვლიდა, რომ ვეფხისტყაოსანი დიდი თამარის ეპოქის პირმშოა და მასში იმდროინდელი სინამდვილე აისახა. მათ რიცხვს ეკუთვნიან: მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ა. მურავიოვი, ს. ბარათოვი, მ. ჯანაშვილი, გ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ე. სტალინსკი, ა. ნანეიშვილი, ნ. ურბნელი (ხიზანიშვილი), ე. ბარსოვი, ს. ქვარიანი და სხვები. მაგრამ დასახელებულ მკვლევართა მეტი ნაწილი არ ითვალისწინებდა მხატვრული ნაწარმოების, კერძოდ, ვეფხისტყაოსნის, როგორც მხატვრული ქმნილების, სპეციფიკას და ცდილობდა ვეფხისტყაოსნის გმირებსა და თამარის დროის ისტორიულ პიროვნებებს შორის პარალელების გავლებით დაესაბუთებინა თავისი აზრი შოთას უკვდავი ქმნილების ორიგინალობის შესახებ.

ვეფხისტყაოსნის გმირებსა და თამარის ეპოქის ისტორიულ პირებს შორის პარალელების გავლების იდეა პირველად მ. ბროსემ წამოაყენა. იგი წერდა, რომ „მოქმედნი პირნი ვეფხისტყაოსნისა თვით ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდართა“[3]. ავტორის აზრით, „ხვარაზმელ სასიძოს ნესტან-დარეჯანზე გამიჯნურება—ხორაზმ-შახის ტფილისს თამარ მეფის სათხოვნელად მოსვლის გამოხატულებას წარმოადგენს“.

მსგავსი შეხედულება აქვს გამოთქმული დავით ჩუბინაშვილს. იგი ამბობდა, რომ პოეტს თავის თხზულებაში თამარის დროის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური პირობების სურათი მოუცია, გამოუხატავს საქართველოს სახელმწიფოებრივი ურთიერთობანი სხვა სახელმწიფოებთან და პოემის გმირებიც შეუქმნია თამარ მეფის, დავით სოსლანისა და სხვათა მიხედვით. დ. ჩუბინაშვილი დიდ მსგავსებას ხედავს თამარ მეფესა და ნესტან-დარეჯანს, დავით სოსლანსა და ტარიელს შორის. ამ აზრს მკვლევარი იმით ასაბუთებს, რომ სა-

---

[3] ბროსეტ, წინა-სიტყვაობა ვეფხისტყაოსნის გამოცემისათვის, სანკტ-პეტერბურგის სტანბაში სახელმწიფო აკადემიისა მეცნიერებათა, 1841, გვ. 6—14.

ქართველოც შვიდ სამეფოდ იყო დაყოფილი ისევე, როგორც ინდოეთი ვეფხისტყაოსანში. ნესტანი ინდოეთის მეფის ფარსადანის ერთადერთი ქალია. თამარიც გიორგი III ერთადერთი ასული იყო. ნესტანის გაზრდა ფარსადანმა თავის დას დავარს მიანდო, გიორგი მესამემ კი თავის დას—რუსუდანს. ნესტანი და ტარიელი ერთად იზრდებოდნენ. თამარ მეფე და დავით სოსლანიც ერთად იზრდებოდნენ. ქაჯეთის ციხე დ. ჩუბინაშვილს გაიგივებული აქვს ახალციხის ციხესთან და სხვა[4].

მ. ბროსესა და დ. ჩუბინაშვილს შემდეგ ვეფხისტყაოსნის ვქირებსა და საქართველოს ისტორიულ პარალელებს შორის პარალელების მოძებნას მრავალმა მკვლევარმა მიჰყო ხელი და მრავალი ჰიპოთეზაც შეიქმნა. გიორგი III აიგივებდნენ ხან ფარსადანთან, ხან როსტევანთან, თამარ მეფეს კი ხან ნესტან-დარეჯანთან, ხან თინათინთან, ტარიელს აცხადებდნენ დავით სოსლანად, უფლისწულ დემნად, თვით შოთა რუსთველადაც კი და ასე შემდეგ. მაგალითად ა. ნ. მურავიოვი თვლიდა, რომ როსტევანი გიორგი მეფეა, ხოლო თინათინი — თამარი[5]. ამავე დებულებას იმეორებდა გულკიც.

გ. იოსელიანი 1875 წელს გაზეთ „Кавказ“-ში მოთავსებულ წერილებში ამტკიცებდა, რომ ნესტან-დარეჯანი თამარია, მისი შეყვარებული ტარიელი კი დავით სოსლანი. ეს შეხედულება გაიმეორეს ე. სტალინსკიმ (1883 წ.), ა. ნანეიშვილმა (1890), ე. ბარსოვმა (1898) და სხვებმა.

ვეფხისტყაოსნის გმირებსა და თამარ მეფის დროინდელ ისტორიულ პირთა შორის პარალელების გავლების თეორია კიდევ უფრო მეტად განავითარეს მ. ჯანაშვილმა და ს. ქვარიანმა.

მოსე ჯანაშვილმა თინათინი და ავთანდილი თამარ მეფესთან და დავით სოსლანთან გააიგივა, ხოლო ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი—სელჩუკიანთა შაჰის ტოღრილისა და მისი ტახტის ისტორიასთან[6].

სიმონ ქვარიანი პარალელების მონახვამ ისე გაიტაცა, რომ ყალბ დასკვნამდე მივიდა. მისი აზრით, რუსთაველს მიზნად ჰქონია დაეხატა „მხოლოდ ნესტან-დარეჯან, ესე იგი თამარ ბედშავი, თამარ ზენარად შეყვარებული, თამარ ტანჯული და ქაჯეთის, ე. ი. ჭობულეთის ციხეში დამწყვდეული, თამარ გმობილი და უდანაშაულოდ გაჭირდული. აი, როგორი თამარის ქება და მისი პიროვნების აღდგენა უბრძანეს შოთას“[7]. ამ მცდარი დებულებიდან გამომდინარე, ს. ქვარიანი აიგივებს ვეფხისტყაოსნის გმირებსა და მე-12 საუკუნის მოღოსა და მე-13 საუკუნის დასაწყისის ისტორიულ პირებს. იგი ამბობს: „შოთას დავით სოსლანი ჰყავს გამოყვანილი ავთანდილად“. შემდეგ ს. ქვარიანი სვამს კითხვას: „მაშ ვინაა ტარიელი? ვინაა ფრიდონი? ერთი და იგივე პირებია ნესტან და თინათინ, როსტევანი და ფარსადანი, თუ სხვადასხვა?“[8] ამ კითხვაზე მკვლევარი ასეთ პასუხს იძლევა: „როსტევან მეფე და ფარსადან ერთი და იგივე პირი ყოფილა ე. ი. გიორგი მეფე; ნესტან და თინათინ ერთი და იგივე პირი ყოფილან, ე. ი. თამარი... ტარიელი და დემნა ერთი და იგივე პირია...

---

[4] Д. Чубинов, Грузинская хрестоматия. Санктпетербург, 1846, часть вторая, გვ. I—IX.

[5] А. Н. Муравьев, Грузия и Армения, часть III, СПБ., 1848, გვ. 214—235.

6 თამარ მეფის მეხოტბენი, გაზ. „ტრიბუნა“, 1923, № 478, 481, 483.

7 ს. ქვარიანი, შოთა რუსთველი და მისი პოემა, ქუთაისი, 1914, გვ 39.

8 იქვე, გვ. 40.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ავთანდილი და ტარიელი არაა ერთი და იგივე პირი, ორადი"[9]. ს. ქვარიანის თეორია იმის საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორ არასწორ დასკვნამდე შეიძლება მიიყვანოს მკვლევარი მხატვრული ნაწარმოების გმირთა გაიგივებამ ისტორიულ პიროვნებებთან.

ეეფხისტყაოსნის გმირებსა და თამარ მეფის დროინდელ ისტორიულ პირებს შორის პარალელების მოძებნას დღესაც მიმართავს მკვლევარი პაველ ინგოროყვა.

1963 წელს გამოცემულ თხზულებათა კრებულის პირველ ტომში პ. ინგოროყვა ცდილობს ვეფხისტყაოსნის ავტორი შოთა რუსთაველი პოემის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟთან—ტარიელთან, ხოლო თამარ მეფე ნესტან-დარეჯანთან გააიგივოს. „რუსთველიანში" პ. ინგოროყვას შეტანილი აქვს თავები მრავლისმეტყველი სათაურებით; „ა. ტარიელისა და შოთას საგვარეულო ისტორიის იგივეობა", „ბ. ნესტან-დარეჯანი და თამარი", „გ. ტარიელ-შოთა ტახტის მემკვიდრე".

პ. ინგოროყვა წერს: „ამრიგად, ამ გამჭვირვალე ჩვენებათა მიხედვით ცხადი ხდება, რომ ნესტან-დარეჯანი წარმოგვიდგნს პოეტურ ასპექტში თამარს, ხოლო ტარიელი თვით პოეტს შოთას. თამარი—ნესტან-დარეჯანი არის ჯიქი, ბრწყინვარი, მაგრამ განრისხებული ვეფხი. ხოლო პოეტს, თვით მისივე სიტყვით, „მიხდომია" (ე. ი. წილად რგებია)—„ველთა რბენა". ველად გაჭრა ტარიელის მსგავსად. ამიტომაც, რომ ვეფხისტყაოსნის ერთ ძველ ინტერპოლაციაში შოთას ეწოდება „ტარიელის დარი".

ცოტა ქვემოთ კი ვკითხულობთ: „...ვეფხისტყაოსანში ტარიელის საგვარეულო ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულო ისტორია"[10]. „ამრიგად, მდგომარეობა ტარიელისა და შოთასი სავსებით ანალოგიურია. შოთა ისევე, როგორც ტარიელი, ტახტის მემკვიდრენი იყვნენ"[11].

პ. ინგოროყვა განაგრძობს: „ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნესტან-დარეჯანის იდეალურს პორტრეტში განმეორებულია ცალეული ხაზები თამარის ბიოგრაფიისა"[12]. ვეფხისტყაოსნის დანარჩენი პერსონაჟების შესახებ იგი იმეორებს უკვე არა ერთგზის გამოთქმულ აზრებს, ფარსადანისა და გიორგი III, დავარისა და რუსუდანის იგივეობის შესახებ. აი, რას წერს დავარის შესახებ მკვლევარი: „მსგავსება რუსუდანისა და დავარისა იმდენად ახლოა, რომ პოეტი თითქოს შეგნებულად ხაზს უსვამს მათს იგივეობას, რომ მკითხველს არ დარჩეს ამაში არავითარი ეჭვი"[13]. რაც შეეხება ხვარაზმშას, იგი პ. ინგოროყვას თამარის პირველი ქმრის, გიორგი რუსის, ორეული ჰგონია: „ასე ხვარაზმშა მოწვეული ნესტანის საქმროდ, რომელიც უბედურად იღუპება, პოეტური ასპექტში წარმოგვიდგენს თამარის საქმროდ მოწვეულ გიორგი რუსს, რომელსაც თანამედროვე სისტორიო წყარო „სვე-უბედურს" უწოდებს"[14].

პ. ინგოროყვას ამ თეორიის ძირითადი თემაა ტარიელისა და შოთა რუსთაველის გაიგივება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატივცემული მკვლევარი ამ შემთხვევაში დიდ ორიგინალობას არ იჩენს, რადგან მწერლის ბიოგრაფიის გა-

[9] ს. ქვარიანი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, გვ. 49—61.
[10] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, გვ. 204.
[11] იქვე, გვ. 208.
[12] იქვე, გვ. 207
[13] იქვე, გვ. 211.
[14] იქვე, გვ. 210.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იგივება მის მიერ შექმნილ პერსონაჟებთან კვლევის საკმაოდ ცნობილი ხერხია, რომელმაც ჯერჯერობით არავის მოუტანა წარმატება. ჩვენმა საბჭოურმა ლიტერატურათმცოდნეობამ დიდი ხანია დაგმო ეს არამეცნიერული ძიების ცდები—პერსონაჟებში მათი შემქმნელი მწერლის ბიოგრაფიის დანახვისა.

საილუსტრაციოდ მოვიტანოთ პ. ინგოროყვას კვლევის სქემას, რომელსაც იგი არსად აღარ ღალატობს. ასეთი კვლევის ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, ძიების პირველ ეტაპზე იგი ჩვეულებრივად წერს: „ზოგიერთ გარემოებათა გამო... უშვილო და უმემკვიდრო გიორგიმ საფიქრებელია, შოთა იშვილა და აღსაზრდელად აიყვანა იგი“.

კვლევის მეორე ეტაპი: „როგორც ირკვევა, მაგალითად, თამარი ყოფილა შოთაზე უფროსი ხუთი წლით და საფიქრებელია, ისინი ერთად იზრდებოდნენ“. ამ მთელი რიგი ყოველგვარ ფაქტობრივ საფუძველს მოკლებული დაშვების შემდეგ, კვლევის მესამე ეტაპზე კეთდება დასკვნა: „ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვეფხისტყაოსანში ტარიელის საგვარეულო ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულო ისტორია“.

პ. ინგოროყვას კვლევის ყველაზე სუსტ ადგილს წარმოადგენს პირველი ეტაპი, სადაც ხდება ესა თუ ის დაშვება, ანუ ამა თუ იმ ვარაუდის გამოთქმა, მით უმეტეს, თუ ეს ვარაუდი ფაქტების არასწორი გაგების შედეგია.

ჯერ განვიხილოთ, თუ რა „უტყუარ საბუთებს“ ეყრდნობა პ. ინგოროყვა, როდესაც იგი ამა თუ იმ დასკვნას აკეთებს და შემდეგ ვნახოთ, თუ რამდენად სარწმუნონი არიან ისინი.

1. პ. ინგოროყვას იმ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, რომ ტარიელის სახით რუსთაველმა თავისი თავი გამოიყვანა ეპოპეაში და რომ ტარიელის და შოთას საგვარეულო ისტორიებს შორის იგივეობა არსებობს, შემდეგი მოსაზრებები მოაქვს:

ა. ვეფხისტყაოსნის მიხედვით, ინდოეთი „შვიდთა სამეფოთაგან“ შედგება. მეშვიდე სამეფოს მეფე იყო სარიდანი, ტარიელის მამა. საქართველოში „ამ დროს ერთი და იგივე სამეფო გვარეულობის—ბაგრატიონთა გვარის ორი შტო იყო: პირველი—ძირითადი შტო—ესენი იყვნენ მეფენი სრულიად საქართველოსი (რომელიც შვიდი სამეფოს გაერთიანებას წარმოადგენდა), ხოლო მეორე შტო—ჰერეთის მთავრები (მეშვიდე სამეფოს ყოფილი მფლობელები).

ეს ანალოგია არ შეიძლება მიჩნეულ იქნას იმის დამამტკიცებელ საბუთად, რომ ტარიელის სამეფო ჰერეთის საერისთავოა, რადგან არ არის გამორიცხული, რომ როგორც ჩვენი დიდი მეცნიერი კორნელი კეკელიძე თვლის, „ინდოეთის შვიდ სამეფოდ დანაწილება და აგრეთვე საქართველოსიც არაფერს არ გვეუბნება, ვინაიდან „შვიდი სამეფო“, „შვიდი იყლიმი“, „შვიდი ქიშვარი“ შაბლონური ადგილია სპარსულ რომანებში, მაგალითად, იოსებ ზილიხანიანში (უცნობი მთარგმნელისა), ლეილმაჯნუნიანში, ბაჰრამგურიანში და სხვა. ბაჰრამგურიანში პირდაპირ ინდოეთია დაყოფილი შვიდ სამეფოდ. აქ ნათქვამია, რომ ინდოეთის მეფემ ომაინმა თავის მეგობარს ახის მისცა „შვიდთაგან ერთი სამეფო“ ინდოეთისა; ზალუმჯანიანში ვკითხულობთ: ინდოეთის მეფემ „შვიდივე სახელმწიფო ინდოეთისა თავისითა ხმლითა და სიმამაცითა დაიპყრომო“[15].

---

[15] კ ო რ ნ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 170.

როგორც ვხედავთ, პავლე ინგოროყვას მიერ მოტანილი „შვიდი სამეფოს“ არგუმენტი საკმაოდ საეჭვოა, რადგან არგუმენტს მაშინ აქვს მეცნიერული ღირებულება, როდესაც მას მხოლოდ ერთადერთი გაგება აქვს. ამიტომ ეს არგუმენტი ტარიელისა და შოთას საქართველოს ისტორიათა იგივეობის დასამტკიცებლად არ გამოდგება.

2. ჰ. ინგოროყვა ცდილობს დაამტკიცოს, რომ შოთა ისევე, როგორც ტარიელი, ტახტის ერთადერთი მემკვიდრენი არიან. ერთ-ერთ თავში, რომელსაც ეწოდება „ტარიელ-შოთა ტახტის მემკვიდრენი“, ინგოროყვა წერს: „და აი ინდოეთში პირველი ძირითადი შტოს მამრობითი ხაზი შეწყდა. სრულიად ინდოეთის მეფეთ-მეფეს ფარსადანს ვეღარ არა ჰყავს. ამის შემდეგ სრულიად ინდოეთის ტახტი, ბუნებრივი მემკვიდრეობის წესით, უნდა გადავიდეს იმავე გვარეულობის მეორე გვერდის შტოზე, ე. ი. ინდოეთის მეშვიდე სამეფოს ყოფილ მფლობელზე, რომლის წარმომადგენელია ტარიელი“. ინგოროყვას აზრით, ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი გიორგი III-ის დროს. იგი წერს: „ამრიგად, სამეფო გვარეულობის ძირითადი შტოს მამრობითი ხაზი შეწყდა. ამის შემდეგ სრულიად საქართველოს ტახტი ბუნებრივი მემკვიდრეობის წესით უნდა გადასულიყო [illegible] გვარეულობის მეორე გვერდის შტოზე,—ჰერეთის სახლზე, რომლის წარმომადგენელიც იყო შოთა“[16].

შკვლევარი თავისი ჰიპოთეზის დასაბუთებას ძირშივე არასწორად გაგებული ფაქტიური მასალით ცდილობს. საქმე ისაშია, რომ ვეფხისტყაოსანში არსად არ არის ნათქვამი და არსაიდან არ ჩანს, რომ ტარიელი და ფარსადანი ერთი საგვარეულოს წარმომადგენლები ანუ ერთი გვარისანი იყვნენ. პირიქით, პოემა საწინააღმდეგო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. უფრო საფიქრებელია, რომ ტარიელსა და ფარსადან მეფეს შორის არავითარი ნათესაური კავშირი არ არსებობდა.

ტარიელი და ფარსადანი ერთი სამეფო გვარისანი, მით უმეტეს, ახლო ნათესავები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ, ჯერ ერთი, ნესტანსა და ტარიელს ცალ-ცალკე კი არ დაუწყებდნენ ზრდას, არამედ ერთად, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში. ცხობილია, რომ დავით სოსლანსა და თამარს რუსუდანი ერთად ზრდიდა. მეორე ის, რომ თუ ნესტანი და ტარიელი ახლო ნათესავები იქნებოდნენ, მათ მეტი სიახლოვის უფლება ექნებოდათ. გავიხსენოთ: ტარიელს ნესტან-დარეჯანის ნახვის უფლებაც კი არ ჰქონდა.

3. ფარსადანისა და სარიდანის ურთიერთ დამოკიდებულებიდან არ ჩანს, რომ ისინი ერთი და იგივე სამეფო გვარის წარმომადგენლები არიან. პირიქით, ვეფხისტყაოსანის სათანადო სტროფის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფარსადანი უფრო გაელენიანი, აღზევებული სამეფო გვარის წარმომადგენელი იყო, ვიდრე სარიდანი.

მაგალითად, 317-ე სტროფში ვკითხულობთ:

„თვით მეფემან მამა-ჩემი დაიჭირა სწორად თავსა.
თქვა: „ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ, ვისმცა ჰყავსა!“
ლაშქრობდის და ნადირობდის, აძლეცდიან მტერნი ზავსა.
მას არა ვჰგავ ასრე, ვითა მე სხვა კაცი არა მგავსა“[17].

16 ჰ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, 1963, გვ. 208.

17 საიუბილეო გამოცემაში, ჩვენი აზრით, შეცდომაა დაშვებული, რადგან იქ მხოლოდ მეორე სტრიქონია ბრჭყალებში ჩასმული. სინამდვილეში კი მომდევნო მესამე და მეოთხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ სტროფის პირველი სტრიქონიდან ჩანს, რომ თუმცა სარიდანი თავისი ტვარიშვილობით უფრო დაბალა იდგა ფარსადანზე, მაგრამ ეს უკანასკნელი მას, როგორც თავის სწორს, ისე ეპყრობოდა.

ისმის კითხვა, ეს თუ ასეა, მაშინ საიდან დაებადა პ. ინგოროყვას აზრი იმის შესახებ, რომ ტარიელი და ფარსადანი ერთი და იგივე სამეფო გვარის სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები არიან. ეს აზრი გამომდინარეობს ვეფხისტყაოსნის 318-ე სტროფის მეოთხე სტრიქონის მცდარი გაგებიდან.

აი, ეს სტრიქონიც: „მეფემ ბრძანა, შვილად გავზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა“. პ. ინგოროყვას ვეფხისტყაოსნის ეს ადგილი ასე ესმის: „რაკი ინდოეთის „შვიდთა სამეფოთა“ მეფე ფარსადანი უშვილო იყო და ტახტი უმემკვიდროდ რჩებოდა, ფარსადანმა გადაწყვიტა შვილად აეყვანა და თავის მემკვიდრედ გაეზარდა ტარიელი, რადგან ისიც „ჩემივე გვარისა არისო“[18].

საქმე იმაშია, რომ სიტყვა „გვარი“ კონტექსტში—„თვით ჩემივე გვარი არსა“—ნახმარია არა ნათესაური დამოკიდებულების, არამედ მსგავსების აღმნიშვნელად. ფარსადანი აქ ხაზს უსვამს ტარიელის მეფურ შთამომავლობას, ჩემსავით სამეფო გვარის წარმომადგენელიაო, ამბობს იგი.

ვეფხისტყაოსანში სიტყვა „გვარი“ ხშირად იხმარება მსგავსების მნიშვნელობით. მოვიყვანოთ მაგალითები: „თვით ჩემივე გვარი არსა“, 318,4; „ბინდის გვარია სოფელი“, 1090, 3; „მართ ვითა შენი გვარია“, 1648,2; „გვარად უცხონი ყვავილნი“, 1061, 3; „ქალი ჯდა კუშტ-გვარად“, 244,1; „ფერმიხდილ-გვარად ვშვენოდი ვარდი“, 473,3; „ასმათ დამსვა შორს-გვარად“ და სხვ.

რომ კონტექსტში—„თვით ჩემივე გვარი არსა“ სიტყვა „გვარი“ მსგავსსა ნიშნავს, იქიდანაც ჩანს, რომ „გვარი“ სახელობით ბრუნვაშია და არა ნათესაობითში (გვარისა). ეს უხეირხულობა, ეტყობა, იგრძნო ინგოროყვამ და ამიტომ თავის განმარტებაში დაწერა: „ჩემივე გვარისა არისო“.

ამის შემდეგ ცხადია, არავითარი საფუძველი აღარ რჩება შოთა რუსთაველისა და ტარიელის საგვარეულოების იგივეობის მტკიცებისათვის.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტიდან არ ჩანს, რომ ტარიელი და ფარსადანი ერთი და იგივე სამეფო შტოს წარმომადგენლები არიან და რომ ტარიელი თავისი გვარის მიხედვით, ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყოს. ამიტომ აღარავითარი ფასი არა აქვს დასკვნას იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის საგვარეულოს ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულო ისტორია“[19].

4. ჩვენი აზრით, მეცნიერულ საფუძველსაა მოკლებული, აგრეთვე, პ. ინგოროყვას ჰიპოთეზა იმის შესახებაც, რომ „ის, რასაც მოგვითხრობს ტარიელი თავისი ქვეყნისა და გვარის ისტორიის შესახებ წარმოადგენს სავსებით იმავე სურათს, რაც ჩვენ ვიცით შოთას საგვარეულო ისტორიისა და მისი სამშობლო მხარის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“[20].

აქ არ შეიძლება არ შევნიშნოთ ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ ისტორიულ წყაროებში სრულებით არაა შემონახული ცოტად თუ ბევრად პირ-

---

სტრიქონიც ფარსადანის სიტყვებია. ამიტომ ბრჭყალები სტროფის ბოლოში უნდა იქნას გადატანილი.

[18] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, გვ. 209.

[19] იქვე, გვ. 207.

[20] იქვე, გვ. 205 (ხაზი ჩემია, დ. ქ.).

დაბირი ცნობები გენიალური რუსთაველის შესახებ. ეს კარგად იცის თვით პავლე ინგოროყვამაც, როდესაც წერს: „შოთას ახალგაზრდობის წლების შესახებ ცნობები არ შემონახულაო“[21]. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც მოითითებს: „ზოგიერთ გარემოებათა გამო საფიქრებელია, რომ შოთას თავგადასავალი ბავშვობის წლებში იგივე უნდა ყოფილიყო, რაც ტარიელისა“. ამ წუხილით, ამ „ზოგიერთ გარემოებათა“ შესახებ არსად არაფერი არ გვამცნობს პატ. მკვლევარი. და ეს გასაგებიცაა, რადგან არავითარ „ზოგიერთ გარემოებათა შესახებ“ არსად არავითარი ცნობები არ არსებობს სინამდვილეში.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ მკითხველისათვის გვეჩვენებინა, თუ საიდან წარმოდგა პ. ინგოროყვას მცდარი დებულება ტარიელისა და ფარსადანის ერთი და იგივე სამეფო გვარისადმი კუთვნილების შესახებ და აქედან გამომდინარე ინდოეთის ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ ტარიელის გამოცხადების იდეა. ახლა კი ვნახოთ, რამდენად შეეფერება ეს შეშაირტება პავლე ინგოროყვას ვარაუდი იმის შესახებ, რომ შოთა რუსთველიც ბაგრატიონთა ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო და ისიც ტარიელივით იბრძოდა უახტისათვის.

არ არსებობს ისტორიული წყაროები, რომლის მიხედვით გიორგი მესამის, ანდა თამარის მეფობის დროს ყოფილიყო ვინმე შოთა. რომელსაც 16 წლის ასაკში, როგორც ტარიელს, ამირსპასალარობა ჰქონდა და აწარმოებდა ისეთსავე მნიშვნელოვან ომს, როგორსაც ვეფხისტყაოსნის მიხედვით ტარიელი აწარმოებს ხარკის ურჩი გადამხდელი ხატაეთის წინააღმდეგ.

საქართველოს მატიანეების მიხედვით, აგრეთვე, სრულიად არ ჩანს საქართველოს ტახტის ცოტად თუ ბევრად სერიოზული რომელიმე პრეტენდენტი, დემნა ბაგრატიონის გარდა. როგორც ცნობილია, დემნას განდგომა და მისი ბრძოლა ტახტისათვის საკმაოდ დაწვრილებითაა გადმოცემული იმდროინდელი ისტორიკოსების მიერ და რომ მსგავს რაიმე შემთხვევას ჰქონოდა ადგილი, ისინი უსათუოდ ამასაც აღნიშნავდნენ. აგრეთვე, არავითარი საბუთი არ არსებობს იმის შესახებ, რომ რუსუდანი თამარ მეფესთან ერთად, გარდა დავით სოსლანისა, სხვა ვინმეს ზრდიდა.

ახლა ვნახოთ, თუ რაზეა დაფუძნებული პ. ინგოროყვას ისტორიული პარალელი ნესტან-დარეჯანისა და თამარ მეფის იგივეობის შესახებ:

1. პროლოგში რუსთაველი თითქოს თამარ მეფეს ადარებს „ჯიქს—ვეფხს“, ვეფხისტყაოსანშიც ნესტან-დარეჯანი შედარებულია ვეფხვთან. აქედან გამომდინარე პ. ინგოროყვა ასკვნის: „ეს სიმბოლიკა თამარ ვეფხი-ჯიქი ხსნის პოემის იდეალური პერსონაჟების ვინაობას“[22]. ცოტა ქვემოთ კი მთელი კატეგორიულობით აცხადებს: „ამრიგად, ამ გამჭვირვალე ჩვენებათა მიხედვით ცხადი ხდება, რომ ნესტან-დარეჯანი წარმოგვიდგენს პოეტურ ასპექტში თამარს, ხოლო ტარიელი თვით შოთას. თამარი—ნესტან-დარეჯანი არის ჯიქი, მშვენიერი, მაგრამ განრისხებული ვეფხი, ხოლო პოეტს, თვით მისივე სიტყვით, „მიხდომია“ (?) ე. ი. წილად რგებია—„ველთა რბენა“, ველად გაჭრა ტარიელის მსგავსად. ამიტომაა, რომ ვეფხისტყაოსნის ერთ ძველ ინტერპოლაციაში შოთას ეწოდება „ტარიელის ძარი“.

„არ შეიძლება არ შევნიშნოთ ამასთან, რომ ძირითადი სახე ვეფხისტყაოსნისა,—შედარება თამარ—ნესტან-დარეჯანისა მშვენიერ, მაგრამ განრისხე-

---

21 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, გვ. 209.

22 იქვე, გვ. 202.

ბულ ვეფხთან, ჩანს, წარმოადგენს დიდი პირადი ტრაგედიის ნარჩდილს (?). პოეტსა და მის ორეულს ტარიელს თანა სდევს როგორც განუყრელი აჩრდილი და მწარე მოგონება მიჯნურთან უკანასკნელი შეხვედრისა, როდესაც იგი განრისხებული ვეფხის სახით წარმოუდგა (სტროფი 522)“[23].

ჩვენ აქ ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ მასში, ერთი მხრივ, დაშვებულია რამდენიმე ძალზე უხეში ფაქტობრივი შეცდომა, ხოლო, მეორე მხრივ, გვაქვს ვეფხისტყაოსნის ტექსტის არაზუსტი, დამახინჯებული ციტირების საშუალებით წინასწარ აკვიატებული აზრის დასაბუთების ცდა.

დავუშვათ, მივიღეთ პ. ინგოროყვასეული სიმბოლიკა და თამარი ჯიქად გამოვაცხადეთ, ხოლო ნესტან-დარეჯანი ვეფხვად, ეს სიმბოლიკა სრულებითაც არ გამოდგება ნესტან-დარეჯანისა და თამარის იგივეობის დასამტკიცებლად. პირველ, ეს სიმბოლიკა ამ აზრის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, რადგან, როგორც ჯიქი არ არის ვეფხვი, ასევე თამარი არ არის ნესტან-დარეჯანი, და ისეთივე განსხვავებაა მათ შორის, როგორიც ვეფხვსა და ჯიქს შორის. ამ ორ ცხოველს შორის კი არსებითი განსხვავება არსებობს. ჯიქი (леопард ) ვეფხვისაგან (тигр ) განსხვავდება, როგორც თავისი გარეგნობით, ისე შინაგანი ბუნებით, მიდრეკილებითა და ხასიათით. თუმცა ორივე ეს ცხოველი კატების ოჯახის წარმომადგენლები არიან, მაგრამ მათ შორის ისეთივე დიდი განსხვავებაა, როგორც, მაგალითად, თხასა და ცხვარსა, ცხენსა და სახედარს შორის... მათ შორის საერთო მხოლოდ ის არის, რომ ორივენი მტაცებელი ცხოველები არიან.

სულხან-საბა ორბელიანი წერს: „ჯიქი ვეფხს ჰგავს, უდიდეა, რომელსა სპარსნი ბაბრს უწოდებენ“[24]. ნიკო ჩუბინაშვილი კი ამ სიტყვას ასე განმარტავს: „ჯიქი (ოთხფ) ბაბრი, ვეფხსა ჰგავს და უდიდესია“[25].

ახლა ვნახოთ, თუ რამდენად სწორად აქვს გაგებული პ. ინგოროყვას ვეფხისტყაოსნის სიმბოლიკა ჯიქისა და ვეფხის მიმართ.

უპირველესად ყოველისა, განვიხილოთ მე-19 სტროფი, რომელშიაც რუსთაველი მხატვრული შედარებისათვის მიმართავს ჯიქს.

აი, ეს სტროფიც:

„ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია,
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიაო!
იგია ჩემი სიცოცხლე, **უწყალო ვითა ჯიქია;**
მისი სახელი შეფარვით **ქვემორე მითქვამს,** მიქია“.

რადგან ამ სტროფის სხვადასხვანაირი გაგება არსებობს, მოვიტანოთ რამდენიმე მათგანი.

ვახტანგ VI შემდეგ განმარტებას იძლევა: „ჩემი აწ. ანვერც მართლა ამ ზღაპრის თქმას მართლა თამარ მეფეს ადებს: რომ ბატონისათვის ვერ უკადრებია: და თუ კაცი გაუსინჯავს, არც თვითონ იდებს: და უბნობს ჩემი ახლა სცანითო: ვინც მიქია მას ვაქებო: ვითამ ღმერთი უქია და იმასვე ვაქებო და იმისი ქება დიდად სახელად მიმაჩნია და არც თავს გავიქქებო: განქიქება გაწბილებაა ჰქვიან მაგრამ თავის მეფისას უბნობს თავისი მეფე სიცოცხლედ

23 პ. ინგოროყვა, თხზ. კრ. I, გვ. 204.

24 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი. გვ. 469.

25 ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 277.

18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთქვამს: ასე სიცოცხლეა მეფე კაცთათვინ რომე იმითი რჩებიან და იმას დაფარვით უბნობს: *ეს ჩემი სიცოცხლე უწყალო არის ჩემთვის ვითა ჯიქი*: (ხაზი ჩემია—დ. ქ.). ჯიქი ბაბრია, რომე ამაზედ არ შემიწყალა რომე ღვთის ქების თქმა არ მიბრძანა: და ზღაპარს მალექსებსო და რადგან ასრე მოუნდა აწ იმას უბნობს ვისიც მიბრძანა იმათი სახელი ქვემოთ მითქვამს და შეფრქვევით მიქიაო: შევრქუევა ხშირად შეყრას რასმე ჰქვიან“[26].

ვახტანგ VI-ის ეს ინტერპრეტაცია შემდეგ აზრს ატარებს: მე, რუსთაველს, სასახელოდ მიმაჩნია *ღმერთის ქება*. მას მე ვაქებდი და ვაქებო, თუმცა ჩემი მეფე ჩემთვის სიცოცხლესავით ძალზე ძვირფასია, მაგრამ ჩემი სიცოცხლე მეფემ უწყალო ჯიქად აქცია იმის გამო, რომ მან ღმერთის ქების დაწერის ნაცვლად ზღაპრის გალექსვა მიბრძანა, რასაც იძულებით ვასრულებ და ქვემოთ მეფის მიერ დასახელებული გმირების ქებას ვამბობო.

ვახტანგ VI-ის ამ განმარტებაშიც იგრძნობა ის საერთო ტენდენცია რუსთაველის—„საღმრთო“ და არა „სამეძაო“ წიგნად გამოცხადებისა, რომელიც საერთოდ ახასიათებს მის კომენტარებს, მაგრამ მასში მაინც არის რამდენიმე საყურადღებო მომენტი.

პირველი: ვახტანგ VI სრულიად სწორად ესმის სიტყვა „ჯიქი“ და მას „ვეფხად“ არ მიიჩნევს, არამედ თარგმნის როგორც ბაბრს;

მეორე: სტრიქონი—„იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია“—სრულიად მართებულადა აქვს გაგებული, რადგან იგი წერს, რომ მეფე კი არ არის მისთვის უწყალო, როგორც ჯიქი, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევართ ესმით, არამედ „ეს ჩემი სიცოცხლე უწყალო არის ჩემთვის, როგორც ჯიქი“. როგორც ვხედავთ, აქ სიტყვა „ჯიქი“ „სიცოცხლის“ მსაზღვრელადაა მიჩნეული და არა მეფის ეპითეტად.

მეორე ცდა ზემომოტანილი მე-19 სტროფის განმარტებისა ეკუთვნის თეიმურაზ ბაგრატიონს, რომელიც, სამწუხაროდ, იძლევა მხოლოდ ცალკეული სიტყვების განმარტებას და მთლიანად კონტექსტის თარგმნას გვერდს უვლის.

თეიმურაზ ბარგატიონი წერს: „26 — 19 ეს სტიხი მაჯამათი არის თქმული. *მიქია*—ქებას ნიშნავს, ანუ ქებულებას.

2. *გამიქიქია* — განქიქება. უკუწბილება, დიდად შერცხვენა და დაკრთომა და განკიცხვა.

3. ჯიქი—ტიგრი, რომელიც სასტიკი ცხოველი არის მხეცთაგანი, საქართველშიაც იპოვება ეს მხეცი. ჯიქი ქართული სახელი არის“[27].

აქ მოტანილი განმარტებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს სიტყვა „ჯიქის“ თეიმურაზისეული გაგება. აქ დიდმა მკვლევარმა რატომღაც საკმაოდ უხეში შეცდომა დაუშვა. მან ჯიქი და ვეფხვი ერთ და იმავე ცხოველად მიიჩნია, რაც სრულიად უმართებულოა. შეიძლება, აქ უნდა ვეძიოთ სათავე იმ უხეში შეცდომებისა, რომელიც შემდგომში დაუშვეს ამ მიმართულებით რუსთაველის კომენტატორებმა და მთარგმნელებმა. ასე მაგალითად, იუსტინე აბულაძე ვეფხისტყაოლექსიკონში, რომელიც მან დაურთო თავის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანს, წერს, „ჯიქი 20—აფთარი, ვეფხვი“. სინამდვილეში ეს სამი სრულიად

---

26 *შოთა რუსთაველი*, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა, 1712, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, გვ. სჟთ.

27 *თეიმურაზ ბაგრატიონი*, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 11, 12.

განსხვავებული ცხოველია: ჯიქი არის ლათინურად pardus, რუსულად леопард. აფთარი ლათინურად Hyaena, რუსულად гиена, ვეფხვი კი ლათინურად tigris, რუსულად тигр.

დიდი მეცნიერი კორნელი კეკელიძე მე-19 სტროფის შემდეგ განმარტებას იძლევა. იგი, მართალია, არაფერს ამბობს ამ სტროფის მეორე და მესამე სტრიქონების შესახებ. მაგრამ სამაგიეროდ, იძლევა პირველი და მეოთხე სტრიქონების ინტერპრეტაციას და ამტკიცებს, რომ ვეფხისტყაოსანი თუმცა თამარის სადებრადაა დაწერილი („მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია“. 19. 4.), მაგრამ პირველი სტრიქონი ვითომ მიგვითითებს, რომ ეს ქება, ანუ ვეფხისტყაოსანი მისი—თამარის, სიკვდილის შემდეგაა დაწერილი. ამ აზრის განსამტკიცებლად პატივცემულ მკვლევარს დასჭირდა გაეზიარებინა ამ სტროფის პირველი სტრიქონის მარისეული წაკითხვა—„ჩემი აწ სცანით ყოველთა: მას ვაქებ, ვინ ცამ იქია“[28].

აკად. კორნელი კეკელიძის ინტერპრეტაციის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მთლიანობაში კი არ იხილავს მთელ მე-19 სტროფს, არამედ ყურადღების გარეშე ტოვებს მე-2 და მე-3 სტრიქონებს და მხოლოდ მე-4 სტრიქონს განიხილავს. ამ განმარტებიდან ერთი დასკვნაც კეთდება. რაკი აკად. კორნელი კეკელიძე თვლის, რომ ამ სტროფში ცოცხალ თამარ მეფეზე არ არის ლაპარაკი, მაშასადამე, იგი იზიარებს იმ აზრს, რომ მასში დიდი თამარი ჯიქად არ არის მოხსენიებული[29].

აკად. შ. ნუცუბიძე ვეფხისტყაოსნის რუსულ თარგმანში (მე-19 სტროფი) ჯიქს თარგმნის ძუ ვეფხვად (тигрица) და მას მიიჩნევს თამარის ეპითეტად[30]. ამავე დროს იგი ვეფხისტყაოსნის შესავალს უყურებს არა როგორც საკუთრივ პოემის პროლოგს, არამედ როგორც ავტობიოგრაფიულ ნარკვევს. მისი აზრით, პროლოგში ისე, როგორც ეპილოგში, მეტია პირადი ელემენტი, რადგან, აქ ავტორს შეეძლო თავისუფლად ელაპარაკა თავის თავზე. ამ დებულებიდან გამომდინარე, შ. ნუცუბიძე შესავლის ყოველ სტროფში და კერძოდ, მე-19 სტროფშიც, ხედავს ბიოგრაფიულ ელემენტებს რუსთაველისა და თამარ მეფის ინტიმური გრძნობებისა და დამოკიდებულების ასახვას[31].

დავუბრუნდეთ პ. ინგოროყვას შეხედულებას აღნიშნულ საკითხებზე. იგი თავისი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, რომლის მიხედვით თამარი ნესტან-დარეჯანია, ხოლო ტარიელი—შოთა, მკვლევარს შრომაში მოტანილი აქვს სამი სტროფი პოემის შესავლიდან შემდეგი სახით:

4. „თამარს ვაქებდე მეფესა,—სისხლისა ცრემლ-დათხეული!
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული:
მელნად ვიხმარე გიშრის ტბა, კალმად—მე, ნაი რხეული!
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.
თვალთა მისგან უნათლოთა ენატრამცა ახლად ჩენა:
აჰა, გული გამიჯნურდა, მიმხდომია ველთა რბენა!
მიაჯნეთ, ვინ ხორცთა დაწვად. კმა არს, მისცეს სულთა ლხენა:
სამთა ფერთა საქებელთა ღამის ლექსთა უნდა ვლენა.

[28] ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 149.
[29] იქვე.
[30] Ш. Руставели, Витязь в тигровой шкуре, перевод Ш. Нуцубидзе, გვ. 30.
[31] Ш. Нуцубидзе, Творчество Руставели, Тб., 1958, გვ. 227.

19.

ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინ ცამ იქია,
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი განმიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია!
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია".

პ. ინგოროყვას მიერ ამ სახით მოტანილი ტექსტი, როგორც პუნქტუაციის მხრივ, ისე ცალკეული სიტყვებითაც განსხვავდება ვეფხისტყაოსნის არა მარტო 1937 წლის საიუბილეო გამოცემისგან, არამედ თვით პ. ინგოროყვას მიერ 1953 წელს გამოცემული ვეფხისტყაოსნისგანაც. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, რომელი მათგანია უფრო სარწმუნო, არ ვიცით, რომელს უფრო დაეჯერება, ინგოროყვა—გამომცემელს, თუ ინგოროყვა—ვეფხისტყაოსნის კომენტატორს. მაგალითად, მის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსნის მე-4 სტროფის პირველ სტრიქონში ვკითხულობთ „თამარს ვაქებდეო", ხოლო „რუსთველიანში" ეს ადგილი უკვე პირველი პირის მხოლოობით რიცხვშია ნახმარი—„თამარს ვაქებდე", ასევე მე-10 სტროფის მეორე სტრიქონში პირველ შემთხვევაში იკითხება „მიჰხდომია ველთა რბენა", ხოლო „რუსთველიანში" წერია „მიჰხდომია ველთა რბენა". აქაც სიტყვა „მიჰხდომია" წარმოდგენილია პირველ პირში—„მიმხდომია"-დ. პ. ინგოროყვა შეეცადა შეეცვალა მე-19 სტროფის პირველი სტრიქონის—„ვინცა მიქია"—„ვინ ცამ იქია"-თი. თუმცა თავის გამოცემულ ვეფხისტყაოსანში ტრადიციული „ვინცა მიქია" არის დატოვებული.

რაც შეეხება სასვენ ნიშნებს, ამ მხრივ დასახელებულ სტროფში, აგრეთვე, დიდ ორეულობასთან გვაქვს საქმე. ინგოროყვა მძიმეებს, წერტილებს, წერტილმძიმეს, ორწერტილს, ტირეს ძალზე თვითნებურად ხმარობს.

პ. ინგოროყვამ ზემოდასახელებული სამი სტროფი: მე-4, მე-10 და მე-19 ამოიღო რუსთაველის მიერ მათთვის მიჩენილი ადგილიდან, დაარღვია სტროფთა თანმიმდევრობა და ერთმანეთს გვერდში ამოუყენა. ამით მან იმას მიაღწია, რომ ამ სტროფებმა დაკარგეს აზრი, რომელიც მათ ჰქონდათ კონტექსტში თავთავის ადგილას.

თავთავის ადგილას ამ სტროფების განხილვის აუცილებლობა კარგად გვიჩვენა პროფ. ვუკოლ ბერიძემ თავის წერილში—„ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ ვინცა მიქია" სტროფის შესახებ ვეფხისტყაოსანში". ვ. ბერიძე წერდა: „ეს სტროფი უნდა იქნას განხილული მის წინ მოთავსებულ სტროფებთან მჭიდრო კავშირში, სადაც ლაპარაკია შაირობის შესახებ»[32].

ამის შემდეგ პ. ინგოროყვა მე-19 სტროფის ასეთ გაგებას გვთავაზობს: „ჩემი აწ სცანით ყოველმან, მე ვაქებ მასვე, ვისაც ვაქებდი,—ზეციურ მნათობს, თამარს. ეს კი არის სამარადისო ძეგლი სხეულისა, აქ არ არის შეურაცხება. იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქი (განრისხებული მშვენიერი ქეფხი). მისი სახელი შეფარვით არის დასახული და ნაქები ქვემორე (ვეფხისტყაოსანში).

ასეთია ტრაგიკულის გრძნობით გამსჭვალული პოეტის სიტყვები. შოთა ადარებს თამარს—ჯიქს, მშვენიერს, მაგრამ განრისხებულს ვეფხს, იგი ამბობს თამარის შესახებ:

„იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია!"

მაგრამ შოთა ამბობს ამაზე მეტსაც. პოეტი გადმოგვცემს, რომ თვით ვე-

[32] ვუკოლ ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961, გვ. 267—281.

ფხისტყაოსანი შთაგონებულია თამარის სახით, რომ ქვემორე (ე. ი. ვეფხის-ტყაოსანში) განსახიერებულია თავადი:

„ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინ(ცა-მ)იქია.
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია,
მისი სახელი შეფარვით ქვემორე (ე. ი. პოემაში) მითქვამს, მიქია[33].

აქედანაც კარგად ჩანს, რომ პ. ინგოროყვას ვეფხი და ჯიქი ერთი და იგივე ცხოველი ჰგონია, მაგრამ, რომ არავითარი ეჭვი აღარ დარჩეს, მოვიტანოთ კიდევ ადგილი „რუსთველიანადან“.

პ. ინგოროყვა წერს: „უწყალო ვითა ჯიქია“ (სტროფი მე-4, ტაეპი მე-3), ჯიქი, ე. ი. მშვენიერი, მაგრამ შეუბრალებელი, გამწყრალი ვეფხი“[34].

მე-19 სტროფის პირველ სტრიქონს პ. ინგოროყვამ რატომღაც დაუმატა „ზეციურ მნათობს, თამარს“. შემდეგ, მეორე სტრიქონის პირველ ნახევარში რუსთაველის მიერ სრულიად ნათლად და გასაგებად გამოთქმული აზრი—„ესე ჰიჩნს დიდად სახელად“ (ეს მე მიმაჩნია უაღრესად სასახელო საქმედ) დაახბნელა და ბუნდოვანი გახადა იმით, რომ შეიტანა სიტყვები—„სამარადისო ძეგლი სახელისა“. რუსთაველს ამ სტროფში არც „სამარადისო“ აქვს ნახსენები, არც „ძეგლი“ და მით უმეტეს, „სახელის ძეგლი“ (!).

ამავე სტრიქონის მეორე ნახევარი—„არ თავი გამიქიაა“ პ. ინგოროყვას გაგებული აქვს, როგორც „ჩემ არ არის შეურაცხება“. აქაც ტექსტის არასწორ გაგებასთან და დამახინჯებასთან გვაქვს საქმე. რადგან ეს ადგილი ბრწყინვალედ და მართებულად აქვს განმარტებული პროფ. ვუკოლ ბერიძეს, ჩვენ აქ ამაზე არ შევჩერდებით, მხოლოდ გავმეორებთ მის ნათქვამს: „ესე მიჩნს დიდად სახელად—პირველ ნახევარში, ხოლო მეორე ნახევარში ეგევე დებულება დამტკიცებულია უარყოფითი კონსტრუქციით: თავი არ გამიქიაა, ე. ი. დიდი სასახელო საქმე ჩავიდინე, თავი არ შემირცხვენიაო“[35].

მესამე სტრიქონში რუსთაველის მიერ ნახმარი სიტყვა ჯიქი ინგოროყვას გადმოუღია ახალ ქართულზე, როგორც ვეფხვი (განრისხებული, მშვენიერი ვეფხი).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მესამე სტრიქონის მიმართ პ. ინგოროყვას ორი ძალზე უხეში შეცდომა აქვს დაშვებული: პირველი—ჯიქი და ვეფხი ერთი და იგივე ჰგონია და მეორე, ჯიქი მას თამარ მეფის მიმართ თქმულ ეპითეტად მიუჩნევია, რაც, ცხადია, ტექსტის დამახინჯებაა.

რამდენად დასაშვებია, რომ რუსთაველს თამარ მეფე ჯიქთან შეედარებინა და ეთქვა, რომ თამარ მეფე უწყალოა, თუნდაც პოეტის მიმართ, როგორც ჯიქი?

როდესაც ესა თუ ის მწერალი მხატვრული შედარებისათვის ცხოველს ან რაიმე მოვლენასა და საგანს მიმართავს, ამ შემთხვევაში მას მხედველობაში აქვს ხოლმე ასახვის ობიექტისა და მხატვრულ განსაზღვრებად გამოყენებული საგნისთვის დამახასიათებელი საერთო ნიშანი. რუსთაველიც მხოლოდ ამ აზრით მიმართავს ხოლმე შედარებებს, რომელთა საშუალებითაც ემოციურად და ნათლად წარმოადგენს ასახვის ობიექტს. ჯიქი, მართლაც, სხვა მტაცებლებისაგან, მათ შორის ვეფხისაგანაც განირჩევა თავისი შეუპოვრობით, მოუთვინიერებლობით და იგი, მართლაც, უწყალოა. ჯიქი ქართულ ენაში დიდი ხანია უჩრობის, გაუგონრობის, სიკერპის, მოურიდებელი დაპირისპირების საყოველ-

---

33 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, გვ. 202.

34 იქვე, გვ. 64.

35 ვ უკ. ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, გვ. 280.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თათ სახელად იქცა. მაგალითად, ნიკო ჩუბინაშვილს ასე აქვს ახსნილი სიტყვა „ჯიქი“: „ჯიქი, კერპი, ურჩი, გაუგონარი, დაუჯერებელი, უარშიო, болван, упрям, грубян[36]. ხოლო სულხან-საბა გვამცნობს: „ჯიქურ პირის-პირ“[37]. რომ სიტყვები „ჯიქი“, „ჯიქურ“, „გაჯიქდა“ ნაწარმოებია მტაცებელი ცხოველის ჯიქისგან, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ცხოველთა სამყაროს ბრწყინვალე მცოდნე და მკვლევარი, დიდი მეცნიერი ბრემი ჯიქის დახასიათებისას წერს, რომ ამ ცხოველის მოთვინიერება შეუძლებელია, რომ მან უკან დახევა არ იცის, შეუპოვარი და პირდაპირია.

ისმის კითხვა, შეეძლო თუ არა რუსთაველს, განევრცო ჯიქის ეს თვისებები და მით უმეტეს, მისი უწყალობა, თამარ მეფეზე. არ შეეძლო და აი, რატომ: ჯერ ერთი, თამარი იყო მეფე და ქვეშევრდომი ვერ შეჰკადრებდა მეფეს და ისიც ქალს ასეთ რამეს, მაშინ როდესაც საქართველოს მატიანეებში ყველა მეფე, მათ შორის ყველაზე უმოწყალოებიც, მოწყალე მეფეებად არიან გამოცხადებულნი და მოწყალება მეფისათვის უპირველესი დადებითი ნიშანია. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი ქართლის ცხოვრებიდან. „ხოლო გიორგი მეფე იყო მოწყალე და განმკითხველი გლახაკთა“[38]. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე დემეტრე მეფის შესახებ წერს: „...სიმაღლესა და სიმდიდრესა შინა მდაბალი, და გლახაკთა მოწყალე, ობოლთა და ქვრივთა განმკითხველი“[39]. გიორგი III-ის შესახებ კი ვკითხულობთ: „დაჯდა მეფედ გიორგი უმაღლესი ყოველთა მეფეთასა, მძლე და მორჭმული მტერთა და შეცოდებულთათვის, კეთილის მსახური ღმერთისა, საყდართა, ეპისკოპოსთა, მეუდაბნოვეთა, მღვდელთათვის კეთილისმყოფელი იყო და უკადრი შეცოდებისა დიდთა და ცოტათაგან, გლახაკთა და ქვრივთათვის მოწყალე იყო და ერთგულთათვის უხვი და მბოძებელი იყო“[40]. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეც თამარ მეფეს ახასიათებს, როგორც მოწყალე მეფეს: „ვაზირთა მისთა და ლაშქართა განურისხებელი, ღირსთათვის მშობლიურთა წყალობათა მიმფენელი და (ეგზომ), რომელ მისსა სამეფოსა შინა ერთიცა მსახურიცა არ განპატიჟებულა, თვინიერ გუზან ტაოსკარელისაგან კიდე: მას თვალნი დასწვნეს. გაღმა გასული სპარსეთს ზაქარია ასპანის ძემან შეიპყრა და დარბაზს მოგუარეს“[41].

როგორც ვხედავთ, ამ ისტორიულ წყაროში ხაზგასმულია ის, რომ თამარი „წყალობათა მომფენელი“, „განურისხებელი“ იყო. მემატიანე აღნიშნავს მხოლოდ ერთ შემთხვევას, როდესაც მოღალატე დასაჯეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა გვაქვს თამარის არც ერთი ისტორიკოსის ჩვენება იმის შესახებ, რომ რომელიმე კარის პოეტი განდევნილი ანუ ექსორიაქმნილი ყოფილიყო. თუ პ. ინგოროყვას ვარაუდი მართალია, რომ რომელიმე პოეტი და ისიც ბაგრატიონთა შთამომავალი თამარს განედევნა, ამის შესახებ უსათუოდ იქნებოდა რაიმე ცნობები შემორჩენილი მატიანეებში.

თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარიც აღნიშნავს, რომ თამარი, პირველყოვლისა, მოწყალე იყო: „და სიბრძნითა განმგებითა თვისითა პირველად ყოველთა ზედა დასხნა წყალობა უხუებით, რათა ჟამთა ერთნი ერ-

36 ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 477.

37 სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი, გვ. 769.

38 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 315.

39 იქვე, გვ. 365.

40 იქვე, გვ. 367.

41 იქვე, გვ. 368.

თგულებით მადლიერობდნენ, ხოლო მეორენი უსიტყვოდ იყვნენ მიგებისათვის სამართლისა“[42].

საინტერესოა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან“-ის ერთი ცნობა. აქ ვკითხულობთ: „და შეიქმნა მშვიდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს“ და „ერთბაშად ძოგდეს ლომი და ხარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთანა თანა, და მგელი ცხვართა თანა. განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ზედა პირისა ქუეყანისასა“[43].

აკად. ივანე ჯავახიშვილი თამარის ხასიათის შესანიშნავ თვისებას ასე გადმოგვცემს: „თამარი არასდროს არ სჯიდა მკაცრად დამნაშავეებს, არ ამტკიცებდა სასიკვდილო განაჩენებს..., სასამართლოს განაჩენს „მოწყალებით“ არ ამტკიცებდა და ამ გზით ყველა ამგვარის სასჯელები გააუქმა და მოსპო, „შეწყალებული“ დამნაშავენი კი მსუბუქად ისჯებოდნენ“[44]. ამის შემდეგ როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ შოთა რუსთაველს, თამარის თანამედროვეს, სათნოების განსახიერებისათვის—დიდი თამარისათვის ჯიქი ან ეფხვი ეწოდებინოს!

მაგრამ ვინმემ შეიძლება თქვას, რომ თამარი „შემწყალებელი“, „მოწყალე“ იყო სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში, ხოლო პირად საქმეებში, განსაკუთრებით, თუ ეხებოდა მის ქალურ ღირსებებს, „უმოწყალო იყო, როგორც ჯიქი“. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ მხრივაც თამარ მეფე საოცრად მოწყალე იყო. გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება გიორგი რუსთან, რომელმაც ესოდენ დიდი ტკივილები მიაყენა თამარს.

ივანე ჯავახიშვილი წერს: „როდესაც გიორგი რუსის სოდომური ცოდვა გამომეღავნდა..., გიორგი რუსის ბედიც გადაწყდა და თუმცა „მოწყალისა და ბაურისხებელის“ გულის პატრონს თამარს ეცოდებოდა „უბედური რუსი“, მაგრამ მაინც „ცრემლმდინარობისა შინა თამარისა“ იგი მაინც საქართველოდან გააძევეს და „წარიყვანეს ეგსორია ქმნად“. თამარ მეფემ „აურაცხელითა ლარითა, სიმდიდრითა და საჭურჭლითა“ დატვირთული გაისტუმრა იგი საქართველოდან“[45].

როგორც ვხედავთ, აქაც ხაზგასმულია, რომ თამარს მოწყალე და გაურისხებელი გული ჰქონდა. ისმის კითხვა, თუ სოდომური ქცევისათვის, მეფის კარის, დიდებულების და თვით დიდი თამარის შეურაცხყოფისათვის გიორგი რუსი მხოლოდ საქართველოდან განდევნით დასჯეს და ისიც დიდი პატივით გაისტუმრეს, მაშინ ისეთი რა უნდა ჩაედინა კარის პოეტს, რომ ის უწყალოდ დაესაჯათ?

პ. ინგოროყვას აზრით, მას მანიქეველური ნაწარმოები „ქებანი“ შეუქმნია და ეს გამხდარა მისი განდევნის მიზეზი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მკვლევარმა თავის სქელტანიან წიგნში ვერ შესძლო შოთას განდევნის მიზეზთა ცოტად თუ ბევრად დამაჯერებლად ჩვენება. ჩვენ დიდ მეცნიერს კ. კეკელიძეს პ. ინგოროყვას არგუმენტების მთელი უსაფუძვლობა კარგად აქვს ნაჩვენები და ამიტომ ჩვენ აქ მათზე არ შევჩერდებით[46].

---

42 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 117.

43 იქვე, გვ. 54—55.

44 ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 293—294.

45 იქვე, გვ. 293—294.

46 კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IX, 1963, გვ. 207—231.

„უწყალოს“ საპირისპირო ცნებაა „მოწყალე“ და როგორც ზემოთ დავინახეთ, თამარის მიმართ ყველგან ხაზგასმულია სიტყვა „მოწყალე“. შოთა რუსთაველი ვერ გაბედავდა თამარისათვის ეწოდებინა „უწყალო ჯიქი“, მით უმეტეს, მან კარგად იცოდა, რომ მეფის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია წყალობა, მოწყალება. აკი იგი როსტევან მეფის დახასიათებისას წერს: „მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი“. როსტევან მეფე თვითონაც მოწყალე მეფედაა გამოყვანილი და თავის ასულსაც ასწავლის, იყოს მოწყალე. „დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების“— არიგებს როსტევანი თინათინს მეფედ კურთხევის დროს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სრულიად გამორიცხულია, რომ შოთა რუსთაველს თამარ მეფისათვის მიემართა სიტყვებით—„უწყალო, ვითა ჯიქია“. შემდეგ მოსაზრებათა გამო: 1. შოთა რუსთაველი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, ვერ გაბედავდა ასეთ მიმართვას მეფე-ქალისადმი. ეს იქნებოდა იმდროინდელი ეთიკეტის დარღვევა და მეფის პიროვნების შეურაცხყოფა. 2. მეფეებს, როგორიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, მით უმეტეს სათაყვანებელ მეფეებს. ყოველთვის ახასიათებდნენ, როგორც „მოწყალეს“. ეს კარგი მეფის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია. 3. შოთა რუსთაველმა კარგად იცოდა სამეფო კარის ეთიკეტი და ამიტომ იგი ვეფხისტყაოსანში მეფის ერთ-ერთ დებით თვისებად თვლის „მოწყალებას“. 4. თამარ მეფე ყველა ისტორიული წყაროს მიხედვით, უაღრესად მოწყალე მეფე იყო და მისთვის სრულიად შეუფერებელია ისეთი ეპითეტი, როგორიცაა „უწყალო, ვითა ჯიქია“.

ახლა ისმის კითხვა, თუ ეპითეტი „უწყალო, ვითა ჯიქია“ არ შეიძლება თქმულიყო თამარ მეფის მიმართ, მაშინ ვის ან რის მიმართაა იგი თქმული და როგორ უნდა გვესმოდეს მე-19 სტროფის ეს სადავო ადგილი?

ახალ ქართულზე ეს სტროფი ასე გამოიყურება: ახლა კი ყველამ გაიგეთ, რომ მე ვაქებ იმას (თამარს), ვინც მყავს შეჭებული, და სხვას არავის. ეს არ არის თავის ტყუილად მოცდენა. ეს მე მიმიხნია უაღრესად სასახელო საქმედ. ამაშია ჩემი სიცოცხლე უწყალო, როგორც ჯიქი. მისი სახელი ქვემოთ (ვეფხისტყაოსანში) შენიღბულად მაქვს მოხსენიებული, შემკობილი და განდიდებული. აზრის მიხედვით ეს სტროფი კონსტრუქციულად ასე უნდა იყოს დალაგებული: პირველი და მეოთხე სტრიქონი ერთ მთლიან განუყოფელ აზრს წარმოადგენს—ახლა კი ყველამ გაიგეთ, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ თამარის ქებას ვამბობ და მისი სახელი ქვემოთ ვეფხისტყაოსანში შენიღბულად მაქვს მოხსენებული, შემკობილი და განდიდებული. პირველ და მესამე სტრიქონებს შორის ჩვენ გვაქვს ჩართული წინადადება. რომელიც ლოგიკურად უნდა იყოს მეოთხე სტრიქონის შემდეგ. ეს (თამარის ქება, ვეფხისტყაოსანი) დიდ სასახელო საქმედ მიმაჩნია და არა თავის განქიქებად (ტყუილად მოცდენად და შერცხვენად), ამაშია მთელი ჩემი ცხოვრების, სიცოცხლის არსი, ჩემი სიცოცხლისა. რომელიც უწყალოა, როგორც ჯიქი.

მაშასადამე, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ შედარება „უწყალო, ვითა ჯიქია“ ეკუთვნის სიცოცხლეს. მაგრამ, აქ ისმის კითხვა: რას თვლის პოეტი თავის სიცოცხლედ: თამარ მეფეს—თავისი შეჭების ობიექტს, თუ იმ ქებას, რომელსაც იგი წერს, იმ ნაწარმოებს, რომელიც მან შექმნა, ანუ ვეფხისტყაოსანს? მე-19 სტროფის შესავლის სხვა სტროფებთან კავშირში განხილვა გვარწმუნებს იმაში, რომ „იგია ჩემი სიცოცხლე“ ეხება სწორედ პოეტის შემოქმედებას. მე-19 სტროფი დამაგვირგვინებელი და შემაჯამებელია იმ მსჯელობისა მაირობის.

პოეზიის შესახებ, რომელსაც შოთა რუსთაველი აწარმოებს მე-12 სტროფიდან მოყოლებული მე-19 სტროფამდე.

გავიხსენოთ, რაზეა ამ სტროფებში ლაპარაკი. მეთორმეტე სტროფში რუსთაველი ახასიათებს შაირობას ანუ პოეტურ ხელოვნებას, როგორც სიბრძნის ერთ-ერთ დარგს და ხაზს უსვამს მის სამ დამახასიათებელ ნიშანს: სასარგებლოა მსმენელთათვის, სიამოვნების მომგვრელია და მოვლენების ლაკონურად, სხარტად ასახვის საშუალებაა. მე-13 და მე-14 სტროფებში რუსთაველი ლაპარაკობს, რომ პოეტური ხელოვნება პოეტისაგან მოითხოვს დიდ დაძაბულობას, ამტანობას. მე-15 სტროფში განსაზღვრულია, თუ ვის აქვს უფლება თავის თავს მოშაირე ანუ პოეტი უწოდოს. დიდი შოთას აზრით, მოშაირე ის არ არის, ვინც ხან ერთს იტყვის, ხან მეორეს, რომელსაც არ გააჩნია ერთი, გარკვეული ხაზი. მე-16 სტროფში დასახელებულია მცირე ფორმის პოეტური ქმნილებები და გამოთქმულია ამ ნაწარმოებებისადმი შოთას უარყოფითი დამოკიდებულება. მე-17 სტროფში ლაპარაკია მსუბუქ პოეზიაზე, ისეთ პოეტურ ნაწარმოებებზე, რომელნიც ადამიანთა გასართობად არიან განკუთვნილი. მე-18 სტროფი უპირისპირდება მე-15 სტროფს. რაც ამ უკანასკნელში გამოთქმულია ნეგატურ ფორმაში, პოზიტურად არის გადმოცემული მე-18-ში, რადგან ეს სტროფი უშუალოდ წინ უსწრებს სადაო სტროფს და რადგან იგი საკმაოდ ძნელ გასაგებ ადგილად ითვლება ვეფხისტყაოსანში, გავაკეთოთ მისი თარგმანი ახალ ქართულზე:

მელექსემ თავისი მძიმე პოეტური შრომის ნაყოფი (ნაჭირვები)[47] უმიზნოდ კი არ უნდა შექმნას (აბმკობდეს), არამედ ერთი მისწრაფებით, ერთი რაიმესადმი ან ვინმესადმი ტრფიალით, სიყვარულით უნდა იყოს გამსჭვალული და მთელი თავისი ხელოვნება მის, ამ ერთის სამსახურს უნდა შეალიოს, მას უნდა ადიდებდეს, მას უნდა ამკობდეს. ამის მეტი მას სხვა სურვილი არ უნდა ჰქონდეს, მან მხოლოდ ერთს უნდა უმღეროს. როგორც ჯედავთ, სტროფში შოთა ლაპარაკობს პოეტური ქმნილების მთლიანობაზე, ერთიან მიზანდასახულებაზე. საერთოდ კი, წინა სტროფებში მე-12 სტროფიდან მოყოლებული, ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული შემოქმედების ნაყოფზე, პოეტურ ქმნილებაზე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პოეტურ შემოქმედებას რუსთაველი ადარებს „დიდ რბევას“, აცხადებს „საჭიმანებ“ საქმედ, „დიდ გმირობად, „ნაჭირვებად“ და სხვა. მე-19 სტროფშიც პოეტური შემოქმედება მთელი სიცოცხლის ფასად მიაჩნია, ისეთი სიცოცხლის, რომელიც უწყალოა, როგორც ჯიქი, ანუ ძნელად დასამორჩილებელი, შეუპოვარი, კერპი, დაპირისპირებული დანარჩენი მოვლენებისადმი და ასე შემდეგ.

ამრიგად, „იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია“ თამარის მიმართ კი არ არის ნათქვამი, როგორც ეს პ. ინგოროყვას ესმის, არამედ პოეტური შემოქმედების მიმართ, რომელიც უკომპრომისოდ მთელი მისი სიცოცხლის არსს წარმოადგენს.

ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველსაა მოკლებული ჰიპოთეზაც იმის შესახებ, რომ შოთას და ტარიელის სავგარეულოების ისტორიებს შორის იგივე-

---

47 „ის, რაზედაც ადამიანს დიდი ჭირი უნახავს, რასაკვირველია, „ნაჭირნახულევი“, ან შემოკლებით „ნაჭირვები“ იქნებოდა. ზემოჩოტანილი ამონაწერი ცხადყოფს, რომ „ნაჭირვები“ უხმარის სახმარად გახდასა და ბიწის პირველად დამუშავება-გაშენებას ჰკულისხმობდა“. (იხ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 405).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობა არსებობს. შოთასა და ტარიელის თავგადასავლებს შორის განსხვავება იმდენად დიდია, რომ მათ იგივეობაზე ლაპარაკი სრულიად შეუფერებელია.

პავლე ინგოროყვა, შემთხვევითი მსგავსების წინა პლანზე წამოწევით, ცდილობს ვეფხისტყაოსნის გმირებისა და ისტორიული პირების და თვით ავტორის იგივეობა დაამტკიცოს. ამ მსგავსების ძიებით გატაცებული, იგი სრულიად უგულებელყოფს იმ დიდ განსხვავებას, რომელიც არსებობს, მაგალითად, შოთა რუსთაველსა და ტარიელს შორის, თამარ მეფესა და ნესტან-დარეჯანს შორის, გიორგი მესამესა და ინდოეთის მეფე ფარსადანს შორის (ეს განსხვავება კი იმდენად დიდია და იმდენად არსებითი, რომ გამორიცხავს ყოველგვარ ანალოგიებს ისტორიულ პირებსა და პოემის გმირებს შირის) და ავიწყდება, რომ შოთა რუსთაველი შემოქმედია, ტარიელი კი მისი ქმნილება, მისი პოეტური შთაგონების ნაყოფი და მათ შორის ამიტომ ყოველგვარი ანალოგია გამორიცხულია. თამარ მეფე შოთა რუსთაველის ქებისა და განდიდების საგანია, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, ნესტან-დარეჯანი კი მხატვრული სახე რუსთაველის მიერ შექმნილი: კ. კეკელიძემ სრულიად სამართლიანად გაილაშქრა ანალოგიებისა და ისტორიული პარალელების მოყვარულ მკვლევართა წინააღმდეგ. მან გვიჩვენა, რომ „ნამდვილი, არსებითი პარალელები და ანალოგიები არსად, არც ერთს ჰიპოთეზაში არა გვაქვს, შემთხვევითი მსგავსებანი კი სხვა ნაწარმოებებშიაც შეიძლება იპოვოს ადამიანმა, განსაკუთრებით, თუ ისეთ ძალადობას ვიხმართ შედარებისას, როგორც ამას მოყვანილ მოსაზრებათა ავტორები იჩენენ“. კორნელი კეკელიძის ეს შეფასება, გამოთქმული დ. ჩუბინაშვილის, ს. ქვარიანის, მ. ჯანაშვილის და სხვათა მიმართ, მთლიანად შეიძლება განვავრცოთ პ. ინგოროყვას მიერ შექმნილ ისტორიულ პარალელებზეც. პავლე ინგოროყვას ჰიპოთეზის უსუსურობა მთელი სიცხადით ჩანს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვითვალისწინებთ, თუ რა დიდი განსხვავებაა იმას შორის, რაც ვიცით გიორგი III, თამარ მეფის შესახებ და რაც არის ნათქვამი ვეფხისტყაოსანში ფარსადანზე, ნესტან-დარეჯანზე, ტარიელსა და სხვა გმირებზე. თამარ მეფესა და ნესტან-დარეჯანს შორის განსხვავება იმდენად დიდია და არსებითი, რომ ეს ყოველგვარ ანალოგიას გამორიცხავს. ასე მაგალითად, ნესტან-დარეჯანი ერთადერთი შვილი იყო ფარსადან მეფისა, გიორგი III კი თამარის გარდა კიდევ ყავდა შვილი რუსუდანი. თამარ მეფე გიორგი III-მ თავისსავე სიცოცხლეში აიყვანა ტახტზე, ფარსადანმა კი ნესტან-დარეჯანი არ სცნო ტახტზე აყვანის ღირსად და მისი გათხოვება დააპირა ხვარაზმშაზე. პ. ინგოროყვა უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ფარსადანმა როსტევანივით თავისი ერთადერთი ქალიშვილი კი არ აიყვანა ტახტზე, არამედ მას დაუკითხავად გათხოვება დაუპირა და ხვარაზმშას შვილის ინდოეთის მეფედ დასმა გადაწყვიტა, და რომ სწორედ ეს გახდა მიზეზი არეულობისა, რომელიც ინდოეთში დაიწყო. ამ არასწორი გადაწყვეტილების შედეგად დატრიალდა მთელი ტრაგედია. ინგოროყვა კი წერს: „რაკი ფარსადანს ვაჟიშვილი არა ჰყავს, იგი გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ს ქ ა ლ ი ს გ ა მ ე ფ ე ბ ა ს. ამას მოჰყვება პოლიტიკური გართულება და თვით ნესტან-დარეჯანიც განსაცდელში ჩავარდება“. საინტერესოა, საიდან გააკეთა ასეთი დასკვნა პატივცემულმა მკვლევარმა? ვეფხისტყაოსნის არსებული ვარიანტები ამის საშუალებას არ იძლევა. ვიმეორებთ, ვეფხისტყაოსნის მიხედვით, ნესტან-დარეჯანი განსაცდელში ჩავარდა არა იმიტომ, რომ ფარსადანმა მისი გამეფება

დაახპირა, როგორც ეს პ. ინგოროყვას ჰგონია, არამედ იმიტომ, რომ ფარსადანმა იგი არ გაამეფა და მის დაუკითხავად გათხოვება დაუპირა.

შემდეგ, თამარ მეფე, როგორც ცნობილია, ორჯერ იყო გათხოვილი: პირველად გიორგი რუსზე, მეორედ დავით სოსლანზე. ეს ყველაფერი მოხდა თამარის გამეფების შემდეგ. ნესტან-დარეჯანმა კი მხოლოდ ერთხელ იქორწინა ტარიელთან და ისიც ინდოეთის ტახტზე ასვლამდე. თამარ მეფე არასდროს არ ყოფილა განდევნილი საქართველოდან და მით უმეტეს დიდი ხნის განმავლობაში, ტყვეობაშიც არ ყოფილა ნესტან-დარეჯანივით. ისტორიულ დოკუმენტებში არავითარი ნიშან-წყალი არ არის იმისა, რომ თამარის ნება-სურვილით და მისი წაქეზებით მისთვის განკუთვნილი სასიძო მოეკლას ამირბარს ანუ ამირსპასალარს, როგორც ამას ადგილი აქვს ვეფხისტყაოსანში. შეიძლებოდა კიდევ მრავალი, ამგვარი მაგალითის მოტანა, ჰაგრამ თქმულიდანაც კარგად ჩანს, რომ თამარსა და ნესტან-დარეჯანს შორის შორეული მსგავსებაც კი არ არის, არამც თუ ანალოგია და იგივეობა.

რაც შეეხება შოთა რუსთაველისა და ტარიელის იგივეობას, რომ ვითომც „ის, რასაც მოგვითხრობს ტარიელი თავისი ქვეყნისა და გვარის ისტორიის შესახებ, წარმოადგენს სასენით იმავე სურათს, რაც ჩვენ ვიცით შოთას საგმირულო ისტორიისა და მისი სამშობლო მხარის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“, არც ერთი ისტორიული დოკუმენტით არ არის არგუმენტირებული. პ. ინგოროყვა ცდილობს ამ ანალოგიის დასაბუთებას. მაგალითად, იგი წერს: „...ვეფხისტყაოსნის ცნობით, ტარიელი უფროსი იყო ნესტანზე ხუთი წლით. შოთაც ავრეთვე დაახლოებით ხუთი წლით იყო უფროსი თამარზე.

1170—71 წელს მანამდე უშვილო გიორგი III-ს ეყოლა ქალი თამარი. როდესაც თამარი წამოიზარდა, გიორგი III-მ გადაწყვიტა, თავისი ქალი გამოეცხადებინა მემკვიდრედ და სამეფოდ აღეზარდა. შოთა ამის შემდეგ უნდა დაებრუნებინათ თავისი მშობლებისათვის“.

საინტერესოა ვიცოდეთ, საიდან აიღო პ. ინგოროყვამ, რომ შოთა რუსთაველი თამარ მეფეზე ხუთი წლით იყო უფროსი? ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ არ არის დადგენილი თამარ მეფის დაბადების თარიღი.

თამარ მეფის დაბადების თარიღის ირგვლივ მკვლევართა შორის აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. მ. ჯანაშვილის აზრით, თამარი უნდა იყოს დაბადებული 1156 წელს. ისტორიკოსების მეტი ნაწილი კი, საეროდ, გვერდს უვლის ამ საკითხს. მხოლოდ პ. ინგოროყვა იოლად წყვეტს ამ პრობლემას საკმაოდ ბუნდოვანი ცნობის საფუძველზე, რომელშიაც ნათქვამია, რომ როდესაც თამარი 1184 წელს ტახტზე აიყვანეს, „ყრმა“ იყო. მაგრამ ტერმინი „ყრმა“ ჯერ კიდევ გამოსაკვლევი და დასადგენია.

შემდეგ პ. ინგოროყვა წერს, რომ გიორგი III-მ გადაწყვიტა თავისი ქალი გამოეცხადებინა მემკვიდრედ. მაგრამ ისტორიული წყაროების მიხედვით, ჩვენ ვიცით, რომ მან არა მარტო გადაწყვიტა, არამედ 1178 წელს ნამდვილად იყვანა თამარი ტახტზე. მაგრამ საქმე იმაშია, რომ პ. ინგოროყვას სიტყვა „გადაწყვიტა“ იმისთვის სჭირდება, რომ თამარ-ნესტანის იგივეობა დაამტკიცოს. მისი აზრით, ფარსადანმაც გადაწყვიტა ნესტანის გამეფება. ერთი სიტყვით, ერთგან დააკლო, მეორეგან მოუმატა და ნესტანი და თამარი ტოლები გამოიყვანა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ყოველგვარი ანალოგიის გაქარწყლებისათვის ის ამბავიც კმარა, რომ ტარიელმა ნესტან-დარეჯანი შეირთო და ბოლოს, ინდოეთის ტახტზე ავიდა, ხოლო თამარი შოთა რუსთაველთან არ შეუღლებულა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, შოთასა და ტარიელს შორის, თამარსა და ნესტანს შორის რაიმე ისტორიული პარალელის, რაიმე ანალოგიის დაშვება შეუძლებელია[48]. პირიქით, მათ შორის ისეთი დიდი ზღვარია, რომელიც ყოველგვარ ანალოგიას გამორიცხავს.

პ. ინგოროყვა არ კმაყოფილდება ამით, იგი ისტორიული პარალელების გავლებას ჯიუტად განაგრძობს და ანალოგიებს ვეფხისტყაოსანის სხვა გმირებსაც უძებნის.

მისი აზრით, „ხვარაზმშა, მოწვეული ნესტანის საქმროდ, რომელიც უბედურად იღუპება, პოეტურ ასპექტში წარმოგვიდგენს თამარის საქმროდ მოწვეულ გიორგი რუსს".

თქვენ თითონ განსაჯეთ:

1. გიორგი რუსი საქართველოს დიდებულებმა მოიყვანეს თამარის საქმროდ. ამ შემთხვევაში ისინი თავისი განსაზღვრული ინტერესებიდან გამოდიოდნენ. გიორგი მესამე ამ დროს ცოცხალი აღარ იყო, ისე რომ მას ფარსადანივით არ შეეძლო სასიძოს მოწვევა. ხოლო რაც შეეხება ხვარაზმშას, იგი თვით მეფემ, ნესტანის მამამ ფარსადანმა მოიწვია სასიძოდ.

2. ხვარაზმშა, როგორც კი ინდოეთში დაბანაკდა, ტარიელმა—ინდოეთის ამირბარმა, ნესტანის შთაგონებით მალულად მოკლა. ისე რომ, მათი ქორწინება არ შემდგარა. გიორგი რუსმა კი იქორწინა თამარ დედოფალზე და იგი არავის მოუკლავს. როგორც ცნობილია, ორწლინახევრის შემდეგ იგი საქართველოდან გააძევეს.

3. სულ სხვადასხვაა მიზეზი ხვარაზმშას მოკვლისა და გიორგი რუსის გაძევებისა. ხვარაზმშა ფარსადან მეფის წინდაუხედავი, არასწორი გადაწყვეტილების მსხვერპლი გახდა, ხოლო გიორგი რუსი იმიტომ გააძევეს, რომ სოდომური ქცევა აღმოაჩნდა.

როგორც ვხედავთ, გიორგი რუსსა და ხვარაზმშას შორის განსხვავება ძალზე დიდია, ხოლო მსგავსება არავითარი.

პ. ინგოროყვამ არ დაივიწყა დავარიც და მასაც მოუძებნა ისტორიული პარალელი. უფრო მეტიც, მან სრული იგივეობა დაინახა დავარსა და გიორგი III-ს დას რუსუდანს შორის.

აი, რას გვამცნობს იგი: „მსგავსება რუსუდანისა და დავარისა იმდენად ახლოა, რომ პოეტი თითქოს შეგნებულად უსვამს ხაზს მათს იგივეობას, რომ მკითხველს არ დარჩეს ამაში არავითარი ეჭვი..." „როგორც რუსუდან, ისე დავარ,—ორივე დაა მეფისა. ორივე უცხოეთშია გათხოვილი. ორივენი დაქვრივდებიან და სამშობლოში დაბრუნდებიან. ორივენი ზრდიან მეფის ერთადერთ ქალიშვილსა და ტახტის მემკვიდრეს. ორივენი გახდებიან მიზეზი თავისი აღზრდილის პირადი უბედურებისა". აქ მოტანილ ერთ აბზაცში რამდენიმე უხეში შეცდომაა დაშვებული. პირველი—დავარი არასდროს არ ყოფილა ტარიელის გამზრდელი, როგორც გვარწმუნებს ინგოროყვა. ვეფხისტყაოსანში ნათქვამია, რომ თავდაპირველად ნესტან-დარეჯანს და ტარიელს ერთად მეფე და დედო-

48 ამის თაობაზე იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 4, იქ ვკითხულობთ: „ინდოეთისა და საქართველოს სინამდვილე ერთი მეორეს სრულიად არ ემთხვევა".

ფალი ზრდიდნენ, ხოლო როდესაც ნესტანი შვიდი წლისა გახდა, მას მეფე ფარსადანმა განცალკევებული კოშკი აუგო და სიბრძნის მასწავლებლად თავისი და დავარი მიუჩინა. ტარიელი კი ისევ მამასთან დააბრუნა. მეორე, რუსუდანის შესახებ „ქართლის ცხოვრებიდან“ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ თამარისა და დავით სოსლანის აღმზრდელი იყო, ხოლო იმის შესახებ, რომ იგი შოთა რუსთაველის აღმზრდელიც იყო, არსად არ წერია. მესამე, არც დავარი და არც რუსუდანი არ ყოფილან თავისი აღზრდილების ნესტან-დარეჯანისა და თამარის პირადი უბედურების მიზეზნი. დღეს, პ. ინგოროყვას გარდა, ყველამ კარგად იცის, რომ ნესტან-დარეჯანის ტრაგედიის მიზეზი მისი მამის ფარსადანის არასწორი გადაწყვეტილება იყო, ხოლო რაც შეეხება დავარს, მან არაფერი იცოდა ტარიელისა და ნესტანის გამიჯნურების შესახებ. დავარი რომ სრულიად უდანაშაულო იყო, ეს დავარის სიტყვებიდანაც კარგად ჩანს:

„მან ეგრე თქვა: „უბრალო ვარ, იცის ღმერთმან სახიერმან“.

რუსუდან დედოფალსაც, რომელმაც ნება დართო თამარის ქორწინებაზე, არავითარი ბრალი არ უძღოდა იმაში, რომ თამარის პირველი ქორწინება ვერ გამოდგა კეთილსასურველი. ამ საქმეში თუ ვინმეს უძღოდა ბრალი, ეს ხანქან ზორაბაბელი და დიდებულები იყვნენ, რომლებმაც თავის დროზე სათანადო სიფხიზლე ვერ გამოიჩინეს და ხერხიანად ვერ შეამოწმეს სასიძოს ზნე და თვისებები. რუსუდანს ამ შემთხვევაში რამე უნებლიე ბრალიც რომ ჰქონდეს, ეს კიდევ არაფერს არ ლაპარაკობს, რადგან მეორედ მან ხომ თავისი გაზრდილი დავით სოსლანი შვრთო თამარს და ამით თამარს უბედურება კი არა, ბედნიერება მოუტანა. მეოთხე, როგორც ვიცით, ვეფხისტყაოსნის პერსონაჟი დავარი თავს იკლავს, ხოლო რუსუდანის თვითმკვლელობის შესახებ არავითარი ცნობები არ არის შემონახული. ეს კი ისეთი დიდი განმასხვავებელი ნიშანია, რომ დავარისა და რუსუდანის იგივეობაზე ლაპარაკი სრულიად გამორიცხულია.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, პ. ინგოროყვას ისტორიული პარალელები მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველს და აგებულია ამ პოემის ტექსტის არასწორ გაგებაზე, ანდა ისტორიული ფაქტების დამახინჯებაზე. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისტორიული პარალელებისა და ანალოგიების კიდევ ერთმა თეორიამ მარცხი განიცადა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საყურადღებო წყაროები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

მ. სვანიძე

ოსმალურ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში უხვი ცნობები მოიპოვება კავკასიისა და კერძოდ, საქართველოს შესახებ. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ აღნიშნული ქვეყნების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის. ოსმალურ წყაროებში დაცული ცნობები ავსებენ და აზუსტებენ ქართული წყაროების მონაცემებს, ხოლო რიგ შემთხვევაში, ახალ საყურადღებო ფაქტიურ მასალას გვაწვდიან კავკასიისა და საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხების გასაშუქებლად.

საქართველოში ოსმალური წყაროებისა და დოკუმენტების პუბლიკაცია ფაქტიურად თბილისში აღმოსავლეთმცოდნეობის კერის დაარსების შემდეგ დაიწყო. საქართველოში ამ საქმის ფუძემდებელი პროფ. ს. ჯიქია. მას ამ მიმართულებით დიდი და ნაყოფიერი მუშაობა აქვს ჩატარებული. პროფ. ს. ჯიქიამ გამოაქვეყნა დიდი თარგმნა საყურადღებო თურქული დოკუმენტები და ნარატიული წყაროები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად.

პროფ. ს. ჯიქიასთან ერთად ამ მიმართულებით მუშაობას ეწევიან აგრეთვე სხვა ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები: გ. ფუთურიძე, ნ. შენგელია, ვ. ჩოჩიევი და ც. ამულაძე.

ოსმალური დოკუმენტური და ნარატიული წყაროების პუბლიკაციის დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი და ფაქტიურად ამ დიდი საქმის მხოლოდ კარი დასაწყისია.

უცხოური წყაროების პუბლიკაციის დარგში განსაკუთრებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილი საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისია. მის მიერ ამ უკანასკნელ დროს არა ერთი საყურადღებო წყაროა გამოცემული.

ოსმალურ ნარატიულ წყაროებს შორის განსაკუთრებით საყურადღებოა იბრაჰიმ ფეჩევის „ისტორია“, რომელშიაც უხვი ცნობები მოიპოვება საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების კომისიის მიერ ახლახან გამოცემული პროფ. ს. ჯიქიის წიგნი „ი. ფეჩევი საქართველოსა და კავკასიის შესახებ“[1].

---

1 იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართულ თარგმანთურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ჯიქიამ. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1964 წ. თურქული ტექსტი გამოცემულია چلبی تاریخ-ის I და II ტომის მიხედვით (სტამბოლი, 1864 და 1866 წწ.).

ეს ნაშრომი შედგება ოთხი თავისაგან: 1. ოსმალთა მეისტორიე იბრაჰიმ ფეჩევი და მისი „თარიხი“ (შესავალი), 2. ი. ფეჩევის „თარიხის“ ქართული თარგმანი, 3. შენიშვნები ქართული თარგმანისათვის, 4. თურქული ტექსტი.

იბრაჰიმ ფეჩევის (1574—1650) თურქულ ისტორიოგრაფიაში მეტად თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. მისი ორტომიანი „ისტორია“ ქრონოლოგიურად შეიცავს 1520—1640 წწ. ამბებს. ავტორს თავისი „ისტორიის“ ადრინდელი პერიოდის დაწერისას გამოყენებული აქვს თურქული მატიანეები, უნგრული ქრონიკები, აგრეთვე, სხვა დოკუმენტური წყაროები. ი. ფეჩევის სხვადასხვა მაღალი სახელმწიფო თანამდებობები ეკავა, რაც მას საშუალებას აძლევდა ყოფილიყო თავისი დროის მნიშვნელოვანი ამბების კურსში.

იბრაჰიმ ფეჩევის „ისტორია“ ოსმალეთისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების შესასწავლად ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა. იგი დიდი ხანია იქცევს სპეციალისტების ყურადღებას, ამ თხზულების ცალკეული ნაწილები თარგმნილია ევროპულ ენებზეც.

პროფ. ს. ჯიქიამ ჯერ კიდევ 1940 წელს გამოაქვეყნა სტატია „იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ“, მაგრამ ფეჩევის ცნობები ამ ნაშრომში სრულად არ იყო მოცემული და დაბეჭდილი იყო თურქული ტექსტის გარეშე. ამასთანავე მცირე რაოდენობით შენიშვნები ჰქონდა დართული.

ამჟამად პროფ. ს. ჯიქიას მიერ გამოცემული ფეჩევის „ისტორიიდან“ ამოღებული ცნობები შეეხება არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიასაც. ამასთანავე დართული შენიშვნები ვრცლადაა წარმოდგენილი. ქართულ თარგმანს თან ერთვის თურქული ტექსტი, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის მის მეცნიერულ ღირებულებას.

ი. ფეჩევის „ისტორიაში“ მოტანილი ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ, ერთი მხრივ, ამოღებული აქვს ოსმალური წყაროებიდან, ხოლო, მეორე მხრივ, იგი მომსწრე და თვითმხილველია „ისტორიაში“ აღწერილი ამბებისა.

ი. ფეჩევის „ისტორიის“ ღირებულებას ზრდის ისიც, რომ მასში დამოწმებული მთელი რიგი ფაქტებისა დადასტურებას პოულობს ქართულ და სხვა წყაროებშიაც. ყოველივე ამის გამო ი. ფეჩევის თხზულებაში დაცული ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ მეტად საყურადღებო და ანგარიშგასაწევია, მაგრამ ამავე დროს საჭიროა კრიტიკულად განეხილოთ აღნიშნული ცნობები, რადგან ავტორი აღწერილ ფაქტებს ოსმალური თვალსაზრისით აშუქებს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ი. ფეჩევის „ისტორიაში“ დაცული ის ცნობები, რომლებიც საქართველო-თურქეთის ურთიერთობას შეეხება. ცნობათა ერთი ნაწილი ეხება ოსმალების მიერ სამხრეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული პროვინციების დაპყრობას, რის შედეგადაც შესაძლებელი ხდება ოსმალთა მიერ სამხრეთ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი პროვინციის დაპყრობის თანამიმდევრობისა და გაოსმალების პროცესის დადგენა. თქმულის საილუსტრაციოდ შეიძლება მივიტანოთ შემდეგი ადგილი: „თორთუმი, თალხისი, ახჩაყალა და ლივანას ხევი განსაზღვრულ იქნა როგორც ერთი სასანჯაყო ადგილი“ (გვ. 28).

საქართველოს ზემოთ დასახელებული პროვინციების დაპყრობის შედეგად ოსმალებმა ისინი გააერთიანეს და ლივანას სანჯაყი დააარსეს, რაც ამის

მომასწავებელი იყო, რომ აქ ოსმალური მართვა-გამგეობა და მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ის ოსმალური წესები შემოდიოდა, რომელსაც უნდა გაეპირობებინა ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამყარება—ქვეყნის გაოსმალება.

ი. ფიჩვის „ისტორიიდან“ ჩანს, რომ ოსმალები დიდი ბრძოლების შედეგად იპყრობენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალს, დაპყრობის შემდეგაც ქართველები ოსმალთა წინააღმდეგ კვლავ განაგრძობენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. „ამ ხანებში,—წერს ფიჩვი,—საქართველოს ურჯულოები აჯანყებასა და არეულობას აწყობდნენ“ (გვ. 27).

„ისტორიაში“ აღწერილია ირან-ოსმალეთის მეორე (1578—1590 წწ.) ომის განახლება და ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიის ქვეყნებში.

საყურადღებოა, რომ, ი. ფიჩვის გადმოცემით, ოსმალები ირანთან ომის დაწყებას იმ გარემოებით ხსნიდნენ, რომ ისინი საქართველოს ურჩი ბეგების დასამორჩილებლად მოდიოდნენ. „ამბობენ,—წერს ი. ფიჩვი,—საქართველოს ბეგთაგან ზოგიერთები ურჩობენ; ამიტომ ჩვენ მათ დასამორჩილებლად და დასაწყნარებლად მივდივართო“ (გვ. 38). აქ ოსმალური თვალსაზრისია გადმოცემული. სინამდვილეში სულთანს, უპირველესად ყოვლისა, აინტერესებდა ამიერკავკასიის ქვეყნების დაპყრობა, რადგან მათ ოსმალეთისათვის დიდი ეკონომიური და სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ირანთან ომში.

ი. ფიჩვი მოგვითხრობს ოსმალთა ლაშქრის შეჭრას სამცხე-საათაბაგოში, ოსმალთა და ყიზილბაშთა დიდი ბრძოლაზე ჩილდირის ველზე და მანუჩარის მიერ ლალა ფაშისათვის მორჩილების გამოცხადების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ავტორს მოაქვს შემდეგი ცნობა: „ხსენებული ბეგი (მანუჩარი—მ. ს.) ექვსი ათასი შეიარაღებული აზნაურით მოვიდა და მთის ფერდობიდან გამარჯვებულებს და დამარცხებულებს თვალყურს ადევნებდა. იდგა აქ და იმედი ჰქონდა, რომ გამარჯვებული მხარე მას შეიწყნარებდა“ (გვ. 41).

ეს ცნობა მეტად საინტერესოა ირანთან და ოსმალეთთან მანუჩარის ურთიერთობის გასარკვევად. მისთვის ირანიცა და ოსმალეთიც ერთნაირი დამპყრობლები იყვნენ, მაგრამ შექმნილ ვითარებაში (ოსმალეთის მრავალრიცხოვანი ლაშქარი სამცხე-საათაბაგოში იმყოფებოდა, ხოლო ირანის ლაშქარი დამარცხებული იყო) მანუჩარი იძულებული იყო ოსმალეთის მთავარსარდლისათვის მორჩილება გამოეცხადებინა იმ იმედით, რომ გამარჯვებული ოსმალო სარდალი მას შეიწყნარებდა და გარკვეულ პრივილეგიებს შეუნარჩუნებდა.

ავტორი, აგრეთვე, აგვიწერს ოსმალების მიერ თბილისის დაპყრობას, შიგ ოსმალთა გარნიზონის ჩაყენებასა და მის გამგებლად ოსმალო მოხელის დანიშვნას.

ი. ფიჩვის „ისტორიიდან“ ირკვევა, რომ აღქმსანდრე კახთა მეფეს ლალა მუსტაფა ფაშისათვის მორჩილება გამოუცხადებია და ოსმალთა სასარგებლოდ ყოველწლიურად ხარჯის გადახდა უკისრია (გვ. 42).

თხზულებაში საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი ირან-ოსმალეთის მეორე ომის მსვლელობა. ამასთანავე ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს ოსმალების მიერ ამიერკავკასიაში წარმოებულ სამხედრო ოპერაციებს. „ისტორიიდან“ კარგად ჩანს, თუ რაოდენ მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ ამიერკავკასიის ხალხები და, კერძოდ, ქართველები ოსმალო დამპყრობლებს. სულთანი არა ერთხელ იძულებული გამხდარა ახალ-ახალი მაშველი ძალები გაგზავნილიყო

ამიერკავკასიის დასამორჩილებლად და ომში წარუმატებლობის გამო ხშირად გადაეყენებინა ოსმალო მთავარსარდლები.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ი. ფეჩევის ის ცნობები საქართველოს შესახებ, რომელთა თვითმხილველი და თანადამხვდური თვით იყო. მაგალითად, გიორგი სააკაძის ელჩების ჩასვლა ოსმალო მთავარსარდალ ჰაფიზ ფაშის ბანაკში. ამ დროს ი. ფეჩევი ჰაფიზ ფაშას ამალაში იყო. თვითონ ესწრებოდა ქართველების შეხვედრას მთავარსარდალთან და მონაწილეობას ღებულობდა მათ შორის წარმოებულ მოლაპარაკებაში. ამ მოლაპარაკებაში მან მხარი დაუჭირა გიორგი სააკაძეს და თანაგრძნობით შეხვდა მის სამხედრო გეგმას ყიზილბაშების დამარცხების შესახებ.

ავტორი სინანულს გამოსთქვამს, რომ ჰაფიზ ფაშამ არ მიიღო გ. სააკაძის გეგმა და ყიზილბაშები აშკარა განადგურებას გადაურჩნენ. ი. ფეჩევის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია ხუსრევ-ფაშას მიერ გ. სააკაძისა და მისი თანმხლები პირების გაყოლეტვამ. „შაჰს რომ ათასი იუქი[2] ახრა მიეცა,—წერს ფეჩევი,—ან რომელიმე შემოსავლიანი მხარე რომ ებოძა, არ იზამდა; [ხოლო ამ] არც აღლაჰის შეეშინდა და არც სისხლს მოერიდა და ასეთი აშკარა ჯალათობა ჩაიდინა“ (გვ. 85). ი. ფეჩევის ამგვარი დამოკიდებულება გ. სააკაძისადმი, უპირველესად ყოვლისა, ახსნება იმით, რომ, მისი აზრით, გ. სააკაძეს და მის მომდევრებს შეეძლოთ დიდი დახმარება აღმოეჩინათ ოსმალეთისათვის ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში.

დასახელებულ თხზულებაში არანაკლებ საინტერესო ცნობები გვხვდება აღნიშნული ხანის სომხეთისა და აზერბაიჯანის ისტორიის რიგი საკითხების შესასწავლად. ეს ქვეყნებიც ისევე, როგორც საქართველო, წარმოადგენდნენ ირან-ოსმალეთის ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ ასპარეზს. აქ არა ერთი საყურადღებო მასალა მოტანილი ამ ქვეყნების მიმართ ოსმალეთის დამპყრობლური პოლიტიკის ნათელსაყოფად. ეს კარგად ჩანს სათანადო თავების დასახელებებიდანაც კი: „შირვანის მხარეთა დაპყრობა“, (გვ. 25), „ძარცვა-გლეჯა და აოხრება ერევნის, ყარაბაღისა და ნახიჩევანისა“ (გვ. 28—30), „ისლამის ჯარმა რომ ერევნის მხარე დაარბია და იავარჰყო“ (გვ. 55) და სხვა.

განსაკუთრებით საინტერესოა „ისტორიის“ ის ადგილი, სადაც ი. ფეჩევი მოგვითხრობს შირვანის აღწერის შესახებ. მისი ცნობით, ლალა მუსტაფა ფაშას მიერ შირვან-აზერბაიჯანის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა ქვეყანა აღწერეს, შირვანის საბეგლარბეგო (ეიალეთი) დაარსეს და 14 სანჯაყად დაყვეს. ოსმალო მოხელეებს ბეგლაბეგებს, სანჯაყბეგებს და სხვებს ხასები, ზიამეთები და თიმარები უბოძეს (გვ. 47). ოსმალეთის ამ ღონისძიებას (ოსმალური მართვა-განკარგულებისა და მიწისმფლობელობის ოსმალური წესების შემოღება) უნდა განეპირობებინა აქ ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის დამყარება, ქვეყნის სრული ინკორპორაცია.

ი. ფეჩევის „ისტორიაში“ მოიპოვება ცნობები ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა შესახებ, ყირიმის ხანის მონაწილეობაზე კავკასიაში ოსმალთა ლაშქრობაში და სხვა.

ბუნებრივია, რომ ი. ფეჩევის არ შეეძლო სწორად ცოდნოდა იმდროინდელი საქართველოს ისტორიის ყველა მოვლენა, ამიტომ თხზულებაში გვხვდება

[2] ერთი იუქი 100000 ახჩას უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ერთი ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა. მაგალითად, საქართველოს სამ სამეფოდ დანაწილებას ი. ფეჩევი თამარ მეფის ქალიშვილის (რუსუდანის) მეფობის ხანას უკავშირებს (გვ. 43). ეს, როგორც ცნობილია, არ შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს.

აგრეთვე, ცდება ი. ფეჩევი. როდესაც მოგვითხრობს, რომ 1604 წელს ირან-ოსმალეთის ომის განახლების შემდეგ შაჰ-აბასთან თავისი ლაშქრითურთ გამოცხადდნენ ალექსანდრე კახთა მეფის შვილი ლევანი და სიმონ ქართლის მეფის შვილი ლუარსაბი (გვ. 81). აქ ი. ფეჩევის არეული აქვს არა მარტო სიმონ და ალექსანდრე მეფეების შვილების სახელები. არამედ ის პიროვნებებიც, რომლებიც შაჰთან მივიდნენ: შაჰ-აბასთან გამოცხადდნენ არა ალექსანდრე კახთა მეფის შვილი ლევანი (ალექსანდრეს არც ერთ ვაჟს ლევანი არ ერქვა), არამედ თვით ალექსანდრე და არა სიმონ მეფის შვილი ლუარსაბი (ლუარსაბი სიმონ მეფის კი არა, გიორგი X შვილია). არამედ ქართლის მეფე გიორგი X.

ამრიგად, ი. ფეჩევის „ისტორიაში“ დაცული ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ მეტად საყურადღებოა ამ ქვეყნების ოსმალეთთან ურთიერთობის რიგი საკითხების შესასწავლად. მართალია, ავტორი თავის თხზულებაში საკითხებს ოსმალური თვალსაზრისით აშუქებს და ზოგჯერ ფაქტობრივი ხასიათის შეცდომებსაც უშვებს, მაგრამ მისი კრიტიკული ანალიზისა და სხვა წყაროებთან შეჯერების შედეგად შესაძლებელი ხდება ისტორიული სინამდვილის დადგენა.

პროფ. ს. ჯიქიას მიერ ი. ფეჩევის „ისტორიის“ ქართული თარგმანი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე. მთარგმნელი თურქი ისტორიკოსის ენის შესახებ წერს: „ფეჩევის სანაქებოდ უნდა ითქვას აგრეთვე ისიც, რომ მისი თხზულებათა ენა იმდროინდელი მწერლობის ენასთან შედარებით მარტივია და ნათელი, არ არის დამძიმებული მაღალფარდოვანი და ღვარჭნილი სტილით“ (გვ. 17).

ი. ფეჩევის თხზულების თარგმნისას დაცულია მისი ენის თავისებურებანი და სიტილი. ამასთანავე პროფ. ს. ჯიქია არა მარტო ზუსტად იცავს თურქულ ტექსტს, არამედ რიგ შემთხვევაში ასწორებს ორგინალის მისი გადამწერის, თუ გამომცემლის მიერ ტექსტში დაშვებულ შეცდომებს, აგრეთვე, არასწორად ნახმარ გეოგრაფიულ თუ პირთა საკუთარ სახელებს. მაგალითად, „ისტორიის“ დაბეჭდილ ტექსტში შეცდომით არის მოცემული სახელწოდება დივანის ხევი, რასაც ს. ჯიქია ასწორებს ლევანას ხევად (გვ. 28); ნიჯან უნდა იყოს ნიხახი (გვ. 27), ვეფე უნდა იყოს ველი (გვ. 33). გვემ უნდა იყოს ვრემი (გვ. 43), ბერგა უნდა იყოს თერგი (გვ. 68). თურქულ ტექსტში ძალზე დამახინჯებულია თამარ დედოფლის სახელი ნმრო (ე) დო(უ)რიალ. ს. ჯიქიას საკმაოდ დამაჯერებლად აქვს ახსნილი, რომ იყო გამოწვეული თამარ მეფის სახელის ამგვარი დამახინჯება (გვ. 116—120) და სხვა.

სარეცენზიო წერილის ერთ-ერთი თავია „შენიშვნები ქართული თარგმნისათვის“. ამ ნაწილის დამუშავებისას პროფ. ს. ჯიქიას გამოყენებული აქვს პირველწყაროები და ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა. მას კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არა ერთი საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული. ამასთანავე ს. ჯიქიას არა მარტო გასწორებული აქვს ი. ფეჩევის „ისტორიაში“ დაშვებული ტექსტობრივი თუ სხვა ხასიათის შეცდომები, არამედ ვრცლად აქვს ახსნილი და კომენტირებული „ისტორიაში“ დამოწმებული თურქული ტერმი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წები. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი შენიშვნები გეოგრაფიულ და ტოპონიმიკურ სახელებთან დაკავშირებით. მკვლევარს ამ მიმართულებით მრავალი სახელი აქვს ახსნილი და დადგენილი, რომელთა მნიშვნელობაც სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებად იყო ცნობილი.

„შენიშვნებში" ვრცლადაა განმარტებული ტექსტში მოხსენიებული პირთა ბიოგრაფიები. მათი ბიოგრაფიული ცნობები ძირითადად გადმოცემულია მეჰმედ სურეიას მიერ შედგენილი „სიჯილ-ი ოსმანი"-ს მრავალტომიანი ბიოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით და სხვა.

ი. ფეჩევის „ისტორიის" კრიტიკული გამოცემა ჯერჯერობით არ არსებობს. ამ თხზულების მრავალრიცხოვანი ხელნაწერი ნუსხა ევროპისა და აზიის სხვადასხვა სიძველეთსაცავებშია დაცული. არსებობს ი. ფეჩევის „ისტორიის" ერთადერთი გამოცემა. იგი ერთი საუკუნის წინათ გამოვიდა სტამბოლში და ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა თვით თურქეთშიც კი. ამიტომ თურქული ტექსტის ახალი გამოცემა, თუნდაც მხოლოდ ერთი ნაწილისა, მეტად სასარგებლო და საპატიო საქმეა. იგი საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ არა მარტო თარგმანს, არამედ ორიგინალსაც.

პროფ. ს. ჯიქიას მიერ გამოცემული თურქული ტექსტი მაღალ მეცნიერულ დონეზეა შესრულებული. ამასთანავე თურქულ ტექსტს დართული აქვს ვრცელი შენიშვნები, რითაც მისი მეცნიერული ღირებულება კიდევ უფრო იზრდება.

გვაქვს რამდენიმე შენიშვნაც:

სარეცენზიო წიგნში არაერთი თურქული ტერმინია განმარტებული და გაანალიზებული, მაგრამ ვფიქრობთ, კარგი იყო განმარტებულიყო ტერმინი ოჯაქლიქი (გვ. 79), რომლის მნიშვნელობის შესახებაც სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული.

ცნობილია, თუ რომელ თურქულ და უცხოურ წყაროებს იყენებდა ი. ფეჩევი თავისი „ისტორიის" შედგენისას, მაგრამ ჯერჯერობით არაა შესწავლილი, თუ რომელი წყაროებით სარგებლობდა ი. ფეჩევი საქართველოსა და კავკასიის ამბების გადმოცემისას. სასურველი იყო, ეს საკითხიც გაშუქებული ყოფილიყო სარეცენზიო ნაშრომში.

წიგნში საკმაოდ ვრცლადაა განმარტებული მდინარეების ალაზნის (კანიხ, კანიკ) და იორის (კაბრი, კაფური) არა ქართული სახელები (გვ. 122—124), მაგრამ სასურველი იყო აღნიშნული ყოფილიყო, რომ არა ქართულ სახელებთან ერთად ამ მდინარეების ქართულ სახელებს იხსენიებენ დღევანდელი თურქი ისტორიკოსებიც უზუნჩარშილი, დანიშმენდი და „ოსმალეთის ვრცელი ისტორიის" ავტორები.

სარეცენზიო ნაშრომი შესანიშნავადაა გამოცემული, მაგრამ ვფიქრობთ, რომ კარგი იქნებოდა, თუ მას დართული ექნებოდა საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი.

პროფ. ს. ჯიქიას წიგნი „ი. ფეჩევი საქართველოსა და კავკასიის შესახებ" ქართული ორიენტალისტიკის კარგი შენაძენია. იგი დიდ დახმარებას გაუწევს არა მარტო ქართველ აღმოსავლეთმცოდნეებსა და საქართველოს ისტორიის სპეციალისტებს, არამედ მკითხველთა ფართო წრესაც, რომლებიც დაინტერესებული არიან საქართველო-თურქეთის ურთიერთობის საკითხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი


ი. **მირცხულავა,** საქართველოს ბოლშევიკების ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილ-ბურჟუაზიული პარტიების ნაციონალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში . . . . . 1

ვ. **ჟარჩავა,** აფხაზეთის სოფლის მეურნეობა ომისშემდგომ პერიოდში . . . 17

ნ. **იაშვილი,** მელიორაციის ზოგიერთი საკითხის შესახებ . . . . . 37

ი. **ანთელავა,** ბატონყმობის გაუქმება აღმოსავლეთ საქართველოში . . . . 55

ი. **ტაბაღუა,** სულხან-საბა ორბელიანის ელჩობა საფრანგეთში . . . . . 80

ა. **აფაქიძე, ოთ. ლორთქიფანიძე,** მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის . . . . . 104

ლ. **ჩიქოვანი,** გაზეთი „თბილისის მოამბე“ და გლეხთა აჯანყებანი საქართველოში . . 132

ი. **ლოლაშვილი,** თარგმანება „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი ტაეპისა . . . . 155

თ. **გორელიშვილი,** თიმსარიანის წყაროს საკითხისათვის . . . . . 169

თ. **გეროზაშვილი,** ნიკო ლომოურის ენის თავისებურებანი . . . . . 180

დ. **ჩხუბიანაშვილი,** მასდარიანი შესიტყვების თავისებურებანი ძველ ქართულში . . 203

თ. **საყვარელიძე,** მოწამეთის საწინამძღვრო ჯვარი . . . . . 230

ნ. **გაჩაგელი,** საქონწინო ინსტიტუტი ქართლში . . . . . 245


## კ რ ი ტ ი კ ა  დ ა  ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა


დ. **ჯაშიშვილი,** რამდენიმე შენიშვნა პ. ინგოროყვას „რუსთველიანასა“ და „რუსთველიანას ეპილოგის“ გამო . . . . . 262

მ. **სვანიძე,** საყურადღებო წყარო საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის . . 286

## СОДЕРЖАНИЕ


**И. Мирцхулава,** Борьба большевиков Грузии против националистической политики буржуазных и мелкобуржуазных партий в период подготовки и проведения Октябрьской социалистической революции . . . . . 1

**В. Карчава,** Сельское хозяйство Абхазии в послевоенный период . . . . . 17

**Н. Иашвили,** О некоторых вопросах мелиорации . . . . . 37

**И. Антелава,** Отмена крепостного права в Восточной Грузии . . . . . 56

**И. Табагуа,** Посольство Сулхан-Саба Орбелиани во Франции . . . . . 80

**А. Апакидзе, О. Лордкипанидзе,** Материалы к археологии Диоскурии-Себастополиса . . . . . 104

**Л. Чиковани,** Газета «Тбилисис моамбе» и крестьянское восстание в Грузии . 132

**И. Лолашвили,** Перевод некоторых таепов «Вепхисткаосани» . . . . . 155

**Т. Горелишвили,** К вопросу об источнике «Тимсариани» . . . . . 168

**Т. Берозашвили,** Особенности языка Нико Ломоури . . . . . 180

**Д. Чхубианашвили,** Особенности масдарных словосочетаний в древнегрузинском языке . . . . . 200

**Т. Сакварелидзе,** Выносной крест из Моцамети . . . . . 230

**Н. Мачабели,** Свадебный институт в Картли . . . . . 245


## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ


**Д. Кумсишвили,** Несколько замечаний по поводу «Руставелиана» и «Эпилога Руставелианы» П. Ингороква . . . . . 265

**М. Сванидзе,** Достопримечательный источник истории Грузии и Кавказа . . 286

ეროვნული ბიბლიოთეკა

БИБЛИОТЕКА

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8
**ტელეფონი:** 9-03-52

შეკვ. 697 უე 00008 ტირაჟი 1500

ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.7.1965; ქაღალდის ზომა $70\times{}^{1}/_{16}$;
ნაბეჭდი თაბახი 18.2; საალრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 23.84;
ფასი 1 მან.

გამომცემლობა „მეცნიერების" სტამბა, თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5
**Типография Издательства «Мецниереба»**, Тбилиси, ул. Г. Табидзе 3/5